CONTENTS

გენო
ჯალანდიას

ჯეკპოტჭიის
სეფუსკო

თბილისი
2014

მონოგრაფიაში შესწავლილია გენო კალანდიას პარადიგმების სამყარო, ლირიკული, მისტიკური, რელიგიური, მხატვრული სივრცეები ტრადიციული და ინოვაციური რაკურსით. წარმოდგენილია „ახალი პოეტური ქვეყნის“ კრიტიკული რეფლექსია.

რედაქტორი: თემურ შავლაძე

რეცენზენტები: თამარ გოგოლაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დარიკო ფიფია,
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

მხატვარი: გიორგი წერეთელი

გამომცემლობა
„სვეტი“

ISBN 978-9941-9392-9-7

© ც. მესხია. 2014.

სიმაღლის ნიშნული

საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ(!), ალბათ უფრო განგების ნებით, გენო კალანდიას, როგორც პოეტსა და მამულიშვილს, დაეკისრა ის უმძიმესი მოვალეობა – წარმოადგენდეს საქართველოს აფხაზეთში და აფხაზეთს საქართველოში. ასე ცალ-ცალკე დაყოფაც, რა თქმა უნდა, პირობითია და დროებითი, რადგან ეს მიჯნა – „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ – არის, არსებობს და მოქმედებს, სინამდვილეს თვალს ვერც დავუხუჭავთ და ვერც (ვერსად!) დავემალებით; და პოეტიც შეიქმნა (განგების ნებით!) ხიდად ორი ნაპირისა – როგორც სიტყვის – სიტყვა, კაცობის – სახე და ზნეობის (ზნეობრიობის!) – ხატი. ის (ისევ და ისევ განგების ნებით!) შეიქმნა „ხიდჩატეხილობის“ გამთლიანების სიმბოლოდ, პოლიტიკურ სიბრტყე-ცნობიერება-ზე მაღლამდგომ ქანდაკად, რომლის სახელია სინდისი, ხოლო ჭეშმარიტი ქართველი და აფხაზი უსინდისო ხელს ერთმანეთს არ(ც) და ვერ(ც) გაუწვდიან; დიახ, გენო კალანდია, ამ სინდისის პოეტური სახე-ხატია, ქანდაკი, გამთლიანების სიმბოლო და ნიშანსვეტი. წარმოუდგენელია საქართველო უაფხაზეთოდ და აფხაზეთი უსაქართველოდ, რადგან ორივე ერთია, ერთი განუყოფლობა და მთლიანობაა – „როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა“ (რაფიელ ერისთავი). და როგორც ბიბლიური სიბრძნე ბრძანებს – „მრავალნი არიან წოდებულ, მცირედნი რჩეულ“, ანუ, არიან ლექსმწერნი და არის პოეტი! – „შუა უძევს(თ) დიდი მზღვარი“ (რუსთველი). ჭეშმარიტი პოეტის სიტყვით (მეტყველებით!) თავად უფალი საუბრობს ხალხთან, ერთან, საზოგადოებასთან; გენო კალანდია, ამ შემთხვევაში, „შუაკაცია“ უბრალო ხალხსა და უფალს შორის, ქართველსა და აფხაზს შორის, სიტყვასა და საქმეს შორის, უიმედობასა და იმედს, ბნელსა

და ნათელს, ბოროტებასა და სიკეთეს შორის, – „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, – ამბობს ქართველი კაცი. ამ სიბრძნეს დავიწყება არ უწერია, რადგან საქართველო – ივერია, თავად სიბრძნეა, და, ამ სიბრძნის წამქცევნი, დღეს თუ არა – ხვალ, აუცილებლად განისჯებიან და დაისჯებიან. გენო კალანდია, როგორც პოეტი, ძველი კოლხიბერული (ივერიული!) მდგრადობის მეცნიერებაა, ქუჯი-ფარნავაზისეული ცნობიერების მესაფუძვლე და მესაძირკვლე. და პოეტიც – თავისი პოეტური მთლიანობით – საქართველოს ამთლიანებს, ქმნის იმ პოეტურ(!) სააზროვნებო სივრცეს, რომელსაც სამშობლო – მამული ჰქვია; რადგან სამშობლო, მამული, მარტო ტერიტორია არ არის, იგი, უპირველესად, სააზროვნებო სივრცეა, სიმბოლო, სახე-ხატი, და, თუ ცნობიერებიდან ამოვიგდებთ ამ სახე-ხატს, სიმბოლოს, აუცილებლად დავინგრევით და დავიღუპებით. გენო კალანდია სწორედ ამ ქართულის, ივერიულის (კოლხიბერულის!) მესიტყვეა, მეცნიერი, სინდისი და – თავისი პიროვნებითა და პოეზიით სწორედ ამ სინდისის გადამრჩენი. იგი, ამავე დროს, ქართული სალიტერატურო ენის და ამ სივრცობრიობაში განფენილი ქართულად სწორად(!) აზროვნებისა და მეტყველების შემნახველი – მემატიანეა, რადგან ფუძეს, ძირს, ყოველთვის სჭირდება გამაგრება, რომ არ მოირყეს და წარიხოცოს. გენო კალანდია, ამ მხრივაც, გამორჩეული ქართველი პოეტი-მამულიშვილია, ალამდარი, მესაყდრე; და მან, ეს ყოველივე, თავისი მეობით, პიროვნულობით დაუმტკიცა ერს, სამშობლოს, პოეზიას, და საერთოდ(აც), რატომ წერს ლექსს ღვთისქმნილება-ადამიანი? იმიტომ ხომ არა, რომ მაკრო-შემოქმედს, მიკრო-შემოქმედებით ეზიაროს, მიუახლოვდეს, ეამბოროს და შეეთანაშემოქმედოს?! პოეზია ამბორია სულისა – სულიერებასთან, აზრისა – არსთან, წუთიერებისა – მარადისობასთან, და, თუ მოახერხე „მოდარაჯე

თვალით ანგელოსის დანახვა“ („რომ ანგელოსს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“ (გალაკტიონი), ე. ი. ღირდა ცხოვრება სიცოცხლისათვის და პირიქით; გენო კალანდია იმ საფეხურზე შედგა (უფლის ნებით!), რომელსაც, პირადად მე, უფლისადმი სამადლობელს დავარქმევდი, წიგნად აკინძულს „საგალობლები უფლისთვის“ რომ ჰქვია. ეს წიგნი ის სიმაღლეა, რომელსაც პოეტისეული სიცოცხლე-არსებობის გამართლება ეწოდება; დიახ, „ეწოდება“, რადგან, პოეტობა, წოდებაა და არც ყველას ხელეწიფება და არცა აქვს უფლება მისი(თ) სახელდებისა, მითუმეტეს, ტარების! გენო კალანდიას პოეტური სამყარო – ერთ დიდ (მთლიან!) ეპიკურ პოემად აღიქმება, სადაც მამული – ენა – სარწმუნოება თავისთავადი მხატვრული (სახისმეტყველებითი!) პერსონაჟია, თავისთავად(ობრივ)ი პარადიგმა, სახე-ხატი, სიმბოლო, შინა-არსი. ვერ ვიტყვით, რომ ყოველივე ამას მარტოოდენ მიზანსწრაფვით მიაღწევ, თუ მართლაც იქ(!) უფლის ხელი არ ჩაერია; საერთოდაც, ხომ უფლის გონი და სული განაგებს პოეზიას, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტ პოეზიას. მაგრამ, ამ(გვარ) ჭეშმარიტ პოეზიას უნდა(!) არა მარტო დანახვა, არამედ წარმოჩენაც(!).

მართალია, არაერთი წერილი (მეცნიერული! გამოკვლევა!) მიეძღვნა გენო კალანდიას შემოქმედებას, მის პოეტურ სამყაროსა თუ ტროპულ-სახისმეტყველებრივ ფენომენოლოგიას, გნებავთ, ფრაზეოლოგიზმებს, მაგრამ ისეთი სიმაღლით და ამდაგვარი ლიტერატურული, კრიტიკული და წმინდა თეორიული-მეცნიერული თვალთახედვით შექმნილი სრულყოფილი მონოგრაფია, დღემდე არ გვქონია; შეიძლება ითქვას, ამ მხრივ, ეს წიგნი, მართლაც მნიშვნელოვანია და არ მოგვერიდება ვთქვათ, საენციკლოპედიოც! უფრო მეტიც, – სამაგიდოდ საჭირო და აუცილებელი; და მართლაც, იშვიათია ცოდნით, პროფესიონ-

ალიზმით, სიყვარულითა და საქმის ერთგულებით დაწერილი ამგვარი(!) წიგნები; მითუმეტეს ნაშრომი, რომელიც სცილდება მეცნიერული კვლევის ჩარჩოებს და ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების სამოსელით წარმოჩინდება. ციალა მესხიას წიგნი – „გენო კალანდიას პარადიგმების სამყარო“ პოეტის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედების სრულად წარმოჩენას ემსახურება. ასეთი წიგნები მართლაც იშვიათობაა, მითუმეტეს დღეს, როდესაც დროის ჟამიანობამ არა მარტო წარხოცა და გადაფერფლა სულიერება, საერთოდ, აზროვნებას აზრი დაუკარგა, პოეზია დააკნინა, პოეტი გააუფასურა, უფრო სწორად, პოეტსა და რიგით მელექსეს შორის ზღვარი წაშალა და გააფერმკრთალა, გაამდაბიურა პოეტისა და პოეზიის დანიშნულება; და აი, ასეთ დროს – როდესაც „კარგს აკეთებენ ძალიან ცუდად“ და „ცუდს აკეთებენ ძალიან კარგად“, მეცნიერი-ლიტერატორი ციალა მესხია ქართველ მკითხველ (მითუმეტეს პოეზიის მოყვარულ!) საზოგადოებას სთავაზობს ასეთ დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ-ესეისტურ მონოგრაფიას. თავისთავად, ამგვარი მეტყველებით დაწერილი წიგნი, როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერული „სტილისტიკის“ სამზღვრებს სცილდება და ორიგინალურ მხატვრულ ქმნილებად აღიქმება, სადაც წარმოჩინდება გენო კალანდია, როგორც პოეტი-ქანდაკი, მონოლითი, მამულიშვილი, ესთეტი, სიტყვის მესაიდუმლე, ჭეშმარიტი მამრი-მშობელი და თანაფესვი ზედროული მრავალსაუკუნოვანი ეროვნული პოეზიისა; გარდა ამისა, ამ წიგნში, სრულიად ქართული პოეზიის ანალიზია წინ-წამოწეული; უფრო მართლად, ქართული და ევროპული (დასავლური!) პოეტიკის ანალიტიკური წიაღსვლებია განზავებული გენო კალანდიას შემოქმედების პარადიგმულ სივრცობრიობაში; კერძოდ, სხვადასხვა ავტორის მოხმობა და ციტირება-პერიფრაზი იმდენად ზუსტია, დროული და სათქმელთან

მისადაგებული, თავად გენო კალანდიას სახისმეტყველებად(აც) აღიქმება. მკვლევარის ცოდნა-განათლება-პროფესიონალიზმზე საუბარი, რა თქმა უნდა, ზედმეტია და უხერხულიც, მითუმეტეს წინ გვიძევს წიგნი; მაგრამ, შექმნა ნაწარმოები, როგორც ცნობიერება და წარმოაჩინო, როგორც აუცილებლობა, მართლაც ძნელია; კერძოდ, თუ არ შეიქმნებოდა სწორედ ეს წიგნი, ბევრი რამ დააკლდებოდა ქართულ ლიტერატურულ სივრცეს, პოეტურ აზროვნებით ცნობიერებასა და მწერლობას, საერთოდ; ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, მიზანი (მართლაც!) მიღწეულია. და ბოლოს, ასეთი წიგნი (წიგნები!) საჭიროა ერისთვის, რომ არ მოდუნდეს, არ ჩათვლიმოს და არ ჩაეძინოს! ეს წიგნი არა და არ არის პოეტის ქება, იგი, უბრალოდ, პოეზიის (სიყვარულის!) საგალობელია. ბულბულიც ხომ თავისთვის გალობს, და, მაინც, უპირველესად, უფლისთვის წკრიალებს; პოეტ-მგალობელსაც ხომ შემჩნევა უნდა, დანახვა და წარმოჩენა. წიგნის ავტორმა ეს მძიმე მისია იტვირთა, ფარზე აზიდა და პირნათლად წარმოაჩინა და დაგვანახა – რა არის პოეზია და ვინ არის პოეტი.

და გვჯერა: ესაა წიგნი, რომელიც პოეზიას დაუბრუნებს მკითხველს, შეაგრძნობინებს და გააცნობიერებინებს, თუ რა არის სილამაზე, მშვენიერი და ამაღლებული.

თემურ შავლაძე

24 ოქტომბერი, 2014 წელი.

ქართული სიტყვის ჯავაირჩი

გენო კალანდიას პოეზია ჩვენი სინამდვილის ახლებური გამოვლინებაა, ფენომენია. თვით მისი პიროვნებაც საკუთარი განუმეორებელი ნიშნითაა აღბეჭდილი, რომელიც თავისებურ ელფერს აძლევს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას და მისი განვითარების ერთ-ერთი ღირსეული წარმმართველია... სულ ახლახან გენო კალანდია რუსთაველის პრემიის ლაურეატი გახდა, რაც სალიტერატურო სივრცეში მისი დიდი გამარჯვებაა... მან შეისუნთქა, დაიმორჩილა პოეზიის გააზრებისა და განცდის ყველა არსებული და არარსებული ფორმა. განგებამ მისცა საშუალება მხატვრული სიტყვით გამოეხატა ეპოქის სულისკვეთება, ეთქვა დიდი სათქმელი. თავისი შემოქმედებით შეძლო ლიტერატურიდან ცხოვრებაში, წარსულში გადასულიყო და თანამედროვე ქართველობის დიდი ნაწილის განწყობილებას დაუფლებოდა.

დიახ, „უსასრულობასა და მარადიულობას ჩვენ ვიძენთ მხოლოდ ჩვენს ადგილზე და ჩვენთვის განკუთვნილ ჟამს, ჩვენს სამშობლოსა და ჩვენს ეპოქაში“, – მიგელ დე უნამუნოს ეს სტრიქონები სავსებით შეგვიძლია მივუსადაგოთ გენო კალანდიას შემოქმედებით ისტორიას.

„დღეს იშვიათია თანამედროვე პოეტი, რომლის პოეზია მხატვრულ სამკაულთა ისეთი სინატიფით იყოს აღბეჭდილი, როგორც გენო კალანდიას პოეზია. ის, ვინც მეტნაკლებად იცნობს ლექსის არქიტექტონიკას, არ შეიძლება არ განაცვიფროს მისმა დიდმა ხელოვნებამ“...[1]

გენო კალანდიას პოეზიაში თითქოს უხილავი, მაინც

1 ც. მესხია, გენო კალანდია და აფხაზეთის ტრაგედია, ჟურნალი ,,კულტურათაშორისო კომუნიკაციები”, თბ., 2012, №17

ხილული და თვალში საცემი ეპოქის სულია. პოეტური გამოცდილება უმთავრესად აქ, ამგვარ შრეებში მჟღავნდება და არა მხოლოდ მეტაფორულ აზროვნებაში, რომელიც მედიატორის როლს ასრულებს ადამიანის თავისუფლებისადმი, სიკეთისადმი ნათელ მისწრაფებასა და მის დამთრგუნველ ბოროტ ძალას შორის მუდმივ ბრძოლაში.

„მე იაშვილის ვატარებ ორდენს," – ამბობს ერთ-ერთ ლექსში და ვგრძნობთ, თუ რაოდენ ერთგულია იგი ცისფერყანწელების, კერძოდ, პაოლო, ტიციანი და გალაკტიონი მისთვის ის ძვირფასი სახელებია, რომლებთანაც ანათესავებს მამულიშვილური განცდა, პატრიოტიზმის მძაფრი გრძნობა. გენო კალანდიამ პაოლოს, ტიციანის, გალაკტიონის ლექსების ფორმაში დაინახა განახლების ჭეშმარიტი გზა და უყოყმანოდ მიჰყვება მას.

გენო კალანდიას პოეზია – მშვენიერების მსახურებაა. ის მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ვირტუოზია, სრულყოფილად დაუფლებული ქართული ლექსის ყველა სახეს: „გენო კალანდიას პოეზიას მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია. პოეტის გამორჩეულობა განსაზღვრა პირველ რიგში მისმა პოეტურმა ნიჭიერებამ. დახვეწილ მხატვრულ სახეებში გადმოცემულმა მეტაფორულმა მეტყველებამ და ღრმა ლირიზმმა. ეს ყველაფერი ქმნის და გამოკვეთავს გენო კალანდიას პოეტურ ხელწერას, რომელიც თვალსაჩინოს ხდის მის პოეზიას". (ბ. არველაძე).

გენო კალანდიას უკიდურესად აქვს გამძაფრებული პოეტური სიტყვის მნიშვნელობა. მასთან მუდამ საგნობრივი სიცხადითა და ფერადოვნებით ვლინდება ერთი უმთავრესი ნიშანთვისება, მინიშნების ხელოვნება. „სიტყვის მწყემსი ვარ, სიტყვის მნათე, სიტყვის მსახური" („სიტყვები") – ამბობს პო-

ეტი, და მართლაც, მხოლოდ სიტყვას ზეციდან მომდინარეს ხელეწიფება შემოქმედის აზრისა და ინტუიციის ზუსტი ხელშესახები კონკრეტული ფორმით გამოხატვა, რამეთუ „პოეზია ენერგიის ქმედებაა, გადალახვა საზღვრების, პოეზია მაშინაა, როდესდაც ათვისება იღებს მისნურ ხასიათს“ (სანდრო ცირეკიძე). იგი შარლ ბოდლერს, პოლ ვერლენს, სტეფან მალარმეს, არტურ რემბოს და სხვა ფრანგ პოეტებს თავისი დენდიზმით აშკარად უსწორებს მხარს და სულიერი მემკვიდრეა ხელოვანთა იმ პლეადის, ვინც დასაბამი მისცა დეკადენტურ პოეზიას, სიმბოლოების ენით აზროვნებას.

გენო კალანდიას აღაფრთოვანებს ცისფერყანწელთა ძმობის სიმტკიცე, სიცოცხლის სიყვარული, უანგარო ერთგულება და ერთმანეთის ფარზე აზიდვაც. მათ ხომ ბოლომდე უერთგულეს ერთმანეთს – ისინი დღენიადაგ იღვწოდნენ სიტყვის აღორძინებისათვის, საქართველოს სულიერი კულტურის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნებისათვის, რაც, მათი ღრმა რწმენით, იქნებოდა ერის ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საფუძველი.

დიახ, ეს ის დროა, როცა გალაკტიონი იტყვის: „ხანმა უნდობარმა გზა რომ შეეღება უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“ ... ეს რეპრესიების დრო იყო. დრო, როცა ქათქათა თოვლზე სისხლის წვეთივით ელავდა ტიციანის წითელი მიხაკი, როცა „დასხლეტილ ჩახმახს პაოლოს ნატიფი ხელის სიცივე შერჩა; როცა დია-ჩიანელს არ აპატიეს ყველაზე დიდი ღირსება – სამშობლოს სიყვარული“ ... რა მართებულად ბრძანებს მაცაცო ლოსაბერიძე: „პარადოქსი ის იყო, ამ უბედურების შემოქმედისადმი ერთგულებით რომ გამოხატავდნენ საქართველოს სიყვარულს. ამიტომაც იმ ავბედით წელს

საქართველო დახვრიტეს საქართველოსათვის".[1]

... და დღეს, როცა, მართლაცდა საყოველთაოდ ასე აზავთდა ნიჰილისტური სიშმაგის ანტიქართული მორევი, გენო კალანდია პოეტური სიტყვით იბრძვის ქართული სულიერების, ჩვენი უმთავრესი გარანტის დასაცავად. მშობლიურ აფხაზეთს დანატრებული პოეტი პაოლო იაშვილის ჟესტს გაიმეორებს და მთელი გულით გზნებს: „მე ვარ პაოლო იაშვილი, უკანასკნელი ტყვიის წერტილი".. „ჩემო კარგო, ვერსად ვერ ნახავ შენ სხვა მხარეს ასე რომ ენათესავებოდეს მოღლილ სულს, როგორც ჩვენ სამშობლოს".. ეს ის სანთელია, რომელიც ხის საჯვარეში დატოვეს ცისფერყანწელებმა. ამ სანთლის შუქზე სულ სხვანაირად ციმციმებს გენო კალანდიას პოეზია...

„გენო კალანდია ძალზე ოსტატურად ფლობს ქართული თუ უცხოური ლექსის სხვადასხვა ფორმას. მას არ სჭირდება ვერსიფიკაციული ვარჯიშობანი და ფორმალისტური ძიებანი. რატომ? უბრალოდ ჭეშმარიტი პოეტია და იმიტომ. მისი პოეზიისათვის ნიშანდობლივია მრავალსახეობა პოეტური ნიჭისა და მკითხველისადმი სიყვარულის გამოსხივება. ორინთოლოგიიდან ცნობილია ჩიტი კოლიბრი, რომელსაც ყველა მიმართულებით ძალუძს იფრინოს..." (რენე კალანდია).

გენო კალანდია პოეზიით, ლექსით ცხოვრობს, მისი სათუთი გრძნობა და ბობოქარი პოეტური სული მხოლოდ პოეზიაში პოვებს შვებას: „შემომიჩნდება სიტყვის მახრა, სიტყვის თილისმა, მოსვენებას დამაკარგვინებს, ძილში ჩამყვება, შუაღამისას წამომაგდებს, შემომახურებს. და მაშინ მინდა სიტყვები შემოვიწყო ირგვლივ ნაღმივით და ავიფეთქო თავი ლექსებად („სიტყვები"), – ეს სტრიქონები პირადად ჩემთვის

1 მ.სულაბერიძე და დაფარფატებს ადამიანი – პეპელა აუთვლელ დროში", „ჩვენი მწერლობა", 1 ივნისი, 2012, გვ. 56.

დიდი პოეზიაა თავისი ულამაზესი იდუმალებით, რომელიც მართლაც მთელ სხეულში ჟრუანტელად დაგივლის და რაღაც უჩვეულოსა და უცნაურის მოლოდინით აგითრთოლებს გულს. მან თითქოს იგუმანა თავის თანამედროვე თანამოკალმეებთან ერთად, რომ ქართული ლექსი სულ სხვანაირად უნდა წარმოჩენილიყო, თვისებრივად ახალი გზით უნდა წარმართულიყო. ღრმად შეისისხლხორცა ის, რომ „პოეზიაში მთავარია არა ის, რაც ახალია, არამედ ის, რაც, ამავე დროს მარადიულია, ანუ სამუდამოდ რჩება“ (გურამ ასათიანი). და მართლაც, გენო კალანდია ის პოეტია, რომელმაც ახალი ამინდი შექმნა ჩვენს ლიტერატურაში. მისი მნიშვნელობა ერთდროულად ლიტერატურულიცაა, ზნეობრივიც და რელიგიურიც, რომელიც ერთდროულად ამბობს თავის სიტყვას და თავისი დროის სიტყვასაც. მან ძალიან კარგად უწყის, რომ დღევანდელ დროს თავისი დიდი სილამაზე აქვს და ამიტომ ვერ შეძლო პოეტის მუზამ ამ დიდი ცვლილებების წინაშე დუმილი. ნათლად ხედავს რომ ნათელი და ლამაზი მომავლისათვის საჭიროა დიდი და შეუპოვარი გმირული სული, საჭიროა ბრძოლა, მამულისადმი თავგანწირული ერთგულება. „მე ვერ ვიცხოვრე ელიოტივით, ვერც გულზვიადი ეზრა პაუნდით, ჩემს მაგიდაზე კოლხ-იბერთა გიშერი ყრია. ნაკურთხი გახლავთ ჭყონდიდელის ნათელ-მირონით. ეგ ჩემი სიტყვა – მუხის შიმელი, მე ვაჟას თვალში ჩარჩენილი ცრემლის კურცხალი, მთელ ოკეანეს მირჩევნია უზენაესო“ („პირამიდა“). – ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და მთელი სისავსით ვგრძნობთ პოეზიის იდუმალებას და მთავარი მაინც ის ემოცია, ის სევდაა, რომელიც სულსა და გულში შემოიჭრება და რაღაც სასწაულის მოლოდინით განგაწყობს, თუნდაც ასეთი – „ჩემს მაგიდაზე კოლხ-იბერთა გიშერი ყრია“

და თავადაა ამ ძვირფასი განძის პატრონი, რომ მისი სიტყვა „ჭყონდიდელის ნათელ-მირონით“ ყველგან და ყოველივეშია განფენილი და თავად მარადისობის კარიბჭესთან დგას – ეს უკვე სიცოცხლის არსის შეგრძნებაცაა და პიროვნული მოვალეობაც ერისა და ქვეყნის წინაშე...

აკაკი გაწერელია გალაკტიონზე წერდა: „იჭირვეულა, იუცხოვა, იხმაურა, უყვარდა, ფათურობდა, მთვრალობდა, ფხიზლობდა, ყელამდე აივსო მოწყენით, ყელამდე აივსო სიხარულით, ფართოდ გაუღო სული შთაბეჭდილებებს. იცოდა დუმილი, სცოდავდა, არ სცოდავდა. უცნაური იყო, სიმღერად იცლებოდა“.

ამ სიტყვებს თამამად გავიმეორებთ გენო კალანდიაზე, რომელიც ტკივილიანი გულით, ყოვლისმომცველი ემოციებით, გულში ჩაბრუნებული „კაცი-ხარის“ გულმდუღარე ცრემლებით, გალაკტიონივით ქარიშხალთან შეწყვილებული და ხელისგულზე დაწყობილი „ზამთრის მინანქარებით“ იტყვის: „მე ჩრდილის ჩრდილი. ფერფლი. არარა. ღრუბელი. თოვლი, ქარი, ხარება. ფრთები. შორეთი. შუქი კამარა. ბაღი. გრანიტი და უკვდავება“.

გენო კალანდიას მიმართება პოეზიასთან მკაფიოდ გამოვლინდა მის ლირიკულ ლექსში „სიტყვა“: „ღმერთო შემინდე სუყველა სიტყვა, ჩემგან მოკლული საბრალო ფრაზა. ვწერდი – ვკოცნიდი წმინდანის კაბას, ვშლიდი – ვარბევდი გუგულის ყანას, ვქმნიდი – თავთუხით ვივსებდი უბეს... ირმის რძესავით ქაფქაფა სიტყვებს მთელი ზაფხული მასმევდნენ მთაში, ვით გოლიათი ლერწმის აკვანში, ვერ ვეტეოდი სიტყვაში უკვე, ღმერთო შემინდე სუყველა სიტყვა, ჩემგან მოკლული საბრალო ფრაზა. როცა განკითხვის დადგება ჟამი, როცა უფალი ჩამიკრავს თვალებს, არ დაგავიწყდეს ის ერთი სიტყვა

– მშვიდობით“ („სიტყვა“).

მის პოეზიაში არსებითია „სიტყვის ღვთაებრივი ხიბლი“ (გ. ბენაშვილი), ჯადოსნური მეტაფორები, პაოლოსებური ესთეტიზმი, წერის მაღალი კულტურა, დახვეწილი, რკინისებური პოეზია, უშუალო ლირიკული ხედვა, წარსულისა და დღევანდელობის ზომიერად მოხმობილი პარალელები, მშობლიური ლანდშაფტების ხატვის იშვიათი უნარი... და მაინც, „ასე მგონია: კომუნისტურ კონიუნკტურასთან ერთად მოკვდა ლექსის ბუნდოვანი ქვეტექსტი და ასევე უჰაერო ჰერმეტიზმით გარდაიცვალა!... ეს იგრძნობა გენო კალანდიას ნათელ, გულგაშლილ და ხელგაშლილ პოეზიაში... ლექსები ხომ აღსარების ნამსხვრევებია, ხოლო აღსარების მთავარი ნიშანია გულწრფელობა, სანდოობა და მკითხველსაც ამგვარი გულწრფელობის მზიდავი წყობილსიტყვაობა მიიმხრობს საბოლოოდ და საიმედოდ“ (ჯარჯი ფხოველი).[1]

გენო კალანდიას პოეზიის გარეშე უფერული იქნებოდა ჩვენი ერის სულიერ-ინტელექტუალური აზროვნება. მისთვის ადამიანობის საზომი სამშობლოს სამსახურია. პოეტმა არაერთხელ განმარტა ერის, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის საკაცობრიო მნიშვნელობა, არაერთხელ დაიცვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის იდეა თავის ლექსებში. ხოლო 1997 წლის 2 მარტს თავის კოლეგა დეპუტატებთან ერთად შევიდა ძველი პარლამენტის შენობაში და უვადო შიმშილობა გამოაცხადა, რითაც ზნეობრივი გმირის ჭეშმარიტი სახე განასახიერა – „ვარ ციხე გოჯით, მარტვილით, რუხით, ფაზისის ვარდით, გუბაზის სისხლით... ო, როგორ შვენის ტყეს ჩვენი მუხის სამკაულები

1 ჯ. ფხოველი, გენო კალანდიას ნიგჩში „ავტოგრაფები ქვაზე“ ქუთაისი, 2005. გვ. 13.

მთვარის და ნისლის. ჟყოფნა-არყოფნის გადავშლი წიგნებს, შემომანათებს ვით ძველი განძი, ვარ ჭყონდიდელით – მამულის სიბრძნით, მკერდზე მედეას ცრემლები მაწვიმს. ვარ იოანით, არესის ჭალით, ქართული სიტყვის ვარდის მკრეფელით, ვარ ცოტნეს გულით და კიდევ ათი მეფის ძენით და მეფისმეფენით“ („ვარ ჭყონდიდელით, მამულის სიბრძნით“).

გენო კალანდიას პიროვნულად და პოეტურ შემოქმედებაშიც უაღრესად გამძაფრებული აქვს ეროვნული ღირსების გრძნობა. პოეტს მამულისადმი ერთგულება და სიყვარული, „ახალი ქვეყნიდან“ დანახული მწარე სინამდვილე სევდის „ბჯღალით“ გაკაწრავს, მუდამ სიტყვებში გარბის და აშენებს ახალ პირამიდას, „ახალ სიცოცხლეს“ ალაგებს, რითაც აღბეჭდავს თავისი არსებობის გამართლებას.

„რა არის პოეზია?! – ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, – წერს დიდი ილია, – მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიც. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი... ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით, ხილულთ და არა ხილულთა, ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს ავიწყდება საწუთროება, მის მიერ გატაცებული გულის-თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ“ ... პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი“.[1]

სწორედ ამ „უცნაური მადლითაა“ მოსილი გენო კალანდია. მისი სულისშემძვრელი პოეზია მრავალფეროვნებით, იდუმალებით, ენიგმებით და პოეტური მინიშნებებით გამოირჩევა. მიტომაც, მისი პოეზიის თავისებურება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჩვენს სალიტერატურო სივრცეში.

---

1 ი.ჭავჭავაძე, პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ, „ივერია“, 1886 წელი, 139.

ვახტანგ ხარჩილავა წერს: „თუ რაიმე სიტყვა შეეფერება გენო კალანდიას, როგორც პოეტსა და როგორც ადამიანს, ეს არის სიტყვა შუაკაცი. თითქოს ბედმა არგუნა მას ეს უმძიმესი როლი შუაკაცის მისია. შუაკაცია ის პოეზიაშიც – ძველი, ტრადიციული ფორმების პარალელურად ვერლიბრი, თეთრი ლექსი: ფოლკლორული ნიმუშების მსგავსი სისადავისა და უბრალოების გვერდით რთული ლიტერატურული წიაღსვლები და რემინესცენციები; ჩონგურივით სადა ჟღერადობის მუსიკას ჩანაცვლებული მრავალინსტრუმენტიანი ორკესტრის პოლიფონია“ ...

თამარ გოგოლაძე ხაზს უსვამს გენო კალანდიას პოეზიის ძლევამოსილ სიდიადეს: მის გამორჩეულ ტალანტს, პოეზიის სილამაზეს... „და მოდის სიტყვა გაზაფხულის მჩქეფარე ღვარად, სილამაზისა და სინაზის, ვაჟურ ამბორთან შეზავებულ სინაზის ტალღად... რატომ ნაზი? და რატომღა აწ სევდიანი, ეს სოხუმის მაგნოლიების თეთრი სევდაა, ზღვაზე თოვის მონატრების, ევკალიპტების ვერცხლის წვიმების მონატრებით მოძალებული სევდა. სისხლის ტანჯვის ოკრობოკროში გამოძალებული, ტყვიის ბოლადენილი, მაგრამ სილამაზესთან წილნაყარი სიტყვა.

გენო კალანდიას ლექსი არაა „საუკუნის ნოსტალგია“, ეს „სილამაზის ნოსტალგიაა“ მისი აშკარად ხსენების გარეშე (მხოლოდ ერთგან გაიელვებს „ლამაზი შუბლის ნაოჭებში გიყოფდი თითებს“) და ხატოვან-სახოვანი, წარსულის სუნთქვით გაჯერებული, ღვთიური ცეცხლით მოგიზგიზე და შავი ზღვასავით უძირო, უნაპირო“.[1]

პოეტი მუდამ მაღალი ზნეობისა და წარუვალი ღირებ-

---

1 თ. გოგოლაძე, ოდიშის ტყეში ზაფხულის ფუნჯით, გენო კალანდიას ახალი ლექსები, „ლიტერატურული საქართველო“, თბ. 2012, 12 ივნისი.

ულებების ერთგულია. მას მუდამ გამახვილებული აქვს ყურადღება ამოიცნოს სხვათათვის დაფარული საიდუმლო, რაც მისთვის სულიერი განწმენდის, უზენაეს ცეცხლთან ზიარების ტოლფასია. „ვჭვრეტდი, სიამით მიმღვრევდა სხეულს, ვსვამდი, წყალივით მიკლავდა წყურვილს, დუმდა – დილამდე ვიმტვრევდი თითებს, მწყინდა – სასწრაფოდ ვხურავდი კარებს, სიკვდილმისჯილი კაცივით უცებ შუაღამისას ვიწყებდი ტირილს“. პოეტი უცნაური ენერგიითაა დამუხტული, სმენაგაფაქიზებული, რომელიც მთელი არსებით გრძნობს პოეზიის, ლექსის ძალას – საოცარი ასოციაციებით დაწნული ლექსი ვარსკვლავივით შუქმფინარობს.

„ა, ანგელოზო, სიტყვა ფრთიანი, – ტყით გაჩენილი წყარო სიამის, ა, თეთრი ვარდის თეთრი საყელო, ღვთისმშობლის წმინდა ცრემლის მნახველო. ა, ჩემი ქნარი, შუქი უშქარი, უფლის ნაკურთხი და ნაჩუქარი!“ – ამბობს პოეტი და აშკარად ვგრძნობთ, თუ როგორ გადმოდის ჩვენზე პოეტის განცდა. პოეტური ჩანგისადმი მიმართული მისი მონოლოგი შინაგანი სიმძაფრით და ემოციურობით უცნაურად უახლოვდება მორწმუნის ექსტაზმორეულ ლოცვა-ვედრებას, რამეთუ აქაა ერთმანეთთან ასოციაციურად დაკავშირებულ იდეათა უსასრულობა, რომელიც სიტყვის მთელ თეორიას მოიცავს... მისი ყოველი სტრიქონიდან მირონივით იღვრება მშვენიერება. მშვენიერება კი ისე როგორც სიტყვა, მუსიკა ან მხატვრობა, მშვენიერების ქურუმი და გამომსახველია და საკუთარის არსის გარდა არაფერს ემსახურება, თუკი ის განმწმენდელი ძალით მოქმედებს ადამიანზე.

გენო კალანდიას პოეტური ქვეყანა მის უსასრულო მრავალფეროვნებაში იმ მარადიული სილამაზის ჰიპოსტასია, რომლის პირველსახე სამყაროს ყველა ფორმასა და მოვლენა-

ში გამოკრთის. დიდი ხელოვნება ვერ ეგუება უსხეულო, განყენებულ იდეას და ყველაზე უფრო აბსტრაქტულ ჩანაფიქრსაც კი ცოცხალ ხატში განასახიერებს.

„ველარ ვეშვები გენო კალანდიას წიგნის კითხვას, რომლის ყოველი სტროფი, სახე, მეტაფორა, ტროპი გულის ასაფეთქებელი ნაღმია. ღვარად მდის ცრემლები. მახსენდება ჩვენში ჩაძირული, ჩვენგან მივიწყებული ბებერი სიტყვა – კათარზისი. წმინდა ხარისხის თვალსაზრისით რა მაღალი რანგისა უნდა იყოს პოეზია, რომ დღეს უძველესი სამარხებიდან დღის სინათლეზე ამოიყვანოს მოხუცი კათარზისი... გენო კალანდიას წიგნმა ისეთივე დაღი დამასვა, როგორ დაღსაც ასვამს ომი ადამიანს, იგი იმდენად ღრმა და მართალი მწუხარებიდან გამოღწეული წიგნია, რომ მის შემოტევას გაძლება უნდა. არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდივით“ ირწევა მისი სტრუქტურა, მისი აღნაგობა, ყველა მისი სახსარი გულისფეთქვად ქცეულა ჩემს შეგრძნებებში, ტახიკარდიის რიტმსა და მწუხარე ალიონებში, როცა გულით დაფლეთილი სიყვარული თუ სიყვარულით დაფლეთილი გული (ეს უკვე სულერთია) დამშეულ გაზაფხულზე ერთბაშად შემოგისევს ზარების რეკვას, ოღონდ არა სიონისას, სიონის ზარი ჩემი სახლიდან შორსაა, უბრალოდ კარს მომდგარ დევნილ უპოვართა ზარების რეკვას“...[1]

გენო კალანდიას პოეზია ერთი მთლიანი ქართული პოეზიის ნაწილი, ქართული კულტურის აუცილებლობაა. მის პოეზიაში ნისლი სიზმარივით ირწევა აფხაზეთის, კოლხეთის, კერძოდ, ზუგდიდისა და შამგონას, ოდიშის ველებზე, ხოლო თბილისისა და სხვა კუთხის პეიზაჟები, იდუმალებით მოც-

1 მ. ჯოხაძე, ო, ეს ბებერი კათარზისი, გენო კალანდიას წიგნში „რექვიემი“, „ქართული მწერლობა“, თბ., 2008. გვ. 9-10.

ული სამყაროს პოეტური სიტყვით წარმოსახვა მაგნიტივით გვიზიდავს, ჩვენ, მის მკითხველებსა და თაყვანისმცემლებს.

მის თითოეულ ლექსსა თუ კომპოზიციაში გულის სხივთა ნაგალობარი ჩანს, მის პოეზიაში დიდებულად ანთია სივრცე და დაიისფერებული გამა მისი პოეტურ-ფერწერული სურათების აუცილებელი პირობაა.

გენო კალანდიას (პოეზია), თითოეული ლექსი იდუმალ, რაღაც გაუცნობიერებელ ხმებს იმარხავს. ის მინიშნებათა დიდოსტატია, ხოლო ის საიდუმლო, რაც შემოქმედი ადამიანის სულის ნაწილია, მის შემოქმედებაში აირეკლება და საიდუმლოდ მხოლოდ ამ გზით გაცხადდება.

ჯარჯი ფხოველი წერს: „მადრიდის ქუჩაში მიმავალ თვალებდაშრეტილ ბორხესს ვინმე ყმაწვილმა მიაძახა თურმე: სენიორ ბორხეს, თქვენ არარა ხართ! ბორხესი თურმე შესდგა, სინათლედაწრეტილი თვალები სავარაუდო ადგილს მიაშტერა და შესძახა: თქვენ მართალი ხართ!... ასე რატომ დაეთანხმეო, ჰკითხა მდივანმა გოგონამ, თან რომ ახლდა.. იმიტომო, უპასუხა დიდმა ბორხესმა, რომ მთელი ცხოვრება იმას ვამტკიცებ, რომ არარა ვარ და მეტიც, არარაზე უფრო მეტად არარა!.. ქვეტექსტი ნათელია: უკვდავია მხოლოდ არარა, უდაბნო, კოსმოსი, უნაპირო სამყარო... და მწერლური უკვდავებით შეჭურვილი სახელიც ამ რიგს განეკუთვნება: აქა სდგას... ეს არის ადამიანური არარა, გაადამიანებული არარა. იწვევს ემოციის ხელშესახებ, ნათელ გაელვარებას: „მე – ჩრდილის ჩრდილი. ფერფლი არარა. ღრუბელი. თოვლი. ქარი ხარება. ფრთები. შორეთი. შუქი. კამარა. ბაღი. გრანიტი და უკვდავება“ – ასეთია არარას გრადაცია. ცდება ის, ვინც არარას არაფერთან აიგივებს. არარაა მეტაფიზიკის სრულყოფილი ნაპირი, შორეული, თვალუწიერი ბნელეთი: მისი იერი

მხოლოდ პოეტურ სიტყვაში ცხადდება; ასე მოიხილება დაფარული რამ სიდიადე: ასე იხატება მისი ტანი, მისი თვალპირი, მისი ციალი...“[1]

და თუ ჭეშმარიტი პოეზია ძირითადად მრავალასოციაციურია, გაუგებარი და ბუნდოვანი კი არა მრავალასოციაციური, ე.ი. ერთდროულად რამდენიმე აზრის გამომხატველი, გენო კალანდიას იდუმალებით შემოსილ, შეუღწევად ლექსებში, რომელთაც მაღალი ესთეტიკური ღირსებები გააჩნიათ, ხშირად საქმე გვაქვს აშკარად მრავალასოციაციურ პოეტურ ხელოვნებასთან. აი, თუნდაც: „შეხედეთ... დატკბით: თვალებში მაქვს კოლხური ხვითო! და აი: ზვირთებს ვაჯახებ ზვირთებს და ზღვის ქაფიდან აფროდიტეს დარად ამომყავს ათასი ქალი – სხეულლერწამი. შეხედეთ, დატკბით; ქვეყნის მსახურნო, აი, მე – თქვენი თანამედროვე, გეპატიჟებით წუთისოფლის დღესასწაულზე“.

ეს „ავტოპორტრეტი“, მართლაც რომ მშვენიერია: „შეხედეთ: დატკბით: თვალებში მაქვს კოლხური ხვითო!“ აზრიც, გრძნობაც და ემოციაც ისე სათუთადაა შერწყმული და მკითხველამდე მოტანილი, რომ არ შეიძლება გულგრილი დარჩე. მართლაც, ასეთ დროს შენდა უნებურად მოწმე ხდები „წუთისოფლის დღესასწაულისა“ და პოეტური გრძნობიერების ყველა კომპონენტი მისი გონისმიერი და სულისმიერი ჩანაფიქრის ფერადი გამოსხივებაა. აქაა სწორედ სულისშემძვრელი მდინარება პოეტური აზრისა და გრძნობის, სხივებად რომ იშლება პოეტის რაფინირებულ სტრიქონებში... და სევდანარევი მისტიკური განწყობილების არეალში აღმოჩნდები და რაღაც უჩვეულო ზეციურ ამაღლებას გრძნობ.

---

1 ჯ. ფხოველი. გენო კალანდიას წიგნში „ავტოგრაფები ქვაზე“. ქუთაისი, 2005. გვ.13

ქრისტიანული სათნოება და მრწამსი, მისი, როგორც შემოქმედის არსებობის ერთადერთი არსი და მიზანია... „განიხვნა კარი... გადმოიფრქვა უეცრად მნათი, ვიხილე ცხადად ყოვლადწმინდის მზისფერი კვართი და უფლის ფერხთით საკუთარი სიკვდილის კვირა“ ...

გენო კალანდიამ შეძლო ადამიანის სულის უღრმეს ხვეულებში ჩახედვა. „გადარჩენილი ვარსკვლავების ქუდით“ სხვა სივრცეში, სხვა სამყაროში მიმავალი პოეტი „მესამე თვალის“ სხივნათელით განჭვრეტს მთელი კოსმიური სამყაროს ორომტრიალს, ის კოსმიური ტკივილის მონაწილეა, რომელიც ქალდეველი მოგვების მსგავსად ერისა და ქვეყნისათვის რაღაც საოცარი თავგანწირვისა და ერთგულებისათვის რომ განგვაწყობს და, ჰოი, საოცრებავ, მის ბაგეზე სანთლის ალივით ციმციმებს შთამბეჭდავი სიტყვები: „ელოცულობთ მზეზე, სიყვარულზე და გაზაფხულზე, ვგავართ სენაკის ბერ-მონაზვნებს, ქრისტეს მსახურებს ნაგვემი შუბლით და ჩაცვივნულ თვალთა ოვალით. გადარჩენილი ვარსკვლავების ქუდი გვახურავს, სხვა სინათლეში, სხვა სივრცეში მივალთ მეფურად, სახელი გვრჩება ბუმბულივით ჰაეროვანი“ ...

მაია ჯალიაშვილი ერთ-ერთ წერილში წერს: „პოეზია, ხელოვნება წუთისოფლის გულია, საიდანაც დროდადრო ამოიფრქვევა ცეცხლი, არა დამწველი, არამედ გამწმენდი. ჭეშმარიტ ხელოვნებას ხომ შეუძლია კათარზისის გამოწვევა. სწორედ ამიტომაც გაიაზრებოდა პოეზია ყოველთვის რელიგიის უახლოეს ნათესავად, ხოლო ბიბლიის შემქმნელნი – პოეტებად“.[1]

გენო კალანდიას უკიდურესად აქვს გამძაფრებული ღვთი-

---

1 მ. ჯალიაშვილი, იქნებ სამყარო მხოლოდ ჩვენი სიზმარია, ,,ჩვენი მწერლობა", 4 მარტი, 2011. გვ. 45.

სადმი რწმენა და ქრისტიანული ფასეულობებისადმი ერთგულება, რაც განუმეორებელ ელფერს ანიჭებს მის პიროვნულ სამყაროს, მრავალთაგან გამორჩეულ მის პოეზიას; პოეტის ცხოვრების აზრი, ზნეობრივი ძალა და სულის აღფრთოვანება განსაკუთრებული სიღრმით და რელიეფურებით გამოვლინდა ციკლში „საგალობლები უფლისათვის“.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გენო კალანდიას ამ ციკლის ლექსებმა უჩვეულოდ ამაღლებული და გასხივოსნებულ აზრითა და გრძნობით, სრულიად ახალი სამყარო გადაგვიშალა. ქართულ პოეზიაში, ალბათ, ცოტა ვინმეს თუ აქვს გათავისებული იდუმალებით მოცული კოსმიური სამყარო, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთკავშირი, როგორც გენო კალანდიას და ამას ნათლად მოწმობს მისი შემდეგი სტრიქონები: „უფალო, ძველი იგავის დარად დავკარგე ძველი ხიბლი და ხვითო... და მაინც გულში ვიხუტებ ფრთხილად ყველა წმინდანის ჯვარსა და ქიტონს. ლოცვით, ოცნებით ვათენებ ღამეს, საკურთხეველთან მორჩილად ვდგები, თითქოს სამოთხის იღება კარი და მე გალობით ჩიტივით ვთვრები“. ან კიდევ: „უფალო, მთვარე მოადგა საყდარს, შემოანათა მთავარი კარით, ასეთი შვება, ასეთი განცდა ჯერ არ მქონია არცერთი წამით. გარეთ ვარდივით შრიალებს დაფნა, თითქო მაცხოვრის ღულუნებს მტრედი, ავდგები, გავშლი ოდიშის ოთხთავს და აღსარებას თავიდან გეტყვი“.

მრავალი შეგვიძლია ამოვიწეროთ უმაღლესი პოეტური მშვენიერებით გამორჩეული სტროფები, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი ცხადად მიგვანიშნებს პოეტის ელეგანტურ სულზე, მის დიდბუნებოვნებასა და მაღალზნეობრიობაზე. უფლისადმი რწმენა, ქრისტიანული ფასეულობებისადმი ერთგულება და კოსმიური სამყაროსადმი უშუალო ინტერესის გამჟღავნება

ამაღლებული სულის თვისებაა. თუ ეს აღმაფრენითა და არტისტიზმით ერწყმის ბუნების ჭვრეტას, მაშინ იგი მაღალზნეობრიობის ჭეშმარიტი დადასტურებაა და იგი სწორედ პოეტი – დემიურგია, რომელსაც როგორც „შუაკაცს“ ღმერთსა და ადამიანს შორის, ცასა და მიწას შორის თავისმართლება არ უხდება. რა მაგიურად ანათებენ ეს სტრიქონები: „უფალო, თეთრი გიორგის სამწყოს, მიეცი შენი ღვთიური ძალა, უკვდავყავ მისი ბროლი და წყარო, მისი ტან-წელი და ღრუბლის ფარა. მხოლოდ შენ ძალგიძს აღანთო იგი მარადიული ცხოვრების ჟინით, შენი ბანიდან დახედე კარგად, მიეცი რწმენა და თვალისჩინი“ ...

გენო კალანდიას ხილვებს უნიკალურ მხატვრულ სახეებში აქვთ ფესვი გადგმული, საიდანაც ასეთივე უნიკალური სილამაზე და მშვენიერება ვულკანივით ამოიფრქვევა. ეს მის პოეზიაშია საოცარი სისტემა პოეტური ხატებისა და მეგაფორებისა, სადაც ყველაფერი ხმიანობს, ბობოქრობს და ფერიც და სურნელიც მარადია. პოეტი მსოფლიო პოეტური კულტურის ტრადიციებზე დაყრდნობით თვისებრივად აახლებს ქართულ ლექსს. მისი პოეტური შთაგონება სრულ თანაფარდობაშია ბობოქარ, დაუდგრომელ ცხოვრებასთან. წერს ყველგან და ყოველთვის, როგორც კი ჩიქოვანის მიმინოდ წარმოსახული შთაგონება ეწვევა, ხან ოქროს საწმისის მაძიებელია, ხან „ობლად დარჩენილი ტობავარჩხილის,“ ხან კი უფლის საყდარში ფეხშიშველი დგას და „არმაზის ხევით სერაფიტის სუნთქვას“ მიაყურადებს, და „თვალებში უდგას მთელი პონტო, პალიასტომი“ ... მის მხატვრულ სამყაროში ბევრი ლექსი თუ ცალკეული სტროფი გვაგონებს მზის სხივებით ნაქსოვ საქანელას, მთვარის ვერცხლისფერი მტვრით დაფიფქულ ფერწერულ ტილოს...

გენო კალანდიამ შეისისხლხორცა, შეისრუტა ყველაფერი საუკეთესო, რაც მსოფლიო და ქართულ პოეზიას ამშვენებს, სუნთქავს და არსებობს. და დღეს „ტიტანთა ტვირთით" დატვირთული და მარადიული „ცისა დასთა დასით" (რუსთაველი) გარშემორტყმული პოეტი გულით გზნებს: „მე იაშვილის ვატარებ ორდენს და ხშირად ვფიქრობ საკუთარ ბედზე, მე ნათესავად ვეკუთვნი ბოდლერს. იმ განუყრელი გრანდების შემდეგ... მე ერთგულების ვატარებ ბეჭედს და ვარდის შუქზე გიკოცნი მუხლებს. მე ქაშუეთში მარცხენა ბეჭზე ცისკრის ვარსკვლავი ამომჭრეს წუხელ, მე ღვთისმშობელი სიზმარში ვნახე და ლექსს ვწერ ორი არაგვის ჩქერზე, მე ველოდები პოეტის სახელს, გულზე მაისის ქარები მჩხვლეტენ. მე ვესალმები თბილისის ჭადრებს და გაშლილ მკერდზე ვიხუტებ ქალაქს, მე ჩემი სისხლით დაგიწერ ანდერძს იმ განუყრელი გრანდების დარად" („მე იაშვილის ვატარებ ორდენს").

მოტანილი სტრიქონებიდან ბიბლიური სურნელი იფრქვევა, და არის აქ ის, რაც ფორმისა და შინაარსის ერთიანობაა, ჰარმონია. „მე ქაშუეთის მარცხენა ბეჭზე ცისკრის ვარსკვლავი ამომჭრეს წუხელ," – ეს სტრიქონები ღვთის ქადაგებასავით დამაჯერებელია და სასწაულებრივ სიამოვნებას განვიცდით ფერწერული ხატ-სურათის დამათრობელი სურნელით, რაღაც უჩვეულო, ღვთიური სიყვარულის ნათელითაა ყველაფერი გაცისკროვნებული...

დააკვირდით ციტირებულ სტროფს და უმალ მიხვდებით, რომ გონებითი, ანალიტიკური ფილოსოფიური ელემენტი თითქმის მთლიანად გახსნილია ფანტასტიკურ ელემენტებში. ქართული სიტყვისადმი, მშობლიური ქვეყნისადმი და საერთოდ ადამიანისადმი სიყვარულის უკეთ წარმოჩენა შეუძლებელიცაა. პოეტმა შეძლო ამოეთქვა ის, რასაც ფიზიკურად

გრძნობს: „მე არსაკიძის მოჭრილი მკლავი მცხეთაში მიდევს ვით მცხეთის ჯვარი“, ... „მე ერთგულების ვატარებ ბეჭედს“, ... „მე ვესალმები თბილისის ჭადრებს და გაშლილ მკერდზე ვიხუტებ ქალაქს“, „მე ჩემი სისხლით დაგიწერ ანდერძს“

ვისაც პოეზია უყვარს არ შეიძლება აღტაცებული არ დარჩეს, რამეთუ ლექსის ლირიკული გმირი თავად პოეტია თავისი გულწრფელობითა და გულგაშლილობით. „სისხლით დაწერილი ანდერძი“ კი ვეებერთელა გონითი სასწაულია, გაცილებით უფრო მოულოდნელი და ეფექტური. ხატის წინ წარმოთქმულ ლოცვასავით გულწრფელია ფანტაზიის სიღრმიდან ამოზიდული სიმბოლო. საოცრად მნიშვნელოვანია პოეტის თითოეული სიტყვა, ბრილიანტებად რომ იფანტება თეთრ ხავერდზე...

უბედურებისა და ბედნიერების მაღალი ჯუფთობა იგრძნობა გენო კალანდიას ნაფიქრ-ნააზრევში. „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შეწუხებული“ (ვაჟა-ფშაველა).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენო კალანდიასათვის ზეშთაგონება – პოეტური ნიჭი უფლის საჩუქარია, მის პოეზიაში მკაფიოდ ვლინდება „წმინდა პოეტის“ („წმინდა ხარ, როგორც პოეტის სევდა“) მისია, რომ პოეტი მთელი არსებით უნდა ემსახუროს ერს, ქვეყანას. შემოქმედი საკუთარი სისხლით წერს. იგი პოეზიის ცეცხლში იწვის დაუზოგავად და გულუხვად ხარჯავს თავის სულიერ საგანძურს, ათრთოლებული გულით სისხლიან ნაფლეთებთან ერთად იწერება თავანკარა პოეტური სტრიქონები და მისი სახელისა და სიტყვის დიადი ძალა ამ მართლაც უბრალო, თუმცაღა მხოლოდ რჩეულთათვის მისაწვდომი სიბრძნის ჯერ წვდომაში, მერე მისთვის თავგანწირვასა და ერთგულებაშია მოსაძიებელი!

გურამ ასათიანი წერდა: „ჭეშმარიტი პოეზიის მრწამსად

ლექსად დაწერილი ესა თუ ის ნაწარმოები შეიძლება აყვანილ იქნას მხოლოდ ერთი პირობით, თუ იგი წარმოადგენს პოეტის სულიერ სამყაროს, მთელი მისი სუნთქვისა და გულისთქმის ცოცხალ ნაწილს".

მართლაც, რომ სიტყვასთან ურთიერთობა საინტერესო რამაა და პოეტის ქმნილება მაშინაა ფასეული და ღირებული, როცა ის საოცარი რუდუნებით მუშაობს ყოველ სიტყვაზე და კიდევაც არის მის პოეზიაში პოეტური ხატებისა და მეტაფორების ფეიერვერკი, რამეთუ ამ უკიდეგანო სამყაროში, რასაც ქართული სიტყვის წიაღი ჰქვია, ყველაფერი შეისრუტა და შეისუნთქა. მისი ვერსიფიკაციული სიახლეებიც შემთხვევითი არ არის, რადგან ის, რასაც ქმნის, სულ სხვანაირად წარმოჩინდება და გრჩება შთაბეჭდილება, რომ პოეტი თითქოს თვითონ ქმნის იმ ჯადოსნურ სამყაროს. მის პოეზიაში ბიბლიური ნაკადთან, სამეგრელოს, ენგურის ნაპირებიდან დაძრულ ჰანგებთან ერთად მთელი არსებით გრძნობ მსოფლიო პოეზიის თავბრუდამხვევ სიდიადესაც; „შორს ინგლისია... და დაისივით გულშემღვრეული ზღვის ჩქერალები" აქაა „ლაერტიც გულმარიხი ჯარისკაცებით, მამისეული ქაღალდებით... და ნაწერების ახალი სხივით, ვარდისფერი სიზმრის კრებულით" ... ეს ის ფანტასტიკური და მისტიკური სამყაროა, რომელიც მუდამ გაგაოცებს და თაობების ინტერესის საგანიც მუდმივად იქნება.

ესმა ონიანი წერდა: „სამყარო იმისთვისაა, რომ გააიოცო". ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ გენო კალანდია, ჭეშმარიტი ვირტუოზი ქართული ლექსისა, სწორედ ამ განცდით დაიბადა და ამ განცდით ცხოვრობს...

მაღალი ზნეობა და წარუვალი ეთიკური ღირებულებები განსაკუთრებით მომადლებია პოეტს. მისი პოეტური ქმნილე-

ბები, უცნაური ხილვებით, რწმენითა და იმედით, სიყვარულით გვავსებს...

„და ძველისძველი პატარა კიბე, ორივე ხელით ეკიდა ოდას“.

„ვინ იცის, რამდენ პოეტს რამდენჯერ დაუნახავს „ეს ძველისძველი პატარა კიბე (ნალიაზე თუ ოდაზე მიდგმული), მაგრამ დღემდე ვერავინ დაინახა იგი ამნაირად? ორივე ხელით ჩამოკიდებული“ არანაკლებ საყურადღებოა გენო კალანდიას კიდევ ერთი მრავალთაგან ასეთი მრჩობლედი „ჩავა, ჩაჰყვება ბარძაყებს ხელი, ვით არყის ხეებს სინათლის ჩქერი“.

აქ ეს ორი სტრიქონი ერთგვარად ცისა და მიწის ურთიერთშერწყმის ილუზიას ქმნის.

პირველში მიწაა („ბარძაყები“), მეორეში, – ზეცა („სინათლის ჩქერი“), მამლის ყელიდან ამოსული დილა. ხავსით შემოსილი სოფლის ეკლესია, ეკით გადმოფრენილი ჩიქოვანის მიმინო, გლოვად დამსხდარი სააფაქიო, შერვაშიძის თეთრი ქალი გუბაზის სისხლი – ფაზისის ვარდი, გერგედავას ცირა, ჩელა, ოდოია, აბა, ულა, ჭყონდიდი, ზუგდიდი, ჭალა-დიდი“, – აი, გენო კალანდიას პოეტური აღმაფრენის დვრიტა“ (მუხრან მაჭავარიანი).[1]

დიახ, გენო კალანდიას პოეზიაში არის რაღაც თვისებრივად ახალი, გაუშიფრავი პოეტური სახეები, პოეტური სფინქსები, რომელთა წინაშე თვით პოეზიის პროფესიონალი მკვლევარიც კი უძლური ხდება.

გუბაზის სისხლიან ნაკვალევსა და ფაზისის ნიავს მგლის მუხლით და ხარის ქედით ამოჰყოლია გენო კალანდია.

---

1 მ. მაჭავარიანი, „და ძველისძველი პატარა კიბე“... გენო კალანდიას ნიგნში „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი, 2005, გვ.5.

წაჩხურის ეკლესიისა და იოანე მინჩხის მადლდამწყალობები სიყვარულის ქადაგადაა მოსული ჩვენ გავეშებულ საქართველოში, „მე ვარ ქადაგი სიყვარულისა, მე ვარ ანდერძი ძისა მამისა, თავსასთუმალთან მიდევს ბიბლია, ცრემლშეუმშრალი სჯულის კანონი“ ...

დიახ, სიყვარული და მარადი სულიერი ფასეულობები და ღირებულებებია მისი ცხოვრების არსი, მისი წინამძღვარი ქართული პოეზიის „მრისხანე ბილიკებზე“ ... „უდიდესისკენ მიჰყავდა სული მცირედისაგან ასე წასული“ (რა მახლობელია გალაკტიონი).

კოლხი მოგვის შემოქმედების გაცნობას ქართული თუ მსოფლიო პოეზიის ტიტანებთან მივყავართ და სწორედ ესაა მისი, როგორც ჭეშმარიტი პოეტის დიდი გამარჯვება. „არავის არ აკვირვებს სხვადასხვა ენებში გაბნეული სილამაზე, ჩემმა მასწავლებელმა მშვენიერმა ებრაელ-ესპანელმა პოეტმა რაფაელ კანსინოს – ასენსმა მითხრა ასეთი ლოცვა! ჰე, ღმერთო, ნუ იქნება ეგზომ ლამაზი, ბრაუნინგთ კი გვხდება: როცა სავსებით თავდაჯერებულნი ვართ, რაღაც ხდება – მზის ჩასვლა, ევრიპიდეს ქოროს ფინალი, და კვლავ ვიბნევით“. სილამაზე გვისაფრდება, თუ შეგრძნების უნარი გვაქვს, ვგრძნობთ მას პოეზიაში ნებისმიერ ენაზე“[1]... ინდუსი პოეტის საინტერესო მეტაფორა – არ ვიცი, სრულად შევძელი თუ არა მისი შეფასება – ამბობს: ჰიმალაი, ჰიმალაის მაღალი მთები (რომელთა მწვერვალები, კიპლინგის სიტყვით, სხვა მთების მუხლებია). ჰიმალაი – შივას ღიმილი“, მაღალი მთები ღმერთის, მრისხანე ღმერთის ღიმილი მეტაფორა, სულ მცირე, გამაოგნებელია“ ... (ბორხესი).[2]

1 გ. ტაბიძე, მშვიდობის წიგნი, თხზულებანი 12 ტომად, ტ.11, თბ., 1973.
2 ხ. ბორხესი, შვიდი საღამო, მეშვიდე საღამო პოეზია, „ჩვენი მწერლობა“, 1 ოქტომბერი, 2010.

გენო კალანდიას პოეზია სილამაზისა და მშვენიერების ჭეშმარიტი გამოსხივებაა, რამეთუ თავად მასშია განუმეორებელი შინაგანი სულიერი სიფაქიზე, შეუმცდარი გემოვნება. ის თავადაა თავისი ლირიკული პერსონაჟის არქეტიპი. გავიხსენოთ: „წმინდა ხარ როგორც პოეტის სევდა“, ან კიდევ „ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის პირას“ ... პოეტი ცამდე მართალია, „სავსე ქართული პატიოსნებით,“ ერთ-ერთი ის მკურნალთაგანი, რომელსაც არსთაგამრიგემ ძალმომრეობით დათრგუნული სულის გამხნევება და განწმენდა დააკისრა... იგი ყოველთვის იყო და რჩება მარადიული თემების ერთგული მესიტყვე და იმის გამოსახვას ელტვის, რაც საუკუნეებითაა განმტკიცებული ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში, როგორც ჩვენი არსებობის ჭეშმარიტი გარანტი.

გენო კალანდიამ კარგად უწყის ქრისტიანული სათნოება კაცობრიობის არსებობის, ამქვეყნად ადამიანად დარჩენის ერთადერთი გამართლებაა. ხელაპყრობილი დგას და მარიამ ღვთისმშობელს მიმართავს: „ღვთისმშობელო და წმინდანო, – დამბადებელო უფლის, შენს თვალ-მარგალიტს დახედე შენი კეთილი გულით“ ... – ასეთი სიწრფელით, ალბათ, მხოლოდ აკაკი წერეთელი თუ ლოცულობდა ხატის წინ. მბობენ, ლოცვა მით უფრო გულმხურვალეა, რაც უფრო ჩუმად, ღმერთის გასაგონად ითქმისო. ეს ლექსიც ასეთი ლოცვაა და პოეტიც მთელი არსებით ეძლევა აღსარებას.

როცა ეს ლექსი წავიკითხე შოთა ნიშნიანიძე გამახსენდა, რომელიც ხატის წინ მუხლმოყრილი საქართველოს ავედრებს უფალს: „უფალო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის – ვულკანზე შემდგარი საქართველო. უფალო, შეგვიწყალე, რამეთუ ცოტანი ვართ, უფალო, შეგვიწყალე დიდებიც, პატარებიც“ ...

ქართული სული ცოცხალი, ფეთქებადი ენერგიით მსუნ-

თქავი ფენომენია. არსთა არსში ქართველი კაცის თავგანწირვის უშრეტი ნიჭი მართლა სასწაულსა ჰგავს, ამ სასწაულის გადარჩენა უძნელესი და უფაქიზესი საქმეა, უსასწაულოდ კი ქართულ სულს თავისი იდუმალი მომხიბვლელობა ეკარგება.

როცა გენო კალანდიაზე საუბრობ, არ შეიძლება არ გაგახსენდეს ესმა ონიანი: „უმეტესობა ასაკის მატებასთან ერთად შორდება მარადიულ ჭეშმარიტს, იძირება შემოგროვილ ჩენჩოში, მათი სული ძველდება იმ მნიშვნელობით, რომ უიმედოდ შორდება მარადიულ-ძველს, ყველაზე ადამიანური სულის ადამიანები ყველა ასაკში ინარჩუნებენ პირველადი ბავშვური აღქმის სიმძაფრეს. ადამიანური დრო მათთვის დაბერების, დაძველების, სვლის მნიშვნელობას არ იძენს, მათში არასოდეს არ ქრება მარადისობიდან გამოყოლილი თვისებები, „შთაბეჭდილებები", არაფრით არ ნელდება მარადიულობის მშობლიური გრძნობა. ადამიანური დრო სასაცილოდ უძლურია დააშოროს ისინი ძირითად შთაბეჭდილება-საწყისს. ისინი უწყვეტლად ატარებენ მშობლის სიყვარულს და უბრუნდებიან მას. ჩემი შემოქმედებით სწორედ ამას მინდა შევახსენებდე ადამიანს, შევახსენებდე რაღაც მივიწყებულს, ძირეულს, ძალიან ნაცნობ-ჩვეულებრივს; არ ვაძლევდე მის სულს პირველადს, ბედნიერის, კეთილის დავიწყების საშუალებას" (კრებული „ზეკარი", 1979). ეს სტრიქონები დღეს თამამად შეუძლია გაიმეოროს გენო კალანდიამ, რომელმაც დიდი პოეტური ძალით ასახა მშობლიური ბუნების სურათები, საქართველოს ისტორია, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. „აქაა სამი ხატის მთლიანობაც – მამული, მამა, ცოტნე. ცოტნე – ხატი, მამული სულის სახე. მამა – ოჯახის უფალი და კერიის ხერხემალი. ცოტნე კი ჭეშმარიტი ზნეობრიობისა და ერთგულების სიმბოლო. ეს სამება ამთლიანებს ყველას

და ყველაფერს: „ო, მამაჩემო აანთე ცეცხლი, გახსენი სულის შვიდივე ბჭენი, ავწონოთ ჩემი ოქრო და ვერცხლი, ზედ მივაწეროთ სახელი შენი“ („მამა“).[1]

უცილო ფაქტია ის, რომ სიჩუმეს, მოკრძალებას, პოეზიას, ხელოვნებაში თავისი პრეტენზია აქვს და პოეტი გენო კალანდია თავის ღმერთს სიოს ნაზ ჩურჩულში ჭვრეტს ბიბლიური იაკობის მსგავსად. მან კარგად იცის, რომ დღევანდელ დროს თავისი დიდი სილამაზე აქვს და ამიტომ ვერ შეძლო პოეტის მუზამ ამ დიდი ცვლილებების წინაშე დუმილი, ნათლად ხედავს, რომ ნათელი და ლამაზი მომავლისათვის საჭიროა დიდი და შეუპოვარი, გმირული სული. საჭიროა ბრძოლა, მამულისადმი თავგანწირული ერთგულება: „მე ვერ ვიცხოვრე ელიოტით, ვერც გულზვიადი ეზრა პაუნდით, ჩემს მაგიდაზე კოლხ-იბერთა გიშერი ყრია! ნაკურთხი გახლავთ ჭყონდიდელის ნათელ-მირონით. ეგ ჩემი სიტყვა – მუხის შიმელი. მე ვაჟას თვალში ჩარჩენილი ცრემლის კურცხალი მთელ ოკეანეს მირჩევნია უზენაესო! („პირამიდა“).

გენო კალანდიას პოეზია ლამაზი სულის ადამიანის პოეზიაა. მას, შესანიშნავ ფერმწერს სრულად ესმის ლამაზი სხეულის სილამაზის საიდუმლოც და მომხიბვლელობაც. იგი დიდი ვნებებისა და დიდი სიყვარულის ჭეშმარიტი პოეტი-ფერმწერია...

და მაინც, გენო კალანდიას პოეზიაში მუდამ იგრძნობა თანამედროვეობის ღრმა განცდა და ეს განცდა ბუნებრივადაა დაფუძნებული ჩვენი ისტორიის ფესვებზე, ფილოსოფიაზე. პოეტი გრძნობს, ხედავს და ხატავს წარსულს, იგი განსაკუთრებული მეტაფორულობით ხატავს ჩრდილსა და შუქს, დღესა და ღამეს. ადამიანის სულის ნათელსა და ბნელს

---

1 ც.მესხია, მესამე თვალის სხივნათელით, წიგნში „მწერალი და სინამდვილე“, სამშობლო, თბ., 1998, გვ. 222-232

და სიკვდილ-სიცოცხლის წინააღმდეგობრივ ჰარმონიულობაში დანახული არსებობის გამართლებით მღერის მზის, სიყვარულის და უკვდავების დიდებულ სიმღერას: „მე – მიწის მატლი. რკილი. ნახშირი. საფლავი. ჯვარი. მწუხრი. წყვდიადი. ბურანი. ლული. ცხადი. სიზმარი. შუადღე. ღამე და განთიადი. მე – ჩრდილის ჩრდილი. ფერფლი. არარა. ღრუბელი. თოვლი. ქარი. ხარება. ფრთები. შორეთი. შუქი. კამარა. ბაღი. გრანიტი და უკვდავება.“

დიდი პოეტური მღელვარების რკინის სალტეებით ისე შემოჭედვა რომ ვნებებს ძალა და ცხოველმყოფელობა არ დაეკარგოთ, თანაც ფორმაც მკაცრი და მოზომილი იყოს, უდიდესი ხელოვნებაა.

გენო კალანდიას შედევრებში „ტიციან ტაბიძის პორტრეტისათვის“, „საიათნოვა“, „ფიროსმანი“, „ეკატერინე ჭავჭავაძე“, „ავტოპორტრეტი“, „ფორთოხლისფერი ქალები“, „წინაპრები“ – გვხიბლავს დიდი ვნებების გამოვლენა და კანონზომიერების იქით თამამი გადახედვა და როცა ყოველივე ეს ეგზომ სასურველ თარგშია გამოჭრილი, იგი უახლოვდება პოეზიის დიდ სიმაღლეებს...

„ფესვების“ ავტორს უკიდურესად აქვს გამძაფრებული სილამაზის, მშვენიერების განცდის უნარი, რაც განუმეორებელ ხიბლს ჰმატებს მის პიროვნულ სამყაროს და მრავალ პროფესიონალ კრიტიკოსთა თუ მწერალთაგან გამორჩეულ პოეზიას.

გენო კალანდიას რიტმი თამამია და ლაღი, მთიდან მომსკდარი ნაკადულივით მორაკრაკებს, მისი მომხიბლავი რიტმები და მაგიური პარადოქსები. ჯადოსნური მეტაფორები და ხატსახეები მაშინ შემოდის ჩვენს არსებაში, როცა მას სიჩუმესა და მყუდროებაში წავიკითხავთ. აი, თუნდაც: „ლამაზი იყო დე-

დაჩემი სიკვდილის კვირას. ღვთის მსახურივით თეთრი ვარდი ეფინა გულზე, მზე ჩადიოდა ქარიატას, ერგეტას, ყულევს, ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის პირას“ („ტრიოლეტი“). პოეტისათვის დედა ამქვეყნად ყველაზე და ყველაფერზე უძვირფასესი არსებაა. იგი სიყვარულია, აბსოლუტურად მარადიული სიყვარული. მხოლოდ სიჩუმეში, მხოლოდ მყუდროებაში შეიძლება იმის გააზრება, თუ რაოდენ ბუნებრივია აქ დედის ხატება, რაოდენ ეფექტურია და სულის განმასპეტაკებელი, შინაგანი ლოგიკით გამართლებული და ღვთის ქადაგებასავით დამაჯერებელი მშობელი დედის შედარება (სიკვდილის კვირას) საყდრის ახლოს მინდვრად დავარდნილ ბელურასთან და წვიმაში მოციმციმე შროშნის ფურცელთან.

ასეთი გასაოცარი ექსპრესიულობა ახასიათებს გენო კალანდიას მომხიბლავ ხატებასა და მეტაფორებს, აი კიდევ: „როგორ მიყვარდა შემოდგომის ფერისცვალება, ელვით ჩაჭრილი შენი უბე და ხეივანი“ „რუხის ციხესთან ცას ღრუბელი ჩამოეკიდა, ო, ეს ღრუბელი გაზაფხულის ჭრელი ჭოგია“ ... „ერთი ლამაზი კონცხია აქეთ, – ზეთისხილების პატარა ბაღით“ და ა.შ. – ეს მართლაც სინათლისა და მზის პოეზიაა...

გულწრფელობაა პოეტის უმთავრესი ღირსება. იგი ბუნებასთან წილნაყარობიდან, სამყაროს ჰარმონიისა და მშვენიერების შეგრძნებიდან და ცხოვრებისადმი შემოქმედის ღრმად ჰუმანური დამოკიდებულებიდან მომდინარეობს, მისი ცხოვრება ამ მარადიული სილამაზისა და ჰარმონიისაკენ, მისი შეგრძნებითა და გაცნობიერებით თავაწყვეტილი სწრაფვაა...

ლექსში „ავტოპორტრეტი“ (რომლის ციტირება უკვე შევთავაზეთ მკითხველს) გამოიკვეთა შთამბეჭდავი სილუეტი პოეტისა, რომელიც თავისი ესთეტიკური მრწამსით მო-

წოდებულია ემსახუროს ერს, ქვეყანას, ჩაინთქას ისტორიის სიღრმეებში და გარდასული დრო გამოიყენოს თანადროულობის (მხატვრული) სულიერი ფასეულობების შესაქმნელად და მთელი არსებით ამიტომაც გვეპატიჟება წუთისოფლის დღესასწაულზე, რათა დაგვარწმუნოს დაშლილი სულის გამთლიანებაში. ამიტომაც არისხებს საგანგაშო ზარებს, რათა ჩვენს მამაპაპურ გზას ასხლეტილი სული „განურჩევლობის ზღვაში“ (ილია) არ ჩაიძიროს და არ გაითქვიფოს, ქვეყანამ თავისი სახე სამარადჟამოდ არ დაკარგოს...

გენო კალანდია განუმეორებელი ვერსიფიკაციული ოსტატობითა და დახვეწილი სალექსო კულტურით ძალდაუტანებლად გვითრევს თავისი პოეზიის სიღრმესა და ფარულ ნიუანსებში, რომელსაც გიორგი ლეონიძის „მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ“ თავის ტკივილად უქცევია და მზის შარავანდედში გახვეული სტრიქონებით მიგვანიშნებს პოეზიის, ქართული ლექსის ძლევამოსილებაზე. თითოეული სტრიქონი აღსარებასავით ჟღერს და ნდობის სითბოთი გვავსებს. პირადი ცხოვრება და სამშობლოს ტრფობა ერთმანეთშია ჩაწნული და იქმნება სულის წარმტაცი პანორამა, სადაც პოეტის მსოფლგანცდა და დიადი პოეტური ენერგია მზესავით ასხივებს: „ქსანზე, არაგვზე სველი ნისლია, გზებზეც ვარდია ნაირ-ნაირი, მე თქვენი ტრფობა სად შემიძლია, მე დაჭრილი ვარ ქართლის შაირით“ („ქსანზე, არაგვზე ცა იფურცლება“).

„უკვდავი ხელოვნება სპობს საზღვრებს საუკუნეთა შორის, გენიოსის მიერ შექმნილ ნაწარმოებს კაცობრიობა მუდმივ თანამგზავრად ხდის, საწუთროს მარადისობას უახლოებს და ამით აკმაყოფილებს ადამიანის მეორე ინსტიქტურ და ელემენტარულ მოთხოვნილებას – ლტოლვას უკვდავებისაკენ.“[1]

1 გ. ქიქოძე, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985. გვ. 55.

ჩვენ კი ისევ პოეტს მივუბრუნდეთ, რომლისთვისაც სიტყვა სიმართლეა, სიტყვა მზეა, სიტყვა სალბუნი და ნუგეშია.

„გენო კალანდიას პოეზიას ახასიათებს უცნაური რწევადობა, რაზედაც უნდა წერდეს, ქვაზე, სალამურზე, ქალზე, ეს რწევადობა, ეს ლიცლიცი, ეს სინატიფე ალბათ, ზღვიდანაც მოდის. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ პოეზიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას გამორჩეულად ჟანგბადიანია, იოდიზირებულია, და ამდენად, ნაკლებად – ბოლმიანი, და მაინც ვფიქრობ, რომ მისი პოეტური სიტყვის სინედლე, სინოტივის გამუდმებული შეგრძნება ცრემლის ბრალია, ცრემლისა, რომელიც მართალია მის თვალზე არავის უნახავს, სამაგიეროდ, ლექსებს უსახსოვრა, ლექსებში ჩაღვარა. აი, ამიტომაა, თითოეული მათგანი არა მხოლოდ სახეობრივად გასაოცარი, უაღრესად ესთეტური და მოულოდნელი, არამედ პირველ ყოვლისა გადამდები“ (მაკა ჯოხაძე).

პოეტისათვის თავისი დიდი წინაპრების და ქართული და ევროპული პოეზიის გამორჩეულ შემოქმედთა მიერ გავლებულ ონტოლოგიურ წრეზე სიარული არათუ რეალიზებული, არამედ ახალი, მხოლოდ მისეული, გენო კალანდიასეული ფორმების აღმოჩენაა და „დილამდე სასმელს ვეძალები, ვით ძველი ბარდი, ცრემლში, ნაღველში მერამდენედ ვაწებებ კალამს, დილამდე გავალ, გავეცლები ამ უცხო ქალაქს – მკვდარი ლომივით მზის უბესთან გაშხლართულს ოდით...“ („ვარდი“). „მიბოძე როგორც ვიოლინოს სიმი დამდნარი, მიბოძე როგორც მეფისწულის ლურჯი ზღაპარი, – სამოთხის ჩიტი – პოეზია თავისუფალი. მიბოძე, როგორც ბედისწერა, ჯვარცმა, წამება, მიბოძე, როგორც ცის კურთხევა, ღვთის მოწყალება, ქართული სიტყვის ჯავაირჩი, ჭირისუფალი“.

სექსტინა „ჩიტი“ ალეგორიული ხასიათისაა. იგი განსა-

კუთრებული მეტაფორულობითა და შინაგანი ლირიზმით იქცევს ყურადღებას. საოცრად უჩვეულო და ლამაზი სურათია: „თავბრუდამხვევი ამოდის მთვარე, თითქოს სხივებით მივსებენ თვალებს და სასაფლაოს გრანიტის იქით მიიწევს თეთრი ქაფურის ჩრდილი. სინათლის წრეში ბრჭყვიალებს ჩიტი და მიკასკასებს მინდვრებში ქარი“.

პოეტი ჩიტისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და თავისუფლების იდეას მისეული ორიგინალური სტილით გამოხატავს.

გენო კალანდიას, ვფიქრობ, თავისი ჩიტი ჰყავს, რომელიც თავის ქვეყანას აგონებს. სინათლის წრეში მობრჭყვიალე ჩიტი და მინდვრებში მოკისკასე ქარი უცნაურად ათრთოლებს მკითხველის გულის სიმებს, აქ პოეტის გონებითი, ფილოსოფიური აღქმა მთლიანადაა გახსნილი ფანტასტიკურ ელემენტებში. ნაზ ლირიზმთან შერწმული ფანტაზია და ადეკვატურად გამოძერწილი ხატ-სახეები მკითხველს აახლოებს გენო კალანდიას პოეზიასთან. ნამიან გზაზე მფეთქავი ჩიტი და მის ირგვლივ მოშრიალე მთვარე და ქარი ფანტასმაგორიული სანახაობაა. პოეტი მითოლოგისებური აზროვნებისაკენ ლტოლვითა და პოეტური წიაღსვლებით ბუნების ერთიანობის განუყოფლობის უიშვიათეს სურათს ქმნის და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს სულის კათარზისზე ზრუნვის აუცილებლობას...

სწორედ სიტყვაა გენო კალანდიას ბედისწერა, უფლის წყალობა და საჩუქარი. სწორედ ამ „ჯვარცმით“ ნაშობი სიტყვით, მის მიერ მუსიკად გარდასახული, სრულიად ახალი ზეციური შემადგენლობისა და ენერგიის მქონე ფერწერული კოლორიტით, პოეტური ფორმების – ახალ-ახალი აღმოჩენებით ახალ სამყაროში გვასახლებს, სადაც მაღალი სულიერე-

ბის მხატვრული უკვდავების უჩვეულო ფეიერვერკია... „მე სიმღერებით ამხადეს მკერდი, მაგრამ სიცოცხლეს ვაპირებ კიდევ და გულმოკლული წინაპრის ბედით ვდგავარ ფაზისის ძველისძველ ხიდზე... წავალ... დავდგები ფაზისის ხიდზე, რომ ჩემი სისხლი წვეთ-წვეთად მოგცე, მომეცი ნება, მიყვარდე ისე, როგორც უყვარდი, მამულო, ცოტნეს“ („მე ეს სიმღერა მომიღებს ბოლოს“), – წერს გენო კალანდია და აშკარად ვგრძნობთ, რომ ცოტნე მისთვის მამულის ერთგულების ხატია, ცოტნე რწმენაა, სინათლეა ქართველი ერის ჭეშმარიტი ზნეობრიობისა. ერისკაცული სიყვარულის მარადიული მწვერვალია და თუ გალაკტიონისთვის პოეზია იყო „უშუქო და უხავერდო“, გენო კალანდიას ერთი დღე არ ძალუძს უსიმღეროდ, ულექსოდ. „სიმღერებით, ლექსებით, შაირით „მკერდახდილი პოეტი“ თავაწყვეტილი ერთგულებით ცოტნესებური სიყვრულით დგას ფაზისის ხიდზე და წვეთ-წვეთობით იცლება სისხლისაგან. ფაზისის „ძველისძველი ხიდი“ პოეტის სიამაყეა, მისი მამულია. ამ ლექსში მთელი სიმძაფრით გაცხადდა გენო კალანდიას როგორც არისტოკრატული სულის, პიროვნების ქართველობა. მასში გენეტიკურადაა მოცემული მსოფლიო მოქალაქის კოდი, იგი მთელი არსებით კაცობირობის ისტორიის მანძილზე დაბადებული და გამქრალი ტკივილების შეგრძნებისაკენ ისწრაფვის... „ქართული სიტყვის ვარდით“, „სულის ულუფით“, „ღვთისმშობლის ცრემლით თვალებგაბრწყინებულს აღმოხდება: „მე ვლაპარაკობ თქვენი სახელით, მე ვარ ქადაგი სიყვარულისა“ ...

მიკო ჭანისპირელი წერს: „გენო კალანდიას ლექსებიდან დიდი ენერგია მოდის. ეს არის სინათლის, ზღვის და მზის ენერგია, რომელიც მის ძარღვებში მოჩქეფს და, რაც აძლევს, როგორც შემოქმედს, იმის უფლებას, რომ გულგრილი არ

დარჩეს თავისი ქართული გენისა და ჯიშის მიმართ. „მე ამ ქალაქში ვცხოვრობდი ადრე, გულზე მეფინა ფოთოლი ცაცხვის“. ეს გენო კალანდიას ერთ-ერთი ადრინდელი ლექსია, რომელსაც ამ კრებულში ვერ იპოვით, მაგრამ ის უშუალო ყმაწვილური განცდა და გულწრფელობა, რითაც მაშინ დაიპყრო მკითხველი პოეტმა და თავის სამყაროში შეიტყუა, სადაც იმედი, რწმენა, სიცოცხლის სიყვარული ზეიმობს, ახლაც შემორჩენია მის პოეზიას, რომლის სტრიქონებში „ჭირსა შიგან გამაგრება“ და ბედისწერასთან ვაჟკაცური შერკინება გამოსჭვივის; მისი მუზა ყოველთვის ფართო მასშტაბებს ეძებდა და პოულობდა კიდეც“.

გენო კალანდიასათვის დამახასიათებელია მონუმენტური სტილი, მან შეძლო სულიერი მდგომარეობის მეტყველ ნიუანსებსა და თვით რელიგიურ ნიუანსებშიც ჩაექსოვა მიწიერი და ადამიანური. მისი ინტელექტუალური პოეტური სამყარო მონუმენტური ხელწერითაა დაღდასმული. ის ჭეშმარიტი არტისტული ბუნების შემოქმედია, რომლის ფიქრი ადამიანის მრავალ სატკივარს დასტრიალებს, მაგრამ უმთავრესი მაინც მშობლიური მიწის ყივილია, მშობლიური ფესვებისაკენ ლტოლვაა, მისი საოცარი, ფილოსოფიური სიღრმით დახუნძლული ლექსები გზას მიიკვლევენ მარადისობისაკენ.

პიროვნული ხიბლითა და შემოქმედებითი ინდივიდუალობით გამორჩეული პოეტი თავისი მაგიური ძალმოსილებით ქმნის რეალობისა და მისტიური ირეალობის რაღაც თავისებურ იდუმალებას, რომელსაც მუდამ ახსოვს ილიას შთამაგონებელი სიტყვები: „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო: ჟამი რას ითხოვს, ტირილსა თუ სიცილსა, განყრასა თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილსა, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა

და ამისთანათა, რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძენისაგან „დროს ჰსჭვრიტე, ჟამთა რა მოაქვს რას ისხამს, რა მოისთვლების? ქართველთაგან თქმულა, მეც ქართველ ვარ და ზედ დავრთავ: თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“[1].

გენო კალანდიას პოეზია დროში არსებობის ტკივილისაგან გაქცევაა კი არა, პოეტურ საბურველში გადანაცვლებაა. ის მუდამ სიტყვებში გარბის, რამეთუ სინამდვილე ხშირად უხეშია, ზოგჯერ იმდენად, რომ რომანტიკაც უძლურია და ვერ შველის. პოეზიის სამყაროში პოეტი დროის გამაერთიანებლად გვევლინება. დრო მისთვის სიცოცხლის მეტაფორაა: „არის სამი დრო: აწმყო წარსულისა, აწმყო აწმყოსი და აწმყო მომავლისა, ეს რაღაც სამი მხოლოდ ჩვენს სულში არსებობს და სხვაგან ვერსად ვერ ვხედავთ მათ. აწმყო წარსულისა მეხსიერებაა, აწმყო აწმყოსი – უშუალო ჭვრეტა, აწმყო მომავლისა კი უშუალო მოლოდინი“ (ნეტარი ავგუსტინე). და მაინც მისთვის, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანისათვის დრო მუდმივია, ჩვეულებრივი დრო მისთვის პოეზიის დროა, რომელიც მისი წარმოსახვების შესაბამისად იცვლება და პოეტიც წინაპართა ვნებებით გრძნობს ჟამის ტკივილებს, რადგან ეს წუხილები მასშია კოდირებული... პოეტი კარგად ხედავს, რომ ილუზიებისა და იმედიანობის ფენები სინამდვილის მკაცრმა შემოხედვამ გაფანტა და ამიტომ შემმართებლური ენერგიით ივსება მისი სული. სწორედ მაშინ მოელის ხალხის აფორიაქებული სული იმედის წყაროს აღმოჩენასაც: „ამოდი სულო, ფიქრად, ოცნებად, ცრემლად, ტკივილად, ვნება ალერსად, ამოდი ისევ, სულო ცისფერო და ფრთებად გქონდეს უკვდავება მარადიული“. პოეტი დიდი წინაპრების მხრებით

1 ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ.V. 1927. გვ. 442

მოტანილი სულიერი კულტურის მემკვიდრეა. ეს სიმდიდრე კვებავს მის ფესვებს. საზღვრების გადალახვის დაუოკებელი ვნება ანათესავებს შარლ ბოდლერთან, რომელიც ერთ ძლიერ სურვილს შეუპყრია, რომ დამკვიდრდეს „მთების, ტყეების, ღრუბლების, ზღვების, ხეობების და ტბორების ზევით, ეთერსივრცეთა გაკვეთა-რღვევით მიღმა ვარსკვლავთა უშორეს ზღვრების“ („ამაღლება“).[1]

გენო კალანდია იტყვის: „ნუთუ შორია სიხარული... ჟამი ნანატრი, თავისუფლების მზე და ხატი, – სხივი ღვთიური, განფენილია სიზმარივით ცა ბიბლიური, დამეწყრილია ასი ფუთი, ლალით, კარატით... თეთრი კვიცების მიგაქროლებს ზვირთი აჯამი, – სხვისთვის უბრალოდ მღვრიე ღვარი, ჩემთვის მარჯანი, თავისუფალი საქართველოს სუნთქვა ახალი“. („შარავანდი“).

პოეტის მძაფრი სურვილია დაბრუნდეს წარსულიდან მომავალში, მომავლიდან წარსულში, ამქვეყნიური არსებობის გადალახვა და მილმურ სამყაროში შეღწევა. მისი პოეტური შთაგონება სრულ თანაფარდობაშია მის ბობოქარ, ქარივით დაუდგრომელ ცხოვრებასთან...

გენო კალანდიას პოეტური სტილისტიკის, მისი მხატვრული სტყვის არსებითი ნიშანდობლიობა, ვფიქრობ, დაუცხრომელი დინამიურობა და რიტმულ-ინტონაციური მრავალგვარობაა, რომელიც უშუალოდ მისი პოეტური სულის დაუშრეტელი ენერგიიდან მთიდან დაშვებული ნაკადულივით რომ მორაკრაკებს.

პოეტმა ზნეობრივი გმირის იდეალი შემოგვთავაზა, რითაც თაობებს ცოტნე დადიანისებური გმირობისა და ქედუხრე-

---

1 შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თბ., 2008, ფრანგულიდან თარგმნა დ. აკრიანმა. გვ. 15

ლობის მაგალითს აჩვენებს. მისი პოეზია ძლიერია იმ ღრმა ფესვებით, რომლებიც განუყრელად აკავშირებენ მშობლიურ მიწასთან, ქართულ სულთან, ქართულ ფენომენთან: „სიყვარული გავხარჯე, ვხარობ სიტყვის მადანით, სული გაფოთლილი მაქვს სულ ქართული ანბანით... ხელისგულზე მიწყვია ზამთრის მინანქარები, ფრთები დალეწილი მაქვს მშობლიური ქარებით“. გენო კალანდიას პოეზიაში ვხვდებით ადგილებს, სადაც ქრება განსჯა და იბადება ემოცია, სადაც რეფლექსია, სული მოკრძალებით უთმობს პირველობას ინსტიქტს და ნებას, თითქოს პოეტსა და სამყაროს შორის გაჩნდა რაღაც უჩვეულო ერთობა, რაღაც ჰარმონია, თავის მხრივ რომ შობა სიყვარული ადამიანსა და რეალობას შორის და ჟინმორეული სიყვარულით გვთავაზობს სამყაროს უჩვეულო სურათებს: „ალუბლისფერი, ვარდისფერი, ზამბახისფერი, ბალახისფერი, ღრუბლისფერი, სადაფისფერი, უნაბისფერი, ხორბლისფერი, ზურმუხტისფერი, ჩემსავით სუნთქავს და ჩემსავით მოძრაობს ჩემში ყველა ეს ფერი“ ... („ალუბლისფერი, ზამბახისფერი“).

გასაოცარია გენო კალანდიასეული გონებისა და აზროვნების, პოეტური ხატებისა და მეტაფორების ფორმისა და შინაარსის ერთიანობის მხატვრული გემოვნება. პოეტის სულში მთელი სამყარო ფერებით შემოდის და ყოველი ახალი პოეტური სიახლე დამათრობელი სურნელით გვაბრუებს. მისი პოეტურ-ფერწერის საიდუმლოება მდგომარეობს ეროვნული კოლორიტის ორგანულ განცდაში. „მშვენიერება იმ ზომიერ ემოციებს უნდა შეიცავდეს, რომ საშიში ქაოსი, უკვე შეცვლილი, შემდეგ სიმშვიდით გათავისუფლებთ. რასინის ტრაგედია ამის დიდებული მაგალითია. კანდიდი სუსტია, ძალადობა და საშინელება გამოსჭვივის თხრობის prestissimo-ს მიღმა, მოცარტივით მშვენიერია, მჭევრმეტყველება მშვენიერია, თუკი

ყოველ დასაწყისში აწესრიგებს საყოველთაო აღგზნებას. საფლავზე წარმოთქმული სიტყვა და რექვიემი ორატორისგან მოითხოვს მწუხარების დაძლევას"[1].

პოეტი მთელი არსებით იბრძვის ადამიანთა ბედნიერებისათვის, მხატვრული სიტყვით გვარწმუნებს, რომ ადამიანის ტკბობას ფიზიკური ყოფიერბით, მის აღტაცებას ბუნების მშვენიერებით ბოლო არ უჩანს. მისი ზიარება ზღვასთან, ოკეანესთან, ქართან და გრიგალთან, ზვირთთან და ჩანჩქერთთან, მთასთან, მიწასთან თუ ცასთან არასოდეს არაა მოწყვეტილი ზნეობას, ვალდებულებას, მედიტაციის სულს და სწორედ აქაა სიცოცხლის მარადიულობის რწმენაც. „დრამის, ოქტავის მშვიდად წერაში, დილის, საღამოს, უხმოდ ლოცვაში, ნამდვილი ჰანგის ჟრჟოლა-თრთოლაში, ბულბულის, შაშვის, გულის ფეთქვაში, სიღატაკესთან ძალად ბრძოლაში, სულის უდავოდ ამოხდომამდე, უბრალო გვარის მძორად ქცევამდე, ჭიაღუების მსუყე ლუკმამდე – ჩემსავით სუნთქავს და ჩემსავით მოძრაობს ჩემში ყველა ეს ფერი, დიდება უფალს". – ესაა ფერმწერის ფუნჯის მკვეთრი მოსმით შობილი ტილო, სადაც მზითა და ცისარტყელას ფერებითაა მორთული ქართული სული. ეროვნული ფესვების ძიებას, საუკუნეთა დიდებული კავშირის საიდუმლოს ძიებისაკენ სწრაფვას მშობლიური ბუნების წიაღში მოჰყავს პოეტი. ეს საოცარი ლექსი გენო კალანდიას მზედაუვალი ნიჭისა და სულიერების გამონაშუქია, მისეულ ფერთა მაგიური ძალის ჭეშმარიტი დღესასწაული. კითხულობ ლექსს და აღტაცებას ვერ მალავ. მთელი ეს უზარმაზარი სამყარო თითქოს ერთი მთლიანი ორკესტრია და მაინც, ყველა და ყველაფერი ერთმანეთს ერწყმის, თითქოს ყურში ტაძრის ზარის ხმა ჩაგესმის და გრძნობ შეჩერებულ

1 ანდრე მორუა, ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1989. გვ.75.

წამსაც, რომელშიც პოეტის მისტიკური შინაარსით დატვირთული ხილვებით მთავარი სათქმელია გადმოცემული.

უცნაური შეგრძნება, რაც გენო კალანდიას ნებისმიერი ნაწარმოების კითხვის დროს გეუფლება – თითქოს ფერწერული ტილოს წინაშე დგახარ და იდუმალების ბურუსში გახვევს პოეტის სასწაულებრივი, საკმაოდ თამამი კომპოზიცია, რომლებიც როგორც ფერთა სიკაშკაშით, ასევე სემანტიკური შტრიხებითაც გამოიკვეთება. მისი სრულყოფილი და ჭეშმარიტად მაღალი პოეტური ხელოვნება ყოველივე ლამაზსა და მშვენიერს, ამაღლებულს მარადიულ ფერ-სულებად გარდასახავს. „მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის ძლევას გვანიჭებს და ჩვენი ხელით ავრცელებს თავისი შემეცნების კეთილსურნელებას ყოველ ადგილას“, (პავლე კორინთელი, 11. კორინთელთა 411,15).

და თუ გალაკტიონი ამბობდა: „ერთი სუნთქვით დედამიწას გადავაფრქვევ ნაზ ყვავილებს“, გაივლის დრო და გენო კალანდია თავისი პოეტური ხმის ძლევამოსილებაში დარწმუნებული იტყვის: „შეხედეთ... დატკბით, ქვეყნის მსახურნო, აი, მე, – თქვენი თანამედროვე, გეპატიჟებით წუთისოფლის დღესასწაულზე“. პოლ ვერლენი ლექსში „პოეტური ხელოვნების“ შესახებ წერდა: „მუსიკა უპირველეს ყოვლისა, ფერი და მისი ნატიფი ნიუანსები“ ... „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? ეს ჩემი სამშობლოს მთებია“ (გალაკტიონი). „ჰაზიფის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“ (ტიციანი).

გენო კალანდიას პოეზია ფერისა და მუსიკის ერთობლივი ზეიმია, თითოეული ლექსი დაყურსულია აზრობრივი და პლასტიკური დატვირთვით. ხასხასა ფერებითა და მუსიკალური რიტმით იქმნება სასურველი განწყობილება, სიკეთის

მუხტი, ცხოვრების დრამატიზმი თუ სიხარული. მშვენიერებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა მისი შინაგანი განწყობაა: „ამ აყვავებულ წაბლებსა და ნეკერჩხლებს შორის, ამ ნაკადულის და თეთრი ვერცხლის სარკეებშორის, ამ ქედებსა და იმ ჟოლოსფერ გორაკებშორის, ამ ნისლებსა და იმ ღრუბლებშორის, მე ვნახე შენი პეიზაჟი და რელიეფი“ ...

პოეტისათვის სამყაროს ყოველი მოვლენა არსება და საგანი კოსმიური სამყაროს იდუმალებაში შესასვლელი კარია, ღრმადაა აქვს გაცნობიერებული, რომ მისი შემოქმედების სათავე მშობლიური მიწის წიაღიდან იწყება, თავადაც კარგად უწყის, მის არაცნობიერსა და საკუთარ პოეტურ „მე“-სთან შეხვედრის ნაყოფი მისი უნიკალური კომპოზიციებია, რამეთუ: „ყოველი მოვლენა ამქვეყნად ქარაგმაა, ყოველი ქარაგმა ღია კარია, რომელსაც სული, თუკი მზადაა სამყაროს იდუმალებაში შეჰყავს. იქ, სადაც მე, შენ, დღე და ღამე ერთიანდება, ყოველ ადამიანს შეხვედრია ცხოვრებაში ღია კარი, ყველას მოსვლია აზრი, რომ მთელი გრძნობადი სამყარო მხოლოდ ქარაგმაა და ამ ქარაგმის მიღმაა, რომ გონი და მარადიული სიცოცხლე სუფევს, მაგრამ მხოლოდ მცირეთ გაუბედავთ ღია კარში შესვლა და მშვენიერი სათმობლების დათმობა იდუმალი სინამდვილის სასარგებლოდ“[1]...

პოეტი თითქოს ზურგს უკან მოიტოვებს ხატების, სახეების სამყაროს და ქვეცნობიერისა და პირველადი ვნების ლურჯ იდუმალებაში ცნაურდება.

ლექსში „გასისხლული მთვარე“ (ეძღვნება რეზო ამაშუკელს) პოეტი წერს: „ნუ იტყვი: „მორჩა, გათავდა მორჩა“, ნუ დაამძიმებ სულს ძველი თასით, სიკვდილის ველზე პოეტად

1 რ. ყარალაშვილი, ზამბახის გულის საიდუმლოება ანუ მოგზაურობა ჰერმან ჰესეს ზღაპრების სამყაროში. „ლიტერატურული პალიტრა“, №8, აგვისტო, 2007, გვ. 129-133.

ყოფნა არის ნამდვილი გმირობის ფასი. შენ კარგად უწყი, რომ პოეზია არის გოლგოთა, მაცხოვრის ჯვარი, ისეთი ლექსი მაჩუქე, ბარემ, რომ ხვალ საფლავში არ ჩამყვეს ჯავრი, ისეთი ფერი დაკრავდეს უნდა, როგორც ომის დროს ლიახვის ჭალებს, მე იქ მივდივარ.. და საზიაროდ გიტოვებ ქართლის გასისხლულ მთვარეს“.

გენო კალანდიამ დიდ პოეტურ სიმაღლეზე აზიდა ქართული ფესვის ძლიერება და სიმტკიცე. ფესვების სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ საბედისწერო ომის დროს „პოეზიას – მაცხოვრის ჯვარსა“ და სამშობლო მიწის ერთიანობას ასე დაასურათხატებს: „ისეთი ფერი დაკრავდეს უნდა, როგორც ომის დროს ლიახვის ჭალებს, მე იქ მივდივარ... და საზიაროდ გიტოვებ ქართლის გასისხლულ მთვარეს“ – ეს განცდა მთელი მისი პოეზიის ერთ-ერთი აუცილებელი და დრამატული ფონია.

იცის პოეტმა, რაზე და როგორ წერს. სიმბოლიზმსა და (განსაკუთრებით) ევროპულ პოეზიაში ჰპოვა პოეტმა საარსებო წყარო, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მისი პოეზიის ძლევამოსილებას დროსა და სივრცეში... ლექსი „მულენ რუჟი“ (ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს: „ცისფერყანწელი იგონებს „ორდენოსან“ წევრებს და... ქალის თითებს. მინაწერი ოტია პაჭკორიას მოთხრობაზე „გობელენი“), – ის ხაზგასმით თხზავს ისეთ დეტალებს, რომლებიც ნათელს გახდიან მისი სულის, გულისა და გონების მხატვრული სიტყვის ძალმოსილებას. პოეზია ხომ სიყვარულის ენაა და პოეტი ხატავს ცისფერყანწელთა – სილამაზის მსახურთა ცხოვრების ტილოს; „მე მაგონდება „მულენ რუჟი“, ოქროს სასმური, სნეული მთვარე, თეთრი ბაღი. სულის სალმობა. დღითა და ღამით, ღვინით, ქალით მთვრალი პიერო და ქრისტეს

რჯულზე პოეტების ძმური ნათლობა. მე მაგონდება თქვენი ბინა, – მყუდრო სენაკი, ანაგვირილით მოქარგული მწვანე ბალიში, თქვენ მიჯავრდებით, თითქოს გძულვართ, როგორც არავინ... თან მეფერებით და ნიადაგ მტუქსავთ ბავშვივით".. – ასეთი გასაოცარი საწაულებრივი წარმოსახვა ჩვენს პრაგმატულ ყოფაში წარმოუდგენელიცაა. სრულად უჩვეულოდაა წარმოსახული ლირიკული სულის მღელვარება. აქ სულისა და გონების რაღაც ჰაეროვანი ჰარმონიაა. ლექსში ირეკლება ცისფერყანწელთა ახალი პოეტური მითოლოგია, თუმცა უმთავრესი ეროვნული ტრადიციების სიღრმისეული განცდა და უნივერსალური მასშტაბებია. „რადგან პოეზიას სჭირდებოდა ორიგინალური სახეები, უცხო მუზები და შთამაგონებელი წყაროები, მათ ის გამოძებნეს, შექმნეს და დაამკვიდრეს... ცისფერყანწელების მითი, რა თქმა უნდა არ იყო მითი ტრადიციული გაგებით. ეს იყო მითი, რომელიც მათი პოეტური სამყაროს გამართლებად იქცა"...[1]

გენო კალანდიას პოეზია ცისფერყანწელებისა და სიმბოლისტების პლასტიკის ულამაზესი და მუსიკალური რიტმით განფენილი სულის სრული ილუსტრაციაა. ქართული სული ხომ განუმეორებელია თავისი არსით, რამეთუ ქართველმა ხალხმა დედის რძესთან შეისისხლხორცა მოყვასის სიყვარული, თანალმობისა და თანადგომის ეროვნული იდეალებისათვის თავგანწირვის უიშვიათესი ნიჭი. ეს ნიშან-თვისებანი, სული სულთაგანი და ხორცი ხორცთაგანია თითოეული ქართველისათვის. ქართველი კაცის თავგანწირვის უიშვიათესი ნიჭი საუკუნეების სიღრმიდან ასხივებს. „ჩვენ ამირანის გამჩენი ხალხი ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაა, ანუ ჩვენთვის ყველაფერი

1 მ. ჯალიაშვილი – ქართული პოეზიის დენდები – ცისფერყანწელები, ნერილები, თბ., 2010, გვ. 48.

ბრძოლაა, ლხინიც, გლოვაც, ყველაფერი რითაც საკუთარ ვინაობას ადასტურებს და საკუთარ მეობას წარმოაჩენს, ჩვენ სამშობლოსთან ერთად ვიწვით ცოცხლად მარადიულ ცეცხლში, მაგრამ ფერფლივით კი არ უნდა გაგვფანტოს ქარმა, არამედ ისევ მშობლიურ ცას და მიწას უნდა მიგვამატოს ცად და მიწად. ამიტომ როგორც არ გაგვიჭირდეს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს წინ მარადისობაა.[1]

„მე ეს სიმღერა მომიღებს ბოლოს" ვაჟკაცური სულის აპოთეოზია. პოეტი „საქართველოს სოლოს" ასრულებს და სამეგრელოს სურათებს ხატავს. რეალობის გენო კალანდიასეული აღქმა თანამედროვე ეპოქის ეროვნული, ხალხისმიერი აღქმაა. „არც ერთი პოეტი არ ქმნის ახალს ამ სიტყვის ჩვეულებრივი პირდაპირი გაგებით, იგი, რომ ეროვნული ენერგიიდან არ ამოდიოდეს უცხო სუბსტანცია რომ თხზავდეს პოეზიას, მკითხველის გულისაკენ გზას ვერ გაიკვლევდა".[2]

„მე სიმღერებით ამხადეს მკერდი, მაგრამ სიცოცხლეს ვაპირებ კიდევ და გულმოკლული წინაპრის ბედით ვდგავარ ფაზისის ძველისძველ ხიდზე". – ესაა პოეზიის საიდუმლოების წიაღში წვდომა, ეროვნული სული გასპეტაკებული და ცად აზიდული და მართლაც „შეუძლებელია რამდენიმე სიტყვით შეფასდეს პოეზია, სადაც არის ყველაფერი და რომლის შეცნობაც მთლიანად არის საჭირო" (ჟორჟ პომპიდუ").[3]

მისი ყოველი ნაწარმოები შედევრია, რამეთუ თითოეული მათგანი მისი ჭეშმარიტი შინაგანი სამყაროსა და ბედნიერების გამომხატველია. მან შეძლო პოეზიის აზიდვა სრულყოფილებამდე ყველაზე გამორჩეულად და დახვეწილად. ლექსი

---

1 ო. ჭელიძე, წინ მარადისობაა, თბ., 2009 გვ. 113

2 ც. მესხია, სასწაული და ფანტაზია, თბ. 2009, გვ. 113

3 ჟ. პომპიდუ, წინასიტყვაობა ფრანგული პოეზიის ანთოლოგიისათვის, „ჩვენი მწერლობა." 19 მარტი, თბ., 2010

„უიტმენი“, ვფიქრობ, პოეტის პიროვნული ცხოვრების ზუსტი ასახვაა.

გენო კალანდიას პოეზიაში თანამედროვე მწარე სინამდვილის ამბოხია. ამ სინამდვილიდან გაქცევის მოტივები ბოდლერთან, არტურ რემბოსთან და მალარმესთან პოულობს პარალელებს. გავიხსენოთ „გედის სიმღერა“, სადაც მკითხველი ხელშესახებად გრძნობს გამჭვირვალე მინიშნებებს და ქვეტექსტებს, კერძოდ, თუ როგორ მიისწრაფვის პოეტი მოწამეობრივი სიკვდილისაკენ... საოცარი სურათია „გარდასახდელი დამრჩა ვალი – გედის სიმღერა, ჯვარცმული სულის მზეზე განფენა, ოქროს ზარდახშის დარად გახსნა ქვაბთა, მღვიმეთა, ძველი სიმღერების გადასარჩენად“ ... რაღაც საოცარი სითბოთი შემოდის ჩვენს არსებაში; „საკურთხევლების თაფლისფერი წყნარი სურნელი, ანგელოზებს ბაგით გამთბარი“ ... ესაა დიდი იმედოვნების და რწმენის სათავე, უფრო მეტიც, აქაა ღრმა აზრი, რაც უკვე ტექსტის მიღმაა, თუმცა დიდი ნუგეშითა და „ახალი ხანის“ მოლოდინით მიზანმიმართულად მიისწრაფვის პარაკლისისაკენ.

გენო კალანდია მარადიული ტკივილებითაა დასეტყვილი. მისი მეტაფორული აზროვნება მიწიერიცაა და ზეციურიც. „მე შემიძლია ილორის ახლოს უსინათლო ბერივით ვიდგე, მთელი მზე-ფერით, სურნელით ვიგრძნო, მკვდართა წიგნი, ფსალმუნი ვფურცლო და მარწყვისფრად გამოვწვა გული. არ მყვარებიხარ არასდროს ასე, არ დავსჯილვარ აქამდე თითქო. „მისამართი დავკარგე შენი“, – ესაა პოეტის ნოსტალგია ადგილის დედაზე, მშობლიურ ფესვებზე, პიროვნული შებრძოლებების, გზების, აღმართების, დაფლატული გადასასვლელების, მისტიკური განცდით შეფერადებული ხილვები, რომელსაც „ადგილის დედა თორმეტი კრავით“ მოსვენებას არ აძლევს.

მისი მძაფრი სურვილია ილორის ახლოს უსინათლო ბერის სიჯიუტით დადგეს და მარწყვისფრად გამომწვარი გულით მკვდართა წიგნი და ფსალმუნი ფურცლოს... და ეს მზე-ფერით შეგრძნობილი სამყარო სიამოვნებით აღიქმება. თუკი მართლა არსებობს ნამდვილი პოეზია, თუკი არსებობს მეწყერივით მოვარდნილი ლექსი, ხატი თუ სიმბოლო, მაშინ გენო კალანდიას ეს უჩვეულო ქმნილება ინტუიციურად დამაჯერებელია და რწმენით მისაღები. მისაღებია უშუალობით, თვითმყოფადობით, აზრისა და იმედის ესთეტიზირებული ბუნდოვანებით, სიღრმითა და სიდიადით...

ფილოსოფიურ და პოეტურ აღტაცებას იწვევს ლექსი „ჭოროხის შაშვი“: „ღრუბლის წითელი ახალუხით მზე აჭარისკენ ჩადიოდა. ათასი ფუთი სიყვარულით პოეტი ქალაქს მიდიოდა. მიჰქონდა წიგნი, ვაზის ჯვარი თურქის მახვილით გადაჭრილი. წარსულის მძიმე ჭრილობებით პოეტი ქალაქს მიდიოდა. ტიროდა ნენე, – ქართვლის დედა, ცრემლებით ლოყებდაკაწრული. რეკდნენ ზარები სააღდგომო, პოეტი ქალაქს მიდიოდა. შედგა ტაძარი სათნოების, უფლის ცრემლივით ციმციმებდა, განიღო კარი საკვირველი მამისა, ძისა სახელითა. თორმეტი ბერი მონაზონი, ტანჯულის სახეს შეჰხაროდა“ ...

გ.კალანდია საკვირველი უშუალობითა და დიდი სიყვარულით ამეტყველებს ისტორიულ მოვლენებს, აქ ერთმანეთში ჩაწნულია პოეტური სახე, პარალელი და მეტაფორა.პოეტი ლექსის ფინალში გვიმხელს განსაკუთრებულ სიყვარულს თანამოკალმე პოეტისადმი: „გეგელიძეებში ლხინი ჰქონდათ, სოფელი ქალაქს მასპინძლობდა, ვარდობისთვეს და ფრიდონობას, ადგილის დედა ზეიმობდა... ფრიდონ ხალვაში მომენატრა, – ჭოროხის შაშვი მგალობელი“.

„სიტყვა პოეზიაში კიდევ ერთხელ იბადება, იგი ისევ ინათლება მარადისობის საკურთხეველში. საუკუნეების მანძილზე გაცვეთილი და გაჭუჭყიანებული სიტყვები უბრუნდებიან თავიანთ წმინდა შეურყვნელ არსს და ახალი ელვარებით ბრწყინავენ პოეზიაში, რაც საზეიმო, ლიტურგიული უნდა იყოს“ (შტეფან გეორგი).

„მე უნდა დავასრულო სამყაროს სურათი“ (ჩვენებური მზისნულობაც ამას ნიშნავს) – წერდა რილკე. გალაკტიონისთვის სიტყვას შემლოცველის ძალა ჰქონდა. უფრო მეტიც: „დადაფნულ გზაზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ („მგლოვიარე სერაფიმები“). „მზის ცეცხლი და სულის ცეცხლი ჩვენი შემოქმედებითი ძალებია“ (რილკე).

გენო კალანდიასათვის სიტყვას ჯადოსნური ძალა აქვს, სიტყვებისაგან ქმნის იდუმალ სინტაგმებს. მისი ლექსები ფერწერაა. იგი სიტყვაში ვერ ეტევა და ფერებად იღვრება თეთრ ხავერდზე: „ირმის რძესავით ქაფქაფა სიტყვებს მთელი ზაფხული მასმევდნენ მთაში, ვით გოლიათი ლერწმის აკვანში, ვერ ვეტეოდი სიტყვაში უკვე. ღმერთო, შემინდე სუყველა სიტყვა, ჩემგან მოკლული საბრალო ფრაზა. როცა განკითხვის დადგება ჟამი, როცა უფალი ჩამიკრავს თვალებს, არ დაგავიწყდეს ის ერთი სიტყვა, – მშვიდობით“

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენო კალანდიას მთელი არსება ადამიანისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული. მისი სიტყვა „ზურმუხტის კვარია“. ის დახვეწილი ესთეტია, ელეგანტური სულის პიროვნება და ბუმბერაზი მოაზროვნე, რომელსაც თამამად შეუძლია თქვას: „გათვალული ვარ სულიწმინდის ქიაჩის ხატით, თითქო პანაშვიდს მიხდის უკვე ცოდვილი მარტი და შავი კუბო სამეგრელოს შუკებით მი-

აქვთ. ბედნიერი ვარ! – ხელთ მიჭირავს ქართული ქნარი და სიტყვა მრჩება, ვით ნამდვილი ზურმუხტის კვარი. საფლავის ბორცვზე გაზაფხულის ამოდის ია" („იელის ყელი").

გენო კალანდია „მესამე თვალის" სხივნათელით იჭრება კოსმიურ სამყაროში. მის სრულიად ახალსა და განუმეორებელ პოეტურ ფერწერაში გონებითი, ფილოსოფიური აღქმა მთლიანად იშლება ფანტასტიკურ ელემენტებში. პოეტური თვალთახედვით და ფერთა პალიტრით გამორჩეული და ორიგინალურია, რამეთუ იგი უპირველეს ყოვლისა მოაზროვნეა და მხატვარი-ფერმწერი, რომელიც სრულიად ახალსა და ნოვატორულს გვთავაზობს. მის თვითნაბად ფერწერაში უხილავი კოსმიური სამყარო და უჩვეულო არომატია ამომზევებული. შორეული კოლხეთის წიაღიდან მოაქვს ფაზისის ვარდის სურნელი, ჟრუანტელისმომგვრელი ქიაჩის ხატის მადლი და დიდ ფერმწერთა ხელოვნების ენით ქმნის ღრმად მისტიკურ ქვეყანს: „მაღლა, ო, მაღლა, მარჯნისფერი ლაჟვარდის გავლით, ვარსკვლავების ხანძრებში გავლით, პარნასის – მთელი მონმარტრის გავლით, ქუჩაბანდების, სარდაფების, გოთიკური ტაძრების გავლით, ამორძალების, დემონების, სფინქსების გავლით, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულების, ქიმერის გავლით, ქონდრისკაცების, მეძავების, უფსკრულის გავლით, ფრთააშვებული სიძულვილის, საწამლავის, სიკვდილის გავლით, მაღლა, ო, მაღლა, სიყვარული მეძახის მაღლა („კომპოზიცია პოლ ვერლენის პორტრეტისათვის"). აქ ყველაფერი მოძრაობს, ფერს იცვლის ყველაფერი, აშკარად იკვეთება პოტური აზრის მოძრაობა, როგორც სახისმეტყველებითი დიალექტი, ასევე რიტმულ-ინტონაციური თვითგანვითარების კანონი და: „ოქროდ მოჭრილი საიდუმლოს, სიზმრების იქით, გაუქმებული პანთეონის, ცრემლჩა-

კირული გრანიტის იქით, ღიად დარჩენილ აკლდამის იქით, ცისარტყელების ყელ-კისერზე მიძინებული ქედების იქით, მზეებრ მოსწრაფე შარავანდის, ოქროვანი ღრუბლების იქით, მივდივარ იქით, – იდუმალის იქით, ო, იქით", – ესაა პოეტის უჩვეულო, მისტიკური ხილვები, სწრაფვა ახალი პლანეტისაკენ „ოქროსფერთმიან ჭაბუკზე" ფიქრით და თითქოს იდუმალი ხმა უხმობს უცხო ნაპირში უზენაესის, უწმინდესის მაღალი ნებით...

„ღვთის დიდების მშვენება შეიმოსე საუკუნოდ. მოისხი ორმაგი მოსასხამი ღვთისმიერ სიმართლისა და დაიდგი თავზე საუკუნო დიდების შარავანდი. (მარუქ წინასწარმეტყველი, 15, 12).

გენო კალანდიასთან სიტყვად და სტრიქონებად ქმნადობის დაუსრულებელი ლიტურგიაა... „ოქროვანი ღრუბლების იქით, ცისარტყელების ყელკისერზე მიძინებული ქედების იქით," – დაინახა სრულიად ახალი სამყარო, ახალი ქვეყანა, ახალი მზე, ახალი შარავანდი, და კიდევაც „გრძნეულებით გადიჯირითა" ბუმბერაზ წინაპართა მიერ გაკვალული გზები.

მის პოეტურ პორტრეტს განსაკუთრებულ ხიბლსა და ძლევამოსილებას სძენს საოცარი მეტაფორები: „ცისკრის ჩოხა", „ვერცხლის მძივი", „რქანაჩხვერი ირემი", „ღამის სტავრა", მთვარის ბეწვი", „ცის სარკმელი", „შავი ვარდები", „ნაცრისფერი თავსასთუმალი" და ა.შ.

გენო კალანდია, წინაპართა „ელვარე თასით" (გალაკტიონი), ღვინითა და სილამაზითაა მთვრალი. ეს სილამაზე, სულის სილამაზე, შინაგანი სიწმინდე და სიფაქიზეა. სულის თრობაზე წერდა ბოდლერი: – „ბროლში მღეროდა ერთ საღამოს სული ღვინისა; შენ, ო, ძვირფასო და უმადლო ადამიანო! შუშის ამ ციხით, ამ სანთლებით წითელ ცვილისა, მე მსურს

ნათელი ძმობის ჰიმნით შეგეხმიანო!

„შენში კი შთავალ, ამბროზია მცენარეული, უკვდავ მთესველის ჩაგდებული ძვირფასი ქრთილი, რომ ტრფობამ ჩვენმა პოეზია შვას მთვარეული. ტანს რომ აიყრის ღვთისკენ, როგორც უცხო ყვავილი!“[1] („ღვინის სული“).

გენო კალანდია გალაკტიონივით დარდითა და ღვინითაა მთვრალი. „დაწყევლილია ჭყონდიდელის მწვანე ქორალით, მშობლის თვალებში ჩარჩენილი ირმის ნახტომით“ ... „დაისების მღუარე თქეშით“, ახალ სამყაროს გაჰყურებს და: „წაბლის ოდაში სააღდგომოდ ფუსფუსებს დედა, მზე ძველებურად მიბარბაცებს ზეგანსა ზედა და ძიძა შვიდი ანგელოზის გვიყვება ამბავს“ ...

გენო კალანდიას პოეზია სიმბოლიზმთან მიმართებაში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მისი პოეზიის პარადიგმულ სიმყარეს დროსა და სივრცეში. პოეტმა კოლოსალური ენერგიით შეძლო თავისი განცდებისა და ლამაზი სულის მზეზე გამოფენა: „მე მაგონდება „მულენ რუჟი“, ოქროს ხახმური, სნეული მთვარე, თეთრი ბაღი. სულის სალმობა, დღითა და ღამით ღვინით, ქალით მთვრალი პიერო და ქრისტეს რჯულზე პოეტების ძმური ნათლობა“ („მულენ რუჟი“).

ამ სტრიქონებში ირეკლება ახალი სალექსო ფორმებისაკენ სწრაფვა ცისფერყანწელებისა და სიმბოლისტების პლასტიკის ულამაზესი და მუსიკალური რიტმის სახით და მაინც უმთავრესი ეროვნული ტრადიციების სიღრმისეული განცდა და უნივერსალური მასშტაბურობაა... გენო კალანდიას ხელწიფება მუდამ იყოს განსხვავებული, ახალი, მოულოდნელი. მუდმივად მოძრაობაშია მისი პოეტური აზრი, ფიქრი,

---

1 შ. ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დათო აკრიანისა, თბ., 2008, გვ. 138

განცდა და გრძნობა. მასთან ყველაფერი ფერებით სუნთქავს. ეს ფერიც ცვალებადია, ფეროვანია მისი ძილი თუ ღვიძილი, სიხარული თუ წუხილი, სიყვარული თუ სიძულვილი: „რა უცნაური მზე არი, რა ადგილები სალხინო, იქნებ, მაცხოვრის სისხლია ეგ მზე და ღვინო სალხინო. იქნებ, წმინდანის ფრთებია ეს მოწითალო ღრუბელი, – ტაძრიდან ტაძრის ეზოში ღვთისმშობლის საჩრდილობელი. იქნებ, პატარძლის კაბაა, აგერ, ეს თეთრი შროშანი, – მსუბუქი, ნაზი, მხურვალე, ფრია და ჰაეროვანი. იქნებ, სადაფის მძივია ეს წყარო, სხივდაფენილი, სისხამზე, განთიადისას დედოფლის მკერდს მოწყვეტილი. იქნებ, კალმახის და არი ეს ცა, ეს წმინდა ყვავილი, – მდინარის სველი უბიდან უეცრად ამოყვანილი.“ („მზე, ღვინო და თებელი ქალი“). ასე ხატავს გენო კალანდია სულის მშვენიერებასა და სილამაზეს...

გენო კალანდია პოეტი-ფერმწერია, უნივერსუმის დიადი ძალა ათრთოლებს მის სულს: „ნატიფი სიტყვის ელვარებით ნიადაგ დაჭრილს“ მზის ღვთაებრივი ნაღველი აწვიმს და შემოდგომის ოქროს ტახტში მჯდომარეს ეზმანება „მაცხოვარი ცისფერი კრავით“...

სილამაზით და მშვენიერებით გათანგული პოეტი წერს: „მიბოძე, როგორც ცის კურთხევა, ღვთის მოწყალება, ქართული სიტყვის ჯავაირჩი, ჭირისუფალი“ ... გენო კალანდიასთან უფალთან მიახლოების ჟამია ღამე; „ხორხოცობს ღამე – ფეხადგმული ბებერი დევი, უფლის სახელით ანგელოზი მეძახის ზევით“ ... („ვარდი“).

დიდი გალაკტიონიც ღამის წიაღში ქმნიდა უანკარეს პოეტურ სტრიქონებს; „საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული, ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული“

გენო კალანდიას პოეზია გამოირჩევა არტისტიზმით, რომანტიკული პოზებით, არაორდინალური პოეტური ხატებითა და მეტაფორებით, სასწაულებრივი წარმოსახვებითა და უჩვეულო ხილვებით, რაც მას აშკარად გამოარჩევს თანამოკალმეებისაგან.

მაია ჯალიაშვილი წერს: „სიმბოლისტებთან პოეტის სახელი გადაიქცა ლეგენდად, მითად. „ლეგენდარული სახელები, – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი, – როგორც ქიმერები, ისე სდარაჯობენ პოეზიას. ისეთი სახელები, როგორიცაა ბართლომეს ღამე, საფირონი, სტრადივარიუსი, კალიოსტრო უფრო აღვიძებენ და ახელებენ პოეზიას, ვიდრე დიდი ურაგანები“[1]...

გენო კალანდიასათვის სამყარო რიტმებით სუნთქავს, რამეთუ პოეტისათვის ის ამაღლებული სულის ელემენტია, ადამიანის სულის თანასწორობის, მისი დიადი ენერგიისა და ნათელი რწმენის ჭეშმარიტი გამოხატულება. ის თავისი უშრეტი პოეტური წარმოსახვებით მხარს უსწორებს ცისფერყანწელებსა და ფრანგ პარნასელებს. მან პირად გრძნობებსა და განცდებს მისცა უნივერსალური ხასიათი, ამიტომაც გენო კალანდიას პირადი ტკივილი, განცდა თუ ფიქრი ზოგადსაკაცობრიო მასშტაბისაა. მისი დრამატიზმით აღბეჭდილი მსოფლმხედველობრივი ასპექტები ბედნიერად ერწყმის რეალობის სივრცეს დროში. მისი პოეზიის იდეურ-ესთეტიკური ელემენტები უნდა მოვიაზროთ მხოლოდ ზოგადუნივერსალური კულტურის არეალში, რამეთუ სრულიად განსაკუთრებული და არაჩვეულებრივია მის პოეზიაში წარმოსახული „სულის პეიზაჟები“ (გურამ ბენაშვილი), კერძოდ, უმთავრესია შორეულ

1 მ. ჯალიაშვილი, ქართული პოეზიის დენდები – ცისფერყანწელები, ნერილები, თბ., 2010,გვ.48.

პოეტურ ასოციაციათა აღქმის არტისტიზმი, როცა ლექსის ესთეტიკური ელემენტი კლასიკურ სიმაღლემდეა აზიდული: „სიყვარული გავხარჯე, ვხარობ სიტყვის მადანით, სული გაფოთლილი მაქვს სულ ქართული ანბანით. ხელისგულზე მიწყვია ზამთრის მინანქარები, ფრთები დალეწილი მაქვს მშობლიური ქარებით. მწუხრის შაბათ-კვირამდე დამრჩა ერთი ფიორი, ფუძე დალოცვილი მაქვს სულ ქართული მირონით...“ („ფესვები“) – ძალიან მეძვირფასება ეს სტრიქონები, სადაც მოვლენები, საგნები ფილოსოფიურ ჭრილშია გააზრებული და პოეტის განცდებს მეტ დამაჯერებლობას სძენს. პოეტი მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულის ჭეშმარიტი გამომხატველია. მისი გრძნობები პოეტური ხატებითა და მეტაფორებად კრისტალდება და მკითხველიც ცხადად გრძნობს განუზომელ სიყვარულს მშობლიური ფესვებისადმი, მხატვრული სიტყვის ძლევამოსილებას.

გურამ ბენაშვილი წერს: „პოეტური სიკვდილის შიშით, – აუცილებელია გვქონდეს ტალანტი და თქვენ წარმოიდგინეთ... ცოტა მეტიც“. პოლ ვალერის ეს გალანტური ირონია სრულიად ნათელს ხდის პოეზიის ბრძნული კოდექსის ერთადერთ იმპერატივს, რომელსაც არც არასოდეს გააჩნდა და არც მომავალში ექნება იგი“.

გენო კალანდიას მთელი ცხოვრება სრულად მიეძღვნა ოცნებათა და განცდათა ლექსად გარდასახვის ხელოვნებას. მან თავისთავში გააცოცხლა უჩვეულო მეტამორფოზები. საოცრად იშვიათია პიროვნება, რომლის სიტყვა და საქმე ასე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, განსაკუთრებით ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე... მის შემოქმედებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთიკურ-ზნეობრივი პოსტულატები, ყოველივე ის, რაც ამაღლებს და ასპეტაკებს ადა-

მიანს, სამყაროსა და საკუთარ მინა-წყალს სულ სხვაგვარად დაანახებს, სიღრმისეულად გააცნობიერებინებს, რომ ციხე კი არა, დიადია ციხის ნაშალი.

გენო კალანდიას სიცოცხლეს მისი ერის ზნეობრივი, გონებრივი და სულიერი შინაარსი განსაზღვრავს. მისი ლექსები, ფაზისის ვარდის სურნელით გამორჩეული კათარზისის ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს გაატარებს მკითხველს და მაღალ იდეალებზე სწრაფვის აუცილებლობას შეახსენებს.

„მწერალი იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ ფოთლებს რომ გაულხობს, გაყინულ ფესვებში გამლხვალ თოვლის თბილ ცრემლებს რომ ჩააწვეთებს, საიდანაც წითელ პეპელას რომ შეისვამს და ყვავილების მხრებზე რომ დასვამს“ (გოდერძი ჩოხელი).

სიმბოლოებითა და პოეტური ხატებით გამორჩეული ლექსი „თავისუფლება“ ის ესტაფეტაა, ეროვნული სულით და დიადი ენერგიით დამუხტული, რომ უნდა აზიდოს ცის თავანამდე პოეტმა. ... „შენი სახელით მივყვებოდი მთაწმინდის აღმართს, ქალაქის ბჭესთან ტყვიის შავი გულები ეწყო, როცა ფიჭვნარში, – ტაბახმელას საფლავზე გნახე, მაყაშვილების მეგონე დედა. როგორც მზის ბაკმი, როგორც განძი თვითალებადი, ხელიდან ხელში გადადიხარ, როცა უმართლოდ გექცევიან, მე ჭკუას ვკარგავ, შენს წითელ პერანგს საგანგებოდ ვიზომებ ტანზე, მიწისძვრასავით დრო-დრო ისევ საშიში ხდები, გველივით ყურის ნიჟარაში მიძვრები ისევ, ხერხემლის ზედა მალაზე დგები. გზაჯვარედინზე, მოედნებზე და აღლუმებზე მონატრებული თოვლივით გხედავ და... შტრაუსივით მეზრდება ფრთები.“

გენო კალანდიას მხატვრული აზროვნების ძირითადი მიზანი ისეთ პლასტიკურ სახეთა სისტემაა, სამყაროს ქაო-

ტურ მრავალფეროვნებას ლოგიკურად გამართულ ერთობაზე რომ დაიყვანს... თანამედროვე ქართულ პოეზიაში გენო კალანდიას, როგორც არაერთხელ მივანიშნეთ, სრულყოფილად აქვს გათავისებული ევროპული პოეზიის გამოცდილება, დაუფლებულია ქართული ლექსის ყველა სახეს, მოსინჯული აქვს ნაირგვარი ხმა, ინტონაცია და კილო. ვერსიფიკაციული ოსტატობითა და დახვეწილი სალექსო კულტურით, ის მაინც თავისებურ მოვლენად წარმოდგება ჩვენს სამწერლობო ცხოვრებაში... მისი ერთ-ერთი გამორჩეული თვისება მინიშნების ხელოვნებაა, რაც აუცილებელი პირობაა ქართული ლექსწყობის სისტემაში.

ოსტატურად გამოძერწილი პასაჟები მკითხველს აგრძნობინებს – როგორ ყვავილობს და მწიფს მარადმდინე აზრი ადამიანის ყოვლისშემძლეობისა... მისი პოეტური სამყარო სილამაზის, აღფრთოვანებისა და თაყვანისცემის საგანია. მან შთამბეჭდავად შეანივთა ქართულ და ევროპულ წინამორბედ პოეტთა მიღწევები და ერთიანი მონუმენტური ხელწერის ნიმუშებად ჩამოაყალიბა.

პოეტი გვაზიარებს ადამიანური ფიქრის შესაძლებლობების მაქსიმუმს. პოეტურ ენაზე მოგვითხრობს საიდუმლოებით მოცულ ზეციურ ქვეყნიერებაზე, რაც განუსაზღვრელ გავლენას ახდენს მიწიერი ყოფის მთელ შინაარსზე: „ცას გადაეხსნა პერანგი მოვის და ალაზანი ვარსკვლავებს კრეფდა... და ცისარტყელის შვიდფერი ტოტით შვიდი ქალწული მღეროდა ერთად. შორს ალავერდის ბრწყინავდა სვეტი და სვეტს ღვთიური სინათლე სცემდა, ვიღაცა გზაზე მიჰქროდა ეტლით, მიჰქონდა შვიდი ქალწულის სევდა“ ... ეს საოცარი ვიზიონი მკითხველის წინაშე თავისებურ რომანტიკულ მედალიონად სახიერდება და პოეტის განუმეორებელი სულის ესთეტიკის

ჭეშმარიტი ილუსტრაციაა.

ალავერდის სვეტის ღვთიური სინათლე რაღაც საოცარი ძალით ეხმიანება გალაკტიონის დიდებულ სტრიქონებს: „წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა_სიწყვდიადეში“.

სინათლითა და ემოციურობით, ლამაზი სევდითაა გაჯერებული ვრცელი ლექსი „ჩვენი სიმღერა ვაშლის ხეა აყვავებული“ ... თითოეული სტრიქონი ტკივილითაა დანაღმული, შთამბეჭდავადაა წარმოჩენილი ადამიანის ცხოვრების მთელი სამყარო, ჩვენი ერის ბედუკუღმართი წარსული და ქართული სულის ძლევამოსილი მისტერია... პოეტს მხატვრულად ტრანსფორმირებული სინამდვილე მოაქვს ჩვენამდე: „ფაზისი, ვანი ლეგენდებში, ზღაპრებში ყვინთავს, აღმოსავლეთი ატკაცუნებს ჩვენს მხრებზე შოლტებს ვით ხარის ქედზე. ჩვენი ნაღველი, ჩვენი ძმაა – ის მამელუქი, გაღმა ნაპირზე რომ დამდგარა და არსიანით ბუდესმოწყვეტილ ფრინველივით რომ იმზირება“. პოეტის ამ სიტყვებში ჩვენი ჯოჯოხეთური წარსული ირეკლება. ეს სტრიქონები მარტო წარსულს როდი მიემართება, არამედ აქაა ფიქრი ჩვენს დღევანდელობაზე და თანამედროვეობაზე. აქაა უზარმაზარი ტრაგედია ქვეყნისა, გულის სისხლში ამოვლებული რექვიემი მამულს მოწყვეტილი მამლუქების ბედის მოზიარე მამულიშვილების სულების საოხად... საინტერესოა ის ასოციაციები, რომლებსაც ლექსის შემდეგი სტრიქონები აღძრავს: „ჩვენ სიხარული მოვაგროვეთ არსენას პეშვით და დროშასავით გამოვფინეთ წინაპრის სული, მწუხარებისთვის აღარ გვცალია. გაზაფხულს ვკოცნით მწვანე შუბლზე და მუხლებზე ვუჩოქებთ მცხეთას, როგორც ღვთისმშობელს...“ ლექსი პოეტის ეთიკურ მრწამსსა და მო-

ქალაქეობრივ სახეს წარმოგვიჩენს. ქართული სულის უკვდავება, ქართული სულის დიდებული მომხიბვლელობა მზესავით ბრწყინდება. ქართველი კაცის მამულისადმი ერთგულება და თავგანწირვის უშრეტი ნიჭი სასწაულს ჰგავს. ამ სასწაულის გარეშე ქართულ სულს თავისი იდუმალი მომხიბვლელობა ეკარგება. პოეტი მთელი ქართველი ერის ქრისტიანული ზნეობის იდეალებზე ფიქრობს და ცხოვრების გზაზე გვმოძღვრავს, ეროვნულ-ზნეობრივ პოზიციას აყალიბებს... „ჩვენი ნაღველი, ჩვენი ძმაა – ის მამელუქი, გაღმა ნაპირზე რომ დამდგარა და არსიანით ბუდესმოწყვეტილ ფრინველივით რომ იმზირება“ ... გ. კალანდიას ამ სტრიქონებში ჩვენი მიწა-წყლიდან აყრილი მამელუქების უდრეკი სულია ჩაბუდებული. დღეს, საყოველთაო არეულობისა და ქაოსის ჟამს, პოეტი „ბუდესმოწყვეტილი ფრინველივით იმზირება“ ენგურსგაღმა დარჩენილ საქართველოსაკენ...

ლექსში „ტიციან ტაბიძის პორტრეტისათვის“ რიოში მარგალიტების სევდანარევი სინათლე ილანდება და ტიციანის ცხოვრების ეპიზოდებიც ცოცხლდება: „იყო მგოსანი სიტყვამზიანი და უმღეროდა კრწანისს, მარაბდას და, როგორც გრიგოლ ორბელიანი ორთაჭალაში იჯდა თამადად. ჰქონდა ოცნება უცხო ხილვები და ჩაფრენოდა მიწას ფესვებით, ადგა... ავარდა... და იებივით გადააყარა თბილისს ლექსები...“ – კითხულობ და გრძნობ პოეტის შემოქმედებით სითამამეს, მის ერთგულებასა და ძლიერ სიყვარულს მშობლიური ფესვებისადმი, მის შეუპოვრობასა და ლექსებისადმი, პოეზიისადმი ტრფიალს უანგარო თავგანწირვა კვებავს: „და შეახია ორაგულივით ათი გირვანქა გული ცხოვრებას,“ – ამ სტრიქონებით გენო კალანდიას უბადლო ნიჭმა შექმნა ტიციან ტაბიძის აბრისი. იგივე ღვთიური ხატი, რომელიც მუდამ იქნება სა-

ლოცავი ქართველი ერისათვის...

„მაშ რა არის პოეზია? რომელი დიდი მეცნიერი იტყვის რა არის სული? შეიძლება ადამიანის სიცოცხლის ყველა ნიშნის დადგენა, მათი გაანალიზება და აღწერა. პოეზიის განსაზღვრების მოძებნას მე შევეცდებოდი იმ შთაბეჭდილებაში, როცა ლექსი აღძრავს მკითხველში გაოგნებას, გამოჰყავს თავისთავიდან და ზმანებაში გადააგდებს, ან პირიქით, აიძულებს ჩაუღრმავდეს საკუთარ სულს იმდენად, რომ თვალებში ჩახედოს ყოფნასა და ბედისწერას, ამ ნიშნით გამოიცნობა პოეზიის წარმატება.“[1]

გენო კალანდიას ყოველი სტრიქონიდან მირონივით იღვრება პოეტური მშვენიერება, „ო, გიხაროდენ ღრუბელი მზეზე დაქორწინდა.. ბერიკაცო, გამოდი გარეთ, გუგულის კაბა, ფურისულა მოსულან სტუმრად, ხსოვნის ქარი ქრის“ ... მის პოეზიაში „ხსოვნის ქარი ქრის“ და რა გასაკვირია, რომ სწორედ აქ, ამ ქარში გინდოდეს დგომა“ (ნონა კუპრეიშვილი)... პოეტური მშვენიერება წარმოჩინდება თვით იმ ლექსებში, სადაც დრამატული სიტუაციებია: „რისი ეგვიპტე, ვისი მიდია, აგერ, შენს თვალწინ გოგოს ყიდიან, ყიდიან... ჰოი, როგორ ყიდიან? ცა ისე წყნარი... ისე მშვიდია, რისი ეგვიპტე, ვისი მიდია? ნიკოფსიიდან დარუბანდამდე დღემდე, ო, დღემდე ისე შორია, ვით მაცხოვრისგან ხისტი ჰეროდე, ვით მეხთატეხა.. და ჰარმონია!“ („გოიას მოლანდება“) – აქ პოეტის განცდებითა და ფიქრებით მკაფიოდ გამოიკვეთება თანადროულობა. ჩვენს წინაშე ცოცხლდება თეთრ პერანგიანი დასასჯელის შეშლილი სახე: – „ქალის ჩონჩხივით შიშის მომგვრელი გზას მისდევს ვერცხლის ბზა და ურთხელი, ტაძრით გამოჰყავთ ოთხი მორ-

1 ჟ. პომპიდუ, ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობა, ,,ჩვენი მწერლობა“, 19 მარტი, 2010.

ჩილი, ოთხი ქალწული – სიტყვაუთქმელი. ო, მათი ლოცვა, სევდა უმანკო, ღმერთო, მომავალს არ დაუკარგო!"

მართლაც, შეუძლებელია არ აგაღელვოს შენი საცხოვრისის, სამშობლოს ძნელბედობამ, მაგრამ როცა ამას ზედ ერთვის მძაფრი პოეტური განცდები, ეს მით უფრო საგრძნობია და მაინც, ამ ტრაგიკულ სიტუაციაში პოეტი გვამშვიდებს და იმედის სხივით აგვანთებს. „ო, მათი ლოცვა, სევდა უმანკო ღმერთო მომავალს არ დაუკარგო" – ამ განწყობილებით, ლოცვის მადლითა და ძალით მივყავართ პოეტს თავისუფლებისკენ. გულისჭიდილი და სულიერი რყევა ხვეწს ამაღლებულ განცდებს, სილამაზითა და მშვენიერებით ავსებს პიროვნებას, მთელი ეს სურათი მშვენიერების დღესასწაულია... „სილამაზე, სიმშვენიერე, უმაღლესი განცდა და ჭეშმარიტება" (ეს ტერენტი გრანელია)

„ღმერთი ჩემშია და მე ვქმნი ბედისწერას," – წერდა პოეტების მეფე.

ვლადიმერ ალეინიკოვი წიგნში „ხმა და სინათლე" (ეძღვნება ყველაზე ახალგაზრდა გენიოსთა ბოჰემურ ცხოვრებას) გენო კალანდია წარმოჩენილია, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი საინტერესო და თვალსაჩინო პოეტი.

წიგნის ავტორი საქართველოზე საუბრისას სიამაყით იგონებს ძმები კალანდიების ოჯახში (სოხუმში) გატარებულ დროს, ხაზს უსვამს მათ დიდ ესთეტიზმს და შემოქმედებით მუშაობას: „წიგნზე „ყოფა და მუსიკა" მუშაობის დროს სერიოზული შრომა მიწევდა. დიდი ხნის წინ ვოცნებობდი მეთარგმნა გალაკტიონი (ასე, სახელით ეძახიან მას საქართველოში). მახსოვს ჩემი გაოცება სოხუმში, ძმები კალანდიების ოჯახში, 12 ტომიანი თხზულებათა კრებულით. ყოჩაღ, ყოჩაღ. ამას ჰქვია მუშაობა! ალბათ ჩემნაირად თუ თვლიან თავიანთ მას-

წავლებლადმეთქი. მიკითხავდნენ მის ლექსებს და ვგრძნობდი, რომ ეს იყო რაღაც უზარმაზარი, მშობლიური და ახლობელი ჩემთვის. მე ვუსმენდი გალაკტიონის ლექსებს და ჩემს თავს ვამზადებდი მომავალი ურთულესი მუშაობისათვის, გალაკტიონის პოეზიის თარგმანისათვის" [1]...

„ჭეშმარიტებისა და მშვენიერების საუფლოში, უკვდავების ცისფერ მხარეში," – ისწრაფოდა ტ.გრანელი.

საყოველთაო არეულობის, ქაოსისა და უსამართლობის ჟამს მზეჭაბუკი პოეტი დათა გულუა იტყვის: „მაინც დაფრინდნენ მერცხლები გვერდით, იდუმალ ფრაზებს ჩუქნიან ერთურთს. მზეო, გავფრინდეთ, სულ ზევით, ზევით, სადაც შევხედავ მომავლის თეთნულდს" („სახურავზე ნარითმი").[2]

გენო კალანდიასათვის პოეზია ბედისწერაა. „ბედნიერი ვარ! – ხელთ მიჭირავს ქართული ქნარი და სიტყვა მრჩება, ვით ნამდვილი ზურმუხტის კვარი, საფლავის ბორცვზე გაზაფხულის ამოდის ია", – „ზურმუხტის კვარი" და საფლავის ბორცვზე მბრწყინავი ია პოეზიის უკვდავებაა.

და თუ გალაკტიონისათვის პოეზია „სხივისთვის უხილავ ფარულის" წვდომაა: „და როგორც ასომთავრულს, მუდამ შევამჩნევ ცაზე სხვისთვის უხილავ ფარულს", პოეზიის ასეთ გაგებას ეხმიანება და ჩვეულებრივი მოკვდავისათვის „უხილავ-ფარულია" გენო კალანდიას პოეზია. პოეტის ცხოვრება – ეს დიდი ცხოვრებაა, მაგრამ მარადიულობასთან წილნაყარი, იმ რწმენით, რომ „განიხვნა კარი... გადმოიფრქვა უეცრად მნათი, ვიხილე ცხადად ყოვლიწმინდის მზისფერი კვართი და უფლის ფერხთით საკუთარი სიკვდილის კვირა" („მზისფერი კვართი").

---

1 ალეინიკოვი ელადიმერი, ხმა და სინათლე, მოსკოვი, 2004. გვ. 461.

2 გულუა დათა, მე მაინც მიყვარს ის სასწაული... თბ. 2009. გვ. 34.

პოეტი სიცოცხლის, სიკეთის ზეიმს მხოლოდ მზესთან მიახლოებაში ხედავს. ყოვლიწმინდის მზისფერი კვართი მისი პოეტური ხელოვნების ტრიუმფია და კეთილგონივრულად წინასწარმეტყველებს ნათელ მომავალს. „მესამე თვალის სხივნათელით," „მკვდართა წიგნით" და „მარტვილის კვარით" მოკრძალებით ცდილობს შეაღოს ცხოვრების კარიბჭის კარი და აღმოაჩინოს მისთვის ახალი სამყარო. „მე ვისაც მერგო მშობლის ჩანგი და პოეზია, აღმოვაჩინე ქალაქები, სოფლები ძველი, ფერი – მუსიკა, მოძრაობა და მისთანანი, აღმოვაჩინე ხელახლა ჩემთვის" (პირამიდა).

ეს ახალი სამყარო იქნება, ალბათ, პოეტის სულის პირამიდა. ეს იქნება გენო კალანდიას პოეზიის უკვდავება, მისი პოეზიის ჭეშმარიტი დღესასწაულიც...

გენო კალანდიას პოეტური სტილისტიკის, მისი პოეზიის არსებითი ნიშანდობლიობა მაინც, ვფიქრობ, დინამიურობასა და რიტმულ-ინტონაციურ მრავალგვარობაშია, რომელიც უშუალოდ მისი პოეტური ენერგიიდან მომდინარეობს. ეს დინამიურობა კი ღვთაებრივი შთაგონებაა. დიახ, უფლისგანაა მხოლოდ მონიჭებული ასეთი ექსტაზური ხილვები, თავისთავადი და ინდივიდუალური, რასაც სხვა კალმოსნებთან იშვიათად, ანდა საერთოდ ვერ ვხვდებით... მის ესთეტიკურ სემანტიკურ ველს ძირითადად ახასიათებს გამეორების პრინციპი, რაც შემოქმედის ინდივიდუალური ხედვისა და პოეტური სახეებით აზროვნების თავისებური მანერის ჭეშმარიტი დასტურია. პოეტის ორიგინალური გრაფიკული სტრუქტურა საგანგებო შესწავლას მოითხოვს და ამიტომ ამ პრობლემაზე დაწვრილებით საუბარი ერთობ რთულია. მაგალითისათვის მოვიხმობ ერთ ლექსს: „პოეტი კოვბოია, ხელხვავი, ოდოია. მუხაა, კოპიტია, ფშავური მოტივია. მირაჟი, ფანტომია, წმინ-

დანის სასწორია, დროდადრო პასტორია. მაისის ირისია, ირისის ივლისია, მკათათვის ტფილისია. წყალუხვი იორია, ღვთიური მინორია, აკაკის სხვიტორია, მზისფერი ტიროლია... დროდადრო ღვთისშვილია, ღვთის განძი – გიშერია და მაინც შიშველია... დროდადრო სიკვდილია, დროდადრო იდილია, ქართული მითოსია, – მესხური სიმფონია! პოეტი, – კაპოეტი, – ნამდვილი პოეტია!" („პოეტი"). ლექსი ეძღვნება პოეტის უფროს ძმას – რენე კალანდიას, რომელიც თავის ძმებთან ერთად უმშვენიერეს ნაწარმოებთა „გამოკრისტალების დიდოსტატია".

ლია სტურუა წერს: „... პოეტი, როცა თვითონ ვერ წერს, შეიძლება არ დალიოს, მაგრამ აუცილებლად რაღაც სევდიანსა და დარდიანს გააკეთებს, რადგან ყველა მწერალს შეიძლება დაეუფლოს ასეთი შიში, სუფთა ფურცელთან მისვლის შიში, როცა არ იცი, შეიძლება თუ არა რამე დაწერო, მაგრამ... იმასაც ფიქრობს, რომ ასეთი დარდი და სევდა, რაც ამ ადამიანებმა გადაიტანეს, რამაც ასე შეძრა მათი სული და გული, ძალიან კარგ ლექსებსა და მოთხრობებს აწერინებთ, ეს ის ტრაგედიაა, რომელსაც სულიერი კათარზისი მოჰყვება თურმე... პოეტის ცხოვრება დაუსრულებელი ბრძოლაა სიტყვის მოსათვინიერებლად"[1]...

ზემოთმოტანილ ლექსში სიტყვები ყალყზე დგება, პოეტი დაუსრულებლად ეძებს ახალ-ახალ სიტყვებს და პოულობს კიდეც. ლექსი თავისი დინამიკით იქცევს ყურადღებას, სიტყვათა გამეორებით იზრდება ლექსის ემოციური ეფექტი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, სავსებით ახალ-ახალი აზრებით იტვირთება ყოველი სიტყვა. მსგავსი ლექსები ძალიან ბევრია

1 ლია სტურუა, წერილში „მათ ჯადოსნური ქუდი ახურავთ", „ჩვენი მწერლობა", 20 აპრილი, 2012, გვ.41

გენო კალანდიას ფერწერულ სამყაროში. აი, თუნდაც: „ერი – ერს, ბერი – ბერს, მრევლი – მრევლს, ფერი – ფერს, ლელი – ლელს, გველი – გველს, ხმელი ხმელს, რთველი რთველს აღარ ჰგავს“ ... გული გულს, ხნული ხნულს, სული – სულს, წყლული წყლულს, წული წულს, მული – მულს, ცული – ცულს, თული – თულს... თულს... კომლი კომლს, ხომლი ხომლს, ლომი-ლომს, თოვლი-თოვლს, მოლი-მოლს, ბროლი-ბროლს, ქორი-ქორს, სწორი სწორს აღარ ჰგავს... თქვენ თურმე ზღაპარს თხზავთ, თქვენ თურმე ხშირად სვამთ – არაყს სვამთ! ღვინოს სვამთ! სვამთ! სვამთ! სვამთ! სვამთ! რატომ სვამთ“?

მოხმობილი ლექსის პოეტური სემანტიკა და ესთეტიკური ეფექტი ძირითადად გაპირობებულია სინტაგმურ წყვილთა მონაცვლეობით და ბოლოს სიტყვათა გამეორებით: „ზღაპარს თხზავთ, თქვენ თურმე ხშირად სვამთ, არაყს სვამთ! ღვინოს სვამთ! სვამთ! სვამთ! სვამთ! რატომ სვამთ?“

ნებისმიერი სიტყვის გამეორება დიდ ესთეტიკურ და ემოციურ დატვირთვას იძენს გენო კალანდიასეულ ლექსის სტრუქტურაში, ლექსიკურ ერთეულთა, თუ ცალკეულ სიტყვათა გამეორება პოეტის ღვთითმომადლებული ნიჭის უჩვეულო გამონათებაა... ასეთივე ევფონიური და სემანტიკური თავისებურებითაა გამორჩეული მუხრან მაჭავარიანის დიდებული პოეზია. აი, თუნდაც: „ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული, გადადიოდა გულიდან გულში, გადადიოდა, გადადიოდა, გადადიოდა და მოდიოდა, გადადიოდა, გადადიოდა, გადადიოდა და მოდიოდა, გადადიოდა და მოდიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა, ვითარცა მტკვარი“, ან კიდევ: „მზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა, მამალი ყიოდა, კვამლი ადიოდა, ვიღაცა ტიროდა, ვიღაცა ჩიოდა, ვიღაცას შიოდა, ვიღაცას ციოდა და

დრო გადიოდა" ...

ალექსანდრე ბლოკი მიგვანიშნებდა: რომ „სიმბოლისტები ცდილობდნენ სიტყვათა ნაწყვეტებში განეჭვრიტათ ამიერ სამყაროთა ბუნდოვანი მოძრაობა".

გურამ ასათიანი კი წერდა: „სიმბოლისტებს ხელოვნების იდეალურ სახეობად მუსიკა მიაჩნდათ, მუსიკა, რომელიც მთლიანად გათავისუფლებულია ცნებებისაგან, მსჯელობისაგან, მათ წარმოუდგებოდათ წმინდა ემოციური თვითგამოხატვის იდეალურ ფორმად. მათი რწმენით, პოეზიაშიც უნდა გამოძებნილიყო ადეკვატური საშუალებები, ახალი ხერხები, მეტყველების სპეციფიკური მანერა, რომელიც ადამიანის სულის საიდუმლო მუსიკას გადმოსცემდა"[1].

გენო კალანდიას ფერწერული ლექსები მუსიკალურ ნაწარმოებებს გვაგონებენ. სიტყვა მისთვის ცოცხალი, ბუნებრივი უჯრედია სხეულისა, ისევე თავისუფლად და ლაღად რომ ამოდის მისი სულიდან, როგორც ლორთქო ბალახი მიწიდან.

გენო კალანდიას „პოეტური ხელოვნება" სავსებით გამორჩეულია და მუსიკალური. პოეტმა მთელი კოსმიური სამყარო, ბუნების რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენები სინათლითა და სითბოთი გამსჭვალა და „დაპირისპირებულსა და ანტომურ" თვისებებში ერთი მთლიანი, განუყოფელი საფუძველი შენიშნა.

„ჩვენი მიდრეკილება მუსიკისადმი არის სულის წმინდა სასიცოცხლო ფორმის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი", – წერდა გალაკტიონი.

მიხეილ კვესელავა „პოეტურ ინტეგრალებში" წერს: „ია ეკალაძეს, გალაკტიონის საყვარელ მასწავლებელს უთქვამს მოწაფისათვის, შენი ლექსები არ იმღერება, აზრი სრესს

1 გურამ ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1995. გვ. 327

მუსიკასო, გალაკტიონს უპასუხია: „განა აზრი მუსიკა არ არის?! განა აზრი და მუსიკა ჰარმონიულ წყვილს არ ქმნის სტრიქონებში: „მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე, საამო, ნაზი, უხავერდო და უვნებელი, ჯერ დააგუბა თეთრ ღრუბლებში იების ღვარი და გადაღვარა სირიის ნელსაცხებელი“ ...

რაღაც იდუმალი შინაგანი ენერგია ამოძრავებს მის ეროვნული სულით ამაღლებულ მუსიკალურ ნაწარმოებებს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ლექსი „ჰამლეტის ლაბადა“: „ცხოვრება ცის ნამია, ღვთის მადლი, მზის არია. ულისე, ბოვარია, ფრესკაა, რომანია, მესაა, ქორალია, მზისფერი შროშანია... მითია, ლეგენდაა, ლეთაა, მარაბდაა, ჰამლეტის ლაბადაა. სიცოცხლე ადვილია, სიკვდილი მარტივია. აქ ახლოს მარტვილია, აქ ახლოს მარტვილია...“. ან კიდევ: „ო, რიო-ლიო, ო, ლიო-რიო, მაჩუქე შენი მხურვალე კოცნა, ო, თუნდაც ერთხელ შემოგხსნა წელზე ვერცხლის სარტყელი და სამკაული. ო, რიო-ლიო, ო, ლიო-რიო, ფორთოხლის ხეებს ეხვევა მუმლი, ლურჯად ციმციმებს გვადალკვივირი და ცხელი, როგორც გამდნარი ტყვია, გულზე ლაჟვარდის მეცემა სხივი. ო, რიო-ლიო, ო, ლიო-რიო, კარგია ღამით თივა და ქარი, უფრო კარგია ქალი და თივა, ჩავა, ჩაყვება ბარძაყებს ხელი, ვით არყის ხეებს სინათლის ჩქერი“ („ესპანური რიო-ლიო“).

შემოქმედებითი ინსტიქტის, ესთეტიკური ალღოს, ბედნიერების, სიხარულისა და თავისუფლების, მარადიული სიჭაბუკის უიშვიათეს წამებს ჩუქნის თაობებს გენო კალანდიას არტისტული წარმოსახვა. მთელი პოეზია საოცარი მელოდიურობით გამოირჩევა, ყურს უგდებ მის პოეტურ სიტყვას, ხელშესახებად ხედავ მის უჩვეულო მეტაფორებს და უნ-

ებლიედ გიჩნდება ქართული პოეზიის უკვდავების განუმეორებელი ასოციაციები.

მიხეილ კვესელავა გ.ტაბიძეზე წერს: „ჩვენ მივდიოდით ტაძრისაკენ ორიო“, წერდა გალაკტიონი. ის ერთიც და მეორეც თვითონ იყო... ის მესამეც თვითონაა თუ მაინცდამაინც ცალ-ცალკე წარმოვიდგენთ, ერთი – გენიალური პოეტია, მეორე – ძალად აქტიორი ჰამლეტი, მესამე – დაიმონი, რომელიც მის სულში მძვინვარებს.

გალაკტიონი იღებს რაღაც ძლიერ შთაბეჭდილებას, შემდეგ ეს შთაბეჭდილება ლარნაკივით იმსხვრევა და რჩება ცალკეული ფრაგმენტები, რომელთაგან ის თავის წარმოსახვაში სახეთა ახალ მოზაიკას ჰქმნის... ეს ძერწვას ჰგავს“[1]...

მკითხველის ხსოვნაში სამუდამოდ რჩება გენო კალანდიას უაღრესად პლასტიკური ოქსიმორინი, ოდიშის შაშვი ბერის, მონაზვნის, წმინდანის საშვით ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე.

გენო კალანდიას სიმბოლიზმითა და ხატებით იქმნება უჩვეულო მოზაიკა, ლექსწყობის არნახული ინტონაციებითა და კეთილხმოვნების სასწაულებით, ახალ-ახალი ექსპერიმენტებით. აზრის სიღრმე და სინატიფე, შინაგანი ამბოხი, მაგრამ მაინც საოცარი ლირიზმი, რომელიც შერწყმულია რეალობასთან სევდანარევი სიყვარულით ავსებს მკითხველს...

ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (8 თებერვალი, 2013) დაიბეჭდა გენო კალანდიას „შუმერული ფირფიტებიდან ამოკითხული პიქტოგრამები“ და პოემა „ჩითის საბანი“.

ჩვენი დროის პოეტი-დენდის საღვთო სიბრძნით აელვარებული პოეტური სიტყვა შუმერთა ენას გააცოცხლებს და სრულიად ახალ სამყაროს გადაგვიშლის და არის აქ ის, რასაც

1 მ. კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977

ფორმისა და შინაარსის ჰარმონიას უწოდებენ. პოეტს ესმის შორეული წარსულის ხმა, თითქოს ცხადად ხედავს „ლომიჟით მშვიდსა და უძლეველ ენქიდუს," უჩვეულო პოეტური ინტუიცია უნდა გქონდეს, ვიღაცა ლერწმოვანებში შენიშნო და ისიც: „ბალახზე ქალისა და მზის სხივია, ბალახზე ვნება და თაფლუჭია, კედარის ტყეში მიდის ენქიდუ". პოეტის ფანტაზიას ლაგაშის მზის ქალწული დაულანდავს, რათა აქვე მიგვანიშნოს კედარის ტყეში მიმავალ ენქიდუზე, რომელიც სავსეა „თესლით და მწიფე ნაყოფით" ...

გენო კალანდიას მეტაფორული სტილი მხატვრული შედარებითურთ ამაღლებული და დახვეწილია, იგი სრულიად ახალ-ახალი შინაარსის ხატ-სახეებს ძერწავს და საოცარი სურათის მოწმეს გვხდის: „და მამრის ყველა მაგარ კოცნაზე, და მამრის ყველა ახალ ალყაზე, ქალი შრიალებს უსურვაზივით, ქალი ღრმად სუნთქავს უსურვაზივით" ... მიგნებული და პოეტური ინდივიდუალობით აღბეჭდილი სახეებია: „ვარსკვლავი ვარდყვავილთა", „ლერწამი შტომრავალი" („დუმუზი"), „ყანა ხარ სასურველი, ხორბალი ოქროსფერი. წყარო ხარ – წყაროსთვალი ლაჟვარდი მოსახნავი. ლერწამი შტომრავალი ღმერთების სანატრელი. ტაძარი, სამლოცველო, იმედი ნაღვლიანთა. მეურვე, მეპატრონე ცოდვილთა, განკიცხულთა. ვარსკვლავი – ვარდყვავილთა ეტლიდან გადმოსული. მოვედი სალამურით, ჩემი ხმა გაგაგონო. მოვედი ნაკვერჩხლებით შენი ცა გავანათო... მწყემსი ვარ ჭეშმარიტი, ურუქის დედოფალო!" ლირიკული პერსონაჟის ურუქის დედოფლის ბედისწერას ასე გამოხატავს პოეტი: „მიდიან... მიჰყავთ უდაბნოს გზებით ურის, ურუქის დიდი ღმერთქალი, მიდიან... მიჰყავთ ქვესკნელისაკენ ანგელოზივით ტანფეხშიშველი... მიდიან... მიჰყავთ წყვდიადი სახლში უდაბნოს გზებით და საძოვრებით,

ურის, ურუქის ცის დედოფალი.“

გენო კალანდიას შუმერული ფირფიტებიდან სრულიად ახალი შინაარსი იხსნება თანამედროვე მკითხველის წინაშე. პოეტი შთამბეჭდავად აცოცხლებს შუმერთა ვნებებს და უღმერთო ეპოქაში, წყვდიადში გვაბრუნებს, სადაც რაღაც საოცარი ჯადო-თილისმით ბრწყინდება მარადიული ნათელი. „ცოლის ერთგული ურუქელის ლექსი“ (V დაფა). პოეტი სულიერებით და რწმენით შუმერთა ერთგულებასა და ოჯახის სიწმინდეს მიაყურადებს, რათა ამით იქადაგოს წარუვალი ღირებულებები: „იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულები და სინათლის ჯავშნით შემოსილები.“ (წერილი ეფესელთ მიმართ. 9.6.14).

„სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება“. (1.კორიანთელთა, 14,8.).

„ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი, ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი“. (იქვე, 14.12).[1]

რწმენის ერთგულებით, თავაწყვეტილი სიყვარულით მიაპობს პოეტი წყვდიადს და მიუხედავად იმისა, შორსაა დარჩენილი შუმერების ეპოქა, ურუქელი რაინდის სახეს მითოსური შარავანდედითაც შემოსავს და სიყვარულის სასწაულმოქმედი ძალით გულანთებულს მონუმენტური იერით წარმოაჩენს: „სასახლე მთხოვე, მხევლები მთხოვე, გარდა იმ ერთი ლერწამისა. ყანები მთხოვე, ბაღები მთხოვე, გარდა მისი გიშერნაწნავისა. მდინარე მთხოვე, არხები მთხოვე, გარდა მისი ბაგე-ბადაგისა. უდაბნო მთხოვე, ძროხები მთხოვე, გარდა მისი ერბო-კარაქისა. ბეღელი მთხოვე, ფინიკი მთხოვე, გარდა

1 ახალი აღთქმა და ფსალმუნები, თბ., 1998, გვ. პავლე მოციქულის პირველი წერილი კორინთელთა მიერ, გვ. 376.

მისი მუხის საწოლისა. დიდი მზე მთხოვე, დიდი ცა მთხოვე, გარდა მისი მორჩი ლაჟვარდისა“.

გენო კალანდიას პოეტურ ხილვებში ცნობიერდება გრძნობები, განცდები და მარადიული სიყვარულის სიმბოლოდ დადგინდება...

„ჩითის საბნის“ ქვეშ გაერთიანებული ცხრამეტი ტრიოლეტი შთამბეჭდავად წარმოაჩენს მისი პოეტური სულის ელეგანტურობასა და პოეტური აზროვნების მასშტაბურობას... სიუჟეტის ქარგა ასეთია: მწერალი მოსე გვასალია სათუთად ინახავდა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ორთაჭალის ციხეში დატოვებულ ჩითის წითელ საბანს, რომელიც თან წაიღო გადასახლებაში. ათწლიანი პატიმრობის შემდეგ ოჯახს დაუბრუნა, როგორც ძვირფასი რელიქვია.

მოსე გვასალიას ამ რაინდული საქციელით მოხიბლული პოეტი გვაზიარებს დიდ ტრაგიზმს გადაჯაჭვულს საქართველოს ბედისწერასთან. პოეტი გვამოგზაურებს ადამიანური განცდებისა და ფიქრების სამყაროში და მოსე გვასალიას სახესაც გააბრწყინებს. ლირიკული სტრიქონებით წარმოაჩენს პერსონაჟის სულში ატეხილ ქარიშხალსა და სიყვარულით ათრთოლებულ გულისფეთქვას: „მამის ძვირფასი პერანგის დარად, ჩითის წითელი საბანი მიაქვს და ერთი პეშვი ქართული მიწა, მამის ძვირფასი პერანგის დარად. გაივლის ათას სოფელს და დაბას, – ჯოჯოხეთის და სიკვდილის ზიარს, მამის ძვირფასი პერანგის დარად, ჩითის წითელი საბანი მიაქვს...“

როგორ მსუბუქად და უზუსტესადაა დაჭერილი ლირიკული პერსონაჟის განცდა. პოეტური წარმოსახვა მთელი არსებით გვიმჟღავნებს ფარულ და თავჩენილ პოტენციას, რამეთუ დაფარვა შეუძლებელია და პოეტური ინტონაციების

ხვეულებში იკითხება არა მარტო ადამიანის სულიერი ტრაგედია, არამედ ეპოქის სულისკვეთებაც: „ძაღლი ძაღლს მისდევს, ბადრაგი – ბადრაგს, წუხელ ბანაკში დაიწყო ბუნტი. პირისპირ დგანან ძაღლი და ქურდი, ძაღლი ძაღლს მისდევს, ბადრაგი – ბადრაგს. ეს არის ძულვის და ცოდვის საგა, – ნაჯახი, ტყვია და სისხლის გუბე, ძაღლი ძაღლს მისდევს, ბადრაგი – ბადრაგს, წუხელ ბანაკში დაიწყო ბუნტი“...

გენო კალანდია საქართველოს ბედუკუღმართი ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ შრეებს წვდება და მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრების უმძიმესი ეპიზოდი გამოაქვს სამზეოზე. ფანტასტიკური საბურველით შემოსილი, მაგრამ ჭეშმარიტი სიმართლე და ეპოქის ძალმომრეობაც მთელი სიმძაფრითაა გადმოცემული.

„ჰოდა, მწუხარე ხილვებმა მატერიალური სახე უნდა შეიძინონ, რათა ერთი კაცის ბედისწერაც შესაფერისად განზოგადდეს და მთელი ერისაც“ (როსტომ ჩხეიძე).[1]

უნიკალურია თითოეული ტრიოლეტის მხატვრული ქსოვილი, პოეტის შთაგონებას ბედნიერად ერწყმის გამოხატვის ფორმის არაჩვეულებრივი სრულყოფილებაც.

ლექსის რიტმი ირღვევა და ელვის სისწრაფით შემოიჭრება ტრაგიკული ინტონაცია მხატვრულ ქსოვილში: „ყინავს და ცივა, ყინავს და ცივა, სოფელში მგლების ყმუილი ისმის, გულშემზარავი ქარივით ხისტი. ყინავს და ცივა“ ... და პოეტის წარმოსახვა გამოხატავს ტკივილებისგან გასენილ გულში გამოტარებულ ტრაგიზმთან ერთად ტკბილ განცდას. „ყაყაჩოსავით გახსნია პირი, უბრალო ჩითის ალისფერ საბანს და ჰყვება ერთი ტანჯულის ამბავს, ყაყაჩოსავით გახსნია პირი. როგორ ჩაასხეს ხახაში კუპრი, როგორ უმსხვრევდნენ სისხ-

1 რ. ჩხეიძე, ერი და ბედისწერა, თბ., 2010. გვ. 214-240

ამზე სახსარს, ყაყაჩოსავით გახსნია პირი უბრალო ჩითის ალისფერ საბანს“ ...

ლექსის შინაარსი, მისი ყველა დეტალი, მართალი, ყურადსაღები, დამაჯერებელი და მისაღებია, რითმისა და რიტმის უჩვეულო მუსიკალურობით დამშვენებული ღვთიური მადლის გამოსხივებაა. მთლიანად გიმორჩილებს, მთელი სიმძაფრით განიცდი XVI ტრიოლეტში არეკლილ სინამდვილეს: „ოდეს მიადგა ოსტატის ოჯახს, ხელი ვარდივით შეახო საბანს, ფრთხილად და ნაზად, ფრთხილად და ნაზად, ოდეს მიადგა ოსტატის ოჯახს. ვით საქართველოს ხმალი და დროშა, სხივებს აფრქვევდა საბანი ქალაქს, ოდეს მიადგა ოსტატის ოჯახს, ხელი ვარდივით შეახო საბანს.“ რარიგად ესაძირკვლება ეს სტრიქონები გენო კალანდიას პოეტურ სულს, მის უკეთილშობილეს ბუნებას, ესაა სიკეთის, მადლიერების, მარადიული სიცოცხლის ჭეშმარიტი დღესასწაულიც...

ბოლო ტრიოლეტი: პოეტი უცნაურ სიზმარში ექსპრესიული მძვინვარებით გადმოგვცემს სოხუმის დაცემის დღეს: „იმ შაბათ ღამეს, იმ ცოდვის ღამეს, შენ და ოსტატი მესიზმრეთ ერთად, იდექით ზღვისპირ – ფორთოხლის ხესთან, იმ შაბათ ღამეს, იმ ცოდვის ღამეს. თავს დაგნათოდათ ქართული მთვარე, როგორც ოდესღაც ბაგრატს და ბექას... იმ შაბათ ღამეს, იმ ცოდვის ღამეს შენ და ოსტატი მესიზმრეთ ერთად“.

ეს სტრიქონები იდეის სტილისტიკით ორიგინალურია. პოეტს ესიზმრება მშობლიური აფხაზეთი, ენგურსგაღმა დარჩენილი საქართველო და ეს სევდიანი სიზმარიც უნიკალური ხილვებითაა დატვირთული. ამბავი, მოქმედება წარმოსახვის ლოგიკის მშვენიერ საბურველშია გახვეული და რაღაც საოცარი სითბო, სინათლე შემოაქვს ზღვისპირას მდგარ ფორთოხლის ხეს, რისი სიმბოლიკითაც პოეტი შლის დროის საზ-

ღვარს, მიხეილ ჯავახიშვილის ამაღლებულ პორტრეტსაც გამოკვეთს და ყველასათვის საცნაურს გახდის საქართველოს მწარე ბედისწერასაც...

გენო კალანდიას პოეტური ქვეყანა მის უსასრულო მრავალფეროვნებაში იმ მარადიული სილამაზის იპოსტასია, რომლის პირველსახე სამყაროს ყველა ფორმისა და მოვლენაში გამოკრთის... მხიბლავს გენო კალანდიასეული მუსიკალური რიტმი, რაღაც შორეული იდუმალი ასოციაციები. და მაინც, მის მრავალხმიან, მრავალთემატურ სახეობრივ გრადაციებს ჰარმონიულად აერთიანებს სევდიანი ტონალობა, რომელიც თავისი შეფერილობით მეგრული ხალხური სიმღერის კილოს ეხმიანება და პენსა და ლაზათსაც ალბათ იქიდან იღებს. ვფიქრობ, მასავით არავის უგრძვნია „მიწის დედობა“, ნამდვილი ქართული ტემპერამენტი ხალასი მზით დაფენილი. ხალასი ქართული სულით საკაცობრიო იდეალებს ეხმიანება და ყველგან, მუდამ და ყოველთვის იცავს ქართველი კაცის უფლებას, „ტანჯვა, სინანული, განწმენდა და განუწყვეტელი ლტოლვა ღვთის სიტყვისაკენ“ (მაკა ჯოხაძე) – აი, ძირითადი შეგრძნებები, რომელთაც გენო კალანდიას პოეზია ბადებს.

საქართველოს გინდისფერ გზებზე

„გენო კალანდიას ფაქიზ ლექსებში ცოცხლობს პარნასული და სიმბოლისტური ტრადიციები. იგი ცხოვრების მღვრიე ნაკადში ეძებს ლამაზსა და მშვენიერს, არტისტულსა და ამაღლებულს. ამიტომ მოუხმობს ესოდენ ხშირად მითოლოგიურ და ისტორიულ ლანდებს. ისინი დავიწყების ღამეს მოარღვევენ შორეული ზეციდან, რათა კიდევ ერთხელ გაცოცხლდნენ ლირიკულ წარმოსახვებში. მაგრამ გენო კალანდიას პოეტური საყრდენი არის კოლხეთი, მშობლიური ადგილები, რომელთაც ზმანების ნისლეული მოსავთ – ოდიშის ჭალა და ჭალადიდის ლერწამი, ფაზისის ვარდი და ტეხურის ზვირთი, ლებარდე და შამგონა“!...[1]

პოეტის მეგობარი და თანამოკალმე ჯანო ჯანელიძე კი წერდა: „გენო კალანდიასთვის მამული, სამშობლო სწორედ ის ხატია, კოლხეთიდან რომ იღებს სათავეს და ტრაპიზონში მთავრდება. იქ, სადაც დღეს ფეტვის მარცვლებივით ღვივის და გაისმის ლაზური სევდიანი მელოდიები, ვედრებად დგანან ქართული ტაძრები.“

გენო კალანდიას პოეზია უნივერსალურია, მშობლიური მიწის არომატითაა სრულქმნილი. მისი ენის, კულტურის, კრისტალი რწმენის ძალმოსილებით გაჯერებული. მისი პოეზიის უჩვეულო ყვავილოვნება სიცოცხლის მარადიული წყურვილითაა აღბეჭდილი, მისი არაორდინალური პოეტური სამყარო გაგრძნობინებთ, რომ მთელი სამყარო მასთანაა „შეთანხმებული“. სწორედ მასზე თუ უთქვამს დიდ ვაჟას: „მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა“: მთაში – მთა, ბარად – ბარ-

---

1 ს. სიგუა პოეტი-მოლვაწე. გენო კალანდიას წიგნში „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი, 2005. გვ. 15

ია, ზღვა და ხმელეთი ერთიან, ცას ვარსკვლავების ჯარია, დილით მზე მანათობელი, ღამის გუშაგი მთვარია... ია ულრანს ტყეს მოსული თალხკაბა, ენამტკბარია, კლდის თავს გაშლილი პირიმზე, მთის სასახელო ქალია“ ...

და თუ ვაჟა-ფშაველასათვის ასეთი ერთიანობისათვის საფუძველი ჩარგალი იყო, გენო კალანდიასათვის სამყაროს ცენტრი კოლხეთია („ნაცრისფერი სამეგრელო“). დიახ, კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი... გენო კალანდიას უპირველესი მისია ის გახლავთ, რომ იგი უზენაესის, მარადიული სულიერი ღირებულებების გადარჩენისათვის იბრძვის. მან თავისი პოეზიით შეძლო წარსულის ხატის უკვდავყოფა და „მართლის თქმის“ შეუვალი პრინციპით, ადამიანთა საზოგადოებაში იმედისა და რწმენის, სიყვარულის გაღვივება.

„მადლი უფლისა, მოკლებული მოშურნეობას გარს მიმოაბნევს ღვთაებრივი ცეცხლის ნაპერწკლებს, აჩენს ყოველგვარ მშვენიერ და უკვდავ ქმნილებას, რაც უშურველად წარმომადგარა ამ მადლისაგან წარუვალი, – რადგან სახე მისი უკვდავი წარუხოცელად ზედ შერჩება ქმნილებას მისსას“.[1]

„გენო კალანდიას პოეზია მრავალფეროვანია და მრავალწახნაგოვანი, მრავალხმიანი და მრავალგანზომილებიანი. ძნელია მასზე ორიოდე სიტყვით საუბარი. გენო კალანდია ნატიფი ლირიკოსიცაა და იმავდროულად შემართული ერისშვილიც. აფხაზეთი მისი განსაკუთრებული სატკივარია, ომი ის საშინელებაა, რომელიც მას, როგორც მშვენიერების მეხოტბესა და მსახურს, იდილიურ, სიყვარულისა და სიკეთის სამყაროს უცამტვერებს – „სისხლიანია ჩემთვის ივლისი, ქალაქის ქუჩა, ქვაფენილი, ბალის ხეები, სისხლის ყვავილი

1 დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ.,1941, გვ. 303

ამოდის ზღვიდან". ბოლო დროს პოეტის გულიდან ტკივილიანი საყვედური აღმოხდება ხოლმე – „იყიდეთ საქართველო, – საბრალო დედაჩემი". აბობოქრებულ ზღვასავით აჯანყებული სტრიქონების გვერდით მის წიგნში მოალერსე, დამშვიდებული ტალღებივით სტრიქონებიცაა – სამეგრელოს ასულო, ჭალადიდის ლერწამო, ზამთრის თეთრი ქარივით სულის ცალფად მწეწავო" ... „ისეთი თბილი ღიმილი ჰქონდა, თითქო ზამბახი ეფინა გულზე".[1] „დახანჯლული, დაფლეთილი გაყიდული საქართველო. ისიც დედის ხატად წარმოუდგენია... დედა ისე ჩანს, როგორც საბრალო ნიბლია... თავთით გაშლილი უდევს ბიბლია – დედა-სამშობლო და ქრისტიანობის მარადიული დროშა ბიბლია... და სიბრალულის ბოლო სიტყვაც, ბოლო ცრემლიც ეს არის ბეჩავი.

გენო კალანდიას პოეზიაში სულ სხვა ფერებში გამოჩნდა კოლხეთი, სამეგრელო თავისი გმირული წარსულითა და აწმყოთი და იმისათვის, რომ უფრო ნათლად და ხელშესახებად წარმოვიდგინოთ პოეტის დამოკიდებულება მშობლიური კუთხის ბუნებისა და მისი ისტორიისადმი, მიზანშეწონილად მიმაჩნია გავიხსენოთ აკაკის ბრძნული შეგონება: „ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისის მიწა-წყლით, მთითა და ბარით, ტყე და ველით და სხვანი. ქართველის გრძნობა-გონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლებოდ ზომიერად. აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად მომავლისაკენ მიიწევდეს".[2]

უეჭველია, კოლხეთის ულამაზესმა ბუნებამ გააღვიძა მასში პოეტი, კოლხეთმა დაურწია მის პოეტურ მუზას აკ-

1 ჯ. ფხოველი, გენო კალანდიას პოეზია, გენო კალანდიას წიგნში „ავტოგრაფები ქვაზე", ქუთაისი, 2009, გვ.15,16.

2 ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ.V, XIV. გვ. 29 თბ., 1990

ვანი, მისი ეროვნული სული მუდმივ ძიებაშია, რათა პოეტურ ხატებსა და მეტაფორებში განასხეულოს ქართველი კაცის მარადიული ფიქრი და სევდა სამშობლოზე. და თითქოს კოლხური კეთილშობილური წარმართული სული ასხივებს მის პოეტურ სტრიქონებში: „შეხედეთ, დატკბით, თვალებში მაქვს კოლხური ხვითო! და აი, ზვირთებს ვაჯახებ ზვირთებს და ზღვის ქაფიდან აფროდიტეს დარად ამომყავს ათასი ქალი – სხეულ-ლერწამი“ ... შეხედეთ, დატკბით, თვალებში მაქვს კოლხური ხვითო!“.

გენო კალანდია იმ პოეტთა შორისაა, ვინც ეროვნულ ზარებს არისხებს და ამიტომაც იგი მთელი არსებითაა გამიჯნურებული კოლხეთის ისტორიასთან. მის მრავალტანჯულ წარსულზე და სვებედნიერ მომავალზე დღენიადაგ მოფიქრალი გახლავთ და სავსებით ბუნებრივია, მისი პოეზიის მთავარი ძარღვი სწორედ მისი ეროვნული ენერგიის, თვისებებისა და თვითანალიზის შერწყმაა ისტორიული გამოცდილების რეალიებთან, ალბათ ამიტომაა, რომ მის ლექსებში ხშირად მოისმის ქვითინი საქართველოს ბედუკუღმართ წარსულზე და მაინც, ბავშვობაში, სიყმაწვილეში განცდილი მშობლიური კუთხის პეიზაჟები და ყოფა ზრდიდა და აყალიბებდა მასში მგრძნობიარე ფაქიზ თვისებებს. უამრავი ზნეობრივი ნიუანსი აქვთ მის ლექსებს, ვფიქრობ, ეს ბუნებრივიცაა, რადგან შემოქმედი თანამედროვეობის ზნეთა და აზრთა განმსჯელი და მსჯავრმდებელია. მტკიცე ზნეობრივი მრწამსი გულისა და სულის მოთხოვნილებაა: „სამშობლო ისაა, თავის ყველიან, ქერქიან, ნახშირიან, მტვრიანად რომ შეჭამ და მოინელებ“ (ნ. დუმბაძე).[1]

პოეტს თითქოს შუამავლობა უკისრია ისტორიასა და თან-

1 გ. კალანდია, ფესვები, პოეზია, თბ., 2011, გვ. 5

ამედროვეობას შორის, იგი წარმოსახავს ცხოვრებას, აღადგენს, არჩევს იმას, რაც საჭიროა სრული, გაცოცხლებული ერთიანი სურათისათვის. ამბები, ხასიათები, მდგომარეობანი გადმოცემულია ისე, რომ ნათლად, სრულად გამოხატოს იდეები, განცდები, გრძნობები, რომლებიც ასე ძლიერ აღელვებს ავტორს.

გენო კალანდიას წიგნის „ფესვები" წინასიტყვაობაში მუხრან მაჭავარიანი წერს: „... მამლის ყელიდან ამოსული დილა. ხავსით შემოსილი სოფლის ეკლესია. ეკით გადმოფრენილი ჩიქოვანის მიმინო. გლოვად დამსხდარი სააფაქიო. შერვაშიძის თეთრი ქალი. გუბაზის სისხლი. ფაზისის ვარდი. გერგედავას ცირა. ჩელა. ოდოია. აბა, ულა, ჭყონდიდი. ზუგდიდი. ჭალადიდი...

აი, – გენო კალანდიას პოეტური აღმაფრენის დვრიტა."

ახლა დოდო ჭუმბურიძესაც მოვუსმინოთ: „კოლხი კაცის მიერ შეგრძნობილი მზე ჩახჩახებს ამ ლექსებში, ჰელიოსის შვილის მკერდი ძგერს, ის ჰკრებს და ჰყლაპავს ძველქართულ სიტყვებსა და მძიმე თავთუხებს – „როგორც კაკაბი ელვას", ქვირითი ბრწყინავს აქ, ფაშატების ჭიხვინი ისმის, კოლხური კვირბები ლაპარაკობენ, ლაზური ამფორები ღვინითა და ცრემლით სავსენი დგანან და მჭმუნვარე ქურუმები დაცქერიან მათზე ამოტვიფრულ სამეფო ჩუქურთმებს."

და მაინც „არც ერთი პოეტი არ ქმნის ახალს ამ სიტყვის ჩვეულებრივი, პირდაპირი გაგებით, იგი რომ ეროვნული ენერგიიდან არ ამოდიოდეს. უცხო სუბსტანცია რომ თხზავდეს პოეზიას, მკითხველის გულებისაკენ გზას ვერ გაიკაფავდა".[1]

გენო კალანდიასათვის კოლხეთი სამეგრელო, რწმენის მაღალი სამრეკლოა, სულის მოსათქმელი და სიხარულის უშ-

1 ც.მესხია, სასწაული და ფანტაზია, თბ. 2009. გვ.113

რეტი წყარო. იგი ერთიანი საქართველოს მარადიულობისათვის გულწრფელი მლოცველია.

ლექსი „საქართველო არის ესე," – აღსარებასავით ჟღერს და მშობლიური საქართველოს სიყვარულით გვავსებს. პოეტი საოცარ სურათს ხატავს, როცა: „ფაზისის, ჯუმის მთავარი ხიდით, ოდიშს ძვირფასი სტუმარი მოდის, ატმის რტოსავით ირწევა ბინდი აიასა და ლაზიკას შორის. ფეხზე დგას მთელი სოფელი, დაბა, მირონცხებული ანდრიას ზეთით, ქალები დილის ვარსკვლავებს ჰგვანან თვალების ჭრილით და თოვლის მკერდით. მზე და ზამბახი ანათებს ცაიშს, კარებს, აივნებს ვარდებით რთავენ, ამდენი დაფნა სად იყო მაინც, ამდენი ვარდი სად ათევს ღამეს?!... ვუახლოვდები იმ წმინდა ეზოს, სადაც ილიამ ხმამაღლა ბრძანა: – საქართველოა ნამდვილად ესე, აქ ფეთქავს მისი ნიჭი და ძალა". – ამ უჩვეულო პოეტური ხილვებით არამარტო წარმოვიდგენთ, არამედ ცხადად ვხედავთ დიდი ფერმწერისა და ოსტატის მიერ ტილოზე წარმოსახულ „ვარდებით მორთულ ეზოს". გემოვნებიანი რიტმი და რითმი ის კეთილხმოვანი ფონია, რომელიც პოტურ საუფლოში გაისმის. ამ არაჩვეულებრივ ლექსში იმ იდუმალ მელოდიასაც ვეზიარებით, რომელიც გამომსახველ ფერთა გამასა და რიტმში ჩაბუდებულა და სულმოუთქმელად ჟღერს.

ღვთიურტეხილი ხაზითა და ფრთასხმული ფერით ნაქსოვი წარმოსახვით პოეტი. ერთი მხრივ, შემოქმედებით ატმოსფეროში გვეპატიჟება, მეორე მხრივ, კი ინარჩუნებს შემოქმედებითი პროცესის საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ შეიძლება განიცადო. სწორედ ფერის საშუალებით ქმნის პოეტი იმ განწყობილებას, რომელიც განუმეორებელ სიცოცხლეს ანიჭებს მის პოეზიას და სავსებით ლოგიკურად გარწმუნებს მშობლიური კუთხის სიდიადეში, რომ „საქართველო არის ესე"

(ანა კალანდაძე). რას არ სწვდება პოეტის სხივოსანი მზერა, სტიქაროსნების პატარა გუნდი უფალს უგალობს, მტრედის ხუნდივით ჟღურტულებს ბავშვი. მონაზონი თემის მკურნალს ჰგავს. ფაზისისა და ჯუმის მთავარი ხიდით ოდიშს ძვირფასი სტუმარი მოდის, რომლის თვალწინ რტოსავით ირწევა ბინდი. მზით და ზამბახითაა განათებული ცაიში, აგერ, წმინდა ეზოც გამოჩნდა და პოეტის სიყვარულიც დაფნის რტოებითა და ვარდებით შემორაგულ ეზოში ფოლადდება, აქ კრისტალდება მარადისობის სიმბოლოდ...

„პოეტის სულში ქარიშხალივით ტრიალებს დიდი კოლხეთის სევდა, დიდი ისტორიის ქარტეხლები, რომელიც თვით გასაოცარი ელადის ისტორიასა და ბედისწერას უტოლდება“ (ჯანო ჯანელიძე).

გენო კალანდიას პოეზიაში სამყაროს სმენითი აღქმა და სამყაროს ხილვითი აღქმა ერთმანეთში ჩაწნულან და სულის იმ პანორამას ქმნიან, სადაც პოეტის მსოფლგანცდა და ფიქრებია გამოფენილი.

აქ, ამ კურთხეულ მიწაზე ყველაფერი ლამაზი და ჯადოსნურად თავბრუდამხვევია. მთელი მისი პოეზია სინათლით, სიკეთითა და სამყაროს უთვალავი ფერებითაა გაჩახჩახებული, ლექსებს კი სევდა-კაეშნის, სიღრმისეული შრეებიდან ნამოსული განცდების ათინათი ადგას.

გურამ ასათიანი წერდა: „ჭეშმარიტი პოეტი თვითონ ქმნის თავის ბიოგრაფიას, შთამომავალთა მეხსიერებაში ის რჩება თავისი ლექსებით, მის მიერვე შექმნილი სახეებით გარშემორტყმული. დროს მიაქვს ცხოვრების წვრილმანები და ტოვებს მთავარს, არსებითს, რაც პოეტმა ქაღალდზე დაღვარა და სამუდამო სიცოცხლისათვის ჩაჰბერა სული“.[1]

---

1 გ. ასათიანი. საუკუნის პოეტები, 1988 წ. გვ.359.

გენო კალანდიას პოეზიაში განსაკუთრებული სინაზითაა დახატული მშობლიური კუთხე. ოდიში და ჭალადიდი, წაბლის კარავი და მიწური. აქ შარიშური გააქვს კოლხი ასულის კაბების შრიალს, დილა ბულბულებით და შაშვებითაა სავსე. ფრთოსნების ხანძრისფერი გუნდით ბრიალებს კოლხური ეზო. აქ ჭრიჭინობელების გულშემზარავი მესაც გაისმის და შაოსანი ქორების ქოროც. „ჩარჩოდან გადმოსული ნატურმორტივით“ მთის კალმახები და ბროწეულები იწონებენ თავს...

შეუძლებელია ინტელექტით განსაზღვრო ის, თუ როგორ ტკივა კაცს მისი სააკვნე, მისი ფესვები. ჭარმოუდგენელია ცოდნით, გამოცდილებით გამოხატო სიყვარული, ლტოლვა ადგილის დედისადმი და დააკავშირო ერთმანეთს ერთმანეთის მომიჯნავე საგნები, მოვლენები, ცნებები: „დაწერე, როგორ გაილია ზაფხული უცებ, ის ქალიც როგორ დაემგვანა უნაბის ფურცელს, ფიქრების ნაცვლად ნემსის შვავი ჩატოვე ტვინში. დაწერე ცრემლზე, მარტოკაცზე, სასჯელის ძელზე, მადლობა უთხარ ჭალადიდის შინდისფერ ლერწმებს, შენივე ფრჩხილით გამოთხარე შენივე ნიში“ („სიტყვა“). ალბათ, ძნელია ვინმეს დაესესხო ის ფერები მისტიკური გარდუვალობისა, ტრაგედიის განცდას რომ გინერგავს და გულისძარღვამდე გაჟრჟოლებს ასე მტკივნეულად, ასე სამუდამოდ...

გენო კალანდიას პოეტური ქმნილებები როდია მხოლოდ ხილული მშვენიერების ესთეტიკური ჭვრეტის შედეგი. ის „მეწყერივით მოვარდნილი შთაგონების“ უეცარი აკაშკაშების ნაყოფია. უაღრესად მძაფრი მსოფლშეგრძნების პოეტს მხოლოდ თუ შეუძლია ასეთი სტრიქონების შექმნა: „ამოიყორა ხეობამ ფაშვი, მთელი ზამთარი იქნება ასე, გადაფრინდება ყორეზე შაშვი ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე, უცებ ხალიჩად გექცევა ნოხი, მაღლა, სულ მაღლა აგიყვანს მარტო, არც

დიდი თოვლი, არც მსხვილი კოხი, სულაც არ არის საშიში ამ დროს. ოღონდ ეს შაშვი – ეს დიდი ბავშვი სულ დაფრინავდეს ოდიშის ცაზე. ბერის, მონაზვნის, წმინდანის საშვით, ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე“ ... კითხულობ და სამუდამოდ შენთან რჩება შეგრძნება რაღაც უჩვეულო ნათლისა, უაღრესად პლასტიკური სახისმეტყველებით ოქსიმორონისა „ბერის, მონაზვნის, წმინდანის საშვით, ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე“ ...

გენო კალანდიას პოეზია პირადად ჩემთვის თავისებური რელიგიაა, გზაა უფლისაკენ, სიკეთის, სილამაზისა და მშვენიერების მარადიული საუფლო... მისი პოეზიის შეცნობა ერთობ რთულია, რამეთუ ის მუდამ სულის იდუმალებისაკენ ისწრაფვის, მუდამ უხილავის, ფარულის ძიებაშია.

გენო კალანდია თავისი ვარსკვლავების ქუდით სხვა სივრცეში მიემართება, რათა იქ მოიძიოს „უხილავი სახეები“, „სხვა სინათლე“, ძალიან კარგად იცის, რომ „საქართველოს ციხე-ტაძრებზე აღიბეჭდება მათი კოცნა სინათლის ალივით“ („პოეტები და რაინდები“).

და „ყველაზე უკეთესი ქმნილება ის არის, რომელიც ყველაზე დიდხანს ინახავს თავის საიდუმლოს“ (პოლ ვალერი).[1]

გენო კალანდიას თავისი საიდუმლოება აქვს, თავისი იდუმალება, საკუთარი, თვითმყოფადი, თავისებურად განუმეორებელი და მომხიბლავი არტისტული ხილვები, სადაც სრულიად მარტოა სამყაროსა და საკუთარი თავის პირისპირ და ეს მხარეა სწორედ სასწაულებრივი, მაგრამ არის ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც პოეტის სულის თანამდევი აზრები ნათლად და ზუსტადაა გამოთქმული, სადაც სახე, ემოცია, განწყობილება რეფლექსიითა გაჟღენთილი.

---

1 პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1984, გვ. 204

აი, თუნდაც: „სალამი დიდი ოდიშის სახელს, – ჭყონდიდელების მოდგმას და ნაგრამს, სალამი ცოტნეს, – უხორცო ქართველს, – აბელის ძეს და აბელის ფარხმალს. სალამი ყველას! სალამი წაბლის კარავს და მიწურს, სალამი თოვლში ჩანამქრულ ქარებს, სალამი ყველას! წანალს და მიჯნურს, – მწყემსის ნაბადში გახვეულ მთვარეს... სალამი ყველას! სალამი ყველას! სალამი ზუგდიდს, – შამგონას, ხურჩას, სალამი ოდიშის ღვთაებრივ ძალას, რამეთუ ერთ დღეს, – ერთ მუჭა მიწას მომაყრის მკერდზე მშვიდად და წყნარად. სალამი ყველას!“ („***სალამი დიდი ოდიშის სახელს“). ესაა პოეტის განუმეორებელი სიყვარული ადგილის დედისადმი, სადაც აზრი, გონების ლოგიკა აშკარად ჭარბობს ფანტაზიის ლოგიკას და მაინც, ლექსს სიმბოლური ბუნდოვანების სიღრმესა და დაუსრულებელ სილამაზეს სძენს: „მწყემსის ნაბადში გახვეული მთვარე“.

უმშვენიერესი ესთეტიკით შეამკო პოეტმა მშობლიური სოფელი. მან არაერთი ლექსი მიუძღვნა თავის ადგილის დედას, მამისეულ ეზო-კარს. დიდი და უნაპიროა მისი სიყვარული გვირილებისა და ყოჩივარდების, ყაყაჩოებისა, ვარდებისა თუ ია-იების თავბრუდამხვევი სურნელით გაჟღენთილი მშობლიური კუთხის მიმართ. პოეტი ზღვა სიყვარულით ელოლიავება ია-იებითა და გვირილებით მოჩითულ ოდიშის ველს. აქ ხომ ყველაფერს თავისი სილამაზე, თავისი ხიბლი აქვს, სულის ყვავილებს, ხავერდოვან მწვანედ მოლივლივე ბაღჩებში ჩაკარგულ მოგონებებს, ულამაზესი ბავშვობიდან წამოსულ მზის სხივებს, იებისა და ხეების სიყვარულიც აქ ისწავლა... მშობლიური კუთხისადმი უსაზღვრო სიყვარული, ის მშვენიერი წამები თუ წუთები – წარსულისა პოეტურ ხატებად გარდაქმნა და ჩვენამდე მოიტანა უჩვეულო განცდებად, დღეს კი მის

სულში ბრწყინდებიან მამულის, მთელი სამყაროს ძლევამოსილი სიყვარულის დასტურად. „ერთი წამიც კი სიცოცხლის თუ სხივების მომფენია, უგრძნობელს და უსინათლოს საუკუნეს მირჩევნიაო“ (აკაკი).

პოლ ვალერი წერდა: „პოეტის მიზანი სწორედ ის გახლავთ, გვაგრძნობინოს სიტყვისა და აზრის ინტიმური კავშირი, ამნაირ შედეგს შეიძლება სასწაულებრივი ვუწოდოთ. მე ვამბობ სასწაულებრივი-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ ის ძალზე იშვიათი როდია, მას სასწაულებრივს ვუწოდებ იმ აზრით, რასაც ჩვენ ვდებთ ამ ეპითეტში, როცა ძველი მაგიის ჯადოქრობასა და გრძნებაზე ვფიქრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოეტური ფორმა საუკუნეების მანძილზე გრძნეულებასთან იყო დაკავშირებული, ამ უცნაური რიტუალის აღმასრულებელთ უნდა ჰქონოდათ სიტყვის ძალმოსილების რწმენა და თანაც მისი ჟღერადობის ეფექტი გაცილებით უფრო მეტად უნდა ერწმუნათ, ვიდრე მისი საკუთარი მნიშვნელობა, მაგიური ფორმულები ხშირად მოკლებულნი არიან აზრს, მაგრამ არავის უფიქრია, რომ ეს აზრობრივ სისავსეზეა დამოკიდებული“.[1]

რა გულწრფელია პოეტი, როცა წერს: „ჩემი ფიქრების პატარა ცაა, თხმელის შოლტებით შეკრული ფაცხა, ახლა ეზოში იმგვარად ცხელა, მომიხდებოდა ეს ერთი კათხა. ზაფხულის იდებს გადაჰყვა ხალხი, ირგვლივ უბრალო ბალახიც გახმა... დგას აივანზე ჭაღარა ქალი, კითხულობს ძველი ტფილისის ამბავს, მე კარგად მახსოვს... აქ, მისი ქმარი ენგურის ქვემოთ აგებდა დამბას. მაგრამ სოფელი ფუსფუსებს ისევ და სიცხე ახრჩობს, – და მახრჩობელი, ოდიშის ღამეს შეჰყურებს ისე, ვით დიდვაჭარი უცხო გობელენს“ („სოფელი“). აქაა დროის

1 პ. ვალერი, ანდრე მორუას წიგნში „ლიტერატურული პორტრეტები“, თბ., 1988, გვ. 303, 315.

შორეულ სივრცეებში ჩაკარგული წინაპრების გახსენება, საიდანაც ბავშვობის ყრმობისეული ზმანებანი წვიმის წვეთებით მოჟონავენ და გარდასული დროის იდუმალების სურნელებითაც გაბრუებენ.

მართებულად ბრძანებს თემურ დოიაშვილი: (წერილში „და მელანდება მოხუცი მამა“) „მამულის კონცეპტი XIX ს. ქართულმა პოეზიამ გონების აქტიური მონაწილეობით შეიმუშავა და განსჯით-დიდაქტური ფორმით გამოთქვა. ამის საპირისპიროდ გალაკტიონი, როგორც ახალი პოეზიის ადეპტი, განსჯით მიღებულ დასკვნას კი არ გვაწვდის, ესთეტიკური გამოსახვის ობიექტად გრძნობად იმპულსს, შეგრძნებას აქცევს. მამული მისთვის, უპირველესად ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის პირველყოფილი, დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა, რომელსაც სამუდამოდ ინახავს ქვეცნობიერი.“[1]

გენო კალანდია ფარული ძაფებითაა დაკავშირებული გალაკტიონის სულიერ სამყაროსთან, რამეთუ წინაპრებისადმი თაყვანისცემა წითელი ზოლივით გასდევს მის პოეზიას. და თუ გალაკტიონს მუდმივად ჩაესმოდა: „და მეძახიან მშვიდ სამეფოში, მთები, სიზმრები და წინაპრები“, – გენო კალანდიას მთელი პოეზია მშობელი მიწის შეგრძნების ჭეშმარიტი დეფინიციაა, დიდ წინაპართა უკვდავ სულებთან უწყვეტი კავშირისა...

ლექსი „მალე გაზაფხული დაგვიქნევს ხელებს“ პოეტური ნიჭისა და ზეშთაგონების შერწყმის ჭეშმარიტი ნიმუშია. „მალე ზაფხული დაგვიქნევს ხელებს, წყალი აქ უფრო ღრმა და ჩქარია, ღმერთო, უმრავლე ოდიშის ტყეებს ბულბული, შაშვი და მაფშალია“.

წარსულის ჭირისუფალი პოეტი ტკივილს „მწუხრის

1 „ჩვენი მწერლობა“, 11 ნოემბერი, 2011 წ.

ღრუბელად“ აღიქვამს. დაუსაზღვრავი დარდი და სევდა ასხის მთებში ჯიხვივით დაკიდებულ მწუხრის ღრუბლად განსხეულდება. აკი „საღი ფანტაზია ისეთს ვერაფერს შექმნის, სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს, არ შეეფერებოდეს“.[1]

მშობლიური სოფლის მზიური მოგონებები ხვავრიელად ათოვს მის ნათლმოსილ პიროვნებას, მის პოეზიას და როცა კითხულობ მშობლიური სოფლისა და სამეგრელოსადმი მიძღვნილ ლექსებს, ტკივილიანი ფიქრები აღარ გასვენებს. მშობლიური მიწისადმი სიყვარული და გულგაშლილი და ნათელი მოგონებები იმდენად ღრმაა, ალბათ, საუკუნეებს გადასწვდება...

ფაზისის ხიდზე მდგარი პოეტი სასწაულებრივ ხილვებს მისცემია: „ფოთიდან ხობში მიდის ძაბული, – ვარდივით მორჩი და მკერდმაღალი, ერთი უბრალო გლეხის ასული, ერთი ოჯახის მზე და ფარგალი. მამა ჰყოლია თურმე ძებნილი, ძმა – კაი დიდი გემის ბოცმანი, ფოთიდან ხობში მიდის ძაბული და სახლში მიაქვს უფლის ლოცვანი“ („ძაბული“). ამ სევდიან ფერებში შესრულებულ ლექსში რომანტიკული სული იკვეთება. გენო კალანდიას პოეტური ესთეტიკა შეღავათს არ საჭიროებს, რამეთუ წარმოსახვაში თითქოს სიურეალისტური სურათები წამოიშლებიან – „ფოთიდან ხობში მიდის ძაბული და სახლში მიაქვს უფლის ლოცვანი“ – „უფლის ლოცვანი“ კი უზარმაზარი სულიერი ძალაა, რომლის მადლი მთელ სამყაროს განეფინება, რათა უფრო ლამაზი და მშვენიერი გახდეს ცხოვრება... მშვენიერებასა და სილამაზეს, სიყვარულსა და სათნოებას მის ლირიკაში უპირველესი ადგილი ეთმობა. „რა წამს მოვიხსენიე მშვენებანი შეურყვნელი სიყვარულისა ჩემს გულში მყისვე აღმოცენდა მისი სინათლე, წარმიტაცა მისმა

1 ა.წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ.5, გვ. 733. 1990 წ.

სიტკბომ და მომესპო ხორციელი რამ ყველა გრძნობა“[1] (წმ. სვ.ღვთისმეტყველი).

„გენო კალანდია თანაბრად ძლიერია აბსოლუტურად სხვადასხვა ფორმის (კონვენციური ლექსი, ვერლიბრი, სონეტი, ტრიოლეტი, სექსტინა, თეთრი ლექსი და მასთან გვხვდება იაპონური ტანკაც, ხოკუც) ლექსებში. მის პოეზიაში ფერადებასა და ევფონიაში არ შეგხვდებათ თუნდაც ერთი ჩავარდნილი სტრიქონი, რასაც ჩემი უფროსი მეგობარი, ლატვიელი პოეტი ოიარს ვაციეტისი ჩავარდნილ „კლავიშს“ უწოდებდა. ოსტატი რუდუნებით მუშაობს თითოეულ სტრიქონზე, ლექსზე და მკითხველიც ენდობა მის პოეტურ სიტყვას, რადგანაც გრძნობს, რომ პოეტი მშობლიური პოეზიის ფერადი მუსიკის ნათელმოსილი წყაროთი იკვებება.

ენგურისა და არაგვის სათავეებიდან მოდის და სამყაროსადმი მისი დამოკიდებულებაც – სამშობლოდან დანახული – უაღრესად გულწრფელი და მადლიანია. თითოეულ მის პოეტურ კრებულში მეფობს ჰარმონია და სილამაზე თვით მისი უდიდებულესობა პოეზიისა.“[2]

ალბათ, უდიდესი ბედნიერებაა ჩაიძირო ხილვებში, რომელთა „ხვავრიელად თოვაში“, სამეგრელოს, კოლხური ცხოვრების სევდიანი ეპიზოდები „ფარფატებენ“, მომაკვდავი შემოდგომის ოქროსფერი ვნებითა და ტკივილით ბოდლერისა და მალარმეს მელანქოლიურ სევდას რომ აირეკლავენ.

„სიმაღლეს ისევ სიმაღლე ცვლიდა, მაინც სიმაღლე სწყუროდა თვალებს, როცა გამოჩნდა სალხინოს მთიდან ხელისგულივით პატარა მთვარე“, ან კიდევ: „როგორ მიყვარდა შემოდგომის ფერისცვალება, ელვით ჩაჭერილი შენი უბე და

1 ახალი აღთქმა და ფსალმუნები, თბ., 1992. 23,

2 რ.კალანდია, კომპოზიციები – ეპისტოლენი დროსა და სივრცეში... თბ., 2001 გვ. 20

ხეივანი?! ცაცხვის ფოთლებით სავსე ეზო და აივანი, ღამე, ხანძარი... გარიჟრაჟი ირმისთვალება, ჟამით, განგებით მოშრიალე სანთლებთან ლოცვად დამდგარი სოფლის კუტი და ხეიბარი, როგორ მიყვარდა შემოდგომის ფერისცვალება, ელვით ჩაჭრილი შენი უბე და ხეივანი?!“ – ეს უბრალო, ჩვეულებრივი ლირიკული ლექსი როდია. ესაა გულიდან წამოსული, უფლის შუქით გალიცლიცებული, მზვაობარი სტრიქონები. მეტაფორების დიდოსტატი პოეტი რაღაც საოცარსა და უჩვეულოს გვაზიარებს ბუნების მოვლენების განსახოვნებისას. გინახავთ სადმე „ელვით ჩაჭრილი უბე და ხეივანი“, ან „გარიჟრაჟი ირმისთვალება“ ?! – ეს მეტაფორული აზროვნების სწორუპოვარი ნიმუშია. „რიტმული წესრიგი, ყოველი გამოსასახავი დეტალის მნიშვნელოვნად გამოცხადება და მოწონება, საერთო მთელში და მათ შორის ერთნაირად როლების განაწილება, მთელის დამორჩილება და მთელით განპირობებული მათი არსებობა, ორნამენტული ნაბეჭდით, სათქმელის რიტმულ-დეკორატიულ ღერძზე დაყრდნობა – აი, რა უნდა ვისწავლოთ მისგან,“ – (წერდა ესმა ონიანი დავით კაკაბაძის ფერწერაზე). ვფიქრობ, ეს შეფასება სავსებით შეგვიძლია გავიმეოროთ გენო კალანდიაზე, რამეთუ ეს ყველაფერი მის პოეზიაში სრულყოფილადაა გამოვლენილი.

„პოეტს, როგორც ადამიანს და მოქალაქეს, თავისი სამშობლო უნდა უყვარდეს, მაგრამ მისი პოეტური ძალების სამშობლო, მისი პოეტური შემოქმედების მამული გახლავთ სიკეთე, კეთილშობილება და მშვენიერება“.[1]

გენო კალანდიას სიტყვითხელოვნება ჭეშმარიტი და სრულყოფილია. ის, როგორც შემოქმედი „მხოლოდ ერთის და

1 გოეთე, საუბრები ეკერმანთან, კომენტარი დაურთო აკაკი გელოვანმა, ბათუმი, 1988 წ.

ერთადერთის“ გამომხატველია ჩვენს ყოფაში, სადაც ბევრი ტალანტის სულიცა და შემოქმედებაც ხშირად ინგრევა... ის პოეტური ხატით, მეტაფორით, სიმბოლოებითა და ფერით გვმოძღვრავს, მისი ყველასაგან განსხვავებული პოეტური სახეებით და უჩვეულო მისტიკური ხილვებით დამშვენებული პოეზია უჩვეულო მოვლენაა, იგი ყველგან და ყოველთვის მშვენიერებას დაეძებს, მშვენიერების დიდებულ ხატთან ზიარება კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია... მის მშფოთვარე გულში გაზაფხულები, ზვირთები, გრიგალები ერთმანეთს ეჯახებიან. ღრუბელი მზეზე ქორწინდება, მგოსნების ქალაქს უცხო „დიბა და ჩითი ამშვენებს“. საოცარი ხილვაა: „დაისით სავსე სისხლისფერი მიჭირავს ჯამი, ზღვის ზურმუხტივით ცის ბორბალი გადამდის გულზე“ – წერს ლექსში „შენც დამშვენდები“, რომელსაც პოეტი საკუთარ ქალიშვილს – ლანას უძღვნის... რეზიუმესავით ჟღერს პოეტის განაცხადი: „რად უნდა დაფნა ჩემი ნიჭის, სინდისის მწერალს, როცა ისედაც საქართველოს ცა მერგო ჯილდოდ“...

„მარად ერთადერთი მშვენება ზეცაზე სწერია ჩემი გზა“, – წერდა ახალბედა გალაკტიონი.

გენო კალანდიას ბედისწერაა ზეცასთან მუდმივი კავშირი. პოეტი თეთრი სახლისაკენ მიისწრაფვის, რამეთუ სჯერა ღვთაებრივი, ციური მადლისა. იქიდან წმინდა მამების მწუხრის ლოცვებით გალობა მოესმის: „ეს თეთრი სახლი ტაძარივით მიყვარს თოლიგე, აქ მწუხრის ლოცვებს გვიგალობდნენ წმინდა მამები და ქრისტესავით ცრემლით ჰქონდათ სავსე თვალები, ეს თეთრი სახლი ტაძარივით მიყვარს, თოლიგე, აქ სჯულის კანონს, კარაბადინს ქმნიდნენ მოგვები, მკათათვის მწიფე თავთავივით მძიმე თავებით, ეს თეთრი სახლი ტაძარივით მიყვარს თოლიგე, აქ მწუხრის ლოცვებს გვიგალობდ-

ნენ წმინდა მამები“ – თეთრ სახლში პოეტის სული ზეციური ნეტარებით ივსება. წმინდა მამების მაგიური ლოცვა სიხარულითა და ბედნიერებით ავსებს და შთაბეჭდილებებს, მიღმური სამყაროსკენ სწრაფვას დიდი შესაძლებლობები ეხსნება, ჩაწვდეს მისტერიულ საწყისებს..

„ანა კალანდაძე „ცათუმაღლეს ტაძარში“ ხედავს უბინო ხატს, უსხეულოს განსხეულებას: „აჰა ტაძარი ცათ უმაღლესი სულთა თანხმობის და გრძნეულებათ... აქა ვიხილე ხატი უბინო, მის უსხეულოს განსხეულება... აჰა ტაძარი ცათუმაღლესი“ („აჰა ტაძარი ცათუმაღლესი“).[1]

გენო კალანდიას სამეგრელოს თემაზე დაწერილ ლექსებში რეალობის ცოცხალი პულსაციაა. ცხოვრების რეალურ სიზმრად წარმოდგენის და განცდების შეგრძნება მოედინება და მისი „დაისისფერი სისხლისფერი ჯამიდან“ მზის სხივებად იღვრება სინათლე. ეს ის სინათლეა, რომელიც უფალს სურს მთელ სამყაროში განეფინოს – „იქმენინ ნათელიო!“ ეს სინათლეა, რომელსაც მიაქვს ახალი საიდუმლო შუქი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ანათებს პოეტის სულს...

გავიხსენოთ გალაკტიონი: „მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა“, და უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება. გოეთემ თურმე სიკვდილის წინ ისურვა მეტი სინათლეო! ეს ადამიანთა აზროვნებიდან კი არ მოედინებოდა, არამედ საგნებიდან, მოვლენებიდან, ბუნებიდან. ესაა ის იდუმალი სინათლე, რომელიც მაღალი სულის ადამიანებს გააჩნიათ.

ბოდლერი ხედავდა შუქთა დიადემას „გაბრწყინებულს სხივთა კონებით“ – წყაროსთვალიდან მომდინარე „სხივთა პირველქმნილთა“ და მისი პოეტური სული ესწრაფოდა

---

1 ლ. სორდია, ანა კალანდაძის ესთეტიკა, თბ., 2009, გვ. 67

„ცათ კურთხეული გვირგვინის“ დაუფლებას, „ყველა დრო და ყველა სამყაროს“ დაურვებას: „... ის მარტოოდენ წმინდა ნათლით თუ დაიწვება, რომელსაც სხივთა პირველქმნილთა შობს წყაროსთვალი, ხოლო მოკვდავთა თვალ-გუგაში მბჟუტავი გზნება ანარეკლია იმ ნათელისა, მწირი და მკრთალი“.[1] („კურთხევა“).

„გულს ჩასახული მყვა ანგელოზი და სხივთა თოვით ვიყავ მდიდარი“ (ანა კალანდაძე).

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გენო კალანდიას პოეტური თავისებურების წარმოსაჩენად ვფიქრობ, სულაც არაა ზედმეტი ეს პარალელები.

მის კალანდიას განსაკუთრებულობას ხაზს უსვამს ნათელთან, ამაღლებულთან მოაზრებული ეპითეტი – „უმაღლესი მარადისობა“. „გამოავლინე ნათელი შენი, ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა“ (დავით 18,3).

„უფალმა გამოაბრწყინოს ვითარცა ნათელი სიმაღლე შენი და განკითხვა, ვითარცა დღე შუა“ (დავითი 178.5).

გენო კალანდია უჩვეულო პოეტური წარმოსახვებით აშენებს ხელოვნების ხელთუქმნელ ტაძარს. საიდანაც მუდმივად ნათელი იღვრება. აკი „ადამიანს აქვს უნარი განიცადოს სულიერი ნათელი, ბრმა ჰომეროსი შინაგან ნათელს განიცდიდა, მას ხედავდა გონების თვალით“. ეს ნათელი „სულით საცნაურია“, პლატონი ხილულ ნათელზედაც მსგავს რაიმეს ამბობდა: თვალს იმიტომ ძალუძს ნათელი, რომ თვალი თვითონა ჰგავს მზეს, თვალს თვითონა აქვს თავისი ნათელი. ეს მისი შინაგანი უნარია. თუ თვალში არაა ნათელი, ის ვერა გრძნობს გარეგან სინათლეს. ასევე თუ სულში არაა ნათელი, ის ვერ გრძნობს

1 შ. ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თბ., 2008, გვ.11-14.

სულიერ სინათლეს. სულიერი ნათელი ახლავს ხილულ ნათელსაც, მას მხოლოდ ზედამხედველობა შეიგრძნობს".[1]

გენო კალანდიას პოეზიის ქვაკუთხედი სამშობლოა და ყოველი ლექსი სწორედ მამულის, სრულიად საქართველოს განუმეორებელი მშვენიერებითაა შთაგონებული: „... ანაკლიასთან ერთი ციხეა მუხის ხეებით შემორაგული, ვისთვის გემია, ვისთვის კიბეა ზღვის მკერდზე ხელით ამოქარგული. ჩემთვის მუშტია მაგრად შეკრული მტრის დასანახად აქ აღმართული, ძლიერი, როგორც ფესვი მეგრული, ამაყი, როგორც გენი ქართული. ანაკლიასთან ერთი ციხეა! („ანაკლიასთან ერთი ციხეა") ... ამ სტრიქონებში მთელი სიცოცხლე, ყოფიერებაა წარმოჩენილი, წარსულის იდეალიზებული, დიდებით შემოსილი გააზრება. ნოსტალგია მშობელი ერის ათასწლოვან ფესვებზე და პოეტის სულში უცებ ჰყვავის მზიური განცდა უძვირფასესი ფერებით: „... ანაკლიასთან ერთი ციხეა... ჩემთვის მუშტია მაგრად შეკრული მტრის დასანახად აქ აღმართული, ძლიერი, როგორც ფესვი მეგრული, ამაყი, როგორც გენი ქართული" ... – პოეტის თითოეულ სიტყვაში განჭვრეტილია ისტორია თუ დღევანდელობა, მისი არტისტული წარმოსახვა განუყოფლად, ძირფესვიანად სულით და ხორცით შედუღაბებულია მშობელ ნიადაგთან, საქართველოს მიწასთან, მის ისტორიასთან, ტრადიციასთან, მისი გულის ცოცხალ ფეთქვასთან, მშობლიური კოლორიტი მისი გულის ცოცხალი ფეთქვაა. უნატიფესი გრძნობებით უმღერის პოეტი მშობლიური კოლხეთის ბუნების სიდიადეს: „აქ ოცნებანი, გულის ვნებანი მოშრიალებენ აბრეშუმებად" (ეს გ.ლეონიძეა). დიახ, კოლხეთიდან, სამეგრელოდან მოჩანს ღვთის ნათელივით მისი უჩვეულო პოეტური სამყარო, მისი

1 რ. სირაძე, სახისმეტყველება, „ნაკადული", 1982, გვ. 149

სასწაულებრივი ემოციები, მისი მარადი ლტოლვა მშობლიური ფესვებისაკენ, ხალხური სიბრძნისადმი, გვატკბობს მიწის და ფერად-ფერად ყვავილების მათრობელი სურნელით... „ღვთის თითებით გამოძერწილი“ (ფსალმუნი) მისი საოცარი ლექსები მოდის კოლხური მიწის ლორთქო ბალახებიდან, ლურჯთვალა ია-იებიდან, მეგრელი დედის მიერ ბალღისთვის ნამღერი „გულუაფირო ნანა“-დან, ცაზე ჩამოკიდებული ღრუბლიდან, „მუხის ხეებით შემორაგული“ ანაკლიის ციხიდან, ოდიშის ცაზე – „ძეძვით, ნაძვნარების ზევით მოლივლივე შაშვებიდან, ცაში აფრენილი ბილიკებიდან და ხეებიდან. ეს ხმა მთელ კოსმიურ სამყაროს ატორტმანებს. მან ბოლომდე გაიღო ბუნებით მომადლებული არტისტიზმი და მთელი არსებით გრძნობ როგორ გადმოდის შენში ჭეშმარიტი მამულიშვილის სულის თრთოლა, როგორ ფეთქდება შენს ძარღვებში სიყვარულისა და ერთგულების განცდა საკუთარ სისხლთან ერთად, ნოსტალგიით განაწამებ წინაპართან ვაიგივებთ და ვიზიარებთ მის ტკივილს: „ოქროს და ალმასს ეძებდა ჩვენში, მოჰქონდა შვიდი წმინდანის წიგნი და უფლის ტაძარს და იმის ბჭეებს, აგებდა ჩვენი სულების შიგნით. ჰყვებოდა ლაზი დედოფლის სიზმრებს, ახსოვდა ყველა იგავი, მითი, და მთელი ღამე ფურცლავდა წიგნებს ვაზის ლერწივით მთრთოლვარე თითით... („ძველი მწიგნობარი“).

ეს უძვირფასესი ლექსი გვარწმუნებს ნამდვილი პოეზიის არსებობაზე, როცა ინტონაციებს ბუნებრივად ანაწილებს შეგრძნებაგამოვლილი შეგრძნების თანაარსი სემანტიკა. აქ თითქოს ყველაფერი მკითხველის თვალწინ ხდება, აწმყოში და შენს სულში აგებული უფლის ტაძარი მარადიულია. ხაზი, ბგერები, მოძრაობა, სუნი, მუსიკა, რომელსაც გრძნობ. უსასრულოა, წარსულში კი არაა დარჩენილი, არამედ მომავალს

მიენათება და ეს ის სევდაა, გიორგი ლეონიძის პოეზიიდან რომ იღვრება: „ქართლის ცხოვრების" ყოველი ფურცელი ხომ დანაცრული ფოლადი და გულზე ნაწოლი ლოდია და: „მტკვარი, ტირიფი: ძველი ტაძარი, ჩუმი შრიალი ეზოს ვარდისა და სვეტიცხოველი – ალვის შტო იყავ, სარო ლამაზი, მოგკვეთეს, თურმე ზეცას წახველი, სადა ხარ, მტკვარზე მოჭრილო ხეო, ნუთუ არ წაგყვა მიწის ნაღველი?!"

გენო კალანდიას ლექსი ფერწერულობითაა გამორჩეული, რომელიც გვაოცებს მის სულში აღბეჭდილი სამყაროს სურათით, უნაზეს მეტაფორათა და პოეტურ ხატთა ამოფრქვევით... და აქ არ შეიძლება ბორხესი არ გაგახსენდეს: ... „ნევროზი გამოადგა პოს ფანტასტიკური ნოველის ჟანრის განახლებისას, შიშის გამოხატვის ლიტერატურული ხერხების გასამძაფრებლად. ასეც შეიძლება ითქვას, პო სიცოცხლეს შემოქმედებას სწირავდა მსხვერპლად. მან მოკვდავის ხვედრი სიკვდილისშემდგომ მომავალს ანაცვალა"[1] და კიდევ: „ჭეშმარიტი, დიდი ტალანტი თავისთავად გულისხმობს ნებისყოფას, გემოვნებას, ზუსტ წარმმართველობას და დანიშნულებრივ მიზანსაუცდენლობას"[2] (ესმა ონიანი).

გენო კალანდია ჭეშმარიტი ტალანტი და დიდოსტატია. ზემოთ არაერთხელ მივანიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ მისი პოეტური ხელოვნება მრავალფეროვანია ჟანრული თუ სტილური თვალსაზრისით და მაინც, მთლიანობაში ესაა დიდი ფერწერა. მშობლიური მიწის წიაღით ათრთოლებული პოეტი ქმნის მთელი კოსმიური სამყაროს ფერწერულ ტილოს, რომელიც სიყვარულის მარადიულ სიმღერად ეფინება იდუმალებისაკენ მიყურადებულ ჩვენს სმენას რაღაც ამაღ-

1 ბორხესი, მეშვიდე საღამო პოეზია, „ჩვენი მწერლობა", 1 ოქტომბერი, 2010. გვ. 22.

2 ე. ონიანი, ლექსები, ესეები, წერილები, 2000 წ.

ლებულისა და სასწაულის მოლოდინით... „ველარ დავშორდი ვახტანგის ქალაქს, ვერ უარვყავი ოჯახის აზრი, ხავსი მოედო მუხას და მარანს და მამასავით დაბერდა ვაზი. ამომივარდა გულიდან ყველა, ვით შინდისფერი ჩოხიდან ქილა, მე სხვა სოფელში მივდივარ უკვე და იქ ვიქნები ყველაზე თბილად.“

მსგავსი ალუზიები გენო კალანდიას არაერთ ლექსში გაკრთება, სადაც გამოხატულია პოეტის დაჟინებული სწრაფვა სხვა მხარისკენ, სხვა სოფლისაკენ. ეს სხვა სოფელი იდუმალების მხარეა, სადაც სითბოს, სინათლეს და სხვა სივრცეს იგუმანებს პოეტი.

„ჩემო ნაცრისფერო სამეგრელოვ, – ჩემო ღვთაებრივო სულო! გაჩენის დღიდან ჯილდოდ გერგო ცა მგლოვიარე, ცრემლის მდინარედ – ჯუმი, ფაზისი. ტყის ქათამივით ლაქაშების გერგო ლოგინი და ნებზე გიზის, როგორც მიმინო, შენი წარსული... ღიაა სივრცე, გზად შიშველი ეკალი ყრია, არ დაგეკაწროს წენგოსფერი სხეული, სულო!“ – ეს ის მისტიკური განცდაა, რომელიც მთელი არსებით გძრავს და გაფიქრებს და მაინც, ამ ლექსში სიტყვიერი ფერწერა, სიტყვიერი პლასტიკა, მხატვრულობის უდიდესი კომპონენტი და მხატვრული აზროვნების საბოლოო მიზანიც პლასტიკურ სახეთა სისტემის შექმნაა, სამყაროს ქაოტურ მრავალფეროვნებას ლოგიკურად გამოთვლილ ერთობაზე რომ დაიყვანს და უნიკალურ მოვლენათა უსასრულო რიგი ნაირ-ნაირი ფერებით რომ ბრწყინდება.

ლექსში „ომარ ფაშას უსტარი“ კოლხეთის შორეული ისტორიის ფურცლებია გაცოცხლებული კითხულობ და ტანში ჟრუანტელად გივლის მხატვრულ წარმოსახვებში ამოზიდული სინამდვილე. თურქებისა და ოსმალების თარეში, „ქართლის ცხოვრების“ ტკივილიანი ეპიზოდები გენო კალანდიას სული-

ერ ქურაში გადადუღდება და მონუმენტურ ხელწერით მარგალიტდება.

სიტყვის დიდოსტატმა ქართლის ცხოვრების ამ მწუხარე ეპიზოდს სრულიად ახლებურად მოჰფინა შუქი, ახალი ვიზუალური ხატებით და მასშტაბური ხედვითი სივრცით გაამდიდრა. პოეტის სულიც და გონიც მთლიანად, ეროვნულობის, ქრისტიანული ფასეულობებისადმი ერთგულების უნატიფესი გრძნობით არის ნასაზრდოები და იგი წარმოადგენს იმ საძირკველს, რომელზედაც აღმოცენებულია მისი მსოფლმხედველობრივი ასპექტები. უთქმელი მწუხარება და დარდია განფენილი მთელ ლექსში: „რუხის ციხესთან განლაგდა ჯარი, (როგორც ამბობენ და წერენ დღესაც), არ ძინებია ოდიშზე ფიქრით ეკატერინეს, – დედოფალს ჩვენსას. წუხელ დილამდე გაგრძელდა ომი, – იყო სისხლის ღვრა, ბრძოლები ღია, ვით შავულვაშა ასკერის თავი, წყალს ომარ-ფაშას ზარდახშა მიაქვს... ო, იმ ზანდუკში წერილი ერთი, – ოქროს და გიშერს ჰპირდება ოდიშს, თუ გადაწყდება ამ მოკლე დროში მისი და მისი რჩეულის ბედი. თურქის ისარი დაფრინავს გზაზე, როგორც წვიმაში ენგურის ტალღა, ბევრი თავისით გაშავდა წყალში და ბევრი კიდევ ალაჰის კართან. მწვანე თხმელნარში აკაფეს ქელე,[1] – ეხვაიების სისხლი და სახე, ერთხელ გაექცა ოსმალოს მცველებს, მაგრამ მეორედ დაუგეს მახე... ლაშქარს ნელ-ნელა ელევა ძალა, აშკარად, ცხადად მძიმეა ფონი... მაგრამ სიცილად არ ჰყოფნის ახლაც ოდიშს იმ ერთი უსტარის ტონი („ომარ-ფაშას უსტარი“)

„ქელე ეხვაიმ 1855 წლის 25 ოქტომბერს, თურქთა ლაშქრის შემოსევის დროს, ბერი თევდორეს მაგალითი გაიმეორა“ ...

---

1 ქელე ეხვაია – 1855 წლის 25 ოქტომბერს თუქეთის 30.000 არმიის შემოსევის დროს ბერი თევდორეს მაგალითი გაიმეორა.

გენო კალანდიას სულის სიღრმეში სიცოცხლე საქართველოს ისტორიის ტრაგიკული წარსული, რომელიც ყოველ ქართველს გათავისებული, რომ ამ ტრაგიზმის გარეშე შეიძლება „ლეგიტიმური სული“, რაღაც მთავარსა და აუნაზღაურებელის დაკარგვა.

ქელე ეხვაის სულშიც იგივე ტრაგიკული ნოსტალგია ჩაბუდებულა, რომელიც თავის დროზე ბერ თევდორეს ცხოვრებიდა. უბრალო გლეხი, კოლხურ წიაღში შობილი, წამებულთა გზას დაადგა და ღვთაებრივი შარავანდედით შეიმოსა.

როცა ამ ლექსს კითხულობ გახსენდება შოთა ნიშნიანიძე: „თევდორე, თევდორე შენისთანა მეკვლე გვინდა, ჩვენი ერი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს წარსულიდან“. ან კიდევ: „ყველა ბიჭიდან გამოხტება პაატა, ცოტნე, ყველა გოგოდან ქეთევანი გამომზევდება“ ...

წინაპრისადმი სათუთი დამოკიდებულებით, მისდამი უსაზღვრო მადლიერებითაა გამსჭვალული გენო კალანდიას ნაწარმოებები. საგულისხმოა ის, რომ მისთვის უმთავრესია ისტორიული სინამდვილის მიუკერძოებელი, ორიგინალური გააზრება და ისტორიის მხატვრული წარმოსახვის ძირითადი მიზანი – თანადროულობა.

„იყო მხატვარი, ეს იმას ნიშნავს, რომ უარი თქვა ყოველგვარ ანგარიშიანობაზე, იზარდე, როგორც იზრდება ხე, რომელიც არ ჩქარობს და გაზაფხულის გრიგალებს აუღელვებლად და უშიშრად ხვდება, რადგან იცის, მათ კვალდაკვალ ზაფხული მოსდევს: ის მოვა, მაგრამ მოვა დამთმენთათვის“ (რილკე).

გენო კალანდიას პოეზიის ფართო დიაპაზონს ქმნის არა მარტო მისი უნიკალური ნიჭი და სიბრძნე, არამედ ცხოვრების დიდი გამოცდილება, შემმართებლური უნარი და დიადი ენერგია. სიკეთისა და ბედნიერებისაკენ მიდრეკილ მის მაღ-

ალ ბუნებას წილად ხვდა ამ წუთისოფლის მწარე „სამსალა“. „მთვარის, მისქურის, მზის შვილობილი პოეტი სწუხს თავის ფესვებზე, იმაზე, რომ „ვოი და ვოი, ბიჭებო, ვოი, დღეს აფხაზეთი დავკარგეთ, ვოოი!“ „რომ ქალაქიდან გაიქცა ჯარი, შეატოვა სნეული სნეულს, თვალდათხრილი სოფელი სოფელს, სისხლდაცლილი უბანი – უბანს, მტვერწაყრილი ცხედარი – ცხედარს. სამშობლოდან სამშობლო მიდის უსახელო საფლავის ჯვრებით“, – ეს ყველაფერი პოეტის ბედისწერაა, რომელსაც სულში დაატარებს... და ლირიკული პერსონაჟის გულისჭიდილი და რყევა ხვეწს ამაღლებულ ჩანაფიქრს და თავგანწირვის რწმენით მსჭვალავს პიროვნებას. „მამაო ჩემო, ამარიდე სასმელი ესეო – ჯვარზე გაკრული იესო რომ ივედრება. ეს ფრაზა იმ ჭეშმარიტებითაა აღბეჭდილი, გულისჭიდილმა რომ შობა და გადამწყვეტი წამის თრთოლვა დაეუფლა მაცხოვარს“[1] (როსტომ ჩხეიძე).

დიახ, სწორედ ასეთი განცდა დამეუფლა, როცა გენო კალანდიას ერთ-ერთი ტრიოლეტი წავიკითხე: „მადლი მოისხი, ნეტარო, ჩემთვის, შემაძლებინე ტაძრამდე მისვლა, ერთგულების და ოცნების ნიშნად, მადლი მოისხი, ნეტარო, ჩემთვის. დე, შრიალებდეს მუხა და ვერხვი, ვით მიწის ძარღვი და სული ცისა, მადლი მოისხი, ნეტარო, ჩემთვის. შემაძლებინე ტაძრამდე მისვლა“ („მადლი მოისხი, ნეტარო, ჩემთვის“).

გენო კალანდია ნაღდი ფერმწერია, პოეტი მხატვრის თვალით იხედება სამყაროს საიდუმლოებაში, რათა გარეგანი მოვლენა აქციოს შინაგანის გამოხატულებად. სინამდვილის ფაქტში აღმოაჩინოს საერთო კანონი, მოვლენაში აზრი. ის კოსმიურ სამყაროს ღვთიური ინსტიქტით გრძნობს. უფრო მეტიც, იგი ბრწყინვალე ფერმწერიცაა და ბრწყინვალე

1 რ.ჩხეიძე, ერი და ბედისწერა, თბ., 2010. გვ. 174

ლექსთმწერიც. ამამაღლებელ განწყობილებას, ფიქრებსა და განცდებს პოეტი ისე ფაქიზად წარმოაჩენს, რომ ყოველივე ზეციურ სარკეში ჩახედვასა და განწმენდას ჰგავს, მერე კი ტილოზე ფუნჯით დაღვრილ ფერებს. აი, თუნდაც: „მე ერთხელ უკვე ჩავიდინე დანაშაული, ოდიშის ტყეში მოვიპარე ზაფხულის ფუნჯით შესრულებული სურათები და ქალაქში ჩამოვიტანე... „დიახ, თვალებით ჩამოვიტანე“ ხოლო ეს ტილო გამოვთხოვე ქიაჩის მფარველს, აი, ეს კრავი, წითელი ხე – ღვთაებას მთვარის, ეს მთვრალი შაშვი, იადონი – სიმღერის მეფეს, ეს ოქროს თევზი, ხამანწკები – ზღვის მწვანე ურჩხულს, ყვითელი ტბორი, ჭაობები – წვიმების ბატონს. გამიადვილდა საუბარი მესეფეს ცოლთან, მან თეთრი ცხენი შავი კვიცით მაჩუქა, ოდეს მზე გადაჰქონდათ აქლემებს ზურგით... „ო, მეპატიოს ყველა ცოდვა საწყალს, უბედურს, ვიდრე ჩარჩოში გადავიტანდე“.

ესაა მშობლიური სამურზაყანოს ფერად-ფერადი სურათების „ქალაქში“ ჩამოტანით განცდილი ზღვარდაუდებელი სიხარული... ახალი ფერწერა, ახალი მუსიკა, სიბრძნითა და ღვთის მადლიანი შუქით განათებული. კითხულობ და ცხადად ხედავ მამულისათვის თავგანწირვის ჟინით „პოეზიის მრისხანე“ ბილიკებზე მომავალ სხივოსან პოეტს, რომელიც სუფთა სინდისით ღვთაებრივ სიმაღლეებს გვაზიარებს. სწორედ ესაა ჭეშმარიტი გმირობა. ქართველი კაცის გმირობისა და თავგანწირვის უშრეტი ნიჭი დიდი სასწაულია. ამ სასწაულის გადარჩენა კი ურთულესი და უფაქიზესი საქმეა...

არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ეს ლექსი ოქროსფერი ძაფებითაა ნაქარგი, რომელიც მშობელი მიწის არომატითაა სრულქმნილი... პოეტი მშობლიური ბუნების წიაღისაკენ გვიბიძობს, მისი მშვენიერებით გვხიბლავს და მერამდენედ გვახ-

სენებს: „ფესვები მიწის ორატორია, შუადღის შუქი აყალყებული, ძლევამოსილი მამრის სიმღერა, გულდაკორტნილი მთების გუგუნი, მეკითხებიან ვისი გორის ხარ, – მთვარის, მასქურის, მზის შვილობილი.“ ... „აი, სოფლის სასაფლაო, – უფლის თეთრი წიგნი, სულს წყალივით აციმციმებს, გულს ამძიმებს ფიქრით“ ... „აი, სოფლის ეკლესია, – შემოსილი ხავსით, ახლაც ვარდის, კიპარისის, მზის სურნელი ასდის.“ – ეს პოეტის დვრიტაა, მისი გონება, მშობლიურ მიწაზე ფიქრთა დაუცლელი სალარო. მისი გონიც და სულიც უინტიმესი გრძნობებითაა ნასაზრდოები. პოეტმა მამული, მშობლიური კუთხე და მისი სანახები იწამა ვითარცა უფალი, სალოცავი, ხატი... იგი გრძნეულ ხმას მიაყურადებს და სულის დამტკბობი ნეტარება იღვრება მისი განუმეორებელი პოეტური ქმნილებებიდან, რომელთაც საოჯახო ფოტოალბომის სევდიანი სურათების მსგავსად ჩვენამდე მოაქვთ წარსულის სუნთქვა. იმ ადამიანთა ცხოვრების კოლორიტიც, რომელთა გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა საქართველოს ისტორია, სრულიად საქართველოს სულიერ-ინტელექტუალური სამყარო... გენო კალანდია პოეტური სიტყვით იბრძვის ეროვნული იდეალების შენარჩუნებისათვის, მისთვის თავისუფლება წარსულის დიადი გაკვეთილების ხსოვნაა, დროის ერთიანობის შეგრძნება, ტრადიციების ერთგულება. აკი შენს მეობას ისე არავინ შეგაგრძნობინებს, როგორც დიდი წინაპარი. პოეტი წარმოაჩენს სახეებსა და ხასიათებს, რომელნიც არასოდეს განმეორდებიან, რამეთუ „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქუეყანაი ჰგიეს უკუნისამდე, აღმოხდების მზე და დახდების მზე და ადგილადვე თვისდა მიიზიდავს“ (ეკლესიასტე). ეს ის უმთავრესი ნიშანია, რომლითაც აღბეჭდილია გენო კალანდიას პოეტური სამყარო, რომ თავისუფლების იდეა გაბრწ-

ყინდეს და კოლხური სულის ძლევამოსილება თვალნათლივ წარმოჩინდეს: „როგორც მზის ბაკმი, როგორც განძი თვითალებადი, ხელიდან ხელში გადადიხარ, როცა უმართლოდ გექცევიან, მე ჭკუას ვკარგავ, შენს წითელ პერანგს საგანგებოდ ვიზომებ ტანზე, მიწისძვრასავით დრო-დრო ისევ საშიში ხდები, გველივით ყურის ნიჟარაში მიძვრები ისევ, ხერხემლის ზედა სართულზე დგები... გზაჯვარედინზე, მოედნებზე და აღლუმებზე მონატრებული თოვლივით გხედავ და... შტრაუსივით მეზრდება ფრთები“ („თავისუფლება“).

თავისი შინაგანი სუფთა სინდისის კარნახით პოეტი ცდილობს მომავალ თაობებში გააღვიძოს ეროვნული გრძნობა, მამულიშვილური მოვალეობის ღრმა შეგნება, მას სულისამშლელად მოენატრება ფაზისის ვარდი, გერგედავას ცირა, „ღვთის მონა სიდონია, წმინდანის საწყაო თასით“ ... „ფრთაჭრელი სანახები, იელის ყვითელი ხვითო, მითები, ლეგენდები, უცნობი განედები, სისხლი და ამეთვისტო“, – დიახ, ეს სამურზაყანოა, მშობლიური კოლხეთი, ახლა ლამაზ მოგონებებში რომ ცოცხლობენ პოეტის სულის ხვეულებში და მწარე ტკივილით რომ გახმიანდება.

გენო კალანდია სულ რამდენიმე სტრიქონში გვაგრძნობინებს ქართული სულის სიდიადეს, მისი რწმენით, პოეზია სიცოცხლის გამოხატვაა, უფრო სწორედ, პოეზიაა თავად სიცოცხლე. აი, როგორ მიმართავს პოეტი „ჩელას“ ავტორს – პავლე აკობიას: „ვერ ააგე ვერცხლის კოშკი, ვერ გამართე ბროლის ბინა, შენმა მოთქმამ ბალღობიდან ბევრჯერ ცრემლი მაღვრევინა. გაჩენიდან წყლულზე გედო სუროსფერი მრავალძარღვა... და ოდიშის მწარე ბედზე კვლავ მომტირი გულსაკლავად. მინდა, ახლოს მოვიწიო შენი სიტყვის მწიფე ტოტი, ბალახივით მოგეფერო და გაგითბო პეშვით ლოდი.

თაფლის ნაცვლად შხამი გასვეს, ვით რგებია მრავალს წინათ, და მაცხოვრის კარის უკან მნათესავით მარტო გძინავს. მე სხვაგვარი ბედი მერგო, ვით მომღერალს გაჩენიდან, მაგრამ შენი ოქროს ჩანგი კვლავ მეძახის დარჩელიდან („ოქროს ჩანგი“). ამბობენ, პოეზიის სამშობლო წარსულის გახსენება და დაკარგულის მონატრებააო. ეს თუ ასეა, ვფიქრობ, გენო კალანდიას პოეზია ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია, რამეთუ ის უშუალოდ აღქმულ რეალობასაც უმღერის. მისი „მესამე თვალი“ საქართველოს განთიადებსაც განჭვრეტს: „ო, გიხაროდენ! ღრუბელი მზეზე დაქორწინდა... ბერიკაცო, გამოდი გარეთ, გუგულის კაბა, ფურისულა მოსულან სტუმრად. ხსოვნის ქარი ქრის... გაზაფხული არ იყო ცუდი... როგორც ამბობენ, ამინდები იქნება კარგი: – საქართველო ამოდის ჭიდან!“ („თეთრი ცხენის ბალადა“), ან კიდევ: „მზე გაუჯდება ტანში ბროწეულს, თმები – ალმური, ბაგე – სოველი, და ჩამოდგება ვერცხლის წყაროსთან სველი თუნგებით მთელი სოფელი. მზეს ჩამოიღებს ციდან მახარე, არშიყი ძველი, თვალუკრთომელი, და დევკაცივით წყლისპირ ხარხარებს ზაფხულის ხვატით მთვრალი სოფელი...“

ჩუმი სევდა განუშორებელი ჰანგია გენო კალანდიასათვის. იგი აძლევს მის პოეზიას გულწრფელობას, სილბოს, სინათლეს, ესაა სევდა დიადი სულისა, რომელმაც იცის თავის ძალა, მას არაფერი აქვს საერთო უსასოო მჭმუნვარებასთან. სევდანარევი ოცნება, ნაღვლიანი მელოდია, თავისთავში ჩაძირული სულის განწყობილება და ლეგენდების ბურუსში გახვეული სამეგრელოს პეიზაჟები გაცოცხლებულია ლექსში „ილია ჭავჭავაძის ფიქრები სამეგრელოზე“, – აქაა ისტორიული ცნობიერების მძაფრი სიმახვილე. უცნაური შეგრძნებები გეუფლება ამ ლექსის კითხვის დროს. კითხულობ და გრძნობ

მხატვრულ ქსოვილში არსებულ ქვეტექსტს, რომელიც არღვევს ლირიკული სიუჟეტის ფარგლებს და აფართოებს პოეტური თვალსაწიერის სიდიადეს: „ო, სამეგრელოვ, მზისნილხვდომილო, სულო შვიდფერი მოთქმა-გალობის, მეიმედები, როგორც დობილი, შენი კოლხური შთამომავლობით“ ... „თაფლი მოწვეთავს ღამის უბიდან, თიბათვის ალით გეწვის სხეული და მთვარესავით ჩემი გულია შენს ლერწამ-ტყეში გამოხვეული. თავი მეხივით გიდევს ღრუბელზე, მკერდით მღელვარე ზღვას ეხეთქები, ცას მიაპობენ სტვენა-შხუილით დაფეთებული ელვის ქედნები. ცხენის ფაფარში ჩაწნულ სიმღერებს თითქო კვალდაკვალ მივდევ ფიქრებით, ცრემლად, ტკივილად, შვებად მიიღე სისხლით ნაწერი ჩემი წიგნები. ო, სამეგრელოვ, უფლის სახელით დამწყალებულო ნათელმირონზე, მკერდში ჩაგიკრავ უკანასკნელად და შენს უნაზეს სულზე ვილოცებ.“

ამ ლირიკული გმირის ნაფიქრ-ნააზრევის სიდიადეს საკვირველი ჰარმონიულობით აწესრიგებს და გვხიბლავს მისეული უნივერსალიზმი და უზადო ნიჭი...

ილიას თვალით დანახული სამეგრელო შემოდის შენში, ილექება შენი მახსოვრობის ფსკერზე, გარდაქმნის და სრულყოფს შენს წარმოდგენებს და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ამქვეყნად ყოველი საგანი, სახე, ხაზებისა და ფერების მუნჯი მინიშნებით აცხადებს, რომ ის ლოგიკური აბსტრაქცია სასარგებლო საგანი კი არ არის, არამედ ერთადერთი თავის სახეობაში და რომ თავის თავში გამოხატავს თავისივე არსებობის სასწაულს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გენო კალანდიას პოეზია, მისი, როგორც პოეზიის არსებობის უჩვეულო სასწაულია, მისი მხატვრულ სიტყვაში ასახული სურათი გაცილებით უფრო დღეგრძელია და ხელშესახები,

ვიდრე რეალობა, და მაინც: „ადამიანი – პიროვნება სწორედ იმიტომაა პიროვნება, რომ მხოლოდ მას ყველა სხვა ცოცხალ არსებათა შორის გააჩნია ინტროსპექციის უნარი, მხოლოდ იგი იაზრებს საკუთარ „მე"-ს, ანალიზს უქვემდებარებს თავისსავე აზროვნების პროცესს, თავის ემოციებს, ნამოქმედარსა და ნამოღვაწევს, მხოლოდ მას ხელეწიფება შეხედოს თავის თავს გარედან, როგორც უცხოსა და დამოუკიდებელ საგანს."[1]

„ვარ ციხე-გოჯით, მარტვილით, რუხით, ფაზისის ვარდით, გუბაზის სისხლით... ო, როგორ შვენის ტყეს ჩვენი მუხის სამკაულები მთვარის და ნისლის. ყოფნა-არყოფნის გადაშლი წიგნებს, შემომანათებ, ვით ძველი განძი, ვარ ჭყონდიდელით – მამულის სიბრძნით, მკერდზე მედეას ცრემლები მაწვიმს. ვარ იოანით, – არესის ჭალით, ქართული სიტყვის ვარდის მკრეფელით, ვარ ცოტნეს გულით და კიდევ ათი მეფის ძენით და მეფისმეფენით" („ვარ ჭყონდიდელით – მამულის სიბრძნით") – წერს პოეტი და ამ სიტყვებით თავის შინაგან ბუნებასა და მრწამსს გადმოგვცემს. უფრო მეტიც, ეს სურათი ხატს ახალ სულს უდგამს და სულ სხვა შუქით აბრწყინებს. ემოციური ზღვარი არამარტო პიროვნეული, არამედ ეროვნული ეთიკის სფეროსაც სცილდება და ზოგადადამიანურ მნიშვნელობას იძენს. პოეტის უჩვეულო ხილვათა ჯარი დიდებულ წინაპართა დიდებულ სილუეტებსაც წამოშლის...

„ადგილის დედას სხვანაირი ყურის მიგდება უნდება და სხვანაირი მოფერება სჭირდება მუდამ. ვინც თავის ძირძველ ფესვებს, თავის მშობლიურ კუთხეს მოწყვეტილა ან შეგნებულად უარუყვია, იგი ვერც თავის თავს და, მითუმეტეს, ერს ვერაფერში გამოსდგომია. მშობლიური კუთხეა ყველაფრის საწყისი და გაგრძელება". (ა. ფირცხალავა)

---

1 ს. ჟორდანია, კრიტიკის ფილოსოფია, თბ., 1998, გვ. 120-121

როცა გენო კალანდიას ლექსი „თქვენ ხომ ერთხელ მიღალატეთ“ წავიკითხე, ტერენტი გრანელი გამახსენდა. საგულისხმოა ის, რომ ლექსს ეპიგრაფად უძღვის ტერენტი გრანელის სტრიქონები: „სადღაც ხარობენ, ალბათ, ჩემი პატარა მტრები“. ტერენტი გრანელი ხომ მუდმივად გრძნობდა საქართველოს იერემისებურ გოდებას. დარდის პერანგით მოარული ტერენტისათვის „ცხოვრება ჯოჯოხეთია, სიცოცხლე დეკორაცია“ ... და კიდევ: ... „მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს. როგორც ოხვრა შორეული გედის, ანდა როგორც მარმარილო ცივი. მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს. ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი, შენ გაიგებ ჩემ ამნაირ ტირილს, მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს“.

ეროვნული და სარწმუნოებრივი ტკივილებით გულშეძრული და თავისუფლებაწართმეული პოტი ყვედრებით იტყვის: „თქვენ ხომ ერთხელ მიღალატეთ, თქვენ ხომ უკვე მომკალით, ჯვარზე მაცვით, მერე ნეკნი ამომიღეთ ორკაპით, გული ბრძოლით დამეღალა, თვალი ღამის არაგვით, თქვენი ტაში, ჟრიამული, ჩემს ერთ ცრემლად არა ღირს“ ...

სამეგრელოს ციკლის ლექსებიდან საინტერესოა „ბალადა გარდაცვლილ მეგობარზე“, რომელიც პოეტის მეგობარს საშა ეგუტიას ეძღვნება.

ლექსში აშკარად ირეკლება პოეტის სულიერი განწყობილება. ყოფიერების ტრაგიკულობის შეგრძნებაც იმ რეალობაში, სადაც პოეტის თქმით: „ბედნიერება გამეგება ამქვეყნიური, იმქვეყნიური არ მწამს სამოთხე! სინათლედ მოდი... თოვლად მოდი... ბალახად მოდი... ხარის ჯოგივით აბღავლებული ღამეების სიზმრებად მოდი, ოღონდაც მოდი, ტკივილად...

ცრემლად... გულის ღია ჭრილობად მოდი, მწუხრის რტოებად, ხსოვნის ცისფერ მდინარედ მოდი, ოღონდაც მოდი".

ამ ლექსში ტრაგიკული ინტონაცია დომინირებს. იგი წარმართავს ნაწარმოების ემოციურ მუხტს და გარკვეული აზრით, თვით ლექსის არაორდინალურ ფორმასაც განაპირობებს. დაძაბულობა და მოვლენათა დრამატული მონაცვლეობა ერთბაშად სტატიურ სურათად იქცევა. ლექსი რაღაც იდუმალის, მისტიურის მოლოდინით მთავრდება: „ანდერძად... მცნებად... ჩემი საქმის მსაჯულად მოდი, ჩემგან მოკლული სიყვარულის ნუგეშად მოდი, ოღონდაც მოდი... გული მანდ დარჩა... სამეგრელოს მწვანე მაღლობზე, სული გაფრინდა მაღლა ზეცაში, ხარ დაკარგული, როგორც მთვარე ლაზისტანისა!"

პოეტს ახასიათებს წარსულის ბურუსებში ხეტიალი, მის პოეტურ ქმნილებებში უზადო პოეტურ ნიჭს ერწყმის შინაგანი სიფაქიზე და სიწმინდე, უანგარო სულისკვეთება, ისტორიის უფსკრულებიდან ამოზიდულ მის მარგალიტებს ბრწყინვალეება არასოდეს მოაკლდებათ. მისი პოეტური კარმიდამო იებით, ვარდებით და დაფნის რტოებითაა შემორაგული. ეს კარმიდამო არავისას არ ჰგავს, სულ სხვანაირ სურნელს აფრქვევს. აქ ხომ ისტორია ლექსად ჰყვავის, ხოლო მზე და ოჯალეში ჩაფებით ისმევა. ... და დღეს „სამეგრელოს მინდვრების ფერებს" პოეტი განძივით დაატარებს. ეს განძი ამქვეყნად ყველაზე უძვირფასესია...

მართებულად ბრძანებს თამაზ ჭილაძე: „პოეზია არის ადამიანის შინაგანი რაობის მაქსიმალური გამოვლინების ფორმა. პოეზიაა ის, რაც ყოველდღიური რეალობის ქაოსიდან გამოყოფს ადამიანის პიროვნებას, ანზოგადებს და ანიჭებს უკვდავებას. პოეტია ის, ვინც პრაქტიკულად ანხორციელებს დიდ მისიას, რომლის ყოველი პირადი განცდა ულერს,

როგორც საზოგადოებრივი. ამდენად, პოეტია ის, ვისაც შეუძლია შექმნას საკუთარი პიროვნება.“[1]

გენო კალანდიამ მართლაც შექმნა თავისი პიროვნება. თავისი პოეზია, სრულიად ახალი პოეტური ქვეყანა და თავისი სულის პირამიდა ააგო. ძალიან ძნელია იცხოვრო ისე, როგორც წერ... ვფიქრობ, გენო კალანდია ამ მხრივაც გამორჩეულია. ის ცხოვრობს ისე, როგორც წერს და ცხოვრობს იმ პრინციპებით და ზნეობრივი ნორმებით, რასაც თავის პოეზიაში ამკვიდრებს... მისი უჩვეულოდ მასშტაბური და მრავალფეროვანი პოეზია, თავისი მსოფლმხედველობით მზესავით ასხივებს. კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მისი, როგორც პოეტისა და შემოქმედის კრედო ზნეობის პირველობაა. მას ძირისძირობამდე აქვს ათვისებული მრავალსაუკუნოვანი ქართული და მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილება. აკი „ესთეტიკურ იდეალში ვლინდება ხელოვანის მსოფლმხედველობა, მისი ზნეობრივი მრწამსი, მწერლის ესთეტიკურ იდეალში უშუალო გამოხატულებას პოულობს თვით შემოქმედების პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეთიკური და მხატვრული შეხედულებანი, რაც განსაზღვრავს მის მსოფლმხედველობას და აძლევს მას საშუალებას, სწორად გახსნას სინამდვილის არსი, ცხოვრების განვითარების ტენდენციები და წარმოსახოს ეს სინამდვილე, ცხოვრება მშვენიერია თუ მახინჯი, ამაღლებული თუ დაბალი, ტრაგიკული თუ კომიკური“.[2]

„გენო კალანდიას ლექსებს რომ კითხულობ, რაღაც უცნაური შეგრძნება გეუფლება, შეგრძნება იმისა, რომ რაღაც მთავარი და ძირითადი არ ვიცით საკუთარ თავზე, წარსული თითქოს გვახსოვს, მაგრამ არ გვახსოვს წარსულის წინარე

1 თ. ჭილაძე, რჩეული, გამომცემ. „მერანი“, თბ., 1982, გვ. 479

2 ც. მესხია, მწერალი და სინამდვილე, თბ., 1998, გამომცემლობა „სამშობლო“, გვ. 41

წარსული, უიმისოდ კი იმის ახსნა და გაშიფვრა ჭირს, რაც გვახსოვს. თითქოს ვილაცის ხელმა შუაზე გაწყვიტა ხიდი, რომლითაც წარსულთან ვიყავით დაკავშირებული, ნახევარი ხიდით კი იმ ნაპირს ვერ ვწვდებით, სადაც არის დამარხული დიდი საიდუმლო, რომელიც გაცხადებას ითხოვს" ... (ეს ვახტანგ ხარჩილავაა).

გენო კალანდიას პოეზია ზემაღალი ნიჭის გამოსხივებაა, განსაკუთრებული ესთეტიკური ფენომენი. ვფიქრობ, ალბათ, ბევრს არ ძალუძს განსხვავებული კოლორიტის, ფერის, უხილავი სამყაროდან კოსმიური სულის ამდაგვარი გამოხმობა, დამორჩილება, რამხელა კოსმიური წვა, სულიერი ღელვაა შემდეგ სტრიქონებში: „აწ გარდასული ჩემი სიცოცხლე დარჩება, როგორც ლანდი წარსულის, და ღამღამობით ჩემზე ილოცებს ის ხანძრისგულა კოლხი ასული. ღია დარჩება სახლის სარკმელი, ვით სავსე გულის მწვანე ჭრილობა, სანთლებს აანთებს ხელის კანკალით და უზენაესს თხოვს მოწყალებას. ძმაო, ცხოვრება მახრჩობს ნაღველით, ყვითლად ხასხასებს უკვე ბალახი, კიდევ ცოტა და... უფლის სახელით ოდიშს მერგება საძვლე-სამარხი" („ზაურს").

გენო კალანდია თანამედროვეობის გაბედული პოეტია. მან შეძლო გამოეხატა არა თანამედროვეობის სული, არამედ ადამიანურობის ჭეშმარიტებაც, ყოველგვარი დროის მიღმა მდგარი და ზმანებაში გადასული. პოეტი საოცარი ძალმოსილებით გადმოსცემს არა მარტო საკუთარ განწყობილებას, არამედ ეპოქის სულსაც. თანამედროვეობის სუნთქვას მოაქვს მისტიკური სული, კანთიელად რომ ტრიალებს ზმანებისა და ცხადის სამანზე და გაფიქრებინებს, რომ ყველაფერი მართლა არსებობს.

უნებურად ესმა ონიანის წერილი „ტერენტი გრანელი"

ამოტივტივდება მეხსიერებაში: „ტერენტი გრანელი გამუდმებული ხლეჩვის ზღვარზე: უმძაფრესი მონატრება – სიყვარული და ადამიანური ფეხმოუკიდებლობა: ვერ შეძლება, ველარ გაძლება, ადამიანად არსებობის ვერ ცოდნა, ვერ შეთვისება, და თანაც მისკენ უდიდესი სიყვარულითა და ცრემლით ლტოლვა, პოეზია მისი უტყუილო, ნამდვილი ბუნების შედეგია, ჭეშმარიტი პოეტი მხოლოდ თავისი სულის გამოცდილების ნამდვილობას მიელტვის პატიოსნად, სულის „ბიოგრაფიას“, სულის აქ ყოფნის „ისტორიას“ ტოვებს“ ... არა, არ სჭირდება ტერენტის შეღავათები! ის დიდი პოეტია საერთოდ, დიდი რა არის? არსებობს ერთადერთი განსაზღვრება (ამისთვის) – ნამდვილი!“

უნდა დავეთანხმოთ რენე კალანდიას, როცა წერს: „ამ წიგნებში პოეტმა შესძლო შეუძლებელი და თავისი კომპოზიციებით – ეპისტოლეებით დროსა და სივრცეში მარადიული რექვიემი ააჟღერა. წაგვაკითხა და განცვიფრებულნი დაგვტოვა, რამეთუ ოდითგანვე ცნობილია, რომ ჭეშმარიტი ანუ ნამდვილი (ესმა ონიანის საყვარელი სიტყვაა – რ.კ.) პოეზია განცვიფრების, უდიდესი მგრძნობელობის, ახალი კუთხით დანახვისა და გადმოცემის გზაჯვარედინზე დაღვრილი საბრალო და მარტოობის ალალი ცრემლია, პოეტის უბრალო და ობოლი ცრემლი, რომელიც არ დასცდენიათ და არ დასცდებათ მავანთ და მავანთ, რომლებიც „ამა ქვეყნის ძლიერთა“ ქარტიით აღჭურვილნი აფიქსირებენ აზრს პარლამენტებში და მსოფლიოს ახალ წესრიგსა და გადანაწილებაზე ფიქრობენ ანუ მათთვის საჭირო გეოპოლიტიკაზე“.

გენო კალანდიას პოეზია – ესაა ადამიანის სულის ისტორია, რომლის დინებასა და ცვალებადობაში მისი ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოვლენებია წარმოჩენილი და განჭვრეტილი.

„... მე მეცოდება ყველა ის ხალხი, ვინც ვერ გრძნობს მწუხრის მზესა და კოცონს... ღრუბელს რომ ფერი დაჰყვება თართის, ის ფერი დაჰკრავს თიბათვის ფოცხოს“ („ნოქალაქევში ვიყავი შაბათს“). „... არ გამახსენო ის ზაფხული, ის მკვდარი სახლი, ის დიდი ეზო, თეთრი კრავით, პატარა ძაღლით, არ გამახსენო თუ გიყვარდე, არ მომკლა უცებ, ვერ ხედავ ძაძით მოსილივით ველარ ვხსნი ტუჩებს..“ („არ გამახსენო ის ზაფხული“), ვკითხულობთ და ვგრძნობთ, სიცოცხლის მიწისაგან აღგვის ბნელ ფიქრებს როგორ აქარწყლებს ეზოში მოსიარულე თეთრი კრავი, რომელიც ტკივილს ანელებს და იმედის, ნათელი მომავლის ციალა ლამპარს ანათებს ადამიანის სულში.

ღვთაებრივი სამეგრელოს ლანდშაფტები რომანტიკულ ვიზიონებად განსახიერდება და პოეტის სულის მაღალი ესთეტიკით გაბრწყინდებიან მკითხველის წინაშე: „გაოგნებული ბედით თქვენც მობრძანდებით, ალბათ, გამასვენებენ შაბათს ძმები, მწუხარე დები. დამძიმებული წლებით გეფერებოდით შორით, განისვენებდეს ოდიშს ჩემი პარტახი ძვლები. გადამსხვრეული ქარით მზეს შებღაოდა ქარი, – ჭყონდიდელების სისხლი. პონტოს უბიდან ცამდე მირონის წყალსა სვამდა ჩემი ცისფერი წიგნი. ან კიდევ: „იქ რომ მაღლობია დიდი მუმლი ეხვეოდა მუხებს, ეს გზა მარტვილისკენ მიდის, ის გზა კიწიასთან უხვევს. ჰგავდა ადამიას ნახატს, – თოვლი, ჩვენებური ოდა, მწყემსი დაეძებდა ნახირს, მთაში ხვავრიელად თოვდა. თოვდა, ხვავრიელად თოვდა.“ ... „ხეებს, გაფრენილებს ცაში თოვლით – ვასკვლავების კოდით ცრემლი უბზინავდათ თვალში, როგორც სარაქონელ ცოდვილთ. სოფელს, ჩაძინებულს თოვლში კვამლი უხდებოდა თხელი, მეფის, მეფისწულის ქოშით მთვარე ჩადიოდა ხევში. თოვდა, ხვავრიელად თოვდა“ („თოვდა, ხვავრიელად თოვდა“). მრავალი

ციტატის მოტანა შეიძლება, უმაღლესი პოეტური ესთეტიკით აღბეჭდილი ლექსებიდან.

და მაინც, ეს სტრიქონები რაღაც უჩვეულო გრძნობებს წამოშლის, სადაც „კადრები ისე უჩვეულო მიმართებებსა და რაკურსებში დაუყენებიათ, რომელშიაც მიახლოება-დაშორების პრინციპს განსაზღვრავს აულაგმავი ფანტაზია და აზრთა პედანტური ობიექტივიზმი“[1].

გენო კალანდია განსაკუთრებული სითბოთი იგონებს მშობლიურ კუთხეს, მშობლიურ სოფელს, გულუხვი კოლხი რაინდის ლექსებში ვარსკვლავებივით ბრწყინდებიან უახლოესი ადამიანები დედა და მამა, დები და ძმები, მეგობრები, ახლო ნათესავები. მის ლექსებშია ჩაბუდებული სულისშემძვრელი ტკივილი, მაგრამ ძლიერი ოპტიმიზმით და ნათელი დღის მოლოდინით აღსავსე განცდები, რომლის იქით მართლაც რომ სათქმელი თითქმის აღარ რჩება. მისი რწმენით, აზრისა და განწყობის გამოსახატავად სამყაროში არსებობს მხოლოდ ერთი შესატყვისი ფორმა – შემოქმედებითი პროცესი, რომელიც ამ ერთადერთი ფორმის ძიებას წარმოადგენს. მშვენიერების არსიდან გამოჰყავს მას აკვიატებული აზრი, განცდილ-გადატანილის არე კი მრავალფეროვანია, მისი პოეზიის ერთი ნაწილი შეიცავს იმას, რაც წამიერად ანათებს დღეს პოეტის სულში ღვთაებრივი სინათლით. ის, რაც მისი სულისა და ხორცის ნაწილია, რითაც ამაყობს და სიყვარულის ბილიკზე მოაბიჯებს ლექსებით გაფოთლილი...

პოეტმა მშობლიურ კოლხეთში, ზნემაღალ ოჯახის წიაღში, დედ-მამის ამაღლებულ, განმაცვიფრებელ ბუნებასა და ხასიათში იგრძნო და დაინახა ბუნების დიადი ძალა და სილამაზე. „ალვების თეთრი კავალერია“, „ცა იდუმალი“, „ოდიშის თე-

1 გ.გაჩეჩილაძე, სულიერი გამოცდილების ისტორია, თბ., 1998, გვ. 334

თრი ბროლი", „ცის ღიმილი", „ზაფხულის ხვატით მთვრალი სოფელი", „ჭალადიდის ვარსკვლავები" ... დიახ, ბავშვობიდან სულში აღებეჭდა: „ცისარტყელას ფოჩივით ბალახებში ჩამდნარო ღამეული ხილვების დიდო საქონდაქორო" ...

არაერთგზის ახსენებს პოეტი მშობლიური სოფლის აისებს და დაისებს, რაღაც განსაკუთრებული ელფერით ბრწყინდებიან მშობლიური კუთხის პეიზაჟები. მშვიდი მთვარე, ვარსკვლავებითა და კალმახებით სავსე ხობისწყალი, მარწყვისფერი ქვირითით გაჭორფლილი ქვები, „ტყისპირ აფეთქებული ჩიტისგულა მოცვი" და კიდევ: „წერო – ბედის ირაო – ჩამოვარდნილი ჭალით" და „უზანგებზე შემდგარი ოჩოპინტრე მთვრალი, ათი ვაჟის მამა და ათი ქალის ქმარი, მხარზე გადმოუგდია ტყავის ძველი აბგა, თითქო ჭაშნიკს უსინჯავს მზით შეთქვიფულ გარგარს," – ყველაფერი ეს პოეტის ლამაზი წარსულია, დღეს უკვე სულისშემძვრელი ტკივილი... ბავშვობისა და ჭაბუკობისდროინდელი შთაბეჭდილებები ცოცხლდება გენო კალანდიას მადლიანი კალმის ძალით. „ვიგონებ დედას... ვიგონებ მამას... ვიგონებ რუხის ძოწისფერ ღრუბელს, ვიგონებ ათი ზურმუხტის ამბავს, თოვლის სასთუმალს და ვარდის უბეს." ... „ვიგონებ დედას, ვიგონებ მამას, ვიგონებ სამი პოეტის კერას, ვიგონებ ათი ზურმუხტის ამბავს, მეგობრის იღბალს და ბედისწერას..."

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ აქაა მშობლიური კუთხის სილამაზით გამოწვეული უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა, რომელსაც ორგანულად ერწყმის მშობელი დედ-მამისადმი უნაპირო სიყვარული, მათი არყოფნით გამოწვეული სევდა და ტკივილი.

ლექსში „მომენატრება მშობელი მამა" ყოველი მეტაფორა, ყოველი პოეტური სახე უნიკალურია. მეტაფორების,

შედარებების, სიმბოლოს პრიზმაში ტყდება გენო კალანდიას თვალით დანახული საგნები, მოვლენები. და მაინც, პოეტმა აქ მთელი არსებით გაამჟღავნა საკუთარი დამოკიდებულება მშობელი მამის მიმართ. რაღაც უჩვეულოდაა დახატული გარდაცვლილი მამის დაუვიწყარი სახე: „მომენატრება მშობელი მამა, – ის ღვთისნიერი მეგრელი გლეხი, შუაღამისას დავტოვებ ქალაქს, გზას დავადგები უეცრად ფეხით“...

გენო კალანდიას შინაგანი კულტურა, მისი ლიტერატურული გემოვნება და პოეტური ნიჭი ჟრუანტელის მომგვრელი განცდებით აცოცხლებს ბავშვობის, კოლხური სოფლის მონატრების ეპიზოდებს. აკი ქართული სოფელი „უცხო და ყველასათვის გაუგებარი“ (გალაკტიონი) ახალი ფერებით სუნთქავს მის ლირიკულ ქმნილებებში. ყოველგვარი თემა მისი თვალსაწიერიდან დიდი სინატიფითაა აღბეჭდილი, საგულისხმოა ისიც, რომ მისთვის უცხოა ჰეროიკულ-პათეტიკური მეხოტბეობა, ის მთელი არსებით აღიქვამს სრულიად საქართველოს ბედ-იღბალს, ალბათ ამიტომაც გენო კალანდიაზე ფიქრი სრულიად ბუნებრივად უკავშირდება კითხვას – „ვინ ვარ, საიდან მოვდივარ“?

„გენო კალანდიას სამშობლო საქართველოა, მაგრამ ამ სამშობლოში კიდევ არსებობს სხვა სამშობლო-სამეგრელო – ნაწილი და ნაპერწკალი უძველესი კოლხეთისა და ლაზიკისა, საუკუნეთა ქარტეხილებს გადარჩენილი, რომელმაც დღემდე შემოინახა უნიკალური მეგრული ენა. ენა კი მახსოვრობაა, მეხსიერებაა, რომელიც ისტორიას ინახავს“ ... (ვახტანგ ხარჩილავა).

გენო კალანდიას ცხოვრების გზა – ესაა გზა ფესვებიდან ფესვებისაკენ... პოეტი საუკუნეების წიაღში ეძებს ქართული სულის ფენომენს, ეძებს იმ ზნეობრივ პოს-

ტულატებს, რაც საუკუნეებითაა განმტკიცებული ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში, მთელი ძალისხმევით იბრძვის, არ დაიჩრდილოს, არ წაიშალოს კვალი სიკეთისა, რომლის მადლითაც ჩვენი თაობები აღზრდილან და იზრდებიან. მისთვის პოეზია (მისეული) თავისებური, მინიერი, საამქვეყნო სარწმუნოებაა; ამიტომაც ამ ღვთიური მუსიკის ენით მოგვასმენინებს თავის სათქმელს, თავის სიყვარულსა თუ სიძულვილს, მიგვაყურადებს მშობლიური ფესვების ძახილს, რათა გამოამზეუროს ეროვნულ თვისებათა მიჩქმალული საუნჯე, ახალი მიმართულება, ახალი სადინარი გაუხსნას დატბორილ ეროვნულ ენერგიას...

მშობლიური ფესვების, მამულის, მშობელი მამის, სანუკვარი კერიის სიყვარულის ძალას ვფიქრობ უკეთ ვერავინ წარმოაჩენს. არჩილ ფირცხალავა წერს: „გენო კალანდიას მამის ხატება ცოტნეს სიმაღლის, ცოტნეს ერთგულების რანგში აქვს აყვანილი. მამის პორტრეტები, თუნდაც ცალკეული მინიშნებები მშობელი მამის შინაგან სიწმინდეზე, ამ კეთილ გლეხკაცს დიდი ცოტნეს შარავანდის შუქში აყენებს: მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს და წყლულზე ვიფენ ფაზისის ბალახს, თქვენ კარდინალის სამოსი გქონდეთ, მე მამაჩემის მოვისხამ ხალათს.“

გენო კალანდიას პოეზიაში დიდი პოეტური ძალით აისახა მშობლიური ბუნების სურათები, საქართველოს ისტორია, მისი წარსული, აწმყო და მომავალი... „აქაა სამი ხატის მთლიანობაც – მამული, მამა, ცოტნე. ცოტნე – ხატი, მამული სულის სახე. მამა ოჯახის უფალი და კერიის ხერხემალი. ცოტნე კი ჭეშმარიტი ზნეობრიობისა და ერთგულების სიმბოლო – ეს სამება ამთლიანებს ყველას და ყველაფერს: „ო, მამაჩემო, აანთე ცეცხლი, გახსენი სულის შვიდივე ბჭენი,

ავწონოთ ჩემი ოქრო და ვერცხლი, ზედ მივაწეროთ სახელი შენი." („მამა")

პოეტისათვის მშობლიური კუთხე და მშობლიური მამა ყველაფრის საწყისი, სათავე და გაგრძელებაა და ამიტომაც ლოცვის ექსტაზში შესული გულწრფელად ამბობს: „ვოცნებობ: სოფლის ცოდვილივით გავექცე სინდისს, თოვლქვეშ მძინარე გაზაფხულის სიმღერად ვიქცე, აღვავლენ ლოცვას უნეტარესს და ხელებს ცისკენ: – მაცოცხლე შენთვის, თუ ამიერ ვარ ამის ღირსი! უფლის სულივით ტაძრის ბჭეზე ამოდის სურო, უფლისციხელნი სამზეოზე ლეწავენ ხორბალს, – მუმლი მუხასა! – გუგუნებენ სწორფერნი მწყობრად, – თავისუფალი საქართველოს მკვიდრი ხარ, სულო!" („მუმლი მუხასა").

„მე სამეგრელოს მინდვრების ფერი თვალებში ჩამრჩა, ვით დიდი განძი, და ბავშვობიდან სახის იერით მე აქაური მეცნობა კაცი." ... დიახ, პოეტური გრძნობიერების ყოველი კომპონენტი მამულის, მშობლიური კუთხის სიყვარულის, მასზე დღენიადაგ ფიქრისა და ზრუნვის ფერადი გამონაშხეფია. სრულიად განსაკუთრებულია „ფესვებში" წარმოსახული გენო კალანდიას „სულის პეიზაჟები" (გურამ ბენაშვილი). ესაა უმშვენიერესი სამყარო, ლირიკული პერსონაჟის უჩვეულო განცდები, კოლოსალური ძალით გახმოვანებული და მზის ანარეკლივით მთრთოლვარე, უნატიფესი ჰარმონიები სულისა... აი, თუნდაც: „დედა – სამ დროში" „ძველი ალბომის ორიოდ სურათს ახლაც რომ ვარდის სურნელი ასდის, ის ქალიშვილი – დედაა ჩემი. გაზაფხულიდან გაზაფხულამდე იის ფოჩებს რომ უგავს თვალები, ის თეთრი ქალი – დედაა ჩემი." ... გზაზე რომ მიდის შავი თავსაფრით, ის მარტოსული – დედაა ჩემი. საფლავის ქვაზე ტირიფივით რომ დამხობილა, ის ბეჩავი – დედაა ჩემი.

მშობელი ოდის აივანზე რომ გადმომდგარა, ის საბრალო – დედაა ჩემი. ო, ჟამისჟამო – მაცდურო, ძველო, სამი ყრმის სულზე ლოცვად რომ დგება, ის კოლხი ქალი – დედაა ჩემი.“ ... ეს ლექსი პოეტის მიერ დედაშვილობის მძლეთამძლე ძალის ქაღალდზე გადმოტანილი უჩვეულო სასწაულია. კითხულობ და აღტაცებას ვერ მალავ პოეტის შინაგანი კულტურით და ლიტერატურული გემოვნებით გაწონასწორებულ მშვენიერებაზე, რომელიც მირონივით მოედინება ამ ლექსიდან.

გენო კალანდიამ მთელი სისრულით და ფერადოვნებით გაახმიანა ქართული სიტყვის ძალმოსილებით მშობელი დედისადმი უნაპირო სიყვარული. დედისადმი მიმართებაში მას საკუთარი ზნეობრივი კანონი აქვს, საკუთარი კრედო, დედის ხატება, დედის ფენომენი, დედის მონატრების განცდა შემოდის მკითხველის მეხსიერებაში, ილექება მახსოვრობის ფსკერზე, სრულყოფს ჩვენს წარმოდგენებს და მხატვრული სიტყვით ასახული სურათი მარადიული, დღეგრძელი და ხელშესახებია: „ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის კვირას, ღვთის მსახურივით თეთრი ვარდი ეფინა გულზე, მზე ჩადიოდა ქარიატას, ყულევს, ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის პირას, ბეღურას ჰგავდა საყდრის ახლოს დავარდნილს მინდვრად, ვერცხლის წვიმაში მოციმციმე შროშანის ფურცელს, ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის კვირას, ღვთის მსახურივით თეთრი ვარდი ეფინა გულზე“ („ტრიოლეტი“). – ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი პოეტური ქმნილებაა, ლექსი – ფერწერა, განუმეორებელი ხატება დედისა, ნაღვლიანი და ტკივილიანი მელოდია სულისა. აქ სათნო დედისა და რაღაც ციური შუქის ნიაღვარია, რაც დაგაფიქრებს, პოეტის მეტაფორულ, ხატოვან თქმაში: „ბეღურას ჰგავდა საყდრის ახლოს დავარდნილს მინდვრად, ვერცხლის წვიმაში მოციმციმე შროშანის ფურცელს“ ... ესაა

გასაოცარი ხატ-სახეები, რომელთაც მოაქვთ დედის სურნელი, დედისადმი სიყვარულის წრფელი განცდა და მარადისობაში გადასვლის უმშვენიერესი დღესასწაული, ის წუთები, როცა „ღვთის მსახურივით თეთრი ვარდი ეფინა გულზე“. დედისადმი სიყვარულის წრფელი განცდა მიღწეულია გრძნობისა და სიტყვის იდეალური სინთეზით და თუ ყოველი ადამიანური გრძნობა, მით უფრო დედა-შვილობის განცდა მშვენიერია და სულის ამამაღლებელი, პოეტის გრძნობაც ამაღლებულა და უმშვენიერესია იმითაც, რომ გულის სიღრმიდან მოდის. კითხულობ ამ ტრიოლეტს და გახსენდება გიორგი ლეონიძე: „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო“. გენო კალანდიამ ურთულესი მეტაფორული სახეებით, დედის ბუნება, დედის გარდაცვალება სილამაზის მარადიულ დღესასწაულად აქცია. პოეტს მუდმივად გამახვილებული აქვს შეგრძნება ამაღლებულის ძიებისაკენ, რომელიც არც თუ ისე ადვილია. დიახ, „რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძნელად თუ ჰპოვებ ჭეშმარიტად დიდბუნებოვანსა და სულიერ სიმაღლეთა წვდომის ნიჭით ცხებულ ნატურებს, ხოლო მაღლად მხედთა გარდა, მათთან ერთად, ამაღლებულის თითქმის უკვალოდ გაქრობა ჩვენი ბერწი ეპოქის წყევლად და საყოველთაო უბედურებად იქცა“.[1]

პოეტი ამაღლებულისათვის ბრძოლაში ხედავს სიცოცხლის არსსა და გამართლებას. მან კარგად იცის, რომ ადამიანის ბედი მაინც ამქვეყანასთანაა დაკავშირებული, რომ ბრძოლა ბედნიერებისა და მომავალი სიყვარულისათვის ამქვეყნიურია, მისი ბედით თუ უბედობით, კაცთმოყვარეობა, მაღალი ზნეობა, პოეტის ორიენტირია, მისი სასიცოცხლო მედიუმი. „ოდოია-

1 ფსევდო-ლონგინე, ამაღლებულისათვის, წინასიტყვაობა და კომენტარები, ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1975. გვ. 200

ოდი, მეგობარო ზევსის, ფეტვის-ფეტვით, ღომით, ოჯალეშის ფესვით დის ქორწილში მოდი... დაფნის მორჩი ტოტით, ნაძვის სანთელ-კვარით, ღრუბლის ლურჯი ზოდით, ჩვენი ციხე-კარის კურთხევაზე მოდი“ ... ამბობს პოეტი ლექსში „ოდოია-ოდის მოპატიჟება წაჩხურობაზე“. სააშკარაოდ იკვეთება მისი რელიგიური განცდა და ღვთისმოსაობა, რითაც იგი საზრდოობს და მშობლიურის, მამა-პაპურის მოსაფრთხილებლად განგვაწყობს.

უმძაფრესი პოეტური განცდა მზესავით ამოანათებს პოეტის სულიდან: „წყალანკარა ფონით, – ორჩხომელით, ნავით ღვთის უმანკო კრავით უძველესი ტომის დღეობაზე მოდი! ოდოია-ოდი, ოდოია ოდი“ ...

მართებულად ბრძანებს ბორხესი: „ბრედლი ამბობდა, რომ პოეზია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რაღაც ახალი კი არ ცხადდება, არამედ დავიწყებული ჩნდება ხსოვნაშიო. მშვენიერი ლექსის კითხვისას ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს თვითონაც შეგვეძლოს ამის დაწერა, რომ ეს ლექსი ჩვენში ადრეც არსებობდა. ეს მეხსიერებიდან ამოატივტივებს პლატონისეულ განსაზღვრებას, მსუბუქი, ფრთიანი, წმინდა. მსუბუქი, ფრთიანი წმინდა შეიძლებოდა ყოფილიყო მუსიკა (თუ არ მივიჩნევთ, რომ პოეზია მუსიკის სახეობაა, პლატონმა პოეზიის განსაზღვრაზე მეტი გააკეთა: მან პოეზიის ნიმუში მოგვცა. შეგვიძლია მივიდეთ იმ აზრამდე, რომ პოეზია ესთეტური ცდაა, ეს სრულიად ახალია პოეზიის სწავლებაში“.[1]

ბავშვობაში, ყრმობაში განცდილი შთაბეჭდილებები ზრდიდა, აყალიბებდა მასში პიროვნებას, უძვირფასესი დედ-მამისა და მშობლიური სოფლის სულით ძლიერ ადამიანთა სახეები

---

1 ბორხესი, მეშვიდე საღამო პოეზია, „ჩვენი მწერლობა“, 1 ოქტომბერი, 2010, გვ. 14

უნატიფესი ორიგინალობით წარმოჩინდება ეროვნული ყოფის, ხასიათისა და ზნეობის ნიშანსვეტად. ის ნაზი, გულშიჩამწვდომი ლირიკული ხმებიც ბავშვობისა და ყრმობის სანუკვარი წლებიდან მოისმის, ოდიშიდან, ჭყონდიდან, ჭალადიდიდან, შამგონიდან მოჩანს ნათელივით მისი პოეტური არაჩვეულებრივი ემოციების სამყარო, მისი მარადი ლტოლვა ხალხური სიტყვიერებისადმი, წაჩხურობის დიადი დღესასწაულის სულისშემძვრელი ნათელი, რომლის გამონაშუქმა სავალი ბილიკი „მწუხრში გაუნათლისა"...

დიახ, „მშობლიური სიმღერებით გამოჭრილი ყელი, ქართული ანბანით გაფოთლილი სული, ზღვის მშფოთვარე ზვირთებით გაგლეჯილი გული, ქართული მირონით დალოცვილი ფუძე" – ესაა გენო კალანდიას (სამეგრელო) საქართველო. მისი ფესვები, სადაც „სტიქაროსნების პატარა გუნდით, წირავს, უგალობს მეუფე უფალს". მშობლიური კოლხეთის მიწისა და მინდვრის ყვავილების დამათრობელი სურნელი, სხვენზე დარჩენილი ლერწმის აკვანი, დედის დარგული ნუშებითა და ბროწეულების ცეცხლებით აბრიალებულ სახლ-კარი მისი სულის წიაღია, მისი ტკივილი, უსათუთესი და უნაზესი, მოგონებებით რომ ცოცხლობენ მის არსებაში და ათრთოლებული წერს: „ზაფხულის სევდა – დედაჩემის დაღლილი სახე, თმა – ვერცხლის ბროლში გამდნარი თოვლი, ხმა – ვარდისფერი კლავესინი, თითები – მქრქალი იების კონა. სიტყვები... ლოცვა – მაისის წვიმა, თვალები მკვირცხლი – ჭალადიდის ვარსკვლავი ორი, ქუთუთოებზე ფერი უნაბის. ოცნებობს... ნატრობს: რძალი ჰყავდეს – ილორის კრავი. ოცნებობს... ნატრობს ჭაღარა ლედი. ნეტარ არიან მორწმუნენი, უფალო, ამინ!"

როცა ეს სტრიქონები წავიკითხე, თვალწინ დამიდგა ტიპური ქართველი ქალი – ოჯახის, სრულიად საქართველოს

ბურჯი. თითქოს ქადაგებას ისმენ. მარადიულსა და წარუვალზე, სამშობლოსა და ერის კეთილდღეობაზე, სტრიქონიდან სტრიქონში გადადის და ერთიანდება გუშინდელობა და დღევანდელობა. დედის ხატება – ულამაზეს ტკივილიან-სევდად შემორჩა პოეტის ხსოვნა.ს დღესაც რომ მისი ხატება ავგაროზივით იფარავს ბიწიერებასა და ავი თვალისაგან...

„ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედაენას ეძახის. უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრობო აზრს „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცს კი „გუთნის დედას“, რამდენად გამდიდრებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი! სიდიადე, სიბერე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით! ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა, სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“.

გენო კალანდია მრავლისმეტყველად და შთამბეჭდავად წარმოაჩენს დედის ფენომენს. თითოეული მისი ლექსი მიძღვნილი დედისადმი წარსულის დაბრუნების რომანტიკული განცდითაა გამსჭვალული. „ოცნებობს... ნატრობს რძალი ჰყავდეს ილორის კრავი“ – ამბობს პოეტი და რაღაც უჩვეულო ნათელი გეღვრება სულში. „ილორის კრავი“ – ერთ-ერთი ორიგინალური სახე-სიმბოლოა და ხაზს უსვამს პოეტის სულიერ კრედოს, სწრაფვას ამაღლებულისა და მშვენიერისაკენ, სიწმინდისაკენ. ეს სახე-სიმბოლო პოეტის არაერთ ლექსში შეგვხვდება, პოეტს იზიდავს უმანკოება, სულის მშვენიერება, რომელიც ჭეშმარიტი დასტურია უცოდველობის, ადამი-

ანად არსებობის გამართლებისა... პოეტი კონტრასტის იერით გამოკვეთს მხატვრული სახის ფორმას, ამიტომაცაა მისი სტილი ეგზომ ექსპრესიულ-ემოციური. პოეტის ამ სტრიქონებიდან იღვრება სინათლე, პოეტური მშვენიერება და სასწაულებრივი განცდა, რომ პოეტი ჭვრეტს უზენაესს და „მკვიდრობს სახლსა უფლისასა“ (ფსალმუნი 22,6). ამ წარმტაც პოეტურ ხილვებს წარმოვიდგენთ, არა მხოლოდ ტკბილხმად განწყობილ სტრიქონებში, არამედ (თითქოს) ვხედავთ კიდეც, და საერთოდ, როცა გენო კალანდიას პოეზიას ეცნობი, აშკარად იკვეთება უმთავრესი – ავტორისეული პოზიცია – კერძოდ, სიტყვიერ ქსოვილში მოიხელთოს ღვთაებრივი განცდა, რომელიც მხოლოდ გულმხურვალე ლოცვის ჟამს იბადება: „დედას უყვარდა წმინდა ბარბარე, ხშირად მონახავს ეკლესიაში, როგორც ცის ნამი მარტის იაში, დედას უყვარდა წმინდა ბარბარე, ყველა ჩუქურთმა, ყველა კამარა თრთოდა, ბზინავდა მზე და ნიავში, დედას უყვარდა წმინდა ბარბარე, ხშირად მინახავს ეკლასიაში“ ... გენო კალანდიას დედისადმი მიძღვნილ ლექსებში იკვეთება რომანტიკით განცდილი ბავშვობის სიხარულები თუ აღტაცებები, ამოუხსნელი იგავები რომ შემოატოვა...

გენო კალანდიამ დაგვიხატა მონუმენტური სახე დედისა, საოცარი ჰარმონია ლამაზი სულის, დედაშვილობის მძლეთამძლე ძალა, საერთოდ დედის ზნეკეთილი ბუნება ისე მძაფრადაა ასახული, როგორც მისი დროის და წინარე დროის დიდ პოეტთა შემოქმედებაში.

„ხელოვნების ნაწარმოებს ვჭვრეტთ, იგი ახდენს ზემოქმედებას, მაგრამ მისი ახსნა არსებითად შეუძლებელია“ (გოეთე).

გენო კალანდიას მიერ ლექსებში დახატულმა დედის სახ-

ემ, ლეონარდო დავინჩის „მადონა ლიტა“ გამახსენა, ქალის, დედის ლეონარდისეული იდეალი. რა მართებულად ბრძანებს აკაკი გელოვანი: „მის ჩანახატებში სწავლულები ხედავენ ატომურ აფეთქებებს, მის შიფრიან ჩანაწერებში მზის მეუფეების ეპოქას, მის სურათებში – ადამიანის ჯერაც ამოუხსნელ შინაგან ძალას და ის ყველაფერში ერთნაირად დიდია“.[1]

„ოქროს ჰარმონიით“ სრულქმნილი მისი პოეტური ნაწარმოებების ანალიზი ერთობ რთულია. მის იდუმალებით მოცულ პოეტურ სამყაროზე ჩვეულებრივი საზომებით ვერ ისაუბრებ, რამეთუ იგი თავადაა პოეტურ ხელოვნებაში უჩვეულო სასწაული. ამიტომაცაა იგი უნივერსალური. მისი პოეზია ესაა უზარმაზარი კოსმიური სამყარო ფერებში. ესაა სრულყოფილი ჰარმონია ფორმისა და შინაარსისა, პოეტური აზროვნებისა და კომპოზიციისა... ვინ იცის ეგებ გენო კალანდიას პოეზიის გასაღები იქნებ იმაშიცაა, რომ იდუმალია და მიუწვდომელი. ის თავისი სწორუპოვარი ნიჭის წყალობით შორს იხედება, რამეთუ ბუმბერაზ მოაზროვნეებთანაა ჭეშმარიტად წილნაყარი, მაგრამ თავადაა განუმეორებელი და ორიგინალური უჩვეულო პოეტური ფერწერით... და „კომპოზიცია დედის პორტრეტისათვის“, მძივებით ასხმულ ლექსის სტრიქონებში ავტორი შთამბეჭდავად გვიხატავს ნ.ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველოს“ სტრიქონთა ინტერპრეტაციულ განცდას და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს მწერლის წმიდათა წმიდა მოვალეობას, მაშინ, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და თითოეული ჩვენთაგანი ხელისცეცებით მიაბიჯებს საბედისწერო გზაზე, „იყიდეთ საქართველო, საბრალო დედაჩემი, იყიდეთ პოეტის გული...“

ეს საოცარი კომპოზიცია ცოცხალი მაგალითია მამულიშ-

1 აკაკი გელოვანი, მარადცოცხალი ხელოვნება, თბ., 1980, გვ. 140

ვილობისა და სიქველისა, პოეტის რაინდული სული და შემ-მართებლური ხასიათი თითოეული სიტყვიდან მზესავით ამო-ანათებს და გაგრძნობინებს, თუ რამდენად ძვირფასია ჩვენი სამშობლო, – ჩვენი საქართველო. „იყიდეთ აფხაზეთი, მესხ-ეთი, სამაჩაბლო, – მამათა უხორცო ძვლები, იყიდეთ ტაბაწ-ყური, იკორთა, ივრისხევი – სადაფის ძვირფასი თვლებით“ ... – ეს არის ეპოქის ტრაგიკული გასიგრძეგანება და ჭეშმარი-ტი ნოსტალგია სამშობლოსადმი ერთგულებისა და უნაპირო სიყვარულისა. და მაინც, უცრემლოდ ვერ წაიკითხავ: „იყი-დეთ შადრევანი, პალმა და მაგნოლია, – ფერადი ზურმუხტის სთველი, იყიდეთ ჩანჩქერები, – ქართული ფლეიტები შროშ-ნების რძისფერი ხემით. იყიდეთ სამეგრელო, – ბედკრული ანტიგონე ალივით მცხუნვარე სისხლით, იყიდეთ ოდოია, – თიბათვის ლიტანია – ბიბლიის პირველი წიგნი.“

ამ სტრიქონებში თავისთავად იკვეთება ავტორის მსო-ფლმხედველობა, გნებავთ, მისეული სტილი და ხელწერა, რომელიც თავისთავში აერთიანებს წარსულსა და ასე შორეულ და ამავე დროს დღევანდელობასაც და გვაფხიზლებს დავდგეთ მტკიცედ და შეურყევლად, პოეტი კოსმიური, „ფანტასტიკური ბურუსიდან“ სიცოცხლისა და არსებობისათვის გადასარჩენად გვიხმობს... ჩვენ კი ტკივილიანი ფიქრების შემოტევას ძლივს ვაღწევთ და სული უჩვეულო სასწაულით გვინათდება. კიდევ ერთხელ გახმიანდება ნიკო ლორთქიფანიძის მოწოდება – „მოუარეთ საქართველოს,“ რომელიც ჩვენი ბედუკუღმართი წარსულისა და არეული ისტორიის მარადიულ ოცნებადაა ქცეული...

გენო კალანდია ეპოქამ, დროის სიმკაცრემ აიძულა იყოს უშელავათო, პირდაპირი. იგი თავისი პოეზიით გაბედულია და მოიერიშე. დროის სამსახურში დგას და მის პოეტურ სულში

ირეკლება იდუმალი სევდა, მის თითოეულ სტრიქონში მთელი ერის მაჯისცემა იგრძნობა. დღეს ჩვენთვის „აფხაზეთი, სამაჩაბლო“ სამეგრელო – ბედკრული ანტიგონე ალივით მცხუნვარე სისხლით“ – ცრემლის, ტკივილის სიმბოლოა, რადგან მოწყვეტილია დედა-საქართველოს და ამიტომაც ნიკო ლორთქიფანიძის პატრიოტული პათოსის ჯადო-ხიბლი ანათებს მთელ ლექსს და საქართველოს ერთიანობის სურვილით აღანთებს თითოეულ ჩვენთაგანს.

გოეთე ეკერმანთან საუბარში ამბობს: „დიდ ხელოვანთა პიროვნული სიდიადე, რაც სურათში ასახულ მიწას, კლდეს, ტყეს, ღრუბლებს მათი საკუთარი თვალთახედვით წარმოგვიდგენს და ასე გვამაღლებს ხოლმე. ისეთი განცდა გვეუფლება, როცა შევცქერით ტიციანს, ვერონეზესა და რუბენსს. ჩანს რაღაც საერთო ნახა ამ ხელოვანთა ქმნილებაში“, – ეს სიტყვები ზედმიწევნით მიესადაგება გენო კალანდიას, რომლის პოეზიაშიც არის უთვალავი მითოლოგიურ-ალეგორიული სურათები, უნივერსალური სიღრმე, ამსოფლისა და ზესთასოფლის ერთიანობა. სიცოცხლის მშვენიერების აპოთეოზი. მთელი კოსმიური სამყაროს დაუღამებელი ნათელი. ვფიქრობ, სწორედ ამით ენათესავება გენო კალანდია ბუმბერაზ ფერმწერებს...

პოეტი მშობლიურ კუთხესთან დაკავშირებულ ზმანებებს სულის კვნესად ამოატივტივებს: „სად ხარ საყვარელო მხარევ, სად ხარ გერგედავას ცირავ! ვაი, როგორ დავიღალე, ვაი, როგორ მომეწყინა“.

მხატვრული სიტყვის დიდოსტატი მკითხველს თვალწინ გადაუშლის სამეგრელოს ისტორიას; ღრმადაა გაცნობიერებული საქართველოს ისტორიის ავ-კარგში. მისი ფიქრი ტკივილიანია. ცრემლი ერევა გასხვისსებული საქართველოს გამო.

„სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმული“ (ნიკო მიწიშვილის მეტაფორა) პოეტი აცნობიერებს მშობლიური მამულის არსს: „გაჩენის დღიდან ჯილდოდ გერგო ცა მგლოვიარე, ცრემლის მდინარედ – ჯუმი, ფაზისი,“ – ამბობს და საოცარი ხატოვანებით, უჩვეულო მეტაფორებით იხატება მისი სწრაფვა ამაღლებულისკენ. მხოლოდ გენო კალანდიას ხელეწიფება სიტყვაში გაანივთოს და შეგვაგრძნობინოს „ცხენის ფაფარში“ გამოკრული შვიდი აბრაგის შვიდი იგავის ძალმოსილება, სისხლით, ნაღველით შეღებილი იდუმალება. აჩეხილი მედეას ვარდის სილამაზე, ცვრიან ბალახზე ზმანებით მოსიარულე პოეტი ციხე-სიმაგრეებთან, შვიდფეროვან ცისარტყელებთან და ოქროს საწმისთან ერთად მამელუკებასაც დალანდავს, რომლებსაც მუჭით სავსე მშობლიური მიწა ბოხჩაში გამოკრული მიჰქონდათ უცხო მხარეში. პოეტი გრძნობს სიტყვის ასტრალურ სხეულებს – „სიტყვა ფიქრის სხეულია“ (ეს გრიგოლ რობაქიძეა), სიტყვა მისთვის ცალკე სამყაროა და სისხლივით მოთქრიალებს ტკივილიანი განცდა: „ღიაა სივრცე, გზად შიშველი ეკალი ყრია, არ დაგეკაწროს წენგოსფერი სხეული, სულო!“ – ესაა ქართული სულის ძლევამოსილი მისტერია, ეს ის მფეთქავი მუხტია, ურომლისოდ გენო კალანდიას მთელი პოეზია მომხიბვლელობას დაკარგავდა... და უნებურად: „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო: ჟამი რას ითხოვს, ტირილსა თუ სიცილს, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილსა, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა დიდ ამისთანათა, რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძენისაგან: დროს ჰსჭვრიტე, ჟამთა რა მოაქვს? რას ისხამს, რა მოისთვლების“ – ქართველთაგან თქმულა მეც ქართველი ვარ და არა ქართული არ მეუცხოების. ამიტომაც ამ ამოცანას ამისთანა პასუხს ვაძლევ და

ზედ დავრთავ: „თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“. (ილია)[1]

გენო კალანდიას ფარი და მახვილი მისი დიდებული პოეზიაა, მისი დიდი ჰუმანიზმი და მშობლიური მიწის უკიდეგანო სიყვარული... კოლხეთის ისტორიული წარსულისადმი პოეტის მიმართება გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ მისი, როგორც უნიკალური პოეტური აზროვნების მასშტაბები. „ო, გიხაროდენ! აღავლინა ბუნებამ მესა, – ფორთოხლის ბაღით შვიდი შაშვი ჭახჭახებს ერთად, ბაგადას ქედზე ხეებშუა თენდება თეთრად, ო, გიხაროდენ! აღავლინა ბუნებამ მესა. ცა არი თითქო სალაღობო, სამეფო სეფა, ჭანისწყალსა და მზეჩაფენილ ხეობებს ზედა, ო, გიხაროდენ! აღავლინა ბუნებამ მესა, – ფორთოხლის ბაღით შვიდი შაშვი ჭახჭახებს ერთად.“ ან კიდევ: „ოღონდ ეს შაშვი, – ეს დიდი ბავშვი, სულ დაფრინავდეს ოდიშის ცაზე, ბერის, მონაზვნის, წმინდანის საშვით, ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე“.

მშობლიური სოფლის ფორთოხლის ბაღში მოჭახჭახე შაშვების მიერ აღვლენილი მესა – უმშვენიერესი სურათია, და ეს ისეთივე ულამაზესი განცდაა, როგორსაც აღძრავს ფრაკიანი შაშვი ჭირხლიან მინდორზე ყვითელი ფერის წაღებით, (გაიხსენეთ თეოფილ გოტიეს „შაშვი“), რომელსაც გადარჩენილი სული ჯიუტად მიაქვს გაზაფხულთან (აპრილთან): „ხან მხიარული გალობით ირთობს თავს და არ იცის რაა ნაღველი, ხან ფრაკიანი ჭირხლიან მინდორს შვენის ყვითელი ფერის წაღებით... ფრთებს ისუფთავებს მამალი შაშვი, მაინც დახტის და უსტვენს ჯიუტად. იქნება თოვლში, ნისლში და ქარში სულს გადარჩენილს აპრილს მიუტანს“ [2]...

1 ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტომი V. 1996 გვ.442

2 თ. გოტიე, შაშვი, ნიგნში: „ფრანგული პოეზია“. გივი გეგეჭკორის თარგმანი. თბ., 1990. გვ. 39

გენო კალანდია „მშობლიურ ქარებით, ფრთამოტეხილი შაშვივით“ ცრემლად იღვრება და კოლოსალური ძალით წარმოაჩენს ეპოქის ტრაგიზმს: პოეტმა იცის სიცოცხლის ფასი, მას განსაკუთრებულად, ტკივილიანი სიყვარულით უყვარს ოდაბადე, მშობლიური კუთხე და ეს გაათკეცებულია იმის გამო, რომ მისთვის სიცოცხლე და მშობლიური ერთიანი საქართველო ერთი ცნებაა. „სისხლივით ამიჯანყდები, სამეგრელოზე ფიქრო, მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელო წიგნო. ვაზივით გულდასეტყვილო, ჯვარზე გაკრულო ნებით, ხვალ მშობლით შეგეხიდები, ზეგ საკუთარი ძვლებით. დილიდან დაღამებამდე დაკიდებულო ნაპრალს, მე ამოვავსებ უშენოდ იმ სავერანე საფლავს. მერე სხვა შეგეზიაროს, მან გაგიმაგროს ლიბო, ოღონდაც ასე მართალი, ასე ერთგული იყო. არ გამიჯავრდე, გეთაყვა, არ მომიხურო კარი, მიყვარხარ, როგორც მზე უყვარს უსინათლოს და ყარიბს. არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მოციქული ზევსის, უბრალოდ, სიკვდილს ვაპირებ, სიკვდილს ვაპირებ შენთვის.“ („ლექსი სამეგრელოზე“)

გენო კალანდია სრულიად საქართველოს ეფერება. მაინც მისი სულიერი სამყარო, მისი შინაგანი მე და თვით მთელი მისი ცხოვრება განუყრელია მშობლიური სამეგრელოსაგან. მისი ამაღლებული სული განფენილია კოლხური მიწის სუნთქვაში, სრულიად საქართველოს მზის ელვარებაში... საქმე გვაქვს აშკარად მრავალასოციაციურ პოეტურ ხელოვნებასთან. განსაკუთრებული ტკივილით შემოდის პოეტის გულში სამეგრელოზე ფიქრი. და იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში შეღწევას, გენო კალანდია თავის საუფლოშია, მისთვის სულიერი ჭიდილი თავის გაწირვაცაა და სიცოცხლის უმთავრესი მიზანიც, განცდის ფესვი ცხოვრე-

ბისეულია, რეალური, ღრმა და ლამაზი: ... „ვარ შეწირული მთვარის აღაპს ყვითელი ხარი, რას მშველის ცრემლი, მივდივარ, მიმაქვს შარშანდელი ზაფხულის ხსოვნა“ („ხსოვნა“) – ამ სტრიქონებში პიროვნების მთელი ცხოვრებაა ჩატეული. ყოველი სახე, პოეტური ხატი მშვენიერი, ამაღლებული, მარადიული სიცოცხლისაკენ სწრაფვის სურვილითაა ამაღლებული, ფსიქოლოგიურად ახალია და პოეტურად ძლევამოსილი... როგორც დაჭრილი იცლება სისხლისგან, ისე დაიცლებოდა გენო კალანდია სისხლისაგან, ასეთი ტკივილიანი გულით რომ არ უყვარდეს სრულიად საქართველო... გენო კალანდიას მთელი პოეზია „ღვთაებრივი სამეგრელოს“ ერთგულებითაა გამორჩეული. „მთვარის აღაპს შეწირული ყვითელი ხარი“ – რაღაც უცნაურ, თბილ ასოციაციებს აღძრავს მკითხველში და აშკარად გრძნობს პოეტის რელიგიურ მსოფლგანცდას, რწმენას, სიყვარულს, ერთგულებას წარუვალი ღირებულებებისადმი. „ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, შეიცანით ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, იყავით ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4.17.19).

პოეტი აყურადებს ერის მაჯისცემას, კოსმიურ სამყაროს, ისწრაფვის მარადიული, ხელთუქმნელი მშვენიერებისაკენ, რომელიც „სახიერია თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, იგი მაღლა დგას ყოველგვარ განძზე. წმინდა მშვენიერება შეურყვნელი და შეურევნელია კაცის ხორცით, ხრწნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერებაა“.[1]

მოტანილ ლექსში და სხვაგანაც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ირეკლება რელიგიურ-ფილოსოფიური განცდები,

1 პლატონი, ნადიმი, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი, თბ., 1964, გვ. 17

რადგან სხვანაირად შეუძლებელია. პოეტი ჭეშმარიტი ეგზისტენციალისტია. მისი ბოჰემური, არაჩვეულებრივი, მტკივნეული ბედი განაპირობებს, მისტიკურისა და რეალურის მონაცვლეობა და დიდი ტრაგიზმი მისი შემოქმედების „წმიდათა წმიდა“ არსიდან ამოდის, რომლის ანი და ჰოე კვლავაც ახალი სამყაროს წარმოქმნაა შინაგანი ინტელექტისა და მაღალი სულის წყალობით. და ახალ-ახალი პოეტური ხილვებით მშობლიურ ფესვებს მონუმენტური შთამბეჭდაობით წარმოაჩენს, იმ ფესვებს, რომელთაც ასეთივე გზნებით მისტიროდა გრ.აბაშიძე: „ფესვი ჩამრჩა შენს მიწაში, რაგინდ ცეცხლით გადაგრუჯონ, ჩემს ხსოვნაში თქვენ ვინ წაგშლით, შატბერდო და არტანუჯო“.

გენო კალანდიას წარმოსახვისა თუ ცხოვრების ძირითადი არსი და საყრდენი ქრისტიანული ფასეულობებია: „მე კარგად მახსოვს სოფელი ჩემი, – წყალში შეჭრილი ცისფერი ნავი, ტაძრის კარებთან ლოცვანით ხელში მეზობლის გოგო, – მაცხოვრის კრავი... მეც იმ სოფელმა მრავალთა დარად ერთი ვარსკვლავი ამომჭრა შუბლზე... და ახლა ვუმზერ იმ სოფლის ღრუბელს, როგორც სარქალი საკუთარ ფარას. არ მავიწყდება ის ციცქნა გოგო, ძალიან ადრე მოუკვდა ქმარი, სულ მარტო დარჩა ის გოგო ბოლოს, დღემდე ქვრივი და ობოლი თვალი. არც გათხოვდება არასდროს იგი, არ გაიხსნება დახშული კარი... როგორც ბეჭედში მძინარე ბივრითს, – ასი წლის შემდეგ იპოვის ქმარი“ („მე კარგად მახსოვს“...).

ესაა პოეტის მარადიული სატკივარი. გენო კალანდიასთვის ზნეობრივ პრობლემებზე წერა ისეთივე აუცილებელი და სისხლხორცეულია, როგორც მარადიულის ფენომენზე. მოტანილი ლექსის სტრიქონები მაგიურად იმუხტებიან და პოეტის სულის ღმერთთან შეერთების წყურვილად აღიქმება...

„როგორც ბეჭედში მძინარე ბივრითს ასი წლის შემდეგ იპოვის ქმარი“ – ეს მისტერია მარადიულია, ადამიანის სულის უღრმეს შრეებს მოიხილავს პოეტი „მესამე თვალის სხივნათლით“; რაღაც უჩვეულოს, სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა რომაა, და ეიმედება ახალ მხარეში დამკვიდრება, „ბივრითის“ პოვნით მონიჭებული სიყვარულის დღესასწაულიც... და გულწრფელად მინდა აღვნიშნო, რომ გენო კალანდიამ სამშობლოს წინაშე ლოცვა და სამსახური აქცია თავის ცხოვრების ერთადერთ მიზნად.

დ. კლდიაშვილი წერდა: „ყველაფერი ჩაივლის და ლიტერატურაში დარჩება ის, რაც ადამიანის სიყვარულითაა შექმნილი“. გენო კალანდია თავისი სულის წიაღში ამწიფებს წინაპართა ხმებს, სახეებს, ხილვებს, და ოცნებები, ზმანებები, სიზმრები უნდა იკმაროს ლამაზი წარსულის, მშობლიური კერის სურნელის წამიერი სხივოსანი განცდისათვის... რას ვიზამთ ბედის ირონიაა ყველაფერი... აჩეხილია მედეას ვარდი. დამჭკნარია ფაზისის ვარდი. ხარის სისხო ცრემლები მოთქრიალებს პოეტის თვალებიდან: „აღარც ძველი თონეა, აღარც კვამლის ღრუბელი“ ... „ხავსი მოედო მუხას და მარანს და მამასავით დაბერდა ვაზი“ და მარტოობის განცდაც და სოფლის სასაფლაოს ხილვა სულს უშფოთებს „სიტყვის მნათეს“: „ვდგავარ სასაფლაოს კართან, წვიმს და... ამინდია უნდო, აწვიმს დედაჩემის საფლავს, აწვიმს მამაჩემის კუბოს. გვერდით მეეზოვეს ძინავს, ფერში – მარმარილოს ქვაში, თითქო მოაგელვებს ნიავს ქარი – აფაქიას რაში. იმან მიგვატოვა ადრე, ამან დაგვივიწყა გვიან... ვებრძვი გაზაფხულის ბარდებს, ვკოცნი მარტოხელა იას...“

მშობლიური სოფლის, მშობლიური კერიის სურნელთან ერთად აქაა გარდაცვლილ წინაპართა სულების საოხად აღვლე-

ნილი მესა. პოეტი აგვიწერს სულის ყოველგვარ მოძრაობას. სოფლის ცხოვრების იდილიასთან ერთად აქაა სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი, სიცოცხლისა და მშვენიერების დღესასწაული, შუქის, ჰაერისა და ფერის ერთიანობა და ნათელი ოპტიმიზმიც – პოეტის ფიქრების უჩვეულო სასწაული, გამძაფრებული და გახელებული პოეტური ნიჭის სასწაულებრივი, ჟრუანტელისმომგვრელი განცდა და იფრქვევა უძველესი კოლხური ცივილიზაციის სურნელიც, ღირსეული სიცოცხლის ღირსეული დასასრულის მშვენიერება, რომელიც მოაქვს პოეტურ წარმოსახვას: „ძეძვის ნაძვნარების ზევით შაშვი მილივლივებს ცაში, უფლის, ანგელოზის ხემით – შაშვი – პაჭკორიას ბავშვი. დედამ გამიღიმა თითქო, მამამ შემომხედა ცივად: წასვლა ღირსეული იყო, ხსოვნაც ღირსეული გვინდა!“ ...

კვლავაც ზმანება, კვლავაც სიზმარი და... ოქროვანი დღეების მონატრების ლამაზი სევდა საოცარ ხილვებს წამოშლის სულის ხვეულებიდან: „მზე მიილია, დაკარგა ფერი, ნოემბრის ცივი დარები დადგა, დგას დედაჩემი თოვლივით თეთრი და ჩვენი ეზოს განთიადს ქარგავს. მამა ჭიშკართან ხეხილებს ფერთხავს და წეროსავით ისწორებს კისერს... რას არ მივცემდი, ორივე ერთად დღეს რომ სიზმარში მეხილა ისევ.“

„ჰოდა, გადახედეთ, დაინახეთ – ყველაფერი გადაშლილია ყველაფერი ჩვენს წინაა, ყველაფერი იკითხება, დანებდით, მიხედეთ, წაიკითხეთ, ყველაფერს გეუბნებათ თვითონ“ (ეს ესმა ონიანია).

გენო კალანდია პოეტური ფერწერის ჭეშმარიტი დიდოსტატია. პირადი თუ საზოგადოებრივი ტკივილები, მისწრაფება, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა, სინათლე, სითბო და სიკეთე, ძლევამოსილი ჰუმანიზმი ზეიმობს მის ქმნილე-

ბებში. ის ნოვატორია. მის ლექსებში ჭეშმარიტად შეიგრძნობა ჯადოსნურ-ფერთა თამაშის მისტიკურ-სიმბოლური გააზრება. „მისი სამყარო შესაძლოა წუთისოფლის ყველაზე სრულყოფილი ჰალუცინაციაა, სულის მომლანდებელი ღრმა და წინასწარმეტყველური სიზმარია, რომელიც სინამდვილესაც კი ჯაბნის, მაგრამ ეს მაინც რეალიზმია, საკუთარი საზღვრებიდან ფანტასტიკაში რომ გადასულა".[1]

გენო კალანდია თავისი პოეტური-ფერწერული მომხიბლაობით, ეროვნულობითა და აქტუალობით გამორჩეულია. მისი პოეტური ფერები მრუმეა, მაგრამ მზის ნათელით გალიცლიცებული. წარსული პოეტური ხელოვნების წიაღში ისწრაფვის სიახლისაკენ და ქმნის ისეთ პოეზიას, რომელიც გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ მის უნივერსალობასა და ინტელექტუალურ მასშტაბებზე. და აი, ლექსი ფერთა სასწაული – „ერთ-ერთი არვალელი ძმის შეხვედრა მშობლებთან": „ფეხშიშველა ნუ გამოხვალ, დედა, გარეთ ცივა და ქარი ქრის ზენა, ფეხშიშველა ნუ გამოხვალ, დედა. თუ გინდა, რომ ეს ზაფხული გავძლო, ნუ გამოხვალ ნახშირით და ძაძით, თუ გინდა, რომ ეს ზაფხული გავძლო. ... გულზე ხატით და წმინდანის ჯვარით, ანგელოზი დაგიფარავს, დედა, გულზე ხატით და წმინდანის ჯვარით. დედა! დედა! შე, საბრალო დედა!"

ლექსი გვხიბლავს საოცარი ექსპრესიით. პოეტი მშობლიური სახლის დაწვას დიდი ტკივილით, გატანჯული მეტაფორებით გვიხატავს. და სისხლიანი ცრემლებით იწერება ფერფლად ქცეული მშობლიური კერის რექვიემი. ლექსს სრულყოფილ სიდიადესა და ნათელს ჰფენს ულამაზესი რწმენა! „გულზე ხატით და წმინდანის ჯვარით, ანგელოზი დაგიფარავს დედა, გულზე ხატით და წმინდანის ჯვარით" ... პოეტი ალბათ

1 შტ. ცვაიგი, დოსტოევსკის ფანტასტიკური ღამე, თბ., 1966. გვ. 211-212

კოშმარულ სიზმარშიც ვერ წამოიდგენდა მშობლიური სახლკარის იავარქმნას, არადა წუთისოფლის უცნაური განჩინებით მომხდარ ტრაგედიას ვინ აღუდგებოდა წინ. ...

მშობლიური სახლი მისთვის ყველაზე ძვირფასი და ტკბილი სევდაა, ამიტომაცაა მისი ლექსი სიმძაფრითა და ემოციურობით დამუხტული. „მამაჩემი ხარ? – ვკითხულობ ჩუმად, – მამაშენი ვარ! – მპასუხობს იგი, – რა ვქნა, რა ვთხოვო, ძვირფასო, უფალს, როცა მღალატობს ყველა შენს იქით. ვერ გამოვგლიჯე ცეცხლსა და გრიგალს, ის, რაც მიყვარდა, მომწონდა ადრე, ვერ უსწორფერე სვესა და ილბალს, ვერც შენს ოცნებებს და მაღალ სახელს. ...თვალს გააყოლებს მაისის ღრუბელს, გახედავს სოფელს და მაღლა ზედანს, შეტრიალდება ქარივით უცებ და შეგვიკურთხებს სამივეს ერთად“ ... ესაა საყვედურით ნაქსოვი, სევდიანი განცდა, სულს უწეწავს და აშფოთებს „საცხოვრებისო წუხილი“ (ეს ვაჟაა) და თითქოს იერემია გოდებს და მოთქვამს: „ერთი მეგრული ოდა მე იმ ქალაქში მქონდა“ დღეს დედაჩემი მოკვდა, დღეს მამაჩემი მოკვდა. არც სამლოცველო ნიში, არც საკალანდო კოკა, დღეს დედაჩემი მოკვდა, დღეს მამაჩემი მოკვდა... ღმერთო, მიშველე ცოდვილს და ჩემს საბრალო მოდგმას, დღეს დედაჩემი მოკვდა, დღეს მამაჩემი მოკვდა („გადამწვარი სახლი“).

ამ ლექსში ბევრი რამ იქცევს ყურადღებას. გულდათუთქული პოეტი წარმოაჩენს სულის ფორიაქს, მძაფრ ტრაგიზმს, მშობლიური კერიის დაწვით გამოწვეულ აგონიას, რომელიც მშობლების სიკვდილთან ასოცირდება. და მაინც აქაა ადამიანის ზღვარდაუდებელი სევდიანი განცდა, რომელიც ძალდაუტანებლად შემოდის მკითხველის სულში და ისიც პოეტთან ერთად იმსჭვალება სრული ჰარმონიული თანაგრძნობით, ყოველივე მშობლიურის, მამაპაპურის მიმართ.

გენო კალანდიას ლექსების ციკლმა „ფესვები“, რომელიც სამეგრელოს, მშობლიურ კუთხეს ეძღვნება შეძლო შეესრულებინა საკრალური ამოცანა. ის ულევი მარაგი ბავშვობაში ათასგზის განცდილი შთაბეჭდილებებისა პოეტურ წარმოსახვაში ჩამოაყალიბა, ორგანულ მთლიანობად გააცნობიერა და მონუმენტურ სახეებად ჩამოყალიბებული ჩვენამდე მოიტანა.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, სამყაროსადმი დამოკიდებულების მთავარი ნიშანდობლივი მახასიათებელი თვისება გენო კალანდიას შინაგანი ბუნებისა და მისი ქმნილებებისათვის არის ის დიდი დრამატიზმი, რომელიც მის პატრიოტულ განცდებსა და სამშობლოს სიყვარულს რაღაც განუმეორებელი, ინდივიდუალური ფერებით ასხივებს. ეს განსაკუთრებული სიმძაფრითაა გამოხატული ლექსში „უტუს ლაშქრული და ეკატერინე ჭავჭავაძე“.[1]

გურამ ასათიანი წერს: „სიმბოლო განუყოფელი ელემენტია რომანტიკული პოეტიკისა, რადგან ობიექტური მასალა რომანტიკოს მხატვარს აინტერესებს არა მხოლოდ თავისთავად, არამედ უწინარეს ყოვლისა, როგორც საშუალება, საკუთარი სუბიექტური, სულიერი სინამდვილის გრძნობადი გადმოცემისათვის, ხოლო ვინაიდან გარეგანი საგნობრივი ფორმა, მისი რწმენით, მხოლოდ მიახლოებით შეიძლება გამოხატავდეს „სულისმიერ შინაარსს“, ამის გამო იგი (ფორმა) გააზრებულია არა როგორც ადეკვატური გამოვლინება, არა როგორც ტოლფასოვანი ასლი, არამედ როგორც მხოლოდ მინიშნება, მხოლოდ პირობითი, სიმბოლური სახე. რომანტიკულმა ესთეტიკამ ევროპულ ხელოვნებაში ბიძგი მისცა განვითარების მეტად რთულ და ხანგრძლივ პროცესს, რომელიც დღემდე გრძელდება“...

---

1 გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988, გვ. 32

რომანტიკული ხელოვნების ეს ძირითადი პრინციპი თავისებურ შუქს ჰფენს ჩვენს თვალწინ მომხდარი უმნიშვნელოვანესი მხატვრული ძვრების შინაარსს და ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ გენო კალანდიასთვის როდია მხოლოდ სინამდვილის ასახვა, არამედ მისი დაუფლების, გარდაქმნის საშუალება. მხატვრულ სიტყვაში ობიექტივიზირებული აზრი თუ ფიქრთა და გრძნობათა მთელი ჯაჭვი საოცრად კეთილმყოფელად მოქმედებს მოაზროვნის, პოეტისა თუ ფილოსოფოსის ინტელექტუალურ გარჯაზე, მისი ელეგანტური სულის სხვადასხვა მიმართულებით წარმმართველ ძალაზე. და ისევ გურამ ასათიანს დავესესხები: „პოეზიაში მთავარია არა ის, რაც ასახულია, არამედ ის, რაც ამავე დროს, მარადიულია, ანუ სამუდამოდ რჩება“[1]. შემოქმედმა ერთბაშად იგუმანა, რომ აუცილებელი იყო ქართული ლექსის ახალ მაგისტრალზე გადასვლა, განახლება, არა მარტო ფორმალური, არამედ უმთავრესი, არსებითი. გენო კალანდიას პოეზიას სწორედ ეს შეგნება აძლევს ძალას, ენერგიას, რომ შექმნას ახალი პოეტური კულტურა, ახალი ესთეტიკა. მართლაცდა: „დრომ ფერი იცვალა, სილამაზეს ყავლი გაუვიდა და სიმახინჯემ იმძლავრა. სიტყვა დააბერა, შემოაცვდა სამოსი. მასხარების ჭრელა-ჭრელა მოსასხამით ჩაანაცვლა...

საჩოთირო გამხდარა ლამაზი სიტყვა. ასეთ დროს ძალზე საცნაურია „პოეზიის ლამაზი კაბა“, თანაც ან ძალიან სუფთა უნდა იყო სულით და ხორცით, ანდა შეძლო ჭუჭყის, სისხლის წამების გავლით მოახდინო კათარზისი და მკითხველიც განწმენდის სურვილით განაწყო“[2] (თამარ გოგოლაძე).

---

1 გ. ასათიანი, უკეთეს დროთათვის, ლიტერატურული სტატიების კრებული, „საქართველო“, თბ. 1985 წ.

2 თ. გოგოლაძე, ოდიშის ტყეში ზაფხულის ფუნჯით. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 2012. 2 ივისი.

გენო კალანდიას სულის სიღრმეში სტკივა საქართველო, წარსული. მას ღრმად სწამს, რომ „მრავალტანჯული მიწა იბერთა“ „ქართლის ცხოვრების გმირთა საქმენი“ თავისთავადაა დიდი პოეზია და მხატვრული სიტყვის ძალით მათი ქაღალდზე გადმოტანა უძნელესი და უფაქიზესი საქმეა... „მწერალი ისე მომჭირნედ უნდა ხარჯავდეს სიტყვას, როგორც ძუნწი ოქროს, რადგან სიტყვაა ჩვენი სიმდიდრე, ტონისა და ფერის ეკვივალენტი“.[1]

გენო კალანდიას ზემოთმოტანილი ლექსი პოეტური ხელოვნების მაღალი ნიმუშია, რომელსაც გმირულ სულთან ერთად სიფაქიზე და მინავლებული წარსული მოაქვს ჩვენთან: – „ჰეი და ჰეი, ბიჭებო, ჰეი! ჩვენ მომავალი დაგვაჯილდოებს, ან ქარიშხალი გაგვითხრის საფლავს. ჰეი და ჰეი, ბიჭებო, ჰეი! ო, ისტორიავ, ხელმარცხიანო, ცხენივით მინდვრად დაგაჩოქებს მეფის მათრახი. უდაბნოს ყვითელ ქვიშას გაჭმევს დევის პეშვიდან. აწმყო – წარსულის ჭრელი ჭანგი, – ჩიტის ბარტყივით აგიყვანს ხელში. და გამოგიტანს, უფლის სახელით, საბრალდებო სკამს და განაჩენს... ვარდის წყალივით შეაშრება პირზე ღიმილი, შორდება, ტოვებს სამუდამოდ და უცხო გზაზე მიდის ოდიშის ღვთისმშობელი და ანგელოზი“ („უტუს ლაშქრული და ეკატერინე ჭავჭავაძე“).

ვფიქრობ, აქაა გენო კალანდიას სულიერი დახვეწილობის, ტოლერანტობის უიშვიათესი გამოსხივება. მოვლენათა აღქმის თვალსაზრისით სიმბოლოები, მინიშნებები და ენიგმური ხატ-სახეები მკვეთრად განასხვავებს მას თანამოკალმეებისაგან. პოეტი ვირტუოზულად გადმოსცემს ოდიშის დედოფლის სულიერ დრამას. დროის სტრუქტურითაა პირობადადებული ლექსის კომპოზიცია და მოვლენათა გადმოცემის უჩვეულო

1 კ. გამსახურდია, თხზ. ათტომეული, ტ.VIII, თბ., 1985 გვ. 152

ტემპი. პოეტი ოდიშის დედოფალს წარმოგვიდგენს სულ სხვა სამყაროში, სხვა სივრცეში. ლირიკული პერსონაჟის სულიერი ტრაგედია და მის მიერ განვლილი ცხოვრების შედეგი მეტაფორულ-ალეგორიული მინიშნებებითაა გადმოცემული: „მიქრის მარხილით ზამთრის ქარბუქში და ჩონგურივით მუხლზე უდევს მარჯვენა ხელი. იქ, პეტერბურგის დღეობებზე და მეჯლისებზე, თოვლის ქალი ხარ, დედოფალო, და სასახლის გულის წამალი. გარეთ თეთრად თოვს... და მთელი ღამე ვერცხლის ლაგამს და ნამქერს ღეჭავს ცხენი დედოფლის.“ – ესაა ისტორიული თემატიკით ნასაზრდოები ლექსი, რომელიც წარსულთან მარტო პოეტურ შეხმიანებად როდი აღიქმება, არამედ ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ღრმა გააზრებითა და ამ ფონზე პოეტის „მე“-ს დამოკიდებულების, მისი განცდების, გრძნობების წარმოჩენა მოვლენისა და პრობლემების განვითარების კვალდაკვალ... პოეტი თავის ლირიკულ გმირს ღვთისმშობელსა და ანგელოზს უსადაგებს და მის ლამაზ სახეს ღვთიურ შარავანდედში გამოხვევს, მაგრამ ლექსის ფინალში კი თითქოს ჭეშმარიტი შეგრძნებაა დედოფლის შემდგომი ბედისა, ჰო „იქ, პეტერბურგის დღეობებზე და მეჯლისებზე, თოვლის ქალი ხარ, დედოფალო, და სასახლის გულის წამალი. გარეთ თეთრად თოვს... და მთელი ღამე ვერცხლის ლაგამს და ნამქერს ღეჭავს ცხენი დედოფლის.“

ეს პოეტის უსაშველო სევდაა და ისტორიული რეალობაც, ურომლისოდ ალბათ, თავის მომხიბვლელობას დაკარგავდა ლექსი.

აკაკი ხინთიბიძე გალაკტიონის არტისტულ ყვავილებზე წერს: „გალაკტიონს არ უყვარს მყვირალა ფრაზებით სამშობლოზე საუბარი, „პრიმიტივში უბრალოდ გვითხრა, „ვილაც სალამურს გრძნობით ატირებსო და მკითხველი გრძნობს, რომ

ეს საქართველოზე ტირილია, როგორ გინდა უკეთ გამოხატო მამულის ტრფობა: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა არ გავიარე, რაა მამული?“ ან: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია. ეს ორი მეტაფორა ლექსიდან „მამული“ და დაბრუნება თავისი მიგნებით, სწორედ გენიოსის კალამს შეეფერება“.[1]

და თუ „მტევანი, ვაზის ჯვარი“ ატირებული ობოლი ვაზი, ქლიავისფერი მთები გალაკტიონის მამულია, გენო კალანდიას გალაკტიონისებურად უყვარს მამული, უყვარს ყველა და ყველაფერი, რაც მშობლიურ მხარეს უკავშირდება. აი, საოცარი ვიზიონები გენო კალანდიას პოეტური სამყაროდან: „ეკლიანია მგოსნის გვირგვინიც, ყოფნა-არყოფნის ვდგავარ კარებთან, არ მენაღვლება თავად სიკვდილიც, თუ საქართველო ერთად გათენდა.“ „ო, სამეგრელოვ, უფლის სახელით დამწყალებულო ნათელ-მირონზე, მკერდში ჩაგიკრავ უკანასკნელად და შენს უნაზეს სულზე ვილოცებ.“ („ილია ჭავჭავაძე: ფიქრები სამეგრელოზე“).

მშობლიური კუთხის ღრმა სიყვარულითაა გამთბარი „მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს“, სადაც მამის სიწმინდე, ზნეკეთილობა ცოტნე დადიანის მამულისადმი ერთგულების რანგში ჰყავს აყვანილი: „მე შავი ზღვისას ჩაყურებ კბოდეს და წყლულზე ვიფენ ფაზისის ბალახს, თქვენ კარდინალის სამოსი გქონდეთ, მე მამაჩემის მოვისხამ ხალათს.“ ...

პოეტი მშობელი ერისადმი ყოვლის გამსჭვალავ სიყვარულს, წუხილსა თუ სიხარულს განსაკუთრებული პოეტური აღმაფრენით წარმოაჩენს, მისი ყოველი ფრაზა წყლის ასულის ოქროს სავარცხლითაა ჩამოქნილი, ახალი მთვარის წყლით

1 ა.ხინთიბიძე, არტისტული ყვავილები, „ლიტერატურული საქართველო“, 20-27, 1998, გვ. 4

ნასვამი, წარმართული სუნთქვით ნესტოებდაბერილი და უფლის მადლით გალიცლიცებული. ლექსში დიდოსტატურადაა გადმოცემული ლირიკული გმირის სულისა და გულის ძვრა, რომელიც „გულში ჩააფენინებს ხოლმე მადლს, მაცხოვრის შუქს სათნოების კვირტის გამოსაკვანძავად და მერე მშვენიერ ყვავილად გარდასაშლელად“.[1]

პოლ ვალერი წერს: „პოეტის დანიშნულება, – ნუ შეგაცბუნებთ ჩემი სიტყვები, – ის კი არ არის, რომ განიცდიდეს პოეტურ მდგომარეობას, ეს მისი პირადი საქმეა. პოეტის დანიშნულება ის გახლავთ, რომ სხვებს განაცდევინოს იგივე მდგომარეობა. პოეტი ამ მარტივი მდგომარეობით იცნობა, – ყოველ შემთხვევაში, ყველა ცნობს თავის პოეტს, რომ მკითხველი შთაგონებული ხდება მის მიერ. შთაგონება პოზიტიურად რომ ვთქვათ, სხვა არა არის, თუ არა მომხიბლავი თვისება, რომელსაც მკითხველი ანიჭებს პოეტს, მკითხველი ჩვენ მოგვაწერს იმ ძალმოსილებასა თუ მომხიბვლელობის დამსახურებას, რასაც მასში პოეტურ ქმნილებათა კითხვა იწვევს. ის ეძებს და პოულობს ჩვენში თავის განცვიფრების განსაცვიფრებელ მიზეზებს“.[2]

გენო კალანდიას პოეტური წარმოსახვა ღრმა მეტაფორიულია, პიჰერბოლურ-ზღაპრული: „ო, გიხაროდენ! ღრუბელი მზეზე დაქორწინდა, ბერიკაცო, გამოდი გარეთ, გუგულის კაბა, ფურისულა მოსულა სტუმრად, ხსოვნის ქარი ქრის“ ...

ნონა კუპრეიშვილი შენიშნავს: „საოცარია, არაჩვეულებრივად სახიერ, ლამის ხილვების მსგავს სიზმრებს ხედავს – ლებარდეს ტყეს, ახლა უკვე ნებაყოფლობით შეხიზნული დევნილი პოეტი. წვერმოშვებული და მზერადაწმენდილია იგი. ბალახის

1 ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები სამ ტომად, ტ.III. 1986.გვ. 107

2 პ. ვალერი პოეზია და აბსტრაქტული აზრი ნიგნში, „რჩეული პროზა“, თბ.,1983.

წინაშეც მუხლმოყრილის, ბუტბუტით ნათქვამი სტრიქონები მისივე „ცნობიერების მხურვალებას" გადმოსცემენ. აქ ხელისგაწვდენაზეა წარსული (აი, აქ ჩვენი წარსული დადის), აქვეა მომავალიც და ყველაფერი ერთად, მათ შორის იისა და ტალახის, მთისა და ჭიანჭველის სხვადასხვა სივრცობრივი განზომილება, მისეული სამყაროს გაუბზარაობის, მთლიანობას ქმნიან. ის სწორედ ამ მთლიანობის განსაცდელად ამოვიდა აქ: „ო, ნუ ჩამიქრობ, უფალო, საფერისცვალო სანთელს, ოღონდ გახსოვდე ჟამიჟამ, ოღონდ გიყვარდე ისევ, კაცი ხარ გამიხარდება ძელზე დაგიდებ კისერს, ერთს შემოგხედავ უცრად და გავნათდები მზისებრ". მაგრამ, თურმე არც ბუნების ყოვლისდამტეობა და უშფოთველობაა ბოლომდე დასაცლელი ფიალა. და აქ რატომღაც ვაჟასეული მთვარე გამახსენდა, თვითმკვლელ მინდიას გულგრილად რომ დასცქეროდა. უფრო სწორად, ნეიტრალური. იყო ნეიტრალური, ალბათ ნიშნავს იყო ზომიერი და ჭკვიანი. იყო პოეტი, – როგორც გენო კალანდია ამბობს, „აფთიაქარის ძველი აბებით" ...

პოეტის ხატ-სახეების ცხოველმყოფადობა და მშვენიერება მომდინარეობს ცოცხალი და უსულო საგნების, ცნებების, იდეების, ასოციაციების, მისწრაფებების ლოგიკური კავშირიდან: „მე წარსული ვარ, შენ მომავალი განათებული ხვამლის რიჟრაჟით, და მეც გეგუთის ვარდით ვარ მთვრალი, ვით ერთ დროს როსტომ წერეთლის ვაჟი." – გენო კალანდიას სწამს ზნემაღალი ცხოვრების მშვენიერება. წარსულისა და მომავლის ურთიერთკავშირი, რამეთუ მშობლიური კოლორიტი მისი პოეტური ხელოვნების სასიცოცხლო ენერგიის წყაროა. და იცის პოეტმა, რაც არ უნდა მოხდეს ამ უკიდეგანო სამყაროში რიჟრაჟი მუდამ იარსებებს, გეგუთის ვარდის სურნელიც მარადიულად გამორჩეული იქნება და ეს ყველაფერი

მის სულშია დავანებული.

დიახ, რიჟრაჟიდან, მოჭახჭახე შაშვებიდან ხეებამდე, ვარსკვლავების ქუდით მზის საბრძანისისკენ, მზის ნათელიდან შაოსან სივრცემდე, „შაოსანი სივრცეებიდან ისევ მაღალ საყდარში“ მარადისობამდე, – ასეთია პოეტის მიერ რეალობიდან შეწოვილ შთაბეჭდილებათა დიაპაზონი. ჰოდა, ამ გზაზე რამდენი ფიქრია, რამდენი გატაცება, რამდენი სიზმარი, ზმანება, მოლანდება, სიცოცხლის ეფემერულობის ტრაგიკული განცდა, მომარხულე მონაზონივით შუბლწაკრული „ნაცრისფერი სამეგრელო“ და „ცხენის ფაფარში ჩაწნული“ სიმღერების მონატრება, მარწყვისფერი ქვირითით გაჭორფლილი ქვები, ტანმოხატული ხოხბები, ტყისპირ-აფეთქებული ჩიტიგულა მოცვი – მისი ლამაზი სევდა. გასხვისებული აფხაზეთი არ ასვენებს „და ფეხშიშველი, როგორც იზიდა, წუხელ სიზმარში ვნახე ბიჭვინთა“ – აღმოხდება საკუთარ სამშობლოში დევნილის „სტატუსით“ მცხოვრებ პოეტს. ამ გზაზეა აუსრულებელი წადილები, დამსხვრეული იმედები, ნაღვლიანი ფიქრები, ენგურსგაღმა დარჩენილი საქართველო, მარადიული შიში და ძრწოლა, ხელოვნების დანიშნულება, პოეტური ხელოვნების სიდიადე, მოქალაქეობრივი პოზიცია („ნეიტრალური“).

დღეს თანამედროვე ქართულ პოეზიაში იშვიათია პოეტი, რომლის პოეტური სამყარო მოითხოვდეს ფილოსოფიურ მიდგომას, თავისი ეთიკურ-ესთეტიკური პოსტულატებით, ქრისტიანული, საოცარი, უჩვეულო ლირიკული წიაღსვლებით, უსამანო ინტელექტუალური მასშტაბებით. გენო კალანდიას პოეზია მომავლის პოეზიაა, ესაა დიადი ზნეობრივი გმირობის უიშვიათესი გამოვლინება, როცა საკუთარ სამშობლოში დატრიალებული ტრაგედიის მერე კვლავაც გექნება ძალა და შემართება, რომ მხატვრული სიტყვითა და პირადი ხიბლით

იყო გამორჩეული. პოეტი მუდმივად „აჯანყების", ამბოხის განწყობითაა: დიახ, „ფრთხილად, გენო აჯანყებას აპირებს!" ჯერ ვნახე ერთი ლექსი, რომელსაც ეპიგრამად გალაკტიონის ბწკარი უძღვის. „სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მძაფრი". იქნებ, ყველამ ბოლომდე ვერც გაიგო აზრი, მაგრამ რაღაც აუცილებლად კი განეცდევინება „ჭიანჭველების საროსკიპოსი" არ იყოს... პოეტისაგან სულ უცხოსა და საოცარს მოითხოვენ, მან ხომ ისე და ისეთი რამ უნდა თქვას, თუნდაც ყოფით თემაზე, რომ ვინმე ერთს ტანში ზრიალად გაუაროს, მეორეს სულის სიმშვიდე აჩუქოს... თან არც უნდა დააძალოს მკითხველს, არც უნდა უკარნახოს... ხვედრია პოეტობა"... (მ. ამირეჯიბი).

და მაინც, უმთავრესი, რითაც გენო კალანდიას პოეზია ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ესაა განცდის, გრძნობის გულწრფელობა, ხალასი გზნება და უჩვეულო არტისტიზმი. „კომპოზიცია მამის პორტრეტისათვის" ადამიანის გონისთვის მიუწვდომელ, ხელით მოუხელთებელ სამყაროსთან გვაახლოებს. დიდი ხელოვნების ზღვრამდე მისული ოსტატობით და ძალმოსილებითაა ხორცშესხმული სიკვდილთან დაკავშირებული მისტერია და სიცოცხლის მარადისობის დიადი რწმენა. აქაა შთაგონების, დიდი ხელოვნების მინიშნებების უჩვეულო ეფექტით გამოწვეული ფერისცვალება, რაც სიკვდილ-სიცოცხლის თანაზიარობაა. პოეტმა გულწრფელად გაგვანდო თავისი დამოკიდებულება მშობელი მამისადმი, მშობლიური მიწისადმი. სულს გიფორიაქებს რიჟრაჟივით სუფთა და ფერგამოუნაკვთავი სამყაროს – ბავშვობის უდარდელი წლების ტკბილ-საამური მოგონებებიც. უზადო, ცრემლნარევი პოეზიის ნათელითაა გალიცლიცებული მამის ხატება. სულმოუთქმელად რომ იკითხება და რაღაც უჩვეუ-

ლო განცდებს აღგიძრავს: „ის სასაფლაოს სიმშვიდეში ისვენებს მარტო, აქ არც მისი ხმა, არც ნაცნობი სიმღერა ისმის: „სი, ქოული, ბატა!“ მაყვლების შავი, წებოვანი მარცვლებით იწვის მიტოვებული სასაფლაო და შემოდგომა. თვალები – ძაფზე ასხმული სხივი, – კრაველის ქუდი, ყაბალახი, რიტორის შუბლი. რელიგია – სამოთხის საშვი, მე ხელთ მაქვს უკვე პირველი კლიტე.“ ...

არ შეიძლება ამ კომპოზიციამ მიქელანჯელოს მოსე და იერემია არ გაგახსენოს. ამაღლებული და ნატიფია პოეტის გრძნობა, ზეციური სისპეტაკით გამორჩეული. მოტანილი სტრიქონები გარწმუნებს მაღალი ზნეობის, სილამაზისა და მშვენიერების ძლევამოსილებაში და სავსებით გჯერა ახალი პოეტური ხელოვნების დიადი სასწაულების. ლექსს მამულის სიყვარული, მისდამი ერთგულებისა და უსაშველო მონატრება-განცდა მსჭვალავს: „ადგილის დედა მომენატრა, შამგონას ხვითო, ყინულის ბორცვი, – გაზაფხულის მსხვრევადი სარკე, ღრუბლის წითელი ქულაჯები, ჭალ-წყალის ბროლი, ხავსმორეული ჯარგვალის კვამლი“. ამის დამწერი ჭეშმარიტი კოლხია, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მზადაა მშობლიური კერის, მამა-პაპურის, ყოველივე ეროვნულისა და სისხლით ნაწერი ცხელი სტრიქონების გადასარჩენად...

უიშვიათესი პოეტური ენითა და უწრფელესი განცდითაა დახატული მამის სახე. საოცრად ლამაზი პოეტური წარმოსახვაა „მწვანე აბრეშუმს გვიფენდა თუთა“, ბევრი რამ შეიძლება იგუმანო ამ ფრაზაში, წარმოიდგინო და, ასე მგონია, ასეთი მაღალპოეტური ნიჭიერებით ნათქვამი აზრი და პოეზია მთელი ცხოვრების მანძილზე თავს გამახსოვრებს. მამაშვილური სიყვარული პოეტის რწმენით, ღვთიური ვალია, ამ სიყვარულს გაფრთხილება და მოფერებს სჭირდება.

როგორც საგანძურს, ისეთივე მოწიწებითა და ერთგულებით უნდა მოექცე, როგორც უფალს. მამა პოეტისათვის ოჯახის უფალია. გენო კალანდიას ლექსებიდან გულწრფელობა, სისადავე და დიდი ემოციურობაა: „ვიღაცა შინდით ღებავდა დაისს, ველოდით მამას – ოჯახის უფალს, დილას თუ არა, საღამოს მაინც ყველანი ერთად ვუსხედით სუფრას“ – ბრწყინვალე აზრია. უკვე დაგვანახა ავტორმა სოფლის ცხოვრება, რომ საღამოს იკრიბება მთელი ოჯახი და ირჩევა მათი დღის ნაღვაწ-ნაშრომი. პოეტი თავს გვამახსოვრებს თავისთავადობითა და უჩვეულო პოეტური ხატებით.

პოეტს სული ეწურება, გული ეფლითება, როცა ახსენდება გადამწვარი მშობლიური სახლი: „არ გამახსენო ის ზაფხული, ის მკვდარი სახლი, ის დიდი ეზო თეთრი კრავით, პატარა ძაღლით. არ გამახსენო, თუ გიყვარდე, არ მომკლა უცებ, ვერ ხედავ, ძაძით მოსილივით ვეღარ ვხსნი ტუჩებს. ვერ ხედავ, ჭლექით სნეულივით ვახველებ მხოლოდ, ვერც ტყეს ვპოულობ, ვერც ფიჭვების შარშანდელ კორომს. ვერც შენი იპოვი, შე კერკეტო, ხსნასა და შველას, სანამ იმ ჩვენი სახლის ნახშირს არ შეჭამს ყველა?! არ გამახსენო ის ზაფხული, ის მკვდარი სახლი („არ გამახსენო ის ზაფხული“ ...).

პოეტის ცხოვრების ეს ერთ-ერთი ეპიზოდი, მწარე სევდითაა გაჯერებული, ამჯერად ალიტერაციული პასაჟები რომ გადმოგვცემს მრავლისმთქმელ განწყობილებასა და რეალობას.

გენო კალანდია, ჩემი ღრმა რწმენით, ტანჯული დროის ხმაა, ეს ის ხმაა, რომელიც მის მშობელ ერს აწუხებს. „მთვარის, მისქურის, მზის შვილობილი“ წუხს მშობლიურ ფესვებზე, აშფოთებს ორმოცი ვერცხლის ჩხრიალში გაყიდული, გათითოკაცებული საქართველო. და მაინც ლექსად იღვრება.

მის პოეზიაში თვალწარმტაცი სამეგრელო ღვთაებრივ ხმებს მოაქვთ ჩვენამდე. მისი ლექსების მეტაფორების კოკისპირულ თავსხმას მოაქვს ფაზისის ვარდის სურნელი, მზესთან მოხრაშუნე ფორთოხლებისა და ვერცხლისფერი ევკალიპტების წვიმა, „სი ქოულ, ბატა“-ს „აბა ულას“, „ერგეაშვას და ვარადას“ იდუმალი ხმა. წვიმების პანაშვიდები... დიახ, „დაწყებულია წვიმების პანაშვიდები“, მწვანეა ბინა, ირხევა ხავსისფერი წყალი: თითქო გომბეშო გადახტა ტბორში და ამ დროს ლებარდემ დიდი მოწყენა იცის: „ამდენი შაშვი, ამდენი მოცვი ზაფხულის ბოლოს ლებარდემ იცის. ლებარდემ დიდი მოწყენა იცის... შენ რო თვალებში იხილე კვიცის, შენ რომ ხანძარი იხილე წიწვის, ლებარდემ დიდი წვიმები იცის, ლებარდემ დიდი მოწყენა იცის...“

ზევით ნისლია, ქვევით ღრუბელი, და ალაგ წვიმს, ალაგ ნაცრისფერი ბურუსი დგას. თვალდაკუსული მწვანე გომბეშო გამოდარებას ელოდება, სველი მსუბუქი ორთქლი ასდის ღომის სველ ჯეჯილს“[1] (რეზო ჭეიშვილი).

ბროდსკი ანა ახმატოვაზე წერდა: „სიყვარული იქცა მის ენად, დროსთან საურთიერთობო კოდად... მის ტალღაზე მოსამართ მინიმუმად. სიყვარულის ენა მისთვის უფრო მეტად მახლობელი იყო. ის ცხოვრობდა არა საკუთარი ცხოვრებით, არამედ დროით, დროის ზემოქმედებით ადამიანთა სულებსა და მის ხმაზე – ანა ახმატოვას ხმაზე“.

გენო კალანდია ზუსტად გრძნობს დროის სუნთქვას და მას უსადაგებს თავის პოეტურ ქმნილებებს. ის მუდმივად ძიებაშია, ახალ სივრცეებს ზვერავს და პოეტური ხატოვნებით საცნაურყოფს წარსულსა და მომავალს.

---

1 რ. ჭეიშვილი, ჩემი ახალი მისამართი, წიგნში გენო კალანდია. „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი 2005. გვ. 8

მისი „ახალი პოეტიკა“, ეპოქის ნიშნებითაა დაღდასმული. ის მუდმივად ჭეშმარიტებისა და მხატვრულ ფორმათა ძიებაშია. ჩვენს ქაოსურ ყოფაში ტკივილიანი სევდით, სიხარულით, ერის გადარჩენის რწმენით ანთებული დგას და გულით სწყურია სამშობლოს სვებედნიერი მომავალი...

გენო კალანდიასათვის, საბედისწერო გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყნის შვილისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთიკურ-ზნეობრივი პოსტულატები, ყოველივე ის, რაც ამაღლებს და ამშვენებს ადამიანს, ჩაახედებს კოსმიური სამყაროს იდუმალებაში, მშობლიური მიწის სურნელს სულ სხვაგვარად შეაგრძნობინებს და კიდევ ერთხელ მიახვედრებს, რომ: „ციხე კი არა, დიადია ციხის ნაშალი“ ... და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დრო, ეპოქა, პოეტი – (ბროდსკისეული სიმბოლიკა) ანუ მთლიანად, განუყოფლობაში – გენო კალანდიაა. „ჭეშმარიტება მოუხელთებლობა როდია, იგი იმ სიგნიფიკაციების გამოსხივებაა, რომელთაც წინა სიტყვის გაუფასურებით კი არა, მისი ზეშეფასებით ენიჭება“ (ლუიჯი პარეისონი) მისი, როგორც პოეტისა და ადამიანის „ფრთიანი და წმინდა არსების“ (პლატონის ტერმინია) საბოლოო მიზანი სულის მარადიულობაა, ერის უკვდავების რწმენა. ის ერთერთი იმ პოეტთაგანია, „მოკვდავნი, რომლებიც აგნებენ გაქცეულ ღმერთთა ნაკვალევს. მისდევენ მას და თავიანთ მოკვდავ თანამოძმეთაც უკვალავენ შემობრუნების გზას“ (მარტინ ჰაიდეგერი).

გენო კალანდიას სიტყვათა და ფერში შექმნილი სამყარო მართლაც რომ რთულია და იდუმალებით მოცული, მისი მხატვრული და ფილოსოფიური სიმბოლიკა ზღვარდაუდებელი ქვეტექსტებით გვაოცებს და ამოსახსნელად გვიხმობს. და ის ახალი სივრცე, ასე დაუინებით რომ ელტვის სხვა რაღაა თუ

არა აურაცხელი საუნჯე, უსასრულო ოცნებები, ზმანებები და „მაღალ ტაძარში დამკვიდრების დიადი სურვილი. და თუ „მაღალ ტაძარში მაღალია სულისკვეთება“ გენო კალანდიას მაღალ ტაძარში სხვა სინათლეა. დიახ, იქაა „სამყაროს განძი, დიადემა, ის, რაც კაცთათვის ზურმუხტისფერ ოცნებად იქცა“. ის უფლის საყდარია... და სიცოცხლის, სიკეთის ზეიმი, ცის იდუმალ დასთა კრთომა „დიადი ცეცხლი“, მზისფერი კვართით წინასწარმეტყველებს ნათელ მომავალს: მესამე თვალის სხივნათელით, მკვდართა წიგნით და მარტვილის კვარით მიეახლება უფლის სახლს და აჰა: „განიხვნა კარი... გადმოიფრქვა უეცრად მნათი, ვიხილე ცხადად ყოვლადწმინდის მზისფერი კვართი და უფლის ფერხთით საკუთარი სიკვდილის კვირა“ („მზისფერი კვართი“).

გენო კალანდია ისტორიული პროცესებისა და მოვლენების თანაზიარია. ეს მისი რჩეული ბედია... და მაინც იგი ჩვენი დროის ჭეშმარიტი, გაბედული, მეამბოხე პოეტია, პოეტი – რაინდი, პოეტი გმირი, მისანი, სასწაულმოქმედი, მისი პოეტური ხელოვნება როდია ასლი სინამდვილისა, არამედ ახალი რეალობა, ახალი ცხოვრების სარკე, ახალი პოეტიკა, მაღალი ხელოვნება, უცხო პლანეტასავით მარადიულად მოციმციმე.

„რამდენი ადამიანი უნდა გაექურდა ბუნებას, რომ ერთი ასეთი პიროვნება შეექმნა“ (მარინა ცვეტაევა პასტერნაკის შესახებ).

დიახ, დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სალიტერატურო სივრცეში გენო კალანდია სიმბოლისტურად რთული და ნისლით დაბურული სახეებით, რომანტიკული ფიქრითა და ზმანებებით რაღაც შორეულსა და მიუწვდომელზე, და საოცარი არისტოკრატიზმით, გარდასახვის უჩვეულო ხელოვნებითა და უნივერსალური სულიერი სივრ-

ცეებისკენ სწრაფვით „ახალი პოეტიკის“ არსებობაში გვარწმუნებს...

დააკვირდით, როგორი სიუხვით, თავაწყვეტით ფანტავს ის „სულის პეიზაჟებს“. როგორ გვიზიდავს, როგორ ცეცხლს ანათებს მისი პოეტური ხატები და მეტაფორები, რიტმი და რითმი დიდი სიზუსტით გადმოსცემს იმ დაუშოშმინებულ სულისკვეთებას, რომლითაც მთელი მისი პოეტური სამყარო არის აღბეჭდილი.

მის ფერწერასა და პოეზიას ერთი საერთო საწყისი აქვს – ესაა ღმერთი, ერთი და ერთადერთი. ყველა და ყველაფერი, ყველგან ყოველთვის და ყველაფერში მისი გამონაშუქია, მისითაა გამაგრებული და აღმატებულიც.

შთამბეჭდავია მისი პოეტური იდუმალებანი. კითხულობ და ფიქრობ, ალბათ, მხოლოდ მასშია კოლხური ცივილიზაციის სიცოცხლე ფანტასტიკურ, საკვირველ, ბიბლიურ ვარიაციებად განფენილი. „მითხარ, სხივო ალმაცერო, ასე ბრუნდად სანამ ვწერო?! როდის ვხნა და როდის ვთესო, როდის შევკრა ურმის ფერსო?! როდის ვთქვა და როდის ვთიბო, როდის გაგიმაგრო ლიბო?! როდის ვთქვა და როდის ვჭვრიტო, ჩემო არზრუმელო ჩიტო?! როდის ვჭრა და როდის ვკერო, როდის აფრინდება წერო?! მითხარ, ცაო, მითხარ, ხმელო, ჩემო სანთელ-საკმეველო?! მითხარ, რა ვქნა, როდის ვნახო ჩემი საძვლე, სამოსახლო?!“

ეს ლექსი ეძღვნება მწერალ ვლადიმერ ჯოლოგუას. გაბმულ კვნესად გაისმის თვალისმომჭრელად დაფერილი სტრიქონები, მთელ ლექსში უსაზომი სევდა და სილამაზეა დასურათხატებული. პოეტის სიტყვა ყოველთვის გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული. მისი განცდა-ფიქრი და მისწრაფებანი განსხვავდება სხვათა განცდა-ფიქრისაგან. იგი პოეზიაში ლა-

მაზი სულის მხატვარია. აქ „პოეტი წმინდანის“ სულის ფორიაქი, მშობლიური „ხევსურეთი, სამოსახლოსკენ“ დაუოკებელი სწრაფვა და დიადი სურვილია გახმიანებული. ის მუდმივად თავს დასტრიალებს ადგილის დედას, ბედისწერისა და მშობლიური საქართველოს სურათები გაიელვებს და მისტიკური ხილვებითა და აზრთა უსასრულობით შეკრულ სტრიქონთა სიღრმე და დაფარული ქვეტექსტები ჭეშმარიტად „ნამდვილობის“ დასტურია...

გენო კალანდიას წინამდებარე კრებულში „ფესვები“ არის ერთ-ერთი საინტერესო ლექსი „კანცონა“, რომელიც (ეძღვნება დიდ მხატვარ-ფერმწერს რეზო ადამიას) ნამდვილი სილამაზის, მშვენიერების, მშობლიური კუთხისა და მის დიდებულ ადამიანთა სიყვარულის, პატივისცემის გრძნობითაა გაჯერებული: „ო, იმ ბინდივით ვიდრე მივიხურავდე კარს, საღებავებად გქონდეთ ჩემი თვალების ცა. მოდილიანი, ლეჟე, კიდევ რამდენი სხვა, ღვინოში ისწორებდნენ მოლაჟვარდისფრო ფრთას. ო, ნუ მიყურებთ ცივად, ნუ მიმატოვებთ სულ, ნიჟარასავით გჩუქნით ზღვის მოციმციმე სულს. მიაყურადეთ, მამცნეთ: რას გულმწუხარობს ზღვა, ხომ არ გაცივდა წუხელ, ხომ არ დაკარგა ხმა? როცა ვცილდები თბილისს... როცა ვშორდები სახლს, შეგეცოდებით თქვენ და... თქვენი ოთახის ძაღლს.“

ავტორი გვიხატავს სულის ტრაგედიას და ადამიანურ ბუნებაზე გვაფიქრებს. მარტოობის ტაძრის ბინადარი და სევდამორეული პოეტი საკუთარი „თვალების ცას“ მხატვარს საღებავებად უსახსოვრებს, ნიჟარასავით ჩუქნის ზღვის მოციმციმე სულს, ოღონდ მშობლიური ზღვა ნუ გაცივდება, ნუ დაკარგავს ხმას... იდუმალ სილამაზეს ყველგან ეძებს, ყველაფერში, და მუდმივად ცხადში, სიზმარში უფლის ჩურჩული

ჩაესმის „ყოვლის მხედი, უმხურვალესი შეიბნ მახვილი, ჭირთა ჩვენთა იყავნ მარეკი“. („ვაითუ გასკდეს გული ქართლის ბროწეულივით“).

შარლ ბოდლერი ერთ-ერთ წერილში წერს: „მხატვარი გამოდის მხოლოდ თავისი თავიდან, მომავალ საუკუნეებს ის უტოვებს მხოლოდ თავის შემოქმედებას. ის პასუხს აგებს მხოლოდ თავისი თავის გამო, ის კვდება და არ ტოვებს შთამომავლობას, სანამ ცოცხლობდა, თვითონ იყო თავისი ბატონი, სულიერი მოძღვარიც და ღმერთიც“ ...

გენო კალანდია თავადაა თავისი ბატონი და სულიერი მოძღვარიც, რამეთუ მასშია განსხეულებული ქართული სული მისტიური, მეამბოხე და მარადიული...

კითხულობ და აღტაცებას ვერ მალავ, ეს მხოლოდ სამეგრელო როდია, არამედ აქ სრულიად საქართველოა, წუთისოფელია, რომელსაც ბეჭებით ეზიდება პოეტი... და „პალიმფსესტებით, პერგამენტით კივის წარსული, – მთელი ორმოცი საუკუნე აბჯარასხმული“ ... („მკვდართა ქალაქი“) ჩვენს დროში პოეტი გუბაზის ხმალს მოინატრებს: „იმ ხალხს, იმ კაცებს ვერ ნახავ ვერსად, მაგრამ აგერ მაქვს ის მჭრელი ხმალი, ლაზის თვალივით ლურჯია დღესაც ნოქალაქევთან ტეხურის წყალი. ცხოვრება მიდის, მიდის და მიდის, ვით ეს მდინარე, ეს ლურჯი წყალი, კაცი ვერ ვნახე, რომელიც იტყვის: აგერ მე, აგერ, გუბაზის ხმალი!“ („გუბაზის ხმალი“).

გენო კალანდიას პოეზია გზას გვიკვალავს იდუმალების სამყაროში. ახალი ეფექტური სახე და ელემენტები მუდმივ ფერისცვალებას განიცდიან, რამეთუ იცვლება ურთიერთმიმართების ხასიათი, შინაგანი სამყაროს ფიქრებისა და განცდების გამოხატვის ღვთაებრივი ნიჭი, მხოლოდ რჩეულთათვის თუა ხელმისაწვდომი. მხოლოდ ძლიერი ნე-

ბისყოფისა და მაღალი სულის პიროვნებას, მაღალსა და მაღლამხედს ძალუძს გამოთქვას ის, რასაც განიცდის, რას გრძნობს, რა ტკივა და რა უხარია, მას ხელეწიფება ატაროს თავის წიაღში წარსული, სწყუროდეს ახალი. მან ძალიან კარგად იცის, რომ „ჭეშმარიტი შემოქმედის სულში უკეთური და უღირსი აზრი არ აღიძვრის, ხოლო დიდ ვერაფერს შექმნის ის, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მდაბალი აზრებით სულდგმულობს, ვინც ბილწ სურვილებსა და უღირს ზრახვებს არის დამონებული“.[1]

სამეგრელოსადმი, მშობლიური კოლხეთისადმი მიძღვნილ ლექსებში მირონივით ჟონავს დაუშრეტელი პოეტური ენერგია. მამულის რეალურ ხატს მისი თვალსაწიერიდან რეალურის მიღმა არსებული, თითქოს მისგან გამონაშუქი შარავანდედი ადგას, რაღაცნაირი მისტიკური სხივიც დასთამაშებს მარადიული უკვდავების ნიშანსვეტად. ესაა ერის სულიერი არსი. და მოაბიჯებს „პოეზიის მრისხანე“ ბილიკებზე დაღლილი ლირიკული გმირი, რომელიც გულწრფელად ამბობს: „ველარ დავკრიფე მეგრული ვარდი, ველარ მოგართვი ცაიშის კართან, დედაო ღვთისავ! მოისხი მადლი, გადამაფარე მორჩილის კალთა. მეგონა, ცაში ვიფრენდი მაღლა, ვით ეს მაესტრო და მისი დასი... მაგრამ მე ისევ მიწაზე ვდგავარ და აღარც ვიცი იმათი ფასი... („ველარ დავკრიფე მეგრული ვარდი“).

გენო კალანდიას პოეზიაში აშკარად იკვეთება ფსიქოლოგიური და ფანტასტიკური ტრანსფიგურების მომენტები. თითქოს მკითხველი მითიურისა და მაგიურის ზღვარზე დგას. მის სიყვარულსაც კი რაღაც მაგიურისა და ტრაგიკულის, შორეულისა და ამაღლებულის იერი აქვს და როცა კარგავ

1 ფსევდო-ლონგინე, ამაღლებულისათვის ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „ხელოვნება“, თბ., 1975, გვ. 200

ყველაფერს, საკუთარ ეზოს, სახლს, კარმიდამოს და გაწყდომაზეა კავშირი ფესვებთან, ნამდვილი შემოქმედის მიერ მინიჭებულ მადლსა და სიბრძნეს მისი დიდებული პოეზიით ეზიარები.

ლირიზმით შეფერილი ნოსტალგია და უსაშველო სევდა ირეკლება ერთ-ერთ სონეტში: „ფუტკრის შხამივით მოვაგროვე მე ეს ტროფები, რომ შენთვის მეთქვა: აი, ჩემი ავლადიდება, გაცივდა გული... უკვე ღვინოც არ ეკარება, ძველ სარდაფებში სხედან ლოთები...“ „ყვავილო ცათა ნაღვლიანთა და ცოდვილ დღეთა! მო, მომაწოდე ეგ სასმისი უკანასკნელად, ეგ თიხის დოქი – სავსე ზედაშით. რომ სულთა შაბათს გადაცურდეს, ვითარ ყინული, თეთრი მაქმანით გაწყობილი კუბო ფიცრული სამურზაყანოს გავლით ლეთაში“ („ტროპები“).

ეს სონეტი პოეტის ერთ-ერთი უმშვენიერესი მონოლოგია. აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს მარკუს ავრელიუსი: „შენს თავს ყოველთვის ისე უყურე, როგორც მომაკვდავს... თვალის დახამხამების უმალ შენ იქნები ერთი პეშვი, ფერფლი, ჩონჩხი, სისხლი ან თვით სახელიც გაქრება შენი, სახელი შენი მხოლოდ მტვერი და არარაობა“ ...

გენო კალანდიას პოეზიის ხმა – ესაა სიყვარულის, სიხარულის, რწმენისა და მარადისობის ხმა.

მზერაუძირო წუხილი და უსამანო სევდა ირეკლება ლექსში „ალბათ, ასეთი მიყვარს ამინდი“.

მაღალპოეტური ნიჭიერება და უნივერსალიზმი ანათებს პოტის განცდებს, განუმეორებელი სახეებითაა გახმოვანებული აბო თბილელის სულის უმშვენიერესი ჰარმონიები. მისი მოწამეობრივი ღვაწლი და თვით მწერლის იოანე საბანისძის მარადმდინე სულისკვეთება – „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლაი“. იოანე საბანისძის ეს სიტყვები ყოველი დროისათ-

ვის, მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ, ეროვნულ კონცეფციას შეიცავს. ასე განმარტავს მათ იყანე ჯავახიშვილი. ეს სიტყვები გულისხმობენ, რომ ყოველ ერს თავისი ისტორიული გზა და კვალი აქვს – იგულისხმება ისიც, რომ ქართველთა მიერ გააზრებული უნდა იყოს თავისი სამშობლოს ცხოვრების ტრადიციული წესი. რაც ყოველ დროს და ყველასათვის სახელმძღვანელო უნდა გახდეს".[1]

გენო კალანდიას წინამდებარე ლექსში მამულისადმი ერთგულების დიადი ძალა მარადიულ სიმღერად ხმიანობს, უფლისადმი რწმენას და სასოებას ჩაგისახლებს სულ-სხეულში და აშკარად იჯერებ პოეტის დიდ ტოლერანტობას, რომელიც გულით გზნებს ერისადმი, მშობლიური კუთხისადმი უნაპირო სიყვარულს, ეროვნულ-სარწმუნოებრივ პრობლემებს განსჯის არა მარტო პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, არამედ დროის ფაქტორის კვალობაზე... ამ პრობლემატიკის ნათელყოფას ემსახურება აბო თბილელის მოლანდება ჩვენს ეპოქაში, პოეტი მთელი არსებითაა ჩაღრმავებული იოანე საბანისძის სულის ხვეულებს, მის სიბრძნეს, რომელიც გახდა საფუძველი მთელი შემდეგდროინდელი ჩვენი არსებობისა. ეს განსაკუთრებით გვმართებს სწორედ დღეს, როცა ჩვენი სამომავლო ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება...

პოეტი აცნობიერებს იოანე საბანისძის ძირითად მიზანს, მზესავით ამოაბრწყინებს ლამაზ ტკივილს, შიშს, სასოწარკვეთას, და უმთავრესს სათქმელს, რომ უცხოტომელნი როგორ სწირავენ თავს ქართული სარწმუნოებისთვის. ამის მაგალითები ხომ ადრეც იყო (შუშანიკი, ევსტათი)...

„ბევრი მეფური ღირსებით მოკვდა, ტაშით, სიმღე-

---

1 რ. სირაძე, ჩვეულებისამებრ მამულისა სვლაი, წიგნში „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა". თბ., 1992, გვ. 25-32

რით გაგითბო უბე, რა ვქნა, რა გითხრა, ძვირფასო, როცა სახელს, ვით მიწას მართმევენ უკვე. შორიდან ახლაც მოგავხარ ხოხობს, – ნისკარტით, ფრთებით, ხავერდის მკერდით, თითქო ფიროსმანს უყვარდი მხოლოდ, – ის იყო შენი სახე და ბედი. მტკვარზე, ვით თეფშზე ლივლივებს მთვარე, წყალს მიაქვს ჩემი ფიქრი და შიში, – აქვეა სადღაც დარბაზის კარი, აბო თბილელის მზისფერი ნიშით." – პოეტმა ამ საოცარი ფერწერული სურათით გამოხატა არა მარტო აბოს ხასიათი, მისი სახე, არამედ ქართლის ბედი და მსოფლიო-ისტორიული დროჟამიერი დინებაც. ეროვნული ღირსების შეგნება, რომელიც ქრისტიანული აღმსარებლობითი ცხოვრებითაა შესაძლებელი, უმთავრესი სათქმელი პოეტური ხატსახეებითაა გადმოცემული.

პოეტი მეხსიერებიდან ფიროსმანის სახესაც მოიხმობს და ზღვარდაუდებელი ფანტაზიით მიგვანიშნებს ფიროსმანის მარადიულობაზე, მისი შემოქმედების შეურყვნელ სულიერ სიწმინდესა და სიფაქიზეზე, რომლის ბედის თანაზიარად მიაჩნია აბო თბილელი. პოეტის რწმენით აბო თბილელი „ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია" (იოანე 1.5.).

გენო კალანდიას ხილვა ბიბლიურია, ღვთიური სიმშვიდე გვეღვრება სულში: „უფალმა შექმნა დიდება მისი, ცაში ეახლა მორჩილის კაბით, ერთი გულადი, არაბი ბიჭი, – ყარყატის ყელით და შავი წარბით". – აი, აქ ჩანს სხვაგვარი გენო კალანდია, გაფაქიზებული სულით, აბოს აჩრდილი რომ მოსვენებას არ აძლევს. „ძისა და მამის ცისფერი წიგნის" ტრფიალი და რუის-ურბნისის კეთილი მოძღვრის მეხოტბე პოეტის სტრიქონებიდან მირონივით ჟონავს მშვენიერება. „ნაკურთხით ზეთის" სურნელითაა ყველაფერი გაბრუებული და „აბო თბილელის მზისფერი ნიშით" მიგვანიშნებს ლამაზი

სიცოცხლის არსებობაზე. რომ წმინდანის სიცოცხლე მარადიული და განუმეორებელი ზეიმია, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება...

პოეტური სასწაულია „ადგილის დედა“. პოეტისათვის, როგორც არაერთხელ მივანიშნეთ, დამახასიათებელია თეატრალური დრამატიზმი, სურათი იხატება ერთი მონასმით, მაგრამ უჩვეულო ლირიზმითა და გულწრფელობით, პოეტური გზნებით. „და წეროსავით გაზაფხულზე დაიღუპები, მაისის მწვანე სანახებში, ლაქაშებშორის, ფაზისის კართან გულნაკრტენი იკივლებს ქორი, ცა გალურჯდება მაგნოლიით, მწუხრის ღრუბლებით“ ... „თოვლით ყინულით დაგბეჭდავენ მესაფლავენი, შაბათს შოპენი შეგიფარებს, კვირას რაველი და საქართველო მოგიგონებს, როგორც იარალის“.

აქ სიკვდილის ფენომენი, მწუხრის რაღაც მაღალი სულიერი კულტურის სურნელითაა გაჯერებული და გრძნობ სინამდვილის ცოცხალ პულსაციას, ცხოვრების რეალობის სიკვდილად გარდასახვისა და ღრმა განცდის შეგრძნებას: ადამიანთა არსებობის ტრაგიკული ფილოსოფია სიტყვაში განსახიერებული მისტერიაა, ყველაფერი გამაოგნებელი და განმაცვიფრებელია, და მოდის რაღაც დიდი კეთილი ძალა, მაცოცხლებელი სუნთქვა და სურნელი. მარადიული ხატები და მეტაფორები: „ადგილის დედა ღამეების შავი ოლარით“, „ნეკერჩხალი მზეზე გამხმარი“, „ჟამის სურათი: მხიარული წამით ამქარი“ ...

გენო კალანდია ტკივილიანი, პატრიოტული გონის ჭეშმარიტი გამომხატველია. და ამას საოცარი ფორმით აღწევს. მისი პოეტური ხატ-სახეები აბრეშუმივით სათუთია, ტკივილების გარსში მოქცეული, მაგრამ უმშვენიერესი ემოციებით დამუხტული. ტრაგიზმი, დიდი ტკივილი ქმნის მისი

ლექსის ფორმას, და გრჩება უჩვეულო შეგრძნება რაღაც ღვთიური ნათლით გალიცლიცებული...

გენო კალანდიას პოეტური სამყარო და თვით მისი პიროვნული „მე“ ებრძვის ყოფიერებას, რაღაც ახლისა და განსხვავებულის წყურვილი, შემოქმედებით ჟინი არ ასვენებს და უმაღლეს ადამიანურ ღირსებებსა და ფასეულობებს ამკვიდრებს, მისი უმშვენიერესი „სულის პეიზაჟები“ და პროფეტული ხილვები ჩვენს მწარე სინამდვილესთანაა წილნაყარი...

თემურ შავლაძე წერს: „ნისლიან ფერდობზე გამომკრთალი სხივიდან ბაზილიკა რომ გამოანათებს, მაშინ უნდა შეიგრძნო მამულის სითბო, ან არა, ბაზილიკები პატარა ქრისტეს აკვნებია, უფრო მართლად, ნათლად მისი ბავშვობა, ხოლო დიდებული ტაძრები ზრდასრული ქრისტეს სულის ეკლესიებია – მოკვდავთათვის მარადიული სალოცავი – გზა ისევ სიცოცხლისაკენ“.

მადლიანია, ბარაქიანია პოეტისათვის „მშობლიური კოლხური ხვითო“, მის მიერ შექმნილი კოლხური ლექსების ციკლი მაღალმხატვრულად გვიხატავს კოლხურ სამყაროში ჯერ კიდევ შეუმჩნეველ სხვადასხვა თემატიკას.

„ვარსკვლავებით გაბარდნილი ცა“, „თეთრი ნარგიზით ჩანიშნული მწუხრის ლოცვანი“, „ჯეჯილ-კორდით გაბრწყინებული კრავი“, „მორდუს ხელით მოხატული უცხო ლარნაკი“, „ხარის თვალში ჩარჩენილი მწუხრის ვარსკვლავი“, „ცისკრის წვიმები, ვერცხლისფერი სველი ბლონდებით“, თუ „მოხუცი ძიძა – თამარ დედოფლის ნაქონი ხატით“, „ფიქრიანი ალვები“ და „ძველისძველი ოდიშის ვარდისფერი ბატონის გახსენება“ გენო კალანდიას მიერ სიწმინდის რანგშია აზიდული და ამზიანებული.

როდესაც სამეგრელოს თემაზე, და საერთოდ, სამშობლოს

თემაზე დაწერილ ლექსებზე ვსაუბრობთ გენო კალანდიას პოეზიაში, აუცილებლად უნდა დავასახელოთ ლექსების ახალი ციკლი „საგალობლები უფლისათვის“, რომლებშიც, შეიძლება ითქვას, სრულიად განსხვავებული ხედვა იკვეთება. აშკარაა, რომ თითოეული საგალობელი ინდივიდუალურობითაა გამორჩეული და ამავე დროს ერთსა და იმავე რიტმულ საზომზე აწყობილი და ქმნის ერთიანობისა და ჰარმონიის შეგრძნებას. რაღაც მომნუსხველი ძალა და მომხიბლაობა გასდევს თითოეულ საგალობელს, რომელშიც ცნაურდება გენო კალანდიას მიმართება უფლისადმი. თითქოს თავისკენ გეზიდება ღამით მოსული თოვლით გადაბარდნილი არემარე. როცა ამ ციკლის ლექსებს კითხულობ წინ გადაგეშლება მთელი სამყარო. იცის პოეტმა, რომ უფალია შემოქმედი ღვთაებრივი მშვენიერებისა და ამიტომაც უსაზღვრო მადლიერებითაა აღვსილი და აცნობიერებს, რომ მხოლოდ სილამაზე და მშვენიერება ანათებს მის გაკვალულ გზაზე. აკი მუდამ არ გვმოძღვრავს თავისი „სამწყსოს სიყვარულით“ – „ჩემ თანა მშვიდობა გაქუნდეს, სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინიან, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (იოვანე 16,33).

რაღაც უჩვეულო ემოციური დატვირთვა აქვს წმინდა მამების მიერ მორთმეულ იების კონას: „ისეთი მზე და გარემო სუფევს, ისეთი მნათი ანათებს საყდარს, თითქო იები მოგართვეს წუხელ წმინდა მამებმა სიონის კართან“.

„უფლის საგალობლებში“ ნათლად იკვეთება გენო კალანდიას პოეტური წარმოსახვის მასშტაბურობა. პოეტი თავის სულიერ განწყობილებას გვიხატავს და ღრმად გვარწმუნებს მეტაფორული აზროვნების სიმძლავრეში. ადგილის დედისადმი, მშობლიური სამურზაყანოსადმი უნაპირო სიყვარულში, ლაღი ბუნების წიაღში თავს ბედნიერად გრძნობს და ფაქ-

იზად მიმართავს უფალს: „უფალო, შაშვის გალობა მიყვარს, მიყვარს პატარა ბუდე და ბანი, შავი ვარდივით ბზინავს და ბრწყინავს დილიდან მისი მცხუნვარე ტანი“ ... („უფალო, შენი მაღალი ნებით“).

პოეტი უჩვეულო ჯადო-ძალით გვიხატავს თავის ფიქრებს, თავის განწყობილებას და გვარწმუნებს, რომ უფალი მუდმივად ჩვენს გვერდითაა და თავაწყვეტილი ერთგულებით მიმართავს უფალს: „ამავსე კვირის უმანკო ლოცვით, მიშველე მარად ყარიბს და შიშველს, ჩემსავით ერთგულს და ჩემებრ მორჩილს, ვეღარ შეხვდები ოდიშის ცისქვეშ.“ („უფალო, შენი მაღალი ნებით“).

ლექსი აღვსილია უფლისადმი ერთგულების გრძნობით, გაჟღენთილია მაგიური ნათელით, რაც „უფლის მაღალი ნებით“ ხდება და მარადიული ცხოვრების უკიდეგანო შორეთს სწვდება, ეს მაგიური ნათელი აცისკროვნებს პოეტის სულს და ლოცვით ამაღლებული და გაფაქიზებული გზნებს: „უფალო, მთვარე მოადგა საყდარს, შემოანათა მთავარი კარით, ასეთი შვება, ასეთი განცდა ჯერ არ მქონია არცერთი წამით. გარეთ ვარდივით შრიალებს დაფნა, თითქო მაცხოვრის ღუღუნებს მტრედი, ავდგები, გავშლი ოდიშის ოთხთავს და აღსარებას თავიდან გეტყვი.“ ვარდივით მოშრიალე დაფნა და მაცხოვრის მოღუღუნე მტრედი, ოდიშის გაშლილი ოთხთავი და გულით ამოთქმული აღსარება – რაღაც ყოვლისმომცველი, მთელი კოსმიური სამყაროს სიყვარულის დამტევია და იფრქვევა ბიბლიური სურნელი, „სული ცხოვნელი“ – დიდი სინათლით. ეს დიდი სინათლე მთვარესავით ანათებს საყდარს, – ეს კი მარადისობის სიმბოლური პანორამაა, რომელიც თავისთავში ინახავს ციურ სამეფოსაც და კაცთა მოდგმის ისტორიასაც... და თითქოს მაგიური სინათლის ძალას იძენს და მთელი არსებით

გრძნობს უფლის თვალისმომჭრელი სინათლის ზემოქმედების ძალას. პოეტი თავის მღელვარე სულიერ სამყაროს გამოფენს: „უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს, თურმე შიგ გულში გქონია ბინა, მე გზას ვეძებდი და თავს გიხრიდი, ვით პაპისპაპა დიდიხნის წინათ. იების თოვლით და მზის ბლონდებით იღვიძებს დიდი შაბათის დილა, ირგვლივ ბაღია თეთრი შროშნების და მონასტერში მეუფე წირავს.“

გენო კალანდიას ლექსებში თეთრი შროშანების ბაღი ჰყვავის, იების თოვლით და მზის ბლონდებით გაბრწყინებული... ეს ის ღვთაებრივი ბაღია, სადაც დიდი შაბათის დილას მეუფე წირავს და პოეტის ფაქიზი და მზიანი სული თოვლის სისპეტაკითაა გარემოსილი.

პოეტი – ფერმწერი მთლიანად ჩამოწურავს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს და მთელი არსებით გვარწმუნებს იების თოვლის სისპეტაკეში და ზოგჯერ კიდევაც თოვლით გადაბარდნილ მოქათქათე ალუბლის ბაღსაც მოგვახილვინებს: „თითქო ვიღაცა კარი-კარ დადის თოვლის კალათით და თოვლის ჭაღით.“ გენო კალანდიას აქვს თავისი სათქმელი, რომლის გადმოცემას ახერხებს მიგნებული პოეტური ხატებითა და სახე-სიმბოლოებით.

ხომ საოცრად მშვენიერია თოვლით გადაბარდნილი ალუბლის ბაღი, მაგრამ უფრო მშვენიერია, როცა ეს ყველაფერი ერთს უკავშირდება, ეს ერთი კი შეიძლება იყოს პოეტის ადგილის დედა ან სრულიად სხვა, თუნდაც დიდი წინაპარი და შენდა უნებლიედ ლექსში განივთებული განცდის სიღრმე სისხლს აგიტორტმანებს და შენად ჩაგიკრავს გულსა და გონებაში. „ათოვს სიყვარულს და თოვლის კარავს, ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს, თითქო დილიდან ვარდებში წვანან დანიის პრინცი და ოფელია.“ ჰოდა, „ნამდვილად მშ-

ვენიერია ჩემი ლექსი“ (პოლ ვალერი). აქ იმდენი რამ არის ჩაწნულ-ჩაგვირისტებული, რომ ჩაუღრმავდე, ბრწყინვალე ესსე დაიწერება.

ლექსი „ძე შეცთომილი“, სრულიად ორიგინალურია და საკუთარ სიმაღლეზე შედგომის ლამაზი ნიშნული. პოეტი სულისშემძვრელი სტრიქონებით გვეუბნება: „ძე შეცთომილი, მინახავს ბევრი, მაგრამ ჩემგვარი არ ახსოვს სოფელს“. მართებულად ბრძანებს ვახტანგ ბახტაძე: ამ „ძე შეცთომილში“ თავის თავს და მთელი საქართველოს ძეებს გულისხმობს, რამდენადაც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარედან წარმოებული, ჩვენს ავაზაკ მეგობართა მიერ „იმპორტირებული ომი“, ვაგლახ, ჩვენივე ხელით, ვერ ავაცდინეთ სამშობლოს (იგულისხმება 1991-1992 წლების თბილისში, სისხლიან ზამთარში დამხობილი ეროვნული ხელისუფლება და 1993 წლის 27 სექტემბერი, სოხუმის ომი, რომელშიც გამარჯვება ხალხს აკრძალული ჰქონდა“).[1]

ლექსში ყურადღებას იქცევს პოეტის მრავლისმთქმელი განწყობილება და მოვლენათა სრულიად რეალური აღქმა. საოცარი მეტაფორები: „ფერადი ბაღი“, „სიკვდილი – პაჟი“, „შრიალებდა სექტემბრის ჩალა, თხმელის მწვერვალზე ვით ყაბალახი“ ... პოეტის ბიბლიური ალუზიები მკითხველს ღრმად ამახსოვრდება, მკითხველის გულამდე მიიკვლევს გზას პოეტის გამაოგნებელი ხატ-სახეები: „სააფაქიო დამსხდარა გლოვად – ჭლექით მომკვდარა უფროსი ვაჟი. ვინ გაქცევია დრო-ჟამის სრბოლას?! ვის დაივიწყებს სიკვდილი-პაჟი?!“ აქ მეტაფორა პოეტისათვის უმთავრესი საშუალებაა, რომლითაც იგი ემიჯნება ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებას და ქმნის ახალ,

---

1 ვ. ბახტაძე. მათ სამთა გმირთა მნათობთა. „ჩვენი მწერლობა“, 21 სექტემბერი, 2012, გვ. 34

თავისებურ, არაორდინალურ პოეტურ ქვეყანას, მითს. კერძოდ, „ძე შეცთომილის“ იგავით ქმნის აზროვნების გამოხატვის ორიგინალურ ხერხს, სადაც მთელი კოსმიური სამყაროს აღქმა განუმეორებელ პოეტურ სიმაღლეზეა აზიდული... „ვის დაივიწყებს სიკვდილი-პაჟი?“ ესაა ორიგინალური და შემაძრწუნებელი განცდა სიკვდილისა და არანაკლებ შთამბეჭდავია ლექსის ფინალში გაცხადებული ფიქრები, რომლებიც მკითხველს აფიქრებს სიკვდილის გარდუვალობაზე და ძე შეცთომილის ბედზეც...

პოეტური სახეებითა და მხატვრული ხერხებით მზესავით ამოანათებს ის სასიცოცხლო ენერგია, რომელშიც მშობლიური კუთხის წარსული გამოიკვეთება: „სამეგრელოს წარსულო, სამეგრელოს წარსულო, – გაზაფხულის თოვლივით ცაში კვამლად წასულო!“ ... „ღამეებო, დღეებო, ვარსკვლავების კრებულო, – საკალმახე ზვირთივით გულზე დაჯახებულო!“ ... „მიწავ, მარად ფხვიერო, მიწავ, დასადაფნავო, მიწავ, სამი პოეტის მომავალო საფლავო!“

ესაა პოეტის მთელი შემოქმედების სიმბოლური შინაარსი და წიგნის სათაურის უღრმესი იდეა მშობლიური მამულის, სრულიად საქართველოს პეიზაჟის, მისი ლანდშაფტის და ძლევამოსილი ფანტაზიით გაცოცხლებული ისტორიის კავშირში ცნაურდება.. და მაინც, მთრთოლვარე ნაცრად ქცეული მშობლიური კერა და დღეს გასხვისებული მშობლიური ფესვები პოეტის ტკივილია. ფინალურ ბნკარებში ქართველი ერის მარადიული სულია, გონების თვალით რომ მიჰყვება პოეტი მთელი სიცოცხლე. გენო კალანდიამ მშობლიურ ფესვებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით მიაგნო არანაკლებ სწორ, ბუნებრივ რიტმს, რაღაც საოცარ განუმეორებელ დაძაბულობას და ექსპრესიულობას.

ყოველი ეპოქა ხომ საკუთარი საზომით აფასებს წარსულს. მშობლიური ფესვებისადმი დამოკიდებულება გენო კალანდიას პოეზიაში საკრალურ მნიშვნელობას იძენს. პოეტი გვარწმუნებს, რომ მშობლიური მამულის ფესვები, მისთვის ისეთივე ღვთაებრივია, როგორც მაცხოვარი ჭეშმარიტი ქრისტიანობისათვის. ალბათ, ამიტომაა ასე საოცრად მომხიბლავი მისი ეთიკურ-ესთეტიკური სამყარო... „სისხლივით ამიჯანყდები, სამეგრელოზე ფიქრო, მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელო წიგნო. ვაზივით გულდასტყვილო, ჯვარზე გაკრულო ნებით, ხვალ მშობლით შეგეხიდები, ზეგ საკუთარი ძვლებით. დილიდან დაღამებამდე დაკიდებულო ნაპრალს, მე ამოვავსებ უშენოდ იმ სავერანე საფლავს. მერე სხვა შეგეზიაროს, მან გაგიმაგროს ლიბო, ოღონდაც ასე მართალი, ასე ერთგული იყო... „არ გამიჯავრდე, გეთაყვა, არ მომიხურო კარი, მიყვარხარ, როგორც მზე უყვარს უსინათლოს და ყარიბს.“
ამ სტრიქონების წაკითხვისას გახსენდება ახალი აღთქმა – რელიგიური პოეზია – „მარადღე მოუკუდები“ (1.კორ.15.31), „ეგრეცა თქუენ შერაცხენით თავნი თქუენნი მკუდრად ცოდვისთვის და ცხოვლად ღმრთისა ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუენისა (რომ. 6.11). „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, უკუეთუ არა მარცუალი იფქლისას დავარდეს ქუეყანისა და მოკუდეს, იგი მარტოი ხოლო ეგოს, ხოლო უკეთუ მოკუდეს, მრავალნი ნაყოფი გამოიღოს“ (იოანე, 12,34). „ფესვებში“ გამოიხატა პოეტის მთრთოლვარე აზრი, განწყობილება, იმედი და სიყვარული – დიდი რწმენის თანმხლები.

ისტორიული წარსული მნიშვნელოვანია პოეტისთვის, სათქმელი რომ გაათანამედროვოს. მართალია, ისტორიას ჩაბარდა „ლაზის შუბივით წამახული ციხე წოწოლა“ (შოთა ნიშნიანიძე), მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ

ლაზი და ლაზების ისტორია დავიწყებას მიეცა. პირიქით, პოეტის სულში ლაზების ისტორია ცოცხლობს, აზროვნებას და არსებობას განაგრძობს. აკი დრო-ჟამი ისტორიას ინახავს, არ შლის და დროდადრო ფოსფორივით ანათებს: „ლაზების ისტორია, ლაზების სამართალი, ქართული სიმფონია, ქართული ცეცხლის ალი. მწუხარე აფსაროსი, მჭვუნვარე ქურუმები, ლაზური ამფორები სამეფო ჩუქურთმებით“. თითქოს ყველაფერი ცოცხლდება და ისტორიასაც აცოცხლებს. კოლხეთის ისტორიის შორეულ სიღრმეებში წვდომა და ლაზების ისტორიის მხატვრულად შეგრძნება პოეტის სულიდან და გონებიდან მოდის და იშვიათი მეტაფორებით, უცხო ფერებით ლეგენდარულად განეფინება სამყაროში.

ლაზურ ლექსებში დრო-ჟამი იფქვება. მინდვრის „შროშან ღრუბელს“ მოაქვს ულამაზესი წარსულის გახსენება. ერთმანეთს ენივთება ოდიში – კოლხეთის ულამაზესი სოფელი და ლაზების „ტანჯული გულის ვარდი ქალაქი კუტაია“. სიყვარული და ერთგულებაა ჩაფენილი პოეტის სტრიქონებში: „ხახულის ანგელოზი, ხახულის ბზა და ია, ლაზური ავგაროზი, ლაზური დარაია“...

„კომპოზიცია ლაზებზე“ ერთი გაბმული სევდიანი სიმღერაა ლაზების წარსულზე, მათ ტკივილიან ცხოვრებაზე... წარსულის ლაბირინთებიდან პოეტი წმინდანივით გვეხმიანება: „... ომების ისტორია, ბრძოლების გზა სადაო, ქართული მისტერია, ქართული სასაკლაო“. თეთრი ქვის ფირფიტები უცნაური ხილვებით წარსულზე ღაღადებენ და იქსოვება განუმეორებელი ტილო ლაზების ისტორიისა.

ვაზის ტოტებით მორთული ტაძარი, უფლის წმინდა საკურთხეველი – ხახულის ხატი და ლაზების სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ყმაწვილების გულის ფეთქვასაც მიგვ-

აყურადებს. იცის პოეტმა, რომ ლაზების ისტორიული წარსულის უგულებელყოფა არ ეგების და მისი უცნაური ხილვები განუმეორებელი საგალობლების ღვთიური ჰანგებით გვესალბუნებიან: „... ალილუია, ლაზის მზეო, ალილუია“...

გენო კალანდიამ შეძლო საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენამდე მოეტანა „ლაზების ისტორია, ლაზების სამართალი“. მთელ ციკლში („ლაზური ლესები“) ქართული პოეტური აზრის პატრიოტულ მასშტაბებში კონცენტრირება ჭეშმარიტი ელფერით იკვეთება. მისი ლირიკული გმირი „ამორძალთა“ და „მგელკაცთა“ მოდგმაზე დაფიქრდება თუ მამელუქებისა და ლაზების ბედზე, მაინც საქართველოს სატკივართანაა დაკავშირებული: „ვაი, შენ, ჩემო თუთარჩელავ, მთვარევ – ლიმონის იმ წმინდა ხესთან რომ მოთქვამდი, რა გატირებდა?“ – ეს არის წარსულთან თითქმის ფიზიკური შეხება, როცა სულიც და სხეულიც გარდასულის ტრაგიკული, მაგრამ უმშვენიერესი განცდებით იმსჭვალება და სადღეისო საწუხარში განეფინება.

პოეტის რწმენით, ლაზი შორეული წარსულის ლამაზი სიზმარია. შემოქმედი გულში იხუტებს ყველაფერს, რაც საქართველოს ისტორიას მშობლიურ კოლხეთს, მის წარსულს უკავშირდება და ჩვენს შემეცნებაში სამუდამოდ აღბეჭდავს „ლაზის სანდალს“. ათასწლეულთა მიღმა, კოლხურ ცივილიზაციაში ეძებს ფერებს და თავისებური პოეტური ფერადოვნებით გაათანამედროვებს უძველესი ლაზების დროის უსასრულობას.

„ლაზურ ლექსებში“ გამოხატული პოეტური განცდები ეროვნული ისტორიის ანარეკლია. სამშობლოს უკუღმართი წარსულის წარმოდგენით გამოწვეული განცდა ძლიერდება და უკავშირდება ეროვნულ მსოფლგანცდას, ერის გონების

სხვადასხვა სფეროს, მითოლოგიას, ბუნებასა და ისტორიას, ამიტომაც არაა გასაკვირი ასეთი სტრიქონები: „მიგალობე, მიტირე ჩვენებური მოთქმით, დაღლილ გულზე დამადე სულ უბრალო ლოდი, ზედ ქართული წარწერა ამოკვეთე ფრთხილად და განძივით მიბოძე საქართველოს დილა“...

საოცარი ფერებით ანათებს მისი თითოეული სიტყვა. უჩვეულო პოეტური ენერგია ასხივებს მისი თითოეული სტროფიდან. ეროვნული სულის, ეროვნული ფესვების, საუკუნეთა დიდებული კავშირის ძიებას მშობლიური ბუნების წიაღში მიჰყავს პოეტი და ვგრძნობთ პოეტის მშობლიური ფესვებისადმი სიყვარული რაღაც სხვა, მისტიკურ საბურველშია გახვეული. ყოველ ნაწარმოებში იკვეთება გარკვეული აზრი და სიმბოლო. მისი ნიჭისა და გონების ლაბირინთების ხვეულები პირადად ჩემთვის არიადნეს ძაფია, საიდანაც თავს ვერ ვაღწევ და მაინც, ბუნებას საოცრად უყვარს ერთდროული სასწაულები, იქნებ, ამითაც გვიჩვენებს თავის ძალას, და „ოუ, ნანა! – მოლივლივებს ცათაპირ სევდა, – მწუხრის ფრთასავით ეფინება არესის ჭალებს. დედათა ლურჯი მონასტერი დაჰყურებს სოფელს, ვით ანგელოზის მძინარე აკვანს. ლებარდეს თხემზე მგალობელთა ამოდის გუნდი. თუ ჩემი ცრემლი, გახარება ნამდვილად გინდა, თუ ჩემი მშვიდი სიკვდილი გინდა, მიმღერე, როგორც დედაჩემი მღეროდა ძველად: „მზე – დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი, ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.“ „რა ნაღვლიანი ღამეა გარეთ, რა სევდიანად ანათებს მთვარე...“ და უნებურად: რა არის მშვენიერება, მე არ ვიცი, მაგრამ აქ მაინც მინდა ჩემთვის ჩავინიშნო: რაც ადამიანთა უმრავლესობას მშვენივრად მიაჩნია ის უნდა იყოს მშვენიერი. გენო კალანდიას პოეზია მშვენიერების დღესასწაულია...

მითი და რეალობა

კოლოსალური აზრისა და მნიშვნელობის დამტევია გენო კალანდიას პოეზია. კითხულობ მის ქმნილებებს და გრძნობ, როგორ იჭრება სულში „ძლევამოსილი სულიერი დამპყრობელი“ (პოლ ვალერის ტერმინი)... ჩვენი დროის სოციალურ თუ მხატვრულ ღირებულებათა ისტერიკული გადაფასების ხანაში, სწორედ ისაა ერთ-ერთი საიმედო საყრდენიცა და აღიარებული მეტრიც... მისკენაა მიმართული ჩვენი, აფხაზეთიდან დევნილი ქართველობის მავედრებელი მზერა და ისიც, როგორც მაღალი სიბრძნით მორჭმული ჩვენი ქვეყნის ჭირისუფალი, მოვლენათა შუაგულიდან ჭვრეტს და ანონასწორებს ჩვენს თითქმის უიმედო, აზრდაკარგულ სინამდვილეს.

ქართული ორნამენტის საუნჯის ღრმა ესთეტიკური განცდა ათქმევინებდა გალაკტიონს: „და მეოცნებე ჯაჭვაწყვეტილი ნაცნობ მხარისკენ მივემართები – სად ხილვად, უცხო, ამოკვეთილი ორნამენტების ჰყვავის ვარდები“ ... ეს ღრმა განცდა ძალუმად იგრძნობა გენო კალანდიას პოეზიაში...

გენო კალანდია საზრდოობს ქართული და ევროპული, ცისფერყანწელთა და ფრანგ სიმბოლისტთა პოეზიების ტრადიციებით. მისი შემოქმედება გასაოცარი მთლიანობაა პოეტური გრძნობის და აზროვნების, მთელი სიმძაფრით რომ ახმოვანებს სულიერების უნატიფეს ჰარმონიებს, ადამიანური განცდების „მონუმენტურ დისონანსებს“ – უჩვეულოს, მგრძნობიარეს, ფერადოვანს, ეგზოტიკურ, სახეობრივს. მხატვრულ-ფილოსოფიური ფიქრის ჭეშმარიტი არისტოკრატი მაღალი ზნეობისა და ღვთაებრივი მშვენიერების დღესასწაულებით ხიბლავს თანადროულობას...

გენო კალანდიას პოეტური აზროვნება კონკრეტულად ადასტურებს ქართველი კაცის ლტოლვას ბედნიერებისაკენ. სიცოცხლის სიყვარულს, როგორც თვითგამოხატვის თავისებურ ფორმას. ძმათამკვლელი ომის უმწარესი შედეგების მიუხედავად, მან შეძლო დაემკვიდრებინა საკუთარი ხმა წარმავალი ყოფიერების ქაოსში... მის პოეტურ აზროვნებას გრძნეულებაც ხელეწიფება. იგი შემმართებლური ენერგიით იჭრება მარადისობაში და გარდახდილ-განცდილის უსაზღვროებაში აჯირითებს თავის სულს, რათა კიდევ ერთხელ განგვაცდევინოს მარადიული ტრაგიზმის სიდიადე... „კრწანისის ველზე დარჩენილი სამასი ხარი“, ტყვიით განგმირული ცისარტყელები“, „ტანმოხატული ხოხბებივით დახოცილი ცისკრები“, „ამდენი ცრემლი, ამდენი სისხლი, „ამდენი ჯავარცმა და მკვდართა დარდი“, „მწუხარე წიგნის ფურცელი, მრავალტანჯული მიწა იბერთა და გადასხეპილი ჰორიზონტები“ – ასეთი პოეტური მეტაფორებით ვლინდება დროთა მარადიული კავშირის ჭეშმარიტი ლოგიკა, დროში შეზღუდული მარადისობა და მარადისობაში განფენილი დრო.

გენო კალანდიას პოეტური ფენომენის გარეშე შეუძლებელია თვით ჩვენი აფხაზეთის ცხოვრების, ჩვენი ეროვნული ცნობიერების, ქართული სინამდვილის წარმოჩენა. მის პოეზიაში, ბუდემოშლილი მშობლიური ფერებისა და სურნელის გარეშე დარჩენილი კაცის გოდებაა, მაგრამ ისე სათუთად და ფაქიზად მოტანილი, მისი ქმნილებების წაკითხვის შემდეგ, უნებლიედ, გიჩნდებათ სურვილი, დაუბრუნდეთ მის პოეტურ სამყაროს, ჩაულრმავდეთ და გაითავისოთ მისი ფორთოხლისფერი ლექსების სევდა. მისი უმშვენიერესი ხატები და მეტაფორები ლაკონურად გამოხატავს სათქმელს, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მძიმე შედეგებს...

„აფხაზეთზე დღეს ბევრი წერს, სამწუხაროდ, თითქოს მოდურ (და ხელსაყრელ) თემადაც იქცა ის დიდი ეროვნული უბედურება (არა მხოლოდ ლიტერატურაში, პოლიტიკაშიც...) და, როგორც ასეთ დროს გვემართება ხოლმე, ნაწერი და ნათქვამი ხშირად ზერელე გამოდის, ისეთი, კაცს რომ „ნაკლებად" „აეკიდება", „ნაკლებად აეკვიატება". ცხადია, სწორედ ამგვარ ფართოდ გავრცელებულ (არ ვიტყვი „მარადიულ"-მეთქი) თემაზე წერაა განსაკუთრებულად ძნელი... ყოველ წამს ბეწვის ხიდს უნდა გრძნობდე ფეხქვეშ" (თ.ამყოლაძე).

აფხაზეთის თემაზე დაწერილი ლექსები გენო კალანდიას ევროპული პოეზიის ერთ-ერთი მძლავრი შენაკადია, რომელიც თავის სათქმელს ამბობს განსხვავებული ინტონაციით, სტილით. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად იბადება აზრი: იქ, სადაც დანაკარგია, ყოველთვის წარმოიშობა სევდა-ნაღველი, სადაც ხელყოფილია იდეალი და ღირსება, წუხილი და ცრემლი მომხდარის გამო ბუნებრივი შედეგია და: „ფრთამოტეხილ შაშვივით ღამე ცრემლად ვიღვრები, ყელი გამოჭრილი მაქვს მშობლის ძველი სიმღერით, უსინათლო ბერივით გეძებ ცხელი თითებით, გული გაგლეჯილი მაქვს ზღვის მშფოთვარე ზვირთებით, რაც სოფელი გავიგე, ვცოცხლობ ჩემი ფესვებით, სული დაფლეთილი მაქვს სულ ქართული ლექსებით" („ფესვები"). რაოდენ ფილოსოფიურ ჭრილშია დანახული და გააზრებული სტრიქონები, სადც პოეტური გრძნობებისა და განცდების აფეთქებაა.

გენო კალანდიას პოეზიაში „კაცი ხარის" გულმდუღარე ცრემლებია ჩაღვრილი. დიახ, ის რაც ხელშესახებია მისი მუდმივი ფიქრის საგანია, მის სამსახურს უძღვნის თავის სულიერ ენერგიას და ღვთისგან ბოძებულ ტვირთს ხარივით ეზიდება. ხარის სიმბოლიკა მისი პოეზიის ერთ-ერთი ნიშნეუ-

ლი მხარეა, რომელიც პარალელს პოულობს მითოლოგიურ-ფოლკლორულ არქეტიპთან. გამორჩეული ადგილი უჭირავს მითოსს. პოეტმა მითოსური პასაჟებითა და სიმბოლოებით მიგვანიშნა აფხაზეთის ომის მწარე შედეგებზე, „ოქროს საწმისისა" და „ლოტოფაგების ოდისეას" მითები ორიგინალურად დაუკავშირა ქართულ-აფხაზურ სინამდვილეს, ღირსეულად განაგრძო ქართული მწერლობის მამხილებელ-მეამბოხური ტრადიცია და სათავე დაუდო ამავე ტრადიციის ეგზისტენციალური შეფერილობით წარმოჩენას.

გენო კალანდიას მხატვრულ სამყაროში მთავარი მარტო მხოლოდ ხილულის დანახვა კი არ არის, არამედ უხილავის წვდომაც. ლექსის არქიტექტონიკა მარტო მიწაზე ნაგებობა როდია, არამედ ღრმად ჩაფლული საძირკველი, რომელსაც იგი ეფუძნება და მაინც, რასაც გარეგანი გრძნობები აღიქვამენ, მხოლოდ ნაწილია სამყაროსი... „სულთან წილნაყარი უნდა იყო, რათა შესძლო მის გამოცხადებათა გადმოტანა გრძნობად სამყაროში".[1] მისი რწმენით, ღმერთისგან შექმნილი მისტიკური საუფლო არა მარტო სევდის მომგვრელი ერთფეროვნებით განიცდება, არამედ სიყვარულისა და სიკეთის, ერთგულებისა და თანადგომის, ურთიერთგატანისა და ერის გადარჩენისათვის ბრძოლის ჭეშმარიტ დემონსტრირებად აღიქმება.

მის პოეტურ სამყაროში მთავარი მაინც, როგორც არაერთხელ მივანიშნეთ, თითქოს უხილავი, ხორცშეუსხმელი, მაგრამ მაინც ხილული და თვალშისაცემი ეპოქის სულია. პოეტური გამოცდილება უაღრესად აქ, ამგვარ შრეებში მყღავნდება და არა მხოლოდ მეტაფორულ აზროვნებაში, რომელიც

1 რ.შტაინერი. როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება, თბ., 1993, გვ. 97-98.

მედიატორის როლს ასრულებს ადამიანის ნათელ მისწრაფებებსა და მის დამთრგუნველ ბოროტ ძალას შორის.

„შვიდი აბრაგის ლექსი“ ეძღვნება ჭაბუა ამირეჯიბს. პოეტის მადლიანი კალმის ძალით ცოცხლდება ფათერაკებიანი დრო, ჭაბუა ამირეჯიბის სულის საძირკველი, რამაც შეაძლებინა ქცეულიყო XX საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილ ფიგურად. კითხულობ ლექსს და თვალწინ გიდგას ჭაბუა ამირეჯიბი – ჭეშმარიტი რაინდი და დიდი მწერალი და მაინც, კაცი „მარბიელი“, „რაც მან ირბინა, იმდენი და ისე თვით ემილ ზატოპეკსაც კი არ ურბენია“ – წერს ჯუმბერ თითმერია, – დიახ, ის ბევრჯერ გაიქცა, მაგრამ საქართველოს არასოდეს გაქცევია, ის მაშინაც საქართველოში იყო, საქართველოსთან იყო“... ამ ლექსით პოეტის საოცარი მისტიური განწყობა ღრმა ლირიზმითა და სიფაქიზით ავლენს იმ ცდუნებებს, რომლის დათრგუნვაც მხოლოდ უდიდესი გარჯისა და ბრძოლის შედეგად თუ მიიღწევა... „შვიდი შავი თოხარიკით, შვიდი გუდა-არაკით, ჭალადიდის გზას დაადგა ქვეყნის შვიდი აბრაგი“ ...

გენო კალანდია სახეობრივი აზროვნების თვალსაზრისითაც, თავისთავადი და განუმეორებელია, რომელიც საშუალებას აძლევს საგანთა, მოვლენათა სიღრმეები თვითონ შეიმეცნოს და სხვასაც გაუმჟღავნოს ამ სიღრმეთა სულის საიდუმლო მოძრაობანი. ციკლში „ზღვის სონეტები“ გაცხადდა პოეტის საიდუმლო ბუნება, თქმულებების, ლეგენდების, მითების, სიმბოლოების ჭრილში გამოყენება. თავად შემომქმედი ბუნების შემოქმედებითად გააზრება მისი ერთ-ერთი პოეტური თვისებაა. ზღვის სონეტებით პოეტს ჩვენამდე მოაქვს მითოლოგიური მხატვრული სახეებით გაცოცხლებული ყრმობის ულამაზესი სურნელი, ათასფერად გადმოფეთქილი მზის

ღიმილით, ფანტასტიკურ საბურველში გახვეული ულამაზესი ხმებითა და იდუმალებით... „ბადეებს შლიან და ჭრიალი – ორჩხომელების ისმის ხორხოცად ოჩოკოჩის, ქარის, ქიმერის... სინოპით გარბის ქვებუდანი ბერძნების ჯარი, ორჩხომელების უკან მისდევს დარბაზის კარი, სიცოცხლედ გიღირს გამარჯვება და ყლუპი წყალი, ფაზისის ზვირთებს შეგიღებავს შენივე სისხლი, აწ უკვე სიძე და მოყვარე სიკვდილის ღირსი, დაგრჩება ობლად სალომეა სასახლის თვალი". ამ სონეტში ბერძნული მითებისა და ლეენდების გმირები ბრწყინდებიან და აშკარად იკვეთება პოეტის მრწამსიც.

„მედეას დიალოგი ძიძასთან არგონავტების ჟამს და მიწურულს" ... ეს პოეტის ერთ-ერთი გამორჩეული ლექსია, რომელიც მკაფიოდ მეტყველებს მისი ნიჭის ინდივიდუალობასა და პოეტური ინტუიციის ამაღლებულობაზე. ჩვენს წინაშეა მითოსური ხომალდი არგო და მისი მგზავრები. მეფე აიეტი, გრძნეული მედეა, აფისოსი, (აფისისტი და სხვები)... ვკითხულობ ლექსს და ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება საოცარი სურათი, დამხვდურები, უცნაური სტუმრები – „უცხო ხომალდი მოადგა ნაპირს, ვინ უნდა იყვნენ, ძიძა, ღუზა ჩაუშვეს ოქროს ყურეში, ნეტა, რა უნდათ, ძიძა?" ჩვენ წინაშე გაიელვებენ მითოსური პერსონაჟები, მედეა, იაზონი, ბრინჯაოს კაცების მსგავსმა არსებებმა უკვე „ციხე-კარს ქვექვე შემოანათეს, ნეტა, რა უნდათ ძიძა? ღუზა ჩაუშვეს ოქროს ყურეში, ნეტა, რა უნდათ ძიძა? – სულისშემძვრელი კითხვა არ ასვენებს პოეტს.

გენო კალანდიას პოეტურმა მუზამ არგონავტები არეს ჭალებთან დალანდა და ჩვენს დღევანდელობაში შემოიყვანა. პოეტის სულიერი სამყარო, შინაგანი წვა და სულის ტკივილი ირეკლება მთელ ლექსში: „მზე ჩადის, მცივა... და

მაჟრიალებს, – მითხარი, რა ვქნა ძიძა? რას ნიშნავს შავი ხარის სიკვდილი? – თქვი, ამიხსენი, ძიძა? ხავსივით მწვანე წყალში ვიდექი, – ნეტა, რას ნიშნავს ძიძა? ნაპირზე ველარ ამოვდიოდი, – ნეტა, რას ნიშნავს, ძიძა, ვგრძნობ უცნაურის მოახლოებას, – მითხარი, რა ვქნა, ძიძა?“ ... პოეტის ინტუიცია წინასწარ გრძნობს საკუთარი ქვეყნის ტრაგედიას... ღრმა ფილოსოფიური განსჯითა და მიგნებებითაა წარმოჩენილი ბიბლიური მითის მხატვრული გარდასახვა მისი კალმის მადლიანი ძალით... რა დიდებულად თქვა კამიუმ: „მითებს თავისთავადი სიცოცხლე არ გააჩნიათ, მითი გველოდება, როდის შევასხამთ მას ხორცს, თუნდაც ერთი კაცი რომ გაეხმაუროს ამ ქვეყანაზე მითის ძახილს, უმალ მოგვგვრის იგი სურვილს დაუშრეტელი წვენით. ჩვენი საქმეა შევინარჩუნოთ მითები, ვიმოქმედოთ ისე, რომ მითის ძილი მომაკვდინებელი არ იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს აღორძინება“. გენო კალანდიას მიერ გამოხმობილ მითებში მთელი ისტორია და წარსული მთიდან მოვარდნილი ნიაღვარივით მოედინება და მაინც, არა მარტო პოეტური სტრიქონი, არამედ თვით პოეტის მთელი სულიერი სამყარო და მის მიერ ჩამოძერწილი სურათი გაჯერებულია მითიური ხატოვანებით. მისი უნიკალური პოეტური საქმიანობა, თვითმყოფადი ხატოვანება და ფილოსოფიური აზროვნება წინ გადაგვიშლის ხელით მოუხელთებელ სამყაროს, საიდანაც მომხიბლავი მხატვრული სახეები, ფორმები და ხატები იმზირებიან... ვფიქრობ, მთავარი მაინც მის მიერ გამოხმობილ მითებში მებრძოლი ჰუმანიზმის ქადაგებაა, რაც კაცის, ერის, ქვეყნის ხსნის ერთადერთ საშუალებადაა დასახული და უპირისპირდება ბოროტებას და უზნეობას. ბოროტებამ, თავაშვებულმა უზნეობამ და სიძულვილმა დაასამარა მისი ოცნებები. პოეტი, ადგილის დედას,

„ნაცრისფერ სამეგრელოს, ღვთაებრივ სულს დასტრიალებს თავს და ისევ ცდილობს სამყაროს პირველქმნილი მდგომარეობის მოძიებას და ეს ის სტადიაა, როცა დედამიწა მითებმა დატბორეს, მიწა დატბორეს იმისათვის, რომ ამ მიწას მდინარეთა თვალებით ეცქირა ცისთვის. „ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“ ... გაივლის დრო და ჩვენი თანამედროვე პოეტი დენდი იტყვის: „ტაძარი შენი დაქცეულა, მკვდრები ცოცხლებში არეულა, ის გულგრიგალი ჭაბუკები სულ თითო-თითოდ დახოცილან, ტაძარი შენი დანგრეულა!“ ...

გენო კალანდიას პოეზიაში დუმილი და იდუმალება, სამყაროსადმი დამოკიდებულება, თვით ჩვენი სინამდვილე შინაგანად დამუხტული უზენაესის ხილვის მოლოდინით, მითით შენიღბული დიალოგის ფორმადაა განცდილი. მას გაცნობიერებული აქვს სამყაროს საიდუმლოებაში წვდომისა და თვითჩაღრმავებისკენ სწრაფვის მისნური ინსტიქტი: „აგერ კორინთო, აგერ ქალდეა, აგერ შავტუხა სპარტა, მიდია, მაგრამ სხვა არის ჩემთვის მედეა, ოქროს საწმისი სულ სხვა მითია“.. – ესაა პოეტ-ვიზიონერის წვდომა მითისა, მისტიკური ატმოსფერო მძაფრდება თანადროულობის შეგრძნებით, პოეტის ხილვა თანადროულობიდან წვდება შორეულ წარსულს, ოქროს საწმისის ხილვა მისთვის ღვთაებრივი მოვლინების ტოლფასია და სწორედ აქაა მითისა და სინამდვილის საოცარი წნული, მისტიური და ამოუცნობი მზერა, მზერა შორეული წარსულისა... მხატვრულად შეგრძნობილი ბერძნული ქალაქები და თვით კოლხეთი, ფაქტობრივად, ვიზუალური მხედველობით, გრძნობით აღიქმებიან და საკმაოდ მკვრივ სემანტიკურ წრეს ქმნიან...

რეალიზმის ახალმა თვალსაწიერმა, სწრაფვამ პოლივალენტობისადმი, განზოგადების მეტი ძალის მიზნით, სიმბოლურ-მეტაფორული აზროვნების ფართო გამოყენებამ წარსულიდან გამოიხმო და გააცოცხლა მითები. მითს მრავალგვარი ფუნქცია დაეკისრა თანამედროვე პროზასა და პოეზიაში, მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ მითი იქცა დიდებულ და განუმეორებელ ფონად, რომელზეც განსაკუთრებული სიცხადით იკვეთება და იხსნება დღევანდელი პრობლემები, ვნებები, ტრაგედიები. დღევანდელი ტკივილით შეძრული სულის ხმამაღალ ყივილს და ჩაგუბებულ ცრემლს ისეთივე ძლიერი ძალით ეხმიანება ათასწლეულის წიაღიდან ამოვარდნილი ექო, რომ თითქოს ყველაფერი ბობოქრობს.

გენო კალანდია იდუმალებიდან ამოზიდავს მითებს და თითოეულ მათგანს მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ აქცევს. პოეტი დროებით გვწყვეტს ჩვეულებრივ ყოფითობას და სხვა სამყაროში გვასახლებს, საიდანაც ღვთაებრივი ციური ხმები მოისმის: „ო, უხილავნო, კვლავ დიდება შენს მეუფებას“ (ანა კალანდაძე). დიახ, ზეცაში ხდება განწმენდა, და პოეტიც ლექსებში მოიხმობს მშობლიურ ხალხურ და სახეობრივ ხატებს და გვარწმუნებს, რომ ყოველი ობიექტური მოვლენა ამ გზით უფრო იოლად იძენს სუბიექტურ მიმართებას.

გენო კალანდიას რწმენით, ღმერთისგან შექმნილი მისტიკური საუფლო სევდისმომგვრელი ერთფეროვნებით როდი განიცდება, არამედ სიყვარულისა და სიკეთის, ერთგულებისა და თანალმობის, ურთიერთგატანისა და ერის გადარჩენისათვის ბრძოლის დემონსტრირებად.

„აქოჩრილი ხეებიდან, დაბურული ტყიდან წამოვა ტყის ნიავი მზის ჩასვლისას, ვარსკვლავები აინთებიან და ნიავს ცალფა, ისევ სევდიანი სიმღერა წამოყვება სიშორიდან:

„ანაკლიას რა გინდოდა, ნანა?! აფაქია რას გერჩოდა, ნანა?!“ და სიყვარულის ეპითალამა იბატონებს და „კოლხური ეპითალამებით“ აღიბეჭდება ის დრო, საზეიმო-საქორწინო მისტერიები შეენაცვლება ჩონგურის ლარებს.

თავად სიტყვა ბერძნული – ეპითალამა პირველყოფილი სპილენძის საკრავებისა, ჯადოსნური სამკურნალო ბალახის ორტოტა ფესვს მაგონებს ერთდროულად... რატომღაც, უადგილოდაც რომ ეჩვენოს ვინმეს ეს სათაური, არტისტიზმის პრიმატობას, ასერიგად რომ ალამაზებს კრებულს, ვერავინ უარყოფს“.[1]

ბავშვობის უმთავრესი ზღაპრული სამყაროდან, მითებიდან და ლეგენდებიდან გამოწვეული პერსონაჟები შემოგვანათებენ: „შვიდი აბრაგი შვიდი შავი თოხარიკით, შვიდი გუდა არაკით“. „თუთარჩელა თელიას ეპითალამა,“ „შეყვარებული ბიჭის ეპითალამა“ და ა.შ. ალბათ, მხოლოდ გენო კალანდიას ხელეწიფება მთელი არსებით ამოთქვას ასეთი ულამაზესი სტრიქონები: „ობლის ცრემლი ხარ, გამჭვირვალე და ჩუმად მოთქვამ ოქროს ბედზე და დაკარგულზე. მედეას შმაგი სიყვარულის მსხვერპლო დიადო, გახვეული ხარ ლეგენდების ცისფერ ბურუსში“... „(კოლხეთის შეხვედრა წარსულთან“, 607,13).

გენო კალანდიას ახასიათებს ფათერაკიან საბრჯენზე გავლის გამბედაობა, უცხო მხარისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინი და ალღო, და მაინც, ჩემი ღრმა რწმენით, შინაგანი თავისუფლება აძლევს მას შემართებას პოეტური ენერგიის შესაძლებლობების მთელი არსებით გამჟღავნებაში. მის პოეზიაში მითის გამოყენება ორიგინალური ფორმით

---

1 რ. ჭეიშვილი, ჩემი ახალი მისამართი ნიგნში გენო კალანდია, „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი, 2005, გვ. 8

გამოვლინდა, რაც საუკეთესო საშუალებაა პოეტის ხელწერის, მისი ინდივიდუალობის წარმოსაჩენად. საგულისხმოა ისიც, რომ ძველი და ახალი აღთქმის ბიბლიური ვარიაციები ძალუმად იგრძნობა მის ლექსებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ოლიფანტე“ – ლექსი გროტესკული საბურველით, ოღონდ თავისი გროტესკულობის მიუხედავად, აქ ადგილი არ რჩება დაცინვისათვის, გამეტებისათვის... „ის გროტესკი, ის ირონია გლოვაა უბედურებისა, ცრემლია მწარე ღიმილის საბურველში, რომელიც მაინც საოცრად გამჭვირვალეა და ისიც მკაცრად გამიზნული, გნებავთ გაანგარიშებული უზადო პოეტური ინტუიციის წყალობით, რომ არსად, არც ერთ სტრიქონში შემთხვევით არაფერი ხდება, სხვათაშორის არაფერი ითქმება, რაკი, რითმაც უარყოფილია, რითმისთვისაც არაფერი კეთდება“ (თ.ამყოლაძე).

პოეტისათვის აფხაზეთის ომი სამასიათასი ადამიანის სასომიხდილი, ჩაფერფლილი თვალებია, უსიხარულო და უსიცოცხლო დღეებია, ღიად დარჩენილი საფლავებია. ესაა სულიერ ძალთა შესაკრებელი, სადაც საკუთარი სული უნდა გამოფინო, რათა შენს გენეტიკურ წარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და საგულისხმო ილუსტრაციად აქციო... საკენ-ჭუბერის გოლგოთა გამოვლილი რაინდი პოეტი და მისი მსგავსნი ცხოვრებამ ვერ აქცია ლოტოფაგების მითიურ კასტად. „თავს გაუფრთხილდი, ოლიფანტე, უხვად გექნება წლეულს ლოტოსი, მიირთვი, კარგად მიეძალე“. წარმოსახვის თვალი უნდა გაახილო კაცმა და ფიქრი შემოიჯარო, რომ სრულად აღიქვა რას ძერნავს პოეტი, სხვაგან უფრო სინატიფე და აღქმის სიმძლავრეა საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული იდეალური სურათი: „ჩვენ მშვიდობა გვინდა, ოლიფანტე, რა დროს შიდა ქართლია, შე კაცო, რა

დროს აფხაზეთი, როცა ქვირითისფერ მტკვარსა და ლიახვს ქორივით დაჰყურებს სკვითი და ხაზარ... მიირთვი, მიირთვი, მიირთვი, უდარდელად მიირთვი, კარგად მიეძალე" – („ოლიფანტე") – ამ სტრიქონებიდან მირონივით იღვრება პოეტური ძალმოსილება. „ქვირითისფერი მტკვარი და ლიახვი", როგორ იტევს მდინარის ფერსაც, განწყობილებასაც, სიამაყესაც და სამშობლო მიწის უნაპირო სიყვარულს და ეს პირდაპირი ხატი მიიდევნებს სტრიქონს: „ქორივით დაჰყურებს სკვითი და ხაზარი", ამჯერად მთავარი მაინც ის არის, თუ საიდან იღებს სათავეს ამ ლექსის სტილური ნიშანი, მასშტაბური მინორი, კოსმიური პესიმიზმის მსგავსი. ვფიქრობ, არ მოდის არც რომანტიკული იმპულსებიდან და არც სხვა რაიმე მოვლენიდან, არამედ იმ დიდი ტკივილიდან, რომელიც სინამდვილემ, რეალობამ შთააგონა პოეტს, პოეტური იმპულსი აფხაზეთის ტრაგედიიდან მოდის, ცხოვრებიდან, ყოველდღიურობიდან, ქართული სინამდვილიდან და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ლექსში ნაცნობი ყოფიერების უცნობი აბსტრაქციებიცაა, პოეტის გლოვა, ტანჯვა დაკარგული აფხაზეთის გამო. იცის პოეტმა, გავა დრო, გახუნდება ემოციის სიმწვავე, ვინ იცის, ეგებ ძალა დაკარგოს უშუალო შთაბეჭდილებამაც, სხვა თაობა იმის მეათასედსაც ვერ განიცდის, რაც ლექსის ლირიკულმა პერსონაჟმა განიცადა, რადგან „აქ არც ახალი ათონია, არც ზეთისხილის ბაღი, აქ მხოლოდ ლოტოსი ხარობს" ...

ამ ლექსში ქართული სულია გამოფენილი, რომელიც ნაქსოვია საოცარ სიჩუმეში, შემზარავი წინათგრძნობებით, სამშობლო მიწის დაკარგვის შიშით, ბნელი ფიქრებით, მოელვარე აზრებით, აუსრულებელი წადილებით, უსასრულო შესაძლებლობებით, „ბროწეულივით კანზე სკდება მესხეთ-ჯავახეთი" – ეს გაფრთხილებაა, მოწოდებაა, რომ გაიღვიძოს მიძინებულ-

მა ეროვნულმა ცნობიერებამ. აქ ლექსის გრაფიკა გვეხმარება წარმოსახული შედარების ვიზუალურ გაცხადებაში, რამეთუ გენო კალანდიას მხატვრულ პალიტრაში ნათლად გამოკვეთილი შედარება მეტწილად წარმოდგება, როგორც დასრულებული სურათი, რომელიც რამდენიმე შტრიხით შთამბეჭდავად მიგვანიშნებს ერის სოციალურ თუ ეროვნულ უბედურებაზე, აფხაზეთის ომის სავალალო შედეგებზე...

„იქ რომ საძროხესთან კაცის თავი გდია, ღორის თავი არ გეგონოს ოლიფანტე. იქ რო მკათათვეშიც ტბებია გაყინული – შენი გამდელის თვალებია ოლიფანტე... მორჩილად დახარე ეგ თავი მონის, თხუნელასავით სარდაფში ჩადი... წარსული დაივიწყე... გიყვარდეს ახალი საქართველო ოლიფანტე“ (50, 216) არ მეგულება მსგავსი ლექსი ქართულ პოეზიაში სულის სტიქიონით, რაღაც მაცოცხლებელი წვენით ასე რომ მიეწებოს ქართულ სვრიტას. ლექსის არსი, მისი ძირითადი ღირსება – ყველა ელემენტის ურთიერთმიმართებით ერთიანი მთლიანობით შობილი განწყობილება და ასოციაციების ტრაექტორია...

გენო კალანდიას შესაშური ინიციაციური ალღო, დახვეწილი გემოვნება გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, ამგვარ პოეტურ სასწაულებს, ალბათ, ვერ შექმნიდა, დიდ ინტელექტთან ერთად ელეგანტური სული რომ არ გააჩნდეს. მისტერიების ინიციაციასაც სიღრმისეულად რომ არ იყოს ნაზიარები... „ყვითლად ღუოდა ოდიშის ჭალა – ჩემი სიზმრების ფერადი ბაღი – და შრიალებდა სექტემბრის ჩალა თხემლის მწვერვალზე, ვით ყაბალახი... და მაშინებდა მდინარის ჩქამი და კიდევ უფრო: მკათათვის მეხი, და ბავშვობაში მთვარიან ღამით თითქო, ყინულზე დამიცდა ფეხი“ („ძე შეცთომილი“).

აქ მეტაფორა პოეტისათვის უმთავრესი საშუალებაა,

რომლითაც იგი ემიჯნება ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებას და ქმნის ახალ თავისებურ არაორდინალურ პოეტურ ქვეყანას, მითს, კერძოდ „ძე შეცთომილის“ იგავით აზროვნების გამოხატვის ორიგინალურ ხერხს, სადაც მთელი კოსმიური სამყაროს აღქმა განუმეორებელ პოეტურ სიმაღლეზეა აზიდული...

„ვის დაივიწყებს სიკვდილი პაჟი“, – ორიგინალური და შემაძრწუნებელი სიკვდილის განცდაა და არანაკლებ შთამბეჭდავია ლექსის ფინალში გაცხადებული ფიქრები სიკვდილის გარდუვალობაზე და ძე შეცთომილის ბედზეც... გენო კალანდია ახდენს მითოლოგიური წარმოდგენების ემანაციას. ძე შეცთომილის იგავი გვხვდება ლუკას სახარებაში (იხ. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 15. დაკარგულ ძეზე 11.32. სტოკჰოლმი, 2000 წ.). გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ ანალიზისას ნანა კუცია ხაზს უსვამს ხსენებულ იგავს ლუკას სახარებაში და აღნიშნავს, რომ ყოველ ალეგორიულ განმარტებას მხოლოდ სულიერ-ზნეობრივი დანიშნულება თუ შეიძლება ჰქონდეს. სამოსელი პირველის სიტყვით იმოსება დომენიკო. სიტყვა მოსავს, საუკეთესო სამოსი, რომელიც გვმოსავდა ცოდვით დაცემამდის, უხრწნელების სამოსელი ღების, ის სამოსთაგან პირველი გვებოძა, მისით განგვეძარცვება სამოსი ხრწნილებისაც. რომანის მიწურულს სიტყვანაბოძები, ჭეშმარიტი სამოსელით პირველად შემოსილი დომენიკო „სიტყვებს ეძებდა მარადახალი მდინარის პირას“.[1]

ზვიად გამსახურდიას პოემაში „კოსმიური წირვა“ ძე შეცთომილის პრობლემა მართებულადაა გადაწყვეტილი, მიგნებულია მთავარი არსი ბიბლიური იგავისა, ქვესკნელს დამნთქა სულთა მტერმა, სად შენა და მე სადაო, მომიძიე კრავი შენი, მეუფეო ზეცათაო“. ამ სიტყვებით პოეტმა გადმოგვცა ცოდ-

1 ნ.კუცია. ლიტერატურული წერილები, თბ. 2005. გვ. 80.

ვით დაცემული „უძღები შვილის“ ტრაგედია და აქვეა გასაღები სულიერი გადარჩენისა ანუ ცხონებისა. „სინანულის ცრემლთა რუებს აწ კი უნდა ესათაო, მოხვედ ჩვენთა სინანულად, მეუფეო ზეცათაო“ ...

„ცოდვით დაცემული ადამიანის აღდგომა სწორედ სინანულშია, ქრისტეს ეკლესია არის მონანულთა ეკლესია, იმათი, ვინაც დაღუპვას სინანულის გზით გაურბის სპეტაკი და წმინდა სინანულით განწმენდილი გული, რომელიც ხელახლა შეიმოსავს ნათლისღების მადლს, ამიტომაც შემოსა მამამ უძღები შვილი ნათლისღებით წმინდა სამოსელით, ის ადამიანი კი, რომელიც წრფელი გულით მოინანიებს ცოდვებს, გაივლის კათარზისის გზას და ნათლისღების მადლით შეიმოსება, ამ მადლთან ერთად ქრისტესაც შემოსავს და აღადგენს სულში ღვთის ხატებას. „რაოდენთ ქრისტეს მიერ ნათელ გიღებიეს, სული შენი უქრობ კელაპტრად ჰგიეს, უკვდაებად აღიმსთე და შეიმოსე ქრისტე“.[1]

გენო კალანდიამ „ძე შეცთომილის“ იგავი, ულამაზეს პოეტურ ენაზე გადმოსცა და მართებულად მიგვანიშნა თუ სამყარო დაიღუპება და თვით მისი უმშვენიერესი ქმნილება ადამიანი სიკვდილის მსხვერპლი გახდება, (თითქოს ეს ფაქტი კანონზომიერი მოვლენაა) განწმენდილი და განსპეტაკებული სული კი მარადისობის ბინადარი გახდება. ჩემი აზრით, ამ ლექსით პოეტი ჩვენს წინაშე წარმოჩინდება როგორც დიდებული ქართველი, რომელშიც დიდებულ ქართველთა ხილვები ძლევამოსილებით ბრწყინდება და მაინც, აქ იკვეთება, მისი ზნეობრივი პორტრეტი, შთამბეჭდავად წარმოჩინდება დიდი მამულიშვილის სილუეტი, რომელსაც საოცარი მითიური

1 ც.მესხია, იგი ძალიან ჰგავდა საქართველოს, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ.,2008. გვ.38

სიზმრები არ ასვენებს, ეს სიზმრები მისეული იდუმალებაა, მისი ცხოვრების ლამაზი ვარსკვლავთმიერი მინიშნებები: „არ მომიწამლო სიცოცხლე, არ მომიკვეთო უცებ, მე გაზაფხულის ჩიტივით ვეძებ საკუთარ ბუდეს. არ განმიკითხო ცოდვილი, არ დამიბრმავო თვალი, ისედაც ბრმა ვარ, ბოგანო, ჩონჩხი, გამხმარი ძვალი. იქ დამრჩა ერთი საფლავი, ერთი ლამაზი ბორცვი, მივდივარ, მიწას ვასწორებ... სულმოუთქმელად ვკოცნი“... – ვკითხულობ და ვგრძნობ, როგორ ეძებს პოეტი დაპირისპირების, გათიშულობის მიზეზებს და როგორი შემართებით იღწვის დარღვეული კავშირის აღდგენისათვის, რამეთუ „ჩვენ გვჭირდება ჩვენი შებღალული მორალური სმენის გაცნობიერება, ჩვენ გვჭირდება ჩვენი წმიდათაწმიდა გრძნობის, ჩვენი მამულიშვილური პითოსის შემოსვა ეროვნული რაობის ცოდნით, ჩვენი ეროვნული თვითშემეცნებით“.[1]

უჩვეულო ლირიზმით და მხატვრულ-ასოციაციური აზროვნებითაა გამორჩეული ლექსი „ძიძიშვილის ეპითალამა“. პოეტს ნებისმიერი მოვლენა მხატვრულ რეგისტრში აჰყავს და მკითხველს უკეთილშობილეს იდეას აზიარებს: „ძიძიშვილის ერთგულება ძიძიშვილის წესია!“ – მთელი ლექსი აფხაზურ-ქართული თანაცხოვრების ანარეკლია. ნაზად ირხევა პოეტის სულის სიმები, სიყვარულით ანთებული გული ძგერს ამ პოეტური ხედვის მზედაუვალ ვარჯებში. ძიძიშვილობა, მორდუობა მისთვის უზენაესი ძალაცაა და დიდი პასუხისმგებლობაც, მარადიული გაკვეთილი, რომელიც აკაკის „გამზრდელიდან“ იღებს სათავეს ქართულ მწერლობაში.

ამ ლექსში, სრულიად ბუნებრივად, ქართულ-აფხაზური ურთირთობის ძაფები აკაკისთან ინასკვება: „ღვთის მადლ-

---

1 დ.სუმბაძე. გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ. თბ., .2012. გვ..55.

სა, რა დროს ეს არის, ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა, იღუპებიან ორივე, არც ღონეს ზოგვენ, არც ძალსა... რა დროს მტრობაა ძმებისა და რა დროს განზე დგომაა, შეერთდით, ძმებო, შეერთდით! ხელი ხელს მივცეთ ძმურადა, და მტერს დავუხვდეთ გარეშეს, თამამად, ვაჟკაცურადა" (აკაკი).

საგულისხმოა ის, რომ გენო კალანდიას მთელ რიგ ნაწარმოებებში ასახულია მითოსური ხატი წარმართული თუ ქრისტიანული ყოფისა, ამ მხრივ მისთვის ამოსავალი თქმულებები და ლეგენდებია. მორდუობა – ძიძიშვილობა არაერთხელაა ხაზგასმული მის ნაწარმოებებში. საინტერესოა ისიც, რომ წინამდებარე ლექსში წარმოდგენილი სახე-სიმბოლო „ბედისწერის შავი ხიდი", რომელიც „შიგ წარჩეში ჰკიდია", ამყარებს ლექსში აღწერილ შინაარსს და თვით სათაურის მნიშვნელობას, ასევე ხაზგასმულია. „შავი ცხენის" მისტიური ფუნქცია და ურთიერთკონტრასტული სახე-სიმბოლოები. და მაინც, პოეტისათვის ამოსავალი წერტილი რწმენისადმი ერთგულება და ღვთისადმი სიყვარულია. პოეტის წარმოსახვით სასწაულებრივი ხილვაა ამოზიდული. „ჭალადიდის ვარსკვლავები ღია მკერდზე მეყარა, მწუხრში ლაზის სანდალივით შედიოდა ქვეყანა, მოდიოდნენ სანახავად ალქაჯები. ჭინკები, თეთრი ვარდის წყალს მასმევდნენ დადიანის ჭიქებით... ღუღუნებდა ქედანივით მამის დიდი ბუხარი და მიცვლილა ოშოშიას, ძიძიშვილი მწუხარი, დედამძუძეს ცრემლით ჰქონდა სავსე თვალთა უპენი, მოჰყვებოდა უკან კრავი, თეთრი, როგორც ღრუბელი... ნერვიულად იღებოდა წარამარა წინკარი, უფალს ეთამაშებოდა ჩემს სახელზე თიკანი" ...ეს ლექსი ბრწყინვალედ შეესატყვისება გენო კალანდიას მაღალ პოეტურ მრწამსს. უფრო მეტიც, ის იმდენად მშვენიერია და ამაღლებული, ორიგინალურადაა შერწყმული მითთან და მთელი არსებით

ვგრძნობთ როგორ ნათდება ქვეყანა რწმენით, „კრავი – თეთრი, როგორც ღრუბელი“, „მღვდელი ლოცვანით და უფალთან მოთამაშე თიკანი“ ბედნიერებისა და სიკეთის მაცნეა, პოეტი სიყვარულითა და ლოცვა-კურთხევით უყურებს ქვეყანას და ამიტომაც მისი ქმნილებები არაჩვეულებრივად ნათელი და გამჭვირვალეა.

ბოდლერი წერდა: „წარსული ყველაზე უფრო დიდი მეცნიერებაა ჩვენი ნიჭებიდან, რადგანაც მას აქვს უნარი გაიგოს მსოფლიო ანალოგია. ის, რაც მისტიკური რელიგია შესაბამისობას დაარქმევს. ბუნება ესაა სიტყვა, ალეგორია, მოდელი“...

თავისი მასშტაბებით და მნიშვნელობით გენო კალანდიას პოეტური ქმნილებები და კერძოდ „კოლხური ეპითალამები“ იძენენ ეთიკურ-ფილოსოფიური განზოგადების ხასიათს. პოეტი „მესამე თვალის სხივნათელით“ სწვდება მითიურ სამყაროს, კორინთოში იაზონის ქორწილსაც დალანდავს და მედეას მოქარგულ კაბასაც. „ბეჭდები მწვანე ბივრითის თვლებით, შვლისა და კრავის ჭრილით“ – იდუმალების ფარდიდან გაბრწყინდებიან და განმაცვიფრებელ დროსა და სივრცეს რაღაც გრძნეული ჯადო ძალით ვეზიარებით: „მაგრამ, უეცრად სასახლეს შესძრავს ქალის და ცეცხლის პირველი კოცნა... და გულს ჯერ კიდევ ქორფას და ცოცხალს უცხო მხარეში წაიღებს ძერა...“ ეს ის უცნაური ხილვაა, რომელიც პოეტმა მითიური სამყაროდან ამოზიდა და მთელი არსებით განგვაცდევინა მისტიკური ტკივილი, ფანტასტიკურ საბურველში გახვეული ბერძნულ-კოლხურ-იბერიული სამყაროს თავბრუდამხვევი სურნელიც. მარტო ლექსების სათაურების ჩამოთვლა კმარა იმისათვის, წარმოვიდგინოთ თუ რა ადგილი უჭირავს მითოსს გენო კალანდიას პოეზიაში. სახეთა

მასშტაბურობას და მონუმენტურ ხელწერას პოეტი აღწევს მითებისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მხატვრული გარდასახვითა და ათვისებით, ასევე თანამედროვე ყოფითი მოვლენების „გალეგენდურებით“ (ელგუჯა მაღრაძის ტერმინი).

გენო კალანდიასათვის მითი იქცა დიდებულ და განუმეორებელ ფონად, რომელზედაც განსაკუთრებული სიცხადით იკვეთება და იხსნება დღევანდელი პრობლემები, ვნებები, ტრაგედიები, დღევანდელი ტკივილით შეძრული სულის ყივილს და ჩაგუბებულ ცრემლს ისეთივე ძლიერი ძალით ეხმიანება ათასწლეულების წარსულიდან მოვარდნილი ექო, რომ თითქოს ყველაფერი ბობოქრობს. მის პოეზიაში მითის გამოყენება ორიგინალური ფორმით გამოვლინდა, რაც საუკეთესო საშუალებაა პოეტის ხელწერისა და მისი ინდივიდუალურობის წარმოსაჩენად.

გენო კალანდიას საოცარი პოეტური ქმნილებები და კოლხური ეპითალამები ქართულ-აფხაზური თანაცხოვრების ანარეკლებია. კითხულობ და გრძნობ როგორ ირხევა პოეტის სულის სიმები, მოყვასის, ადამიანისა და ქვეყნის სიყვარულით ათრთოლებული გული ძგერს ამ პოეტური ხედვის ვარჯებში. მარტო ლექსების სათაურების ჩამოთვლა კმარა იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა ადგილი უჭირავს მითოსს გენო კალანდიას შემოქმედებაში. პოეტის რწმენით მითოსურ სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ბუნებისა და ადამიანის, სიყვარულისა და სიძულვილის, სიცოცხლისა და სიკვდილის ერთიანობით კიდევ ერთხელ გვახსენებს ჩვენს მოვალეობას ღმერთისა და სამყაროს წინაშე...

გენო კალანდიას პოეტური ხილვები მშვენიერებისა და სილამაზის გამონათებაა. მითის განამდვილება ანუ სინამდვილის

გამშვენიერება – მისი მრწამსია, მისი უმთავრესი მიზანი, მის ლექსებში ძალუმად ვგრძნობთ მშობლური ფესვების ძალას, ეროვნულ სულს: „მზე რომ გადავა სამშობლოს იქით, ის უკვე სხვისი მზეა და განძი“ ... პოეტის ამ სტრიქონებში ნათლად იკვეთება მისი, როგორც პატრიოტისა და მოქალაქის პოზიცია, რომელიც ემიჯნება ყოველგვარ ექსპერიმენტსა და ტრადიციული, ხშირად ხალხური ლექსთწყობითაც ცდილობს გადმოსცეს თავისი სათქმელი. მითები მისი სულიერი საზრდოა, ზეციდან თითქოს უჩვეულო ხიღვის მიმინო ევლინება, ხოლო „წყალში შეჭრილი ნავი“ და მშობლიური ოდიშის „ტაძრის კართან ლოცვანით ხელში მეზობლის გოგო – „მაცხოვრის კრავი“ – უჩვეულოდ აძლიერებს პოეტისეულ განწყობილებას და ყველაფერი ერთ წერტილში იყრის თავს. ამავე დროს ბიბლიური სახეებით გადაძახილიც ორგანულად, ძალდაუტანებლად ენივთება ლექსის საერთო ტონალობას და მითოსური რომანტიკით განცდილი სინამდვილე, „ნაცრისფერ სამეგრელოში“ შორეულ კოლხეთში, ჭყონდიდის მუხის ფესვებშია დავანებული... „მითოლოგია გასასეირნებელი ადგილი არ არის, იგი ბრძოლის ველია“ და პოეტიც ამ მაღალი დანიშნულებისათვის მოუხმობს მითებს, რაც საინტერესოა ჭეშმარიტად გრანდიოზული და მასშტაბური სურათის დასახატავად.

„ბრძენნი, ძველი მსოფლიოს გაგებით, ერქვათ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ერთდროულად ორივე სამყაროს საიდუმლოებებს ფლობდნენ: ამსოფლური ბუნების კანონთა და ამავე დროს მიღმა სამყაროს, სულიერი სამყაროს შესახებ ცოდნაც გააჩნდათ. ძველი მსოფლიოს გაგებით სიბრძნე რელიგიისაგან არ იყო გაყოფილი. განსაკუთრებით ძველ საბერძნეთში, სადაც სიბრძნის კერები, ამავე დროს რელიგიის კერებიც იყო“. ეს სიბრძნის ზვიად გამსახურდიასეული განმარტებაა,

რომელშიც ნათლად იხატება გონისა და ზნეობის სიღრმისეული კავშირი.

გენო კალანდიასათვის ჭეშმარიტების ძიებაა ძირითადი მიზანი. სწორედ ამითაა გაჯერებული მისი პოეტური სამყარო. აკი „უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“ (სოლომონისეული სიბრძნე). გენო კალანდიასათვის ნიშანდობლივია საკუთარი შემოქმედებითი მრწამსის ბალავარის ძიება. ყოველი პოეტური ხილვა თუ ასოციაციური სახე უმთავრეს მიზანსაა დაქვემდებარებული. მითებიდან და თქმულებებიდან გამოწვეული პერსონაჟები მისი მადლიანი კალმის ძალით ყოფითი ჩვეულებრიობიდან სიმბოლოებად გარდაიქმნებიან – საბრალო გლეხის ქალი – თუთარჩელა თელიად, „მინდვრის, მწვანე ვასაკა მოცეკვავე ვარსკვლავად“, ჭინჭრაქა „უფლისწულად“, საპატარძლო გოგო, – „მშვენიერი თუთა“ – ცისკრის კაკაბად. სათნო დაია, ღვთისნიერი ქრისტინე – „ანგელოზის დობილად“, უტუს ლაშქრული – „გაზაფხულის ჭექა-ქუხილად“, „ნიაღვრებად და მაშხალებად“, სამეგრელოს დედოფალი ღვთისმშობლად და ანგელოზად. „თვალჟუჟუნა ქალები საყდრის იადონებად“. – ეს საოცარი სახეები უნატიფესი ორიგინალობით ენივთება ეროვნულ სულს, პოეტი უშუალოდ განიცდის ბუნებას – იძირება მითოსურ სამყაროში – მთელი მისი მომხიბვლელობით და ტკივილით. სულგანაბული უსმენს სამყაროს დიადი ქოროს ჰარმონიულ ხმებს და მთელი ეს მშვენიერება ჩვენგან შორს იყო, თითქოს მივიწყებულიც და აი, ახლა აგერ: „ჩემო სათნო დაია, – ღვთისნიერო ქრისტინე, ხასის თეთრი პერანგი იით მომიგვირისტე. მინდვრის ანაგვირილით მორთე ჩემი სენაკი, სიყვარულის მსხვერპლი ხარ, მარტოობის ზვარაკი“ ... ხატ-პეპელას დასდევდი ფუძესამოხიოში, დილის ბური გაკრთობდა, ეშმას თვალი-რიოში“

... აქაა რეალურისა და წარმოსახულის სინთეზი, მითოლოგიურ, მეტაფორულ თუ სიმბოლურ სახეთა ურთიერთშერწყმა თუ ურთიერთდაპირისპირება არასოდეს არ მთავრდება უიმედო განწყობილებით. გენო კალანდიას პოეზიაში მუდამ შევიგრძნობთ ფორმის ლაკონურობისა და იდეური მასშტაბურობის შერწყმას, და ვფიქრობ, რაღაც განსაკუთრებული სიმყუდროვე და საკუთარ თავთან განმარტოებაა საჭირო იმისათვის, რომ წარმოიდგინო როგორ ეძინა „ღვთისნიერ" ქრისტინეს სიოს ფრთებზე, წვიმების ჰამაკში, „ფარდაგ-ნოხებზე ეყარა მზის ცოცხალი ხაშხაში" და ასეთ საოცარ ხილვასთან ერთად მოისმინო მისი ლოცვა-კურთხევა და მოთქმა-გალობა. კითხულობ ლექსს, მთლიანად ემორჩილები პოეტური ხილვებით შექმნილ განყწობილებას, რაღაც განსაკუთრებული ლამაზი სევდით რომ გივსებს სულს და კიდევ ერთხელ იმეორებ პოეტის უგულწრფელეს სტრიქონებს: „შენი ლოცვა-კურთხევა, შენი მოთქმა-გალობა, სამარეში ჩამყვება, როგორც უფლის წყალობა" ...

გენო კალანდიას ყოველი სტრიქონი გულწრფელია და ამაღლებული. პოეტის „მესამე თვალი" მთელი კოსმიური სამყაროს შემეცნებისკენაა მიმართული, უპირველესად კი ჭვრეტა თვითშემეცნებისა, რომელიც შემდეგში უნდა გახდეს საფუძველი სამყაროს შემეცნებისა. „ვინ არის სიდამ მოსულა, სად არის წავა სადაო" (დავით გურამიშვილი).

გენო კალანდიას მითოსურ სამყაროში გვხვდება არა მარტო ზოგადსაკაცობრიო, არამედ ქართული პოეზიის ძირითადი საყრდენები – სამშობლო, ღმერთი, ბუნება, ხელოვნება, რაც კრავს და ამთლიანებს თვით ცხოვრების საზრისს და თუ განწირული სულის ღაღადისი მოისმის მისი პოეტური სტრიქონებიდან, მაინც მუდმივად კაშკაშებს მისი „ტკივილ-

იანი მზე". უამრავი რამ ამოიკითხება მის პოეტურ ქმნილებებში, თუმცა უმთავრესი მაინც ჰუმანიზმის ქადაგებაა, რაც კაცის, ერის ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად წარმოსახავს და მას ღრმად სწამს, რომ „ქრისტე თავად არის ის, ვინც ყველა შეცთომილს ჭეშმარიტ გზაზე აყენებს, ვინც ეხმარება ცოდვის გამოსყიდვაში ცოდვილს, ყველა ძე შეცთომილი ქრისტეში პოულობს ხსნას".[1]

თ.ბიბილურის „უამი კითხულისა" სახარების სიტყვებით იწყება: „პირველად იყო სიტყვა" ... ისევე როგორც სათაურის ორაზროვნება, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ეს ფრაზაც ერთგვარი გასაღებია, მინიშნებაა რაღაც შორეულზე, თავად ავტორი აღნიშნავს: „ერთი პატარა ციტატა შეიძლება უკუშედეგსაც კი იძლეოდეს და ნაცვლად არქაულ სამყაროში მიპატიჟებისა, გვაფრთხილებდეს: ამ სამყაროში ისე შემოდით, რომ თქვენ საუკუნის მოქალაქეებად დარჩეთ, ყოველ შემთხვევაში ჩემი სურვილი ამგვარი იყო. დანარჩენი სხვამ განსაჯოს".

გენო კალანდია „ასკეტური ერთგულებით" ქმნის მითოსური სამყაროდან მოტანილ სურათებს და მკითხველის კუთვნილებად აქცევს. პოეტის სულსა და გულში სამუდამოდაა ჩაწნული უფლის სასწაულები. ამ სასწაულებს მთელი მისი ბუნება ასხივებს. „ჩემო სათნო დაია, – ღვთისნიერო ქრისტინე, ხასის თეთრი პერანგი იით მომიგვირისტე... ტრფობის ცისფერ საბელში გაბლანდულო კრავივით, ვარდის კაბა-კალთაში გედო ცრემლის მარილი, შენი სული ყვაოდა, ენძელებში, იებში სიყრმეს აგვირისტებდი მთვარით, ცის არშიებით"... კითხულობ და გრძნობ ვიზუალური სასწაული როგორ შემოდის შენს არსებაში, ლექსში ღვთაებრივი მადლი მზესავ-

1 ა. ბაქრაძე. განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახვილი, „მნათობი", 1981, №1

ით ბრწყინდება. უნატიფესი გრძნობებით გამოხატავს პოეტი თავის განწყობილებას. გენო კალანდიას „ღვთისნიერი დაია" ქრისტიანულად მოაზრებული მოყვასია, რომელიც ისე უნდა გიყვარდეს, როგორც საკუთარი თავი და მაინც, „იით მოგვირისტებული თეთრი პერანგი" სინათლისა და სიყვარულის საკრალური განსახიერებაა, ჯანსაღი სიცოცხლის შინაარსს რომ იტევს და მზესავით ბრწყინდება პოეტის ძლევამოსილი ჰუმანიზმი, გასაოცარი სიფაქიზე და ამაღლებულისაკენ დაუოკებელი სწრაფვის ჟინი.

პოეტის შემოქმედებით ქურაში იწრთობა და „ამოდის ახალი მხატვრული სინამდვილე", (რ.ჩხეიძე) როცა პოეტი იგუმანებს: „მზე რომ გადავა სამშობლოს იქით, ის უკვე სხვისი მზეა და განძი, მე უკვე ვხედავ სამეფო გვირგვინს ოქროს საწმისით და ოქროს ჩანგით. მე უკვე ვხედავ ელადის კარით სასახლის ბისონს, ძოწეულს, ქარვას... როცა დათბება ზღვა, როგორც ბაღი, მაშინვე მაღლა აუშვით აფრა". _ ეს პასაჟი პოეტის უზენაეს ხილვას და სამშობლო მიწისადმი სიყვარულის ამაღლებულ განცდას იმარხავს და ლექსის უნაპირო ენიგმურობა იძლევა ნაირგვარი წაკითხვის საფუძველს... „აიეტის მცირე გრაგნილი დედოფლისადმი" – პოეტმა მითისა და რეალობის სინთეზით შექმნა თავისი უნივერსუმი.

გენო კალანდია ვაუასავით „ხაპავს" ზეპირსიტყვიერებისა და ფოლკლორულ წყაროებს („აიეტის მცირე გრაგნილი დედოფლისადმი"). აქაა ღრმა დრამატიზმით გაჟღენთილი შორეული კოლხეთის ბედისწერა. პოეტი მითოსური ხატებით წარმოსახავს სინამდვილეს და სიმბოლიკაში გამოხვევს სამშობლოს სიყვარულის უწმინდეს გრძნობას: „აქ მოვაბრძანებ, აქვე დავსჯი სამაგალითოდ, ოდესღაც ჩემთვის, – პირველ განძს, მზეს, – სამარგალიტოს, ვფიცავ მამაჩემს, – ჰელიო-

სის სახელს ღვთაებრივს, სადაც დავღამდი შავი ბინდით, იქვე გავთენდი; თავებს ვაჭრიდი, როგორც ციცრებს, – სკვითებს, სარმატებს, პური დავთესე, ტყე ავჩეხე, ციხე ავაგე. არც იაზონი იყო ჩემთვის დიდად საშიში, მაგრამ დავმარცხდი მტერთან ომში გულთა კავშირით“ ... პოეტის განცდა სწორედ აქ იხლართება და ერთმანეთს უპირისპირდება ამაღლებულისაკენ სწრაფვა და მძაფრი ტრაგიზმით გაჟღენთილი მითოსური სინამდვილე. „მშვილდი ვესროლე უცხო ხომალდს პონტოს კარებთან და ჩემი ცრემლიც გავაყოლე უკანასკნელად“, აქაა გულისჭიდილი და სულიერი რყევა, რომელიც ხვეწს ამაღლებულ ფიქრებს და სამშობლოსადმი თავგანწირვის ჟინით მსჭვალავს ადამიანის არსებას. „ზღვა ისე ლურჯი, ისე წყნარი, ისე მშვიდია, თითქო მიდიან იმ მხარეში და არც მიდიან“ – ამ სევდიანი განცდების, ამ ფიქრების, „ტკივილიანი მზის“ ათინათი დასთამაშებს მოტანილი ლექსის ყოველ სტრიქონს. პოეტი ჩვენს წინაშე აცოცხლებს უძველეს ქართულ სამყაროს, წარმოჩნდება ქალდეა, „ქართველთა პირველსაცხოვრისად რომ მიუჩნევია გრიგოლ რობაქიძეს“ (რ. ჩხეიძე).

მითოსის შუაგულში ამაყად დგას პოეტი, როგორც ძლიერი და მკვრივი მონოლითი, როგორც ამ სფეროს ალქიმიკოსივით შემკრები და დამამკვიდრებელი.

„უკან მოვბრუნდი, ჩემი ჯარით, ჩემი მცველებით, ღიად, საჯაროდ გაროზგილი მამის ცრემლებით. გაშალე ტახტი, მომაწოდე კვერთხი, იდია, ჩემთვის ეს ღამე წუხანდელი ღამის ხიდია. ო, იდია, მშვენიერო ჩემო იდია“ ... ვფიქრობ, გასაგებია, რატომ მოვახდინეთ ამ ლექსის თითქმის მთლიანად ციტირება. დიახ, აქაა ის მსოფლგანცდა, ის მრწამსი, რისთვისაც იბრძვის იგი თავის პოეზიაში. რამეთუ საკვირველია და გამაოგნებელი მისეული პოეტური ფერწერის მონოლითურ-

ობა. თითქოსდა უძველესი დროის მესიტყვეა, რომელმაც „ტიტანთა ტვირთით“ ათასწლეულები გადმოიარა და ჩვენამდე მოზიდა, ახალი ინდივიდუალური სტრუქტურით, მითოლოგიური პასაჟებით, ახალ-ახალი შინაარსობრივი პლანებითა და ექსპრესიული წიაღსვლებით გაგვაოცა.

მართებულად წერს ეკა ცხადაძე ოთარ ჭილაძეზე: „მოვლენა და დრო დიდი განსჯის საგანია ოთარ ჭილაძისათვის, დიდებული და საცოდავი, ერთ არსებაშია განთავსებული, ერთი და იგივე ინდივიდი ჯერ დადაფნულ გმირად გვევლინება, შემდგომ საბრალო ხეიბრად, რომელიც ტილოს მოქარგვას შესდგომია. ოთარ ჭილაძე კოლხთა ტოლერანტობის აიეტის მეშვეობით ცხადყოფს და ამ სახეში ასხეულებს. აიეტი ლმობიერიცაა და ძლიერიც, იგი სამართლიანი მბრძანებელია და ყოველთვის მაღალ ადამიანურ მორალს აყენებს წინ“[1]...

გენო კალანდიასათვის უმთავრესია კოლხური ტოლერანტობა, პოეტის სული გათანგულია კოლხურ ეზოში მოშრიალე მშობლიურ კილოთი და ჰანგით. დიახ, კოლხეთი ის მხარეა, სადაც უძველესი დროიდან „მასპინძელს მზე და იზაბელა შემოაქვს დოქით„, სადაც „ოდის რიკულს ვენახის სული“ შემოხვევია და დღესაც: „მოთქვამს ჩონგური, – ფრთებდამწვარი ცისკრის ფრინველი, შენსავით ასე საყვარელი და საკვირველი, ღმერთო მიცოცხლე ეს სიმღერა და მელოდია!“ ...

პოეტი ზედმიწევნით იცნობს ბერძნულ სამყაროს, იცნობს მითებს არგონავტებზე... კერძოდ, ევრიპიდეს ცნობილ მითს არგონავტების ციკლიდან: იაზონის მიერ გრძნეული მედეას სიყვარულის წყალობით ოქროს საწმისის მოპოვება; ევრიპიდემ დაამუშავა ამ მითის მეორე ნაწილი, რომელშიც გადმო-

---

1 ე. ცხადაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა – მითით შენილბული სინამდვილე, „ლიტერატურული პალიტრა“, აგვისტო, 2007, გვ. 136, 139.

ცემული იყო, რომ კორინთოში დასახლებული იაზონი აპირებს უღალატოს მედეას, სურს შეირთოს კორინთოს მეფის ასული კრეუზა და გააძევოს მედეა, უკანასკნელი შურს იძიებს მოღალატე ქმარზე" ... გენო კალანდია ახდენს ევრიპიდესეული „მედეას" მითის ინტერპრეტაციას სულ სხვა რაკურსით, სულ სხვა სამზერიდან, კერძოდ გენო კალანდიას „მედეას" მითი „გადაკვეთილია ძალიან ბევრი ნაკადულით, რომლებიც საუკუნიდან საუკუნეში ჩნდებიან და იკარგებიან" (ჟორჟ პომპიდუ). გენო კალანდიას მედეა მომხიბლავია თავისი ტანჯული პიროვნების ჰარმონიულობითა და უდრეკი ხასიათით.

ცნობილი ფაქტია, რომ „ევრიპიდემ საზიზღარი ბოროტმოქმედება ჩაადენინა მედეას, ეს უკანასკნელი მაინც ჰხიბლავს მაყურებელს თავისი ტანჯული პიროვნების მთლიანობით და ხასიათის სიმტკიცით".[1]

გენო კალანდიამ შესაშური პოეტური ალღოთი ახსნა მედეას ტრაგიკული ცხოვრების მიზეზები. მის მიერ დახატული მედეასა და სხვა პერსონაჟთა სახეები დამაჯერებელია და სულისშემძვრელი. ალბათ, ამიტომაცაა შთამბეჭდავი მის მიერ დახატული აიეტის სახე. პოეტმა უხსოვარი დროიდან ამოზიდა მარად დაუვიწყარი სახეები და ახალი სინათლე მოჰფინა. მან გააფართოვა ჩვენი ჰორიზონტი და მედეას სახით ნამდვილი მშვენიერება გვაპოვნინა: „კოლხეთის მზეო, ამოსულო ქვეყნის აღსავლით, დიდებული ხარ, სხივმაღალი ხოხბის ფრთასავით" – ეს თითქოს ერთგვარ გადაძახილად აღიქმება. ლირიკულ პერსონაჟში მზესავით ანათებს მაღალი ზნეობა, ქართული სული და ტოლერანტობა. პოეტი ზღვრამდე მისული ოსტატობით და ძალმოსილებით

1 ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ისტორია, ტ. I,თბ., 1990, გვ. 543-545.

აცოცხლებს კოლხეთის მეფე აიეტს, ჩვენი უძველესი ისტორიის წარსულის ამ ლამაზ ფურცელს... გენო კალანდია დიდი ცოდნით და გულწრფელი სიყვარულით ხატავს იმ ულამაზეს სამყაროს, რომელიც დღევანდელი დღის გადასახედიდან ზღაპარივით წარმტაცი და თვით მითოსივით მარადიულია. მითისა და ისტორიის ასე შერწყმა და სინთეზირება უდავოდ საინტერესოა. ეს ფაქტი სრულყოფილად მეტყველებს პოეტის ინტელექტუალურ მასშტაბებზე. ვფიქრობ, აქ პოეტმა მითით შენიღბული (კოლხური) ქართული სინამდვილე წარმოაჩინა. იმდენად მომხიბლავია მთელი ლექსი, რომ ცალკეული სტრიქონების გამოყოფა შეუძლებელია. განუმეორებელია ცრემლნარევი პოეზიის ნათელი, რომელიც მომაჯადოებლად ბრწყინდება შემდეგი სტრიქონებით: „შვილი შვილია, მაგრამ როცა მოღალატეა, უნდა დასაჯო, როგორც რომი, თებე, ქალდეა“ ... „უკან მოვბრუნდი ჩემი ჯარით, ჩემი მცველებით, ღიად, საჯაროდ გაროზგილი მამის ცრემლებით“ – „ო, იდია, მშვენიერო, ჩემო იდა, ქალი ხარ, დედა – შვილმოკვეთილი, უსასტიკესი მწარე ხვედრისა, ვისთვის შუმერთა შთამომავალი, ვისთვის პირიმზე ჩემი ქვეყნისა“ – აქაა პოეტის განცდებისა და ლირიკული პერსონაჟის მძაფრი ვნებები თითქოს „ერთ სულ და ერთ ხორც“ შერწყმულ-შენივთული შუქ-ჩრდილის მარადიული თამაშითაც სამუდამოდ რომ გამახსოვრებს თავს.

და მაინც ესაა გენო კალანდიასეული სისხლსა და ცრემლში გამოხვეული რექვიემი „შვილმოკვეთილი დედისადმი“, ბედისწერისგან შერისხული დედის გულის საოხად...

და თუ ოთარ ჭილაძემ კოლხეთის სამეფო კრიზისულ მდგომარეობაში წარმოადგინა, ისტორიულად საქართველომ მაშინ დაკარგა ფუნქცია, როცა ის აქტიურ საერთაშორისო ურთ-

იერთობებს მოსწყდა, როცა ბიზანტია დაეცა და „აბრეშუმის გზამ გვერდი აუარა, ქართველი მწერალი მსგავს ვითარებას არქაულ ხანაშიც იგულვებს და შესანიშნავად ახერხებს მის აზრობრივ თუ მხატვრულ სინამდვილედ ჩამოყალიბებას“ (ეკა ცხადაძე).

ვფიქრობ, გენო კალანდიას ეს ლექსი მშვენივრად მიესადაგება ო.ჭილაძის მსოფლმხედველობასა და მრწამს.

პოეტი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას აიეტის ხასიათზე, საგანგებოდ გვიკონკრეტებს „მცირე გრაგნილში“ მისი ცხოვრების საინტერესო დეტალებს, გვიჩვენებს მას სხვადასხვა სიტუაციებში და სამუდამოდ გვამახსოვრებს შემდეგი სტრიქონებით: „ვფიცავ მამაჩემს, – ჰელიოსის სახელს ღვთაებრივს, სადაც დავლამდი შავი ბინდით, იქვე გავთენდი“ – რა არის ეს, თუ არა სამშობლოსადმი უკიდეგანო სიყვარული და თავაწყვეტილი ერთგულება.

„აქ ისტორიის დიდი ამბები ასტრალურ ლანდებად აყუდებულან. ასტრალური ლანდები გალურსულნი და თვალებდანისლულნი გაგუდულან და შინაგან იყურებიან.“ [1]

ლექსში „ცაწაშლილი“ შემოქმედის ყოვლისშემძლე მარჯვენით შექმნილი პოეტური ხატებით ცოცხლდება „ცაწაშლილი დედოფლის ნება“. ავის მომასწავებელი ქაოსი, ყველაფრის ნიველირების, წაშლის მცდელობაა: „მალე მხევალი შემოიტანს ყვავილებს დილის გედივით კისრებგადაწეულთ და ღამის თრთვილით აქა-იქ პერანგშემოქარგულ, აქა-იქ კიდევ ნისლივით შიშველთ და მძინარეთ კორინთოს ცისებრ... ნელსურნელება და ციმციმი ფარული ალის, იქნება მათი იდუმალი ჯადო და თვალი... და თითო-თითოდ კალათებში აწვენენ

1 გრ. რობაქიძე, დემონი და მითოსი, გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ, „არტანუჯი“, თბ., 2012, გვ. 40.

ერთად, რომ აღასრულონ ცაწაშლილი დედოფლის ნება“ ...

ლექსი „აგერ კორინთო, აგერ ქალდეა“ საგულისხმოა მოქალაქეობრივი პათოსითაც. პოეტისათვის მითი სივრცეა, რომელშიც ადამიანი ქაოსის ალაგმვას ცდილობს. ამ ქაოსის დასალაგებლად, როგორც მითიდან ვიცით, მედეა მოქმედებას იწყებს. ოქროს საწმისი დაკარგულია, შვილები დახოცილი, იაზონი – უჭირისუფლო. მედეა ყველაზე ტრაგიკული ქალია. ტრაგიკული იმიტომ, რომ დაკარგა ის დასაყრდენი, რომელიც ერთადერთია ადამიანის ცხოვრებაში – სანუკვარი სამშობლო და მშობლიური კერა. კოლხეთიდან საბერძნეთში გადახვეწილ მედეას გუნდი უმღერის: სამშობლოვ, კერავ, ნუმც მოვესწარი მე იმ დღეს, რომ უსამშობლოდ ვიდიდე ტანჯულ ცხოვრების გზაზედა, მწარე ბედის შემყურე, ამ დღის მომსწრე უმალ სიკვდილს ვარჩევდი. მე თვით ვიხილე, სხვის თქმით არ ვამბობ, რომ არც ერთ ქალაქს და არც ვისმე მეგობართაგანს ეგზომ ტანჯული ვნება – ვაისგან შენ არასოდეს ებრალებოდი“ ... დეე, ნურასოდეს ნუ მოვწყდეთ სამშობლოს“. [1]

... უნებურად ალბერტ შვაიცერის ერთ-ერთი გამონათქვამი ამოტივტივდა მეხსიერებაში: „დღეს კაცობრიობის ისტორია ჰუმანურ და არაჰუმანურ მსოფლმხედველობათა ურთიერთობის საკითხს წყვეტს და თუკი ეს საკითხი ანტიჰუმანიზმის სასარგებლოდ გადაწყდება, კაცობრიობა დაიღუპება. ჰუმანურობას დღეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს“, – მრავალი წლის წინ გამოთქმულ ამ დიდებულ მოსაზრებას ვფიქრობ, სავსებით ამართლებს გენო კალანდიას შემოქმედება, რომლის მსოფლმხედველობრივი ასპექტები და მისტი-

1 ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1990, გვ. 543-545.

კური წიაღსვლები სწორედ ადამიანის დიდი სიყვარულითაა ნასაზრდოები.

მაინც „გამოურკვევლად მიდის მოსაგონებლად მწარე, გამოურკვეველი ბინდისა და მისტიციზმის მხარე“ (გალაკტიონი).

გენო კალანდიას თითოეულ პოეტურ ქმნილებაში ის მფეთქავი მუხტია ჩადებული, ურომლისოდ ლექსი თავის მომხიბვლელობას დაკარგავდა. მის პოეზიაში ათასწლეულების სურნელი განსხეულებულია. აქ მართლაც „პირველყოფილი დრო მარადიულობაში შრიალებს, ყოფნა ღვთაებრივში“ (გრ.რობაქიძე).

რექვიემი

თანამედროვე ლიტერატურულ ფონზე გენო კალანდიას პოეზია ნოვატორული ფორმებისა და ტრადიციების თავისებური სინთეზია. იგი ორიგინალური, გამორჩეული ხმისა და უნატიფესი ესთეტიკური კატეგორიებით მოაზროვნე დიდოსტატია ქართული სიტყვისა, მის ლექსებსა და კომპოზიციებში ერთმანეთს ბედნიერად შეერწყა ეთიკა და ესთეტიკა, ფაქიზი სული და ჩვეულო მხატვრული აღმაფრენა, პაოლოსებური არტისტიზმი, წერის მაღალი კულტურა, დახვენილი, თითქმის რკინისებური ფრაზა, უშუალო ლირიკული ხედვა, წარსულისა და დღევანდელობის ზომიერად მოხმობილი პარალელები. მშობლიური ლანდშაფტების ხატვის იშვიათი უნარი, მისი პოეტური ხატები და მეტაფორები ეროვნული წიაღიდანაა გამოხმობილი და ამდენად ეროვნული კოლორიტის შექმნას ემსახურება... პოეტის მხატვრულ მეტამორფოზებში თანამედროვე ინტელექტუალისა და რომანტიკოსის რაფინირებული სული ინტავჯება, იბრძვის და ამკვიდრებს რაღაც ახალს, მონომენტურ სულიერ ღირებულებებთან ნაზიარებს...

ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილმა ქართველობამ ყოველთვის ვიცოდით და ვიცით, რომ არსებობდა და არსებობს გენო კალანდია, როგორც ტრაგიკული პიროვნება, „ცოცხლად მოკლული“, ერის ტკივილებით გამოწრთობილი, ძლიერი და მკვრივი მონოლითი, კოლოსალური ენერგიის დამტევი, „სავსე ქართული პატიოსნებით“, პიროვნება, რომელმაც საკუთარ სულის გადასახედიდან გულმდუღარედ გამოიტირა დაკარგული აფხაზეთი, ჩვენი ულმობელი დრო და სივრცე... მისი შესაშური ენერგიისა და ტკივილიანი გულის ანარეკლები: „რექვიემი“, „ავტოგრაფები ქვაზე“, „ისევ რექვიემი“,

„ფესვები“ საოცარი სიცხადით აღადგენს აფხაზეთის ომის ისტორიას. ძმათამკვლელი ომის მძიმე შედეგები იმდენად სულისშემძვრელია, რომ ძნელია გაამდიდრო ახალი ფუნქციით. პოეტის თვალწინ თამაშდება ღრმა ეროვნული ტრაგედია. ავტორმა უაზრო ომის შემაძრწუნებელი სურათები და ფაქტები, ბოროტებისა და ძალმომრეობის სათარეშო ასპარზი და მისი გავლენის ძალა უფრო ყოვლისმომცველად რომ წარმოაჩინოს, მის ლექსებში ათასგზის ნაგრძნობი მშობლიური ხალხური მოტივები და სახეობრივი ხატები ერთვება, რითაც უფრო საგრძნობია ჯოჯოხეთური რეალობა, გულის კარნახსა და შინაგანი ხმის ძახილს ადევნებული პოეტი ღრმავდება ეროვნული პოეზიის ფენებში და მარად ცოცხალი ფესვებთან შეხებით გვაზიარებს მხატვრული ძალმოსილების ენერგიას.

გენო კალანდიას პოეზია ქართველ მკითხველს მარადჟამს შეახსენებს იმ მოუშუშებელ ჭრილობას, რომელსაც აფხაზეთის დაკარგვა (გნებავთ გაყიდვა) ჰქვია, უსამართლობით აღშფოთებული პოეტის ტკივილებით, ცრემლითა და სიმწრის ოფლით დაწერილი ლექსები – პირთამდე სავსე ქართული პატიოსნებით, უფლის ნაკურთხი პოეზიაა, სადაც თითოეულ ლექსსა თუ სტრიქონში მკითხველი გრძნობს და აღიქვამს ქართული აწონილი სიტყვის სინატიფეს, სიმძიმეს, მადლსა და ჰაეროვნებას, ნათლად ხედავს ქართველთა სვეგამწარებულ, ბედდამწვარ და ნარეკლიან სინამდვილეს, როდესაც ქართველი კვაზიგენერლები, გაქსუებული ოფიცრობა და ნირწამხდარი ჯარისკაცები საკუთარი დედების გინებით თავქუდმოგლეჯილნი გარბიან საკენ-ჭუბერის გზაზე საკუთრი ნაძრახი სიცოცხლის გადასარჩენად, ხოლო უაიარაღო, უმწეო და უსუსური მოსახლეობა უკან მისდევს, მშიერი და ცრემლდამშრალი მოწმე – უსამართლო და უღმერთო ტრაგედიისა.

გენო კალანდიას თითოეული ლექსი იდუმალ, რაღაც გაუცნობიერებელ ხმებს იმარხავს, იგი თავისი მრავალწახნაგოვანი გონებით მთელი არსებითაა გამიჯნურებული წარსულთან თუ დღევანდელობასთან, რეალურთან თუ წარმოსახულთან, მიწიერთან და ზეციერთან და თავად მასშია გაცოცხლებული წარსულისა და აწმყოს ფანტასმაგორიები, ერთგვარი ხილვად-პლასტიკური წარმოსახვითი ტრანსფორმაციები, ურომლისოდ, ვფიქრობ, წარმოუდგენელია ნებისმიერი მხატვრული ქმნილება და ეს ყველაფერი თვით მასშია, მის პოეზიაში, არაჩვეულებრივად მდიდარი და ფართო, მისეული პოეტური ქმნილებების ემოციური დიაპაზონით: „ფესვები – ჩემი ხელის რუხი მტევანი, ფესვები – მიწის ორატორია, შუადღის შუქი აყალყებული, ძლევამოსილი მამრის სიმღერა, გულდაკორტნილი მამრის გუგუნი... ფესვები ჩემი ვეფხვის პოემა, დრამა, ოქტავა და ტრაგედია. („ფესვები, ჩემი ფესვის ფესვები“) – ამბობს პოეტი და საკუთარი ავტოპორტრეტს გვიხატავს მარტოსულსა და მიუსაფარს. ტკივილებით გულშეძრულს, მისი უკეთილშობილესი და ამაყი სული სანუკვარ აფხაზეთს, ენგურსგაღმა დარჩენილ საქართველოს დასტრიალებს, ჩვენი ხალხის წარსულსა და მომავალს გასდევს, მისი სულიერი დახვეწისა და შინაგანი გარდაქმნის ურთულეს ამოცანას ისახავს მიზნად, აჩვენებს გზას, რომელშიც დევს ამ პრინციპის განხორციელება... გენო კალანდიას თავისი პიროვნული ხიბლითა და მოცახცახე ქმნილებებით მოაქვს რაღაც თავბრუდამხვევი სურნელი და მაცოცხლებელი სუნთქვა ჩვენს ქაოსურ ყოფაში... მისი პოეზიიდან ხან ჟონავს, ხანაც აშკარა ნაკადად მოედინება და ცხადად მოჩანს პოეტის შემმართებლური რაინდული ბუნება, შინაგანი წვა და გზნება, ლირიზმით გამთბარი ტრაგიკულობის განცდაც და ჯანსაღი

ფიქრი სვებედნიერ მომავალზე...

და მაინც, ბუნებაა სათავე და ბიძგი იმ მეტაფორებისა, რომლებშიც შედედებული სისხლივით იკვრება მწარე სინამდვილე. სუბიექტური ხედვა და მაღალი ტალანტი გაიძულებს გიყვარდეს გენო კალანდიას ფორთოხლისფერი სევდიანი ლექსები და თეთრხალიანი ევკალიპტების წვიმა, გუგულის ძველი ბუდე და მორდუს ნათელი ბილიკი, პოეტის გულში აბრაგუნებული მზე თუ ქვიშის საათი – დაუნდობელი დრო, იგივე ბუნება, რაც სიტყვაში უფრო მძაფრდება და ხშირად ბედისწერის სახეს იღებს. აკი „ნათელშემოსილი სული გამუდმებით ასხივებს ნათელს, მის შუქზე ჭვრეტს როგორც გარეშე სამყაროს, უსასრულობაში დამარხულს, ასევე მისსავე შინაგან ჭეშმარიტებას" (ავრელიუსი, 8,211).

გენო კალანდიას პოეზიას ახასიათებს უცნაური რწევადობა, „რაზედაც არ უნდა წერდეს, ქვაზე, სალამურზე, ქალზე... ეს რწევადობა, ეს ლიცლიცი, ეს სინატიფე ზღვიდანაც მოდის, ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ პოეზიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამორჩეულად ჟანგბადიანია, იოდიზირებულია, და ამდენად ნაკლებად ბოლმიანი და მაინც, ვფიქრობ, მისი პოეტური სიტყვის სინედლე, სინოტივის გამუდმებული შეგრძნება ცრემლის ბრალია, ცრემლისა, რომელიც მის თვალზე არავის უნახავს, სამაგიეროდ ლექსებს უსახსოვრა, ლექსებში ჩაღვარა" (ეს მაკა ჯოხაძეა).

გენო კალანდიას პოეზიაში „კაცი ხარის" გულმდუღარე ცრემლებია ჩაღვრილი, დიახ, ის, რაც რეალური და ხელშესახებია, მისი მუდმივი ფიქრის საგანია. მის სამსახურს უძღვნის თავის სულიერ ენერგიას და ღვთისგან ბოძებულ ტვირთს ხარივით ეზიდება. ხარის სიმბოლიკა მისი პოეზიის ერთ-ერთი ნიშნული მხარეა, რომელიც პარალელს პოულობს მითოლო-

გიურ-ფოლკლორულ არქეტიპებთან.

გენო კალანდიასათვის აფხაზეთის ომი ესაა სამასიათასი ადამიანის სასომიხდილი თვალები, უსიხარულო და უსიცოცხლო დღეები, უკუბოვო ცხედრები, ღიად დარჩენილი საფლავები, ესაა სულიერ ძალთა შესაკრებელი, სადაც საკუთარი სული უნდა გამოფინო, რათა შენს გენეტიკურ წარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და საგულისხმო ილუსტრაციად აქციო... საკენ-ჭუბერის გოლგოთა გამოვლილი რაინდი პოეტი და მისი მსგავსნი ცხოვრებამ ვერ აქცია ლოტოფაგების მითიურ კასტად „თავს გაუფრთხილდი, ოლიფანტე, უხვად გვექნება წლეულს ლოტოსი, მიირთვი, კარგად მიეძალე“ (5,216) წარმოსახვის თვალი უნდა გაახილო კაცმა და ფიქრი შემოიჯარო, რომ სრულად აღიქვა, რას ძერწავს პოეტი, სხვაგან უფრო სინატიფე და აღქმის სიმძლავრეა საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული იდეალური სურათი: „ჩვენ მშვიდობა გვინდა, ოლიფანტე, რა დროს შიდა ქართლია, შე კაცო, რა დროს აფხაზეთი, როცა ბროწეულივით კანზე სკდება მესხეთ-ჯავახეთი, რა დროს წარსულია, რა დროს იავნანა, როცა ქვირითისფერ მტკვარსა და ლიახვს ქორივით დაჰყურებს სკვითი და ხაზარი, მიირთვი, მიირთვი უდარდელად, მიირთვი, კარგად მიეძალე“ („ოლიფანტე“) ამ სტრიქონებიდან მირონივით იღვრება პოეტური ძალმოსილება, „ქვირითისფერი მტკვარი და ლიახვი როგორ იტევს მდინარის ფერსაც, განწყობილებასაც, სიამაყესაც და სამშობლო მიწის უნაპირო სიყვარულს, და ეს პირდაპირი ხატი მიიდევნებს სტრიქონს: „ქორივით დაჰყურებს სკვითი და ხაზარი“, ამჯერად მთავარი მაინც ის არის, თუ საიდან იღებს სათავეს ამ ლქსის სათაური სტილური, მასშტაბური მინორი, მსგავსი კოსმიური პესიმიზმისა, ვფიქრობ არ მოდის, არც

რომანტიკული იმპულსიდან და არც სხვა რაიმე გავლენებიდან, არამედ იმ დიდი ტკივილიდან, რომელიც სინამდვილემ, რეალობამ შთააგონა პოეტს. პოეტური იმპულსი აფხაზეთის ტრაგედიიდან მოდის, უფრო მეტიც, ცხოვრებიდან, ყოველდღიურობიდან, ქართული სინამდვილიდან და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ლექსში ნაცნობი ყოფიერების უცნობი აბსტრაქციებიცაა, პოეტის გულშემზარავი გლოვა, ტანჯვა დაკარგული აფხაზეთის გამო, და იცის პოეტმა, გავა დრო, გახუნდება ემოციის სიმწვავე, ვინ იცის ეგებ, ძალა დაკარგოს უშუალო შთაბეჭდილებამაც, სხვა თაობა იმის მეათესადსაც ვერ განიცდის, რაც ლექსის ლირიკულმა პერსონაჟმა განიცადა, რადგან აქ არც ახალი ათონია, არც ზეთისხილის ბაღი. აქ მხოლოდ ლოტოსი ხარობს". („ოლიფანტე").

ამ ლექსში ქართული სულია გამოფენილი, რომელიც ნაქსოვია საოცარ სიჩუმეში, შემზარავი წინაგრძნობებით, სამშობლო მიწის დაკარგვის შიშით, ბნელი ფიქრებით, მღელვარე აზრებით, აუსრულებელი წადილებით, უსასრულო შესაძლებლობებით... „ბრონეულივით კანზე სკდება მესხეთ-ჯავახეთი", – ეს გაფრთხილებაა, მოწოდებაა, რომ გაიღვიძოს მიძინებულმა ეროვნულმა ცნობიერებამ. აქ ლექსის გრაფიკა გვეხმარება წარმოსახული შედარების ვიზუალურ გაცხადებაში, რამეთუ გენო კალანდიას მხატვრულ პალიტრაში ნათლად გამოკვეთილი შედარება მეტწილად წარმოდგება, როგორც დასრულებული სურათი, რომელიც რამდენიმე შტრიხით შთამბეჭდავად მიგვანიშნებს ერის სოციალურ და ეროვნულ უბედურებაზე. ჯოჯოხეთური ომის სავალალო შედეგებზე: „იქ რო საძროხესთან კაცის თავი გდია, ღორის თავი არ გეგონოს, ოლიფანტე. იქ რო სისხლი მოჩქეფს წყაროსავით – შენი დის სისხლია ოლიფანტე... იქ რო მკათათვეშიც ტბე-

ბია გაყინული – შენი გამდელის თვალებია, ოლიფანტე... მიირთვი, მიირთვი უშფოთველად, მიირთვი კარგად, მიეძალე, მორჩილად დახარე ეგ თავი მონის, თხუნელასავით სარდაფში ჩადი... წარსული დაივიწყე... გიყვარდეს ახალი საქართველო, ოლიფანტე!".

და მაინც, საოცარია, როგორ იმარჯვებს მხატვრული სახე აზრზე, როგორ იბადება ცხოვრებიდან „ლოტოფაგების ოდისეა", თვით ციკლის სათაურს „ლოტოფაგები", თავად ავტორი განმარტავს (სქოლიოში) ლოტოფაგები – ლოტოსის მჭამელი მითიური ტომია. „ოდისეას" მიხედვით, ლოტოსის მჭამელ ადამიანებს ავიწყდებათ წარსული. ბევრს ეცადნენ ლოტოფაგები, ოდისევსისათვის ლოტოსი ეჭმიათ, რომ სამშობლო დაევიწყებინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს".

„გენო კალანდია და მისი მსგავსნი ვერანაირმა ძალამ ვერ დათრგუნა, „ცხოვრებამ ვერ აქცია ლოტოფაგების მითიურ კასტად, რომელთაც შეაჭამეს რა ლოტოსი, წარსული დაივიწყეს" (მაკა ჯოხაძე).

გენო კალანდიას მთელი პოეზია მთლიანად ლირიკული განცდითაა ნასაზრდოები. მისი მსოფლმხედველობრივი სისტემა ნასაზრდოებია ეთიკური პოსტულატებით, ყოველივე იმით, რაც ეროვნულია, მისთვის მისაღებია და ზნეობრივი... „იქ რო ფუძე-კარი მოგიშალეს, იქ რომ ბაღ-ვენახი გაეერანდა, იქ რო მარწყვის ფერი საპატარძლო ხელიდან ხელში გადაცურდა, დაივიწყე, ოლიფანტე. იქ რო სასაფლაო გადაგიხნეს, იქ რომ მამა დაგრჩა უსინათლო, დაივიწყე, ოლიფანტე"... ვფიქრობ, თქმულით არ ამოიწურება ის მდიდარი მრავალფეროვანი სპექტრი, რომელსაც გენო კალანდია ქმნის რიტმის გამეორების ხერხით ლექსის ევფონიურ და სემანტიკურ დონეზე.

ამ ლექსში კი საოცარი დინამიზმი და ექსპრესიულობა სწორედ რიტმის (განწყობილების) გამეორებით ან გამძაფრებით, რაღაცის აკრძალვის ან ზოგჯერ მოძალების კვალობაზე (თ.ამყოლაძე) და კვლავ აღმავალი ექსპრესიით ლოგიკურ წერტილამდე სრულდება.

ბუნებრივია, გენო კალანდიას, როგორც მშობლიური მიწა-წყლიდან გამოდევნილ პოეტს უპირველესად ტკივა მშობლიური საბუდარი, გახლეჩილი საქართველო, დაშლილი სული და სავსებით ბუნებრივად აღიქმება პოეტის სევდანარევი განწყობილება, ის ვინც ლოტოსს მიეძალება მუხათგვერდის მიწისთვისაა განწირული. და მაინც, ამ ლექსიდან იღვრება პოეტური მშვენიერება, დიას, არის რაღაც საოცარი სიმსუბუქე ამ ლექსში, მკაფიობა, დასრულებულობა, მაგრამ მათი ფუნქცია გახლავთ მკაფიოდ ლირიკული პერსონაჟის ოლიფანტეს ხასიათის გამოვლენა, რომლის ჭეშმარიტი ღირებულება დრამატულ სიტუაციაში სრულ შერწყმაშია.

არ მეგულება მსგავსი ლექსი ქართულ პოეზიაში, სულის სტიქიონით, რაღაც მაცოცხლებელი წვენით ასე რომ მიეწებოს ქართულ გენიას. ლექსის არსი მისი ძირითადი ღირსება ყველა ელემენტის ურთიერთმიმართებით, უჩინარი მთლიანობით შობილი განწყობილება და ასოციაციების ტრაექტორიაა.

გენო კალანდიასეული პატრიოტიზმსა და მაღალი ზნეობის ძლევამოსილებას კიდევ უფრო მიპოეტურებს ის კეთილშობილი სიზვიადე, საკუთარ ძალაში ის თავაწყვეტილი ერთგულება და რწმენა, რომელიც პოეტმა საოცარი მომხიბვლელობით გამოთქვა ლექსის ფინალში: „სიკვდილი არ გაბედო მტრის ჯინაზე, გთხოვ, გევედრები, ოლიფანტე, საფლავის ქვაზე არც იფიქრო, შენი ეპიტაფია მუხათგვერდის დილაა, ოლიფანტე, ჰოი... ოჰოო, ჰოი, ოლიფანტე!“

„ახლა როცა გარეწარნი ყოველნაირად ცდილობენ: ქართველებს დაავიწყონ წარსული! დაავიწყონ სამშობლო! დაავიწყონ დედა! დაავიწყონ მამა! გადაახვნევინონ წინაპართა საფლავნი... განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს გენო კალანდიას ირონიული ლექსი „ოლიფანტე“ (მ.მაჭავარიანი).

ლექსში „ანტიგონე“ კიდევ უფრო შემზარავი პოეტურ ხატად გარდაქმნის მოწმენი ვხდებით. „აფხაზეთის ომში ახალგაზრდა ქალს ერთადერთი ვაჟი თვალწინ მოუკლეს, დედა თმით ხეზე დაკიდეს... და რამდენიმე წუთით ადრე დახვრეტილი უცნობი მამაკაცის ჯერ კიდევ სისხლიანი თვალები ძალით გადააყლაპეს – ასეთი სულისშემძვრელი ეპიგრაფი უძღვის ამ ლექსს... ვკითხულობ და დაძაბულობისაგან სუნთქვა მეკვრის, ძარღვებში სისხლის სწრაფი ნაკადის შხუილი მესმის, რაღაც ცივი, უაზრო და შემზარავი სამყარო მეზმანება, ეს ზმანება ინტუიციურად დამაჯერებელი ხდება პოეტის გამაოგნებელი სტრიქონებით: „ვისი თვალები გადაყლაპე, დაო, ბედკრულო... – „მზე გალაყლაპე, უსინათლო, სიკვდილ მისჯილო?!“ ... ღამის სიზმრებში ჩამარხულო შავი სუდარით, თქვი, რა ხდება ზღვის უხავერდო სამეფოში? ვის სიმართლეში ეძებ სიმართლეს? სად გარბის მიწა, – ირმის საძვალე?.. შენ, როგორც წმინდა მწუხარება, კარიკარ ივლი, ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო, ბედკრულო“!

ვისაც წაუკითხავს პოეტის ეს ლექსი, უეჭველად დამეთანხმება, რომ ეს ერთ-ერთი საინტერესო და საგულისხმო ლექსია, რაც აფხაზეთის თემაზე ქართულ პოეზიაში შექმნილა საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ გენო კალანდიას არაერთ ლექსი შექმნილა აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე...

მართებულად მიგვანიშნებს მაკა ჯოხაძე: „ომის თემა განსკაუთრებით მძაფრდება ქალთა სახეების ფონზე, რადგან

გენო კალანდიასათვის ამ სამყაროში ყველაზე სუფთა, ესთეტური, უბინო ქალია, რომელიც ამავე დროს, ერთგულების მარადიულ სიმბოლოდ რჩება, ამიტომ ყოველგვარი ძალადობაც ამქვეყნად თავისი მახინჯი ფორმებით სწორედ მასთან მიმართებაში ვლინდება".[1]

ამ ლექსში მთელი სისრულით გამოვლინდა გენო კალანდიას არტისტიზმი, დახვეწილი გემოვნება და მაღალი პროფესიონალიზმი. ტრაგიზმის განცდის მთელი სიმძაფრე. ანტიგონე საოცრად განსხვავებული ხასიათია ქალისა, ღირებულებითი ორიენტაცია, პოეტის სულის ნაწილი, მისი და „ჩვენი თანამდევი უკვდავი სული" ... ეს არის აფხაზეთის ულმობელი ტრაგედიის მსხვერპლი ქალის (პოეტის ლირიკული პერსონაჟის) გაცოცხლება, მის სულიერ სამყაროში წვდომა, მისი ხასიათის ყოველგვარი ნიუანსის გათავისება, ამ ტრაგიკული გმირი ქალის იმ დონემდე წარმოჩენა, რომ პოეტმა ის არა მარტო თავის მეორე „მე"-დ, არამედ ჩვენი სულის ნაწილადაც აქციოს... უსასრულოდ შეიძლება პოეტის სტილის თავისებურებაზე, მის მომხიბლავ ხატ-სახეებსა და სიმბოლოებზე საუბარი. ამ ლექსში პოეტური ძალმოსილების მარადიული ზეიმია თითქოს, რომელიც სიმძიმის, დიდი ტრაგიზმის წიაღიდან ანათებს... აშკარად ვგრძნობთ, როგორ გასცდა ძალმომრეობის, ინტრიგების, კაცთმოძულეობისა და სიძულვილის მასშტაბები ნორმალურ ადამიანურ ჩარჩოებს და საბედისწრო, კატასტროფული შედეგები გამოიწვია.

აფხაზეთის ომის სევდიანი ჰანგებით იქსოვება პოეტის უნივერსალური იდეალები და წარმოდგენებიც, მისი ფსიქოლოგიური რეალიები და ნოსტალგიური განცდები. და

---

1 მაკა ჯოხაძე, ო, ეს ბებერი კათარზისი წიგნში გენო კალანდია, „ისევ რექვიემი", თბ. 2008

მაინც, გარდასული ომის სევდა გულზე მძიმე ლოდად რომ არ შემოგვატოვოს, პოეტი ნატიფი პოეტური ხატ-სახეებით გვაბრუნებს ანტიგონეს ახალგაზრდული ცხოვრების, რიურაჟივით სუფთა და ფერგამოუკვეთავ სამყაროში, როცა ზღვის მარჯვენა თვალში ცხოვრობდა. „აკვანი სარკმელს გადაჰყურებდა, სარკმელთან კიდევ ფორთოხლების მზე ხრაშუნობდა“.

ანტიგონეს სარკმელან მოხრაშუნე ფორთოხლების მზე რაღაც გრძნეული უბრალოებით გვათავისუფლებს დღევანდელი ყოფის სიძნელეებისაგან... მინიშნებები, სიმბოლოები, იდუმალებით მოცული სახეები ხაზს უსვამენ გენო კალანდიას სახეობრივი აზროვნების სირთულესა და მრავალფეროვნებას.

ანტიგონე შემოქმედებით ენერგიით შობილი ნაწარმოებია. დიდია და უნაპირო ლექსის იდეურ-ემოციური ღირებულება, ლექსის მთავარი იდეა და განსაკუთრებით „წითელი წიგნის“ ბინადარის სახე მარადიულ კავშირშია გენო კალანდიას პოეტური სამყაროს მთელ რიგ ნაწარმოებებთან... პოეტი ღრმა მნიშვნელობით დატვრითული სახე-სიმბოლოებით წრმოაჩენს ლექსის იდეურ-მხატვრულ შინაარსს, გადმოგვცემს ანტიგონეს თავგადასავალს და ჩვენში თანალმობის გრძნობას აღძრავს. სწორედ ეს თანალმობა განაპირობებს ამ ლექსის მხატვრულ ბუნებასაც და დამაჯერებლობასაც: „ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბეჩავო, სად მილასლასებ, სად მიდიხარ, ცრემლის მდუღარე ლოკოკინებით?!. როგორი ამოკვნესაა გულის, რა სულისშემძვრელია ანტიგონეს „ცრემლის მდუღარე ლოკოკინებით“ განათებული სახე, ეს მდუღარე ცრემლები ჩვენი მწარე სინამდვილე, ჩვენი საქართველოს ულონობა და უბედობაა. კონკრეტული ტკივილი ეროვნულ ჩარჩოებს მოუცავს. აქ

გამორჩეულად მფეთქავი ძარღვია, უფრო მეტიც, პოეტური სიტყვის რაღაც მომნუსხველი ხიბლია, ამ მისტერიულ ლექსს პოეტის არაერთი შედევრის გვერდით რომ აყენებს.

გენო კალანდიამ სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარულის სარკმლიდან დაგვანახა მთელი თაობის უდროო და უაზრო სიკვდილის საშინელება... დიახ, ომის ტრაგიკულ ეპოპეას ზარივით მოსდევს ანტიგონე. პოეტი თავისებური მხატვრული ხერხებით გამოხატავს განგაშის გრძნობას, აფხაზეთის ომი, მისი რწმენით, საყოველთაო კატასტროფის საფრთხეა, გლობალური მოვლენაა. და მართლაც ძნელია და რთული საკუთარი სულის პრიზმაში გააატარო ეს საშინელი მისტერია და მარად უკვდავი გახადო „კარდაკარ მოსიარულე მწუხარება". „შენ როგორც წმინდა მწუხარება, კარიკარ ივლი, ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბედკრულო". – ბორგავს პოეტი და ეს სტრიქონები ჭეშმარიტად გამარჯვებული სულის სიმბოლოდ მესახება.

პოეტის გული ვერ უძლებს უსაშველო დარდს და შიგ გულშივე ჩაეღვრება ბოღმისაგან ყელში გაჩხერილი ცრემლების ღვართქაფი. „ქვირითის, სთველის შემოქმედო, სძალო, სამოთხის, მაგრამ ვაი, რომ „არ გათენდება შენი ცა უკვე, არ აფეთქდება სისხლით მორწყულ განთიადებში შენი ფიქრის იასამანი, არ შეიკვრება შენი ტანი ფიჭვის კვარივით, ცხელი მზეების ცისარტყელებით", მხოლოდ გენო კალანდიას ტოლი პოეტი თუ შეძლებს ასეთი საშინელი ტრაგედიის გათავისებას, ქართული სულის დიადი ენერგიის ჩვენებას, ემოციური მუხტი, რომელიც ბოლომდე გასდევს ლექსს, სწორედ ის ენერგიაა, რომელსაც მზისგან იღებს პოეტური შთაგონება...

... „შენი გულსაკლავი ქვითინი მესმის, გოდება მესმის ძვლების დამშლელი" – გმინავს პოეტი და მთელი არსებით

ცდილობს დაარღვიოს ბედის ფატალობა, თუმცა ბედკრულ დაიკოს წითელ წიგნში მიუჩენს სამუდამო ადგილსამყოფელს; რამეთუ ღრმად სწამს; რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა იგივე მოხდება, „არაფერია მზისქვეშ ახალი.“ (ეკლ.1-4-9).

და „არ შეიკვრება შენი ტანი ფიჭვის კვარივით ცხელი მზეების ცისარტყელებით“ – „ფიჭვის კვარი და მზეების ცისარტყელები“ მთლიანად ავლენს ლექსის ქსპრესიულ პოტენციას, გენო კალანდიას მიერ დახატული ანტიგონეს საბედისწერო სახე უაღრესად მოულოდნელია და ინფორმაციული, მის ტროპული ცნობიერების ნაკადი უაღრესად ასოციაციური აზროვნების ნათელ მაგალითად წარმოჩნდება: „შენ როგორც წმინდა მწუხარება კარიკარ ივლი, ჩემო საბრალო ანტიგონე დაო, ბედკრულო“. – ესაა პოეტის ტკივილიანი ამოკვნესა, აფხაზეთის ტრაგედიის გამოტირებაა უმწარესი შედეგებით რომ დასრულდა. სრულიად საქართველოს უღონობა და უილაჯობაა, მომავალი თაობების სანეტარო მოლოდინის გაქრობა და უიმედობაა.

პოეტი თავად ელის თავის მრევლს, გონების თვალით რომ ჭვრეტს შემოქმედისა და პოეტურად გარდასახული სამყაროს ლტოლვას ბედნიერებისაკენ... დიახ, ლტოლვას ბედნიერებისაკენ, რადგან პოეტური შემოქმედება სხვა არაფერია, სამყაროს ბედნიერების სუბლიმირებული ლტოლვის გარდა.

ანტიგონემ დამთრგუნა კოლოსალური პიროვნული ღირსებით, აზრისა და გრძნობის დიდი გაბედულებით, სითამამითა და უკეთილშობილესი მედიდურობით, მერე და მერე თვალშისაცემი მეტაფორების ესთეტიკურად ლამაზი პოეტური სახეებით. აქაა, ჩემი ღრმა, რწმენით პოეტის აბობოქრებული ენერგია, საოცარი ძალა, რომელიც ზამთრის სუსხიან ღამეებში

ბიჭვინთისა და ბზიფის სანახებში წვენით და ხალასით ავსებს ფურისულებისა და იების ფესვებს და ენერგიას აძლევს გაუძლოს... და მეჩვენება გენო კალანდია არტისტიზმის მარყუჟებში გვამწყვდევს, ვგრძნობთ როგორ გადმოდის ჩვენზე პოეტის სულის თრთოლვა, როგორ ფეთქავს თითოეულ ჩვენთაგანში „ბედკრული დაიკოს“ განცდა საკუთარი სისხლთან ერთად და მაკა ჯოხაძეს უნდა დავესესხო: „ამიერიდან თითოეული მათგანი ჩემთვის შენი ანტიგონეა, ანტიგონეები ყოველდღიურად შემოდიან შენთან, ჩემთან, მასთან, სხვასთან... არადა, თითოეულ მათგანს თავისი მშვენიერი ცხოვრება ჰქონდა!“ ...

გენო კალანდიას უთვალავი აზრი აწვალებს, არც ძალუძს მათი სულის სიღრმეში ჩამარხვა და ამიტომაც განუწყვეტლივ პოტური სახეების ძიებაშია, რათა ემოციას მეტი გასაქანი მისცეს. მის ლექსებში აზრის სიღრმე მუდამ ფორმის სისადავეს ერწყმის. შემოქმედებითი რეფლექსია გრძნობათა მიერ უშუალოდ ფიქსირებულ საგნებსა თუ მოვლენებს რთული ასოციაციური სინთეზის გზით სიმბოლოს დონემდე ამაღლებს და მაინც, ანტიგონეს უკვდავების რწმენა აძლევს პოეტს იმ სულის სიმშვიდეს, რომლითაც მოჰყვება იგი ცხოვრების გზას... მის კომპოზიციურ ლექსებსა და სონეტებში მთელი სიმძაფრითაა დახატული აფხაზეთის ომის მრისხანე ბატალიები, ჩვენი ჭაბუკების გამძლეობის დიადი მაგალითები. სისხლის და ცრემლის ოკეანეები, ტანჯვისა და ვაების გოლგოთა – საკენ ჭუბერის უღელტეხილი. თითქოს ამოიწურა სათქმელი და პოეტური გამოსახვის საშუალებებიც, მაგრამ მისმა პოეტურმა ნიჭმა ამ სფეროში სულ სხვა ჰორიზონტები გადაშალა, სავსებით განსხვავებული და ორიგინალური ასპექტით წარმოაჩინა აფხაზეთის ომის ტრაგიზმი. საგულისხმოა ის, რომ მის პოეზიაში არსად არ წარმოჩნდება აფხაზი „მტრის ხატ-

ად“, სწორედ ესაა მისი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილის დიდი ღირსება.

გენო კალანდიას პოეტური აზროვნება კონკრეტულად ადასტურებს ქართველი კაცის ლტოლვას ბედნიერებისაკენ, სიცოცხლის სიყვარულს, როგორც თვითგამოატვის თავისებურ ფორმას. მიუხედავად ძმათამკვლელი ომის უმწარესი შედეგებისა და დევნილობის ძნელბედობისა, რომელშიც მან გამოიარა და აღმოჩნდა, შეეძლო დაემკვიდრებინა საკუთარი ხმა წარმავალი ყოფიერების ქაოსში... მის პოეტურ აზროვნებას გრძნეულებაც ხელეწიფება. იგი შემმართებლური ენერგიით იჭრება მარადისობაში და გარდახდილ-განცდილის უსაზღვროებაში აწრთობს თავის სულს, რათა კიდევ ერთხელ განგვაცდევინოს გარდასული ტრაგიზმის სიდიადე: „კრწანისის ველზე დარჩენილი სამასი ხარი“ ... „ტყვიით განგმირული ცისარტყელები“, „ტანმოხატული ხოხბებივით დახოცილი ცისკრები“,..გადაკარგული სიმღერები: „ერგეაშვა“, „ვარადა“, „სი, ქოულ ბატა“, „აბა ულა“ ...ამდენი ცრემლი, ამდენი სისხლი, ამდენი ჯვარცმა და მკვდართა კორდი“, „მწუხარე წიგნის ფურცელი მრავალტანჯული მიწა იბერთა და გადასხეპილი ჰორიზონტები – ასეთი პოეტური მეტაფორებით ვლინდება დროთა მარადიული კავშირის ჭეშმარიტი ლოგიკა – დროში შეზღუდული მარადისობა და მარადისობაში განფენილი დრო...

გენო კალანდია ჭეშმარიტი ოსტატია ფუნჯის, კოლორიტის, რომელსაც ფანტაზიის, მრავალფეროვნების სიუხვითა და გონების სიმარჯვით გამოირჩევა, ქმნის, იწვის, იტანჯება, ყოველგვარი იჭვისა და ძიების გარეშე, რამეთუ გონება და უნიკალური ფანტაზია მზამზარეულად აწვდის იმას, რასაც მრავალნი ხანგრძლივი ძიებითა და წვალებით მოიპოვებენ...

პოეტს მოსვენებას არ აძლევს მშობლიური სოფლის მოგონება, ღვთაებრივ სულად ევლინება ცისფერი სამეგრელო, მოსვენებას არ აძლევს „ცხენის ფაფარში ქარივით“ გამოკრული შვიდი აბრაგის შვიდი იგავი. გული უწუხს, რომ დღეს სისხლით, ნაღველით შეღებილი მშობლიური ოდაბადე მორჩილებით ელოდება სვებედნიერ მომავალს... პოეტი ტერენტი გრანელივით წყლიანი თვალებით უმზერს ზეცას და ზმანებაში ისევ წამოიმართება მშობლიური აფხაზეთის ლანდშაფტები: „მახსოვს აფხაზთა სოფელი, მუხის ხე, საჩრდილობელი და მთვრალი ჭრიჭინობელი, მახსოვს თვალმარდი ბინული, სხივით გულგადამინული, მახსოვს ცა – ნუშის ფოთოლი, მახსოვს ცისფერი გოდორი და წყლისპირ გოგო ობოლი, მახსოვს ვარდები მრავალი, მახსოვს მზე – ოქროს მამალი, ქარი მიმავალ-მავალი, მახსოვს აფხაზთა სოფელი“ ...

„რექვიემში“ გამქრალა თითქმის „ვარდისფერი იების“ შუქით დაწყებული დღე, „ფუტკრის სკასავით აჭრილი დილა“, „არც ცისკრის ზარებით გაბრუებული ირემი დახეტიალებს მის ფურცლებზე, არც რიჟრაჟი – ნუნუაა“ სადმე, არც რიბირაბო ჟონავს წყალივით“ გადახვეწილა სადღაც დილა – პოეტის ერთგული თანამგზავრი, წინათ მისი ლქსების ერთერთი თანაავტორი. გასრულებულა თითქოს აისის დღესასწაული, დაჭრილა სამი ათასი წლის წინ მთებიდან მთებზე გადაჭიმული სული – სამშობლოს ცა, დარი გაზაფხულის ხასხასა ვარდისა, დარი აბრეშუმისა“ ... (გურამ ოდიშარია).

გენო კალანდიას პიროვნული და შემოქმედებითი ცხოვრება, – სრულად მიეძღვნა ლიტერატურული არსებობის ტანჯვა – სიხარულს... თითქოს იმისთვის მოევლინა ჩვენს თვალწარმტაც ქვეყანას, რომ თავისთავში გააცოცხლოს „განსაცვიფებელი მეტამორფოზები“. მის პოეტურ ქმნილებებში

გამჟღავნებული მსოფლშეგრძნება, სიცოცხლის ხალისიანი თრთოლვითაა აღსავსე, სიცოცხლე პოეტისათვის ტკივილებამდე მისული სიყვარულია, როგორც უკვდავებისა და მარადისობისაკენ ლტოლვის აუცილებელი პირობა და ამდენად უდიდესი ღირებულებების შემცველი არსებობა: და რა საოცარი ძალა აქვს მის ყოველ სიტყვას, როცა ერთი ფრაზითაც კი ცოცხლად განგაცდევინებს განწყობილებას. იგი დიდი გულის და ნათელი აზრის პატრონი გახლავთ, როგორც ჭეშმარიტ რაინდს პოეზიისას ესმის ძალა და მნიშვნელობა პოეტური ნიჭირებისა, პოეტური სიტყვისა, მამულისადმი, მშობლიური აფხაზეთისადმი ერთგულებითაა გამსჭვალული მისი ყოველი პოეტური სტრიქონი და არის რაღაც უჩვეულო სუნთქვა და თავბრუდამხვევი სურნელი მის პოეზიაში, რამეთუ დღევანდელ ყოფაში მით უფრო საგრძნობია ის შემაძრწუნებელი რეალობა, რომლის პოეტური გარდასახვა, სულის წარმოუდგენელ სიმაღლეს ითხოვდა...

გენო კალანდიას პოეტური რექვიემი ჯუმბერ ბეთაშვილზე თავისი მასშტაბით აფხაზეთის ტრაგედიის შემზარავ მოვლენებს ირეკლავს. აქ ისეთი სევდა და წუხილია, რომელიც სულისშემძვრელი უბედურების წინ ადამიანს რომ ამშვენიერებს. საოცარი განცდა გადაგვეშლება, ისეთი, როგორსაც ტიციანის ფერწერული ტილო „ქრისტეს დატირება“ რომ ახდენს თითოეულ ჩვენგანზე. იშვიათად აუსახავს რომელიმე სხვა მხატვარს ასე სრულყოფილად თავისი საუკუნის იდეალები ტანჯვა და სიხარული, როგორც მითოლოგიური სიუჟეტების მეუფემ, ტიციანმა. იგივეს თამამად გავიმეორებდი გენო კალანდიაზე, რომლის უმშვენიერესი პოეზია ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი შემაძრწუნებელი ტრაგედიის მატიანეა.

გენო კალანდია მუდმივად საუბრობს განცდილზე, მან

შეძლო განეჭვრიტა საიდუმლო და შინააშლილობათა ის საშინელება, რომელიც მას გონებანათელ პოეტად წარმოაჩენს...

„კომპოზიცია ჯუმბერ ბეთაშვილის პორტრეტისათვის" ერთი ამოსუნთქვით, მთელი მონდომებითა და გაშმაგებითაა დაწერილი. აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი პოეტური ნიჭი, არაჩვეულებრივი სახისმეტყველებანი. სადაც მხატვრულ სახეთა მთელი კალეიდოსკოპია წარმოჩენილი: „არ გაქცეულა ის არსად, არა! ის მარტოდმარტო ქალაქში დარჩა, – პოეტი დენდი და ლამანჩელი, ხომ არ მოგიკრავს, უფალო, თვალი? როგორც ხე იწვის შემოდგომის ცეცხლის ალყაში და ზეზეურად ქრება მარადი, როგორც მზე კვდება საღამოს ზღვაში, ის შენთვის მოკვდა, ის ირემივით ბალახში გდია ცრემლის ობოლი ზურბუხტებით განათებული" ...

„პოეტი ჯადო სიტყვით ახერხებს, ქალაქის აგონია ასე დახატოს, ომამდელ ბედნიერ დღეთა სურნელით დაყურსოს სტრიქონები, მეხსიერებაში დააუნჯოს იავარქმნილი სილამაზე და სიმყუდროვე და, რაც ყველაზე უფრო მთავარია შეგაშუროს მშობლიურ ქალაქში გმირად დაღუპული კაცის ბედი, ვითომ გადარჩენილს, ხიზნობისათვის განწირულს, დაგარწმუნოს ეკლესიასტეს მკაცრ სტრიქონებში – „მკვდარი ლომი რომ ცოცხალ ძაღლს აღემატება." [1]

გენო კალანდია ლექსის დიდი არქიტექტორია, მისი ნაწარმოებებს წაკითხვისას აშკარად გრძნობ, რომ პოეტისათვის წარმოსახვა ყველაზე ორიგინალური და ჭეშმარიტია... და მაინც, მთელი ლექსი ფერწერული ტილოა, განსხვავებული „ზეციურობანი" ელვის სისწრაფით რომ დანავარდობენ კო-

---

1 ნანა კუცია, ვარიაციები სექტემბრის დამლევისათვის, წიგნში „წერილები უახლეს ქართულ ლიტერატურაზე", „მერიდიანი", თბ. 2012, გვ. 140

სმიური სივრცის უსასრულობაში და იქმნება საოცარი წრე სინათლისა, რომელიც შარავანდედად ადგას თავად პოეტს, ვითარცა წმინდანს... სარკმელთან „კვირტივით ღიად დარჩენილი ბავშვის თვალები“, „ჭაბუკის თბილი ფილტვი – გაჭყლეტილი ყურძნის მტევანი“ და 27 სექტემბერი დღესაც ტკივა ქართველის გასავათებულ სხეულს... ნიაღვარივით მოედინება ცრემლები და გეჩვენება ეს ცრემლები მთელ კოსმიურ სივრცეში იღვრება. გენო კალანდიას ამ ლექსში სხვადასხვა განზომილებაში მოქცეული სურათები, სიტუაციები მონაცვლეობენ, შემაძრწუნებელია რეალობა: „გზაჯვარედინზე დგას სფინქსივით აბჯარასხმული კონდოტიერი“. ო, ბედისწერავ, – ხვედრო კაცისა, აღმართს მოჰყვება გრძელი ჩრდილი სიკვდილცხებულთა და უპოვართა ის სამუდამოდ ქალაქში დარჩა“. – ამაღლებული ეგზალტაციით შექმნილი ეს წარმოსახვითი რეალობა მისტიკური სუნთქვით იმუხტება და შემოქმედის სულის სიღრმისეული შრეებიდან ტკივილიან მოგონებებს წამოშლის...

საკუთარი სისხლის მზეში ნიშა ხარივი ჩაფლული პოეტი ჩვენი თანამედროვეა. თავისი მოქალაქეობრივი ტკივილებითა და განცდებით, თავისი მშობლიური ერთანმინდის ციდან წამოღებული სისხლიანი ვარსკვლავებით... მხოლოდ გენო კალანდიას ხელეწიფება სიტყვაში გაანივთოს და ცხადად შეგვაგრძნობინოს მისებური ხვედრის ჯვარცმული პოეტის ანტონიო მაჩადოს სიკვდილით გამოწვეული ტკივილი. „ვისია ნეტა ეს ცრემლები და ლაჟვარდები, ეს უგვირგვინო საფლავები და კუბოები, ვისია ნეტა, ასე მწუხარე, ასე თვალადი ანდალუზია? – კითხულობს პოეტი და არ ასვენებს ფიქრი იმაზე, თუ როგორია თავისი შვილის გამწირავი ქვეყნის სილამაზე, თავადაც განწირული სილამაზე... მამას ბავშვივით

უკვირდა დიდხანს, საქართველო რომ ესპანეთს ჰგავდა", – წერს ლანასადმი მიძღვნილ ლექსში. „სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი" ... (ტიციან ტაბიძე).

მართებულად მიგვანიშნებს გურამ ასათიანი „ადამიანი ცოცხალია მანამდე, სანამ ის ბედნიერებას ეძებს, ვიდრე მის გულში კიდევ ღვივის სიყვარულის, აღქმული ქვეყნის ნახვის იმედი და ერთადერთი ხიდი, რომელიც ჩვენ ამ ბავშვობის წლებში ნათელ სიზმრებთან გვაახლოებს, პოეზიის უსასრულობაში გატყორცნილი ხიდია, მხოლოდ დიდი ტკივილის ხარჯზე შეიძლება ბედნიერების ნაპირებთან მიახლოება" [1]...

დრო ყოფნა-არყოფნის სასწორზე დებს ყველაზე დიდ ფასეულობებს, დგება არჩევანის მკაცრი საათი, დაყოვნება, უკან დახევა, შიში და ძრწოლა უცხოა პოეტისათვის, მის ლექსებსა და კომპოზიციებში ყოფითი ფერადოვნებაც და ფილოსოფიურ აბსტრაგირებაც ერთ მთლიან ქსოვილშია ჩაგვირისტებული და უერთმანეთოდ არ არსებობს, მათი გათიშვა, განცალკევება შეუძლებელია, ყოველ სახეს თუ ფრაზასაც რამდენიმე განზომილება აქვს. რეალური თუ სიმბოლური, ისტორიული თუ მითოსური და მაინც, ცალკეული ასოციაციები აქ ისე მოულოდნელად ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ პოეტური სინტაქსის მეოხებით აღწევენ ლოგიკურ გამართლებას.

პოეტი ცხოვრობს სამყაროს გონივრული და ირაციონალური აღქმის მიჯნაზე, რომელსაც ზოგჯერ წვიმის წვეთები ეცემა, ზოგჯერ კი ჯადოსნური ყვავილი და მეჩვენება მისი პოეტური სასწაულები, მისი გონის, მისი საოცარი სულიერი ჭვრეტის ჭეშმარიტი ერთობლიობის შედეგია... „ღამდება...

1 გ.ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988

ქვების ისმის ბუბუნი, – ო, ვირა... ო, ვირა – ვირა! ჰე, აცე, აცე, მსახურო სიტყვის, ქვის სამეფოში ამოდი ხშირად, ამოარჩიე ის ერთი ქვა, ის ერთი ლოდი, რომ დღეს გაგითბოს მომავალი საფლავის ბორცვი" („დაუმთავრებელი ბალადა ქვაზე").

„დაუმთავრებელი ბალადა ქვაზე" „პოეტის მიერ შექმნილი სამყაროა" (მაკა ჯოხაძე) აქაა ბუნების ძლევამოსილი ზეიმი, კითხულობ და გრძნობ როგორ იწყება გენო კალანდიას პოეზიის ნამდვილი სილაღე. პოეტის ბრძოლა ესაა ბრძოლა სიცოცხლის ჭეშმარიტი გააზრებისათვის, სადაც ყველა საგანი თუ მოვლენა იდეა, თუ ფაქტი ემორჩილება სილამაზეს...

კითხულობ ამ ლექსს და გრძნობ როგორ გამქრალა მიჯნა ადამიანსა და ბუნებას შორის და სიცოცხლეში ერთი ლოდის ამორჩევის სურვილში კი სიცოცხლის მარადისობის აზრი იბადება. ჰოდა, ჩვენც მივსდევთ პოეტის უნიკალურ ხილვებს, მისი კალმის მონასმით გავლებულ ხავერდოვან ბილიკს ქვის სამეფოში რომ იკარგება და ვინ იცის, ეგებ, ის ერთი ქვა, ის ერთი ლოდია სიმბოლო სიცოცხლის მარადისობისა. მსგავსი ხილვები არასოდეს არ ტოვებს პოეტის შთაგონებას და სიწრფელეს და პირველად ქმნილის მშვენებას ანიჭებს მის რვალივით მტკიცე სტრიქონებს... და, „ხელოვნება დიდი, მძიმე მარტვილობაა, პროფესია ხელოვანისა სიკვდილამდე ყოველდღიური ომია სისხლისმღვრელი და საბედისწერო, იგი ტანჯვაა უცოდველის იობისა, არცა დავმშვიდდი, არც დავდუმდი, არცა განვისვენეო რომ ბრძანებს".[1]

გენო კალანდიას სიტყვა მართალი სიტყვაა, მან, როგორც პოეტმა საკუთარ თავს ფერწერული სურათის ხატვაში მიაგნო, ვფიქრობ, ეს შემოქმედებითი მიგნება ყოველგვარი გან-

1 ანა კალანდაძე, დასასრულამდე ჟამთა, რჩეული 1987

ძის აღმოჩენაზე ზეაღმავალი სწრაფვაა პოეტური სიმაღლეების დასალაშქრავად... პოეტმა განსაკუთრებული სიმძაფრით გამოხატა ქართული სულის უკვდავების იდეა, ქართველობის განცდა, თავისებური ნიუანსები შეიტანა ამ განცდაში და დაგვარწმუნა, რომ თვით ულმობელი ომიც ვერ წაშლის ჩვენს სასიცოცხლო ძალებ.ს უნდა ითქვას, რომ პოეტური ქმნილებები განსაკუთრებული ფერებითაა დახატული. აქაა სწორედ ყოფნა-არყოფნის ძველისძველი მოტივი, რომელიც მთელი არსებით დაუკავშირა ყოველივე ეროვნულისადმი ერთგულებას, მაღალი ზნეობრიობის თავდადების იდეას და მაინც, „წარსული, როგორც დრო – სივრცულ მეტაფორითა სასაფლაო“ (გურამ ბენაშვილი), როგორც ჩვენი ადამიანური არსებობის პრივილეგია და ნეტარი ხვედრი – აი, ის კონოტაციები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია გენო კალანდიას პოეზია. და გამოტანჯული მეტაფორებით იწერება ომის ისტორია. იწერება ჩვენი სატკივარი, გარშემოჯარული საშიში მოვლენებით რომ არის ნასაზრდოები; „ჰოი, უია, უი-ოია, წუხელ პირველად ვნახე გოია! სისხლის გუბეში იწვა თახვივით კაცი შვიდი დღე თვალებდათხრილი, როგორც შილშავი, როგორც შროშანი, როგორც ფორთოხლის შუქი ნინველი, – მანდ ჰპოვეს იგი და ბოშასავით ღამის კოცონზე დაწვეს პირველი“ და ფეხშიშველი როგორც იზიდა, წუხელ სიზმარში ვნახე ბიჭვინთა, ... მითხარ, რაღა ვქნა, მამის ხმასავით ჩაბრუნებული გულში ნაღველო, ამ განთიადზე მზისფრად, სისხლისფრად ამოხეთქილო მინდვრის ძახველო“. „ბედნიერი ტანჯული“ (ოთარ ჭილაძის ტერმინი) მთელი არსებით ისრუტავს საბედისწერო დრო-ჟამის საშინელებასა და მშვენიერებას. „და ფეხშიშველი როგორც იზიდა, წუხელ სიზმარში ვნახე ბიჭვინთა“, – ეს ის სულისშემძვრელი ხილვებია, რომელთა

გადატანა საოცარ ნებისყოფას და ენერგიას მოითხოვს. პოეტი ომის კოშმარულ სურათებს სიზმარში ნანახს, განცდილს უწოდებს და ამით ცდილობს ომთან დაკავშირებული ტკივილის გასხვისებას. მიუხედავად ყველაფრისა, სახეები და სურათ-ხატები, რომლებითაც პოეტი თავის ნაფიქრალსა და ნააზრევს გადმოგვცემს ფერადოვანი და ნატიფია, კითხულობ და გრძნობ ბოდლერისეული იდუმალ არაბესკებიანი ამფორები, როგორ ციმციმებენ მის სულში...

გენო კალანდიამ სულის საკრავებიდან ჩამოკრული მეტაფორებით მიგვანიშნა, რომ მასში უკიდურესი ტრაგიზმი მაინც ეროვნული სულისათვის ნიშანდობლივი ოპტიმიზმითაა გაწონასწორებული... ამ სულით ხორცამდე „წმინდანისა“ და მის ირგვლივ არსებული კოშმარული სურათების, ასევე ამაღლებული და აფხაზეთის გადარჩენის ბრძოლის რაინდული სულით ანთებული სივრცის გახსენებამ ჩვენი მწარე სინამდვილე კიდევ ერთხელ ამოატივტივა და საზარელი სახე წარმოაჩენინა... აფხაზეთის ომის ტრაგედიას ასეთი მეტაფორებით გამოხატავს პოეტი: „ავავაია. ტყე-ტყე ვეძებ ძუძუმტეს, შაბათის ჯუჯა ომში დაკარგულს“, ... „ჯერ კიდევ ნამჯისფერია გუგულის ძველი ბუდე“, „დევნილის მწირის, მათხოვრის ქოშით გამოვიარე საკენი თოვლში, ვაი და ვოი, ბიჭებო, ვოი, დღეს აფხაზეთი დავკარგეთ, ვოი!.. გამოვიარეთ, თორმეტი ლეშით, ცამეტი გვამით, ქალი და ბავშვი მომსდევდა გზაზე, ბავშვი და ქალი მოთქვამდა მწარედ, ვოი და ვოი, ბიჭებო, დღეს აფხაზეთი დავკარგეთ, ვოი“ ... „ავაი, დაო, სიდონი, ავაი, დაო ჩემო, საით, შე თვალებდათხრილო, ფუძემოშლილო ათგზის, ფრთებდალეწილო ლერწამო, მწვანე ფოთოლო ვაზის“ – ასე დაუსრულებლად გრძელდება პოეტის ხილვები, რითაც გვაზიარებს ადამიანური ფიქრის შესაძლებლობის

მაქსიმუმს. პოეტურ ენაზე შეგვახვედრებს სიდუმლოებით მოცულ ზეციერ ქვეყნიერებას, რაც განუსაზღვრელ გავლენას ახდენს მიწიერ ყოფის მთელ შინაარსზე. ნაღმივით აფეთქებს სტრიქონების ზედაპირს: „მკერდი მაქვს შეკრული მავთულხლართით, გულიდან ნაღველი სისხლი წვეთავს, მშვიდობით, მუხებო უმუხვართა ნახვამდის სოფელო ძუძუმტეთა! ბზიფიდან მშფოთვარე ილორამდე ცეცხლი წვიმს... ჯარი დგას სადამსჯელო, მშვიდობით შვიდფერო კარაველა! ნახვამდის, ბიჭვინთის ანგელოზო, ის ბორცვი აფხაზთა აკლდამაა, ეს კორდი ქართველთა სასაკლაო, მე უკვე შენსავით ავადა ვარ, შენ კიდევ ჩემსავით სამკურნალო“ („ანდერძი ანუ ბალადა იადონზე“), ამ განცდების პოტური ინტონაციების ხვეულებში იკითხება არა მარტო პოეტის სულის ტკივილები, არამედ მთელი ეროვნული უბედურება და მაინც, ეს საკრალური ხილვებიც გარდასული სიზმრების ფრაგმენტებია, ჩამონატეხია წარსულის იმ უცნაური და მწარე სინამდვილის აბსტრაქციიდან, დაკარგული თავისუფლების მტანჯველი ფიქრებით რომ ათრთოლებს მის სულს!

გინახავთ სადმე „სისხლიანი მზე“, „სისხლის იასამანი“, ან „სისხლის ქორწილი?“ შემზარავი და სულისშემძვრელი ხილვებია, ესაა იმ ტრაგიკული კოშმარული სამყაროს ანარეკლი, დღეს პოეტი საკუთარ სულში რომ დაატარებს, რას ვიზამთ, ბედისწერაა ყველაფერი, ბედისწერაა ისიც, რომ გენო კალანდია უფლის განგებით ხუთჯერ გადაურჩა სიკვდილს, რაშიც გვარწმუნებს წიგნის „ისევ რექვიემი“ წინასიტყვაობა. ლექსში „იფარის თეთრი კვიცი ანუ ბალადა ალეკო კორძაიაზე“ პოეტი ამბობს: „ოქტომბრის მკვდარი საღამოა, მზე იწურება ბზესთან ერთად და სისხლთან ერთად, სასჯელის ძელზე თავი უდევს მრუდსა და მართალს. ჰაერში აფეთქდა ალეკო

კორძაია – ჟიული შარტავას მეგობარი, მე იმ ვერტმფრენზე ოცი წამით დამაგვიანდა, სულ ოცი წამით დამაგვიანდა“... და მიუხედავად ყველაფრისა, რაოდენ ტრაგიკულიც არ უნდა იყოს ადამიანი ამქვეყნად, იგი მაინც აღვივებს მშვენიერისა და ამაღლებულისაკენ სწრაფვის სურვილს და მარადისობის განცდას სძენს წამიერს...

ბუნებას უყვარს ერთდროული სასწაულები. იქნებ ამითაც გვიჩვენებს თავის ძალას, ყველაფერი კი რაც ჭეშმარიტად დიადია და ამაღლებული შემოქმედში და შესაბამისად ამისა, შეუმჩნევლად მოქმედებს, მუშაობს როგორც ბუნების ძალა. შემოქმედებითი სიხარულის, ბედნიერებისა და თავისუფლების გამჟღავნების ლამაზ წამებს ჩუქნის პოეზიის მოყვარულებს გენო კალანდიას არტისტული წარმოსახვა და მაინც, მის პოეტურ კრედოს ზუსტად გამოხატავს ფორმულა – თაყვანისცემა სიცოცხლის მიმართ, ყოველი სიცოცხლე ხომ წმინდაა, მოსაფრთხილებელი და შესანარჩუნებელი, და საბედნიეროდ, პოეზიის გამწმენდელი არსიც ხომ გატაცებათა დაძლევა და ვნებათა დაურვებაა მხატვრული სიტყვის ძალით; სიტყვაკაზმული მწერლობის გზა კი ბილიკია სიყვარულის, მიმდობლობისა და შემწყნარებლობისაკენ და იშვიათია თანამედროვე პოეტი, რომლის პოეზიაც მხატვრულ სამკაულთა ისეთი სინატიფით იყოს აღბეჭდილი, როგორც გენო კალანდიას პოეზია. ეს ვინც მეტნაკლებად იცნობს ლექსის არქიტექტონიკას, არ შეიძლება განაცვიფროს მისმა ჭეშმარიტად დიდმა ხელოვნებამ... ეს მისი ლექსებიან მოგვესმის ცისფერყანწელთა და ფრანგ სიმბოლისტთა სულის შრიალი. მისი პოეზია გასაოცარი მთლიანობაა პოეტური აზროვნების და გრძნობისა, ის თანაბარი გრძნობით ავლენს აზრობრივ და გრძნობად ემოციებს და სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ გენო კალანდია

ჭეშმარიტად არისტოკრატული სულის პიროვნებაა, რამეთუ მასშია ჭეშმარიტი განცდა ქართველობისა, როცა შენს მამულში დატრიალებული ტრაგედიის მერე კიდევ შეგრჩება სურვილი თავაწყვეტილი ერთგულების და სიყვარულისა. აკი ქართული ბუნება თავისი არსით ქრისტიანულია და მისი არსთა არსი სიყვარულის დიდი უნარია...

აფხაზეთის ტრაგედიაზე იმდენი ლექსია, რომ მათზე საუბარს თაბახთა წყება არ ეყოფა... წაიკითხეთ გენო კალანდიას ლექსები და დარწმუნდებით, რომ საგანი, მოვლენა, აზრი, განწყობილება ისე მკაფიოდ ჩანს, თითქოს მზის სხივები იღვრებოდეს პოეტის სულიდან... მგზნებარე ადამიანურ ვნებათა ასახვა მისი პოეტური ხელოვნების ქვაკუთხედია, ვირტუოზული პოეტური სტილითა და ფერთა მაგიური ძალის ამაღლებული გამოვლინებით იგი ამაყად უსწორებს მხარს მსოფლიოს ბუმბერაზ მხატვარ-ფერმწერებს... მღელვარე ბუნების პოეტ-ფერმწერის კომპოზიციის უჩვეულო სრულყოფა და უზადო ნიჭი თავისთავად იძლევა შუქ-ჩრდილის თრთოლასაც და გამოსახვის შესაძლებლობების ხარისხის მაქსიმუმს. იგი წერის მანერითა და შუქ-ჩრდილის უცნაური კონტრასტულობით ქმნის რაღაც განუმეორებელი პოეტურ ქვეყანას და პირველქმნილი სიძლიერით გვიჩვენებს ადამიანურ განცდებს...

„გენო კალანდიამ როგორც სულის ჯარისკაცმა აფხაზური ომის ჯოჯოხეთურ გვირაბში გაიარა და მკითხველს სხვა სულის სამყარო დაანახა, მან ხელოვნებით გააზრების პრინციპით მწერლური განსაზღვრების ახალი ფორმულა ჩამოაყალიბა და ომის სივრცეში ადამიანთა კაცთმოყვარეობისა და კაცობრიობის უსაზღვროება დაგვანახა და ამის შესახებ პოეტური

ტრაქტატების „რკალები“ მოხატა“.[1]

გენო კალანდიამ ამხილა ამბიციებითა და ანგარებით შეპყრობილი მეთაურები, რომელთა გულგრილობამ და ღალატმა აფხაზეთი დააკარგვინა. ამ მხრივ საინტერესოა „კომპოზიცია ომის თემაზე“, რომელშიც პოეტის სულის ფორიაქი და განგაში იუნჯებს ტრაგიკულ სურათებს: „გენერალო, იყავით ჩვენთან... დარჩით ბოლომდე, რა ფერი გადევთ, რა გემართებათ? ეგ, ალბათ ჭურვის ნამსხვრევი იყო“.

გენერალი კი სიმდაბლისა და ღალატის მსხვერპლია და ისტერიულად გაჰკივის: – უკან! უკან! – უუ-კ-აააან?!

ჭეშმარიტი კოლხი რაინდი თავზარდაცემული გაჰკივის: – რატომ უკან? – იქნებ, წინ! – წინ დიდგორისკენ!

პოეტის რწმენით აფხაზეთის ომი უაზრო, და ულმობელი, სიმდაბლის, სილაჩრის ომი იყო, დაცლილი ყოველგვარი ჰუმანური გრძნობებისა და კაცთმოყვარეობისაგან. იგი კანიბალიზმის ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული მოდელი იყო.

გენო კალანდიამ სულისშემძვრელი პოეტური ხერხებით და მეტაფორებით გამოხატა აფხაზეთის ომის აბსოლუტური უაზრობა და გლობალური ტრაგიკული შედეგები. მის მხტვრულ ქმნილებებში მთელი სიმძაფრითაა დახატული უაზრო და უშინაარსო ომის ტრაგიკული სურათები, გამძლეობისა და შეუპოვრობის ლეგენდარული თავგადასავლები, სისხლისა და ცრემლის ოკეანეები, ტანჯვისა და ვაების გოლგოთა – საკენჭუბერის უღელტეხილი...

მხოლოდ ნაღდ ქართველს ხელეწიფება სიტყვაში გაანივთოს და ცხადად შეგვაგრძნობინოს და დაგვანახოს ხალიანი ევკალიპტების სევდა, ზღვასთან მდგარი პალმებისა და ევკა-

---

1 ავთანდილ ადეიშვილი, უსასრულო პოეტური პარამეტრები, 29 აპრილი 2000 წელი, „დილის გაზეთი“, გვ. 18

ლიპტების ვერცხლისფერი წვიმა. ზღვიდან ამოსული სისხლის ყვავილი, „იქროსთმიანი ანგელოზი პალმების ტევრში და სინათლეში“ ... დიახ, მხოლოდ გენო კალანდიას ძალუძს ძმების სისხლით აფორაჯებულ ბრძოლის ველზე მოელანდოს მისებური ხვედრის ჯვარცმული პოეტი ანტონიო მაჩადო, ასევე შთამბეჭდავად გადმოსცეს ათენის ისტორია და თანაზიარი გაგვხადოს იმ ტკივილებისა, რაც მაშინ ათენელებს გადახდათ, როცა სოლონმა სალამინი მტერს ჩააბარა.

„მე ამოგიღებ ბეჭდიდან მახვილს, შენ ამომიღე თვალიდან დირე, შენ სალამინზე იმღერე, სოლონ, მე აფხაზეთზე ვიტირებ მხოლოდ“. – გოდებს პოეტი და კოსმიურ სივრცეში იღვრება ტკივილიანი სევდა, თითქოს ხედავ პოეტის გულიდან წანწკარით მომდინარე სისხლს და სწორედ აქ იხატება საბედისწერო წუთის დაძაბულობაც ისეთივე ფერებითა და დინამიკით, როგორც რუბენსის საოცარ ტილოზეა („ჯვარცმა“). პოეტის გლოვის ზარი კულმინაციურ წერტილს აღწევს და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს მისმა წარმოსახვამ ერთმანეთს დაუკავშირა ოცდაექვსი საუკუნის წინათ ათენში მომხდარი ისტორიული მოვლენა და აფხაზეთის კოშმარული ომი. უნდა დავეთანხმოთ პოეტს, როცა წერს: ... „ის სალამინი იყო ნამდვილი, ეს აფხაზეთი არის ნამდვილი, ის მწუხრის ზარი იყო ნამდვილი, ის ჩუმი გვრინიც არის ნამდვილი. ვაი... ვაი, რომ ყველაფერი არის ნამდვილი“ ... და თითქოს ტკივილმა და სევდამ იბარტყაო, მკითხველის მეხსიერებაში ამოტივტივდება ლექსი – „კომპოზიცია მამის პორტრეტისათვის“: „ცრემლი რომელიც დაგიმალე, სიტყვა, რომელიც ვერ გითხარი, ბალახივით ამოდის მზეზე“ ... პოეტის უამრავი ლექსი მიძღვნილი აფხაზეთის ტრაგედიისადმი სევდიანი და ტკივილიანია, მაგრამ თაალმობისა და სიყვარუ-

ლის ცრემლებით გალიცლიცებული.

„სილამაზეს ფიზიკურად ვგრძნობთ, როგორც რაღაც ხელშესახებს, მთელი სხეულით რომ აღიქვამ, ეს არ არის განსჯის შედეგი, სილამაზეს არ ვწვდებით კანონების მიხედვით, მას ან ვგრძნობთ ან არა... სილამაზე გვისაფრთდება, თუ შეგრძნების უნარი გვაქვს, ვგრძნობთ მას პოეზიაში ნებისმიერ ენაზე". (ეს ბორხესია).

წაიკითხეთ გენო კალანდიას ლექსები და აშკარად გრძნობთ, რომ სილამაზე თვით ტრაგედიაშიც ასხივებს. აი თუნდაც: „ის ირემივით ბალახში გდია... ცრემლის ობოლი ზურმუხტებით განათებული" („კომპოზიცია ჯუმბერ ბეთაშვილის პორტრეტისათვის") „ვნახე ახალი სიყვარულით მკვდარი ირემი, – იმისი გულის ნახანძრალი, ნადარბაზევი" ... („გაზაფხულის კომპოზიცია ანიმალისტის პორტრეტით"). „ხოხბის ფრთასავით დაჭრილო დილავ, კორიდას ალო და სალამურო, ფორთოხლის ხალო და ვარსკვლავებო, ჭვავის და ქერის ოქროს ჩარჩოში ჯვარედინად ჩამდგარო მზეო" („კომპოზიცია ანტონიო მაჩადოს პორტრეტისათვის") და ასე უსასრულოდ გრძელდება შემაძრწუნებელი რეალობით აღბეჭდილი მისტიკური ხილვები და „კაცი თითებზე დამხობილა, დიდი ხანია არ მსმენია ჩვენი ლაშქრული: „აბა ულა!" კაცი მუხლებზე დამხობილა, აღიღე ხრმალი ხალიბური, – დიადი წიგნი სასჯელისა, წარკვეთე თავი ბოლოკისა შენი ძვალმსხვილი მარჯვენითა, აღიღე ხრმალი ხალიბური..." ეს მოთქმა და ჩივილი გენო კალანდიასეულია. ის ჩვენი თანამედროვე ტაია ბედიაა, რომელიც სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე უერთგულებს მშობლიურ ქვეყანასა და თავის ხალხს. გულწრფელია პოეტი, როცა წერს: „უკანასკნელი იმედი ვარ, განწირულთა და უპოვართა, მწუხარე დროშა, გაქცეულთა, დამა-

რცხებულთა, უკანასკნელი ხომალდი ვარ წყალწაღებულთა“. მის ლექსებში სამარადისოდ აღიბეჭდა უაზრო ომს შეწირული ღიმილის ბიჭების ამოუცნობი ფიქრი და სევდა. ყოფის ტრაგიზმით უღმერთოდ დათრგუნული სულის კივილი მოგვესმის მისი ლექსებიდან, მაგრამ აფხაზეთის კუნაპეტ ღამეში ზეციდან ჩამოშლილი ქათქაა მთვარის ვერცხლისფერი წვიმაც მოგახუჭვინებთ თვალს... ეს მის პოეზიაშია ტაძრისკენ მიმავალი ყვავილებით მოჩითული ბილიკი, ფერთა ზეიმიც და ცაში ლოცვად ავარდნილი პოეტის ჩუმი ვედრება: „ბზიფიდან ბეთანიამდე, ბეთანიიდან ბზიფამდე „მამაო ძეო, მოძღვარო, მხოლოდ შენ უნდა წირავდე“ („მზიფიდან ბეთანიამდე“), თუკი მართლა არსებობს პოეზია, თუკი არსებობს მეწყერივით მოვარდნილი ლექსი, ხატი, მაშინ გენო კალანდიას „კომპოზიცია ქარებზე“ ინტუიციურად დამაჯერებელია და რწმენით სავსე. მშვენიერი ჰარმონიით, აზრისა და სათქმელის ესთეტიზირებული სიღრმითა და სიდიადით. როცა რაღაც უჩვეულო და სასწაულებრივი განცდა შემოდის შენს არსებაში: „ქარები – ჩურჩულებენ, ქარები – ხარხარებენ, გუგუნებს ტანჯულის ზარი, ქარები მძარცველები, ქარები – ყაჩაღები, ხეობის საორბე კარით, ქარების ბასიანი, ქარების ბასტილია, გვამები... წყვდიადი ცივა, ყინულის ფორთოხლები, შროშნები, გვირილები, შაქარყინულივით ბზინავს... ხევიდან ხეობამდე, კარვიდან კარვებამდე, თოვლი თოვს... სისხლის დგას ტბორი, ქარივით მარტვილი ვარ, ქარივით მაწანწალა, უფალო, შეუნდე ცოდვილთ! (1,37,210).

ამ ლექსმა რესკინი გამახსენა: „ფერი რბილდება სიძნელისაგან, მაგრამ ისინი მკვეთრდებიან ტენის გამო, ტენიანი საგანი რა ფერისაც უნდა იყოს იგი, ორჯერ უფრო მკვეთრია, ვიდრე მშრალი საგანი და როცა დედამიწაზე მიიწურება მზის

ელფერები, ცოცხლდება სრულყოფილი სიმწვანე ბალახისა და ფოთლებისა, ისინი აღარ ირეკლავენ თეთრ სინათლეს და ბატონდება მათი საკუთარი, უფრო მსუყე ფერი".

გალაკტონის ლექსში „ქარი ჰქრის" ქარის შეუჩერებელ გრიალს, გაფრენილი ფოთლებისა და რკალად მოხრილი ხეების რიგს, წვიმისა და თოვლის უსიამოვნო განცდაც დაემატა და როცა გვიანი შემოდგომის სურათი ზამთრის მკაცრ სინამდვილედ გადაიზარდა ფერები გამუქდა და პოეტს სრულიად გადაეწურა დაკარგული მეგობრის პოვნის იმედი. „ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს" ... ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ სისხლიანი ეპოქებით აღძრული სულის ტკივილი გალაკტიონმა მაღალი პოეტური ოსტატობით გამოხატა თავის პოეზიაში („ატმის რტოო", „მზეო თიბათვისა", „ქარი ჰქრის") გენო კალანდია გალაკტიონივით თავისი სულის ტკივილებს გადმოშლის, მისი ძალმოსილება თანხვდება საერთო ადამიანურ ძალმოსილებას და თავისთავში იქცევს ეროვნულს, კაცობრიულს, კოსმიურს, ლექსში პერსონიფიცირებული ქარი აფხაზეთის ტრაგედიის, ძმათამკვლელი სისხლიანი ომისა და საზოგადოების ცხოვრების აშლილობის მეტაფორული სახე, სუნთქვაშკრული შემოქმედის პოეტური შთაგონებაა.

გენო კალანდიას პოეტურ სამყაროში ერთად თანაარსებობენ სიკვდილი და სიცოცხლე, სიყვარული და სიძულვილი... ქვემეხებისა და ქარის გრიალში ხარის გულივით გამსკდარი მშობლიური მიწის გუგუნით სულშეძრული პოეტი მოგზაურობს თავისი სულიერი დის ემილ დიკინსონის სამყაროში და ეძებს მშვენიერებას, სილამაზეს. პოეტის სურვილი უკიდეგანოა, პიროვნული შებრძოლებების, გზების, გადასასვლელების, საშიში და მძიმე მისტიკური განცდებით შეფერადებული ხილვებით, შთამბეჭდავი მეტაფორებით მიგ-

ვანიშნებს, რომ სიცოცხლე თავდავიწყებისა და ეგზალტირებული ზეიმის გარდა საფიქრალიცაა, დიდი ტკივილიც და უკომპომისო ბრძოლაც. აქ პოეტური აზროვნება შინაგან მფეთქავ ძარღვსაა დამორჩილებული და რაოდენ ძნელია გაექცე დროს, გემოვნებასა და სულში ჩაკირულს, მაგრამ მაინც ახერხებს ახლებურად გამოსახოს, დაამკვიდროს, სათავე დაუდოს სიცოცხლის აპოლოგიას და მთელი არსებით მიგვაყურადებს: „კარებთან უკვე ფეხის ხმა ისმის, კარები უნდა გაიღოს უცებ“ ... (ემილ დიკინსონი).

როცა გენო კალანდიაზე ვსაუბრობ, – ესმა ონიანის წერილი (დავით კაკაბაძეზე) გამახსენდა, სადაც ამბობს: „რიტმული წესრიგი, ყოველი გამოსასახავი დეტალის მნიშვნელოვნად გამოცხადება და მოწონება, საერთო მთელში მათ შორის როლების გადანაწილება, მთელის დამორჩილება და მთელით განპირობებული მათი არსებობა, ორნამენტული ნაბეჭდობა, სათქმელის რიტმულ-დეკორატიულ ღერძზე დაყრდნობა, აი, რა უნდა ვისწავლოთ მისგან“...[1] პოეტის მთრთოლვარე გული მზადაა თავისი ერის სიყვარულისთვის ყველაზე ძვირფასი განძი გაიღოს, მის შემოქმედებაში მთელი სამყაროა წარმოჩენილი ბულბულივით დახუჭული თვალით, გულის სხივთა ნაგალობარით. ეს მის პოეტურ ფერწერაში დიდებულად ანთია სივრცე... პოეტის სიტყვა ცისკრის ლოცვასავით გამჭვირვალეა და, ამავე დროს ისეთივე მძლავრ ტალღებად მოქანებული ზვირთებია, როგორც მოცარტის საორკესტრო ფაქტურა. ხან კი მთელი საორკესტრო პლასტი მოგელავს, ვითარცა გაუხედნავი ძალა, რომელიც არღვევს სულის ჯებირებს და უნებურად ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდება ლექსი

1 ესმა ონიანი, მუსიკა, პოეზია, ფერწერა, წიგნში „ჩანაწერები“, თბ., 2011, გვ. 125

„ავტოპორტრეტი თბილისის ფონზე“: „ვჩქარობ და ვჩქარობ, ყოველდღე ვჩქარობ! სიზმარში, ცხადში მტკივა და ვჩქარობ, შინ დაბრუნებას ვჩქარობ და ვჩქარობ!... ჩემი სახელის, ანდერძის პატრონს, – დღეიდან მარტო ვტოვებ და... ვჩქარობ!.. ... თქვენ გქონდეთ თქვენი ვარდი და დაფნა, მე აფხაზეთში ვჩქარობ და ვჩქარობ!“.

ერთობ რთულია და ძნელი, გენო კალანდიას სულის იეროგლიფების ამოკითხვა, მის სულში დავანებული სივრცის თაღზე მუდმივად სევდიანი ვარსკვლავების ღიმილია განფენილი... „ფესვები“ კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ადამიანი არ არის დროის გარკვეულ ქრონოლოგიაში ჩატეული არსება, რომელიც იბადება ამა და ამ წელს და კვდება ამა და ამ წელს. ადამიანი იწყება იქ, სადაც იწყება საკუთარი ერის ისტორია, მისი წარსული...

გენო კალანდიას ყოველი ლექსი პარადიგმულია, რამეთუ მეტაფორულ, ტროპულ, სიმბოლურ იდეას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლექსის ესთეტიკისათვის. მისი პოეტურ სამყაროში კვირაობით თოვლის ჩიტი ზის ზამთრის რტოებში, წინაპრის ცხელი სისხლითა აქვს შეღებილი პერანგი. („პოეტის სიკვდილი, საუბარი გრიგოლ ორბელიანთან“) ან კიდევ; მას შეუძლია დაინახოს „გველს ხვითო ამოჰქონდა ლერწმის მწვანე ღეროდან“, მთელი არსებით იგრძნოს ქედანივით მოღუღუნე ღამის ბუხრისა და ძიძიშვილის მიერ გამოცვლილი ოშოშიის სითბო და რა საოცარი ოქსიმორინია: ... „ოღონდ ეს შაშვი, – ეს დიდი ბავშვი„სულ დაფრინავდეს ოდიშის ცაზე, ბერის, მონაზვნის, წმინდანის საშვით, ანჯაფარიძის სერთუკით ტანზე“. („შაშვი“).

„შაბათი ჩემი განკითხვის დროა, შაბათს ვიგრძენი ტანში უეცრად, მამულის სევდა და აგონია, შაბათს აღსრულდა ნება

კაენის... შაბაოს დაინგრა თვით კართაგენიც, – ცეცხლის, მახვილის საკურთხეველი... ო, ერთადერთო, ჩემთვის უშენოდ შაბათი მკვდარი ფარშევანგია“ ...

და მაინც, როგორც არისტოტელე ბრძანებდა: „უმთავრესი მეტაფორის ფლობაა, მხოლოდ ამის გადაღებაა შეუძლებელი სხვისგან, ეს ნიჭზე მიგვანიშნებს, რამეთუ მეტაფორის შექმნა მსგავსების შემჩნევას ნიშნავს“. მეტაფორა სპეციფიკურ, არსებით რეალისტურ დეტალთან ერთად წარმოადგენს საგნის ცოცხალსა და მკაფიო გამოსახვის უტყუარ საშუალებას და თუკი გონების თვალს მოვავლებთ გენო კალანდიას სახესიმბოლებს, ვიპოვით იმ ერთიან ზოგად შეგრძნებას, თავიდან ბოლომდე რომ გასდევს მის მრავალწახნაგოვან პოეტურ სამყაროს. მისი პოეტური ხატები და მეტაფორები ორიგინალურია და უჩვეულო მხტვრული აღმაფრენით, დიდი არტისტიზმით გამორჩეული, რომლებიც ნაწარმოებისაგან მოწყვეტილნიც კი ინარჩუნებენ პოეტურ ნიშანთვისებებს.

და თუ სადმე ქვეყანაზე ჩუმი სევდა-ნაღველია, ყველა პოეტის გულს სიყვარულის მერიდიანებად შემორტყმია და გულის სითბოში იბადება უმშვენიერესი პოეტური სიტყვა, მართალი აზრი, ისე როგორც ჩიტის ბუდეში ბარტყი. და მაინც, მის ლექსებში უმთავრესად შუქ-ჩრდილის სიღრმე და სიდიადეა. მაღალი ოსტატობით ამოთქმული სულიერი განცდები. ის ჭეშმარიტი რეალისტია, რომელიც თვით ბიბლიურ-მითოლოგიურ სიუჟეტებშიც კი გაბედულად შეებრძოლება ბოროტებას და გეჩვენება თითქოს წყვდიადშიც მზეს ააფეთქებს და ტკივილით იტყვის: „სულ თეთრი ქვების ავაგოთ ციხე, ბზიფის, ლიახვის, არაგვის კიდით. ვიდრე განკითხვის დადგება ჟამი, ვიდრე განგება მოგვიღებს ბოლოს. აბა, ულა-ა-ა-ა-ა-ა-ა!“.

გენო კალანდიას პოეზიაში აფხაზეთის ტრაგედია

მასშტაბურადაა გამოხატული და გააზრებული. „ისემც წერაა, ასემც ბედია თვალდაშრეტილი ჩემთვის ბედია. ო, ის ღრუბელი, დედის ცრემლივით ილორის მეცხრე პორტალს ჰკიდია და... სასალბუნე ვარდად ჰყიდიან. რისი ეგვიპტე... ვისი მიდია... აგერ შენს თვალწინ გოგოს ყიდიან, ყიდიან... ჰო, როგორ ყიდიან“ ... ამბობს პოეტი და მისი ამაღლებული სული გოდებს აფხაზეთის დაკარგვას, ენატრება მშობლიური ფერები, წარსულში დარჩენილი ოქროსფერი ფორთოხლების სურნელება, რომელიც ენგურსგაღმა დარჩა „სოფლის ვარსკვლავად“, „ზღვის ზურმუხტად“... პოეტი ფართოდ გახელილი თვალებით გაჰყურებს თავის სამშობლოს – ენგურსგაღმა დარჩენილ საქართველოს. მისი დღევანდელობა, მისი სულის ტკივილი და ტანჯვაა. ჩვენი დრო ტკივილებით, სიხარულითა და სილამაზით მაღლდება გენო კალანდიასთან... დროის ტრაგიკულმა მეტამორფოზებმა ვერ გააფერმკრთალეს მისი ჭეშმარიტი პოეზიისათვის ნიშანდობლივი მშვენიერებანი... პოეტის სული გააფრთრებით აწყდება ტკივილით გარემოცულ სივრცეს, რომლის წიაღშიც ერთად ბობოქრობს ძალმომრეობაცა და ძლიერზე გამარჯვების დიადი სურვილიც: „ფრთააშვებული სიძულვილის, საწამლავის, სიკვდილის გავლით, მაღლა, ო, მაღლა, სიყვარული მეძახის მაღლა“...

სონეტი და სინამდვილე

თვალსაჩინოა გენო კალანდიას პოეტური ხელოვნება. მას ბედმა „დაარისხა“ პოეზიაში ახალი ესთეტიკური კულტურის ძიებისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლა... თავისი აზროვნებით, ინტელექტით, განსწავლულობითა და სულის ელეგანტურობით ხელოვნების დიდოსტატად წარმოუდგება თანამედროვეობას. მან, მართლაც შეძლო პოეზიის უღელტეხილების დალაშქვრა და ახალი ქვეყნის ხელახლა აღმოჩენით ტკბობა...

მართებულად ბრძანებს გალაკტიონის „არტისტულ ყვავილებზე“ ა. ნიკოლეიშვილი: „ამ წიგნში თავმოყრილი ლექსებით გალაკტიონი პრინციპული ხასიათის სიახლეებს ამკვიდრებს ქართულ პოეზიაში“[1] და დღეს „იშვიათია თანამედროვე პოეტი, რომლის პოეზია მხატვრულ სამკაულთა ისეთი სინატიფით იყოს აღბეჭდილი, როგორც გენო კალანდიას პოეზია. ის ვინც მეტნაკლებად იცნობს ლექსის არქიტექტონიკას არ შეიძლება არ განაცვიფროს მისმა ჭეშმარიტად დიდმა ხელოვნებამ.

როგორც ზემოთ ითქვა, გენო კალანდია საზრდოობს ქართული და ევროპული პოეზიების ტრადიციებით. ამიტომაც ხშირად გვაგონდება მისი ლექსების კითხვისას გალაკტიონი, ტიციანი, შ. ბოდლერი, ა. ვერლენი და სხვები. ამის მიუხედავად, დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ გენო კალანდიას „ფესვები“ ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ შემოქმედი სიღრმისეულადაა გაცნობიერებული მსოფლიო პოეზიასა და ფილოსოფიურ ნააზრევში, ბიბლიასა და თეოლოგიურ ტრაქტატებში.

---

1 ა.ნიკოლეიშვილი, 1982, ქართული საბჭოთა კრიტიკა, თბ. 1950. გვ. 150

„იმ დროს, როცა ირღვეოდა ლექსის სტრუქტურა გენო კალანდიამ სონეტებსა და ტრიოლეტებს მიმართა, მაშინ როცა რომანტიკას ებრძოდნენ პოეზიაში, მწვანე წვიმები, ფორთოხლისფერი სალამოები კარგ ტონად ითვლება – შემოდგომის მოტივებს უსმენს, იების ცრემლს ხედავს და გულს უკლავს განშორების სევდა; როცა სამშობლოსა და მშობლიურის გრძნობა ლამის ზედმეტი გახადეს – ნაცრისფერი სამეგრელოსა და დაკარგული აფხაზეთის ტრაგედია არ ასვენებს.

გენო კალანდია პოეტი-მოღვაწეა, რომლის ლირიკაში გაერთიანდა ჩვენი დღეების კოშმარი და აღმაფრენა.[1]

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ლექსის შექმნის პროცესი ბუნებრივად გულისხმობს რაციონალურის და ირაციონალურის, ლოგიკურისა და არალოგიკურის, მისტიკურის თანხვედრასა და ურთიერთგაპირობებულობას, რაც ხშირად პოეტის მიერ ლექსის ფორმის არჩევანშიც გამოიხატება. სონეტის ფორმა, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული „პოეტური სიბრძნის განსახიერებად, პოეტური ოსტატობისა და მძაფრი ემოციური მეხსიერებით აღბეჭდილი სახეების მოწესრიგებულად, კანონზომიერად წარმოდგენის საშუალებას იძლევა“.[2]

გენო კალანდია თავისი განუმეორებელი პოეზიით ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას 70-წლიანი ისტორიის მქონე ევროპული სალექსო ფორმის მიმართ. მისი სონეტები დღევანდელი ქართული ესთეტიკური კულტურის უმნიშვნელოვანესი შენაძენია, რომელშიც არქეტიპული პლასტით სახე-სიმბოლოთა სამყაროსა და ქართული მწერლობის პლასტების გადაკვეთაზე წარმოჩინდება ჩვენი მწარე სინამდვილე,

---

1 ს.სიგუა, პოეტი-მოღვაწე, წიგნში გენო კალანდია, „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი, 2005. გვ. 15

2 თ.ბარბაქაძე, ტიციან ტაბიძე, წიგნში, „ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი“, თბ. 1995, გვ. 157.

უნიკალური ინფორმაციები ერის კულტურული ცხოვრების შესახებ.

გენო კალანდიას სონეტებში არის ახალი გაუშიფრავი პოეტური ენიგმები, რომელთა სიღრმეში წვდომა ერთობ რთულია და ძნელი. მის პოეტურ კრებულში „ფესვები“ 200-მდე სონეტია შესული და თითოეულ მათგანში გაცხადებული ყოველი აზრი ხორცშესხმულია, იდეას სიცოცხლე აქვს მინიჭებული, რაც ამდიდრებს, აფართოებს, აღრმავებს პოეტის ეთიკურ-ესთეტიკურ კონცეფციას, მხატვრულ თვალთახედვას. პოეტი, ესაა სული სხვადასხვა სამოსით, ოღონდ მარად ცოცხალი და ვფიქრობ, ეს არსებითია, ეს მისი იდუმალი ალღოა, რომელიც კარნახობს, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს გული, მისი ყოველი ქმედების პასუხისმგებელი.

გენო კალანდიასათვის უმთავრესია ადამიანის გონი, მატერიალური დაკვირვებისათვის მიუწვდომელი უხილავი ზეარსი. მისი სონეტები ციკლებადაა წარმოდგენილი: „ზღვის სონეტები“, „სონეტები სიყვარულზე“, „შემოდგომის სონეტები“, „საღამო ხანის სონეტები“. საერთო სახელწოდება ამ ოთხი ციკლისა „გრაალი და კარიატიდებია“. აკი „კარიატიდის“, რ̣ოგორც სვეტის სიმბოლური გააზრება და მისი დაკავშირება სონეტის ფორმასთან, ბერძნულ ქანდაკებასავით სრულქმნილსა და უნაკლოსთან, ბუნებრივი უნდა იყოს გენო კალანდიას მხატვრულ-სახეობრივი აზროვნებისათვის. ასევე შეიძლება სიმბოლურად ახსნა გრაალისა, როგორც სიწმინდის მცველისა“[1]. იქ, წმინდა ძელთან, უფლის დიად საკურთხეველთან ლოცულობს იგი, – ფეხშიშველი ვარდისყელიან ტაძრებს ანათებს სულიწმინდა, თითქო თმებიდან მოწვეთავს შუქი ძოწისფერი, ღამისმთეველთა. ნარინჯის სევდა, მთვარის კვეთი, ზეთის

1 თ.ბარბაქაძე, სონეტი ფიქრით, გულით და გრძნობით, „ცისკარი“, №4, 1997.

სურნელი, იდუმალების ნელი ჰანგით ავსებს მოწამის უმანკო სხეულს, – განფენილი სხივით ლოცვანი – და ვაზის ჯვარი, – ნუგეშინი უკანასკნელი“ („მარტოხელი“).

ამ ლექსში რაღაც საოცარი სულის სინათლეა, ტკივილიცაა, მაგრამ სასწაულებრივია სულიწმინდის მადლით გაცისკროვნებული ტაძარი, ღამისმთეველთა ძოწისფერი შუქით აბრიალებული სივრცე. აქ ფორმისა და შინაარსის ახლებური სტილისტიკაცაა, სადაც ფერშიც ლექსის საერთო სულისკვეთება ილანდება: „ნარინჯის სევდა, მთვარის კვეთი, ზეთის სურნელი... და ვაზის ჯვარი, – ნუგეშინი უკანასკნელი“.

ბიბლიური ალუზიების ფონზე მისი უჩვეულო სიტყვათქმნადობის თავისებურებანი მიგვანიშნებენ იმ საიდუმლოს გამოსახვაზე ხილული სამყაროს მიღმა რომაა. მისი გულისთქმა „ცის იქით ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება“ (ნ. ბარათაშვილი).

„სასჯელის ძელში“ შთამბეჭდავადაა დახასიათებული სონეტის, როგორც მყარი სალექსო ფორმის თავისებურება: „სონეტი – სუნთქვა, სიყვარული უკანასკნელი, ოქროს მარყუჟი, ბორკილების ხელზე დადება, სიცხე, წითელა ბატონები, ძვლების ანთება, მელანქოლია, რომაული ბაღის სურნელი. ოსტატის ხელით გამოთლილი კოშკი სმარაგდის, თეთრად დასიცხულ დედოფალთა ლურჯი მარაო, თოვლის ზამბახის ელვარება, გულის სანაო, მოვის უბეში შენახული ცრემლის ბარათი. ომში, დუელში მიმავალის სისხლი ფიცხელი, მწირის სენაკი, კვირის ლოცვა ვარსკვლავთმრიცხველის, სასჯელის ძელი – ხორცთან გაყრა სიკვდილმისჯილის. სონეტი – ვარდის ნაფერთალი, თაფლი ველური, მზეში, მთვარეში, ირმის რძეში ამოვლებული, ქითსის საფლავზე ამოსული პურის ჯეჯილი.“

მოტანილი სტროფი ორიგინალურია. აქ აშკარად იკვეთე-

ბა პოეტის ემოცია, რომელმაც მრავალი მიზეზით უმოწყალოდ აღრეულ სალექსო ზომებს, ისევ და ისევ თავისი „ვაზის ლერწი“ (ც.მ.) ამჯობინა, ანუ მიენდო თავის გამჭოლ მზერას, მაღალ გემოვნებასა და პოეტურ-პათეტიკურ აღტაცებულ ინტონაციას. როგორც თამარ ბარბაქაძე აღნიშნავს: „გაქვავებული მეტაფორები და დოგმატური სიმბოლოები კიდევ უფრო განამტკიცებს რწმენას, რომ სონეტის ფორმა ძნელად ემორჩილება ცვალებადობას, აქტიურ, ქმედით დამოკიდებულებას საკუთარი გარსის მიმართ არავის აპატიებს“.[1]

გულწრფელობა, პირდაპირობა, რაინდული სული პოეტის ღირსებაა. იგი სწორედ ბუნებასთან წილნაყარობიდან, სამყაროს ჰარმონიისა და მშვენიერების შეგრძნებიდან ცხოვრებისადმი (შემოქმედის) ღრმა ჰუმანური დამოკიდებულებიდან მომდინარეობს. მის სონეტებს გააჩნია ახალი, უაღრესად დახვეწილი თავისებური ელფერი, რომელიც მისი ორიგინალური შემოქმედებითი ბუნებითა და პოეტური არტისტიზმითაა გაპირობებული.

ქართლის ცხოვრების ქრონიკები, „მრავალტანჯული მიწა იბერთა“ პოეტის სულის ნაწილია, სახელოვანი წინაპრებისაგან გადმოცემული ქვეყანა ურიცხვი განძით, მთელი უძრავ-მოძრავით, დარუბანდიდან ნიკოფსიით მისი საასპარეზოა. „ღვთისმშობლის ცრემლით განბანილი მამულის ხატი მტკვარს მიაქვს მთვარეზე ვით წარსულის ძველი ეტრატი“, – ამბობს პოეტი და იმ გარემოს ტყვეობაში გვითრევს, საიდანაც გვიჭირს გამოსვლა. პოეტის წარმოსახვა არღვევს დროის სამანებს და მთელი არსებით ცდილობს გარდასულის შეხსენებით სული არ დაგვიმძიმოს, თითქოს ხელს გვადებს და გვეფერება, ცისარტყელასავით გვეფინება მისი გრძნეული ძალა

1 თ.ბარბაქაძე, სონეტი ფიქრით, გულით და გრძნობით, „ცისკარი“, №4, 1997.

და უბრალოებითა და მაღალი ოპტიმიზმით გვაგრძნობინებს სიცოცხლის მარადიულობის რწმენას.

გენო კალანდიას სონეტები იმდენად ორიგინალურია და თვითმყოფადი, რომ მთელი არსებით რწმუნდები პოეტის სულის ელეგანტურობასა და უნიკალურ ფანტაზიაში. მისი პოეტური ესთეტიკა დახვეწილია და უმშვენიერესი. ახალ-ახალი პოეტური ფორმების ძიება პოეტის უმთავრესი მიზანია, რომელსაც მუდამ გასდევს დიადი სულისკვეთება – „ტკივილი და იმედი ფრთებწაჭრილი სამშობლოს გამო, მშობლების, ძმების, ქალისა და მეგობრის სათუთი და ერთგული სიყვარული და, რაღა თქმა უნდა, თავისუფლების ნანატრი სურნელი“ [1]...

გენო კალანდია გრაალის ორდენის ერთგულია, რომელსაც ღრმად სწამს, რომ ამქვეყნად უეცარი სიკვდილი პოეტებისა და რაინდების ხვედრია, მაგრამ მათი ამბორი საქართველოს ციხე-ტაძრებზე სანთლის ალივით აღიბეჭდება: „ვლოცულობთ მზეზე, სიყვარულზე და გაზაფხულზე, ვგევართ სენაკის ბერ-მონაზვნებს, ქრისტეს მსახურებს, ნაგვემი შუბლით და ჩაცვივნულ თვალთა ოვალით. გადარჩენილი ვარსკვლავების ქუდი გვახურავს, სხვა სინათლეში, სხვა სივრცეში მივალთ მეფურად. სახელი გვრჩება ბუმბულივით ჰაეროვანი“. – ამ საოცრად ლამაზ სონეტში დახვეწილი და გამაოგნებელი ხატსახეებითა და მეტაფორებით, შინაგანი განცდების, ფიქრისა და გრძნობის აბსტრაგირებით პოეტი ფილოსოფოსი და მოაზროვნეა, რომელიც შეუმცდარად სჯის და მზეზე გამოფენს მისთვის ჩვეულსა და უცხადეს ნიუანსებს. მისი გულისმიერი და სულისმიერი განსჯა – მსჯელობანი კვლავ ქმნის ახალ, ირეალურ მისტიკურ სახეს, რომლის გააზრებაც ჩვეულებრი-

1 ვახტანგ ბახტაძე, მათ სამთა გმირთა მნათობთა, „ჩვენი მწერლობა“, 21 სექტემბერი, 2012.

ვი მოკვდავისათვის შეუძლებელია.

„ვარსკვლავების ქუდით“ სხვა სივრცეში მიმავალი პოეტის დიადი სურვილია, როგორმე ყოფიერების დასასრულისაკენ დაქანებულ კაცთა მოდგმას სიყვარული მოუვლინოს მხსნელად. რაინდი პოეტის სულისკვეთებამ მთელი კოსმიური სამყარო მოიცვა, სამყარო ვარსკვლავების შუქით სხივფენილი... გენო კალანდიას ყველა სონეტზე დაწვრილებით საუბარი შეუძლებელია. საგულისხმოა ის, რომ ამ ციკლის სონეტებში სიმბოლურადაა გააზრებული სონეტების რიცხვიც და თავისებურებაც. პოეტი ხშირად მიმართავს ტრადიციულ საზომებს 5/4/5/ ე.წ. მცირე ბესიკურით არის შესრულებული სონეტები „ლაზები“, „აფსირტე.“ „თევზის სეზონი“ კი ათმარცვლიანი (5/5). გვხვდება თოთხმეტმარცვლიანი (სიყვარულის სონეტები) და ათმარცვლიანი სონეტებიც. პოეტი ხშირად მიმართავს ჰეტეროსილაბურ, ანუ არათანაბარ მარცვლიან სტროფებს – „მესამე თვალი“.

გენო კალანდიას სიტყვითხელოვნებაზე ჩვენს სალიტერატურო სივრცეში არაერთი საინტერესო წერილი დაიწერა: მუხრან მაჭავარიანის, მაკა ჯოხაძის, ჯარჯი ფხოველის, სოსო სიგუას, რენე კალანდიას, ვახტანგ ბახტაძის, ჯუმბერ თითმერიას, ნონა კუპრეიშვილის, თამარ გოგოლაძის, გური ოტობაიას, ვახტანგ ხარჩილავას და სხვათა...

სახეობრივი აზროვნების თვალსაზრისით ის გამორჩეული, თავისთავადი და განუმეორებელია, რომელიც საშუალებას აძლევს საგანთა და მოვლენათა სიღრმეები თვითონ შეიმეცნოს და სხვასაც გაუმჟღავნოს ამ სიღრმეთა სულის საიდუმლო მოძრაობანი. ციკლში „ზღვის სონეტები“ გაცხადდა პოეტის რაინდული ბუნება, თქმულებების, ლეგენდების, მითების სიმბოლურ ჭრილში გამოყენება. შემოქმედებითი გააზრება მისი

ერთ-ერთი პოეტური თვისებაა.

ზღვის სონეტებით პოეტს ჩვენამდე მოაქვს მითოლოგიურ-მხატვრული სახეებით გაცოცხლებული ბავშვობის, ყრმობის სურნელი. „ბადეებს შლიან და ჭრიალი ორჩხომელების ისმის ხორხოცად ოჩოკოჩის ქარის ქიმერის“ – სინოპით გარბის ქვებუდანი ბერძნების ჯარი, ორჩხომელების უკან მისდევს დარბაზის კარი, სიცოცხლედ გიღირს გამარჯვება და ყლუპი წყალი. გაზისის ზვირთებს შეგიღებავს შენივე სისხლი, აწ კვე სიძე და მოყვარე სიკვდილის ღირსი. დაგრჩება ობლად სალომეა – სასახლის თვალი“ – ამ სონეტში ბერძნულ-რომაული მითებისა და ლეგენდების გმირები ბრწყინდებიან და აშკარად იკვეთება პოეტის მრწამსიც – სიბრალულის, სინანულის, მიმტევებლობის, თანალმობისა და სიყვარულის დიადი უნარი. ობლად დარჩენილი სალომეა სასახლის თვალი“ – რელიგიურ-ფილოსოფიურ განცდებს იმარხავს, სხვანაირად შეუძლებელიცაა. პოეტი ჭეშმარიტი ეგზისტენციალისტია: „შენს ნათელში ვარ, შენს მთვარისფერ სამლოცველოში, იქ, სადაც უფლის სიყვარული ასე დიდია, ისე მაღალი გეგონება თითქოს დილიდან ბეთლემს მიდიან მონაზვნები ანგელოზები... მე ცრემლს ვმალავდი ვით მარგალიტს, რომ ეს ქვეყანა აღმომეჩინა ხელმეორედ წმინდა ხმათათვის“. ეს სონეტი პოეტის სულის ღმერთთან შეერთების წყურვილად მესახება და ცხადად ვგრძნობ სტრიქონებში არეკლილი შთაბეჭდილებების მიხედვით მისი წარმოსახვისა თუ სინამდვილის უპირველესი საყრდენი ქრისტიანული ფასეულობებია. წმინდა ხმათათვის ხელმეორედ აღმოჩენილი ქვეყანა რაღაც გარკვეულ სულისკვეთებას მოითხოვს მკითხველისაგან, რომ მიუხვდეს და განსაჯოს, შეიმეცნოს აზრისა და ემოციის მდინარება. გენო კალანდიას ინტელექტუალურ სონეტებში შეუძლებელია არ

იგრძნო ხელოვანის წარმატებული ცდა, შეერწყა და შეერთებინა ბუნება ადამიანური სულის ნათელთან, ინდივიდუალური ცხოვრებანი ჩაერთო მზისა თუ მთვარის, ღრუბლისა თუ ნისლის, ზამთრისა თუ გაზაფხულის, სიჭაბუკისა თუ სიბერის განუმეორებელ რიტმებში... „ო, ალბათ სირცხვილს გადაურჩი განგების ძალით, ბრინჯაოს ტანში მისხალ-მისხალ ჩაგიდგა ჯანი, ანტიკურ დევებს დაემგვანენ ჯუმათის მთანი, სისხლიან მხრებზე უდევთ ელვა – მამონტის ძვალი“ ... („აფსირტე“) ეს ლირიკული ამონარიდი გენო კალანდიას რაინდული ბუნების გაცხადებაა, თქმულების, ლეგენდების, მითების სიმბოლურ ჭრილში გამოყენება და შემოქმედებითი გააზრება მისი ერთერთი პოეტური თვისებაა. რაც მთავარია, აფსირტე ბრინჯაოს ტანით ეხატება. ჯუმათის მთები ანტიკურ დევებად, რომელთაც მხრებზე უდევთ ელვა – მამონტის ძვალი. ამ შემთხვევაში ელვის სიმბოლიკა მისტიურ საბურველშია გახვეული და იგი მამონტის ძვლის სახით გვევლინება. „გამოჩნდეს ელვანი შენი სოფლისა, შეისრა და შეძრწუნებული იქნა ქუეყანაი“ (ფსალმუნი დავითისა 218,18).

„სულნი ნათელნი ზიგზიგებდნენ წინაშე ჩემსა ელვის ისარნი ანთებულნი ზეცის თავანში, თუმც არ ვიცოდი, მოვლინების მისი სათავე.“[1]

ტიტე მოსია წერს: „სასულიერო მწერლობაში მაცხოვართან და მის მშობელთან ერთად ანგელოზებიც ელვად ეცხადებიან ადამიანებს: ეჩუენა ლოდსა ზედა, ვითარცა ელვაი უფლისა ანგელოზი“. ანგელოზი ბრწყინავს ელვის დარად და სახედ: ელვის სახედ მნათობი ანგელოზი“. იოანე საბანისძე წამებულ აბოს მდინარეში ჩაყრილი ძვლების წყლიდან ნათლის სვეტად ამობრწყინებას ელვას ადარებს: „აღმობრწყინდეს ნათელნი

1 დ. ალიგიერი. ღვთაებრივი კომედია. თბ.,1941. გვ.367.

სუეტისა მსგავსად, ვითარცა ელვაი, ჰიმნოგრაფი წმ.ევთიმეს სათნოებას ელვას ამსგავსებს და მკითხველისათვის ნათელს ხდის მის შეუცნობელ შინაგან ბუნებას, ვითარცა რაი ელვისა მცხონვარებანი საცნაურად ბრწყინავენ სათნოვებანი შენნი"[1].

გენო კალანდიას ელვას სულ სხვა დატვირთვა აქვს. სრულიად ახალი რაკურსით წარმოაჩინა თავისი პოეტური შესაძლებლობანი ანტიკურ დევებს დამსგავსებულ ჯუმათის მთების სისხლიან მხრებზე დადებული ელვა – მამონტის ძვალი. მეტად ეფექტური და საკვირველიცაა სისხლიან მხრებზე დადებული ელვის მამონტის ძვალთან გაიგივება. მართლაც რომ შეუვალი და სწორუპოვარია გენო კალანდიასეული სახე-ხატი. და ვფიქრობ, სიმბოლური შინაარსისა ორჩხომელებით აფსირტეს უკან მიმავალი ჯარი, სისხლით შეღებილი ფაზისის ზვირთები და ობლად დარჩენილი „სალომეა სასახლის თვალი". ამ სონეტში უამრავი შრე იკითხება და თითოეული მათგანი განსაკუთრებულ ჩაღრმავებასა და გააზრებას ითხოვს...

სონეტი „თევზის სეზონი" ყურადღებას იქცევს პოეტური სახეების სიჭარბით, აქ შეხვედრა გვიწევს სიმბოლურ იაგუნდთან. პოეტი ასე გადმოგვცემს ზღვის ხატებას: „მინანქარია... აბა რა არის, ზღვა, – იაგუნდით ალმოდებული, თამაშობს კრავი და ალუბალი ერთად... წყლისფერი თმების დალალით". – ეს სტრიქონები მკითხველს განსაკუთრებულად ამახსოვრდება, რამეთუ მომაჯადოებელი და გამაოგნებელია სურათი: „იაგუნდით ალმოდებული, თამაშობს კრავი და ალუბალი" ... ამ სტრიქონების კითხვისას ადვილად ვრწმუნდებით გენო

---

1 ტ.მოსია. ელვა და ცისარტყელა, ნიგნში: „პოეტური წარმოსახვის ფურორი", თბ. 2010. გვ. 140

კალანდიას სწორუპოვარ ფანტაზიაში. თითქოს მითოლოგიის ნალკოტში ხარ და შენს წინაა აღმართული ზღვის კოშკები, მინანქარით ნაგები და იაგუნდით აალებული. ესაა შესაშური მეტაფორული აზროვნება, რომელსაც დასასრული არ უჩანს. მითოსი ასაზრდოებს გენო კალანდიას პოეტურ ხილვებს და საოცარი სურათის მოწმენი ვხდებით: ...„და შეყუჟული ნაძვებს ჩიტივით, – მეთევზის თეთრი ქოხი ქვითკირის ცის მოხასხასე შორეთს გაჰყურებს, ოცნებობს აფრა და ბადურებით მოაქვთ ცისფერი კონა ღრუბლების ზღვის ბებერ ლომებს და მებადურებს“ – აქ აშკარად იკვეთება გენო კალანდიასეული პოეტური წარმოსახვის მასშტაბურობა, ზღვის ბებერი ლომებისა და მებადურების მიერ ბადურით მოტანილი „ცისფერი კონა ღრუბლების“ როდია უბრალო პოეტური გამონათქვამი, ესაა ზღვარდაუდებელი ფანტაზიის ნაყოფი, მისი ელეგანტური სულის ნათელი გამოსხივება.

გენო კალანდიას სიღრმისეულად აქვს ათვისებული სასულიერო ლიტერატურა, ბრძენ მამათა წინასწარმეტყველებანი და თეოლოგიური ტრაქტატები. ამ სონეტში ქართული საგალობლებიდან გადმოსული მხატვრული სახეები „კრავი“ და `ალუბალი“ ჩნდებიან.

გენო კალანდიას შემოქმედებას, ინტელექტუალური აზროვნება წარმართავს და ამაშია მისი, როგორც პოეტის ძალმოსილება. ვიზუალური სახეები და ფერის მისეულ არაორდინალურ აღქმას მის სონეტებში აღმოაჩენ და თავს გამახსოვრებს. დიახ, წუთისოფლის ამაოების მტანჯველი შეგრძნება, დაუმსახურებელ უმადურ ბედთან ჭიდილი, ფილოსოფიური დაფიქრება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემატიკაზე სინათლისა და სიწმინდისაკენ, სხვა სივრცეში „მეფურად“ გადასასვლელად ლტოლვა – აშკარად იკვეთება

მის სონეტებში, იგი სულ სხვა მწვერვალებისაკენ მიყურადებულ საკუთარ გულს ამზეურებს, საქვეყნოდ გამოფენს. მისი სონეტები სიკეთის, სიყვარულის, ერთგულებისა და დიადი რწმენის სიმბოლოა და მეჩვენება, თითქოს პოეტი მთელი ქვეყნის სიწმინდეს ელოლიავება და თვალისჩინივით უფრთხილდება...

გენო კალანდიამ მართლაც შეძლო ყოველივე დიადურის „მარადიულ ფერსულებად" (რეზო ადამიას ტერმინი) დასახლება მის უკიდეგანო პოეტურ სამყაროში. მისი სონეტები ესაა რაღაც უცნაური პოეტური ხელოვნების გვირგვინი, რომელიც გვაფიქრებს და კოსმიური ორომტრიალის თანამოზიარეს გვხვდის. მზით, მთვარით, ცით და მიწით, ოჯალეშის სურნელით, ია-იების სინაზითა თუ „ღრუბლების კონით", „თოვლის, აბრეშუმის ფრთების კანკალით" და „გარდასული საწუთროს" მოგონებით მთვრალი პოეტი იდუმალების ხმების შრიალით მიიწევს ახალ-ახალი სიმაღლეების დასალაშქრავად.

„სიტყვის ფალავანი თავგადაკლული მუშაობს ყოველ სტრიქონზე, ყოველ პოეტურ სახეზე. მართალია,"მუშაობა" პროზაული სიტყვაა, ხოლო რეალურად მას ოფლის დადენაც მოსდევს ხოლმე, რასაც ვიეთნი პოეზიაში არცთუ სასურველად მიიჩნევენ, ოღონდ მე, როგორც ბარათაშვილის მკვლევარი, მეგობრებს შევახსენებ:"მერანის" ავტორის ლექსთა ხელნაწერები გვაოცებენ მგოსნის შრომისმოყვარეობით. ავტორს არაერთხელ უსწორებია და"უწვალებია" ტექსტები."ტექსტის წვალება" კი სხვა არაფერია, თუ არა"მუშაობა". ამგვარი დიდი „მუშაობის" კვალი ატყვია აკაკის შედევრს – პოემა"თორნიკე ერისთავსა" და მრავალ სხვა ქმნილებას.

ალაგ-ალაგ ჩვენი ავტორის ნათქვამი გოგლას ხელღონივრად მოქნეულ სიტყვას მოგვაგონებს."კურთხეულიმც

არს ეგ მოგონება!" ასეც უნდა იყოს. გულქართლი პოეტი ამ პარალელს ვერ ასცდება. არც უნდა ასცდეს. ლექსსაც "სიტყვა" ჰქვია. აქ ავტორის შიშიც ილანდება, გამონვეული სიტყვისადმი მოკრძალებით, ფაქიზი დამოკიდებულებით. ეგ ხომ ჩვენი, მწერლების, მადანია, მაღაროა – ან გაიტან, გათხრი, ან შიგ ჩაიმარხები." (მურმან თავდიშვილი).

„შემოდგომის სონეტები" ერთ-ერთი ულამაზესი პოეტური ქმნილებებია გენო კალანდიას შემოქმედებაში. ამ ციკლში პოეტმა შთამბეჭდავად წარმოაჩინა ადამიანის ცხოვრების მესამე ხანა – სიჭარმაგე. მასში ცამეტი სონეტია შეტანილი. აქაა პოეტის ცხოვრებისეული გამოცდილება, თვითგამჟღავნებისა და ემოციური მეხსიერებით შემონახული, რომელიც „მძაფრი განცდების ასახვისაკენ უბიძგებს პოეტს" (თამარ ბარბაქაძე). „მკერდიდან სიტყვა ამოიღე – ნაგლეჯი გულის, წყვდიადის ნეკნზე საკუთარი სიცოცხლე დაწვი, ვით ზემო ქართლის ხეობაში ჩარჩენილ არწივს, შეგაბარბაცებს მშობლიური სისხლი და სჯული".

პოეტურ სიტყვაზე ასე საუბარი წმინდა ინტელექტუალს ხელეწიფება მხოლოდ. გენო კალანდიასათვის პოეტურ სიტყვაში მარადიული რწმენაა ჩანერგილი, რაც მზესავით ბრწყინდება მის ყველა ქმნილებაში.

გავიხსენოთ ტერენტი გრანელი. ...„ლექსი გულია და ლექსი სისხლია; „ჩემი ყოველი ლექსი მხოლოდ გული და სისხლია". „ანთებულ გრძნობით ავაკივლებ ცრემლებს თვალებში"...

გენო კალანდიას მთელი ცხოვრება გაჯერებულია სისხლიანი ცრემლებით, შინაგანი ექსპრესია, დრამატიზმი, სევდიანი განწყობილება მისი თანმდევია. მაღალი ეთიკურ-ესთეტიკური პოსტულატების მატარებელი პოეტი, ბოდლერივით, გალაკტიონივით, ტერენტი გრანელივით პოეზიით, სევდით,

მარტოობითაა „მთვრალი“: „დაწერე ცრემლზე, მარტოკაცზე, სასჯელის ბედზე, მადლობა უთხარ ჭალადიდის შინდისფერ ლერწებს, შენივე ფრჩხილით გამოთხარე შენივე ნიში“, – ამბობს პოეტი და მთელი არსებით ვრწმუნდებით მისი პოეზიის ინტონაციურ თავისებურებებში. მისი სევდა წმინდაა და ამაღლებული, მისი იდეალია წმინდა პოეტი. „წმინდა ხარ, როგორც პოეტის სევდა“. „წმინდა პოეტის“ მისია ტ. გრანელის შემდეგ გენო კალანდიამ ახალ სიმაღლეზე აზიდა და ახალ-ახალი ფერების ახალი, შორეული სივრცეებისაკენ სწრაფვა დაისახა მიზნად. მან სავსებით გაითავისა გალაკტიონისებური მუსიკისა და განცდის სინთეზი, რაშიც ჰპოვა თავისი ესთეტიკური ხელოვნების სიდიადე, „ლექსით ტკბობა“ ... პეიზაჟები, საგნები, ხედები, განცდები, „სისხლის წვეთით ნაფერი“ (გალაკტიონი) სტრიქონები. მისგან მუდამ „გულის სისხლს ითხოვს“ (კ. გამსახურდია) და იქმნება დაუსრულებელი მოზაიკა საოცარი ინტონაციებითა და პოეტური სახეებით. „სამეფო ბაღი, ოქროსფერი, სავსე აქატით“. „მიწიდან ცამდე მოშრიალე ღრუბლის აფრებით“. „დაისის ცრემლში, მირაჟებში დაგეძებს რიდით პოეტის ფიქრი – მარტოსული ყვავილი მინდვრის“ ასე დაუსრულებლად გრძელდება გენო კალანდიას პოეტური ხილვები და სისხლით, „გულის სისხლით“ იწერება ბრწყინვალე პოეტური სტრიქონები. მთავარი სასწაული კი მისი, როგორც შემოქმედისა და პოეტისა ისაა, რომ მისი პოეტური ფორმა რთულია და ტევადი. მისი ყოველი ფრაზა არტისტული იერით ბრწყინდება, ყოფითობაში მუდმივად რომ განგვაცდევინებს რაღაც დიადსა და ამაღლებულს, მონუმენტურს... რა გულწრფელი ვედრება მოისმის მისი პოეტური სამყაროდან: „ორმოცი კვირა, ორმოცი დღე ქადაგად დამსვი, გამაგებინე ცოდვა-მადლის მარტივი აზრი,

ჟამიჟამ შორით დამანახე დარბაზის კარი. ზაფხულის შფოთი, გაგიჟება ჩამიდგი მკერდში, ამივსე პეშვი დაისების მღუარი თქეშით. მიცოცხლე ჩემი საქართველოს ჯიში და გვარი". („ოცნება"). ქრისტიანული სულით ნასაზრდოები პოეტისათვის მოყვასის სიყვარული, შემწყნარებლობა და თავდადება ყველაზე „მშობლიური" აღმოჩნდა. სამშობლოს სადარაჯოზე მუდამ ჩახმახივით შემართული დგას და შეუძლებელსაც შესაძლებლად გადააქცევს. მოტანილ სტროფში გაცხადდა ყოველივე მშობლიურს, სამშობლოს სიყვარულის რაინდული ჟინი და კოლხური სიამაყე. მისი ბროლივით კრიალა სული ელტვის „აისების მღუარე თქეშს", „ზაფხულის შფოთი და გაგიჟება" სწყურია და უფალს ევედრება ქართული ჯიშის, ქართული გენის გადარჩენას.

ოთარ ჭილაძე გაზაფხულს „ფათქუნა სიტყვით" ეფერება და ელოლიავება: „მეძახის მიწა ახლად დახნული და მწიწკნის, მწიწკნის ფათქუნა სიტყვა და გაბრუებულს ამ გაზაფხულით ნურაფერს მკითხავთ, ნურაფერს მკითხავთ" ...

გენო კალანდია „ზაფხულის შფოთით", მაგრამ წვეთწვეთობით ღვრის სითბოსა და სინაზეს: „მიბოძე, როგორც ვაზის ჯვარი, როგორც ლოცვანი, მიბოძე, როგორც ხელთათმანი – თეთრი ქათქათა, მიბოძე, მარად იდუმალი ქითსი, პეტრარკა, მიბოძე როგორც ქრიზანთემა, ტოტი მოცხარის. ... მიბოძე, როგორც ბედისწერა, ჯვარცმა, წამება, მიბოძე, როგორც ცის კურთხევა, ღვთის მოწყალება, ქართული სიტყვის ჯავაირჩი, ჭირისუფალი". – აქ მკაფიოდ ჩანს პოეტის თავისებური ადამიანური ბუნება და თავის გამართლებას ხშირად იმ სუბიექტურ სინამდვილეში ჰპოვებს, რომელსაც თვით მას თავისი პოეტურ და სულიერი ერთობის ძირითად არსად თვლის. ასეთ ნიადაგს პოეტი ბუმბერაზი წინაპრების,

ქართული და ევროპული პოეზიებისა და მსოფლიოს გამოჩენილ ფერმწერთა დიდებულ მემკვიდრეობაში ხედავს და მაინც, გენო კალანდიას იმანენტური გულწრფელობა, შემოქმედებითი ალღო და ინტუიცია ბუნებრივად ენათესავება ამა თუ იმ სკოლის, მიმდინარეობის მოთხოვნებს და ამიტომაც, მისი პოეტური ხატ-სახეები ყოველთვის დამაჯერებელი, გამაოგნებელი და განუმეორებელია.

სევდის უხილავი ძაფებითაა მოქსოვილი სონეტი „სამურზაყანო“, კითხულობ და გრძნობ თითქოს აქაა ჩაღვრილი პოეტის უკიდეგანო ფანტაზიის შუქი, ცოცხალი და ზუსტი საღებავებითაა წარმოჩენილი ზღვარდაუდებელი ემოცია, ნატიფი პოეტური სახეებითაა გადმოცემული საკუთარი სულის შინაგანი თრთოლვა, მისი ვნებები და ზვიადი ოცნებები, რამეთუ ჰეროიკული პათოსი აგრერიგად ესაძირკვლება მის მკვიდრთა დიდბუნებოვან ხასიათსაც და ერის გმირულ სულს: „სამურზაყანოს ფაციფუცით ჩერდება გული, მასპინძელს მზე და იზაბელა შემოაქვს დოქით, ვით მუხის შტოებს ცისარტყელას შვიდფერი თოკი, შემოეხვია ოდის რიკულს ვენახის სული. ქართული თაფლით გეწებება ქართული ბაგე... თითქო უბიდან ვარდისფერი ამოდის ია, ვით პაპანება აგვისტოში ნიავი ფრია, ფრიალებს სარკმლით მშობლიური კილო და ჰანგი“...

გენო კალანდიას პოეტური სული მშობლიური ქვეყნისადმი უნაპირო, სიყვარულითაა აღსავსე და ამ თავგანწირვამდე მისულ სიყვარულს ასე ასურათხატებს: „მოთქვამს ჩონგური – სიყვარულის ტყუპი დაია, – მკათათვის წვიმამ სევდა იცის, მელანქოლია, გაღმით ყანაა, ყანის იქით მწვანე მოლია, საღამო ადგას შენს ლურჯ სარკმელს და ძველ აივანს. ... მოთქვამს ჩონგური, – ფრთებდამწვარი ცისკრის ფრინ-

ველი, შენსავით ასე საყვარელი და საკვირველი, ღმერთო, მიცოცხლე ეს სიმღერა და მელოდია!“ („გოგო და კამელია“). – ეს ბწკარები პარადოქსითა და მამულის სიყვარულის დიადი გრძნობით ნაქსოვი ტილოა, რომელიც იმარხავს პოეტის უშორეს განცდებს ფესვებიდან ფესვებამდე, ბედნიერი და ლაღი ცხოვრებიდან საკუთარ ქვეყანაში დევნილის ყოფამდე... და გაკრთება ტრაგიკული ინტონაცია, პოეტისეული სულის მისტერია: „ო, ეს ცხოვრება უმძიმესი სიმწრის ლოდია“...

გენო კალანდიასეული სტილის ორიგინალობა და თავისებურება, მისი გამუდმებული წვა და სულისმიერი თრთოლვა, ტრაგიკული განცდებით გაჯერებული სათქმელი, რომელსაც თითქოს გულისფიცარზე დააწერა განგებამ მშობლიური მიწის უანგარო სიყვარული, უზუსტესად იმარხავს სიტყვა: „ოფლად დაღვრილი დავდიოდი კირისფერ გზებზე... ხერხემლის ძვლებით, ფერით ვგრძნობდი მშობლიურ ფერებს“.

გენო კალანდიასთან სივრცე და მოქმედება თითქოს ერთმანეთში იხლართება, მაგრამ არასოდეს არაა დაკარგული მთავარი, ეპოქის სული, ერთმანეთში ირევა დრო რეალური და წარმოსახული და თუ დავაკვირდებით, ანალიტიკური, ფილოსოფიური ელემენტი მთლიანადაა გახვეული ფანტასტიკურ სამოსელში. გენო კალანდია შთამბეჭდავად ხატავს დროის მაჯისცემას, თანამედროვე კატაკლიზმებს, 90-იანი წლებიდან საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიებს და ყოველი მეტაფორის უკან პოეტის ეთიკურ-ესთეტიკური იმპერატივი ილანდება.

„შემოქმედის მიერ ახალი ფორმებისა და გამომსახველი ხერხების ძიება უდავო ჭეშმარიტებაა, სიახლისაკენ სწრაფვა პოეზიის უპირველესი თვისებაა, ჭეშმარიტი პოეზია მუდამ ძიებაშია, მაშინაც კი, როდესაც პოეტი ფიქრობს, ყოველმხრივ

მაწყობს ოდითგან არსებული ფორმები და მკითხველსაც ჰგონია, რომ შესანიშნავად დაწერილი ლექსები თავისი ფორმით აბსოლუტურად ტრადიციულია, არაფრით არ განსხვავდება ათი თუ ასი წლის წინათ შექმნილი ლექსებისაგან. მაგრამ ეს ასე როდია. ყოველ ჭეშმარიტ პოეტს, ყოველ ტრადიციულ ფორმაში გარდაუვლად და აუცილებლად შეაქვს რაღაც თავისი და მხოლოდ თავისი".[1]

გენო კალანდიას სონეტები მისი ორიგინალური და თვითმყოფადი პოეტური ნიჭის აფეთქებაა. მის გამორჩეულ ნიჭსა და პოეტურ შთაგონებას კვებავს ქართული და ევროპული პოეზიების მაღალი აზრი და არტისტული გემოვნება, რომელიც მუდამ განაცვიფრებს კაცობრიობას ახალ-ახალი ფორმების ძიებისაკენ სწრაფვის დიადი სურვილებით.

გენო კალანდიასთან პოეტური ნიჭიერება წილნაყარია კოლხურ სულთან, და შორეულ კოლხეთთან, კაცობრიობის ცივილიზაციის ამ მარადიულ აკვანთან. ადამიანისადმი, ბუნებისადმი, საერთოდ სიცოცხლისადმი, მშობლიური კუთხისადმი უსაზღვრო სიყვარულია ჩაქსოვილი მის სონეტებში. მაგრამ განსაკუთრებული განწყობილებითაა დაწერილი სონეტი „მზე ჩამოგხედავს: მზე გადმოვა მთიდან წვალებით". ... ჟამთააღმწერელი მოგვიგონებს, როგორც ხაზარებს, კალამს ნაღველით ამოავლებს ჩვენი სახელით, თუ ეს წამება, ჯვარცმა არის უკანასკნელი, ჩვენს შესანდობარს სულთა შაბათს იტყვის ლაზარე. წიგნით, ლოცვანით ჩამოივლის ბერი თევდორე, ასგზის დაჭრილი საქართველოს თანამედროვე, – ქართული სულის სიანკარე, ზარი ღვთიური" ...

ცრემლოვან-ბურუსოვანია ამ სონეტის მხატვრული ქსოვილი, გავიხსენოთ შოთა ნიშნიანიძე: „მთელი სამყარო უსას-

---

1 М. Алигер. стремление к истине. Вопросы литературы. М. 1968. стр.78

რულო ღვთის ტაძარია და ქრისტეს რჯული სიყვარულის დედო-ზარია“ ... „ერო ამ ზარით ამაღლდები ვარსკვლავთ ხომლამდე, ერო – ეს ზარი აგაშორებს ყველა ხურვებას, ღმერთმა ნუ ქნას და ზარი ესე რომც ჩამოვარდეს მთელს საქართველოს მუზარადად დაეხურება“.

გენო კალანდიას პოეტურმა ალღომ საუკუნეთა სიღრმიდან სულ სხვა სინათლით გამოაბრწყინა ბერი თევდორე, რომელზეც შოთა ნიშნიანიძემ თქვა: „თევდორე, თევდორე... შენისთანა მეკვლე გვინდა ჩვენი ერი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს წარსულიდან“ ...

მისი რწმენით ბერი თევდორე ქართველი ერის მარადიული სულია, „ასგზის დაჭრილი საქართველოს თანამედროვე, „ქართული სულის სიანკარე, ზარი ღვთიური“, რომელიც გვამაღლებს, ძალას გვაძლევს და განსაკუთრებული სიმძაფრით განგვაცდევინებს სამშობლოს სიყვარულის დიად ძალას. პოეტისათვის ისტორია როდია გამქრალი ძეგლებისა და საფლავების ეპიტაფია, არამედ მარად ცოცხალი მაგალითი და გაკვეთილია... მადლიანად მობრწყინავს მის დახვეწილ რაფინირებულ სტრიქონებში სულისშემძვრელი პოეტური ემოცია, ლირიკული სამოსელით შემოსილი მისი პატრიოტული თემები იმგვარ პლასტიკურ სახეებში წარმოჩინდება, რომ პოეტის სათქმელი ჰაერივით მთელ სივრცეში განიფინება.

თევდორეს სახე ბიბლიურ რემინესცენციებს აღძრავს: „ტაძრად დადგება უწმინდესის ნებით, სახელით, მერმე ნელინელ ცაში ავა, როგორც სანთელი და წყვილი ცრემლით განათდება ცა-ბიბლიური.“ ამ მისტიკური ხილვით პოეტი ერის სულს წარმოაჩენს და ტრაგიკულ-ტკივილიან სათქმელთან ერთად იმედის შუქს გვინთებს, გვინერგავს რწმენას, რომ წინაპარი და შთამომავალი ერთმანეთის ფრთები ყოფილა მუ-

დამ, ერთმანეთის რწმენა, გამოცდა და გამძლეობა, ფესვებისა და ყლორტის მემკვიდრეობა...

კოლხმა რაინდმა თავისი ამოუწურავი ფანტაზიის წყალობით ახალი ნიუანსებით წარმოაჩინა უახლოესი ქართულ-ისტორიული გარემო. გულს უკლავს დღევანდელი ქართული სინამდვილე, ვერ აუტანია ცრემლებგამშრალი სოფლის სუნთქვა, აშფოთებს სისხლი, მიწაზე დაღვრილი სისხლი. გულს უფორიაქებს მწუხარე წიგნის ფურცელი, მრავალტანჯული მიწა იბერთა და სასოწარკვეთილი პოეტი მთელი საქართველოს, თითოეული ჩვენგანის სატკივარს განსაკუთრებული ელფერით გვიხატავს „შემოდგომის სონეტებით". ამ მხრივ ტრაგიზმითაა გაჯერებული სონეტი „სისხლიანი ბორცვები".

გენო კალანდიამ მთელი არსებით გაითავისა სამშობლოს მეცხოვნის ჭეშმარიტი რაინდის უშველებელი ტვირთი. იცის, რომ ჩვენს სინამდვილეში ძნელია ამ ტვირთის ღირსეულად ტარება... აქ თითქოს წარსული გადაჯაჭვულია მომავალთან, იმედიან განცდებთან. სული და სხეულიც მაშინ წრიალებს, როცა „სისხლისფერ ბორცვებს დააკვდება მზე გახელებით". შემმართებლური, რაინდული ნიშანთვისებნი გენო კალანდიას ღირსებაა: „მე ვარ, მე, შენი მეცხოვნე, შენი რაინდი, გაჩეხილი მაქვს საფეთქელი დაშნის ყუათი, ვით უცხო თესლით მოწამლული ჰაჯი-მურატი, ჯერ კიდევ ვსუნთქავ შემოდგომის მკვდარი ამინდით. ცეცხლით, დურბელით გემუქრება სპარსი, ხაზარი, ჯამით, ჯამფილით უდგას სისხლი ყრმათა, ქალწულთა, ტაო-კლარჯეთით გამოჰყვება მესხეთს ხანძარი და თვითმკვლელივით გაქვავდება წუთით აწყურთან. ცხენის ფლოქვებში აირევა ტვინი ცხედრების, სისხლისფერ ბორცვებს დააკვდება მზე გახელებით" ...

დიახ, სიკვდილზე რომ წერდეს, ბედს მაინც შუქით გაა-

წონასწორებს გენო კალანდია და ეს შეგირდობისას ნასწავლი ხერხი, ოსტატობის დვრიტა კი არა, პოეტის ბუნებაა, ლაღი და უკადრი ქართული გენი, სიცოცხლის მარადისობა.

ის, რაც ამ ლექსშია დაშიფრული მისი ახსნა უთუოდ პროფესიონალ კრიტიკოსსა და მკვლევარსაც გაუჭირდება. მართლაცდა ძნელია ამგვარ იდუმალებაში ჩაღწევა და სულიერ საგანძურთან მიახლოება. მისი დათვალიერებაც კი. ამიტომაც მოკრძალებით ვიტყვი, რომ გენო კალანდიამ ხელოვნების საოცრებითა სამყაროს წინაშე დაგვაყენა და ჩვენს წინაშე გააცოცხლა მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. გვაჩვენა ულმობელი ომის ტრაგიკული სურათები. კითხულობ და გრძნობ როგორი სინთეზია წარსულისა და თანამედროვეობისა. აურაცხელი მაღალი მხატვრული სახეებით და ფორმებით, კოსმიური ინტუიციით, შეუდარებელი აზროვნების გონებითაა განსჯილი ჩვენი მწარე სინამდვილე. მშობლიური მიწის სიყვარულით გულანთებული პოეტი, შორეული კოლხეთიდან მოსული მოგვივით „ღვედივით მოქნეული" სიტყვით გვარწმუნებს სიცოცხლის უკვდავებაში, „მახვილით განათებული გზა ნაომარი" – სხვა რაღაა, თუ არა პოეტის შეუდარებელი გონებითა და მაღალი სულით მოხილული სივრცე. სიკეთე და ბოროტება, სიძულვილი და სიყვარული, ბნელი და სინათლე, „სისხლისფერი ბორცვები" და „გახელებული მზე", „მახვილით განათებული გზა ნაომარი" უსასრულობისაკენ მიგვაქანებენ და პოეტისა და ღვთაების იდუმალ კავშირზე მიგვანიშნებენ, რამეთუ ვისაც შეუძლია წარმოიდგინოს „სისხლისფერ ბორცვებს გახელებით დამკვდარი მზე" – პოეტის, ადამიანისა და ღვთაების იდუმალ კავშირსაც წარმოიდგენს. „აქ ყველგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი" (გალაკტიონი). „ვის ხატად ღმრთისად იტყვიან ფილოსო-

ფრესნი წინანი“. გენო კალანდიას მხატვრული სახე გახელებული მზე ორიგინალურია, პოეტური ასოციაცია ძლიერი და ექსპრესიული. ასე აზროვნება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც შემოქმედადაა დაბადებული. ამ პარადოქსულ ხატოვანი გამონათქვამით საინტერესოდ იკვეთება შემოქმედისა და მხატვრული სიტყვის ურთიერთმითითების სპეციფიკური ასპექტი. გენო კალანდიამ თავის სონეტებში შთამბეჭდავად გამოხატა ეროვნული ტრაგედიები. მისი პოეტური ფერწერა საოცარი სიცხადით ხატავს წარსულის ეპიზოდებს. მისი ვნებათაღელვა მკვიდრადაა განფენილი სააზროვნო სიტუაციათა მთელ სივრცეზე, ვითარცა ანარეკლი წარსულისა და დღევანდელობის მძაფრი განცდისა. მისი ანალიტიკური გონებისათვის უცხოა ყოველგვარი ილუზიები. ღვთის სულის გაბრწყინებაა მისი პოეზია და ალბათ, ამიტომაცაა იგი ფასეული ჩვენს ლიტერატურაში. „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“. ამ სიტყვებით იბრძვის შესაქმის ღვაწლის აღსრულებისათვის. მის პოეზიას საოცარი ძალით შეერწყა პიროვნული განცდები და ფართო საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი ინტერესები. პიროვნულისა და ზოგადსაკაცობრიო საფიქრალის შერწყმის თვალსაზრისით მისი პოეზია ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია.

სონეტები „შაშვები“, „არც მწუხარება, არც სიკვდილი“, „გინახავთ კაცი სასომიხდილი“, „სამასი არაგველი“, „უფლისწულის სიკვდილი“, „შარავანდი“, „ორი არაგვი“ – ნამდვილი შედევრებია, რომლებშიც პოეტმა თავისი სული ჩაწურა. ესაა ტანჯვით და განსაცდელებით დაყურსული პოეტისა და მოქალაქის ფიქრები. ეროვნული ტკივილებით გულშეძრული, რომლის თვალსაწიერიდან „დიონისესეული აღტყინებით სიცოცხლე მოდის“ და სევდიანად იტყვის: „უფლის სახელით

ანგელოზი მეძახის ზევით, მე კი მიწაზე მენატრება სიკვდილი მშვიდი". – ამგვარი სულისკვეთებით იჭრება პოეტი ზეცაში.

გენო კალანდია, ვფიქრობ, ძლიერი და მკვრივი მონოლითია, პიროვნება, „რომელიც ოფლად დაღვრილი" დააბიჯებს კირისფერ გზებზე და „ხერხემლის ძვლებით, ფერით გრძნობს მშობლიურ ფერებს".

ომმა ნგრევა და უბედურება მოიტანა, მის სონეტებში ეპიკური მასშტაბით ცოცხლდება აფხაზეთის ტრაგედია. ქართველი ხალხის გამძლეობისა და გმირობის მატიანეები, სისხლისა და ცრემლის ოკეანეები, საკენ-ჭუბერის გზა – დევნილთა საბედისწერო უღელტეხილი...

პოეტი ამაღლებული სულიერებით წარმოსახავს ომის ქარცეცხლიან კოშმარებს და რაოდენ გასაოცარი არ უნდა იყოს, წარმოსახავს იქიდან გამოყოლილი სიჯიუტით და მისტიკური სუნთქვით დამუხტული რეალობებს თვალისმომჭრელ ტკივილიან მოგონებებად გადმოშლის: „ქალაქს შორეულს გაქცეულა ძმა და სწორფერი ღვთის ანაბარა დაუგდია მშობლის საძვალე, ბალახმორეულ წაბლის ამბარს ქარი აწვალებს, სიბრძნის კბილივით საქართველოვ, მტკივა სოფელი". („შაშვები"). ომმა, მშობლიური საბუდრიდან მოწყვეტამ ფერები გაამუქა მის პოეზიაში, ღრმა სევდა და ტრაგიზმი თითქოს მისთვის განუშორებელი ატრიბუტებია. „გინახავთ კაცი სასომიხდილი, ო, ისიც მარტო ქუჩის გულში?! ის კაცი მე ვარ საქართველოში, თვალახვეული ღამის ბინდივით, გინახავთ გვამი ორად გაჭრილი, – აქეთ – გულ-ღვიძლი, იქით – ფილტვები?! ჰოდა, ის კაცი მე ვარ ვიდრემდე, აღარ აღდგება გულთა კავშირი..."

ასეთი ემოციებითაა დაყურსული გენო კალანდიას პოეტური ხილვები.

მშობლიური ფერების სურნელი პოეტისათვის ყველაფერზე ძვირფასია და მაინც ნათელი სევდით მოჰყვება პოეტი ცხოვრების გზას და სჯერა მარადისობის, მშვენიერებისა და სილამაზის. ვინ იცის, ეგებ გენო კალანდიასეული ვიზიონი – „ორი არაგვის შესაყართან მოინათლები, როგორც პოეტი, მეომარი, სისხლი ქართული“ ... აფხაზ და ქართველთა გულთა კავშირის, კვლავაც ერთად ყოფნის მისტერიაა.

ვფიქრობ, მხოლოდ პოეტმა იცის, თუ რატომ ილანდება მხატვრულ ქსოვილში „სინათლის ეკვდერი“. და ეს მაშინ, როცა „ზარში, გრიგალში უცხო ტომის ისმის გნიასი, მოაქვთ ზღვით, ხმელით მინანქარი, მჭვირი იასპი, ქართლის მწუხარე პალატებში დადის ფანტომი“ ...

ეს საოცარი სონეტი იმ ფიქრმა და დარდმა მოქსოვა, საქართველოს წარსულს, აწმყოს და მომავალს რომ უვლის დღეს ერთდროულად. გრძელი და მტანჯველია დევნილი სულის გზა, საქართველოს ერთიანობისაკენ სწრაფვა, დაკარგულ აფხაზეთზე ფიქრსა და მისგან მოქსოვილ სევდას სიმშვენიერის, სილამაზის ნიშნით აღბეჭდილი ეს წუხილი ირეკლავს.

პოეტის პიროვნული ღირსება ამთლიანებს მამულის მოვლის ნიჭს, იგი როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი თავისი უნიკალური ხილვებით თავისთავში მოიქცევს იმგვარ თავისუფლებას, ისეთ უნივერსალურ შინაარსს, რითაც და რისი წყალობითაც შესაძლებელი იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა.

მან კარგად უწყის, რომ ქართული ეროვნული სული ყლორტებით ამოხეთქს დედამიწას და თავის ლამაზ არსებობას ესწრაფვის. მისთვის, როგორც შემოქმედისათვის, მთავარი როდია ლირიკული პერსონაჟის ცხოვრების კონკრეტული მომენტები, არამედ უმთავრესია კაცობრიობის არსე-

ბობის მარადიული აწმყო, როცა ყოველი პიროვნების სულში შეიძლება გათამაშდეს სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლა...

გენო კალანდია ის შემოქმედია, რომელმაც ქართული სულის მარადიულობა ამოამზევა და დრო გააერთიანა... მან ბევრ ისეთ ხერხს მიაგნო, რითაც შეენივთა და სრულად შეერწყა კაცობრიობის კულტურის საერთო მდინარებას. მისი პოტური კარ-მიდამოს კარი მუდამ ღიაა: „ასე ღიაა კარი იმ ბინაში, სადაც დიდი უბედურება მოხდა“ (ფრანც კაფკა).

სონეტი – სიყვარულის ანტიკური ბეჭედი

გენო კალანდიას ორიგინალური პოეტური ტალანტი მთელი არსებით ვლინდება „სიყვარულის სონეტების“ ციკლში, რომლებიც გვხიბლავს უჩვეულო ლირიკული მგრძნობელობის, განცდის, ფიქრისა და გრძნობების სიცხოველით და პოეტური არტისტიზმით და მაინც ჩვეულებრივი თვალისათვის მიუწვდომელის ძიება და მოუხელთებლისაკენ სწრაფვა მისი პოეზიის ძირითადი თემაა, მისი მეტაფორული სამყარო უმალ გვაგრძნობინებს ქართული სიტყვის დაუძლეველ შეაძლებლობებს, რაც აშკარად იკვეთება მის სონეტებში.

პოეტის შთაგონება დუმილს, სულის მყუდროებას მოითხოვს, რამეთუ „დიდი სიღრმეები ისევ გვაგრძნობინებენ მდუმარებას, იდუმალებას, როგორც დიდი სიმაღლეები. გილგამეშმა, უძველესი მითოსის გმირმა, სიღრმეები იხილა, იდუმალებას ჩაწვდა, თუ ჩვენ მის ყოვლისმხილველობას სახეობრივად წარმოვიდგენთ, ეს იქნება უძირო ხილვები, ან ზღაპრული უფსკრულები. ამ დროს იშლება ზღვარი ხედვასა და სმენას შორის, იწყება „ზედამხედველობა“ ანუ ზესმენა. ეს კარგად ჩანს ქართულ სიტყვაში. გულისყური და გულის ხმა, გრძნობს რაღაც ხმას, რომლის სმენას არ ესმის“.[1]

გენო კალანდიასათვის მთავარი მცნება სიყვარულია, იოანე მოციქულმა ასე განმარტა ადამიანის უზენაესი დანიშნულება; „ვიყუარებოდეთ ერთმანეთს, რამეთუ სიყვარული ღმერთისგან არს და ყოველი რომელსა უყვარდეს ღმერთისგან შობილ არს და იცის ღმერთი, რომელსა არ უყვარდეს მან არ იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“. (I. იოანე, 4,5.4).

---

1 რ.სირაძე, სახისმეტყველება, „ნაკადული“, 1982, გვ. 75

გენო კალანდიას „სიყვარულის სონეტებში“ აურაცხელი ზმანება, ხილვა, ასოციაცია ასხივებს. „შთამბეჭდავად ცოცხლდება ანტიკური ეპოქის სიყვარულის მისტერიები, რამეთუ ცხოვრება, დალხენილიც კი, წვრილმან საზრუნავთა უთავბოლო ჯაჭვია, ხოლო ლიტერატურა მხატვრული გარდასახვაა ყოველივე იმისა, რაც კოსმიურ სამყაროში ხდება, მაგრამ რეალური ფაქტის ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია. პეტრარკა CCXI სონეტში აღნიშნავს: „ათას სამას ოცდა შვიდ წელს აპრილში, მეექვსე დღის პირველ საათზე შევედი ლაბირინთში, საიდანაც არ არის გამოსასვლელი.“ ვფიქრობ, დაკვირვებული მკითხველი ალბათ, გრძნობს, რომ ეს ლაბირინთი სიყვარულისაა...[1]

პოეტი სიყვარულის სონეტებით მკითხველს აზიარებს ამ ლაბირინთს სიყვარულისას. მისი პოეზია უღრმესი ფილოსოფიურობითა და რელიგიურობითაა გამორჩეული. და აჰა: „აცურდა ენკენისთვე ღვინონასვამი, სადაფის ქალწულთ მარგალიტის მოაქვთ აკიდო, ცხენს ათამაშებს გალავნისპირ ვაჟი-სასიძო, ქორწილისათვის ემზადება კარი სასახლის“ ამბობს პოეტი და მთელი გულით გზნებს ამ საოცარ სილამაზეს, რაც ქორწილის დღეს მოქვს შეყვარებულებისათვის. მხოლოდ გენო კალანდიას ძალუძს ბუნების საოცარ სილამაზეში გამოარჩიოს იადონივით თვალადი ქალი და „ვარდის მიჯნური“ ... „და ცას ახავერდებს მაშხალების ალის კანკალი“ – ეს ის საოცარი ვიზიონია, რომელიც რაღაც დიადისა და ამაღლებულისათვის რომ განგაწყობს. აქაა გამჭვირვალე და მზის სხივებივით ყველგან გამწვდომი მისტიკა, დახვეწილი ხელოვანისა და პოეტის ამაღლებული განცდა სიყვარული-

---

1 ც. მესხია, სონეტი – სიყვარულის ანტიკური ბეჭედი, სამეცნიერო შრომათა კრებული IV, სოხუმის სახ.უნივერსიტეტი. თბ., 2013, გვ.169.

სა, რომელსაც მოაქვს ბედნიერება და ჩვენც პოეტთან ერთად გვჯერა: „იქუხებს ბანი – ფილთათოფის მახარობლისა, დაებედება ყრმას სიმრთელე, გოგოს თილისმა – იას მოისხამს ღვთისმშობელო, ქართვლის აკვანი". „იამოსხმული ქართვლის აკვანი" სიმბოლოა ჩვენი შუბლგახსანილი, აღორძინებული და თავისუფალი საქართველოსი...

მისთვის სიყვარული სიწმინდეა, სილამაზეა, მშვენიერებაა, სიამაყეა, ჭეშმარიტებაა. სამყარო რომ ერთიანია, რომ არ იშლება და არ ნაწევრდება სიყვარულის წყალობით ხდებაო, ადამიანები რომ ყველანი ერთნი ვართ ამას სიყვარული შეგვაგრძნობინებსო. ეს კი დიდი ადამიანური მშვენებაა.

„ქვეყანას სიყვარული ამოძრავებს, მდინარეები რომ მოედინება და ღრუბლები რომ მოძრაობენ, სიცოცხლე რომაა ქვეყნად, ყველაფერი სიყვარულით ხდებაო, რაც რამ ახალი იბადება, ესეც სიყვარულის ნაყოფიაო. ვისაც სიყვარული არ ძალუძს, მშვენიერებასაც ვერ შეიგრძნობს, ხოლო ხელოვანი თუ სიყვარულით არაა გამსჭვალული, ვერაფერს შექმნის. შემოქმედის შთაგონება სიყვარულია".[1]

პოეტი გენო კალანდია წილნაყარია სილამაზესთან, მშვენიერებასთან, მის მიერ წარმოსახული სამყარო მუდამ უჩვეულოა, „ხასხასა", „ფეროვანი", „სადაფისფერი". სონეტი „დუელი" ვფიქრობ გამორჩეულია ამ ციკლში. პოეტის უსაზღვრო და უსამანო მასშტაბის წარმოსახვა იმდენად ორიგინალურია, რომ შეფასება გიძნელდება. შეიძლება ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, გენო კალანდია იმდენად დიდია, რომ მასთან ყველაფერი მუსიკალური გეჩვენება, თითქოს ყველაფერი მარადიულია, რამეთუ პოეტის მაძიებელი სული შემეცნების ხილვით ფრთაშესხმული

1 რ.სირაძე, სახისმეტყველება, „სერაფიტა", თბ., 1982, გვ. 67

სამყაროს სხვადასხვა სიმაღლიდან უმზერს. პოეტს ეზმანება, „სასახლის კარი... კინოვარი... ჭრელთა დარბაზი, ყვითელი ქარვის შემოდგომა მუხის ჩარჩოთი, პასიანსს შლიან... და კორნეტი, ვით ბრიყვი სანჩო, დუელზე ფიქრობს... დიდებულნი მქრქალი თავაზით“ ... ესაა მარადიულ სილამაზედ ქცეული პოეტური ქმნილება.

გენო კალანდიას უსასრულო კოსმიური ფიქრი თითქოს მთელ სამყაროს ედება, „სურნელოვანი იის წვეთებით გულს გაზაფხული ეხეთქება, თვალებს – მზეები“ ... სწორედ აქაა უჩვეულო, თვითნაბადი პოეტური ფერწერა, რაღაც „ღვთიური“ გემოვნება და ლექსის ფინალში გამომკრთალი სევდანაღველს მაინც ენაცვლება სიცოცხლის, სილამაზის, სიხარულის, ოცნებითა და ფარვანებით მოჩარდახული ცა და მთვარეს ადევნებული ვარდით დატვირთული ურემი – ეს საოცარი სურათია, რომელიც ხაზს უსვამს პოეტის „პიკანტურ სულს“ (გ. ბენაშვილის ტერმინი) და ინიციაციის გზაზე მარტო კაცის განცდაც მირონივით გეპკურება და სიყვარულის ფეიერვერკით გხიბლავს... უნებურად გურამ ბენაშვილის ერთ-ერთი არაბესკი გამახსენდა: „უნივერსალურია შემოქმედი, თუ ის საკუთარი მიწის არომატითაა სრულქმნილი... მისი ენის, კულტურისა და რელიგიის ძალმოსილებით გაჯერებული... რადგან სხვა გზა უაზრო იდუმალებასთან „განდობილთა“ თუ სექტანტელთა გზა კოსმოპოლიტური უცხო სამოსელით გადაპრანჭულთა კარნავალია, ფსევდო უნივერსალიზმის, ანუ უნიჭო ნიღაბთა ეფემერაა, მხოლოდ ფერფლი და არარაობა.

„...პოეტური სიკვდილის შიშით, – აუცილებელია გვქონდეს ტალანტი და თქვენ წარმოიდგინეთ... ცოტა მეტიც“, პოლ ვალერის ეს გალანტური ირონია სრულიად ნათელს ხდის

ბრძნული კოდექსის ერთადერთ იმპერატივს, რომელსაც ალტერნატივა არც არასოდეს გააჩნდა და არც მომავალში ექნება".[1]

დიდი ადამიანური შთაგონებით შექმნილი მისი სონეტები დროსთან დაუნდობელ ჭიდილში ჩამოიქნა და სათუთად მოიტანა ადამიანის სულისშემძვრელი ტრაგიზმის სიდიადე. გარდასული საუკუნეების თავბრუდამხვევი სურნელება და „ტანო-ტატანოს" – ანა დედოფლის ბაგეთა ვნებით ნაჩურჩულევი „გულთან გულით ნაამბორალი სიყვარულის" მარადიული სუნთქვა და ხიბლი... პოეტი მოგზაურობს დროიდან დროში, იჭრება კოსმიურ სამყაროში და გამოარჩევს უმშვენიერეს ნოველას სიყვარულისას და წერს გასაოცარ სონეტებს: „ვერცხლის ოლარი", „ტრიპტიქი". „დარბაზის კარი... მასკარადი... მწუხრის დღეები მაქვს სამუდამოდ უცხოეთში გამოგლოვილი, ვით კარდინალის ოქროსფერი ჯაჭვის ბორკილი, გულზე დამადეთ, დედოფალო, თქვენი ხელები" („ტრიპტიქი"), ... „ტანო ტატანო" – მესიზმრება შენთა ბაგეთა, ვნებით ნათქვამი, გულთან გულით ნაამბორალი, შემომეხვია წელზე, როგორც ვერცხლის ოლარი, სევდა, ვიღაცა მითვალთვალებს ტაძრის კარებთან." („ვერცხლის ოლარი"). პოეტის ამ სტრიქონებით საოცარი სინაზითა და სიფაქიზით შემოდის ჩვენს არსებაში ბესიკისა და ანა დედოფლის სიყვარულის ისტორია.

ამ სონეტებშია რაღაც საოცარი გამჭვირვალება და დასრულებულობა აზრისა, რომელთა ჭეშმარიტი ღირებულება დიდ სევდასთან სრულ შერწყმაშია და მაინც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენო კალანდიას სიყვარულის სონეტები „ბედნიერი" სონეტებია, რომლებიც „მაშინვე ანათებენ და გვავიწყებენ უამრავ დამუშავებულ ლექსს, რომელთაც

1 გ.ბენაშვილი, ესსე, „კალმასობა", №395, 2006

ვერც მჭევრმეტყველება, ვერც აზრთა დიდებულება, ვერც ბრძნული ბუნდოვანება ვერ უშველით".[1]

სონეტები „მონატრება", „მინდვრის გვირილა", „ცისფერი ხავერდები", „მზე და ბივრილი", „ვისი და რამინი" და ამურის ისრები", „ოქროს თავთავი" გვარწმუნებენ გენო კალანდიას სატრფიალო ლირიკის თავისებურებაში, სადაც ყველგან სინაზე, მოკრძალება და თავაწყვეტილი ერთგულება, პოეტური გრაციოზულობა პიკს აღწევს. მან რაღაც სასწაულებრივი ძალით დაგვანახა როგორი ლამაზია სიყვარულის ალმოდებული ადამიანი. თუ გალაკტიონს დაკარგული ვარდი და გვირილები ეზმანებოდა და ტკივილით გათანგული იტყოდა: „მე პაჟი ვიყავ, ის კი პრინცესა", – გენო კალნდია იტყვის: „... ლაჟვარდის თვალი – ჩავარდნილი ღარში დილიდან – ცახცახებს, კრთება, ვით წვიმაში მინდვრის გვირილა – ქარით ნაგვემი სიყვარულის ერთი ფურცელი" ... ესაა „უარყოფის შავი ღრუბლის" წინ მდგარი პოეტის ამონაკვნესი, რომელიც მარადიულ სასუფეველს „მკვდარი გულის ცივი უარით" მიელტვის.

„ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, შეიცანით ქრისტეს სიყვარული ცოდნას რომ აღემატება, იყავით ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში (პავლე მოციქული, ეფესელთა 4,17. 19).

წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი სიყვარულით მძლავრად დაძრული, იმ სიყვარულით რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს" (იქვე 413).

მერაბ კოსტავა მართებულად მიგვანიშნებდა: „როგორც სიყვარულის სულები – სერაფიმები არიან სულიერ იერარქი-

---

1 ჟორჟ პომპიდუ, ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობა, „ჩვენი მწერლობა", №6, 2010. გვ.6

ათა შორის უპირველესნი, ერთიანად რომ განმსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოსსაც – ასევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო".[1]

„ყოველთა დიდი არს სიყვარული და არაფერი არ არის მეტი! ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ თუ წმინდა მამებს უნთიათ ზეთი?" (ანა კალანდაძე „ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ").

გენო კალანდიას ლირიკული პერსონაჟი სატრფოს „სიყვარულის ანტიკურ ბეჭედს" – სონეტს უძღვნის, – „ცისფერი სკივრით, საკეტურით, თავისი ლუქით".

პოეტი სატრფოს თვალებს – „გაზაფხულის ღვთაებრივ მზეებად" წარმოსახავს. სუნთქვას – ჰაეროვან მაისის სუმბულად, რომელიც თავსასთუმალთან ფარფატებს ზეცის ალებივით. ნატიფ სხეულს „თეთრი ზღვების ნისლივით მსუბუქს „დილიდან გამდნარს სარკეებში, ლაჟვარდის ბროლში" უძღვნის პოეტი სონეტს, – „გამოკვეთილს გრანიტის ქვაში"...

გენო კალანდიას ლირიკული პერსონაჟი მთელი არსებით, ფეხისწვერებზე შემდგარი იტყვის: „უცხო კორტეჟი, უცხო თემი დგას აკლდამასთან, ჩუმად დაჰყურებს სამარეში კუბოს ჩამავალს, ამგვარ აღსასრულს ინატრებდა, ალბათ, ვერჰარნი." („ტრიპტიქი") – ამბობს პოეტი და გვახსენდება ვერჰარნი, რომლის „შემოქმედებაში თავისი გამოხატულება ჰპოვა, როგორც პატრიარქალური ცხოვრებით მოცულმა მრავალფეროვანმა სოფელმა, ისე ჯადოსნური მანქანებით აბობოქრებულმა თანამედროვე ქალაქმა, მთელი ეპოქა გამოიხატა ვერჰარნის შემოქმედებაში, იგი ვით გიგანტი დგას

1 მერაბ კოსტავა – ფიქრები საქართველოს მისიაზე, 1988. გვ. 56-57

თანამეროვეთა შორის და ხელის ერთი მოქნევით გამოიწვევს თავის მხატვრულ ფანტაზიაში მსოფლიოს მრავალფეროვან სურათებს, ხან ნათელ და ტკბილ გრძნობას, ხან ზიზღსა და სიძულვილს, ხან საშინელ ქარიშხალს აბობოქრებული სიცოცხლის ზღვით მონაბერს".[1] რარიგ ეხმიანება ეს სტრიქონები გენო კალანდიას მრავალფეროვან შემოქმედებას.

კოლხური არტისტიზმისა და ელეგანტური სულის გამოსხივებაა გენო კალანდიას ფერწერული ტილოები. პოეტი თითქოს დავიწყების ბურუსიდან გამოიხმობს ხატებს, ფერებს, ბგერებს და ჩვენამდე მოაქვთ თავაწყვეტილი სიყვარულისა და ერთგულების დიადი ძალა, მხოლოდ მისეული, გენო კალანდიას პოეტური სამყაროსათვის დამახასიათებელი მხატვრული მშვენიერებითა და სილამაზით...

პოეტი თითქოს დავიწყების ბურუსიდან გამოიხმობს ხატებს, ფერებს, ბგერებს და ჩვენამდე მოაქვს თავაწყვეტილი სიყვარულისა და ერთგულების დიადი ძალა. მხოლოდ მისეული, მისი პოეტური სამყაროსათვის დამახასიათებელი მშვენიერებითა და სილამაზით, ელავს სატრფოს ფაქიზი სახე. უტკბესია სიყვარულით ანთებული გულისძგერა, სულის თრთოლა და სანთელივით იღვენთება პოეტი ლამაზი სიყვარულის ალში, ელანდება წასული ღამე, „სიზმარ-ცხადი!.. დახშული კარი... ბალიშის პირზე ვაბნეული იების მძივი" ... სახისმეტყველების საოცარი სინაზით მოქსოვილი სტრიქონებით გაცხადებული სიყვარული აღქმისას ჩვენი სამყაროს ნაწილიც ხდება მთელი თავისი სისრულითა და მშვენიერებით: „დე დამრჩეს გული მოუვლელი, ვით ზამთრის ბაღი, ოღონდ ნუ ივლით ერთგულების ყალბი ნიღაბით, ნუ აჭრით ვარდებს – გაზაფხულის ცისფერ ხავერდებს". ვინ იცის ეგებ ეს განცდა, ეს გრძნობა,

1 გაზ. „ახალი კვალი", 1916, №31

გენო კალანდიასეული სიყვარულის მოვლა-პატრონობისა და დაცვის მზრუნველობის თავისებური გაცხადებაა, პოეტის რწმენით, სიყვარულია მარდიული, რომელსაც შეუძლია დროსა და სივრცეს გაუძლოს და სასწაულების, საოცრებების მოწმე გაგვხადოს. დიახ, „სიყვარული სახიერია თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, იგი მაღლა დგას ყოველგვარ განძზე, წმინდა მშვენიერება შეურყვნელი და შეურევნელია კაცის ხორცით, ხრწნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერებაა“.[1]

აი, როგორ გადმოგვცემს პოეტი სიყვარულით მონიჭებული ბედნიერების უიშვიათეს განცდას, სადაც მგზნებარე სულისა და ნატიფი გრძნობის ზეიმია: „ო, შენი თმები ქერა ზვირთი, ვით აბრეშუმი, მთელი კოლხეთის არის განძი... თეთრი ჭაღების“. („ოქროს თავთავები“). „გააღებს სარკმელს, მიმონამულს იების ცრემლით, დაწვდება თითით მოოქროვილს ყვითლად ნაღვერდალს, ვით ღვთაებრივი ნათელფენით მთვრალი ხავერდი, შაქრისფერ თითებს აამღერებს ზამბახის ცეცხლი“ („ორი მდინარე“). „იფურცლებოდა სიყვარული, ვით თოვლის ფარა, თმაში, თითებში, სარეცელზე სწრაფად და ჩქარა, სალამურივით მიშრებოდა ნაღამევს ყელი („ულო“). „თვალებში – დილა, თმაში კიდევ შროშანი მინდვრის, ბაგე – მაშრიყით მიქცეული მაისის შინდი, მზესთან ნაწნავით გადაბმულო, ცასთან – წამწამით („ჩვენთან არს ღმერთი“). – და ასე უსასრულოდ გრძელდება სიყვარულით გამოწვეული განცდა, ემოცია, განწყობილება. ამ სონეტებში ირეკლება გენო კალანდიას მრწამსი, მისი მსოფლგანცდა, ამაღელვებელი სისავსით რომ იმარხავს ბიბლიურ ვარიაციებს, შეყვარებული ადამიანის ამაღლებულ განწყობილებას.

---

1 პლატონი ნადიმი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა, თბ., 1964, გვ. 17

გენო კალანდიასათვის ქალი – მშვენიერებაა, სიცოცხლე, წყაროსთვალი... პოეტის რწმენით ქალური მომხიბვლელობა და სინაზე, თაფლის სკასავით გამოსცემს სურნელს... სონეტი „პიკის ქალბატონი“ ავტორის ტკივილიანი ფიქრებით, ღალატით, მაცდურობით გამოწვეული უცნაური განცდებით გამოირჩევა: „მკვდარია გული უცნაური ცხადით, ღალატით, ვით ღამის მეხით დალეწილი მინდვრის ლერწამი“ ... პოეტის გული ნაზია და მიმნდობი, გავიხსენოთ მისი ლირიკული ლექსი „ორი ნაპირი“: „ორი ნაპირი ვართ, – ერთი წყალუხვი მდინარის ორი ნაპირი, ჩვენი ტრფიალის გვეხეთქება ქვა და ზვირთები. ჩვენი სიტყვები გალობაა ორი ნაპირის, კოცნა – ამბორი ნიავქარით მთვრალი ლერწების.“ მარადიული სიყვარულის ათინათი მეგზურობს პოეტს ცხოვრების შარა-გზაზე. სიყვარულითაა ძლიერი და შემართული. ვერასოდეს შეელევა ამ ღვთაებრივ გრძნობას და მზადაა სატრფოს წინ სანთელივით დაიღვენთოს. გენო კალანდიას ძალუძს სიყვარულის გრძნობის, ტკივილისა და აღმაფრენის გამოხატვა, შეუძლია გრძნობათა განზოგადება, საყვარელი არსების სიშორით გამოწვეული კაეშნის გადამოცება, მისი აყვანა ხელოვნების დიად სიმაღლემდე.

„ჩვენ ძალიან ბევრი წაგვიკითხავს სიყვარულის თემაზე, სატრფოსთან განმარტოების უკიდეგანო სიხარულზე, თუნდაც ვერცხლის თასად, ვერცხლის სათითედ, უკვდავების წყაროდ თუ ლურჯთვალა იად ქცევის სურვილის გამომხატველი ხალხური პოეზიის მარგალიტებიც საკმარისია მოსაგონებლად...[1]

„ნეტარ არს იგი, ვინც ამურის ისრებს, მოწამლულს ნორჩი სხეული შეაგება წყნარი ღიმილით და ვნების კვირას დადნა, ვითარც მწვანე ბივრილი („ამურის ისრები“).

დიახ, სიყვარულის თემა არაერთი პოეტის საგანი გამხ-

1 ც. მესხია, სასწაული და ფანტაზია, „უნივერსალი“, თბ. 2009

დარა, გენო კალანდია მთელი არსებით ცდილობს ჩაწვდეს სიყვარულის საიდუმლოებას. თითქოს ამქვეყნის სიამენი „ღვინო, ქალი, ყვავილები, სხვა სიკეთეც ღამის, ახალგაზრდა ვერლენივით შხამად მექცეს ლამის“. სიყვარულით დაჭრილი პოეტის მისტიკური შიში თუ ლირიკულ ლექსში ძლიერდება: „მეშინია შელამების, შემოდგომის ჯანღის, თითქოს შავი ბალდახინი მოაქვთ შავი ბადით“. ამ დროს პოეტის სულის სალბუნად სიყვარული ევლინება და აღტაცებული იტყვის: „სიცოცხლედ მიღირს სიყვარულის ამგვარი წამი, ღამეთა წიაღ მოტორტმანე მიჯნურის ნავი, ერთმანეთს, ერთურთს სამუდამოდ ჩაწნული ჩრდილი“ („მაისის სკა“).

პოეტის სატრფიალო სონეტებში მისი რელიგიურობა და მაღალი სულიერებაა წარმოჩენილი. მისი ლირიკული პერსონაჟი იდუმალი გულის სიმებითაა მომართული, მთვარის აფრებიანი ხომალდით მოგზაურობს „უცნობად წყლებში“ და მყუდრო ნავსადგურს ეძებს. „სიყვარულს შესვამს ვით მუხრანის ღვინოს მარახოშს“. იტანჯება და ედარდება „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“ (გალაკტიონი). ენატრება „სიამის ვანი... ვარსკვლავებით მორწყული ველი, სასწაულის მომლოდინე ლირიკული პერსონაჟი მთელი არსებით განიცდის სიყვარულს მთელი მისი მომხიბვლელობით, ტანჯვითა და ტკივილით, გამარჯვებებითა და მარცხით, მოქმედებს, იბრძვის, იტანჯება. ლამაზი სიყვარულის განცდამ ათქმევინა პოეტს: „ზამბახის ალში, ლაჟვარდებში გამოხვეული ფორთოხლის სურნელს შეისრუტავს ჩემი სხეული, ცრემლის, ტკივილის, შთაგონების მწველი სამყარო“ ... ფერები, ბგერები, სურნელება, მელოდია – ყველაფერი თითქოს ერთმანეთშია შერწყმულ-შენივთული, ზმანებაში გადასული, მეხსიერების ბილიკებს თვალმიდევნული, რაღაც უჩვეულო პოეტური ხატებით იგუმანებს ამ მარა-

დიული გრძნობის გაუხუნარ სილამაზეს და მისეული სტილური მანერით შეგვაგრძნობინებს თავის ხვედრსაც: „სალამი პოეტს – შემქმნელს ათი ცისფერი ხატის, თავად განწირულს, გულამოჭმულს საწუთროს ხვატით, ფიროსმანივით შეფარებულს ლოთების სარდაფს“ („მალარმეს გედი“) და კიდევ: „გატყდება ღამე... აღმოხდება მნათი საჩინო, რომ მე საბრალომ ხელმეორედ აღმოგაჩინო და შენს თვალებში სამუდამო ვპოვო სამყარო“ („ოქროს თავთავები“).

ლაღად იკითხება სონეტი „მალარმეს გედი“, სადაც სასურველ და ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს სტრიქონთა თავისუფალი მდინარება. პოეტი მალარმეს სტიქიაში, მის პოეტურ სამყაროში ზმანებით გადასულია და აღტაცებით იტყვის: „სალამი ქალებს – ბალახივით უწყინართ ოდით, ვინც სიზმრად ნახა ვაჟას ნუკრი, მალარმეს გედი და ვისაც არვინ ჰყვარებია ოცნების გარდა“.

პოეტის ფანტაზია მასშტაბურია, მისი მზერა მალარმეს პოეტურ სამყაროს გადაწვდება. „რომ გადალახავ მკვდარ სივრცეებს, ტყვილად გგონია, ეალერსები შენს თეთრ კისერს თვით აგონია, შენ ფრთებითა ხარ მიჯაჭვული ლაღი, გვიანი“ (მალარმე). მალარმეს ამ ლექსში იკვეთება ლირიკული გმირის სულიერი განწყობილება, მისი ტანჯული ცხოვრება... მალარმესათვის დამახასიათებელია ანტიდემოკრატიული განწყობილება, მოვლენათა იმპრესიონისტული აღქმა და არსებული სინამდვილით უკმაყოფილება. მისმა პოეზიამ თავისებური გავლენა მოახდინა ქართველ ცისფერყანწელებზე... მის პოეზიასთან ჭეშმარიტად ზიარების სურვილი გენო კალანდიას პოეზიაში იჩენს თავს, კერძოდ, წარსულში დარჩენილი სიყვარულის ნაპერწკლის აელვარებისას, სიყვარულის ფენომენის თავისებურების ასახვისათვის, მხატვრული მასალის

შერჩევისათვის პოეტი მსოფლმხედველობას განსაზღვრავს და აწესრიგებს...

ბორხესი წერს: „ბრედლი ამბობდა, პოეზია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რაღაც ახალი კი არ ცხადდება, არამედ დავიწყებული ჩნდება ხსოვნაშიო. მშვენიერი ლექსის კითხვისას ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს თვითონ შეგვეძლო ამის დაწერა, რომ ეს ლექსი ჩვენში ადრეც არსებობდა, ეს მეხსიერებიდან ამოგვიტივტივებს პლატონისეულ განსაზღვრებას: „მსუბუქი, ფრთიანი, წმინდა“. მსუბუქი, ფრთიანი, წმინდაშეიძლებოდა ყოფილიყო მუსიკა (თუ არ მივიჩნევთ, რომ პოეზია მუსიკის სახეობაა) პლატონმა პოეზიის განსაზღვრაზე მეტი გააკეთა. მან პოეზიის ნიმუში მოგვცა. შეგვიძლია მივიდეთ იმ აზრამდე, რომ პოეზია ესთეტური ცდაა: ეს სრულიად ახალია პოეზიის სწავლებაში...“ [1]

„ხელოვნების დედააზრს არაფერი არ ეწინააღმდეგება ისე აშკარად, როგორც ნიმუშების მიხედვით გაჭრეჭილი სული“– ამბობდა გერონტი ქიქოძე, სწორედ ესაა ის მებრძოლი სიკეთე, რომელიც გენო კალანდიას სონეტებსა და სხვა პოეტურ ქმნილებებში პოულობს ჭეშმარიტ გამოხატულებას.

გენო კალანდიას „ანტიკური ბეჭედი“ შეუდარებელია. პოეტი სატრფოს ფეხებს ვარდისფერ სვეტებს ადარებს, თვალებს – გაზაფხულის ღვთაებრივ მზეებს, სუნთქვას – ჰაეროვან მაისის სუმბულს, „თაესასთუმალთან მოფარფატეს, ვით ზეცის ალებს“ და მზადაა ყველაფერი გააკეთოს სატრფოს ბედნიერებისათვის.

„გიყვარდეს – ნიშნავს განამტკიცო სხვა ადამიანის განუმეორებელი არსებობა“. (რუბინშტეინი). პოეტს უყვარს უან-

---

1 ლ.ბორხესი, მეშვიდე საღამო პოეზია, „ჩვენი მწერლობა“, 1 ოქტომბერი, 2010.

გაროდ, ამიტომაც უძღვნის სატრფოს სონეტს – „რომაული სასახლის მარჯანს, გამოკვეთილს გრანიტის ქვაში". – ესაა მეორე ადამიანის არსებობით გამოწვეული ზღვა სიყვარული და აღტაცება, ესაა ფიქრისა და ზრუნვის, მოვლა-პატრონობის განუმეორებელი სიხარული, რომელიც მოაქვს მეორე ადამიანის არსებობას და პოეტიც ამ საფიქრალის ტყვეობაშია... ლირიკული პერსონაჟი „სიყვარულის ანტიკურ ბეჭედს" უძღვნის სატრფოს. ეს სონეტია „გამოკვეთილი გრანიტის ქვაში", სიყვარულის ამგვარი სასწაულებრივი გამჟღავნების მერე ნიაღვრად მოედინება სიყვარულის დიადი ძალა და თვალწინ გიდგას სიყვარულისთვის შეწირული კაცის ხმა „ცრემლების ნიაღვარით". ესაა რაღაც სასწაულებრივი განცდა სიყვარულისა, სულის განუმეორებელი არტისტიზმი, რომელიც მუდამ მოხიბლავს თაობებს...

გენო კალანდიას, ზედმიწევნით სრულყოფილად აქვს გათავისებული ბიბლია, მამათა თეოლოგიური ტრაქტატები, ფსალმუნები, ბრძენ მამათა წინასწარმეტყველებანი თუ კანონიკური და აპოკრიფული ძეგლები, ამიტომაც კარგად უწყის, როგორ უნდა მიმართოს უზენაესს. ის კარგად იცნობს ქალის ხასიათს, მის ზნესა და ბუნებას. გულწრფელად ჟღერს პოეტის გულისთქმაც: „შემინდე ძველი შეცოდების, ღალატის გამო, ძე შეცთომილის, მენესტრელის მაკმარე ხვედრი, შემინდე, რაზეც ვოცნებობდი რაზედაც ვწერდი, შემინდე ჩუმი აღსარების, სიტყვების გამო, უკანასკნელი მოწყალების გაღება სცადე, შემინდე ყველა პარალელზე – მიწაზე, ცაზე, შემინდე, ჩვენი სიყვარულის ცრემლების გამო." – ჭეშმარიტად აღიარებასავით გაუღერდება პოეტის გულისწადილი და განსაკუთრებით საგულისხმოა პიროვნული შეცდომების აღიარება და სინანული. ცოდვის გამოსასყიდი სიტყვები –

„შემინდე ეჭვი, უარყოფა, გაქცევა ქვეყნად, სისხლით ნაწერი სტრიქონების წყეული ელდაც, შემინდე ყველა დარდიმანდის, ცოდვილის გამო, შემინდე ლბინი, მასკარადი, ნამები თრობის, ჯავრით შეჭმული მარტოობის კედელი ოთხი, შემინდე მკერდში ჩატეხილი მახვილის გამო“ („აღსარება“).

გენო კალანდიას პიროვნულ სიდიადეზე და ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ მას არ ასვენებს ძველი შეცდომები. უნებურად ჩადენილი ღალატიცა და „ძე შეცთომილის ბედი“. ამიტომაც წუხს და განიცდის ადამიანის ყოველგვარ ცდუნებას, რასაც თან ერთვის პირადი ადამიანური სისუსტე და იღწვის სრული კათარზისისთვის. ეს კი მხოლოდ სინანულითაა შესაძლებელი. „რეალობაში, ასე თუ ისე, ყოველთვის შეგვიძლია დავინახოთ ტრანსცენდენტალური ერთის ემანაციის კვალი. ამის ერთერთი ცხადყოფაა წმინდანობის ფაქტი. ადამიანის ფანტაზია სინამდვილის შორეული აჩრდილია, „მწერლობა რომ სინამდვილის აჩრდილად არ იქცეს, უშუალოდ უზენაესი ძალით ცხებულ სინამდვილეს უნდა დაემყაროს“.[1]

პოეტის ფართო ერუდიციის, მაღალი გემოვნებისა და დახვეწილი ოსტატობის ანარეკლია სონეტი „მინდვრის გვირილა“. პოეტი საკუთარ თავს „ამქვეყნიური ფოთოლცვენის ჟამის სტუმრად“ წარმოიდგენს და გულისტკივილით მიგვანიშნებს: „დგას კუბოსავით უარყოფის შავი ღრუბელი“ ... რეალურისა და ირეალურის მიჯნა, ყოფითობისა და ფანტასმაგორიის მონაცვლეობა წითელი ხაზივით გასდევს გენო კალანდიას მხატვრულ სამყაროს, რომელსაც მისი საოცარი ლექსი „სიტყვა“ ირეკლავს: „ირმის რძესავით ქაფქაფა სიტყვებს მთელი ზაფხული მასმევდნენ მთაში, ვით გოლიათი ლერწმის აკვანში, ვერ

1 გრიგერ ფარულავა, „ჰაგიოგრაფია ხელოვნება ხელოვნების შესახებ“. „ჩვენი მწერლობა“, 19-25 დეკემბერი, 2003.

ვეტეოდი სიტყვაში უკვე.“ „...რაც ყოფილა იგივე იქნება და რაც მომხდარა – იგივ მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“ – გვმოძღვრავს ეკლესიასტე. და ვფიქრობ, შემთხვევითი სულაც არ არის, თუ გენო კალანდიას სონეტები ჭეშმარიტი დასტურია მსოფლიოს უძველეს და უმდიდრეს წყაროებთან შემოქმედებითი კავშირისა, რამეთუ ღრმად სწამს „ღვთაებრივის გაუთვალისწინებლად ვერასოდეს აღასრულებ როგორც ჯერ არს, რაიმე კაცურს და პირუკუ... კეთილმოსურნეობით ვმსჭვალვიდე კაცთა და ჰმორჩილებდე ღმერთებს (მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, გვ. 100).

„უმადურობა? არ დაიჯერო, ო, ნუ იტყვით, ღვთის გულისათვის, ღვარძლს ნუ შეურევთ მადლთა ცისათა, ეჭვით ნუ შერყვნით, კრთოდეს მთიებად კაცთა შენდობა და პატიება – უუმაღლესი ქვეყნად სიკეთე“. (ანა კალანდაძე).

გენო კალანდიას ლირიკული გმირის ემოციური თუ მსოფლმხედველობრივი თვალსაწიერი ზეციური სამყაროსკენაა მიდრეკილი. „სიყვარულის სონეტები“ მისი, როგორც ხელოვანის, ბიბლიურ სამყაროსთან მუდმივი კავშირის კიდევ ერთი დასტურია.

დიახ, სრულიად განსაკუთრებული და ორიგინალურია გენო კალანდიას „სიყვარულის სონეტები“. პოეტი სათნოებისა და სილამაზის, მშვენიერებისა და სიყვარულის გადასარჩენადაა მოვლინებული, რომელსაც გულწრფელად შეუძლია დაგვარწმუნოს: „მაფიქრებს ღამე – მკერდდაჭრილი წვიმით აგავა, ჭადრის გაცრეცილ ფურცლებს მიგავს ფილტვი მტკივანი, ვითარც როიალს ბანოვანის ლურჯი მტევანი“ და კიდევ: „ღვთიური ჰანგი მზეს უკიდებს მყუდრო აივანს“, – ამბობს პოეტი და გასაოცარი სილამაზის მოწმეს გვხდის, როცა „წყალზე წყალივით გადატყდება ნაზი ტუია, ო, ეს ტუია, ეს

გოგო მთლად სასწაულია, სამოთხის ვაშლი, ფორთოხალი მოაქვს ლამბაქით". ღვთიური ჰანგის მიერ მზემოკიდებული მყუდრო აივანი – გარწმუნებს თითქოს პოეტი ხედავს ამ სასწაულებრივი სურათისა, უფრო მეტიც, უფალი სიყვარულს გარდმოავლენს თეთრი მხევლების სახით, რამეთუ მხოლოდ სიყვარულში დარწმუნებულებს და ლამაზი სულის მიმდევართ მოევლინება უზენაესის ნათელი და „სანთელს აუნთებს საყდარს შინა სოფლის ხეიბარს, ფიჭვის კვარებით განათდება მთელი ყაბახი" („ტუია").

ეს არ გახლავთ რიტორიკა, რომელიც განგებაა გამოყენებული, არამედ აქაა პოეტისეული განცდები, ფიქრთა ჭიდილი და გულში აწრიალებული ნათელი სხივის გამოხატულება. მხატვრულ-ფერწერული ჰარმონია შეუდარებელია. პოეტი გოიასებური სევდითა და ღვთიური სულიერებით ქმნის გამაოგნებელ პოეტურ პანოს.

„მონატრება", – აქ პოეტის არსებაში სიყვარული შემოდის, როგორც ვარდებით აფეთქებული გაზაფხული. პოეტი სიყვარულს ყველაფერს სწირავს, ის თავისუფალია ყოველგვარი სიხარბისაგან. ესაა ფიქრი არა წამიერი გაელვებით, არამედ რაღაც დიადი, სასწაულებრივი გრძნობით გაჩენილი. ფორმისა და შინაარსის გენო კალანდიასეული სტილისტიკაა და ვარდით განათებული სიზმარეული ცა სიყვარულით ათრთოლებული გულის პარაბოლირებაა. მიტომაც, „გედივით ატლასებში ჩარგული სადაფის ყელი" და „სიზმარ-ცხადის პირველი ვნება" სიყვარულის, ლამაზი სიყვარულის გადარჩენისაკენ სწრაფვას გვაფიქრებინებს: „მინატრე წყნარი ამინდების, სიზმრების კვირას, მინატრე შენი ღამეების მძარცველად, ჩრდილად, მკერდზე ჯვარივით ამომკვეთე ტრფიალის ალი". კითხულობ და გრძნობ როგორ ერწყმის ერთმანეთს ცეცხლი

და წყალი, აბობოქრებული გული და აფეთქებული ვარდის სურნელი, მღერადი მეტაფორებით გამოხატული პლასტიკურობა და სულში ატეხილი ქარბორბალა.

უკანასკნელი ფრაზა: „მკერდზე ჯვარივით ამომკვეთე ტრფიალის ალი“, – სიყვარულის აპოლოგიაა, რომელშიც სიცოცხლის, შინაარსიანი სიცოცხლის მარადიული წყურვილი და ლამაზი სიყვარულის გადამრჩენ ძალას ასხივებს.

როცა გენო კალანდიას „სასახლის კარის სონეტები“ წავიკითხე ტიციანი გამახსენდა, რომელმაც ტინტორეტოზე თქვა: „თუ ეს ყველაფერი ნამდვილად ხელითაა დახატული, აი, ამას ღმერთი დახმარებია“.

პოეტი „სასახლის კარის სონეტებით“ უპირისპირდება ბედისწერის ნებით ჩამოწოლილ სიბნელესა და ადამიანთა გაუტანლობას. ადამიანი და ბედისწერა, ადამიანი ბედისწერის წინააღმდეგ – კაცობრიობის ეს მარადიული კითხვა არ ასვენებს პოეტს. თავად განაგებს თუ არა ადამიანი თავის ბედს? თუ ბედისწერა წარმართავს ადამიანის ცხოვრებას. „არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“ – გვეხმიანება რუსთაველი... მაინც ბედისწერასთან ბრძოლაში ზეიმობს პიროვნება, გენო კალანდიას ლირიკული პერსონაჟი, რომელიც თავისუფალია თავის არჩევანში. ანტიკურ ტრაგედიებში ბედისწერა გარდაუვალიცაა, მაგრამ ამაღლებული, გენო კალანდიამ შეიცნო ეს ჭეშმარიტება და მისი ლირიკული გმირი თავად იწმინდება იმ „სიბილწისაგან“, რაც ბედისწერამ, განგებამ „დაარისხა“. ემოციური მუხტი თანდათან ძლიერდება, ზეციდან ნუგეშად მოვლენილი მიმინო ახალ-ახალი სივრცეებისაკენ უხმობს, ფანტაზია ეხსნება და მისი პოეტური ფენომენი შექსპირის ეპოქას გადაწვდება. თანდათან უახლოვდება „ჰამლეტის პალატს“. წერს, შლის, ქმნის – „თავთუხით ევსება

უბე.“ „ფასკუნჯის ფრთებით, მზის ნაღველით შემოქობილი“ პოეტის ხელწერა გვაოცებს ჩანაფიქრის სიღრმითა და სახეთა მასშტაბურობით. „სასახლის კარის სონეტები“, – ეს სრულიად ახალი პოეტური ქვეყანაა, რომლის აღქმა თვით პროფესიონალ კრიტიკოსსაც გაუჭირდება.

ყოველი სახე, პოეტური ხატი თუ მეტაფორა განუმეორებელია. ამ ციკლის სონეტებს აზრობრივ სიღრმეს ანიჭებს შექსპირისეული ეპოქის რემინესცენციები: „ათოვს შადრევანს, ათოვს ბაღებს, ათოვს ელსინორს, თოვლის სიზმარში და ხანძარში წევს ოფელია...“ „შავი ხავერდი, ვარდისპირი, მთვარის კამეა, მწუხრის ლოცვებით დაბინდული ოქროს ზოდები ბედისწერაა... უფლისწული და პოეტები ვიდრე ქცეულან შენი ტრფობის ჯვარისმტვირთველად.“ („ოფელიას სონეტი“)... ესაა ბედისწერის მსახვრალი ხელით განწირული ადამიანის მარად შუქმფინარე სახე. „თოვლის სიზმარში და ხანძარში წევს ოფელია“, – ამაღლებულია ფერწერული თვალსაზრისით. აქაა სწორედ შუქისა და ჩრდილის საოცარი ჰარმონია. ეს შუქი, ეს სინათლე გენო კალანდიას პოეტური „მე“-დან მოდის, აპობს წყვდიადს და იქმნება ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი სამყარო. ისეთივე მარად ცოცხალი, მშვენიერი, მღელვარე და იდუმალებით მოცული, როგორიცაა ტიციანის „ვენერას დღესასწაული“ ...

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თითოეული სონეტი თითქოს ბედისწერითაა მოქსოვილი „ოფელიას სონეტიდან“ „ჰამლეტის მესამე სონეტით“ დამთავრებული... გენო კალანდიამ განაზოგადა ღალატის, ცბიერების, სასოწარკვეთისა თუ რწმენის, სიძულვილისა თუ ერთგულების, სიყვარულის მარადიული დილემები და მთელი ეპოქის სული წარმოაჩინა...

... „გათავდა, მორჩა... „ჰორაციო ვკვდები, მივდივარ“ ...

აქ არის ყველა: ოფელია, მამა, გამდელი – ჩემი ბრმა ძიძა... და, ვინ იცის, კიდევ რამდენი მოდის და მხვდება წუთისოფლის სიზმარ-ბინდიდან" ... „მამაა ერთადერთი ნუგეშისმცემელი სულთამოხდის ჟამს. მამა – ხურო, ფიცარზე ფიცრის მიმდულაბებელი, ქონგურების ამჟღურტულებელი მთვარიან ღამით, ყავრების მხდელი, რომლის სახურავქვეშ სანეტაროა წვიმის გაკრიახება და მეტიც, მამა ჰადესიდან მოხმობილი ოდისევსისათვის თუ თავად ჰამლეტისათვის... მამის აჩრდილმა ბუნებრივია, უნდა ამოაქარქაშოს დანიის აშმორებული ნისლეთიდან დიადემით გარემოსილი ლაერტი, გულმარხი ჯარისკაცებით"... (გური ოტობაია)

კითხულობ ამ სონეტს და გრძნობ როგორ ირეკლება ჩვენი ქაოტური ყოფა, რწმუნდები დროთა კავშირის რღვევაში. პოეტის ფანტაზია ჰამლეტის აჩრდილს ამოზიდავს და როგორც სრული კონტრასტი კიდევ ერთხელ შეგვაგრძნობინებს დარღვეული დროის კოშმარებს, მტანჯველ განცდებს, ჩვენს სმენას ეწვეთება ჰამლეტის გულისდამძიმებული დარდი და წუხილი და ოფელიასთან განშორებით გამოწვეული გულის ფეთქვა: „ვით ელსინორის მთრთოლვარე სვეტი, ის ოფელია სხვა იყო ჩემთვის, სხვა განთიადი ეფინა თმაში. სუნთქვაშეკრული მინებდა ცივი მდინარის უცხო ბრწყინვას და ციმციმს ის უფლის კრავი, ქალწული, ბავშვი". ოფელიას სახე პოეტმა „უფლის კრავს" შეადარა და ვფიქრობ, ამით სასულიერო პოეზიის ხიბლსაც გვაზიარა. „უფლის კრავი", ორიგინალური და მიგნებული პოეტური სახეა, ბიბლიურ სამყაროსთან წილანაყარი და არის აქ რაღაც უჩვეულო სილამაზე და სულიერი სიფაქიზე, უზენაესთან თანაზიარობის განცდაც.

დიახ, გენო კალანდია გამუდმებით სილამაზის, მშვენიერების ერთგულია და თითოეული სახე-სიმბოლო ღვთაებრივი

ზიარების უიშვიათესი განცდებით გვმსჭვალავს. პოეტის ტკივილიანი სიყვარული მოგონებებში, ხილვებში ცოცხლობს და მუდმივად უხილავის, ხელით მოუხელთებელი სამყაროსკენ სწრაფვის დიადი ჟინითაა გულანთებული... და მაინც, როგორ ჰგავს ეს სონეტი გენიალური შექსპირის სონეტებში, კერძოდ მის ხილვებში მოცახცახე კოშმარულ სამყაროს. „მიუხედავად ყველაფრისა, ამგვარ ოდიოზურ ქვეყანასაც სურს და სჭირდება პოეტი და პოეზია... ანუ ისინი, რომელნიც ყველაზე მარჯვედ „სარგებლობენ“ სიტყვით და უბრუნებენ თუ არქმევენ სახელებს ადამიანურ შეგრძნებებსა და ჩვენს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს“.[1]

გენო კალანდიას ლირიკული გმირი ლაპარაკობს სილამაზეზე, მშვენიერებაზე, სიყვარულზე, უჩვეულო გულწრფელობით ლაპარაკობს სანეტარო წუთების დადგომაზე, მონატრებაზე, მოულოდნელად, ნიალვარივით მოვარდნილ სიყვარულზე, ერთიანად ცეცხლის ალში გახვეულ მთელ მის არსებაზე და, „აგერ დგას იგი, ოფელია – თვალი-თვალადი, ველის შროშანი, გულის ჟრჟოლა, მჭვირი კარატი, მირონის წყალი, მირონის მზე – მირონცხებული“.

საოცრად ნათელია ეს გობელენი, მიუხედავად ბედისწერის შავი აჩრდილისა და შექსპირისეული უნაპირო სევდისა, პოეტი მაინც ძლიერია და შემართული... „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“ – მთელი ძალმოსილებით იმარხავს ღვთის მადლს და იღვრება „მირონის წყალი, მირონის მზე – მირონცხებული“ ...

შექსპირისეული მონოლოგები პოეტისათვის სიმაღლეა, მწვერვალია, სადაც ლირიკული პერსონაჟის სულისშემძ-

---

1 გ. ბენაშვილი, არაბესკები. „ლიტერატურული საქართველო“. 24-30 ავგისტო, 2001.

ვრელი ემოცია სანთლად ენთება... სამეფოში ანკრიალებული მწუხრის ზარები, მლოცველი მეფე, ინგლისისაკენ მიმავალი უფლისწულის მიერ „ოთხფრთიანი კარატით ძველით გადმოჭრა მთვარით მოვარცხლილი მდინარის ყელი“, თეთრი მარგალიტის წვიმა და ოფელიას მძინარე სახის ხილვა, რაღაც გამაოგნებელია და მომაჯადოებელი. ერთი რამ ნათელია, შექსპირის ტრაგედიების პერსონაჟთა ბუნებასთან წილნაყარობა, მსოფლიო ხელოვნების შედევრთა საფუძვლიანი ცოდნა ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს გენო კალანდიას პოეტური ფორმის და აზროვნების უჩვეულო სასწაულს. „იმ ღამეს მგონი სამუდამოდ დაკარგა გონი, იმ ღამეს ბედთან სიყვარულთან წააგო ომი, იმ ღამეს იგი სასახლეში დაჭრილი ვნახე“ ... სწორედ აქაა ბედისწერის უჩვეულო განაჩენი, განწირული სიყვარულის თემა პოლიფონიურად ჟღერს თავბრუდამხვევ მეტაფორებში. შექსპირისეული განცდებისა და ფიქრების გადმოცემა პოეტისათვის მხატვრულია და თანამედროვე... როცა „დედოფლის მესამე სონტეს“ ვკითხულობ, რატომღაც მგონია, რომ გენო კალანდია ზოგჯერ შექსპირისეულის კიდეზე გადის; „... რა უბედური დღე დაგვიდგა რა მოთქმა-გვრინი, ატყდა ელსინორს... ო, რა ქარია, ქარბუქი ქროდა, მისი უმანკო სხეულივით ზვირთებს მიჰქონდა მისი დაწნული მეწამული ვარდის გვირგვინი“ ... სონეტის სიუჟეტი ჩრდილში არ აქცევს ადამიანის რთულ პერიპეტიებს და პოეტთან ერთად გავიაზრებთ იმ სამყაროს არასრულყოფილებასა თუ არაბუნებრიობას, რომელშიც სიკეთე აუცილებლად ბოროტების მსხვერპლი ხდება, მაგრამ მაინც დაუმარცხებელია. ეს გონივრული აზრი შექსპირისეულია, რომელიც ღრმადა აქვს გაცნობიერებული გენო კალანდიას.

სონეტის ფრაგმენტებში ირეკლება პოეტის მსოფლგანც-

და, მისი შთამბეჭდავი და არაორდინალური უნივერსუმი. სულისშემძვრელი ტრაგიზმი და თანამედროვე სინამდვილეც: „ო, ჩემო ლაერტ, უზენაესს ვთხოვოთ შენდობა, ვგრძნობ, სამეფოში ცუდმედიდი დგება ამინდი" ... რაოდენ დიდი და მასშტაბურია პოეტის ჩანაფიქრი. აქაა ჯადოსნურ ფერთა თამაში მისტიკურ სიმბოლური გააზრებით. ამ სონეტით ჩვენს წინაშე დგას თანამედროვეობის ჭეშმარიტი შემოქმედი, ლაღი და თავისუფალი, გაბედული და შინაგანად მეამბოხე. გენო კალანდია ჭეშმარიტი ნოვატორია, ახალ-ახალი პოეტური ფერებისა და ფორმების მაძიებელი.

„ჰამლეტის მესამე სონეტში" პოეტმა წარმოაჩინა კონტრასტით გადაწყვეტილი პოეტური სივრცე. საინტერესო და შთამბეჭდავია პოეტის თვალსაწიერიდან დანახული ჰამლეტის ცხოვრების ახალი გზა – ცოდვით სავსე ელსინორთან გამოთხოვება და ინგლისის დაისივით გულშემღვრეულ ზღვის ჩქერალებთან შეხვედრა. პოეტი უაღრესად გასაგებსა და მახლობელს ხდის ლირიკული პერსონაჟის განცდებს: „აქ სიკვდილია... ზარებს რეკავენ... და მოწამლული დაშნის წვერივით ციმციმებს ცოდვის მრავალწერტილი" ... აქაა ღრმა ლირიზმი, რომელიც ხაზს უსვამს ჰამლეტის სასოწარკვეთას და მკაფიოდ მეტყველებს ბედისწერის განაჩენზე...

გენო კალანდიას „სასახლის კარის სონეტები" დაუბრკოლებლად გაიკვლევენ გზას მკითხველთა გულებისაკენ, როგორც შექსპირისეული მოტივის აჟღერება, უფრო მეტიც, აქ პოეტური ხატებითა და სახე-სიმბოლოებითაა მინიშნებული შექსპირისეული ეპოქის ძლევამოსილება. კერძოდ, ტრაგედია ლირიკული პერსონაჟებისა, რომლებმაც გვიან, მაგრამ მაინც შეიმეცნეს ჭეშმარიტება.

გენო კალანდიამ „ჰამლეტის მესამე სონეტში" ლირიკული

პერსონაჟის ხასიათი პოეტური წარმოსახვისა და რეალობის სინთეზით წარმოგვიდგინა და დროისა და ეპოქის განსხვავებულების ურთულესი ამოცანაც წარმატებით გადაჭრა. პოეტური შთაგონება და გულში ჩამწვდომი ხელოვნება პიკს აღწევს და მკითხველის არსებაში შემოდის უწმინდესი გლოვის ნაკადი, რომელიც მოაქვს მხატვრულ სიტყვას: „აქ სიკვდილია... ზარებს რეკავენ და მოწამლული დაშნის წვერივით ციმციმებს ცოდვის მრავალწერტილი“, – ლირიკული პერსონაჟის ხმა თითქოს მიიწევს მაღლა მწუხარებისა და პროტესტის მწვერვალზე, რათა იქიდან გზა გადაუკეტოს ბოროტებას, წინ აღუდგეს სიკვდილს. მსგავსი პოეტური სტრიქონები სამუდამოდ რჩებიან მკითხველთა ხსოვნაში, ვითარცა უმაღლესი ესთეტიკური ტკბობისა და განსჯის ნიმუშები, რასაც მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნება წარმოშობს.

გენო კალანდიას პოეზია მიგვანიშნებს სამყაროს ახალ-ახალ განზომილებებზე. აქაა თვალსაჩინო პოეტური ხილვები. მისი სულის სარკეში არეკლილი ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. მისი საოცარი პოეტური შთაგონება „მწუხრის სონეტების“ ფონზე რაღაც არაამქვეყნიური სინათლითაა გალიცლიცებული...

სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი, სიკვდილი და სიცოცხლე თითქოს ერთად მჟღავნდებიან ჩენს მწარე სინამდვილეში და მის ტკივილიან გულს უსასრულობისაკენ ეზიდებიან...

გენო კალანდიას „საღამო ხანის სონეტებში“ ლირიკული პერსონაჟის დაუოკებელი სწრაფვაა მზიანი მომავლისაკენ. მის თოთოეულ სტრიქონში იკვეთება ფიქრი, არა მყისიერი, წამიერი გრძნობით, არამედ რაღაც უცხო, მოუხელთებელი გრძნობითა და ფიქრით გაჩენილი.

თამარ ბარბაქაძე წერს: „საღამო ხანის სონეტები“ მწუხრის ხმებით არის აღსავსე, როგორც სიცოცხლის მიწურული, მით უფრო რომ რეალურმა, ცხოვრებისეულმა განცდებმა მართლაც სევდითა და ტკივილით ნასაზრდოებმა, ხვავრიელი ნიადაგი შეუქმნა ლირიკული გმირის პესიმიზმს“.[1]

დიახ, „მკითხველი უზარმაზარ სიამოვნებას განიცდის, როცა კითხულობს ლექსების ციკლს „საღამო ხანის სონეტები“. სიკვდილის, სასაფლაოსა და სიამაყის, სამშობლოს, მამულის, ადგილის დედის მონაცვლეობა სიდიადეს ანიჭებს სიკეთისაკენ, სიწმინდისაკენ სწრაფვას. საღამო ხანის სონეტებში პოეტმა თავისი სულის ფორიაქი და წამება გადმოგვცა. მწარე

1 თ. ბარბაქაძე, სონეტი გულით და გრძნობა-გონებით. „ცისკარი“, 1997, №4

ნეტარებით აშიშვლებს ყველას თვალწინ თავის სევდას და სასოწარკვეთილებას, თითქოს ტონს აძლევს თავისი დროის თაობას: „მოწამის კვართი, ეკლის მძიმე გვირგვინი – ჯილდოდ, აწ თვითონ უნდა აღიღო და თვითონვე ზიდო, ღვთისმშობლის ძეო და მკვიდრო ცათა“ („ჯვარი და გვირგვინი“).“[1]

გენო კალანდიას მიერ საგნები და მოვლენები ფილოსოფიურ ასპექტშია დანახული და გააზრებული. პოეტი „მზის გულითა“ და „მზის ფილტვებით“, ღამის გამპობი საყვირის ძალით, ცისარტყელის შვიდფერი თასით სვამს სივრცეს, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ (თოვლზე) მის ნაფეხურებს გამოჰყვება ბავშვობის ლამაზი დღეები, მშობლიური ოდაბადე და საყვარელი ნეკერჩხალიც. ... პოეტს მშობლიური ოდიშისკენ „გაურბის თვალი, ცისარტყელად ეხატება იელის ყელი. და გაკრთება ბიბლიური ალუზია: „გათვალული ვარ სულიწმინდის, ქიაჩის ხატით, თითქო პანაშვიდს მიხდის უკვე ცოდვილი მარტი და შავი კუბო სამეგრელოს შუკებით მოაქვთ“ ... აქ სულიერ სამშობლოსთან სიყვარულით გადაჯაჭვული პოეტის სევდაა გაცხადებული. სულიერი ინიციაციის გზაზე შემდგარი პოეტი-პილიგრიმისთვის გზის მაჩვენებელი ქრისტიანული მუზაა – სულიწმიდა, ქიაჩის ხატი და უნებურად მახსენდება გალაკტიონი, რომელსაც მუდმივად ტანჯავდა „უსახლო და უმამულო გული“ („სული უსახლო“, „არ მეგონა“). გალაკტიონს მუდმივად აწამებდა „უმიწაწყლობა, უგზოობა, უღვთისმშობლობა“ („ჩემი მეეტლე“) – „მრავალ სახლიდან გაქრა ობლობა და განწირული ბედის მონობა, მათ აიტანეს უღვთისმშობლობა, შეიძლეს მაინც უამინდობა“ („მწუხარება“).

---

1 ც. მესხია, მესამე თვალის სხივნათელით, წიგნში „მწერალი და სინამდვილე“, თბ., 1998. გვ. 222-232.

გენო კალანდიას მეგზური „სულიწმიდა და ქიაჩის ხატია“ და თავს ბედნიერად გრძნობს: „ბედნიერი ვარ! – ხელთ მიჭირავს ქართული ქნარი და სიტყვა მრჩება, ვით ნამდვილი ზურმუხტის კვარი – საფლავის ბორცვზე გაზაფხულის ამოდის ია“.

გენო კალანდიას სონეტები სიტყვათქმნადობის უჩვეულო ხელოვნებაა. ყველგან, ყველა ნაწარმოებში მხატვრულ ფორმათა მშვენიერება და სილამაზეა. ვკითხულობ და ვგრძნობ, როგორი მაღალმხატვრული და გრაციოზული, „პიკანტური სულის“ ილუსტრაციებია მისი საოცარი ქმნილებები: „იელის ყელი“, „ხსოვნა“, „ბედისწერა“, „ორთაბრძოლა“, „ჟამი“, „ლურჯი დობილი“, „უცხო ყვავილის სონეტი“, „ტროპები“, „ცისფერი წიგნი“, „სასაფლაო“. თითოეული სონეტის სათაური თავადაა მთელი პოეტური სამყარო... არ იქნება გადაჭარბება, თუ გენო კალანდიას მხატვრულ სამყაროს მსოფლიოს გამოჩენილ ფერმწერთა ნაწარმოებებს შევადარებთ. ის, როგორც შემოქმედი უკეთ უსმენს და გრძნობს თავის დროს. იგი ისმენს, იწოვს არა მარტო თანამედროვე ცხოვრებას, არამედ თავისი ეპოქის იდეებსაც. მათ შორის თანამედროვე ესთეტიკურ ნააზრევსაც. დრო კი მდიდარ მასალას იძლევა მხატვრული თეორიის პრაქტიკის გასააზრებლად... „ქართლის ყვითელი ნიაღვრები... მწუხარე მესა, – შავი სუდარის... მისტერია... ბედის თამაშით გაოგნებული ქალაქები – დროგის ცხენები, ქალის ზურგივით მოხასხასე ოქროს დაისი“ („ხსოვნა“), – რაღაცნაირი სილამაზით გვაბრუნებენ წარსულში, მშობლიური ქვეყნის ტკივილიან წარსულში. პოეტის სულში მიმდინარე დრო დასაზღვრული არაა, ის მარადიულია, ამიტომაც შეძლო მთელი გულით ეთქვა ჩვენთვის: „გასულა ჟამი, საალაზნოს მოუსხამს დიბა, ჯაჭვის პერანგი გაუხდია

ხელმარჯვე მთიბავს, დამცხრალა შფოთი... და ბუხრებში ფართქალებს ბოლი" („ლეკიანობა").

აქაა გენო კალანდიას ერთგულება წარსულისა და მომავლისადმი, მისი თავგამეტებული ღწვა და შემართული ბუნება ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

„ლიტერატურის ნამდვილი ისტორია უანგარო თავგამეტებების ასეთ მაგალითებს არ ივიწყებსო", – წერდა გურამ ასათიანი.

გენო კალანდიასთვის სამშობლო ქვეყნის სიყვარული რელიგიაა, თავისებური ეროვნული სარწმუნოება. მისი მხატვრული საშუალებები განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს თანამედროვე სინამდვილეს. ხელშესახებად წარმოგვიდგება პოეტის შთამაგონებელი სახე, რომელიც შემოდგომის კვამლითა და იჭვით, „ველური ჟამითაა" გულდაკორტნილი. მას ხომ ბედმა ბავშვობიდან „საფლავის ქვა დაკიდა". უსაშველო სევდა-წუხილით სულშეძრული პოეტი ყველრებით იტყვის: „მაციებს ღამე, მკერდს მიკორტნის ველური ჟამი, თითქო ოჯახში სახლიკაცი მესვენოს მკვდარი. თითქო არაგვთან ერთად მახრჩობს მცხეთაში მტკვარი" („ჟამი"). რა უცნაური და გადამდებია პოეტის სევდა. წარმოუდგენელია ასეთი ნატიფი, რაღაც ზეციური განცდებით დაფერილი პოეტური პანო.

„დახვეწილი ხელოვანის წმინდანური ზნეობა" (რეზო ადამია), მამულისადმი უანგარო სიყვარული და ტრაგიკული განცდა მომავლისა, რომელიც ჩვენს წინაშე თეატრალიზებული ფორმით წარმოგვიდგება, სულს გვიფორიაქებს: „გასრულდა ძმობის მისტერია... და როგორც შანას, სამკვიდროს შენსას ღამისფერი წყვდიადი შთანთქავს, ყურებში წივის უცაბედი ქარი და ტყვია".

ესაა ჩვენი ულმობელი დრო-ჟამის მწარე განაჩენი. პო-

ეტის „მე“, მისი სული დრამატიზმით წარმოჩინდება. ის მუდმივად მშობლიურ „ოდაბადეს“ დასტრიალებს, გულს უკლავს დღევანდელი ქართული სინამდვილე, ვერ აუტანია ცრემლებგამშრალი სოფლის სუნთქვა. აშფოთებს სისხლი მიწაზე დაღვრილი. გულს უფორიაქებს მწუხარე ნიგნის ფურცელი, მრავალტანჯული მიწა იბერთა და სასომიხდილი იტყვის: „ძაღლის ბედი სჯობს ამ უსაშველო მოლოდინს, ხორცის ყრია ნაფლეთი, თავს მოიკლავდა თვითონ ჰამლეტიც, რომ ყოფილიყო ვაჟა-ფშაველაც“. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გენო კალანდიაში ზეციური და მიწიერი სიცოცხლე ფანტასტიკური ფერებით, ბიბლიური პარადიგმებით იხსნება. თითქოსდა შორეული კოლხ მოგვთა გრძნეული ძალა კვებავს მის სულს, რათა საოცრად საკვირველი ემოციური მუხტით შეგვაჟრჟოლოს და უჩვეულო სურნელით გვაგრძნობინოს სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება: „თქვენ რომ პირთამდე ღვინო დამისხით, იმ ნექტარს სვამდნენ ძველი მგოსნები, მოიხარშება, ალბათ, ოდესმე ჩემი გულ-ღვიძლიც იობის სისხლით... და ძვლების უშნო გროვად ქცეული, ყოვლად პარტახი, ფორტო სხეული მიწაში ეგდოს, როგორც ნაფოტი“. („თქვენ რომ პირთამდე ღვინო დამისხით“).

გენო კალანდია, პოეზიით, ლექსით ცხოვრობს, მისი სათუთი და ბობოქარი სული მხოლოდ პოეზიაში ჰპოვებს შვებას. ამიტომაც სჭირდება სიტყვა – ვეფხვის ნახტომი“. „ო, ბედისწერავ! გქონდეს გირაოდ სიცოცხლე! ოღონდ სამაგიერო მომეცი სიტყვა – ვეფხვის ნახტომი“.

გენო კალანდიას სულში მისტიკური, რაღაც უცნაური და სასწაული პოეტური ხელოვნება მირონივითაა ჩაღვრილი. „კოლხეთის ცხელი ვარსკვლავების“ დაკრეფის მოსურნე პოეტს ოცნებები დაემსხვრა, ღალატმა დაღალა, „წარსული ისევ

ლეგენდებად, თქმულებებად დარჩა". მას უსაშველოდ სტკივა, სტკივა დაშლილი სული. ამ ტკივილიანი განცდის გამოძახილია სონეტი „ამაოება": „მინდოდა გზისპირ მოგზაურის დამენთო ცეცხლი, ობლად შთენილი ძმის საფლავი გამეთბო ცრემლით, კოლხეთის ცხელი ვარსკვლავებით ამევსო უბე, მაგრამ სურვილი უნაყოფო ოცნებად დამრჩა, ვგავარ ჟამით და ჟანგით შეჭმულ უტარო ხანჯალს, მგლოვართა ხელით დასვენებულს პოეტის გულზე". ღვთიური ნათელი იღვრება მწუხრის სონეტებიდან, სადაც ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა მეტაფორად ქცეულა, სადაც კვლავაც ულმობელია ბედისწერა: „ველარ ამოვთქვი, რუქაია, ოქროს შაირი, ვერ ჩამოვაგდე ღამის ციდან მთვარის ფიალა, მე ბედისწერამ სამუმივით გადამიარა, ჩვენ ჟამი შეგვხვდა, საყვარელო, სულ სხვანაირი („ბედისწერა").

გენო კალანდია ახალ საუკუნეს თეთრ ხელთათმანს ესვრის და გულატკივებული გზნებს: „გავწყალებოდი დედას საშოში და დავეკალი მშობელს აღდგომას და არ მეხილა ის ორთაბრძოლა – მკვდრების აღლუმი და პანაშვიდი. აღარ მენახა როკვა მოკვდავთა, ყორნების ბინდი, – ავადაშლილი, ამელო თოფი იაშვილივით და ალიონზე თავი მომეკლა" ...

გენო კალანდიას სონეტები (ციკლიდან „საღამო ხანის სონეტები") – „მუმლი მუხას", „ადგილის დედა", „ორთაბრძოლა", „ჯვარი და გვირგვინი", „ქართლის ჭირის თანამედროვე ვარიაცია", „ბედისწერა", „მწვანე ბივრილი", „მზისფერი კვართი", „ზვარაკი" და სხვა აფხაზეთის ძმათამკვლელი ომის კოშმარული სურათების სულისშემძვრელი მატიანეა. პოეტი უმძაფრესი დრამატიზმით აღსავსე განცდებით ცხოვრობს და გვარწმუნებს იმაში, რომ თვით ულმობელი ომიც კი ვერ წაშლის ჩვენს სასიცოცხლო ძალებს. „გენო კალანდიამ

სულის საკრავებიდან ჩამოკრული მეტაფორებით მიგვანიშნა, რომ მასში უკიდურესი ტრაგიზმი მაინც ეროვნული სულისთვის ნიშანდობლივი ოპტიმიზმითაა გაწონასწორებული. ამ სულით ხორცამდე „წმინდანისა“ და მის ირგვლივ არსებული კოშმარული სურათების, ასევე ამაღლებული და აფხაზეთის გადარჩენისთვის ბრძოლის რაინდული სულით ანთებული სივრცის გახსენებამ ჩვენი მწარე სინამდვილე კიდევ ერთხელ ამოატივტივა და საზარელი სახე წარმოაჩენინა“.[1]

დიდი სევდითა და სულისშემძვრელი ტკივილითაა დანაღმული გენო კალანდიას „ჯვარი და გვირგვინი“. აქ მწუხარე ნეტარებაა გაშიშვლებული. პოეტის შინაგანი ტკივილი და სასოწარკვეთა, თვალისმომჭრელ სამზეოში თაობების გადაძახილად რომ აღიქმება: „მონამის კვართი, ეკლის მძიმე გვირგვინი ჯილდოდ, აწ თვითონ აღიღო და თვითონვე ზიდო, ღვთისმშობელის ძეო და მკვიდრო ცათა.“

მწუხარე სიბრძნე შემოგანათებს „უცხო ყვავილის სონეტში“ ... აქ ფერებია არეული ბუნების რაღაც უჩვეულო დღესასწაულით. არ ასვენებს წარსულზე ფიქრები, არ ასვენებს ფიქრი „უცხო ყვავილზე, გალავანთან მქრქალად რომ ენთო“, განიცდის იმას, რომ მთელი დღეები ხმას არ სცემდა და „თეთრი ყელი მხევალივით ყორეზე ედო“ და მოდის ტკივილიანი სინათლე, შთამბეჭდავი პოეტური სახეები, რომლებიც სისხლს გვიტორტმანებენ, სულს გვიფორიაქებენ. რა საოცარია მზენასვამი უცხო ყვავილი და უხერხულად „მოშოშმინე ძველი ბაღი“ ... ესაა ის განცდა, ის წუხილი, რაც წარიხოცა, რაც ულმობელმა ჟამმა „წარსტაცა“ პოეტს... მზენასვამი უცხო ყვავილი და გაღმა მოშრიალე ღრუბელი ირე-

1 ც.მესხია, გენო კალანდია და აფხაზეთის ტრავედია, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №17, თბ.. 2012, გვ. 101.

კლავს პოეტის მთავარ სათქმელს.

ცრემლად ჩამოიღვენთება გაუსაძლისი ტკივილი „მიწა სამოთხეს მისტიროდა, სამოთხე – მიწას“ ...

გენო კალანდიასათვის „მესამე თვალი“ უფრო მეტია, ვიდრე გონების ცეცხლი, მისთვის ფასეულია ზეცა, წუთისოფლის საიდუმლოებების შეცნობა. მისი პოეზია სრულიად განსხვავებულია სხვა თანამოკალმეების პოეზიებისგან. დიახ, „ნააზრევმან ფილოსოფოსთა ხმამამ, ციდან ჩვენს მიწაზე ჩამოღწეულმან, მათ ამოტვიფრეს სიყვარული ჩემს გულში (18,183).

და კიდევ: „ვერც მგრძნობელობა, ვერც აზროვნება და ვერც ოსტატობა ვერ შეედრება პოეტად ყოფნის სრულ შერწყმაში ღვთაებრივ მადლს“ (ჟ.პომპიდუ).

პოეტისათვის ნიშნეულია „ფიქრი გულით და გრძნობა გონებით“. მასთან ცნობიერი და არაცნობიერი მუდმივად ჰარმონიაშია, თითქოს მასზეა ნათქვამი „ცნობა, გული და გონება და ერთმანეთზედა ჰკიდიან“ ...

„საღამო ხანის სონეტები“, მისი ელეგანტური სულის გამონათებაა. დაუჯერებელია, მაგრამ ნაღდია, მისი სონეტებში რაღაც ახალსა და უჩვეულოს აღმოაჩენ ხოლმე იქ, სადაც ყველაფერი მოსაბეზრებელი და მოსაწყენია. „შემოდგომის სონეტებით მთავრდება „ოქროსფერი მზით ნაფერალი“ დღეების თავბრუდამხვევი სურნელი და სადღაც სულ ახლოს, ზამთრის მწუხარე მელანქოლია ეფინება მოწყენილ თვალსაწიერს...

გენო კალანდიას პოეზიაში სულისა და ხორცის ერთარსებობა და ჭიდილი ბიბლიურ პარადიგმებს ეფუძნება. ქართული პოეზია ამ პარადიგმების ფონზე ჩამოყალიბდა. დავით გურამიშვილი კი მათ სიმბოლურ-მეტაფორულ პარადიგმულ ქსო-

ვილში შლიდა, მისტიფიკაციის ამგვარი ტონალობა მთელი თავისი ცხოველმყოფელობით გრძელდება და მხატვრული უკუფენებისა და სააზროვნო ტენდენციების შინაგან უნყვეტობაზეც მიგვანიშნებს.

ის განცდა და მადლი, რაც გენო კალანდიას ლექსთან ურთიერთობისას მოდის, მსუბუქიცაა და მძიმეც, უდიდესი ნეტარების მომტანი, მაგრამ რაღაც მავალდებულებელი. „მოწამის კვართი, ეკლის მძიმე გვირგვინი – ჯილდოდ აწ თვითონ უნდა აღიღო და თვითონვე ზიდო, ღვთისმშობლის ძეო და მკვიდრო ცათა“ („ჯვარი და გვირგვინი“).

გენო კალანდიასთან ბროწეულისა და ფორთოხლის ფერებში გამოხვეულა განცდები, ფიქრები, გრძნობები. ბიბლიური ვარიაციები მზის სხივებივით გაბრწყინდებიან და უნებურად, შენს წინაშე რაღაც უჩვეულო და ხელით მოუხელთებელ სიბრძნის ქანებს აღმოაჩენ, რომელთა დაშლა, აღდგენა და გარდასახვა თავად შენ გშლის და განაწილებს, რათა შეგიტყუოს და წინ ერთი მთლიანი სასწაულებრივი სამყარო დაგანახოს... ეს სამყარო კი ღვთიურია და უსასრულო, სადაც „კოსმიური ნათესაობაა“ სრული.

გენო კალანდიას სონეტები: „ნატვრის ხე“, „პროცესია“, „ქართლის ჭირის თანამედროვე ვარიაცია“, „ორთაბრძოლა“, „ადგილის დედა“, „ზვარაკი“ და ა.შ. სევდიანი ძაფებით მოქსოვილი ჩემი ერის ფიქრები, განცდები და სატკივარია, რამეთუ „ჩვენი სიცოცხლე არის სარკმელი უსასრულობაში, მუდმივ საადამიანოდ არარსებულ არსებობაში გასახედად, იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რომ ის არსებობს და იარსებებს ჩვენთვის ადამიანურად არარსებული, გვეძლევა სიცოცხლე“.[1] (ესმა ონიანი).

1 ესმა ონიანი, ფერწერა, გრაფიკა, პოეზია, „ინტელექტი“, თბ. 2003.

გენო კალანდიას სონეტებში ირეკლება ზღაპრულ-ფანტასტიკური დეტალებით ჭარბად თუ ზომიერად გაჯერებული ამბები, მოვლენები, ფაქტები, ცნობისწადილის აღმძვრელი ლირიკული სიუჟეტები და ყველაფერი რეალობითაა „პირობადებული და შემაგრებული“, ყველას და ყველაფერს სიმართლე, ცხოვრებისეული სიმართლე უდევს საფუძვლად... და პოეტი, რომელმაც „ათასი შფოთი, ხათაბალა“ გადაიტანა და „სიყვარულს წვიმასავით სვამდა“, მუდამ იდუმალი ზარის რეკვას აყურადებდა და „ზღვის მღვრიე ზოლი... ნავსადგური... ქალაქი ჭრელი ცისკრის მორევში ჩანდა, როგორც ჟირაფის ყელი“ ... დღეს პოეტს ბედმა ხელში ცისფერი წიგნი „შეაჩეჩა“. ვფიქრობ, ბედისწერამ სწორედ ამით გამოარჩია და განასხვავა სხვა მოკვდავთაგან.

არსებული სინამდვილე ბავშვობიდანვე „ატერორებდა“ ახალ-ახალი სიურპრიზებით: „ალაზნის ველი დაულაშქრავთ იმამის კაცებს, დაუქცევიათ ჩვენთა ყრმათა ალალი სისხლი... და ლეკთა ბელადს ერთი ბეწვით ამცდარი ტყვია ქარს წაუღია ვარსკვლავივით კახეთის ხმელით“ („ლეკიანობა“). პოეტური შემოქმედების ღვთაებრივ მადლთან ადევნებული ტკივილი, დარდი და ცრემლი ამგვარ პწკარებად გარდაისახა: „ველს, გადაბუგულს თიბათვის ხვატით, აგვისტოს წვიმა უკოცნის უბეს, მეც გრანელივით მივსტირი ღრუბელს თორემ ისედაც მიგლოვებს მარტი... და ფოთოლცვენის ლული და სევდა ზუზუნებს მთაში და ნატვრის ხესთან გალობს ჭყონდიდის თორმეტი შაშვი“ ... (ნატვრის ხე).

„ჭყონდიდის თორმეტი შაშვი“ – კოლხურ მისტერიას იმარხავს, აქაა ღრმა და უძირო, ულამაზესი სევდა, სასწაულებრივი ხატ-სახეებით რომ იქსოვება მოზაიკურ ტილოდ, რომელიც მოგვაგონებს ტიციანისა და რუბენსის ღვთიური

ხაზებით ატეხილი კოსმიური სამყაროს ნათელ კოლორიტს, სიცოცხლის დღესასწაულსა და ფერთა უსასრულო ზეიმს.

დიახ, ვრცელი კოსმიური სივრცე და მკაცრი სინამდვილე კედლებს აწყდება და ტილოზე სანთელივით იღვენთება სტრიქონები: „ანგელოზების მესაწოლე, ნაზი მხევალი, შემოდგომების ოქროსფერი მზით ნაფერალი, მაცხოვრის კარი, ნიამორი, ზეცის მარილი“ („ლურჯი დობილი“).

სპეტაკი სულით ამაღლებული პოეტი მშვენიერებისა და სილამაზის ჭეშმარიტი მქადაგებელია. უფლისადმი მოწიწება და სიყვარული სინათლითა და სიკეთის რწმენით ავსებს და თაობებს გადასძახებს: „ვით ეს ტაძარი, ვით ეს აღთქმა, კარაბადინი, ნუ მოგეშალოთ ვარსკვლავებით ცა გაბარდნილი, მირონის წყალი, დღეკეთილი, ძელი ცხოველი („მთაში“). თუ გალაკტიონმა ღვთიური ალით „ააზამბახა“ ბაღები – „დღეს ყველგან მზეა: ახლა ამ ბაღებს და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს, მაისი ალით ააზამბახებს, ვით შეყვარებულს და მეოცნებეს“ ... გენო კალანდია „მოწამის კვართით“, „ეკლის გვირგვინით“ გადაწვდება მიღმურ სამყაროს, ამარცხებს სიკვდილს, რამეთუ ღრმად სწამს „წმინდა პოეტის“ სიცოცხლე მარადისობაში გაგრძელდება, ხოლო პონტოს უბიდან ცამდე მირონის წყალნასვამი შემოქმედის ცისფერი წიგნიც მისი ლამაზი პოეტური სამყაროს გვირგვინად აღებეჭდება ჩვენი ერის სულიერ-ინტელექტუალურ სამყაროს.

გოეთე ეკერმანთან საუბარში მიგვანიშნებდა დიდ ხელოვანთა იმ პიროვნულ სიდიადეზე, რაც ფერწერულ ტილოებში ასახულ მიწას, კლდეს, ტყეს, ღრუბლებს, მათი საკუთარი თვალთახედვით წარმოგვიდგენს და აი ასე გვაზიარებს დიად ხელოვნებას.

ყოველთვის, როცა გენო კალანდიას ლექსებსა და სონ-

ეტებს ვკითხულობ, ალუბლის ბაღის მოსახვევთან მზე ნასვამი უცხო ყვავილი მეზმანება, ხოლო მორდუს ხელით მოხატული უცხო ლარნაკი, რაღაც საოცარ სინათლედ მელვრება სულში; ჰოდა, „ლურჯად ხასხასებს ხოდაბუნი – რქებით ნაჩხვერი და ჯეჯილ-კორდით ბრწყინავს კრავი – წვეთი ჩანჩქერის – ჩემი მარტვილი, დაღალული სულის სალბუნად. სერზე შედგება სალამურით ყრმა პირტიტველა ძველთა ღამეთა, ახალ მზეთა ნათელმხილველად“ („ზვარაკი“) – ეს ის სიტყვებია, მარადიულად რომ გამოადგება ადამიანს როგორც ნუგეში, როგორც დაღლილი სულის ოაზისი. მზიანი ფერებით ნაქსოვი წარმოსახვები სიმბოლოში ერთიანდებიან და ერთმანეთს ემსგავსებიან. და მისი იდუმალებით მოცული პოეტური სამყარო გულში ჩამწვდომი ამბოხით, საღამოს მწუხრით გალურჯებული მაგნოლიებითა და თეთრი მარგალიტის წვიმებით ნაქსოვი ცის კაბადონია, ასე მშობლიურად რომ უხმობს და ეზიდება თავისაკენ. ვფიქრობ, ესაა სწორედ ის ლამაზი სევდა, ურომლისოდაც ჩვენი ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

გენო კალანდიას პოეტურ სამყაროში მარგალიტის წვიმა თოვს, ფაზისის კართან „გულნაკრტენი ქარი კივის“, „ცა გალურჯებულა მაგნოლიით, მწუხრის ღრუბლებით“, „ადგილის დედა ღამეების შავი ოლარით“ იმზირება. ობლადაა დარჩენილი სიყვარული, „მამა – ნეკერჩხალი მზეზე გამხმარი“ და, როცა ამქვეყნად აღარ იქნები მაშინ, ო, მაშინ: „თოვლით, ყინულით დაგბეჭდავენ მესაფლავენი, შაბათს შოპენი შეგიფარებს, კვირას – რაველი და საქართველო მოგიგონებს, ვით იარალის“ ...

გენო კალანდიას სანუკვარ ოდაბადეში „ნაცრისფერ სამეგრელოში“ ეხსნება ზეცის კარი და ეფრქვევა ნათელი. პოეტის იდეალია სინათლე. სიკეთისაკენ სწრაფვა. სიკეთეს კი

დონ კიხოტური სული სჭირდება...

პოეტის ცხოვრება – ეს დიდი ცხოვრებაა, მაგრამ მხოლოდ მარადიულობასთან წილნაყარი, იმ რწმენით, რომ „განიხვნა კარი, გადმოიფრქვა უეცრად მნათი, ვიხილე ცხადად ყოვლადწმინდის მზისფერი კვართი და უფლის ფერხთით საკუთარი სიკვდილის კვირა“ („მზისფერი კვართი“). სიცოცხლის ზეიმს მხოლოდ მზესთან მიახლოებაში ხედავს. „ყოვლადწმინდის მზისფერი კვართი მისი პოეტური ხელოვნების ტრიუმფია და ნათელი მომავლის მაცნე: „მესამე თვალის სხივნათელით, მკვდართა წიგნით და მარტვილის კვარით“ მოკრძალებით ცდილობს შეიცნოს ცხოვრების კარიბჭის კარი და აღმოაჩინოს მისთვის ახალი სამყარო: „მე ვისაც მერგო მშობლის ჩანგი და პოეზია, აღმოვაჩინე ქალაქები, სოფლები ძველი, ფერი, მუსიკა, მოძრაობა და სხვა მისთანანი, აღმოვაჩინე ხელახლა ჩემთვის“ – (პოემა „პირამიდა“).[1]

მართებულად წერდა გოდერძი ჩოხელი; „მწერალი ის არის, ვინც იცის ვისთვის, რატომ და რას წერს და რომ ამას უღმერთოდ არ აკეთებს, ვერც იზამს, ვერც გააკეთებს.“[2] (9,14).

მწერალი „იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ ფოთლებს რომ გაალხობს, გაყინულ ფესვებში გამლხვარ თოვლის თბილ ცრემლებს რომ ჩააწვეთებს, საიდანაც წითელ პეპელას რომ შეისვამს და ყვავილის მხრებზე რომ დასვამს. ყვავილებმა კი აუცილებლად უნდა უსმინონ მწერლებს, თორემ ამქვეყნად მწერლებზე ადრე არავინ ჭკნება, თუ მათ არ უსმენენ... მეც მინდა ვიყო ისეთი მწერალი, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში“. (9.251) ეს სიტყვები ჭეშმარიტად

1 გ. ჩოხელი, ღმერთის შვილები. თბ. 2000, გვ.251

2 ც. მესხია. გენო კაკლანდიას ლირიკა. თსუ სოხუმის უნივერსიტეტის შრომების კრებული (მოამბე) №2, 2004.

მიესადაგება გენო კალანდიას პოეზიას.

„საღამო ხანის სონეტებში“ გაცხადებულია „ფიქრი გულით და გრძნობა-გონებით“ (თ.ბარბაქაძე). შინაგანი ექსპრესია, დრამატიზმი, სევდიანი განწყობილება მისი თანამდევია. იგი ბოდლერივით, გალაკტიონივით, ტერენტი გრანელივით პოეზიით, სევდით, მარტოობითაა მთვრალი. აზრებს სიბრძნის მარცვლებად კინძავს, ლაბირინთებშიც მზის სხივებსაა მიდევნებული და სიკეთის მადლით აღბეჭდილი წამები სიბნელის „წკვარამისთვის“ არ ემეტება... და პოეტის სულიდან მოსჩქეფს ღვთიური სიყვარული, სილამაზე და მშვენიერება.

გრაალი და კარიატიდები

გენო კალანდია პოეზია, როგორც არაერთხელ მივანიშნეთ, გასაოცარი მეტაფორული აზროვნებით გამოირჩევა. იგი ქართული პოეზიის ციხე-ტაძრის ერთ-ერთი ამგები და მისი გულადი მეციხოვნეა. მის ყოველ პწკარსა და თითოეულ სიტყვაში ღვთის ძალის სუნთქვაა, რამეთუ „ვინც ყოველში სწორედ მეფე უფალს იხილავს, იგი თავს არ ავნებს და ეგრე უზენაესი გზით ივლის“ ... გენო კალანდიას სონეტების ციკლი „გრაალი და კარიატიდები“ უფლის მიმართ აღვლენილი ლოცვებით, პოეტური ხატებითა და მეტაფორებით იქსოვებიან.

გენო კალანდიას „საგალობლები უფლისათვის“, „გრაალი და კარიადიტები“ და საერთოდ მთელი პოეზია უფლის სიყვარულით, „ცის ზამბახების, დაისების მზეთა, იათა“ ნატვრითაა ავსებული“.

„გადმოეცით კეთილსურნელება საკმევლის ხესავით აყვავდით, როგორც შროშანი, მოაფინეთ სურნელება, იგალობეთ საგალობელი, ყოველი საქმით უფალი „აკურთხეთ“ (39-14, 6-63, ისო ზირაქი).

„ჩემი სული შეეჭიდა სიბრძნეს და სჯულის საქმეში გავიწაფე, უფალმა მომცა ჯილდოდ ენა და მით შევაქებ მას“. (51-19-20).

„ფრთოვან იქმენ სულისა მიერ წმიდისა, სათნოებისა ეტლითა აღიწიე სიმაღლედ“ (იოანე მტბევარი).

მართებულად ბრძანებდა გურამ ასათიანი: „ჭეშმარიტი პოეზიის მრწამსად ლექსად დანერილი ესა თუ ის ნანარმოები შეიძლება აყვანილ იქნას მხოლოდ ერთი პირობით, თუ იგი წარმოადგენს პოეტის სულიერ სამყაროს, მთელი მისი

სუნთქვის და გულისთქმის ცოცხალ ნაწილს".[1]

გენო კალანდიას პოეზიის კითხვისას გაკრთება სახარებისეული პასაჟები. „პირველთაგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი". ის სიტყვის უღალატო და ერთგული რაინდია, რომლის ძალითაც „ვარდში, იაში ეძებს ბავშვის, ქალწულის ნამიან თვალებს".

პოეტი ცდილობს ხმა მიაწვდინოს უფალს, აშფოთებს და მოსვენებას არ აძლევს „ფიქრი და ცრემლი, ვით იდუმალი ფერი და ხმები", უფლის მიმართ აღვლენილ საგალობლებში ირეკლება პოეტის სევდა-კაეშანი დაკარგული საბუდარის გამო, მისთვის სამყარო რიტმებში არსებობს. „რიტმი ამაღლებული ელემენტია" (მერი ბადრიაშვილი) და სამყაროს მრავალხმიანობას, მშობლიური რიტმების მშვენიერებასთანაც გვაზიარებს, რათა განგვაცდევინოს სიცოცხლის სილამაზე. ეს მისი ქმნილებებიდან გვიხმობს წინაპართა სულის ვედრება: „უფალო, ძველი იგავის დარად დავკარგე ძველი ხიბლი და ხვითო... და მაინც გულში ვიხუტებ ფრთხილად ყველა წმინდანის ჯვარსა და ქიტონს. ლოცვით, ოცნებით ვათენებ ღამეს, საკურთხეველთან მორჩილად ვდგები, თითქოს სამოთხის იღება კარი და მე ჩიტივით გალობით ვთვრები" („უფალო ძველი იგავის დარად")... პოეტს კარგად ესმის რომ მხოლოდ უკეთილშობილესი სულით შეიძლება მშვენიერებისა და სილამაზის გადარჩენა.

უცილო ჭეშმარიტებაა ის, რომ შემოქმედი უკეთ უსმენს და გრძნობს თავის დროს, ვინაიდან ეს მართლაც ასეა. იგი ისმენს კოსმიური სამყაროს ხმას, იწოვს არა მარტო თანამედროვე ცხოვრებას, არამედ თვით ეპოქის იდეალებსაც, მათ შორის თანამედროვე ესთეტიკურ ნააზრევსაც. დრო კი

1 გ .ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1982 წ.

მდიდარ მასალას იძლევა მხატვრული თეორიის პრაქტიკის გასააზრებლად... და მოჰყვება პოეტი „შავი შაშვების გუნდით“ სოფლის ალისფერ ბილიკს და ფეხისწვერებზე შემდგარი, უფლის ნათელით გასხივოსნებული იტყვის: „სავსე ვარ, სავსე დილიდან ჩვენი შავი შაშვების ზღაპრული ხმებით“. („უფალო შავი შაშვების გუნდით“).

უფლისადმი მოწიწების, ერთგულების და ნათელი ხსოვნის მიმანიშნებელია სტრიქონები: „უფალო, თვალი მიჭირავს ცისკენ, – იქ მეგულება ხატება შენი, ვით ბიბლიური ფერი და სიბრძნე, ყოვლისშემქმნელის სახელი მშვენის, მე შენი სახლის მეკვლე და მნათე, – ქადაგი ყოვლად კარგის და წმიდის, მიყვარხარ, როგორც მიყვარდი ადრე, ვაზის რქასავით უკვდავი წიგნით“ („უფალო, თვალი მიჭირავს ცისკენ“).

უფალი აძლებინებს მას ცხოვრების „სიცარიელეში“ ვინ იცის მერამდენედ აღავლენს ლოცვას სიკვდილის მოლოდინში: „უფალო ვფიქრობ სიკვდილის დღეზე, ექიმი ხშირად მისინჯავს მაჯას... ვიგონებ ბზიფის ფიჭვისფერ კედელს და კარაბადინს ვით მამის ბარჟას“. – კითხულობ ამ სტრიქონებს და გახსენდება იოანე ღვთისმეტყველი: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკეთუ არა მარცუალი იფქლისაი დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი მარტოი ხოლო ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალნ ნაყოფნი გამოიღოს“ (იოანე 12,24). პოეტს მუდმივად ენატრება სამშობლო, ადგილის დედა – ოდაბადე, სანუკვარი აფხაზეთი თავისი განუმეორებელი ლანდშაფტებითა და სულით ძლიერი ადამიანებით და ამიტომაც შესთხოვს უფალს: „უფალო, თეთრი გიორგის სამწყსოს მიეცი შენი ღვთიური ძალა, უკვდავყავ მისი ბროლი და წყარო, მისი ტანწელი და ღრუბლის ფარა. მხოლოდ შენ ძალგიძს აღანთო იგი მარადიული ცხოვრების ჟინით, შენი ბანიდან დახედე კარგად,

მიეცი რწმენა და თვალისჩინი". („უფალო, თეთრი გიორგის სამწყსოს").

ქართულ და ევროპულ კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილი და მსოფლიოს დიდ ფერმწერებთან წილნაყარი პოეტი, საქართველოს დაუმცხრალი ჭირისუფალია. მას ყალბი ნიღბით არასოდეს უვლია და თავად გახლავთ 90-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დრამატული მოვლენების არა შორიდან მაყურებელი, არამედ უშუალო მონაწილე. მისი ტკივილი იმდენად ღრმაა და უფსკრულივით მზერაჩაუწვდენელი, რომ საუკუნის იქითაც გასტანს.

როცა გენო კალანდიაზე საუბრობ, არ შეიძლება არ გაგახსენდეს ზვიად გამსახურდია: „გრაალის კოშკი შორით მოჩანს ქიმ-გაბზარული, ჰალაას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთველად რებულს „შავი ყორანი აზის თავზე" და გაფითრებულს გარს ახვევია დემონების ბილწი არული." (მიძღვნა, სონეტი, 19,5).[1] მოტანილი სტრიქონებით მინიშნებულია სულიერ ღირებულებათა გადაფასება და სულის გაუდაბურება. მონსვალტის საუნჯის მაძიებელ რაინდს ზვიად გამსახურდია ასე მიმართავს: „გველეშაპები იწვოდნენ ცაზე, ცაზე კრებული ცისიერთა როს დაიფერფლა და შემოგესმა კენტავრების აურზაური, მაშინ ლოგოსმა იფეთქა შენში და მოზღვაული დაინთქა ლექსი და ამ ნალექსში შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ანთება და მით დალუქე ცისებრ სალუქი სულის შენის უნაზესი ფოლიანტები". („კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი").

მონსალვატი არის „მთა ხანისა" მწვერვალი, მიუწვდომელ მხარეში, შუაგულ ზღვაში, რომლის უკან მზე ამოდის, ეს არის უკვდავების მიწა, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ". (რენე გენონი, „მთა და გამოქვაბული", „ლიტ-

1 ზ. გამსახურდია, მთვარის ნიშნობა, თბ. 1989. გვ. 5. იქვე, გვ. 36.

ერატურული საქართველო“, 1987, გვ. 27). „გრაალი ეზოთერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა“ (ლუარა სორდია).[1]

გენო კალანდია თანამედროვე პოეტთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, რომელიც ერთგულებს გრაალს. გულს უკლავს მწარე რეალობა, მისთვის უმთავრესია ადამიანის გონი, მატერიალური დაკვირვებისათვის მიუწვდომელი უხილავი არსი. მისი სონეტების ციკლებიდან, საინტერესოა „გრაალი და კარიატიდები“. აკი „კარიატიდის, როგორც სვეტის სიმბოლური გააზრება და მისი დაკავშირება სონეტის ფორმასთან, ბერძნულ ქანდაკებასავით სრულქმნილსა და უნაკლოსთან, ბუნებრივი უნდა იყოს გენო კალანდიას მხატვრულ სახეობრივი აზროვნებისათვის. ასევე შეიძლება სიმბოლურად ახსნა გრაალისა, როგორც სიწმინდის მცველისა“.[2]

„იქ წმინდა ძელთან, უფლის დიად საკურთხეველთან ლოცულობს იგი, – ფეხშიშველი ვარდისყელიან ტაძრებს ანათებს სულიწმინდა, თითქო თმებიდან მოწვეთავს შუქი ძოწისფერი, – ღამისმთეველთა. ნარინჯის სევდა, მთვარის კვეთი, ზეთის სურნელი, იდუმალების ნელი ჰანგით ავსებს მოწამის უმანკო სხეულს, – განფენილი სხივით ლოცვანი – და ვაზის ჯვარი, – ნუგეშინი უკანასკნელი“ („მარტოხელი“). აქაა რაღაც საოცარი სინათლე სულისა, უცხო გრძნობის აზავთების ტკივილიცაა, მაგრამ საწაულებრივია სულიწმინდის მადლით გაცისკროვნებული ტაძარი, ღამისმთეველთა ძოწისფერი შუქით აბრიალებული სივრცე. აქ ფორმისა და შინაარსის ახლებური სტილისტიკაცაა, სადაც ფერშიც ლექსის

1 ლ.სორდია, გრალი – კაცობრიობის იდეალი, წიგნში „წერილები,“ თ.ბ., 2009, გვ.139.

2 თ.ბარბაქაძე, სონეტი – ფიქრი გულით და გრძნობა გონებით, „ცისკარი“, თბ., 1977, №4

საერთო სულისკვეთება ილანდება. ნარინჯის სევდა, მთვარის კვეთი, ზეთის სურნელი და ვაზის ჯვარი, – ნუგეშინი უკანასკნელი".

ბიბლიური ალუზიების ფონზე მისი უჩვეულო სიტყვათქმნადობის თავისებურებები მიგვანიშნებენ იმ საიდუმლოს გამოსახვას ხილული სამყაროს მიღმა რომაა. მისი გულისთქმა „ცის იქითა ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს რომ დაშთოს აქ ამაოება" (ნ. ბარათაშვილი).

„სასჯელის ძელში" შთამბეჭდავადაა დახასიათებული სონეტის, როგორც მყარი სალექსო ფორმის თავისებურება: „სონეტი – სუნთქვა, სიყვარული უკანასკნელი, ოქროს მარყუჟი, ბორკილების ხელზე დადება, სიცხე, წითელა ბატონები, ძვლების ანთება, მელანქოლია, რომაული ბაღის სურნელი. ... ომში, დუელში მიმავალის სისხლი ფიცხელი, მწირის სენაკი, კვირის ლოცვა ვარსკვლავთმრიცხველის, სასჯელის ძელი – ხორცთან გაყრა სიკვდილმისჯილის. სონეტი – ვარდის ნაფერთალი, თაფლი ველური, მზეში, მთვარეში, ირმის რძეში ამოვლებული, ქითსის საფლავზე ამოსული პურის ჯეჯილი."

გულწრფელობა, პირდაპირობა, რაინდული სული პოეტის ღირსებაა. იგი სწორედ ბუნებასთან წილნაყარობიდან, სამყაროს ჰარმონიისა და მშვენიერების შეგრძნებიდან, ცხოვრებისადმი შემოქმედის ღრმა ჰუმანური დამოკიდებულებიდან მომდინარეობს. მის სონეტებს გააჩნია ახალი, უაღრესად დახვეწილი თავისებური ელფერი, რომელიც მისი ორიგინალური შემოქმედებითი ბუნებითა და პოეტური არტისტიზმითაა გაპირობებული.

ქართლის ცხოვრების ქრონიკები, მრავალტანჯული „მიწა იბერთა" პოეტის სულის ნაწილია, სახელოვანი წინაპრებისგან გადმოცემული ქვეყანა ურიცხვი განძით, მთელი უძრავ-

მოძრავით, დარუბანდიდან ნიკოფსიით მისი საასპარეზოა: „ღვთისმშობლის ცრემლით განბანილი მამულის ხატი მტკვარს მიაქვს მთვარეზე, ვით წარსულის ძველი ეტრატი“. – ამბობს პოეტი და იმ გარემოს ტყვეობაში გვითრევს, საიდანაც გვიჭირს გამოსვლა. პოეტის წარმოსახვა არღვევს დროის სამანებს და მთელი არსებით ცდილობს გარდასული სულის შეხსენებით სული არ დაგვიმძიმოს, თითქოს ხელს გვადებს, გვეფერება და ცისარტყელასავით გვეფინება მისი გრძნეული ძალა, უბრალოებითა და მაღალი ოპტიმიზმით გვაგრძნობინებს სიცოცხლის მარადიულობის რწმენას ხმლით აკუწული ცისარტყელები, შემოცვეთილი რკინის ბექთრები, „ვარდის ფურცლებით, ვაზის ჯვრებით, მუხის აკვნებით აღსავლის კართან გარდახდილი მძიმე ბრძოლები“, და „საკურთხეველთან ნიაღშიც მდგარი წამებული აჩრდილები“ პოეტისათვის ის რეალობაა, რომლითაც ვლინდება დროთა კავშირის უტყუარი ლოგიკა: „პალიფსესტებით, პერგამენტით კივის წარსული, მთელი ორმოცი საუკუნე აბჯარასხმული, შორით ვარვარებს სპილენძის მზე და სატევარი“ ...

სონეტში „წინაპრები“ პოეტი იმ მისტიკური გარემოს ტყვეობაში გვითრევს, საიდანაც გვიჭირს გამოსვლა. ერთმანეთში ირევა ზეციური და მიწიერი, ხილული თუ უხილავი, წარსული და დღევანდელი, რეალური და წარმოსახული. რაღაც საოცარი პოეტური ძალითაა გაცოცხლებული წარსულისა და აწმყოს ფანტასმაგორიები, ერთგვარი ხილვად-პლასტიკური წარმოსახვითი ტრანსფორმაციები და სული გააფთრებით აწყდება ტკივილით გარემოცულ სივრცეს, რომლის წიაღშიც ერთად ბობოქრობს ძალმომრეობის უმწეობაცა და ძლიერზე გამარჯვების სურვილიც: „უფლისწულები, დედოფლები, ბრძენი მეფენი, ჟამთა სრბოლაში გაფანტული

გროვა ლოდების, უსასრულობის მოსახვევში მკვდარი ფოთლები, ლაჟვარდის წყალში მონათლული ღვიძლი ბეთლემის“, – წერს პოეტი, მორჩილად იღებს ჯვარს და სიძულვილსა და ბოროტებას უფლის დიდებით დაამარცხებს. ამ სონეტში ვარსკვლავივით გაბრწყინდება სიცოცხლის მარადიულობის, სულიერების გადარჩენის დიადი აზრი. სწორედ ამიტომაც, ღირს სიცოცხლე, რამეთუ წინაპრები „წმინდანებს ჰგავდნენ სანთლისფერი, სწორი ნაკვთებით, ვარდის ფურცლებით, ვაზის ჯვრებით, მუხის აკვნებით, აღსავლის კართან გარდახდილი მძიმე ბრძოლებით“, – ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და აშკარად ვგრძნობთ პოეტის გულის ფეთქვას, როცა სიამაყით აზვირთებული მამულიშვილური გრძნობა და რაღაც საოცარი სითბოთი და თანალმობით ეხმიანება საუკუნეთა მიღმა მდგარ სხივნათელ წინაპართა აჩრდილებს. წინდა სახელების გამოხმობით დაგვანახა ქართველი ერის მოძრაობის შესაძლებელი მიმართულება და ის დიადი გზაც, რომელიც მას ელოდება. ამ გზისკენ მიბრუნებისათვის სჭირდება ღირსეულ წინაპართა სასახელო საქმეების გაცოცხლება, პოეტს ღრმად აქვს გაცნობიერებული თავისი ხალხის ფესვები და ეროვნული სხეული.

გენო კალანდია, რომელსაც ღრმად სწამს, რომ ამქვეყნად უეცარი სიკვდილი პოეტებისა და რაინდების ხვედრია, მაგრამ მათი ამბორი საქართველოს ციხე-ტაძრებზე სანთლის ალივით აღიბეჭდება: „ვლოცულობთ მზეზე, სიყვარულზე და გაზაფხულზე, ვგავართ სენაკის ბერ-მონაზვნებს, ქრისტეს მსახურებს, ნაგვემი შუბლით და ჩაცვივნულ თვალთა ოვალით, გადარჩენილი ვარსკვლავების ქუდი გვახურავს, სხვა სინათლეში, სხვა სივრცეში მივალთ მეფურად, სახელი გვრჩება ბუმბულივით ჰაეროვანი“. – ამ საოცრად ლამაზ სონეტში

დახვეწილი და გამაოგნებელი ხატ-სახეებითა და მეტაფორებით, შინაგანი განცდების, ფიქრისა და გრძნობის აბსტრაგირებით პოეტი ფილოსოფოსი და მოაზროვნეა, რომელიც შეუმცდარად სჯის და მზეზე გამოფენს მისთვის ჩვეულსა და უცხადეს ნიაუანსებს. მისი გულისმიერი და სულისმიერი განსჯა-მსჯელობანი კვლავ ქმნის ახალ, ირეალურ, მისტიკურ სახეს, რომლის გააზრებაც ჩვეულებრივი მოკვდავისათვის შეუძლებელია.

ვარსკვლავების ქუდით სხვა სივრცეში მიმავალი პოეტის დიადი სურვილია, ყოფიერების დასასრულისაკენ დაქანებულ კაცთა მოდგმას სიყვარული მოუვლინოს მხსნელად. რაინდი პოეტის სულისკვეთებამ მთელი სამყარო მოიცვა სამყარო ვარსკვლავის შუქით სხივფენილი... ძალიან ძნელია გაექცე დროს, ერთხელ და სამუდამოდ შენს გულში ჩაკირულს, მაგრამ გენო კალანდია მაინც ახერხებს ახლებურად შექმნას, დაამკვიდროს, უფრო ზუსტად სათავე დაუდოს სამყაროს უძვირფასესი განძის ძიებას: „ა, იგი ზღვარი, უცნობადის ცნობადი კარი, გვერდიგვერდ სხედან ლაიოთი და დედოფალი, წინ ჯამი უდგა სისხლისფერი და თაფლის ფიჭა“ ... ან კიდევ: „ნუთუ შორია სიხარული... ჟამი ნანატრი, თავისუფლების მზე და ხატი, – სხივი ღვთიური, განფენილია სიზმარივით ცა – ბიბლიური, დამეწყრილია ასი ფუთი ლალით, კარატით“ („შარავანდი“).

გენო კალანდიას პოეტური სინტაქსი რაღაც გასაოცარი სილაღითა და ბუნებრიობით გამოხატავს აზრს, მომხიბლავია პოეტის რიტმი და რითმა. მარტივი და ძალდაუტანებელი, რომ ალბათ ნებისმიერი სხვა კონსტრუქცია წარმოუდგენელია.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სევდისმომგვრელი ერთფეროვნებით როდი განიცდება მისი ხილული თუ უხი-

ლავი სამყარო, მარადისობის მკვიდრთა მისტიკური საუფლო მშვენიერების, სილამაზისა და სიხარულის საასპარეზოცაა, სადაც ღვთაებრივ რწმენად სულში ჩაღვრილა ვაზის წმინდა სისხლთან ზიარების საიდუმლოება, რომელიც უპირველესად სიყვარულსა და სიკეთეს, ერთგულებასა და გამტანობას გულისხმობს. „წმინდა ნინო მოდიოდა საქართველოში და თან მოჰქონდა ვაზის ჯვარი. ამ ჯვრით უნდა დაელოცა ხალხი, უნდა დაენერგა ახალი რწმენა. თითქოსდა, მოულოდნელია ჯვრის ვაზისგან გაკეთება, მაგრამ ნინოს უნდა სცოდნოდა, რომ ვაზს ქართველები ოდითგან აღმერთებდნენ. ისინი არ იცნობდნენ ქრისტიანობას, მაგრამ ცნობდნენ ვაზის ძალას. ამიტომ ქართველები ვაზის ჯვარს უფრო ირწმუნებდნენ. ჯვარი ვაზისა ნინოს თავისი თმებით შეუკრავს. თმები ძველთაძველი წარმოდგენით მზის სხივის სიმბოლო იყო. კვლავ გავიხსენოთ, რომ ქალღმერთი დალი თავისი ოქროს თმებით მზიურ ძალასთან იყო წილნაყარი. ვაზის თმებით შეკვრა მზისა და ვაზის ერთიანობას მოასწავებდა.“ [1]

გრაალის ძიების სურვილით ნასაზრდოები ლექსები ოდენ წარსულთან პოეტური შეხმიანება როდია, არამედ ისტორიზმის ღრმად გააზრებული პროცესი გახლავთ, როცა პოეტი კაცობრიობის წარსულსა და დღევანდელ პრობლემათა ერთიანობის ფონზე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას. პოეტს სიღრმისეულად გაცნობიერებულია გრაალის საიდუმლოებაში. იგი გრაალს ოქროს საწმისთან აიგივებს და მის უპირველეს თავფურცელად კოლხეთი მიაჩნია. ეს ის კოლხეთია, რომელიც ქრისტეს კვართივით მთელმა სამყარომ რომ გაინაწილა... მზიანი ათასწლეულები პოეტს არწმუნებს, რომ გრაალი ჭყონდიდის (დიდი მუხა) ფესვებში იმალებოდა... რომ-

1 რ. სირაძე, სახისმეტყველება, „სერაფიტა“, თბილისი, 1982, გვ. 27

ლის გაუჩინარება დღემდე არ ასვენებს კაცობრიობას. მართებულად ბრძანებდა ზვიად გამსახურდია: „კავკასიის, კერძოდ კოლხეთის ოქროს საწმისი გაიგივებული იყო ფილოსოფოსთა მთასთან, რწმენასთან და ეწოდებოდა ზეციური რწმენის მადანი. საწმისის ძიება ზეცნობიერის, უმაღლესი სულიერების ძიებად ითვლებოდა... ვერძი ნიშნავს უმანკოებას, ხოლო საწმისი უმაღლესი სულიერების სიდიადეს და ბრწყინვალებას, რაც უკავშირდება განძის, ზოგად სიმბოლოს ოქროს საწმისის ძიება, რასაც ადგილი აქვს მისტერიათა სამყაროში, არის იგივე გრაალის ძიება“.[1]

გენო კალანდიას პოეზიის პიკი, ჩემი ღრმა რწმენით, სონეტებია. სრულიად არაორდინალურია „გრაალი და კარიატიდები“, რომელშიც მთელი სიმძაფრით აირეკლა ეპოქის ტრაგიზმი, თითოეული სონეტი საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ ეპოპეას აგრძელებს და: „პალიმფსესტებით, პერგამენტით კივის წარსული, – მთელი ორმოცი საუკუნე აბჯარასხმული, შორით ვარვარებს სპილენძის მზე და სატევარი“ („მკვდარი ქალაქი“).

გენო კალანდიას ქართული მიწა, ჩვენი დღევანდელი ყოფიერება არ აძლევს საშუალებას, რომ დუმდეს. ჩვენს პრაგმატულ ყოფაში, მისი „დაშლილი სული“ წართმეულ-დაკოწიწებულ“ სამშობლოს დასტრიალებს თავს და ადამიანად, კაცად ყოფნისათვის იბრძვის, ძირისძირობამდე განიცდის ჩვენს მწარე სინამდვილეს. შფოთავს, დრტვინავს, ვერ აუტანია დკარგული აფხაზეთი, „გაჯიუტებული“ მთელი შემართებით არისხებს ზარებს და გვაგრძნობინებს, რომ აფხაზეთის გარეშე საქართველოს ცის სილაჟვარდე არ არსებობს...

სულიწმიდის მადლით ცხებული პოეტი, რომელიც იბრძვის

1 ზ. გამსახურდია.საქართველოს სულიერი მისია, თბ.,1990.

მაღალი იდეალებისათვის. მისთვის მთავარი თემა ქრისტიანული ფასეულობებია. ყოველივე და ყველაფერი წარმავალია, მაგრამ ერთადერთი გზა ერის გადარჩენისა უფლისადმი რწმენასა და ერთგულებაშია. უფალია შემოქმედი და მფარველი ღვთაებრივი ჰარმონიისა, მადლს სწირავს უნაპირო წყალობისა და სიკეთისათვის, ღრმად სწამს და სჯერა უფლის სასწაულების. უზენაესთან თანაზიარობის ღრმა განცდა ირეკლება სონეტში „მარიამ ეგვიპტელი“. „ნეტარის კარი, საყუდარი, – ნათლის მომფენი, მარადიული არის შვება... ცრემლისოდენი შუქი გადასდის უფლის სარკმელს და ასაბიას, ვით ნუშის ხეებს, გარინდებულთ საყდრის ეზოში, აღაპყრობ თვალებს უნაბისფერს და ანგელოზი გამოცურდება ნელსაცხებლის ლურჯი ქაფიდან.“ „ნელსაცხებლის ლურჯი ქაფიდან გადმოცურებული ანგელოზი“ პოეტის სულის ნათელია, მისი მარადიული არსებობის წყარო. საოცარია „ცის მკერდით აზიდული „ტაძრის კამარა“, რომელიც პოეტის სულს სულ სხვა სინათლითა და „სხვა ხვეულით ესალბუნება“.

ეს განუმეორებელი და სასწაულმოქმედი პოეტური ხატებია, რომლებიც დაუვიწყარი სიხარულისა და აღმაფერნის წუთებს გვჩუქნის. პოეტის რწმენით, გრაალი ყველაზე დიდი „საუნჯეა“, ხელუხლებელი განძია, რომელიც პოეტის ინტერესის საგანია.

ლუარა სორდია წერს: „გრაალი, ეზოთერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა“.[1]

ალქიმიკოსებისათვის „გრაალი“ ზეციდან ჩამოგდებულ ქვასთან, ანუ ფილოსოფიურ ქვასთან არის გაიგივებული, რაც ანტიკურ პერიოდში იგივეა, რაც შუა საუკუნეებში „გრაალი“.

1 ლ.სორდია. ნერილები. თბ., 2009. გვ. 124-147-150.

„ფილოსოფიური ქვის“ ძიება არის სულიერი გზა, რომელიც ანტიკურ თუ ძველბერძნულ მისტერიებში უშუალოდ უკავშირდება „ოქროს საწმისის“ ძიებას. რამდენადაც „ფილოსოფიური ქვა“ და გრაალი იდენტურად მოიაზრება, ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისით, კლასიკურ გრაალს ეწოდება „ოქროს საწმისი“. „გრაალი“ ბერძნული ვერსიით, ღვინისა და წყლის შესარევ ჭურჭელს, ლათინური ვერსიით ჭეშმარიტ სისხლს, ხოლო ისლანდიური ვერსიით სიუხვის კალთას ნიშნავს.

„გრაალთან“ დაკავშირებულია ადამიანის ასტრალური სხეულის განმწმენდი ქვეყანა ინსტიქტებისა და ვნებებისაგან. ძველი ბერძნები ამ უდიდეს სულიერ პროცესს „ოქროს საწმისს“ უკავშირებდნენ“.[1]

გენო კალანდიას რწმენით გრაალი სავანეა უმაღლესი სიბრძნის, . სულიერების, პოეტი გრაალს ოქროს საწმისთან აიგივებს და კოლხეთში ეგულება ჭყონდიდის მუხის ფესვებში. დიახ, ოქროს საწმისია პოეტის მარადიული იდეალი, რომელიც მუდმივად ეზმანება და მოსვენებას არ აძლევს.

უნატიფესი პოეტური ხატებითა და ბიბლიური პარადიგმებითაა დაყურსული მისი სონეტები. „ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა. მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადი სიბრძნეები და გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდოს მკითხველს.“ (გურამ დოჩანაშვილი).

გენო კალანდია – პოეზიით მარხულია. მან იცის სიტყვის ფასი. პოეზიაში ახალი ფერები მოიტანა, ტკივილით, სევდით და ბიბლიური სურნელით გაჯერებული: „აგერ კო-

1 .ლ. სორდია, წერილები, თბ., 2009. გვ. 124-150.

რინთო, აგერ ქალდეა, აგერ შავტუხა სპარტა, მიდია... მაგრამ სხვა არის ჩემთვის მედეა, ოქროს საწმისი სულ სხვა მითია, როგორც ბრძანებდა ძე ჰელიოსის, იმ ძველ-კოლხური წელთაღრიცხვიდან, მთელი ეგვიპტე, მთელი ნილოსი შენს მწუხარებად არ ღირს იდია!“ ოქროს საწმისის ხილვა პოეტისათვის ღვთაებრივი მოვლინების ტოლფასია და სწორედ აქაა მითისა და სინამდვილის საოცარი წნული, მისტიკური და ამოუცნობი მზერა წარსულისა და ის განუმეორებელი განცდა, რომელიც მოაქვს ზეციურ სამყაროსთან თანაზიარობას, რომელიც აღანთებს დიადი პოეტური ენერგიით და სინათლით ავსებს მის სულს: „ნათელმირონში შედიოდა ძელი ცხოველი, ორი არაგვის, ორი ლომის სუნთქვა მესმოდა, ერს და მღვდელმთავარს შარავანდი ადგა ზემოდან, ცის გარდამოხსნას შეჰხაროდა მთელი სოფელი“ – ეს ის მისტიკური ხილვებია, რომელიც გვიხმობს გრაალის საიდუმლოს ასახსნელად. აქაა ქრისტიანული მრწამსი, მთელი ერის და ბერის ძელიცხოველის „გარდამოხსნით“ აღძრული ზღვა სიხარული, უჩვეულოა პოეტური წარმოსახვა; „ღვთისმშობელის თნევით, ვაზის ცრემლით ნაკამკარი“ ერთიანი საქართველოს ხატი. პოეტმა კარგად უწყის, რომ ლაზარეა პირველი ქრისტიანი, ხელდასხმული იესო ქრისტეს მიერ: „წარსულს რა ვკითხო?! როცა აწმყოც თავად ხარხარებს, ვეფხის კაბაზე გაზომებენ უცხო სამოსელს, წუხელ – სიზმარში თვალი ვკიდე თითქო მილოსელს, პირველი საყდრის უნეტარესს ჰგავდა ლაზარე“ („ძელიცხოველი“).

გენო კალანდიასათვის ნიშანდობლივია საკუთარი შემოქმედებითი მრწამსის ბალავარის ძიება, რათა ჯიუტად გასწიოს პარნასისაკენ. ჩვენს მეხსიერებაში კი სამუდამო დარჩება „აღდგომის სურათი“. ვფიქრობ, თუ არა ერთგულება გრაალისადმი, ერთგულება ყოველივე ღვთიურისადმი და შინაგანი

მზაობა უზენაესის მარადიული საბრძანისის სახილველად, ასეთი სტრიქონები არ დაიწერებოდა: „ალუბალს კრეფენ ძუძუმტენი მაცხოვრის კარით, სოფლის მეველეს ირემივით ბალახში ძინავს, წყაროზე მიდის ვერცხლის თუნგით ცისფერი ცირა, მაყვლის ბარდებში ჩხართვებს დასდევს მეზობლის ბალღი... წაბლის ოდაში სააღდგომოდ ფუსფუსებს დედა, მზე ძველებურად მიბარბაცებს ზეგანსა ზედა და ძიძა შვიდი ანგელოზის გვიყვება ამბავს“ („აღდგომის სურათი“).

„შვიდი ანგელოზის ამბავში“ – ყველაფერი ჩაატია პოეტმა – სამშობლოს უკიდეგანო სიყვარული, იმედი, რწმენა, სიყვარული, ღვთაებრივ ნათელთან ზიარების იდუმალება... და გახსენდება გალაკტიონი: „რად მინდა, ჩემო პირიმზე, ჩემის ჩანგით თუ ვერ დაგაღონებ? რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ? გული სავსეა წყნარი სიმღერით, სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა, ვმღერი ვით არვის არ უმღერია, წყურვილსაც მოვკლავ, მაგრამ რად მინდა?“

გენო კალანდიას სულში მუდმივად ღვთიური ჰანგები ჟღერს, მუდმივად რაღაც დიადი უხარია. ეს დიადი კი ქრისტიანული ღმერთია, რომლის ნათელითაა გალიცლიცებული მთელი მისი პოეზია, რადგან, ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს (სიბრძნე სოლომონისა, 5.28).

„მეტი სინათლე!“ – ინატრა გოეთემ.

„უსასრულო საზღვარი გადააცილე, შენი ამაყი სულისკვეთება, მეტი მზის შუქი შემოგვეხვევა, მეტი ნათელი შემოგედება“, („ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა“). „აჰა, დასრულდა შენი ციმციმი და მწუხარების ბურუსსა შევალ: გზა საუფლოსკენ ვარსკვლავებისა მეუფებამან მაუწყა შენმა!“ („აჰა, დასრულდა შენი ციმციმი, ანა კალანდაძე).

პოეტი ღვთის ნათელშია, მის მთვარისფერ სამლოცველოში, „იქ, სადაც უფლის სიყვარული ისე დიდია, ისე მაღალი, გეგონება თითქო დილიდან ბეთლემს მიდიან მონაზვნები, ანგელოზები“ ... („შენს ნათელში ვარ“).

გენო კალანდია ასეთი განწყობითა და მიდრეკილებით გამოირჩევა თანამოკალმეებისაგან. პოეტი მუდმივად მაღალი სიბრძნის ძიებაშია. გამორჩეულობის მიზეზი მის საოცარ ხატ-სახეებში ვლინდება. მშვენიერების დიდებული ხატის ბრწყინვალების შემეცნება მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფება. თავად „მშვენიერება აჩერებს დროს“ (პოლ ვალერი).

„დიადი აზრი მშვენიერების, რაიც იფერებს სამკაულად მხოლოდ მშვენიერს!“ (გოეთე).

გენო კალანდიას ფაქიზი სული ყველაფერში ღვთიურს დაეძებს. სულიერი სიმდიდრე, სულიერი ღირებულებებია მისი უპირველესი დანიშნულება. ღრმად სწამს, რომ სიბრძნეა ადამიანის ერთადერთი მრადიული საკუთრება და ეს სულიერი განძი მუდამ მისი თანამდევია.

პოეტი დაეძებს თავისთავს, დაეძებს ყველგან ათასი საშიშროებისა განსაცდელების პოტენციით დამუხტულ სამყაროში დასაოცარ შინაგან ბუნებაში, დაკვირვების, ძიების გზით, ბეწვის ხიდზე გადის. ეს გზა ჯვარცმაა პოეტისათვის, გოლგოთაა, მაგრამ სული რომელიც მშვენიერების ძიების გზაზე, სიმართლის გზაზე ეწამა მარად უკვდავია... „ქართველის მწუხარე ღამეებით ფილტვებდაფლეთილს, ოსანას გეტყვის ასაბია გუნდად გაშლილი, შავი ტაიჭით მოვარდება ჩოლოყაშვილი, თავისუფალი საქართველოს სული მფარველი“ ...

გენო კალანდიამ იცის სამშობლოს ფასი, იცის თავისუფლების ფასი, იცის რომ წმინდა გიორგი სწორუპოვარი რაინდია და თავისუფლებისკენ სწრაფვის დიადი გრძნობა პოეტმა

ახალი ფერით გამოაბრწყინა და სამშობლოს მარადიულობაში დაგვარწმუნა. „თეთრი რაინდი“ ეძღვნება ზვიად გამსახურდიას, წმინდა გიორგის სწორუპოვარ რაინდს. წმინდა გიორგი ხომ საქართველოს სიმბოლოა, გამუდმებულ მტრებთან ბრძოლის, ბნელეთის ძალებზე გამარჯვების „გიორგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ ქრისტიანული ღმერთის სახე“.

დიახ, ზვიად გამსახურდიას რწმენით საქართველო არის წილხვედრი ქვეყანა ღვთისმშობლისა, რომელშიც სულიწმინდა მჟღავნდება: „სულიწმინდის მისსია უშუალოდ დაკავშირებულია ღვთისმშობლის მისიასთან. რა მისიაა ეს? ეს არის სანტქტიფირაციის, განწმენდის მისია, კაცობრიობის განწმენდისა და ამავე დროს მხილებისა, რომელიც უნდა განახორციელოს ამ საწყისმა ისევე, როგორც მიქაელ გიორგის მისია სულიერი აზროვნების განვითარება, უნივერსალური გველის, ანუ დრაკონის დათრგუნვა, მატერიალიზმის დათრგუნვა, უნივერსალური ბოროტების დათრგუნვა და კაცობრიობის ხსნა. აი, ეს ორი ასპექტი ყველაზე მეტად უკავშირდება საქართველოს მისიას, საქართველოს სულიერ მისიას“.[1]

მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია არაერთხელ ყოფილან ცხუმ-აფხაზეთში წმინდა ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში და წმ.გიორგის ხატთან საქართველოს გადარჩენაზე ლოცულობდნენ.

გენო კალანდიას რწმენით ზვიად გამსახურდია წმინდა გიორგის სწორუპოვარი რაინდია, ქრისტიანობისათვის, სიმართლისათვის, ქართველობისათვის ჯვარცმული თეთრი რაინდი, ამიტომაც ის მუდამ იქნება ზნეობრივი მაგალითი

1 ზ.გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, ნერილები, ესსები, თბ.,1991.

თაობებისათვის... „დროშას გიკურთხებს – წინაპარი თეთრი რაინდი, გულგამოჭმული უცხო მიწის მწირი ამინდით, მზეს მოგიჩრდილებს ხევისბერი, ძელქვა არაგვის. ჯვარზე, კოცონზე, გოლგოთაზე დიდებით გასულს, სანთელს აგინთებს დედოფალი – მწუხრის ასული და ღვთისმშობელი მიგაცილებს უფლის კარამდის („თეთრი რაინდი“).

კითხულობ ამ სტრიქონებს და გრძნობ, პოეტი თავის სულსაც ასურათხატებს და ფიქრობ, ყველაფერი რითაც მისი პოეტური ქმნილებები გამოირჩევა და რითაც თავის მკითხველებს ხიბლავს, უფლისგან აქვს მომადლებული და.. უნებურად გახსენდება ზვიად გამსახურდია: „წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო, ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არის, შემუსრე უწმინდური დრაკონთა ორგია, იხსენი სამკვიდრო, – შენი გეორგია“.

გენო კალანდიას „გრაალი და კარიატიდები“ მოგზაურობაა ხელით მოუხელთებელ სამყაროში. იმ მოუხელთებელ სამყაროში, სადაც „ცხელი მიდია... თესალია... წყალი მისნური, შიშველი ბროლი, სამკაული, თვალი ისრიმის შემოგანათებს, როგორც ვარდი და შადრევანი“ ... („მკვდარი ქალაქი“). „ღმერთო, შემინახე თვალისჩინივით შენი ფრთების ჩრდილქვეშ, დამიფარე ბოროტთაგან, რომელნი თავს მესხმიან მტრებისაგან, გარს რომ გამოესარჩლე შენს მორჩილს სასიკეთოდ რომ არ დამჩაგრონ ამპარტავნებმა (118, 123.ებრ. 7-22) ძლიერი და უკვდავი სურვილი აქვს ჩემს სულს: როდის მოვალ და ვიხილავ სახეს ღმრთისას“ (ფსალმ. 26, 4-62, იოანე 7-37).

გალაკტიონ ტაბიძე უფალს ევედრებოდა: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით

დაიფარე ამას გევედრები... ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ, სული მოუვლინე ისევ შენ მიერი, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მიეც მშვენიერი“[1] ... ამ საოცარი სტრიქონებით გალაკტიონმა სულში სულიწმინდის დავანება გვამცნო, თიბათვის მოელვარე მზეს შეავედრა შორეული, მიუწვდომელი სიყვარული და ამით მშვენიერების, სილამაზის გადარჩენის დღესასწაულთან მიგვაახლოვა.

გენო კალანდიას პოეტურ სამყაროში ფრთხილად მივიკვლევთ გზას უცნობად მხარეში, სადაც ასოციაციებისა და ბიბლიური პარადიგმების საფუძველზე გვაზიარებს სულის იმ უღრმეს ხვეულებში წვდომას, რომელიც დაფარულია ჩვეულებრივი მოკვდავისაგან და იღვრება რაღაც იდუმალი და უჩვეულო სულში; ივსება „ანგელოზის ნარნარი ხმებით“, „... სამყაროს განძი, დიადემა, სამების ლავრა, ის, რაც კაცთათვის ზურმუხტისფერ ოცნებად იქცა, გაიშლებოდა, ვით მაისის ნაკურთხი მიწა, ვით დაისჩაღვრილ ბალახებში დაყრილი ქარვა“ („კომანდორი“).

„ყოველი მოვლენა ამქვეყნად – წერს ჰერმან ჰესე, – პარადიგმაა, ხოლო ყოველი ქარაგმა ღია კარია, რომელსაც სული თუ კი მზადაა სამყაროს ცენტრსა და იდუმალებაში შეჰყავს – იქ, სადაც მე და შენ, დღე და ღამე გაერთიანდება. ყოველ ადამიანს შეხვედრია ცხოვრებაში ღია კარი, ყველას მოსვლია აზრი, რომ მთელი გრძნობები, სამყარო მხოლოდ ქარაგმაა და ამ ქარაგმის მიღმაა რომ გონი და მარადიული სიცოცხლე სუფევს, მაგრამ მხოლოდ მცირეთ გაუბედავთ ღია კარში შესვლა და მშვენიერი ცნობილების დათმობა იდუმალი სინამდვილის სასარგებლოდ“.[2]

1 გალაკტიონი, რჩეული, გვ. 161, თბ. 1977.

2 რ. ყარალაშვილი, ზამბახის გულის საიდუმლოება, „ლიტერატურული საქართველო“, პალიტრა, 2007, №8 (35). გვ.30

გენო კალანდია საკუთარ სულში მთელ სამყაროს დაატარებს, მუდმივად თან დაჰყვება „ზემზიური ნეტარი განცდა“ და „იქ წმინდა წყლებში, სადაც იდგა დელფოს სამისნო, – კორინთოს მწვანე მარმარილოსა და ლაჟვარდჩაქცეულ ტბების ბროლში მფეთქავ (აპოლონის) მზესაც დალანდავს და საოცარი სილამაზისა და მშვენიერების სამყაროში აღმოვჩნდებით, პოეტს ეოცნებება უნაზესი ქალწულის თვალის წიაღიდან, ოქროს თმებიდან მოქსოვილი ბადე სიყვარულისა... ბუნების მყარი სილამაზე, ბაღის ხავერდები, წყლის ვერცხლისფერ ფერებით გავსებული უბე და დალალები სხივებჩაწნული, „ო, კასტალიავ! – უნაზესო ჩემო ქალწულო, ა, გული იგი, მოწამლული უცხო პარნასით“ ... ამბობს პოეტი და მთელი არსებით მიელტვის უცხო მხარეს,

იდუმალებას მოინატრებს, დალალებს სხივებჩაწნულთ და გული „მოწამლული უცხო პარნასით“ ახალ-ახალ სასწაულებს ელოდება.

ამ საოცარი სონეტით პოეტი რაღაც ზექვეყნიურ სიყვარულს ესწრაფვის. უმანკო ქალწულის თვალის წიაღიდან, ოქროს თმებიდან მოქსოვილი ბადე სიყვარულისა, ბუნების მყარი სილამაზითა და ბაღის ხავერდებით, ვფიქრობ, სამყაროსეული ჰარმონიისაკენ დაუოკებელი სწარფვაცაა, რამეთუ ამქვეყნიური ყოფიერებით სულშეძრული პოეტი სიმშვიდეს ეძებს „წმინდა წყლებში“. ქრისტე ხომ „ცოცხალი წყალია“ (იოანე, 4.10).

პოეტს ეზმანება დიდგორის ბრძოლა, ჩაესმის თეთრი რაინდის ხმა, ახსენდება „ხევისბერი – ძელგვა არაგვის“ და შავტაიჭოსანი ჩოლოყაშვილი – „თავისუფალი საქართველოს სული მფარველი“ და თავისუფლების წყურვილით აგვანთებს.

როცა ეს ლექსი წავიკითხე მერაბ კოსტავას ცნობილი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“ გამახსენდა, რომელიც მან ზვიად გამსახურდიას მიუძღვნა. ზვიადი, მერაბის რწმენით, იყო სული ტაძრიელი, გრაალის მცველი რაინდი: „ხარ მწირი თამარ დედოფლის საღვთო სინედლის გულში აღმძვრელი, თუ ნახევარძმა პარსიფალისა, დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი, სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმინდა გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული, თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან თორნიკესავით დაბრუნებული“.[1]

მაკა ჯოხაძე წერს: „ძმა ქრისტესმიერს“ – ღვთის შთაგონებით ეს ლექსი ეშმაკის მიერ გაჭედილი მრუმე ხატის საპირწონედ დადო სასწორზე მერაბ კოსტავამ, რწმენით გასხივოსნებული ერთგული ძმობის რეალური და პოეტური დადასტურებაა, ათასგვარ სიძულვილს, შურსა და ცილისწამებებს გაუძლო ამ ძმობამ“.[2]

პოეტს ეამაყება საქართველოს ისტორიული წარსული, ახრჩობს „დაუბრუნებელი სივრცეების ამინდი“ (ლეონიძე). ტაძრისკენ მიმავალ გზაზე და „უგზოობის ქვეყანაში“ მიგვანიშნებს.

ნანა კუცია წერს: „იგივ ამინდი“ ახრჩობს გალაკტიონს: „სოჩაში დადგა გემი ილიჩი“ რითი არ არის ახალი „არგო“ ?.. ეს ის სოჭია, კონდოტიერმა რომ გააჩუქა, გაჩუქებულ საინგილოში კესანე ტირის და შორიდან პოეტიღა ესათუთება: „რომ ერთად არ ვართ, კესანე, მისთვის შემომკვნესარებ... ნუ გეშინია სიობლის, მე არ დაგტოვებ კესანე“ [3]...

---

1 მ. კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991, (209)

2 მ.ჯოხაძე. ღვთისმშობლის ღიმილი. „ჩვენი მწერლობა“, 29 ნოემბერი, 2013. გვ.3.

3 ნანა კუცია, წიგნში „XX საუკუნის ქართველი მწერლები“, „მერიდიანი“, 2009, გვ. 556

გენო კალანდიას აფხაზეთი გაჩუქებულია, გასხვისებულია საქართველო, დაშლილია ქართული სული დ პოეტი სასოწარკვეთით იტყვის: „... ის შემართება დამთავრდა მარცხით, სხვა კვამლი ასდის მამულის კედლებს, კვლავ მარეკები გასხედან ქედზე და გიჩოქებენ ახალი ხაზით. თავდადებულთა დამთავრდა ხანა, წყალს მიაქვს ვარდის ბაღი და ყანა, მეფისა ჩვენის საფლავის ლოდი. ვაი სირცხვილო! – როდემდის? რისთვის ამდენი ცრემლი, ამდენი სისხლი, ამდენი ჯვარცმა და მკვდართა კორდი?! („ჯვარცმა“).

გენო კალანდიას პოეზია გასაოცარი მთლიანობაა პოეტური აზროვნებისა და პოეტური გრძნობისა, ის თანაბარი ძალით ავლენს აზრობრივ თუ გრძნობად ემოციებს და სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ის ჭეშმარიტად არისტოკრატული სულის პიროვნებაა, რამეთუ მასშია გასაოცარი განცდა ქართველობისა, როცა შენს მამულში დატრიალებული სულისშემძვრელი ტრაგედიების მერე კიდევ შეგრჩება სურვილი თავაწყვეტილი ერთგულებისა და სიყვარულისა...

„ჭეშმარიტი შემოქმედის სულში უკეთური და უღირსი აზრი არ აღიძვრის, ხოლო დიადს ვერაფერს შექმნის ის, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მდაბალი აზრებით სულდგმულობს, ვინც ბილწ სურვილებს და უღირს ზრახვებს არის დამონებული. ამაღლებული მაღალი აზრის ნაყოფია, ხოლო მისი შემქმნელი თავადაც მაღალია და მაღლად მხედი“.[1]

გენო კალანდიას სონეტი „ვაითუ, გასკდეს გული ქართლის ბროწეულივით“ პოეტის საკრალური ხილვაა საქართველოს ისტორიული წარსულის ფრაგმენტითურთ, საქართველოს ისტორიული წარსულის ტკბილ-მწარე ცხოვრების ჩამონატეხია,

1 ფსევდო ლონგინე, ამაღლებულისათვის, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. გვ., 1975, გვ. 115

რომლის წიაღშიც უნდა აღიზარდოს მამულისათვის თავგანწირული ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომელთა გარეშე არა თუ წარსული, უშინაარსოა მომავალი ცხოვრებაც... „დაბადებიდან დაგყვა ზარი, ურვა მარადი, გაქვს საქართველო გასამარგლი პონტოს კარამდი, ოთხიევ კუთხით ჭილყვავები გადასარეკი. ცხადში, სიზმარში ჩაგჩურჩულებს უზენაესი, – ყოვლის გამგები, ყოვლის მხედი უმხურვალესი, – შეიბნ მახვილი, ჭირთა ჩვენთა იყავნ მარეკი!“

გენო კალანდია არის ნაღდი მამულიშვილი, რომელიც პირუთვნელი სიტყვით, გოლიათური მხრებით ეზიდება პოეტის უმძიმეს ტვირთს, ეს ტვირთი უზენაესისგან ეძლევა, თითოეულ მის ქმნილებაში სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება და შესაშური ნიჭია ჩაქსოვილი.

ისტორიის შორეული სიღრმიდან ანათებს მშვენიერი ელენეს პოეტური ხატი. ხატი სილამაზისა და სიყვარულისა. გენო კალანდიას პოეტურ ფერწერას ძალუძს ჯადოსნური მეტაფორებით გააცოცხლოს საგანი და მოვლენა, მეტაფორებით და ბგერწერული სტრიქონებით უხვად დატვირთული ლექსის ქსოვილი კი ქმნის შთაბეჭდილებას, სადაც ყველაფერი ცოცხალია და მუდმივ მოძრაობაშია. შემოქმედის შინაგანი ხილვის ლოგიკა და ანალიზის სიზუსტე, პოეტური სინტაქსის ვირტუოზული ფლობის უნარი, განსაკუთრებული სიცხადით გამოკვეთს აზრის სიღრმისეულ ლოგიკას: „ო, შენი ბედი, ო, ცოდვილი მისი გვირგვინი აფორიაქებს დილიდანვე წმინდა სამისნოს, და კარის მსახურთ... ფეხაკრეფით დადის პარისი, სისხლისფრად ბზინავს ცელი სიკვდილის. ის, ვინც იყოფდა შენთან ერთად ადრე სარეცელს, ლაშქარს მოუძღვის... შურისგების მძლავრი მახვილი ტროას ღვთის რისხვად დაატყდება... ვითარ ნახირი, – დადგება ჯარი კედლის წინარე“ ...

„წარსული, როგორც დრო-სივრცულ მეტაფორათა სასაფლაო, როგორც ჩვენი ადამინური არსებობის ნეტარი ხვედრი“ ... (გ.ბენაშვილი). ამ კონოტაციების გარეშე გენო კალანდიას პოეზია წარმოუდგენელია და არის მის პოეზიაში რაღაც უცნაური სიფაქიზე და სისუფთავე, რაღაც უანგარო სულისკვეთება, ძალა და სინათლე და მთავარი მიანც, პოეტისათვის სიცოცხლის, სიყვარულის მსოფლმხედველობრივი ასპექტებია, რითაც შეუძლია გაამართლოს ყველანაირი ქმედება, თუნდაც საძრახისი: „ცხენს შემოაგდებს აქაფებულს ვეფხვის ნახტომით გატაცებული სიყვარულის, სპარტას პატრონი და შუბის წვერით გახსნის ზარდახშას. ხორბლისფერ თმების, სათნო გულის ფრთონა-ფრიალით გამონათდები ყვავილივით მიზეზიანი ცხრაკლიტულიდან ოქროს ჩარდახით“. – აქ აშკარად იკვეთება გენო კალანდიას პოეტური სტილის თავისებურება, მისი ძარღვიანი მხატვრული ფერწერა.

ციკლში „გრაალი და კარიატიდები“ მზესავით შემოგვანათებს დედისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც მის ყველაზე საინტერესო ქმნილებად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ბავშვობის, ყრმობისა და სიჭაბუკის სევდიანი ჰანგებით იქსოვება პოეტის უნივერსალური იდეალები, წარმოდგენები და ნოსტალგიური განცდები. „წევს დედაჩემი, როგორც ნიბლია, თმადავარცხნილი, სუსტი, საბრალო, თეთრი იების ხურავს საბანი, თავთით გაშლილი უდევს ბიბლია. ადგა... მაკოცა... და გარინდული გახსნა ძვირფასი შუბლის ღარები და გაუნათდა უცებ თვალები, სავსე სხივების შაქარ-ყინულით. გამომიტანა სიტყვაუთქმელად კაკლის მურაბა, ჩირი, ჩურჩხელა, ტუჩმოტეხილი დოქი ძველშავით. ავდექი... ამყვა ლბილი სურნელი თაფლის, ომბალოს, ყვავილწნულების, მარტოდშთენილი დედის – ბეჩავის“ („წევს დედაჩემი, როგორც ნიბლია“).

კითხულობ და გრძნობ პოეტის გული სავსეა მრავალგვარი აზრის სითბოთი და ფიქრით. მრავალფეროვან დროთა საბრუნავში პოეტს თან დაჰყვება დედაზე ფიქრი, და თუ სადმე ქვეყანაზე ჩუმი სევდაა, ყველა პოეტის გულს დედის სიყვარულივით მერიდიანებად შემორტყმია. რიჟრაჟივით სუფთა და ფერგამოუნაკვთავი სამყარო სუნთქავს აქ, ის მეგზურობს ათასობით დღეთა მომავალ თენებას და ვგრძნობთ პოეტის მზერა მუდმივად როგორაა მიმართული არსებობის სიღრმეებისაკენ, სიცოცხლის ფესვებისაკენ. წინამდებარე სონეტი მდიდარია სიმბოლოებითა და მხტვრული სახეებით, რაც მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს. „ავდექი, ამყვა ლბილი სურნელი, თაფლის, ომბალოს, ყვავილწნულების, მარტოშთენილი დედის ბეჩავის“, – ეს სტრიქონები სამუდამოდ რჩება მკითხველის მეხსიერებაში, უფრო მძაფრად, ალბათ ძნელი წარმოსადგენია დედის მონატრების განცდა. ამ სტრიქონებში პოეტმა თავისი განწყობილება, განცდა და სევდა ჩაატია. ინდივიდუალობის წარუშლელი ბეჭედი აზის მის თითოეულ შედევრს... დედის გენო კალანდიასეული ხატი ვფიქრობ ძალზე იშვიათია, დედის მოგონება, დედის სულის სიფაქიზე და ძლიერება აძლევს პოეტს რწმენას და სიმშვიდეს, რომლითაც მოჰყება იგი ცხოვრების მისეულ ბილიკს. „ეს მარგალიტები იმ ზღვიდან არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან, აქ არაფერია ნათხოვარი: არაფერია განგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი, აქ თავის დიდებას, თავის დიდბუნებოვნობას, სულგრძელობას თვითონ ერი მეტყველობს, თვითონ ერი ღაღადებს... თავის ჭეშმარიტი შვილის ბაგითა. ამისთანა მარგალიტები მარტო ზღვის ძირშია... ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და დიდი საქმეა, ვისაც ღონე შესწევნია და თავისი საკუთარი გული

და თვალი იქამდინ ჩაუწვდენია, ჩვენში ბევრი ვერ დაიქადებს ამასა... გული ერისა იგივ ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის, ხელის იქამდინ მიწვდენა-ხვედრია მარტო რჩეული კაცისა". [1]

დიდებული ფერწერული სურათივით ხელშესახები და მიმზიდველია სონეტი: „ჯვარი ვაზისა", რომელშიც მამულისადმი, მშობლიური კუთხისადმი უსაზღვრო სიყვარულის განცდა თაფლივით მოწვეთავს. პოეტი საქართველოს ისტორიული წარსულით, აწმყოთი და მომავლით ცოცხლობს და მაინც, წმინდა და ნაკურთხი მოედინება უსასრულობისაკენ ერის სიცოცხლე, მისი პოტური გზნება და აღმაფრენა. „მშობელმან ჩემმან მიანდერძა მამული ესე – ურიცხვი განძით, მთელი მისი უძრავ-მოძრავით, დარუბანდიდან ნიკოფსიით ტყორცნა ბოძალი, მერმე ხელი მკრა და შემაგდო უბელო ცხენზე", – ამბობს პოეტი და სამშობლოს, სრულიად საქართველოს სიყვარული აყვანილია მხატვრულ-ესთეტიკური სრულყოფის ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც სავსებით გამართლებულია ადამიანად არსებობა ამქვეყნად.

გენო კალანდიას სიყვარული სამშობლოსადმი სრულიად გამორჩეულია, ახლებური, თვითმყოფადი პოეტური ნათელის გამოსხივება: „მღვრიე მორევში გადამაგდო აღდგომის ღამით, წინაპრის ძვლებით მოკირწყლული გზებით მატარა, მიჩვენა კერის ნაღვერდალი, ცხელი, თაკარა, ვარძია, გრემი, – ფეხადგმული დიდება ჟამის... შეგირდად მიმცა კირითხუროს, უჯარმელ მჭედელს, ქართლის ცისფერი ვარსკვლავები ამომჭრა ბეჭზე და სოხუმს ზედა დამასახლა – სამოთხის კარად."

უფლის უწმინდესი სისხლით ავსებული პოეტი „ცისფერი ვარსკვლავების ტვიფარით" მოინატრებს „სოხუმს – სამოთხის

1 ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარემობი ხუთ ტომად, 1986, ტ.III, გვ 117.

კარს", მაგნოლიებისა და „მზეზე მოხარაშუნე" ფორთოხლებს, ცის ზამბახებს, „ჯვარზე, კოცონზე, გოლგოთაზე დიდებით გასულს, სანთლებს აგინთებს დედოფალი – მწუხრის ასული, და ღვთისმშობელი მიგაცილებს უფლის კარამდის" („თეთრი რაინდი"), – ამოანათებს პოეტის გულიდან როგორც იმედი, რწმენა და სიყვარული, როგორც სწრაფვა საღვთო სიბრძნით გასხივოსნებული მიწიერი სამოთხისაკენ... „ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, გვევალება კიდეც, გავუფრთხილდეთ, არ დავკარგოთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავალს... ჩვენ ამირანის გამჩენი ხალხი ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაა, ანუ, ჩვენთვის ყველაფერი ბრძოლაა, ლხინიც, გლოვაც... ყველაფერი, რითაც საკუთარ ვინაობას ადასტურებს და საკუთარ მეობას წარმოაჩენს ადამიანი. ჩვენც სამშობლოსთან ერთად ვიწვით ცოცხლად, მარადიულ ცეცხლში, მაგრამ ფერფლად კი არ უნდა გაგვფანტოს ქარმა, არამედ ისევ მშობლიურ ცასა და მიწას უნდა მიგვამატოს ცად და მიწად. ამიტომ, როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, ყოველთვის გვახსოვდეს – წინ მარადისობაა" (ოთარ ჭილაძე).

„გრაალი და კარიატიდები", როგორც სახე-სიმბოლოები, რწმენის, სიწმინდისა და ჭეშმარიტების კავშირს გვიჩვენებენ მშვენიერთან, ამაღლებულსა და მტკიცესთან (შინაარსისა გრაალი და ფორმისა, კარიატიდები) შერწყმა და ურთიერთგაპირობებულობა განსაზღვრავს როგორც ცნობილია სონეტს, ფილოსოფიური ლირიკის ფორმას, თეორემას, რომლის წარმატებით ახსნა მკაცრი რაციონალიზმისა და შეუმცდარი პოეტური ინტონაციით მიიღწევა ხოლმე".[1]

---

1 თ. ბარბაქაძე. სონეტი – ფიქრი გულით და გრძნობა გონებით. „ცისკარი". № 4. 1997.

გენო კალანდიას სონეტების ციკლში „გრაალი და კარიატიდები" მთელი სიცოცხლე, ყოფიერება გააზრებულია როგორც პოეზია, ყოველწამიერად რომ იქმნება და მთელ სივრცეს რომ ეფინება პოეტის მიერ.

მის პოეტურ ფერწერაში ნისლი სიზმარივით ირწევა სამეგრელოს, კერძოდ, ოდიშისა და ენგურის ველებზე, ხოლო თბილისისა და საქართველოს სხვა კუთხის პეიზაჟები და იდუმალი სამყაროს ასახვა მაგნიტივით გვიზიდავს.

გენო კალანდია გრაალის საიდუმლოს ჭეშმარიტი მაძიებელია, რომელსაც სურს გაექცეს ყოფიერებას და ტერენტი გრანელივით მიელტვის რაღაც ხელით მოუხელთებელ, მესამე სამყაროს.. ამ მიღმურ სამყაროზე წერდნენ ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, ტიციანი – რომელთაც ღრმად სწამდათ მესამე ნაპირის არსებობა.

გენო კალანდიას მძაფრი სურვილია „მესამე თვალის სხივნათელით" შეიმეცნოს მთელი სამყარო, რათა ღირსეულად ატაროს სახელი პოეტის, რაკილა ბედად ერგო იყოს ქართული სიტყვის ჯავაირჩი. გულწრფელი ვედრებაა: „მიბოძე, როგორც ვიოლინოს სიმი დამდნარი, მიბოძე, როგორც მეფისწულის ლურჯი ზღაპარი, – სამოთხის ჩიტი – პოეზია თავისუფალი. მიბოძე, როგორც ბედისწერა, ჯვარცმა, წამება, მიბოძე, როგორც ცის კურთხევა, ღვთის მოწყალება, ქართული სიტყვის ჯავაირჩი, ჭირისუფალი." („ჯავაირჩი") წერს „ფიქრის ჯვარზე გაკრული" (პოლ ვალერი) პოეტი. პოეტიც იქაა, სადაც „ადამიანი და უფალი გახლეჩილნი" იტაჯებიან. ამიტომაც, აკეთილშობილებს გრაალის ძიება, სწრაფვა სიწმინდესა და მშვნიერებისაკენ. სწორედ ესაა „ის ორიგინალური ხასიათი, რომელიც შეიძლება განისაზღვროს იყოს გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება ხალხისა, ვინც დღევანდ-

ლობამდე სხვაზე მეტად იფიქრა ადამიანის განსაზღვრასა და მის სულში შეღწევაზე“.[1]

გენო კალანდიას სონეტები მუდმივად სინათლის ჩქერალს აფრქვევენ, რომელთა მშვენიერება თვით დიდი ტრაგედიების მიღმაც ილანდება. აი, თუნდაც: „ყოველი კუთხე, გალავანი მოირწყა სისხლით, უპეებივით დაეკიდა ბინდი და ნისლი სასახლეს, სადაც ნებივრობდა ხელმწიფე ჩვენი. შეწუხდა ხალხი, ვეზირების ქიშპით და ჯიბრით, ქვეყანამ ყვავის ბუდესავით დაკარგა ხიბლი და დარჩა მარტო, ვით მინდორში ბეკინას ცხენი“ („არმაზის კართან მოდიოდა აჩრდილი მეფის“).

გენო კალანდიას სონეტებში წარსულის მოზაიკური სურათები შთამბეჭდავ პოეტურ სახეებად ცოცხლდებიან. შექსპირის ტრაგედიების პერსონაჟთა მსგავსად მოუწოდებს თაობებს ღრმად ჩაფიქრდნენ, ეს ტრაგედია გაითავისონ და განიწმინდონ იმ ცოდვებისაგან, რაც აფხაზეთის ტრაგედიამ მოგვიტანა. პოეტის სული და სხეულიც მაშინ ამღერდება, როცა „წიგნით, ლოცვანით ჩამოივლის ბერი თევდორე, ასგზის დაჭრილი საქართველოს თანამედროვე, – ქართული სულის სიანკარე, ზარი ღვთიური. ტაძრად დადგება უწმინდესის ნებით, სახელით, მერე ნელინელ ცაში ავა, როგორც სანთელი და წყვილი ცრემლით განათდება ცა-ბიბლიური“ („მზე ჩამოგვხედავს“).

1 ჟ.პომპიდუ, ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობა, „ჩვენი მწერლობა“, 19 მარტი 2010, გვ.4

მზე ნეკერჩხლებში

გენო კალანდიას პოეზიასთან მიახლება ამაღლებულ და ღვთიურ განცდებს იწვევს, რომელიც სხვა სივრცის, სხვა მხარის, „მესამე თვალის სხივნათელით“ დანახულ სამყაროს არსებობაზე მიგვანიშნებს. მინიშნებები, სიმბოლოები მით უფრო ძლიერია, რაც მეტად ღირებულია შემოქმედების ნიმუში. როდესაც პოეტი ამბობს „ოცნება ნახაზი, საგანთა უარით“ (გალაკტიონი), ამ დროს ხდება სასწაული და ისიც ზმანებებით და ხილვებით ზუსტად ახერხებს იმ განცდების გადმოცემას, რომელიც არ ცნობს რაიმე საზომის არსებობას, ყველაფერს აცოცხლებს თავისი სიტყვისა და პოეტური სულის ძალმოსილებით...

„პოეტისათვის აუცილებელია სულის მაღალი ხარისხი“ (ჟორჟ პომპიდუ). ეს თვისება ძალუმად იგრძნობა გენო კალანდიას პოეზიაში. მისი დიდი მოთმინებითა და გონიერებით დახვეწილ-დამუშავებული, სულის მაღალი ხარისხითა და დიდი პოეტური ხელოვნებით შექმნილი ლექსები შეენივთა და შეერწყა თანამედროვე მკითხველის სულსა და გონებას. მისი, როგორც შემოქმედის, განუმეორებელი კეთილშობილება, ამაღლებული ესთეტიკა ადამიანის სულიერ სამყაროზე ზემოქმედების უდიდესი ძალაა.

გენო კალანდიას „ფესვები“ მზითა და სითბოთი, სინათლითაა გალიცლიცებული. სხვა სივრცისკენ მიმსწრაფი პოეტი თავის განსაკუთრებულობას ხაზს უსვამს ამაღლებულთან, ზეციურთან, ნათელთან მოაზრებული პოეტური ხატებითა და მეტაფორებით. სინამდვილის ყოველი საგანი განსაკუთრებული ელფერით წარმოუდგება შემოქმედს. უჩვეულო პოეტური სახეების დღესასწაულებრივი ფერადოვნება, მკვეთრი და

კაშკაშა საღებავები მისი მხატვრული ოსტატობის თავისებურებაზე მიგვანიშნებს.

პოეტი მთელი არსებით გზნებს „ჭყონდიდის თორმეტი შაშვის“ მზიურ სილამაზეს და „შვიდი ქალწულის“ სევდას. სულს უთბობს ბროწეულისფრად განათებული ზეცა, ეძვირფასება ბალახებში მოწკრიალე დილა, „ფოთლებზე, გზებზე, მინდვრის ხნულებში წითელი სხივი“ ...

გურამ ასათიანი წერდა: „ყველაფერი ძველდება მზისქვეშეთში, ცვდება, იფიტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს, ათასი ბაბილონის გოდოლი ჩამოაქცია ჟამთა სიავემ, ათასი გოროზი გულის ძახილით შეერია დიდ უდაბნოთ დაუსაბამობას, უდაბურდებიან სემირამიდას ბაღებიც – ვინ იცის, რამდენ ამპარტავან სულის ზვაობას მოეღო ბოლო, რამდენი ამაო ზრახვა ჩაჰყვათ სამუდამო ძილში ბედისა და სახელის თავზეხელაღებულ მაძიებლებს? და „გამწარებით ხრავენ მიწასა“ – ინავლება სიყვარულიც... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბროწეულის ლორთქო ფესვები კადნიერად გაჰკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვან სიგრილიდან კვლავ ამოგიზგიზდება ვით ბაზმა გაუქრობელი, ჩვენი, უმწეო, სამარადისო ხმა: „ძევახ, სიცოცხლეო ჩემო“ ... „სერაფიტას ხმა, ბროწეულის ვარვარა ყვავილის სილამაზეა, რომელიც მუდმივად აღელვებს სიტყვის ოსტატებს და თუ ბუნების სილამაზისადმი უშუალო ინტერესი, მისი ჭვრეტის ძლიერი სურვილი ყოველთვის კეთილ საწყისებზე მიგვანიშნებს ადამიანში, მაშინ გენო კალანდიას „მზე ნეკერჩხლებში“ სილამაზისა და მშვენიერების გადარჩენისკენ სწრაფვაა, მზის მარადიული ჰიმნია, ძლევამოსილი ჰუმანიზმისა და დიდი სიყვარულის წმინდა აღლუმი. უფრო მეტიც, ლირიკული პერსონაჟის სულიერი განცდების გადმოშლაა: „მზე ნეკერჩხლებში

ჭახჭახებს, ღუის ძოწისფრად ველი, ცხენის ტახტაზე ჰკიდია ღრუბლის ფარდაგი ჭრელი. ნითლად ლაპლაპებს მდინარის სველი ლაჟვარდის თვალი, გადაღმა შენი სახლია ჩემთვის დახშული კარით. მიდის და მიიზლაზნება ჩემი ცრემლების მტკვარი. გადაღმა ვარდის ბაღია ფიჭვის ცისფერი კვარით".

პოეტი ნეკერჩხლებში მზის სილამაზეს უნატიფესი განცდებით გამოხატავს და მთელი ლექსი უჩვეულო კომპოზიციაა, სადაც გრძნობა და აზრი ერთმანეთს ერწყმის. სადაც უსაზღვრო სივრცეებით თავგზააბნეულნი ძალუმად ვგრძნობთ ფიჭვის ცისფერი კვარით განათებული ვარდის ბაღის არსებობას... ტაეპთა პარადიგმული მიმართებანი ქმნის კომპოზიციურ გრადაციას. გეჩვენება, იქმნება რაღაც საოცარი ექსპრესიული არეალი, რომელიც თავისი ფუნქციით ლექსში გამოთქმული აზრებისა და გრძნობების ტოლფასია...

გენო კალანდია სილამაზეს კაცურ მადლსა და სიკეთეში ხედავს და ვფიქრობ, გასაკვირი არც უნდა იყოს, როცა ასეთი სტრიქონებს ვაწყდებით: „მეკითხებიან ვისი გორის ვარ? მთვარის, მასქურის, მზის შვილობილი" ... და არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ პოეზიის რეალისტურ შესაძლებლობათა უშველებელ ტვირთს გენო კალანდია მხრებით ეზიდება ახალი სიმაღლეებისაკენ...

„მამლის ყელიდან ამოსული დილა, ხავსით შემოსილი სოფლის ეკლესია, მზით გადმოფრენილი ჩიქოვანის მიმინო, გლოვად დამსხდარი სააფაქიო, შერვაშიძის თეთრი ქალი, გუბაზის სისხლი... ფაზისის ვარდი, გერგედავას ცირა, ჩელა, ოდოია, აბა, ულა, ჭყონდიდი, ზუგდიდი. ჭალადიდი...

აი, ... გენო კალანდიას პოეტური აღმაფრენის დვრიტა".[1]

---

1 მუხრან მაჭავარიანი, პოეტიც, კაციც, გენო კალანდიას წიგნში „ფესვები", თბ., 2011, გვ. 5

პოეტი მთელი არსებით მიისწრაფვის მარადისობის ლაჟვარდებში, თრთოლვით, მაგრამ მაინც გაბედულად მიემართება, რადგან სჯერა „ცა მიწიდან იწყება“ (ო.ჭილაძე) და კიდევ: „ზეცა გულში კვლავ იხედება“ (გალაკტიონი). გენო კალანდია უპირველეს ყოვლისა აღზრდილია ეროვნულ ტრადიციებზე. ჩვენი მდიდარი ქართული და ევროპული პოეზია და ფილოსოფოსთა ნააზრევი, ბიბლია და ბრძენ მამათა თეოლოგიური ტრაქტატები ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს მისთვის: „როცა უმთავრესი ღმერთი გახდა მზე, მცენარეთაგან მზისთვის ყველაზე მახლობლად ვაზი მიუჩნევიათ, იმიტომ რომ ვაზი ყველაზე მეტად შეიწოვსო მზის ძალას, მზის ძალა ვაზიდან ღვინოში გადადის და ეს ძალა ათრობს ადამიანსო... შენ ხარ ვენახი და შენ ხარ მზე ერთ პირს გულისხმობს. იგია აყვავებული ვენახი და მზეგაბრწყინებული ვენახი ყვავის მზის ბრწყინვალებით, ასე ადიდებდნენ ღვთისმშობელს მითოსური სახეები“.[1]

ცხელი მზის კვეთით განათებული მისი პოეზიიდან ანგელოზთა ნარნარი ხმები სიოსავით მონანავებს... პოეტი კოსმიური არსენალიდან ციურ სხეულებს სრულად ახლებურად გარდასახავს და თავისებური კუთხით დაგვანახებს, მისთვის მზე სიცოცხლისა და სილამაზის მარად დაუშრეტელი წყაროა. მისი ლირიკული ლექსის პერსონაჟი მშობლიური კოლხეთის მზითაა აბრიალებული. კოსმიურ ორომტრიალში ჩართული პოეტი იტყვის: „სამყაროს განძი, დიადემა, სამების ლავრა, ის, რაც კაცთათვის ზურმუხტისფერ ოცნებად იქცა, გაიშლებოდა, ვით მაისის ნაკურთხი მიწა, ვით დაისჩაღვრილ ბალახებში დაყრილი ქარვა“. („კომანდორი“).

გენო კალანდიას პოეზიაში მზის სიმბოლურ გააზრებას

---

1 რევაზ სირაძე. სახისმეტყველება, „ნაკადული“, თბ., 1982, გვ. 26-27

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცნობილი ფაქტია, რომ ლიტერატურათმცოდნეობის კარდინალურ ცნებებთა ველში სიმბოლოს თავისებური ინტერპრეტაცია გვხდება. გავიხსენოთ გოეთე, რომელისთვისაც სტილი შემოქმედების უმაღლესი ხარისხი, უმაღლესი დონე იყო: „სრულყოფის ამ დონის შეცნობაც კი უდიდესი ბედნიერებაა, კეთილშობილი სიამოვნებაა მასზე საუბარი მცოდნესთან და ეს სიამოვნება მე მინდა არაერთხელ განვიცადო მომავალში“.

როცა მზის ფენომენზე ვსაუბრობთ, გენო კალანდიას პოეზიაში ჩვენი ყურადღება უმთავრესად მიპყრობილია პოეტის მიერ გამოხატული აზრისა და ემოციის ჩვეულებრივ ცნებაში გამოხატვის შესაძლებლობაზე. პოეტი მზის ხატებაში გამოუთქმელ მშვენიერებას ხედავს და იგი უფრო ფერმწერია, რომელიც ფორმის გამახვილებულ გრძნობაში აკრისტალებს მხატვრულ სახეს: „ვლოცულობთ მზეზე, სიყვარულზე და გაზაფხულზე, ვგავართ სენაკის ბერ-მონაზვნებს, ქრისტეს მსახურებს ნაგვემი შუბლით და ჩაცვივნულ თვალთა ოვალით. გადარჩენილი ვარსკვლავების ქუდი გვახურავს, სხვა სინათლეში, სხვა სივრცეში მივალთ მეფურად, სახელი გვრჩება ბუმბულივით ჰაეროვანი“ („პოეტები და რაინდები“).

გენო კალადია მამულის მზითაა დატვირთული. იგი მშობლიური ქვეყნის საფიქრალ-საზრუნავში ნიშა ხარივითაა ჩაფლული და არაფერი ისე მხატვრულად არ გამოხატავს ჩვენი ცხოვრების, ჩვენი დღევანდელი ყოფის ღირებულებას, ჩვენს კავშირს წარსულთან, სწრაფვას ნათელი და მზიანი მომავლისაკენ, როგორც მზე. სამარადისოდ ქვეყანაში დამკვიდრების ღირსია ის, ვინც პირნათლად ემსახურება თავის ქვეყანასა და ხალხს.

სავსებით ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ქართულ ლიტ-

ერატურაში „შუშანიკის წამებით“ დაედო საფუძველი მზის ესთეტიკას. იაკობ ხუცესის სიტყვით „შუშანიკი სულიერი ქნარია“, ამ სულიერი ქნარის სულიერება განიცდება ბრწყინვალებად“.

გენო კალანდიას პოეტური ხმა სინათლესავით იფრქვევა ხსოვნის ცისფერ მდინარედ. პოეტის არსება იდუმალებითაა მოცული. „მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის“ (ნ.ბარათაშვილი).

გიორგი გაჩეჩილაძე წერს: „ნ.ბარათაშვილმა ისე, როგორც შექსპირის ჰამლეტმა იცის, რომ ირაციონალურის, ემპირიულობის მიღმა არსებობს სფერო დაფარული და მიუწვდომელი ჩვეულებრივი თვალყურისათვის, ამიტომაც გაისმის კაეშნიანი სიტყვები: „მაგრამ ვერ სცნობენ გლახმოკვდავნი განგებას ციურს“ [1]...

... მაგრამ ის, ვინც ერთხელ უკვე შედგა არსებობის ამ საიდუმლოთა წვდომას, მოინუსხა მის საჭვრეტად, იცის, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის“.

ეს არის დუმილის ენა, მეტყველი უმეტყველობა, ენა რომელიც გონის გაცილებით ღრმა შრეებს უკავშირდება, ვიდრე მჭევრმეტყველების მთელი ფეიერვერკი“.

გენო კალანდიას ღრმად აქვს გაცნობიერებული, რომ მზე, ნათელი, მაღალი სულიერებითა და ზნესრულობით ყოველივე არსებულზე ზეაღმატებულია, რომ „მშვენიერება ნათელია ზეცით მოსილი, რომლით ნათდება ყოვლი გრძნობა, გული და სული (ნ.ბარათაშვილი).

და მაინც, „ქართველთა ღმერთი იყო მზე, სიყვარულის ძალაც მზიური ძალაა“ (რ.სირაძე). რადგან „მზე და ფარია

---

1 გიორგი გაჩეჩილაძე სულიერი გამოცდილების ისტორია, თბ., 1986.

უფალი ღმერთი, მადლსა და ღირსებას მისცემს უფალი, სიკეთეს არ მოაკლებს უბიწოდ მოართულთ (ფს. 83.12).

ტ. მოსია წერს: „ქრისტიანულ ლიტერატურაში „მზე" ქრისტეს ყველაზე პოპულარული სახელია, ქრისტე არის იგივე მზე ღვთაება. სასულიერო და საერო სიტყვაკაზმულ მწერლობაში მზის მხატვრული ფუნქცია განსხვავებულია. ქრისტესთან ერთად „მზე" ღვთისმშობლის მეტაფორული სახელია: „ვითარცა მზეა აღმაღლდა და მთოვარე დადგა წესსა თვისსა ქალწული ქალწულებისავ, თვისსა მაცხოვრის და თვთისმშობელის გარდა, ანგელოსებიც მზედ ინათლებიან. „რაჟამს წარსდგა გაბრიელ წინაშე მარიამისა, ნათობდა, ვითარცა მზე და შეძრწუნდა დედოფალი", წმინდა მამებიც დიდი ღვაწლისა და დამსახურების გამო მზესთან არიან გათანაბრებულნი: „ვითარ მზე, დიდი ბასილი, მნათი კესარიისა". [1]

მზისადმი ლტოლვა და მზის ესთეტიკური განცდა მრავალგვარ მხატვრულ ასპექტში ისახება გენო კალანდიას პოეზიაში. მისი ლექსების წაკითხვისას გვეუფლება სინათლის, სიწმინდის, სიფაქიზის შეგრძნება. აი თუნდაც: „მზეს შენი თმები უჭირავს ხელში, მე კი თავისას მაჩეჩებს საყვირს". („მზეს შენი თმები უჭირავს ხელში") ან კიდევ: „მზეს ბალახებში მოერთხა ფეხი, აწკრიალებდნენ ცელს მთიბავები და შრიალებდა მინდვრად ქათიბი და გაფოთლილი შუადღის მზეში მიირწეოდა მდინარე ნელა". („მზეს ბალახებში მოერთხა ფეხი").

პოეტი მზესთან მართავს დიალოგს და ვგრძნობთ, რომ მის ბალიშზე მოთამაშე სხივი მოწმენდილ ცასავით კრიალა და დედის ცრემლებივით გულწრფელია: „მზეო, აღმართე კვერთხი ცხოველი, ციდან, მთებიდან გადმოფინე დროშები

1 ტ. მოსია, „იქმენ ნათელი" ანუ პოეტური წარმოსახვის ფურორი, „უნივერსალი", თბ., 2010, გვ.111

ძლევის, ბუკით, დაფდაფით გამოჰყევი ხალხმრავალ ქუჩებს, სახლის კედლებზე და ქალაქის ქვაფენილებზე აღბეჭდე ჩემი მიჯნურის ლანდი, – ფორთოხლის მხრებით, ბროწეულის წითელი ქუდით" – ესაა საინტერესო სურათი, განსაცვიფრებელი სახე-სიმბოლოების, მეტაფორების და მხატვრული შედარებების ფეერვერკი... ვკითხულობთ და აშკარად ვგრძნობთ, რომ პოეტი არ განიცდის არც ერთი შემოქმედის გავლენას, ვისაც მზის ფენომენი თავისი მხატვრული სიტყვით დაუხატავს.

პოეტი ეთაყვანება მზეს. მზის სილამაზით ტკბობას ბოლო არ უჩანს... ყველაფერი იქითკენ მიემართება, რომ გამოჩნდეს პოეტის მიჯნურის ლანდი „ფორთოხლის მხრებით და ბროწეულის წითელი ქუდით". ეს საოცარი ხატ-სახე მეწამულ შუქს ჰფენს ლექსის მომდევნო სტრიქონებს: „ეს გული იმ გულს გადააბი, ვით ბოჭოლა ბოჭოლას თოკით, აჰყევ კიბეს და ჩემთან ერთად დააკვდი საწოლს" ...

ყოველი სიტყვა მზის ნაბადებია, მის კოკორში დაბუდებული სხივთა ნაგალობარი, შიგ ჩაწერილა ანკარა სხივთა რაკრაკი, მზისობა უჩანს ყველა ხატსა და მეტაფორაში... და მაინც, მისი ლექსები გამოირჩევა ორიგინალური პოეტური ხატებითა და მეტაფორებით, რომელთა ინდივიდუალურ ბუნებას შინაგანი ასოციაციები, მოვლენები განაპირობებენ.

პოეტის მხატვრული სახეების ცხოველმყოფელობა იქმნება ცოცხალი თუ უსულო საგნების, იდეების ასოციაციების ლოგიკური კავშირით. მისი პოეტური წარმოსახვა სასწაულებრივად გვაგრძნობინებს სამყაროს ფიზიკურ და სულიერ ჰარმონიას. მშვენიერების, სილამაზის გაუკვდავების, მზის ქვეყნისაკენ სწრაფვის ჭეშმარიტ განცდას...

გენო კალანდია ერთ-ერთ ლექსში წერს: „გადარჩენილი ვარსკვლავების ქუდი გვახურავს სხვა სინათლეში, სხვა

სივრცეში მივალთ მეფურად, სახელი გვრჩება ბუმბულივით ჰაეროვანი". მართლაც რომ მშვენიერი მეტაფორისტიკაა, კოსმიური ძალმოსილებისა და ღვთიური ფენომენის წარმოსაჩენად, და მართლაც, „სამყარო იმისთვისაა, რომ გაიოცო" (ესმა ონიანი).

„დიდი ხელოვნება... დიდი განცვიფრებაა და სხვა არაფერი, როგორც პოლ ვალერი ბრძანებდა; „დანარჩენი ლიტერატურაა" ... დიდი განცვიფრების შემდეგ დგება ჟამი დაფიქრებისა და მდუმარებისა, როცა ჭეშმარიტი პოეტი გულისხმიერ მკითხველ-თანამოაზრე-თანამონაწილეს სიტყვით გამოცდას უწყობს". [1]

მზიურია პოეტის განცდა. მზენასვამი სხეულით ელტვის გაზაფხულს, მზეზე დროშასავით გამოფენილი სულით ღიმილის თაიგულს კიდებს სიცოცხლის ხეზე, რათა მუდმივად ანათებდეს სიცოცხლის მზე...

რა მართებულადაა ნათქვამი, რომ ხელოვნების ყოველი ქმნილება საიდუმლოა, ამ საიდუმლოს ბოლომდე ახსნა კი არავის ძალუძს...

გენო კალანდიამ, როგორც ჭეშმარიტად კეთილშობილმა და რაინდული სულის პიროვნებამ, შეძლო თვითგამოხატვა თავის პოეზიაში. ან, როგორც შემოქმედმა, თავისი სულის ზეიმი სულის მდგრადობით აღნიშნა. მისი სტრიქონები დაუფარავად გვიმჟღავნებენ ფარულ და თავჩენილ პოტენციას. პოეტური ინტონაციების ხვეულებში იკითხება არა მარტო მისი სულიერი მდგომარეობა, არამედ მთელი ჩვენი ეროვნული სულის მდგრადობა. ესაა სწორედ ის საოცარი განცდა, როდესაც პოეტური ნიჭი თავისი ძალმოსილების კულმინაციას აღწევს და ხელით მოუხელთებელ სამყაროს მოიხელთებს. ესაა

1 რენე კალანდია, წინასიტყვაობა, ესმა ონიანის 100 ლექსი, თბ., 2011, გვ. 3

მისეული, ახალი პოეტური ქვეყანაც და ეროვნული პოეტური კულტურის ახალი სივრცის გამოხატულებაც.

გენო კალანდიას პოეზიაში მეტაფორების, ეპითეტების, შედარებებისა და ხატოვანი თქმების მთელი პალიტრაა... გიოცნებია ახალ ცხოვრებაზე, სხვა მზეზე, სხვა გაზაფხულზე? („პოეტები და რაინდები", „მზისფერი კვართი", „ოცნება", „აღდგომა") მართლაც რომ პოეტები სხვანაირად ფიქრობენ. სხვანაირად ოცნებობენ. მათი სულის მშვენიერება თვით სილამაზესაც აღემატება და სრულებითაც არაა გასაკვირი შემდეგი სტრიქონები: „ზაფხულის შფოთი, გაგიჟება ჩამიდგა მკერდში, ამივსე პეშვი დაისების მღუარე თქეშით. მიცოცხლე ჩემი საქართველოს ჯიში და გვარი" („ოცნება").

როცა გენო კალანდიას ლექსებს კითხულობ, აშკარად გრძნობ ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული კავშირის სილამაზეს, აკი „ზეცისა და მიწის შემაერთებელი ადამიანია, ადამიანი რომ არ იყოს ღმერთი ვერ ეზიარებოდა ქვეყნიერებას და ქვეყანა ღვთაებას, არ იქნებოდა. შეცნობილი მსოფლიოს საიდუმლოებანი. ადამიანი რომ არ იყოს დაუნახველი დარჩებოდა „ამდენი სილამაზე ზეცისა და მიწისა".

პოეტისათვის მზე პოეტური ენერგიაა, რამეთუ „ქართველთა ღმერთი იყო მზე, სიყვარულის ძალაც მზიური ძალაა" (რევაზ სირაძე).[1]

გენო კალანდიას ყურადღება ყოველთვის მიპყრობილია ზეცისკენ. მზე, ცა, ვარსკვლავები, მთელი კოსმიური სამყარო მისი სულის თანაზიარია. „ცის დაწერისას ადვილად მყლავნდება ხოლმე მხატვრის შესაძლებლობები" (ესმა ონიანი).

„პოეტები მხოლოდ რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით

1 რ.სირაძე, სახისმეტყველება გამომცემლობა „ნაკადული", თბ., 1982, გვ. 29

გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე".[1]

„ყოველ დიდოსტატს ისე შევხვდებით როგორც ახალ მოვლენას. შემოქმედი არ მეორდება. არც შედევრები მეორდებიან. კარგი წიგნის გმირები, სიყვარული, დღეები მხოლოდ გრძელდება მათი უსასრულო მრავალფეროვანი ნაკადი. ასევე არ მეორდება დიდი ხელოვნება, მხოლოდ გრძელდება. ამიტომ გვხიბლავს მარად ცოცხალი ხელოვნება და არ გვბეზრდება"[2] – წერს აკაკი გელოვანი.

ამ სიტყვებს თამამად გავიმეორებ გენო კალანდიაზე, რომლის პოეტურ ენერგიასა და სულიერ სიმაღლეს მივყავართ ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან, ბრძენ მამებთან, მეფეებთან, დიდებულებთან და ანტიკურ სამყაროსთან...

... ჰე, მზეო ვის ხატად ღვთისად გეტყვიან ფილოსოფოსნი წინანი" („ვეფხისტყაოსანი").

პოეტი დიალოგს მართავს ცის მნათობებთან, მზესთან, ვარსკვლავებთან. მუდმივად მიაყურადებს მზეშებმული ვარსკვლავების კარის ჭრიალს, ხედავს იმასაც თუ როგორ მიირწევა შუადღის მზეში მდინარე ნელა". აოცებს „ბროწეულის ტანში გამჯდარ მზე და სასწაულებრივი სურათის მოწმეს გვხდის და გვაიმედებს, „მზე ჩამოგვხედავს... მზე გადმოვა მთიდან წვალებით, მზეს თაფლუჭივით ანგელოზები ტანზე იცხებენ, ჩვენ, ჩვენი მიწის სიყვარულზე დაგვაფიცებენ, ვით სოფლის ხატზე ძე შეცთომილი წმინდა მამები". („მზე ჩამოგვხედავს...)

„სილამაზე ყველგანაა და შესაძლოა, ყოველთვისაა, სილამაზეს ფიზიკურად ვგრძნობთ, როგორც რაღაც ხელშესახებს, მთელი სხეულით რომ აღიქვამ ეს არ არის განსჯის

1 გიორგი ლეონიძე, ნატვრის ხე, გვ. 35 თბ., 1993.

2 აკაკი გელოვანი, მარად ცოცხალი ხელოვნება, „ხელოვნება", თბ., 1980, გვ.25

შედეგი, სილამაზეს არ ვწვდებით კანონების მიხედვით, მას ან ვგრძნობთ ან არა“ (ბორხესი).

გენო კალანდიას პოეზია ბიბლიური სურნელითაა გაჟღენთილი. მზის ხატები ადამიანურ ნიშანთვისებათა კატეგორიებშია წარმოდგენილი და ღვთაებრიობის მარადიული შუქით გაცისკროვნებული. პოეტის სწრაფვა მზისკენ ღვთიურია, რამეთუ ღრმად სწამს ყველაფერს უფალი განაგებს. მან კარგად იცის, რომ „სამშობლო არც მარტო ლამაზი მთებია, არც მარტო წარმტაცი მინდვრები“ (გრ.აბაშიძე) და ამიტომაც, მარადისობის მკვიდრთა მისტიკურ საუფლოში ღვთაებრივ რწმენადაა ქცეული ვაზის წმინდა სისხლთან ზიარების საიდუმლოებაც. მაგრამ ვაი, რომ იქ, სადაც „ბერის, მონაზვნის წმინდანის საშვით“ ანჯაფარიძის სერთუკიანი შაშვი დაფრინავდა, სადაც „მეფის, მეფისწულის ქოშით, მთვარე ჩადიოდა ხევში“, სადაც ღმერთის სხეული დანაწილდა დოქებად და ქვევრებად, ხოლო ტაძრის კარებთან ლოცვანით ხელში იდგა „მეზობლის გოგო მაცხოვრის კრავი“, პოეტს არ დასცალდა დამტკბარიყო ამ იდილიით. ყელში მობჯენილი ცრემლები ახრჩობს და ტკივილით დაცდება: „სისხლივით ამივჯანყდები სამეგრელოზე ფიქრო, მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელო წიგნო, ვაზივით გულდასეტყვილო, ჯვარზე გაკრულო ნებით, ხვალ მშობლით შეგეხიდები, ზეგ საკუთარი ძვლებით“ („ლექსი სამეგრელოზე“).

პოეტის ხილვები თავს დასტრიალებს ბახუსის სამშობლოს – საქართველოს, იქ, სადაც „მზე იწვის თითქოს დედაოს კეცზე“ და სამრეკლოს ჩრდილში ღუღუნებს მტრედი, ვით ანგელოზის უმანკო სული, ტაძრიდან ნელა გამოდის მრევლი კაბების ალით და შარიშურით“ („უფალო, ვარდში, იაში გეძებ“). ეს წარმატებული და აქტიური პიროვნების უგულწრფე-

ლესი განცდებია, აქაა საქართველოს ისტორიულ წარსულზე ფიქრი და წუხილი, ორიგინალური აზროვნება და განსჯის თავისებურება ამ ლექსში მთელი სისავსით გაცხადდა.

ბიბლიური ვარიაციები წარმმართველია პოეტური აზროვნებისათვის, რათა ზეცისკენ მიმავალ კიბეს შუბლნათელი აუყვეს და საგულდაგულოდ გადმოშალოს სულის ტკივილები... „ბიბლიური სახეები და სიუჟეტები დღევანდელობის გასაოცარი აქტიურობით ეხმაურებიან გასაოცრად ესადაგებიან ხოლმე დღევანდელი ადამიანის განცდებს და განწყობილებებს. ბიბლიაში ხომ დუღს და გადმოდუღს ნამდვილი ცხოვრება... ესაა... პლასტიკით, მოძრაობით და კოლორიტით, ცოცხალი სახეებით აღსავსე თქმულებათა კალეიდოსკოპი... ბიბლიის შინაარსი ისევე მდიდარია, როგორც თვით ცხოვრება“.[1]

გენო კალანდიას ინტერესის საგანია ბიბლიური სამყაროს შეცნობა. მის ლექსებსა და სონეტებში შეხვდებით ბიბლიურ პერსონაჟებს, აბელს, კაენს, აბრამს, ნოეს, იობს, დავითს და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენო კალანდიას პოეზიაში იგრძნობა ბიბლიური სამყაროს სურნელი, ჩვენს ყურადღებას იქცევს „მაცხოვრის კრავი“, „ცისფერი წიგნი“, „სააღაპე ქვევრი“, „სასაფლაო – მარადი ვანი, „მირონის წყალი, დღე კეთილი, ძელი ცხოველი“ და ა.შ. მისი პოეზია ჭეშმარიტად ქრისტიანულია. პოეტი საზრდოობს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით.

გენო კალანდიას ბიბლიური შთაგონების უზადო ნაყოფია მისი ლექსების ახალი ციკლი „საგალობლები უფლისათვის“. („ჩვენ მწერლობა“, 29 ნოემბერი, 2013 წ., გვ. 23). „უფალო, ცა ხარ, მიწა ხარ ჩემი, ქველის, მონარქის, წმინდანის

1 ანა კალანდაძე, რჩეული, თბ., 1987. გვ.343-346.

მადლით...“ – წერს და აშკარად იკვეთება ავტორის მზიური სული და მირონივით იღვრება ღვთაებრივი განცდა, რომელიც მხოლოდ მხურვალე ლოცვის ჟამს, უფალთან მიახლებისას იბადება. რწმენა, სათნოება, ღვთაებრივი საწყისთან უშუალო კავშირის შეგრძნებაა და იფრქვევა სამოთხისეული სურნელი მზის შუქით გაცისკროვნებული ლექსებიდან. მთელი არსებით ცდილობს ჩვენს პრაგმატულ ყოფაში მზის სურნელი გამოარჩიოს: „... ისეთი მზე და გარემო სუფევს, ისეთი მნათი ანათებს საყდარს, თითქო იები მოგართვეს წუხელ წმინდა მამებმა სიონის კართან“ ...

„და სამოსლისათვის რაისა ჰზრუნავთ?.. განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ იგი აღორძინდის! არა შურებით, არც სთავნ, ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“ (მათე, 6,28,29).

პოეტის თვალით ხილული მზე „ძლევამოსილი მზეა“ („მშვენიერი მძლავრი“ – თ. ჩხენკელი), მამულისადმი ზღვარდაუდებელი სიყვარულით რომ გათანგავს და მარადისობისაკენ უხმობს.

გენო კალანდიასთან მიწიერი და ზეციური ცისარტყელას ფერებშია გამოხვეული და სასწაულებრივად, ათასფერი ფერებით ეფინება არემარეს.

პოეტის რწმენით მზეს აქვს ლოგიკა, მისთვის გამართლებული, მზის სხივების მწყობრ მსვლელობაში პოეტი ხატავს არა მარტო სურათს ფაქტის სახით, არამედ ისმენს კიდევაც სამყაროს ჰარმონიას. მზე ხატია მზიანი ღამისა და იმდენად ნათელია, რომ უკუნი ღამეა ადამიანის თვალისათვის. ამიტომ არის მზიანი ღამე... „ჰე, მზეო ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთ-არსებისა – ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“.

(„ვეფხისტყაოსანი“, სტრ. 821).

„კაცთა ყველა საიდუმლო იცოდა გალაკტიონის „თეთრმა ღამემ, რუსთაველის „მზიანმა ღამემ“ – ღმერთმა.

გენო კალანდია დიდებული ფერმწერია, რომელსაც შეუძლია შთამბეჭდავად დაგვიხატოს მშობლიური კუთხის მზით გაბრწყინებული სანახები და ასევე მიგვანიშნოს თუ რა საოცარი სილამაზეა, როცა „ჯეჯილ-კორდით ბრწყინავს კრავი – წვეთი ჩანჩქერის ჩემი მარტვილი, დაღალული სულის სალბუნად“. „დაღალული სული“ მზერას ღვთისმშობელს მიაპყრობს და ნატრობს დაუღამებელმა ნათელმა დაიფაროს სრულად საქართველო, სანუკვარი ოდაბადე...

ჰო, არის მზე, მარადიული ნათელი და მთელი არსებით ათრთოლებული იტყვის: „სერზე შედგება სალამურით ყრმა პირტიტველა ძველთა ღამეთა, ახალ მზეთა ნათელმხილველად“...

და თუ მზე უფლის მარადი ხატია, პოეტი მთელი გულით გზნებს მზის სილამაზეს; უყვარს მზე, ვარსკვლავებით გადაბარდნილი ცა, უყვარს სითბო, სილამაზე, უყვარს ყველა და ყველაფერი, მთელი კოსმიური სამყაროს შუაგულში დგას და მისი სულისმიერი მზერა მხატვრული სიტყვით ამოქარგავს წინაპართა, ფილოსოფოსთა და მწიგნობართა ოქროსფერ სამოსელს, ზღვაზე დაცურებული ჩამავალი მზის სხივისფერ სივრცეს, ღრუბლისფერ ანგელოზებს, ზურმუხტისფერ კარიბჭესა და მეტეორივით გახლეჩილი ბროწეულების ბრდღვიალა ცეცხლს... ამ სილამაზესა და იდილიაში უნებურად ბოდლერისეული ფრაზა გვაგონდება: „ბედნიერია ვინც ჭმუნვა-ურვებს უხვად რომ გვაწვიმს ყოფიერებით, გადალახავს და ძალუმი ფრთებით წმინდა სინათლის ზვრებს მიაშურებს; ვისი ფიქრებიც ტროლას მსგავსნი აისის ცისკენ ჭრიან ბი-

ლიკებს: ვინც წუთისოფლის თავზე ლივლივებს და სცნობს რას ბჭობენ უენო არსნი".[1] („ამაღლება")

მზის შუქითა და მთვარის ვერცხლისფერი ძაფებითაა ნაქარგი მისტერიები, წინაპართა და დიდ მწიგნობართა მზიანი სისხლით ატორტმანებული. ნატიფი ხილვებით გადაწვდება წარსულს და მონატრებას ძველ მწიგნობარს, რომელიც „ოქროს და ალმასს ეძებდა ჩვენში, მოჰქონდა შვიდი წმინდანის წიგნი და უფლის ტაძარს და იმის ბჭეებს აგებდა ჩვენი სულების შიგნით" – ეს უმშვენიერესი სტრიქონები სამშობლოს, მისი ისტორიის, მარადიული სიმბოლური ხატია და კონსტანტირდება „ვაზის ლერწივით მთრთოლვარე თითებით გადაფურცლილი" წიგნებით მოგვრილი ნეტარი განცდა და წამები. საოცარია გენო კალანდიასეული მაჟორული პოეტური დინამიკა: „დაბერდა... დადგა კარებთან ზურგით და მოიჩრდილა მზე ერთი ხელით, აიღო მთვარის ნაქონი თუნგი და გაისველა ჭიქის წყლით ყელი"...

გენო კალანდიას ფერწერას ძალუძს, სიტყვიერი საღებავებით გააცოცხლოს საგანი და მოვლენა, მეტაფორებითა და სინტაქსური კონსტრუქციების საშუალებით აღწევს ლექსის განსაკუთრებულ აზრობრივ ჟღერადობას, ლექსის ქსოვილი კი ქმნის შთაბეჭდილებას, სადაც ყველაფერი ცოცხალი და მოძრავია, ყველაფერში რიტმი ჩაბუდებულა და მისი მოძრაობა ავსებს ჩვენს სულსა და გონებას.

გენო კალანდიას სამყარო, თვითოეული ლექსი, მისი მზიური სულის, მისი ნათელი გონების ანარეკლია. პოეტის მისტიკურ წარმოსახვებში უდიდესი ადგილი მზეს უჭირავს. ლექსში „ფორთოხლის ქალები" (ეძღვნება გოგი წერეთელს) წერს:

---

1 შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, დათო აკრიანის თარგმანი, თბ., 2008, გვ. 15

... „დახატეთ ქალები, – ლამაზი ქალები მაისის ხალებით, ზაფხულის ალებით, ზღვის მინანქარებით, მზის ცხელი თვალებით“...

„მზის ცხელი თვალები“ ვფიქრობ, სამყაროს მზიური აღქმის ანარეკლის ტრანსფორმირებაა. „მესამე თვალის სხივნათელით“ და მზით ნაგვირისტალი მისი უნივერსუმი. მარადიული მზით მოსილი პოეტი ყველგან უფალს ჭვრეტს და თავის ღვთისმოსაობას არაერთხელ აფიქსირებს. პოეტის თვალით დანახული ზეცა ბედნიერების, სიცოცხლის, სიხარულის მომნიჭებელია.

მზე სულში ეღვრება და თავადაა მხილველი: „ცას გადაეხსნა პერანგი მოვის და ალაზანი ვარსკვლავებს კრეფდა... და ცისარტყელას შვიდფერი ტოტით შვიდი ქალწული მღეროდა ერთად“ („შვიდი ქალწული“).

გენო კალანდიასთან ყველგან მზეა:

„დღეს ყველგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“ (გალაკტიონი).

„შუადღის სიცხით ნამთვრალევი – მზითა და სიცხით, – ივლისის ცა და მდუმარება შორეულ დღეთა“ („გზები“).

„მზე გაუჯდება ტანში ბროწეულს“ ... „მზეს ჩამოიღებს ციდან მახარე“.

გენო კალანდია პოეტი მისტიკოსია, რომელსაც მარადისობა სწყურია. განსაკუთრებით გამაოგნებელია ხილვა-ვიზიონი: „ცას ღრუბლის სველი ტოტი ეჭირა, ვით საყვარელი ხელის მტევანი და გაბლანდული ქარი წვიმაში თმებს უჩეჩავდა ბალახს თიბათვის“ („ცას ღრუბლის სველი ტოტი ეჭირა“).

პოეტი „ცის კიბეა, მზის ჯანღი“ („პოეტი“).

„მზე სიყვარულის ურუქით ჩადის“ („თქვენ ყვავილივით გატირებთ წვიმა“).

„მზე იყო, როგორც ბეკეტის გოდო“, „ზღვა იყო, როგორც ცოცხალი საგა“.

მზე განუშორებელი ხატია პოეტისათვის. იგი აძლევს მას ენერგიას და გულიდან ამოანათებს თავანკარა სტრიქონები: ... მზე ჩამაჭრდა... ცა აიჭრა ღამის ოქროს ღვარად, მთით მოცვივა ვარსკვლავები ნაკერჩლების დარად“. „მომანათე ეგ თვალები, ეგ ლამაზი სახე, გუშინ მთელი საქართველო შენს ქორწილში ვნახე“ („ოდოია“). რა იმედიანია და რწმენით გასხივოსნებული სტრიქონები, რომელიც სრულიად საქართველოსადმი სიყვარულს ირეკლავს.

პოეტს ყველაზე დიდი საუნჯე ზეცაში ეგულება. იგი მთელი არსებით ელტვის ზესთა სამყაროს, ამიტომაც სენაკი, საყდარი, ტაძარი, ვანი პოეტისათვის სულის მოსათქმელი, უმშვენიერესი მარადიული სამყოფელია. პოეზიას ხედავს იქ, სადაც მზე, სინათლე და მარადისობაა, ვის არ განუცდია ის უჩვეულო სევდა-კაეშანი, რომელსაც სასაფლაოს ვიწრო ბილიკებზე ხეტიალს აღუძრავს ხოლმე. პოეტი მთელი არსებით ელოლიავება სასაფლაოს სიჩუმით მოცულ ადგილებს, სურო-შემოხვეულ აკაციებს, ღვინისფერ მაგნოლიებსა და ტოტებგაშლილ ცაცხვებს, რომელთაც გარდაცვლილთა სიმშვიდე და უდრტვინველობა შემოაქვს პოეტის სულში: „ძეძვით ნაძვნარების ზევით შაშვი მილიველივებს ცაში, უფლის ანგელოზის ხემით შაშვი – პაჭკორიას ბავშვი. დედამ გამიღიმა თითქო, მამამ შემომხედა ცივად, წასვლა ღირსეული იყო, ხსოვნაც ღირსეული გვინდა“. („სასაფლაოზე“).

ესაა სოფლის პეიზაჟის პლასტიკური მშვენიერების, სევდანარევი აღფრთოვანება წარსულის სილამაზისა ძალადაუტანებლად რომ შემოდის ჩვენს სულში და უნებურად ვხდებით პოეტის განცდების ზიარი, ვიმსჭვალებით ჰარმონიული

თანაგრძნობით მშობლიური ბუნების, სამშობლოს მიმართ.

„სიტყვა ჩემი დასაბამიერით. საქმე ჩემი ცისმიერია, რამეთუ არ უწყიან დასაბამიერი: მეც დაფარულ ვარ მათთვის (ლაო-ძი „დაო დე ძინი", თბ., 1983).

„აქ სიმშვიდის ალაგას მყოფობენ სრულქმნილებას მიწევნულ მართალთა სულები. ამ ციდან დაეშვა უფალი მიწაზე. იქ ამაღლდა და იქიდან დაბრუნდა ცოცხალთა და მკვდართა განსაკითხად (ბიბლიური ენციკლოპედია, მ.1891 (1890) გვ. 508.

საფლავის, სასაფლაოების ჩანახატებში ყველგან ჩანს პოეტის სევდის, ნოსტალგიის, გულგატეხილობის კაეშნის გამომხატველი, გამამძაფრებელი დეტალების მრავალფეროვნება. ტრაგიკული ელემენტი მსჭვალავს ყოველ ნაწერს, ყოველ სიტყვას – თითქოს ყველაფერი ისეთივე ჩვეულებრივი და სადა, ისეთივე ბუნებრივია, როგორც რეალობა... ჰოდა აი, საოცარი სონეტი (ციკლიდან „საღამო ხანის სონეტები): „დამტოვეთ მარტო, მეგობრებო, დამტოვეთ მარტო, ძვირფასი ქვებით მოხასხასე საფლავებს შორის, ა, ეს ინფანტა, მოწამლული ქალაქის ჭორით, აქ განისვენებს ვინმე უცხო ჭაბუკის ახლოს; სოფლის გადიას, – ქვეყნის თნევით გადამწვარ თაველს – შავი თავშალი ჯვარედინად გაუკრავს თავზე, ღვთის მოწყალებას ელოდება ღამეულ ციდან" („სასაფლაო"). აქ ირეკლება მელანქოლია, კაეშნის გამძაფრებული არტისტიზმი და მაინც უმთავრესი სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების რწმენა, მზის უსასრულობა და მშვენიერება, ზეციური საოცრებები და კოსმიური მადლი.

ლექსში „შენს ნათელში ვარ" პოეტი მისტიკურ-სიმბოლურ გააზრებას აძლევს ჯადოსნურ ფერთა თამაშს. პოეტური სასწაული აქ ყველაზე ნათლად ვლინდება ფორმით, აზროვნებითა და ტექნიკის სიღრმეში. ლექსში დახატული სივრცე პო-

ეტური სინატიფე და სიდიადე, ჰარმონიული კომპოზიცია და მისტიციზმი გვხიბლავს სიდიადით და მშვენიერებით: „შენს ნათელში ვარ, შენს მთვარისფერ სამლოცველოში, იქ, სადაც უფლის სიყვარული ისე დიდია, ისე მდიდარი, გეგონება თითქო დილიდან ბეთლემს მიდიან მონაზვნები, ანგელოზები“...

პოეტს სჯერა ზეციური სინათლის, იმედი და რწმენა აძლებინებს ამ წუთისოფელში. ლურჯი დობილი ხელს უწვდის, ლურჯი ნათელი, „ცის ზამბახები სავსე იასპით“ ცისკენ ეწევა, სადაც „წმინდა ძელთან, უფლის დიად საკურთხეველთან ლოცულობს იგი, – ფეხშიშველი ვარდისყელიან ტაძრებს ანათებს სულიწმინდა, თითქო თმებიდან მოწვეთავს შუქი ძოწისფერი ღამისმთევადა“.

გენო კალანდიას პოეზიაში გვხიბლავს იდუმალების სილამაზე. პოეტის აზრები მუდმივად იდუმალებას, მარტოობას, ყოფიერების მიღმა არსებულ სამყაროს მიემართება... და ყველაზე უკეთესი ქმნილება ის არის, რაც ყველაზე დიდხანს ინახავს თავის საიდუმლოს (1-82). და კიდევ: „რა რიგ უბადრუკი ვიქნებოდით და რა ცარიელი იქნებოდა ჩვენი სული, მთელი ეს მითები, ეს არაკები, ეს ალეგორიები, ეს საკრალიზებული სიტყვა-თქმები და მეტაფოზიკის ფსევდო-პრობლემები რომ არ არსებობდნენ. (იქვე, გვ. 329).[1]

გენო კალანდიასათვის მაინც უხილავის, მშვენიერება და სილამაზეა სულის სიმაღლე, რომელიც უკავშირდება ქრისტიანულ რწმენას, მშობლიურ ტაძრებს. ეს მის პოეზიაშია ნარინჯისფერი სევდა, აქ იფრქვევა ზეთის სურნელი. აქ, მშობლიურ ოდაბადეში ზეცით ეშვება მზის სხივთა ჩქერალი, საოცარი შუქი და გეჩვენება ვარსკვლავთცვენაა დედამიწაზე.

---

1 პოლ-ვალერი, რჩეული პროზა, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, „ნაკადული“, თბ.,1983

როგორ გველამუნება პოეტის გულიდან მზესავით აელვარებული სტრიქონები: „მე შთაგონების გავხსენი სკივრი და აი, უკვე მე მისი ტყვე ვარ... და ღამღამობით ბავშვივით ვტირი, როცა ვარსკვლავთა ვუყურებ ცვენას“ („მე შემოდგომის მოტივებს ვისმენ“).

პოეტის სულს ახსოვს და ენატრება – მამული, – ადგილის დედა – სამოთხე: „რამეთუ გულთან უფრო ახლოს ხარ, – შენი ვარდით და შენი ჭალ-წყალით, მაგრამ მარტო ვარ, დღემდე მარტო ვარ, როგორც საფლავის ქვა ჭავჭავაძის“ („მე არც ოქრო ვარ და არც ვერცხლი ვარ“).

იდუმალების ნელი ჰანგით ავსებულა მოწამის უმანკო სხეული და მთელ სივრცეს ეფინება „სხივით ლოცვანი“, ვაზის ჯვარი, – ნუ გეშინი უკანასკნელი“. რა დიდებულადაა ნათქვამი „მშვენიერება აჩერებს დროს“ (პოლ ვალერი).

გენო კალანდიას თვალით დანახული მშვენიერება, მზიური მშვენიერებაა, რომელიც ბუნებასთან სრულ ჰარმონიაშია და ჩვენი სულის განწმენდას, გასპეტაკებას ემსახურება. ის უფრო მეტად ფერმწერია. ფორმის განსხვავებულ გრძნობაში კრისტალდება მისი მხატვრული იერი: „გასრულდეს თნევა, მოლოდინი, მზეთა, იათა, ფრთებდალეწილი მარტოხელა სულის გოდება“.

„დიადი აზრი ჭეშმარიტების, რაიც იფერებს სამკაულად მხოლოდ მშვენიერს“ (გოეთე).

გენო კალანდიასათვის ყოველი სიტყვა, ყოველი ხატი – არა მხოლოდ პოეტური, არამედ მთელი სამყაროს არსებითი მამოძრავებელი ძალაა...

მის პოეზიაზე საუბრის დროს არ შეიძლება არ გაგახსენდეს: „ხარობს ჩემი სული ღმერთში, რადგან შემმოსა ხსნის სამოსელით, სიმართლის მოსასხამი მომასხა“ (ესაია, 61,10).

„და როგორც ასომთავრულს, მუდამ შევამჩნევ ცაზე სხვისთვის უხილავ ფარულს“ (გალაკტიონი).

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა... პოეზია... მარადისობა, იდუმალება, უსაზღვროება“. (ტ.გრანელი).

ასეთივე იდუმალებითა და უცხო მხარისკენ სწრაფვის სურვილითაა დაყურსული გ.კალანდიას მშვენიერი პოეზია: „მესამე თვალის სხივნათელით შეხედო ველობს, შეიცნო შენი კარიბჭის კარი. განიგდე შიში... მსახურება ყოველთა ძალთა, რომ სულის წიაღ განწმენდილი ჩახვიდე ლეთას მკვდართა წიგნით და მარტვილის კვარით.“

პოეტის მზიურ სულს, მის მაღალ აზრებს პოეზიაზე ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან, წმინდანებთან, მოგვებთან, ანტიკურ სამყაროსთან მივყავართ: „ზეცისა და მიწის შემაერთებელი ადამიანია, ადამიანი რომ არ იყოს, ღმერთი ვერ ეზიარებოდა ქვეყნიერებას და ქვეყანა ღვთაებას, არ იქნებოდა შეცნობილი მსოფლიო საიდუმლოებანი, ადამიანი რომ არ იყოს, დაუნახველი დარჩებოდა ამდენი სილამაზე ზეცისა და მიწისა“.[1]

გენო კალანდიამ მზის სხივების მწყობრ მსვლელობაში დაინახა არა მარტო სურათი, ფაქტის სახით, არამედ შეძლო აღმოეჩინა და „მესამე თვალის სხივნათელით“ გადაეხედა მიღმურ სამყაროში და შეეცნო თავისი „კარიბჭის კარი“. აკი, „მზე ხატია მზიანი ღამისა. და იმდენად ნათელით, რომ უკუნია, ღამეა ადამიანის თვალისათვის. ამიტომ არის მზიანი ღამე“ (ნოდარ დუმბაძე).

პოეტი თეთრი ნარგიზით ჩაინიშნავს „მწუხრის ლოცვანს“ და ვარსკვლავებით გაბარდნილი ცა რაღაც საოცარ ნეტარებას

1 რ.სირაძე, სახისმეტყველება, „ნაკადული“, 1982, გვ. 29

ანიჭებს მის სულს. ტერენტი გრანელივით ზეცისკენ თვალებ-მიპყრობილი გულით გზნებს: „ნეტარ არიან მორწმუნენი... მათი კირთება, მარადიული არის ხვედრი და ლუციფერი".

მისტიკის სურნელითაა გაჯერებული მზის ხატი ლექსში „კონკვისტადორი", რომელიც აფხაზური ტრაგედიის შემზარავ სურათებს ირეკლავს. ჩემი აზრით, აფხაზეთის ომის ტრაგიკული სურათების ექსპრესიულობა იმითაც განისაზღვრება, რომ იქ სადაც გძინავს, ბალახი არ ამოდის, არც ტყე სუნთქავს, „იქ მზე უდაბნოს მორიელივით იკბინება, ცაა იონჯის და თრიმლის ფერი".

აქ მზე უბედურების მომასწავებელია. მკითხველს ეჭვი არ ეპარება, რომ მორიელივით მკბინავი მზე პოეტური წარმოსახვაა ომის შემზარავი რეალობის წარმოსაჩენად. ლექსის ფინალში პოეტი იტყვის: „მზის კვადრატული ნაბიჯები, – სისხლის წითელი ორნამენტი, ნუშის ხეების თეთრი ბაფთა და ვაზის ჯვარი ანათებს ქალაქს".(„კონკვისტადორი"). აქ, ომის მოვლენები დღემდე ცოცხლობს პოეტის ხსოვნასა და სიზმრებში. პოეტი აცნობიერებს ტრაგედიის მიზეზებს: „საათი რეკავს... დრო წარსულსა და მომავალში გარბის წყალივით, თავისუფლებას და რიჟრაჟის ბიბილოს ვხედავ, მთავარანგელოზს და წმინდანებს თვალდათვალ ვხედავ, შენ ვერ გხედავ, კონკვისტადორო ... წადი, სახლში წადი, კონკვისტადორო! წადი ნებისად."

პოეტის მთავარი საწუხარი ქართველობის ბუდის მოშლაა, ქალაქში, სადაც ახლა ცხოვრობს „გაუცხოების ჩრდილებიც" დადიან, რომელთაც ვერასოდეს შეეგუება და ათრთოლებული ხმით იტყვის: „ო, მომიტევე შეშლილს, ო, მომიტევე დევნილს, თუ მოგეფერე წუხელ, ფორთოხლისფერი ლექსით".

გენო კალანდიას პოეტურ ქმნილებებში თავისებური დატ-

ვირთვა აქვს მზეს.

„მთვარის, მასქურის მზის შვილობილი პოეტი“ მთელი არსებით ავლენს მზიურობას – უნივერსალურობას და ლექსში „ახალშობილისა და წითელი ფრინველის ლექსი“ იტყვის: „სექტემბრის დილა თენდებოდა, ქალაქში სიკვდილი მკვიდრდებოდა, ჭურვის წითელი ფრინველებით ქუჩაში ქილერი დადიოდა.“ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პოეტის მზის სიმბოლურად მეტაფორულად წარმოსახვაში არავის არ ჰგავს. მზის სიმბოლიკის ბიბლიური ვარიაციები უხვადაა მის პოეზიაში. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გენო კალანდიას მზე სამყაროს მარადიული სევდითაა დაბურული.

... მზე სოფელს ეთხოვებოდა ჩალურჯებული თვალით, სულ წითლად ჩამოდიოდა ჩემი მდინარის წყალი“ („გუგულის ბუდე“) წერს პოეტი. ტკივა მშობლიური აფხაზეთი, მუდამ ახსოვს „ნამჯისფერი გუგულის ძველი ბუდე“, „განთიადზე მზისფრად, სისხლისფრად ამოხეთქილი მინდვრად ძახველი“. წუხს და ენატრება მშობლიური ფერები, წითელი ნეკერჩხალი, „ნეკერჩხლებში მოჭახჭახე მზე“, ენატრება წარსულში დრჩენილი ხმები, ბგერები, სურნელი, ამიტომაა მასში ასეთი ფიქრების აბობოქრება, განცდებისა და გრძნობების ქარიშხალი, რომელსაც მასში უბრალო ოქროსფერი ფორთოხალიც კი იწვევს, რომელიც ენგურს გაღმა დარჩენილი საქართველოს სანატრელი ფერია, მისი ანასხლეტი „სოფლის ვარსკვლავი“, „ზღვის ზურმუხტი“.

პოეტის თვალით დანახული „მავთულხლართებით გასისხული მზე და ალვების ბუნდოვანი ჭალა“ – ეს უკვე მშობლიური მინდვრებისა და ადგილების „მგლოვიარე ჩრდილებია“. მისი პოეტური სახეები სიმძაფრესა და სევდიან ელფერს იძენენ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის კოშმარული

სურათების აღწერისას და მაინც „აქ ყოელივე ერთი მტვერია, რომელიც თვალებს მივსებს და ღვთიურ სინათლეს სულ უფრო და უფრო განვეშორები, კედელ-კედელ, ხან აქ, ხან იქ – ხელისცეცებით, დავხეტიალობ დიდი ცხოვრების მიღმა. გავკადნიერდები ერთ მართალ სიტყვაზე, ღვთის თამაშია ადამიანი“ (გრ. ღვთისმეტყველი „გარებანი ადამიანის ნაკლებფასეულობისა და არსებული სინამდვილის ამაოებაზე“). ვფიქრობ ამ სიტყვებს ეხმიანება გენო კალანდია თავისი მზიური ლექსებით. ის გრძნობს უფლის ძალას, „მესამე თვალის სხივნათელით“ დანახულმა მშვენიერებამ და სიცოცხლის მარადისობაზე ფიქრმა დაბადა ასეთი ულამაზესი სტრიქონები: „გადარჩენილი ვარსკვლავების ქუდი გვახურავს, სხვა სინათლეში, სხვა სივრცეში მივალთ მეფურად, სახელი გვრჩება ბუმბულივით ჰაეროვანი“ („პოეტები და რაინდები“).

ცნობილი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ გარე სამყარო, დედამიწა და პლანეტები იდუმალი ძალით არიან დაკავშირებული ადამიანის სულთან. გავიხსენოთ ბერდიაევი: „ადამიანი პატარა სამყაროა, მიკროკოსმოსი“.

გენო კალანდია ქმნის ერთიან, მონოლითურ წარმოსახვათა სამყაროს ინტუიციით, მხატვრული ალღოთი, მაღალი სულით და მართლაც შეუძლებელიც კია ისწავლო, ინტელექტით განსაზღვრო ის, თუ რამდენჯერ გაიელვებს მისი ბედისწერის ძირითადი კითხვა ერის განსაცდელის შემაძრწუნებელ წუთებში, როცა: „მოთქვამს სოფელი, ცრემლებგამშრალი, შუბლგაჩეხილი უცხო ფლოქვებით... და ბაღის ხეებს, ცისფერქოლგიანთ, სისხლი სდით... სისხლი!.. თიხა ფაშარი“ („ქართლის ჭირის თანამედროვე ვარიაცია“).

დიახ, შეუძლებელია ვინმეს დაესესხო ის ფერები, მისტიკური გარდუვალობის ტრაგედიის განცდას რომ აღძრავს

შენში ასე მტკივნეულად, ასე სამუდამოდ: „ქვესკნელის ბაღად მეჩვენება ხეები წყალზე ღრუბლის ჯოგებით, ვარსკვლავებით, წვიმებით სავსე, რიჟრაჟის დარად ფურცელ-ფურცელ მეშლება ტანი.“

მისტიკურისა და რეალურის მონაცვლეობა პოეტის წარმოსახვებით დაუსრულებლად გრძელდება და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისტიკური განცდა შემოქმედის წმიდათა წმიდა არსიდან მოდის და მეც ალღოთი ვგრძნობ მის პოეტურ სიმართლეს, მისი არსებობის იდეალურ შესაძლებლობას და პოეტური არტისტიზმით გათანგული მის უმშვენიერეს გრძნობათა სამყაროში მოკრძალებით შევაბიჯებ და აჰა, საოცარი ვიზიონი: „ოცნების გედი, მწუხარების ლურჯი დობილი, ცის საიდუმლოს, ლიტანიას ღვთით განდობილი, დიდმარხვის შაბათს ამოსული სიზმრის ყვავილი. ანგელოზების მესაწოლე, ნაზი მხევალი, შემოდგომების ოქროსფერი მზით ნაფერალი, მაცხოვრის კარი, ნიამორი, ზეცის მარილი.“ („ლურჯი დობილი“). შემოდგომის ოქროსფერი მზით ნაფერალი მაცხოვრის კარი“ ... უნიკალური მისტერიაა, რომელიც ბიბლიური სახეებით ძალდაუტანებლად ერწყმის საერთო ტონალობას, გარეგნული და ეფექტების გარეშეა გამოხატული იდუმალებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინი, ლამაზი სევდა, რაც მოაქვს „ცის საიდუმლოს“ ...

ანგელოზების მესაწოლე მხევალი, შემოდგომების მზით ნაფერალი მაცხოვრის კარი, საოცარი და მზის ენერგიით შობილი პოეტური წარმოსახვებია, უკან რჩება კოშმარული სურათები, მაცხოვრის კარმა ზეცისაკენ გაიხმო პოეტის მღელვარე სული, სადაც ახალი სივრცე, ახალი სამყარო, ახალი ქვეყანა, სხვა სინათლე და ახალი მზე, სასწაულებრივი საუნჯეებია...

გალაკტიონისათვის ერთდროულად მახლობელია „ცის და მიწის ჰანგი“, მისთვის „ცა, მიწა სავსეა ლირიკით“.

ტ. გრანელიც ამბობს: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“, ისიც ყველგან დაეძებს შთაგონებას: „მიწა, ცა უმაღლესი ხომ პოეტის გულია და მგონია მე ლექსი ყველგან გაბნეულია“. საოცარი პოეტური სითამამის გამოხატულებაა მიწისა და ცის პოეტის გულად დასახვა“[1] .

„რასაც გარეგანი გრძნობები აღიქვამენ, მხოლოდ ნაწილია სამყაროსი... სულთან წილნაყარი უნდა გახდე, რათა შეძლო მის გამოცხადების გადმოტანა გრძნობად სამყაროში.[2]

გენო კალანდია „ცის და მიწის“ ჰანგის ერთგულია და მაინც ვფიქრობ, იგი კონტრასტების გაფერმწერებულია, რომელსაც უკიდურესად აქვს გამძაფრებული სამყაროს იდუმალებაში შეღწევა, უსაზღვროებისაკენ ჯიუტი სწრაფვა. სამყაროს ჰარმონიის მიკვლევა მისი პოეტური გაბედულების ჭეშმარიტი დასტურია, სიყვარულის ძლევამოსილი მზე ათბობს მის პოეტურ სამყაროს და უსასრულოდ იღვრება კოსმიურ სივრცეში „ჩვენს უიდუმალეს გულისგულში“ ჩამღწევ მუსიკად: „რა ჟამი იდგა, აღტაცების რა დიდი ტვირთი“ ბილიკ და ბილიკ მივდიოდი თუ კიდევ მთა-მთა, მზის ხელეური ასაღები მეგონა ტვირთი, სახლაკი – ჩემი საბრძანისი მშვენიერ ქალთა“ ... („ფერადი ოფორტი“).

„ხელოვანი რომ კვდება, თითქოს სამყაროს ქნარს აწყდება სიმი, რასაც ვერავინ ვერ შეცვლის, მით უფრო დასანანია, როცა ასპარეზიდან ქრება შემოქმედი ერი. დაიღუპნენ ურარტუ, შუმერი, ხეთები, დიდი ხალხები და მათი ხელოვნების

---

1 ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბილისი, 2005, გვ. 105.

2 ს. შტაინერი, როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება, თბ. 1993, გვ. 23

უამრავი ძეგლი, საოცრება იქნებოდა ასეთ ქარტეხილებში საქართველოს გადარჩენა რომ არ ვიცოდეთ მისი შეუპოვრობა, ოპტიმიზმი, რწმენა, უშრეტი, შემოქმედებითი ენერგია, არსებობს რაღაც უშრეტი ძალა, რასაც უნარი შესწევს გადაარჩინოს ეს ღირებულება, თუნდაც მიწის წიაღში, იხსნას ის, ურომლისოდაც ხალხს არსებობა არ შეუძლია, ეს ის ძალაა, რომელიც იბრძოდა სამი, ოთხი ათასი წლის განმავლობაში, გადარჩა და განაგრძობს ბრძოლას ნათელი მომავლისათვის ერთიან ოჯახში.

ჩვენ გვმართებს იმის დაცვა-გადარჩენა, რაც იმ ათასწლეულებში ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ. ესაა ჩვენი ვალი, ეთიკა, პოეზია და ხელოვნება, ჩვენი ცა და ვარსკვლავები, ვინც არ დაიცავს არაა იმ განძის ღირსი".[1]

გენო კალანდიამ რეალურისა და წარმოსახულის სინთეზით შექმნა თავისი განუმეორებელი, თვითმყოფადი და ორიგინალური სამყარო, ახალი პოეტური ქვეყანა...

და მაინც, პოეტი გვხიბლავს უნივერსალურობით, შეუცნობელისაკენ, იდუმალებისაკენ სწრაფვით, სწორედ აქაა საძიებელი გენო კალანდიას პოეტური სამყაროს ძირითადი აზრი – მშვენიერება და სულის სიმაღლე. მისი პოეზია არისტოკრატული სულის, დახვეწილი გემოვნების უზადო გამოსხივებაა. სევდისა თუ ტკივილის, სიყვარულისა თუ სიძულვილის, ბოროტებისა და სიკეთის გამოხატვის ძალა გამორჩეულ ადგილს უმკვიდრებს პოეტური ხელოვნების ისტორიაში. პოეტის თემატური თუ სულიერი განცდების, ბუნებისა თუ ადამიანთა შინაგან საიდუმლოებათა ილუსტრაციებია მისი ლექსები, კომპოზიციები, სონეტები, ისტორიული, მითოლოგიური თუ ყოფითი სამყარო...

---

1 აკაკი გელოვანი, მარად ცოცხალი ხელოვნება , თბ., 1980, გვ. 55-80

პოეტი დიალოგს მართავს ზეცასთან, კოსმიურ სხეულებთან. მუდმივად ესმის მზეშებმული ვარსკვლავების კარის ჭრიალი, ხედავს ტიმოთეს უბანს, – თუ როგორ უკოცნის მზე ძოწისფერ პორტალს და ეამაყება, რომ მის მამულში, კოლხეთში ისტორია ლექსად ყვავილობს, მზე და ოჯალეში ჩაფებით ისმევა და მართლაც, შეუდარებელია და ზღვარდაუდებელი ოჯალეშის სურნელით მთვრალი გლეხკაცის სიხარული... მზის ნაწილია პოეტის ღიმილიც, გულიდან მომდინარე, მისი სულივით ნათელი, მზის სხივივით ათასფრად დაშლილი და აელვარებული და იღვრება პოეტის სული მთელ კოსმიურ სივრცეში: „მე – მიწის მატლი. რკილი. ნახშირი. საფლავი. ჯვარი. მწუხრი. წყვდიადი. ბურანი. ლული. ცხადი. სიზმარი. შუადღე. ღამე და განთიადი. მე – ჩრდილის ჩრდილი. ფერფლი. არარა. ღრუბელი. თოვლი. ქარი. ხარება. ფრთები. შორეთი. შუქი. კამარა. ბაღი. გრანიტი და უკვდავება.“ („ბაღი, გრანიტი და უკვდავება“) – ღიმილში შებუდებული მზით სიცოცხლის მარადიული განახლების, სრბოლის, განმეორებადობის სიმბოლიკით მოინიშნავს პოეტი თავის ცხოვრების მარადისობასაც... ეგზისტენციალურ თვალთახედვას ანიჭებს უპირატესობას და ეთიკურად განიხილავს ადამიანის მიმართებას კოსმოსთან.

გენო კალანდია ხატებით აზროვნებს, ხატებით ფიქრობს, ბლეიკი წერდა: „ნახატში ვერ მონახვთ ბალახის ერთ ღეროსაც, ქვიშის ერთ ნამცეცსაც, რომელიც მხატვარს არ ჰქონდეს ჩაფიქრებული“. პოეტის მიერ წარმოსახული მზე სიცოცხლის „აკვანი-სამარეა“ და თითოეულ მის ქმნილებაში გრძნობ რაოდენ სავსე და მიმზიდველია ამ ფენომენით მთელი სამყარო. მისი პოეზია გვაგრძნობინებს, რომ მზე ყოფიერების მთავარი შინაარსია. თავად პოეტი კი მზის ენერგიას ისრუ-

ტავს და „მზის პოეტია“ (გრ.რობაქიძე), რომელსაც თამამად შეუძლია გაბედული განაცხადი გააკეთოს: „მთვარის მასქურის მზის შვილობილი“.

მუხრან მაჭავარიანმა ანა კალანდაძეზე თქვა: „შენს პოეზიას ცა და მიწა თან მოაქვს“, – ამ სიტყვებს თამამად გავიმეორებდი გენო კალანდიაზე, რომლის პოეზია ხიდია ცასა და მიწას შორის, ზესთა სოფელსა და ამ სოფელს შორის.

პოეტის სული სიმაღლისა და სიწმინდისაკენ ისწრაფვის. აღფრთოვანებული და ყელამდე სავსეა ზეციერი ბედნიერებით, რამეთუ ღრმად სწამს: „ღვთაებრივის გაუთვალისწინებლად ვერასოდეს აღასრულებ, როგორც ჯერ არს, რაიმე კაცურს და პირუკუ“.[1] (მარკუს ავრელიუსი).

ხედვის თავისებურებით, აზროვნების მანერითა და მოვლენებისადმი ემოციურ დამოკიდებულებით გამორჩეულია ლექსი: „მზე, ღვინო და თებელი ქალი“ ...

პოეტი მთელ კოსმიურ სამყაროს მოიხილავს ღრმად დარწმუნებული იმაში, როცა ამქვეყნიდან გასვლის ჟამი დადგება, ამაღლდება როგორც მესია, ურიცხვი მნათი უცხო დინებას ფეხაკრეფით გაჰყვება და ზეცა გახდება მისი მუდმივი ვანი. დედამიწაზე კი დარჩება მზის სხივებით აბრიალებული ნაკვალევი... სონეტში „პოეტები და რაინდები“ პოეტი წერს: „საქართველოს ციხე-ტაძრებზე აღიბეჭდება ჩვენი კოცნა სანთლის ალივით.“

ღრმად სწამს, რომ შეუძლებელია დაბრუნდეს წარსული, ამიტომ ვუბრუნდებით მას ასე ხშირ-ხშირად და ოცნების საბედნიერო მოვალეობაც ესაა. სამშობლო, მამული ხომ მისთვის სულიერი ფასეულობები და ღირებულებები, წინაპართა მარად უკვდავი სული, ჩვენი ღირსეული წინაპრების ნაკვალე-

1 მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თბ., 1972. გვ. 100

ვი, ფესვები, ძირები, „ვარ ციხე-გოჯით, მარტვილით, რუხით, ფაზისის ვარდით, გუბაზის სისხლით... ყოფნა-არყოფნის გადაშლი წიგნებს, შემომანათებ, ვით ძველი განძი, ვარ ჭყონდიდელით – მამულის სიბრძნით, მკერდზე მედეას ცრემლები მაწვიმს. ვარ იოანით, – არესის ჭალით, ქართული სიტყვის ვარდის მკრეფელით, ვარ ცოტნეს გულით და კიდევ ათი მეფის ძენით და მეფისმეფენით.“

პოეტი არჩილ ფირცხალავა წერს: „ცოტნეს ხატს მამის ხატი ენაცვლება, თუმცა უპრიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გენო კალანდიას მამის ხატება, ცოტნეს სიმაღლის, ცოტნეს ერთგულების რანგში ჰყავს აყვანილი, მამის პორტრეტები, თუნდაც ცალკეული მინიშნებები მშობელი მამის შინაგან სიწმინდეზე, ამ კეთილ გლეხკაცს დიდი ცოტნეს შარავანდედის შუქში აყენებს“.

„სამშობლო უმთავრესია“ – ბრძანებდა გალაკტიონი და გენო კალანდია ამ უმაღლეს მცნებას მთელი არსებით ემსახურება. პოეზიის ღვთიურ მადლთან ერთად აედევნა დიდი ტკივილი და მზიანი სევდა, შემდგომ ამგვარ ხატოვან სტრიქონებად რომ ჩამოიქნა და გამარადიულდა: „არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მოციქული ზევსის, უბრალოდ სიკვდილს ვაპირებ, სიკვდილს ვაპირებ შენთვის“.

გენო კალანდიას პოეზია შთამბეჭდავად ირეკლავს სამყაროს იდუმალებას და მზისფერებით დაფერილი მეტაფორებით აგვახედებს ცისკენ, სადაც საქართველოს ისტორიული წარსულის დიდება ისახება და სამასი არაგველების ხმლებიც კრიალებს... მისი პოეზია მზესთანაა წილნაყარი. აკი თავისთავს, მთვარის, მასქურის მზის შვილობილს უწოდებს, ღრმადაა დარწმუნებული თავისი პოტური ნიჭის ძლევამოსილებაში და ამიტომაც გაბედულად წერს: „შაბათის ზრუ-

ნი, სამძიმარი მაკმარე ცოდვილს, სოფლის მწუხარე რაინდივით გამაგდე გზაზე, ქარის წისქვილებს – უხილავი სიზმრებით სავსეს გუმბათად დასდე მშობლიური ლაჟვარდის ლოდი" („ოცნება")... გვერდს ვერ უვლის პოეტური ხილვების სასწაულებს და საოცრად, ორიგინალურ პლასტიკურ ხატებში გვთავაზობს სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას, მამულის, ადგილის დედის ხატს „მესამე თვალის სხივნათელით" მოიხილავს. ესაა რეალურის მიღმა არსებული, მისგან გამონაშუქი, რეალობაზე შარავანდედად დამდგარი მზის ნათელი, რომლის არეალში მარტო ილორისა და წაჩხურის, ხახულისა და ოშკის, ქაშუეთისა და სვეტიცხოვლის ციხე-ტაძართა ქონგურები კი არ ილანდება, არამედ რაღაცნაირი მისტიკური ნათელიც ჩირაღდნად ენთება მარადისობის ნიშანსვეტად. ესაა სწორედ ერის სულიერი არსი, მისი მარადისობა, როცა, „წიგნით, ლოცვანით ჩამოიველის ბერი თევდორე, ასგზის დაჭრილი საქართველოს თანამედროვე, – ქართული სულის სიანკარე, ზარი ღვთიური. ტაძრად დადგება უწმინდესის ნებით, სახელით, მერმე ნელინელ ცაში ავა, როგორც სანთელი და წყვილი ცრემლით განათდება ცა-ბიბლიური" („მზე ჩამოგვხედავს" ...)

ეს წარმატებული და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ერთგული პიროვნების უგულწრფელესი განცდებია. აქაა საქართველოს ისტორიულ წარსულზე ფიქრი და წუხილი. ორიგინალური აზროვნება და განსჯის თავისებურება ამ სონეტში მთელი სისავსით გაცხადდა, და ეს ის პოეტური ნათელია, რომლიდანაც მირონივით ჟონავს დაუშრეტელი ეროვნული ენერგია: „მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს და წყლულზე ვიფენ ფაზისის ბალახს, თქვენ კარდინალის სამოსი გქონდეთ, მე მამაჩემის მოვისხამ ხალათს" („მე შავი ზღვისას ჩავყურებ კბოდეს")...

გენო კალანდიას, როგორც სიტყვის დიდოსტატის სიდიადე ისაა, რომ ფაქიზად შეაღწია მკითხველთა სულის ლაბირინთებში. და ურიცხვი თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული თავის პოეტურ ბაღში სულიერი სიმტკიცითა და თავაწყვეტილი ერთგულებით ქმნის შეუდარებელ სტრიქონებს. „გამოუთქმელს მზერას ვინ გაუსწორებს; საიდუმლოებათა ჭვრეტა მიუწვდომელია, გონების მიერ დანახულის ჭეშმარიტება – ყოვლად შეუძლებელი“.[1]

სიტყვის იდუმალ ძალაზე წერს თამაზ ჭილაძე: „ვერც ერთი პოლიტიკური იდეა ისე არ შეკრავს საერთო თრთოლვით ქართველთა გულებს, როგორც თუნდაც აკაკის „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო“, სიტყვა არის ადამიანის სულის ხმა. ღმერთის შუქი ადამიანის არსებაში, სიტყვა იგივე საქმეა, საქმე იგივე სიტყვაა და მათ გათიშვა, მათი დაპირისპირება ხელოვნურია და საბედისწერო. სიტყვა და საქმე უზენაესი ნებით ორი, ერთმანეთში შერწმული შენივთული ჰიპოსტასია და ამდენად ორივე ერთნაირად ცხოველმყოფელია. ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად თვისად, ანუ სიტყვა არა მარტო ღმერთია, არამედ ადამიანიცაა, ამიტომ ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ ადამიანობა, როგორც ნათლის დამამკვიდრებელი ფენომენი, როგორც დიადი საქმე, სამყაროში ნათლის დამკვიდრების აქტი როგორც ჩანს ჯერ არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ გრძელდება“... (თ. ჭილაძე)

„მწერალო, ერთი ხელი წარსულს გაუწოდე, მეორე მყობადს. ჩასჭიდე, არც ერთი არ გაუშვა, თორემ დაიღუპები!“[2]

გენო კალანდიას პოეზიაში კონდენსირებულია ჩვენი ერის ისტორიული ბიოგრაფია... პოეტი ადიდებს გმირულ სულს,

1 წმინდა ბასილი დიდი, ფსალმუნთა განმარტებანი, ჰომილიები, თარგმანი და წინასიტყვაობა ვ.კოპლატაძის, თბ. 2009

2 მ.ჯავახიშვილი, მწერლის პირადი საქაღალდე, №19,საქმე 312.

რაინდულ შემართებას. თავის ქმნილებებში მთელი ერის სატკივარს გოდებს და კაცობრიობას ჭირისუფლად უდგას. მისი ყველანაირი განწყობა მშობლიური წიაღიდან, ოდაბადედან, ისტორიული კოლხეთის გმირული წარსულიდანაა ამოზრდილი. მან, როგორც პოეტმა – ფერმწერმა, კარგად უწის ბუნების უძვირფასესი განძის, ადამიანის შინაგანი სამყაროსა და ყვავილის ლურჯ წიაღში მიმალული იდუმალების არსი: მზერას ვერ ვაცილებთ „შვიდი ქალწულის“ სევდის ამრეკლავ მისტიურ სურათს: „ცას გადაეხსნა პერანგი მოვის და ალაზანი ვარსკვლავებს კრეფდა... და ცისარტყელის შვიდფერი ტოტით შვიდი ქალწული მღეროდა ერთად.“

„ფერად ოფორტში“ ღვთიური გასხივოსნებაა აზრის, რაღაც ამაღლებული განცდა, თავისსავე სულში ჩაბრუნებული ხედვა, „გულით ხედვა“ (ვაჟა ფშაველა). მისი სულის, გონების, ფიქრების, სიწმინდისა და ღირსების ანარეკლები: „უფალო, ფრთები დაატოლე მაშვრალის ყანას, მზე კურდღელივით აუხტუნე მინდორში მავანს. ტყიდან გალობა გააგონე თორმეტი შაშვის, გზის გასაყართან შეაგებე ღიმილი ბავშვის, უფალო, ფრთები დაატოლე მაშვრალის ყანას“.

უფლის წმინდა საყდრიდან ელოდება პოეტი სიხარულს, განუმეორებელ ნეტარებას და აგერ „მალე, სულ მალე, ხეს სიცოცხლისას ჩემი სულივით აჰყვება სურო“ („ალბათ დაცხრება ზაფხულის სუნთქვა“).

აქ პოეტმა შთამბეჭდავად დააფიქსირა თავისი განწყობა, უფალთან მიახლოების ზეაღმტაცი სიხარული. პოეტის სული უფალთან თავის მიმართებას გამუდმებით წარმოაჩენს. მის ლექსებშია სამყარო მთლიანობაში აღქმული. ის არა მარტო სიტყვით, არამედ ფერებითაც თამაშობს: ეს ფერები კი ზედმიწევნით ესაძირკვლება გენო კალანდიას მსოფლმხედ-

ველობასა და შინაგან სულიერ სამყაროს... მუდმივად ტკივა და აშფოთებს ძმათა შორის შუღლი და უკვირს: „სინათლედ წვიმდა შენი სულის უცნობი სევდა და ყვითელ ფოთლებს მიაფრენდა საღამო ციდან, რა იყო ნეტავ, ბედი ამგვარს მაინც რას წერდა, რომ შურის ბურთი ყელში ისევ გაჩროდათ ძმათა, სინათლედ წვიმდა შენი სულის უცნობი სევდა“ – ეს ერთერთი სტანსია გენო კალანდიას პოეზიიდან.

ამ ციკლის ლექსებში პოეტი საოცარი ძალით განიცდის სიცოცხლის მომაჯადოებელ ძალას, სადაც ბევრი ტკივილი და სევდაცაა, მაგრამ არის ზღვარდაუდებელი სიხარული, მარადიული სიყვარულის ჭეშმარიტი განცდაც და მზის სიმბოლური ხატის წარმოჩენა. და იქ, სადაც მზის ფენომენზე გვესაუბრება პოეტი, მუდმივად ჟღერს ბუნებისა და ადამიანის, სამშობლოს სიყვარულის მარადისობის დიადი გრძნობაც. მართებულად ბრძანებს რევაზ სირაძე: „ადამიანს აქვს უნარი განიცადოს სულიერი ნათელი, ბრმა. ჰომეროსი შინაგან ნათელს განიცდიდა, მას ხედავდა გონების თვალით. ეს ნათელი „სულით საცნაურია“. პლატონი ხილულ ნათელზედაც მსგავს რაიმეს ამბობდა, თვალს იმიტომ ძალუძს ნათელი, რომ თვალი თვითონ ჰგავს მზეს, თვალს თვითონა აქვს თავისი ნათელი, ეს მისი შინაგანი უნარია, თუ თვალში არაა ნათელი, ის ვერა გრძნობს გარეგან სინათლეს. ასევე თუ სულში არაა ნათელი, ის ვერ გრძნობს სულიერ სინათლეს. სულიერი ნათელი ახლავს ხილულ ნათელსაც, მას მხოლოდ ზედამხედველობა შეიგრძნობს“.[1]

გენო კალანდიას პოეზია ფერწერაა. უმდიდრესია მისი ფერთა პალიტრა: „შროშნების შუქი“, მზის უცნაურ თვალთა ელვა, ცრემლის ფერი, სანთლის თითები, თეთრი ბროლი,

1 რ. სირაძე, სახისმეტყველება, „ნაკადული“, 1982, გვ. 149

ყვითელი ბორცვი, თეთრი ვარდი, ჭრელი ჯოგი, და ა.შ. ფერის სხვადასხვა ნიუანსები სხვადასხვანაირია.

„სიზმარ იყო“ სიკეთით, სინათლითა და სამყაროს უთვალავი ფერებით გაცისკროვნებული სტანსია. თითოეული სტრიქონი მისი მსოფლგანცდის, მისი მრწამსის და ფაქიზი ბუნების ანარეკლია: „სიზმარი იყო გაზაფხულის ამგვარი დარი, სიზმარი იყო უეცარი ფურცლობა ნუშის. მაღლა ცა იდგა სვეტიცხოვლის გუმბათის დარი და ცრემლისფერი მისხალ-მისხალ წვეთავდა სულში. სიზმარი იყო გაზაფხულის ამგვარი დარი.“

ბუნებაში იმდენი ფერია, მათ ასაწერად წამალი არ ეყოფა ადამიანის სიტყვას“ – ასე სჯეროდა გალაკტიონს.

მიხეილ კვესელავა პოეტურ ინტეგრალებში იტყვის: „მორის მეტერლინკი გმირის სათნოებას თეთრი წარბებითა და ყვითელი წამწამებით გამოხატავს“.

კონსტანტინე გამსახურდიას ფერთა პალიტრაც უმდიდრესია: ნუშისგულივით თეთრი, ძველუძველესი სპილოსძვლისფერი, მზისფერი, სინგურისფერი, კარაქისფერი, ხორბლისფერი... ქედანისფერი, ზღვისფერი და ძვლისფერი ებრძოდნენ ერთურთს კორდებზე, ფერის სხვადასხვა ნიუანსს, განწყობის შესაბამისად, სხვადასხვაგვარად აღიქვამდა: „ლურჯი, ლურჯი დღე არის, განშორების დღე არის, მე არ ველი უარესს“.[1]

გენო კალანდიას პოეზიაში ფერთა და ჰარმონიათა მთელი სამყაროა, იდუმალ და გამოუცნობ ნისლოვანებათა, პოეტი ერთგულია ღმერთის მიერ ნაბოძები წალკოტისა და აშკარად ვგრძნობთ, როგორ ძრავს ქართულ სულს თავისი ჯადოსნური სიტყვით, ათასფერად მოკაშკაშე ფერებით, რითაც მარად-

1 მ.კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, გალაკტონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია. თბ., 1977.

ისობას ეხმიანება და სწორედ ეს გამოარჩევს მის პოეზიას თანამოკალმეებისაგან და უნებურად: „დიდი ივანე ჯავახიშვილი, თანახმად მისი ვაჟიშვილის ალექსანდრეს მოგონებისა, წერის დროს თათმანებს იცვამდა თურმე, იმდენად ტკიოდა მუშაობისაგან დაღლილი თითები, რომელთაც ჭეშმარიტად ჩვენი ბიბლია – „ქართველი ერის ისტორია“ შექმნეს...

მაინც რა ძალა ჰქონდა ისეთი ამ მოღლილ ხელებს, ნახატში – ფერებს, ქვაში ჰარმონიას და ლექსში სიტყვის მადანს რომ აქსოვდნენ და ამით ხელოვნების ერთიან სახეს ქმნიდნენ?!“ [1]

გენო კალანდიას „სიტყვის მადანი“ ფერების ინტენსიური დატვირთვით გვაწვდის თავის სათქმელს. სულ უფრო და უფრო მძაფრად ავლენს პოეტურ-ფერწერული აღქმის ალღოს და მტკიცე ნებელობით, უშრეტი კაცთმოყვარეობითა და საოცარი მიმტევებლობით იძირება წარსულ საუკუნეთა ვნებათაღელვაში, გაუნელებელი სიმძაფრით გვაწვდის სულის სიღრმეში დაგმანულ სიბრძნეს და პოეტური გრადაციებით ცდილობს დააცხროს ჩვენი დღევანდელი სატკივარი... ყოველი ლექსი მზის ფერთა ზეიმია, „ანგელოზისა თუ ლურჯი ჩიტების გალობა“, „ფორთოხლის“ მხრებით, ბროწეულის წითელი ქუდით“ მზის მიერ აღბეჭდილი მიჯნურის ლანდი, თითებში ანთებული წყვილი სანთელი მარადისობისა და უსასრულობისაკენ...

„საყდრით სინათლის ალი ციმციმებს, თითქო სამოთხის ფეთქავს კარიბჭე და ღრუბელივით აღმართს მიჰყვება ბერმონაზვნების გუნდი დაღლილთა“ („ხეები დავით გარეჯის უდაბნოში“) – ამბობს პოეტი და ძალდაუტანებლად ამკვი-

---

1 ავთანდილ ვართაგავა, როგორ ცხოვრობდნენ ფრესკები, თბ., 1991, გვ. 17

დრებს ჩვენში სინათლის, სილამაზის, სითბოსა და უფლისადმი რწმენას, რამეთუ თავადაა სინათლისა და სილამაზის მაძიებელი... მშვენიერების, სილამაზის, მზის სამსხვერპლოზე მოაქვს ჩვენთვის ჰარმონია, სულის სიმხნევე და სიმშვიდე... და აი: „წუხელ ავნევთან იყო ხანძარი და ვარსკვლავთცვენა დიდი ღამისა, მე არც სკვითი ვარ და არც ხაზარი, რომ არ მიყვარდე, ხეო, ქართლისა“ – ესაა სამყაროს უსასრულობაში საყრდენი წერტილის ძიება საკუთარ თავში, ზრუნვა სიცოცხლის გადასარჩენად, სადაც უზენაესი სილამაზე ეროვნულს ერწყმის და ენივთება.

რეზო ადამია წერს: „დიდი შემოქმედი ღმერთივით ქმნის ლიტერატურულ სიახლეებს, რადგან კალმით და აზრით მხატვარი საკვირველი ქვეცნობიერებიდან მოედინება. გამაოგნებელია უფლისგან მოვლენილი ზოგიერთი ადამიანის სულიერი ძალა და შემოქმედებითი იშვიათი ნიჭის საიდუმლოება“.[1]

გენო კალანდია სულში ატარებს ეპოქის სულისკვეთებათა და მისწრაფებათა უძვირფასეს საგანძურს. შუქისა და წყვდიადის, სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის, იმედისა და უიმედობის ბრძოლაა მისი პოეტური სამყაროს ძირითადი პრობლემატიკა. ვფიქრობ, რომანტიკული სილაღისა და გამოსახვის სიძლიერის თვალსაზრისით, მისი მზის ფენომენი საერთოდ გამორჩეულია... შვიდი ქალწულის სევდას კაბების შრიალით მოჰყვება ვარსკვლავთა წვიმა, „შუქი გადასდის უფლის სარკმელს და ასაბიას“, „ყველა ქართველი ანგელოზის – ვარდის მკრეფელის, ვარსკვლავთმრიცხველის, მელომანის სული ციმციმა საქრისტიანოს ანათემადა, როგორც თილისმა“ ... „მზე ძველებურად მიბარბაცებს ზე-

1 რეზო ადამია, ვაჟა ფშაველა და დრო, „ჩვენი მწერლობა“, 5 ოქტომბერი 2012, გვ. 37

განსა ზედა“ და: „გავაღებ სარკმელს განათდება ფორთოხლისფერით, კარადა, სკამი, მტვერწაყრილი წიგნები ძმათა, ვით იდუმალი, ზემზიური ნეტარი განცდა, წამიღებს ყრმობის სურათები ოდიშის ველით“.

გენო კალანდია ნაირ-ნაირი პოეტური ფერებით გვიხატავს მზეს, თითქოს ეპოქებს ეხმაურება თავისი უჩვეულო ხილვებით, აი თუნდაც სონეტი „ძელიცხოველი“; „ნათელმირონში შედიოდა ძელიცხოველი, ორი არაგვის – ორი ლომის სუნთქვა მესმოდა, ერს და მღვდელმთავარს შარავანდი ადგა ზემოდან, ცის გარდამოხსნას შეპხაროდა მთელი სოფელი“ ... და მშვენიერება, სიკეთე, აღფრთოვანება, იდუმალება და სულის თავისუფლება ყველაფერი ერთიანობაში მჟღავნდება, ფორმისა და საგანთა არსში ინსტიქტური წვდომის საფუძველზე ერთიანდება და ულამაზეს ასოციაციად გვევლინება როგორც გაზაფხულის მობრძანება ნუშისა და ალუბლის აფეთქებული წებოვანი კვირტებით... მისი მონუმენტური, ლაღი და ამაღლებული ნათელი ფერებით აკაშკაშებული პოეტური სამყაროს წიაღიდან ულამაზესი მარგალიტები ამობრძანდებიან: „იყიდეთ ლაჟვარდები, ტყეები, ვარსკვლავები, იყიდეთ ირაო ორბის, იყიდეთ ღვთისმშობელი თორმეტი ანგელოზით, თორმეტი მზისფერი კორდით“ ... („კომპოზიცია დედის პორტრეტისათვის“). პოეტის მისტიური განცდა ხილვებით მოინიშნავს დაუნდობელ დროს, როცა ენგურს გაღმა დარჩა მისი ლამაზი საქართველო... სისხლით და ცრემლით გაჯერებული ამ ვიზიონით პოეტი წინ წამოსწევს ჩვენი ეროვნული ყოფის სასიცოცხლო პრობლემებს: ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი აღიქმება როგორც პოეტური ოსტატობის ნიმუში.

კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „... მწერალი ისე მომჭირნედ უნდა ხარჯავდეს სიტყვას, როგორც ძუნწი ოქროს,

რადგან სიტყვაა ჩვენი სიმდიდრე, ტონისა და ფერის ეკვივალენტი...“ [1]

გენო კალადიამ მდუმარე სასაფლაოდ ქცეული მშობლიური ქალაქის გარდაცვლილი ფერებიც გამოიხმო წარსულიდან, სადაც ძალიან ბევრი მზე, სილამაზე და სიყვარულია: „თითქო ველური თაფლის მდინარე გადადიოდა ალისფერ გულზე, თითქო მთვარე დნებოდა ცრემლით, თითქო ყაყაჩო ცეკვავდა ველზე, თითქო სხეული მოჰქონდა მორევს“.

მისი ლექსებიდან მძლავრი ენერგია მოდის, ესაა სინათლის, ზღვისა და მზის ენერგია, რომელიც მის ძარღვებში ჩქეფს და რაც აძლევს ძალას, როგორც შემოქმედს თავისთავს უწოდოს „მთვარის, მისქურის მზის შვილობილი“.

ჯანო ჯანელიძე წერდა: ... „სიყვარული ყველაზე დიდი ჯილდოა ადამიანისათვის და, უპირველესად, პოეტისთვის, სიყვარული დიდი სინათლეა, რომელიც სულს უკაშკაშებს ადამიანებს. ეს დიდი სინათლე გასაოცარი სიფაქიზით სწორედ გენო კალანდიას ლექსთა სტრიქონებშია მიმობნეული, როგორც შემოდგომის სამკალი, რომელსაც ხან წმინდანის კაბის სურნელი ასდის, ხან მარად გაღიმებული და გაღვივებული მარცვლის უკვდავებას ატარებს, ხან თიბათვის მთვარის ლამაზ სიზმრებსა და ზღაპრებს გვიყვება, ხანაც გონწართმეული, გრძნეული განდეგილის ცხოვრებით ცხოვრობს, ხანაც ნაკადულის ჩურჩულით ხმიანებს და გვესაუბრება, ხანაც ზედაშეა გრაალის თასში სასოებითა და სასოწარკვეთით მოთავსებული, ხანაც მოწყალების დის ცრემლები, ხანაც ღვთისმოსავის უმანკო სისხლი და ხანაც ირმის რძესავით ქაფქაფა სიტყვა, სიტყვა ყოვლისდამტევი და ყოვლისმთქმელი“.

გენო კალანდიას პოეტური სიტყვა მართლაც რომ ყოვ-

---

1 კ.გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტ.III, თბ., 1985, გვ. 152

ლისდამტევი, ყოვლისმთქმელი და ფერადოვანია. და მაინც, სიყვარულის უნივერსალური კანონი მზესავით ათბობს მის გულს და იქმნება მისტიური შუქით განათებული ფერწერული ტილოები. მის უნიკალურ ხილვებს უნიკალურ მხატვრულ ფანტაზიაში აქვს ფესვი გადგმული, საიდანაც მზესავით მოელვარე სილამაზე შემოგვანათებს, სასწაულებრივია იგი, როგორც ვარსკვლავთა ცვენა: „მე შემოდომის მოტივებს ვისმენ, ქსანზე, არაგვზე ვარსკვლავებს კრეფენ“... „...მე მოვყვებოდი ფაზისის ნიავს, მგლის ორი მუხლით და ხარის ქედით. ... მე შთაგონების გავხსენი სკივრი და აი, უკვე მე მისი ტყვე ვარ... მე ღამღმობით ბავშვივით ვტირი, როცა ვუყურებ ვარსკვლავთა ცვენას“. აკი „ხელოვნება მაშინაა სრულყოფილი, როცა ის თვითონ ბუნებას ჰგავს, ბუნებას მოგვაგონებს, ხოლო ბუნება უნაკლოა მაშინ, როცა ფარული სახით იმარხავს ხელოვნებას“.[1]

როცა გენო კალანდიას ლექსს „ამ აყვავებულ წაბლებსა და ნეკერჩხლებს შორის“ ვკითხულობთ, ვგრძნობთ მის სწრაფვას მშვენიერისა და ამაღლებულისაკენ. პოეტი ერთგულია ადგილის დედის, სიბრძნის, სიყვარულისა და გაზაფხულის, სამეუფო ცის სახლისკენ სწრაფვის დიადი სურვილითაა შეპყრობილი. ვარსკვლავებით მოჩირაღდნებული ზენაარსის სახლი მისი სულის საუნჯეა. ამ ლექსში აშკარად იკვეთება პოეტის მისია იყოს შუამავალი სილამაზესა და მშვენიერების, სათნოებასა და სიკეთეს, ილუზიასა და რეალობას შორის და თუ მართლაც, პოეზიის სამშობლო წარსულის გახსენება და დაკარგულის მონატრებაა, მაშინ გენო კალანდიას ეს ლექსი, და საერთოდ მთელი პოეზია, უშუალოდ აღქმულ რეალობას უმღერის. სიკეთითა და სრულიად საქართველოსადმი უშურ-

1 ფსევდო ლონგინე, ამაღლებულისათვის, თბ., 1975, გვ. 153

ველი სიყვარულით გულანთებული შემოქმედი გულით იტყვის: „... ვნახე წაჩხურის ეკლესია, რამდენიმე წმინდანის გვერდით იოანეს მკვდარი თვალი, ვნახე ჭაბუკი ედემის წყარო – ანგელოზის კამკამა ცრემლით. გავხედე მთიდან საქართველოს შინდისფერ რუკას და ვთქვი: აი, აქ უნდა დავესახლო, აი, აქ უნდა ჩავყარო ძვლები“ ... ციდან ციური მომესმა ხმები: ამინ“

ჰოდა, „აღვიდეს მოსე მთასა მას და დაფარა ღრუბელმან მთაი იგი გარდამოხდა დიდებაი ღმრთისა მას ზედა სინასა, და უწოდა უფალი მოსეს მეშვიდესა დღესა ღრუბელით გამო /ბურუსიდან/ და შევიდა მოსე შორის ღრუბლისა მის და აღვიდა მთას და იყო მუნ ორმეოც დღე ორმეოც ღამე“ (წიგნი ძველის აღთქუმისანი, 1 – თბ., 1989. 454).

გენო კალანდია სამშობლოს, მამულისადმი უანგარო სიყვარულს მადლფენილ სიტყვაში აწრთობს და მოაბიჯებს პოეზიის მრისხანე ბილიკებზე რაინდული სულით სილამაზის საიდუმლოსთან წილნაყარი. გავიხსენოთ თუნდაც კომპოზიცია „ფესვებზე“; „ფესვები მიწის ორატორია, შუადღის შუქი აყალყებული, ძლევამოსილი მამრის სიმღერა, გულდაკორტნილი მთების გუგუნი. მეკითხებიან ვისი გორის ხარ... მთვარის, მისქურის მზის შვილობილი...“ ხოლო „კომპოზიცია გოდერძი ჩოხელის პორტრეტისათვის“ წერს: „გაზაფხულივით დარმჩა ლექსები მტკვრისა და არაგვის მწავნე ჭალებში, გაფრინდნენ ჩემი ჩიტბატონები მზისა და მთვარის მიმართულებით“. ან კიდევ: „ცა არი თითქო სალაღობო, სამეფო სეფა, ჭანისწყალსა და მზეჩაფენილ ხეობებს ზედა, ო, გიხაროდენ! აღავლინა ბუნებამ მესა, – ფორთოხლის ბაღით შვიდი შაშვი ჭახჭახებს ერთად.“ – და რომანტიკულ სილამაზესაც დაკარგულს, მივიწყებულს, წარსულს ცის კამარიდან იზიდავს და გულში

იხუტებს პოეტი. მან იცის, რომ უფალია ღვთაებრივი მშვენიერების შემოქმედი და ამიტომაც ეიმედება სამარადისო გაზაფხული, მშვენიერება და სილამაზე: „საყდრით სინათლის ალი ციმციმებს, თითქოს სამოთხის ფეთქავს კარიბჭე და ღრუბელივით აღმართს მიჰყვება ბერ-მონაზვნების გუნდი დაღლილი“. („ხეები დავით გარეჯის მონასტერში“).

გენო კალანდია უნატიფესი პოეტური ენით გამოხატავს ბუნებასთან იდუმალ კავშირს. მთელ სამყაროსთან სულისმიერი ძაფებითაა დაკავშირებული რომანტიკულია და იდუმალი, მისეული ბუნება ადამიანის შინაგან სამყაროსთან თანაზიარობით... და ალბათ მხოლოდ წიგნის ფურცლებზე, მხოლოდ სიჩუმეში შეიძლება იმის გააზრება, თუ რაოდენ ეფექტური და შინაგანი ლოგიკითაა გამართლებული პოეტის განცდები, ლექსში „ბალადა წიფლის ხეზე“. ვისაც ეს ლექსი წაუკითხავს ალბათ არასდროს დაავიწყდება საოცარი ფერწერული სურათი ბუნებისა, და გაზაფხულის მორევში ჩახერგილი წიფლის ხე, რომელსაც მეხივით დაჯახებია დრო-ჟამი საბედისწერო. ესაა მედიტაცია სიცოცხლის ტრაგიკულ ხვედრზე, რაღაც უსაზღვრო სევდისმომგვრელი ფიქრები წარსულზე... პოეტი „თანასწორივით“ ესაუბრება „ხმელ წიფელს“, „ოი, ჩემო ბეჩავო, ოი, მკვდარო წიფელო, შემოდგომის ცეცხლივით ადრე ქოჩორწითელო“.

პოეტმა მხატვრის თვალით ჩაიხედა ბუნების საიდუმლოებაში, რათა გარეგანი მოვლენა ექცია შინაგანის გამოხატულებად. სინამდვილის ფაქტში აღმოეჩინა საერთო საგანი. მოვლენაში – აზრი... ვაჟასავით მაღლა მხედსა და გულით მზირალ პოეტს სიყვარულით დაცდება: „დაბლა ტყეა უღრანი, მაღლა ლურჯი ალპები, ცაა განათებული ოქროს კანდელაბრებით“ ...

გენო კალანდიამ შექმნა საოცარი „კომპოზიცია ხეებზე“. ათას რამეს აგონებენ ხეები პოეტს, ისინი მისთვის სულიერი არსებებია, უფრო მეტიც, „ხეები წმინდანები – მაცხოვრის წითელი წიგნი“ ... „ხეები ვარსკვლავები, ხეები ჯადოქრები, მისანთა მატულობს რიცხვი“ ...

მთელი ლექსი ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული შერწყმის ნიმუშია. აქაა მძაფრი დინამიკა, ამაღლებული და გამორჩეული შედარებებით და მიგნებული კონტრასტებით იქმნება ხეების გასაოცარი მეტამორფოზები, სადაც ერთი ხატი მეორეს ენაცვლება და პოეტის უსამანო ფანტაზიით ვიხიბლებით. როცა გენო კალანდიას ამ ლექსს კითხულობ, უნებურად გიორგი ლეონიძის „ოლე“ გახსენდება, რომლის ტოტებზე „მხიარული საკრავებით ხელდამშვენებულ ვარსკალვებს სულ სხვა შუქი შემოაქვთ ლექსში, არაამქვეყნიურ ჰანგებს რომ აფრქვევენ. ხოლო როცა ოლე სივრცეში აიჭრება (პოეტის წარმოსახვით) ვარსკვლავები გარს შემოეჯარებიან და სალამურს აკვრევინებენ დედამიწის პირმშოს.

გიორგი ლეონიძის „ოლე“ საქართველოს ძლიერების სიმბოლოა და შიშველ მკერდზე ილეწავს ზღვის მძვინვარე შემოტევას: „მუხა იდგა, როგორც ვეფხვი, ვეფხვზე უფრო მრისხანედა და რამდენი ზღვა დაჰკრავდა იმდენ ფესვებს იმატებდა“.

ხის სიმბოლიკას ქართულ მწერლობაში მკვიდრი ტრადიცია აქვს. გავიხსენოთ დ. გურამიშვილი: „ზედ გულზე ვიბი იგი ხე; კაციანი და ღვთიანი“, – ტიტე მოსიას აზრით, ეს სახე ქრისტეს ორბუნებოვნებას გამოხატავს და ამდენად ძალზე ორიგინალურია.

„მშრალი ხის (კვერთხის) განედლების სასწაული ძველ აღთქმაში კონსტანტირდება: ყუაოდა კუერთხი აარონის

სახელად დევისა: „და გამოიღო მორჩი (ყლორტი) და გამოაყუავილა ყვავილი და გამოიღო ნიგოზი (რიცხუთაი 17-23).[1]

კონსტანტინე გამსახურდიამ ხეს ერთგვერდიანი გენიალური ოდა „ჰიმნი ხეებისადმი" უძღვნა. („დიონისეს ღიმილი"). მწერალი ბევრ რამეზე ჩაგვაფიქრებს და მიგვანიშნებს ადამიანისათვის, ბუნებისათვის, საერთოდ ეროვნული ხასიათისათვის ნიშანდობლივ ნიუანსებზე, რომლებიც ზედაპირზე უნდა ამოვიტანოთ; აი თუნდაც: „ამ ხეებს დიდი მოთმინება აქვთ, მათ დიდი და გაუმხილელი სიხარული აქვთ გულში, მათი გმირობა ლოდინია, მათი სიცოცხლე ჩუმი მარტვილობა" ... ხეებო, ხეებო, ხეებო, საყვარელნი, უდრეკნო, ამაყო ხეებო. ამ დედამიწის სიხარულნო ცად ატყორცნილნო! ამ დედამიწის მისტიურო ორნამენტებო".

გენო კალანდიას მთელი კომპოზიცია ხეებზე ადამიანური თვისებებითაა ამეტყველებული და გრძნობ, პოეტის ფანტაზიის ძალით როგორაა დახატული ქვეყნის ისტორია, მისი წარსული და მომავალი... იგი ზუსტად ჭვრეტს რა უნდა იყოს, ან რა არის და რა იყო, რეალობიდან აღქმულ წამიერ შთაბეჭდილებებს მოგონებებში, ყრმობისეულ ზმანებასა თუ სიჭარმაგის დროინდელი სიყვარულის განცდებში აგვირისტებს და ქმნის საოცარ ტილოს. ხეების სახით ხედავს სიცოცხლეს, – მთელ ცხოვრებას, ზოგჯერ ბუნდოვანსა და იდუმალებით მოცულს, ზოგჯერ ნათელს და ნაირნაირი ფერებით მოზეიმეს და ღმერთო მაღალო! რას არ იტევს, რას არ გულისხმობს პოეტური წარმოსახვა და მაინც აქაა ერის ბედზე ჩამოწოლილი ღრუბელი, ამოუხსნელი სულიერი ტკივილები, ქვეყნის ტკივილით გულშეძრული პოეტის ტანჯვა და აგონია, მაგრამ

---

1 ნ.კუცია, საკითხავი ნიგნი ქართულ ლიტერატურაში X კლასი, წიგნი I, თბ., 2009, გვ. 542

მზით გალიცლიცებული მეტაფორებით ნაქსოვი სტრიქონები, და მთელი კომპოზიცია სიცოცხლის ოქსიმორონად წარმოჩინდება და მიუხედავად, დაბინდული მისტიკისა, აქაა წარმოსახვით აბორგებული სულის მოხილვით მორთმეული ლამაზი სიცოცხლე... პოეტის სული ერის სულის თანაზიარია. იგი განასახიერებს მის სივრცეს, მის ბუნებას, მაგრამ მაშინ როცა მის სანუკვარ აფხაზეთში ტრაგიკული ელემენტი გაბატონებული განცდა გახდა, მშობლიური კოლორიტი მისი პოეტური ხელოვნების საარსებო წყაროდ იქცა.

მის მხატვრულ სამყაროში ისე გამოკრთის ტრაგიკული ინტონაცია, როგორც მზის სხივი ღრუბლებში, მისი სევდა ხეებშიც ირეკლება. გურამ ოდიშარია წერს: „და მაშინ, როდესაც ყოველივე ის, რაც თავს გადაგვხდა, ერთბაშად გახსენდება, წლები, ვით მკვდარი ფრინველები ანოყიერებს თავის ქალას და ტვინის ფორებს. სად არიან ფრთებგაფოფრილი, აპრილის ქარში მოგალობე ხეები, ჩვენი ახლობელი ხეები, ჩვენი ნათესავები – „ხეები ზლუქუნებენ, ხეები ქვითინებენ, ხეების იწყება გლოვა... ხეებს გვიხოცავენ როგორც ბედაურებს, ქალაქად უფრორე სოფლად, ხეები შაოსნები, ხეები ჯვაროსნები, ცხენები ათასი კვიცით".

გენო კალანდიას ოცნებაა სხვა ქვეყანაში, სხვა სივრცეში დამკვიდრება. გავიხსენოთ გალაკტიონი: „მე მივდიოდი მარტოდმარტო სევდიან გზაზე, მე ისევ ვოცნებობდი იმ ქვეყანაზე" („თვალუწვდენელი დაუსაბამო").

გენო კალანდიას გზა, როგორც „წმინდა" პოეტური, გზა სულიერი პილიგრიმის გზაა, ამიტომაც ჩნდება მის პოეზიაში მოგზაურის, ხომალდის ხატი. „უცნობად წყლებში მოტორტმანე ჩვენი სომალდი, მყუდრო ნავსადგურს, მშვიდობიან ნაპირს ეძებდა" („წყაროსთვალი").

გენო კალანდიას მიერ შექმნილ სიმბოლურ სამყაროში („მზე ნეკერჩხლებში“) ერთგვარი ეთიკური სივრცეა. ესაა წმინდა პოეტის ახალ სივრცეში, ახალ ქვეყანაში დამკვიდრების გზა... მზე მისთვის აუცილებელი ხატია, როგორც სიცოცხლის, სილამაზის მშვენიერების, მარადისობის ემბლემა... ხშირად მის პოეტურ სამყაროში ამორძალის ცხელი სისხლივით ამბოხებული მზე იმზირება, და მაინც, მიდის და მიემართება „ცრემლების მტკვარით“, იქითკენ, სადაც „ვარდის ბაღია ფიჭვის ცისფერი კვარით“ ...

ბოდლერი მიისწრაფვის უვარდისფერეს, უნათლეს სამყაროში და სჯერა: „ამომავალი მზე დაბინდავს სანთლების ალებს, მუდამ მძლეველი ეგ აჩრდილიც, მბრწყინავო სულო, თითქოს, მზე არის, მზე უკვდავი და უსასრულო“. („სულის აისი“).[1]

გენო კალანდიას ბოდლერივით სჯერა სულის ნათელი, სულის მზიურობა, მზის უკვდავება და პოეტის თვალი აჯუფთებს ჩამავალი მზის სინაზესა და გათეთრებული ბერიკაცების ლამაზ სევდას.. („მზე ჩადის მთებში“).

და მაინც, ვფიქრობ, უცვლელი და გარდაუვალია პოეტის სწრაფვა სიცოცხლისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ გენო კალანდიასთან ტკივილის, ტანჯვისა და გლოვის სიჭარბეა, მაინც სიცოცხლის ზეიმია. საოცარია პოეტის სულის მგრძნობიარობა, მისი სიმძაფრე, სილრმე, დიაპაზონი. მზისფერებად ჩამოღვენთილი პოეზიის მშვენიერება.

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის თავზე გადამისვას ხელი... დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი“ – ანა კალანდაძის პოეზიაში ხე სიც-

1 ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, დათო აკრიანის თარგმანი, თბ., 208, გვ. 61

ოცხლის სიმბოლოა თანაგრძნობისა და ტკივილში ჩაზიარების „დიდსულოვან“ გამოვლინებად რომ ხმიანდება“.

შეუძლებელია გენო კალანდიასეული „კომპოზიცია ხეებზე“-ს მხატვრულ ზნეობრივი პოსტულატების ბოლომდე გაშიფვრა. ვფიქრობ, აქაა სწორედ ადამიანთა სულში წვდომის, თანაალმობისა და უკეთილშობილესი სულისკვეთების გაცხადება.

ბორგავს, ბობოქრობს პოეტის სიღრმისეული ტკივილი და იკვეთება ნათელი, მარადიული კონტურები პერსონიფიცირებული ადამიანებივით ცოცხალი ხეებისა, რომლებიც ირეკლავენ ცხოვრების შავ-თეთრ სიბრძნეს, ადამიანური ყოფის ტრაგიზმად და პოეტის ჯვარცმული სული ძერწავს „კოსმიურ შიფრს ადამიანისათვის ამოსაცნობად“ (მირჩა ელიადე).

ეს ულმობელი დროის სიმბოლოა, რომლის მიღმა წუთისოფელი ბინდისფერია, როცა ტანჯული სული უსასოოდ აწყდება სიცარიელით გათანგულ სივრცეს და მაინც ყოფნის წყვდიადში მზესავით ამოანათებს „ფერადი სხივების სირმა“. და შენი წილი ლაჟვარდებიც ცაში მობოინე არწივისა და „ჩიქოვანის მიმინოს“ ფრთების შრიალითაა გარემოცული...

და ეს სხვა არაფერია, თუ არა პოეტის უკეთილშობილესი სულის ბუნება, როცა ზეციდან მძივების მაღლივი წვიმა ეშვება და გაკრთება უმშვენიერესი ვიზიონი „ხეები ზედაზენთან, ხეები წინანდალთან, – ლომკაცის დევური ვარჯით, ხეები იაგუნდის, ხეები აბანოზის, ხეები – შიშველი მარჯნის“ – ესაა ფერადოვანი, მზითა და სინათლით აღსავსე მოზაიკა, ასეთი საოცარი სიყვარული ხეს, ვფიქრობ, გიორგი ლეონიძის მერე იშვიათად თუ რგებია... უსაზღვრო სიყვარული და ზღაპრული მშვენიერება შემოგვანათებს შემდეგ სტრიქონებში: ხეები – პოეტები, ხეები მგალობლები, დღითი დღე კლებულობს რიგი,

ხეები – მოედნებზე, ხეები – საფლავებზე, – მაცხოვრის წითელი წიგნი“ – კითხულობ და გრძნობ როგორ ახლოა პოეტის სულთან მაცხოვრის კარი, მარადისობის შუქი, რომელიც მზესავით ანათებს მის სულს. „ხეები – საფლავებზე – მაცხოვრის წითელი წიგნი“ – ღვართქაფად მოედინება ყელში მობჯენილი ცრემლიც და ზეცის საუფლოში შეჭრის დაუძლეველი სურვილი. ვფიქრობ, აქ მთელი არსებით გაცხადდა პოეტის შორსმჭვრეტელობა, მისტიური წვდომისა და სამყაროს იდუმალებისაკენ ჩაღრმავების უნარი, რაც რაღაც არაამქვეყნიური, ზებუნებრივი, ღვთიური სრულყოფილების გამოვლინებაა. „მზის შვილობილი“ პოეტი უშიშრად, ამაყად მოაბიჯებს წუთისოფლის მზიან-ჩრდილოვან გზაზე... იგი კვლავინდებურად ერთგულია თავისი პოეტური მრწამსისა და უჩვეულო პოეტური მეტაფორებით გვაოცებს. აი, თუნდაც: „ცისკრის ჩოხა“, „რქანაჩხვერი ირემი“, „ნაცრისფერი თავსასთუმალი“, „ლურჯი საღამო“, „შუქი უშქარი“, „თოვლის თითები“, „მზის თითებში“, „მარჯნისფერი ლაჟვარდები“, „ცრემლჩაკირული გრანიტები“, ფორთოხლის ხალი და ვარსკვლავები“, „ის თეთრი გედი“, „მთვარის როიალი“, „რძისფერი სიმღერები“, „შავი ხავერდი, ვარდისპირი, მთვარის კამეა“ – ასეთი შთამბეჭდავი სახეებია და სურათხატებით გადმოგვცემს პოეტი თავის ნაფიქრალსა და ნააზრევს და საგულისხმოა ისიც, რომ პოეტური ასოციაციები მხოლოდ პოეტურ ასინტაქსის მეოხებით აღწევენ გამართლებას. დიდი გოეთე ხომ ცალკეული მოტივებისა და პოეტური ასოციაციების საიდუმლოებას პოეზიის საკუთრებად მიიჩნევს და აზროვნების ასეთ სახეობას ადამიანური ინტელექტის სრულიად განსაკუთრებულ გამოვლინებად თვლიდა – „განცვიფრება სულის თავისუფლებაა“ (რ. თვარაძე).

გენო კალანდიას ყველა ლექსს მოაქვს სიხარული და სიამაყე იდუმალების შეგრძნებით აღმოცენებული. ტკივილიდან მოდის უმშვენიერესი სიტყვა „სანდრა და გაუგზავნელი ბარათი“. აქ მარგალიტებად ასხმულია დიდი ბრძოლები, ცრემლი და ტკივილი, ფარული სევდა ქვეცნობიერად რომ იმარხავს, ყავარჯნებიანი ვაჟი და მზე ფორთოხლისა. სატრფოს მიმართ გაუგზავნელი ბარათიც მზის სხივებითაა განათებული... „მე შემიძლია მზე გაჩუქო, მაისის მწვანე წვიმებივით დაგიწნა თმები. ... ევკალიპტების ხასხასა ვერცხლი, – ყოველდღე მოგართვა პეშვით, მარგალიტები ავისხი მძივად“ – სწუხს პოეტის გული და თვითაღსარებად მოუხმობს მუზას... „საიდან ეს ხატები და ქართული გენის ამოფრქვევა? იქნებ ოდიშის ტყიდან, სადაც ზაფხულის ფუნჯით შექმნილი სურათები „მოიპარა“ მუზამ. თვალებით ჩამოიტანა, ტილო ქიაჩის ღვთისმშობელს გამოსთხოვა და შექმნა სურათი ჯერ არნახული: „ო, მეპატიოს ყველა ცოდვა საწყალს, უბედურს, ვიდრე ჩარჩოში გადავიტანდე („სურათები ჩარჩოს გარეშე“)[1] (თამარ გოგოლაძე).

გენო კალანდიას ლირიკული გმირი სილამაზესა და მშვენიერებას დაეძებს მუდამ, მას შეუძლია ადამიანივით შეიყვაროს „ოლესავით“ კენტადმდგარი „ქოჩორ-წითური ნეკერჩხლის ხე და დიდი სულიერი სითბოთი შეეხმიანოს: „არა ვარ თრაქლი, არც პესოა შეგამკო ძოწით, მე მხოლოდ გეტრფი და ალისფერ დალალზე გკოცნი“ ... ბებერი ხის ბალადაში“ კი პოეტი იტყვის: ყავარჯნებით მოიმარჯვებს საკუთარ რტოებს, ჯოხის კაკუნით ჩაჰყვება ბილიკს“ ...

„დიდი აზრები გულიდან მოდის, სრულყავით საკუთარი

---

1 თ.გოგოლაძე, ოდიშის ტყეში ზაფხულის ფუნჯით... „ლიტერატურული საქართველო“, 2002. გვ. 12-17

თავი და შექმნი საუკეთესო პოეზიას. მორალი და რიტორიკა ერთმანეთს ერწყმის ბრძენის მისწრაფებებსა და სურვილებში" (ფრანსის პონჟი), – ამ სიტყვებს თამამად გავიმეორებდი გენო კალანდიაზე, რომლის სულიც მშვენიერებისა და სილამაზისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინითაა აღსავსე. პოეტი სილამაზეს ხედავს ყველგან და ყველაფერში: „ლებარდემ კარგი ამინდი იცის, ლებარდემ კარგი სიზმრები იცის, წვიმები იცის, ქარები იცის, ლებარდემ დიდი მოწყენა იცის." ან „ტანზე ელვად დაგივლის შავი ჯოგის ბღავილი, ფრთას შემოკრავს ჩიტივით სერზე ცაცხვის ყვავილი" ... ან კიდევ: „ტაბლა ტყეა ულრანი, მაღლა ლურჯი ალპები, ცაა განათებული ოქროს კანდელაბრებით" ... ეს უმშვენიერესი ხატები და მეტაფორები გვარწმუნებენ გენო კალანდიას პოეტური ხელოვნების სიდიადეში, რომ შეუძლებელია შემოქმედება შინაგანი თავისუფლების საზღვართა რღვევის გარეშე... პოეტის სფერო მთელი ცხოვრებაა, მზის ღიმილიდან უსასრულობისაკენ... დიახ, მზის ღიმილიდან, „რიჟრაჟის ქაფიდან" სიკვდილ-სიცოცხლემდე. ასეთია პოეტის მიერ რეალობიდან შეწოვილ შთაბეჭდილებათა დიაპაზონი... მისი შორეული ასოციაციები ესთეტიკურ ელფერს სძენს გარემომცველ კონტექსტს და რაღაც განსაკუთრებული სილამაზის შუქით ანათებს მთელ პოეზიას. ორგანულია და მშობლიური ოდიშის ტყე, ქიაჩის ღვთისმშობლის ხატი, ფაზისის ვარდი, გუბაზის სისხლი, სულში წვიმასავით მოშრიალე სექტემბრის ცის, მინდვრის ქარივით გზაზე მოფარფატე თივის ბულული და: „ღვთისმშობელო და წმინდანო, – დამბადებელო უფლის, შენს თვალ-მარგალიტს დახედე შენი კეთილი გულით. სხვა საქართველო არ მინდა, არც სხვა მზე, არც სხვა მთვარე, მინდა, იმისთვის მწყალობდე, რისთვის მწყალობდი ადრე. მე

შენი მონა-მოწესე, – მზად ვარ, ახლავე მოვკვდე, ოღონდ ეგ წმინდა ტაძარი ოქროს სხივებით მორთე.“ („ღვთისმშობელო და წმინდანო“).

გენო კალანდიას პოეზიის დედააზრი ორი ტენდენციის გათვალისწინებით ხდება საცნაური. ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ქმედება მიმართულია ჩვენი ცხოვრებისათვის უცხო უარყოფითი და მანკიერი მხარეების წინააღმდეგ. ეს ორივე ტენდენცია თავს იყრის „ცისკრის“, როგორც ადამიანური სიკეთისა და სიქველის უაღრესად ტევად სახესიმბოლოში. „ზედ ქართული წარწერა ამოკვეთე ფრთხილად და განძივით მიბოძე საქართველოს დილა („ქართული წარწერა“).

„პოეტი სიცოცხლის, სიკეთის ზეიმს მხოლოდ მზესთან მიახლოებაში ხედავს. ყოვლად წმინდის მზისფერი კვართი მისი პოეტური ხელოვნების ტრიუმფია და კეთილგონივრულად წინასწარმეტყველებს ნათელ მომავალს „მესამე თვალის სხივნათელით“, „მკვდართა წიგნით“ და „მარტვილის კვარით“ ცდილობს შეიცნოს ცხოვრების არსი და აღმოაჩინოს მისთვის ახალი სამყარო. ეს ახალი სამყარო მისი სულის პირამიდაა, მისი პოეზიის ჭეშმარიტი დღესასწაული“ [1]...

---

1 ც. მესხია, მესამე თვალის სხივნათელით, ნიგნში: „მწერალი და სინამდვილე“, თბ.,1998

„მე მოისარი და ქართული მიწის ქადაგი“ (ტრიოლეტები)

გენო კალანდიამ, როგორც სიტყვის დიდოსტატმა და რაინდული სულის პიროვნებამ, შეძლო თვითგამოხატვა თავის პოეზიაში. მან თავისი სულის ზეიმი სულის მდგრადობით აღნიშნა. ესაა სწორედ საოცარი განცდა, როდესაც პოეტური ნიჭი თავისი ძალმოსილების კულმინაციას მიაღწევს და მთელ კოსმიურ სამყაროს მოიხელთებს. ესაა პოეტისეული სივრცე, რომელიც ეროვნული პოეტური კულტურის ახალი სივრცის გამოხატულებაცაა, რამეთუ პოეტი მთელი არსებით გრძნობს პოეზიის შინაგან, უხილავ ძალას და მისიას. ტკივილიანი სიყვარულისა და მზიური სულის ანარეკლია უძვირფასესი საგანძური „ფესვები“. მისი, როგორც პოეტისა და შემოქმედის, მონუმენტური (პერსონის) აბრისი ოსტატურად წარმოჩინდება „მამულის, ენის, სარწმუნოების“ წარუვალ ღირებულებებსა და ფასეულობაზე დაფიქრებისას. ამ წიგნიდან მთიდან დაშვებული ჩანჩქერივით მოედინება უნაპირო ეროვნული ენერგია... ესაა გზა ფესვებიდან ფესვებამდე, პოეტი „პილიგრიმის მშფოთვარე მოგზაურობა და სრულიად საქართველოს გადარჩენის დიადი რწმენა...

უნებურად ვახტანგ ჯავახაძე გამახსენდა, რომელიც გალაკტიონზე წერდა:.." ტაძარში აღმოვჩნდი და დავიბენი... ტაძარში ტაძარი დამხვდა, უფრო იდუმალებით მოცული“. გენო კალანდიას „ფესვები“ ის ტაძარია, რომლის კარი მოწიწებით და მოკრძალებით უნდა შევაღოთ უფლისადმი ისეთივე რწმენით, როგორითაც იქმნებოდა იგი... დიახ, „ტაძარი, როგორც დრო – სივრცის საზრისი და მაცხოვრის სიმბოლო“ (გ.ბენაშვილი). „ფესვები“, როგორც მამულის, ადგილის დე-

დის, სამშობლოს მაღალმხატვრული ხატი, პოეტის სულიერ-ინტელექტუალურ წარმოსახვებთანაა წილნაყარი.

„ფესვები" – პოეტის უნიკალური ხატი... ხატი პოეტი პილიგრიმისა, ეროვნული სულიერების „ფანატიკური ჭირისუფლისა" ... (ც.მ.)

გენო კალანდიამ მთელი არსებით შეიგრძნო და გაითავისა, რომ საოცარი ზღვარი არსებობს „საწუთროებასა და ზენაართ სამყოფ სადგურს" შორის, ხოლო ბედის საზღვრის მიღმა ყოფიერება ცოცხალი ადამიანის, პიროვნების თავისუფალი ცხოვრების სინონიმია: „ადამიანო, შენ მხოლოდ წამიერი სიზმარი ხარ, სნეული ოცნება, და თუ ამ ქვეყნად რამეს წარმოადგენ, მხოლოდ შენს სულიერ ტანჯვათა და ფიქრთა შემწეობით". (რ. შატობრიანი)..

გენო კალანდია მუდმივად გვთავაზობს ლექსის ახალ ვერსიფიკაციას, ახალ-ახალ ფორმებს, თემებს, არაორდინალურ მიდგომას მოვლენებისადმი. მისი პოეტური ესთეტიკა გამორჩეული და ორიგინალურია, დახვეწილი და ამავდროულად ლაღი.

დიახ, საოცრად მაღალი და მშვენიერია მისი ტრიოლეტები. ჩურჩულით ჩვენამდე მოტანილი პასტორალური განწყობილება...

მინიშნებები და სიმბოლოები, საიდუმლოებით მოცული სახეები გენო კალანდიას მკვეთრად განასხვავებს თანამოკალმეებისგან. საინტერესოა ის, რომ ლექსის ყოველი სტროფი ინდივიდუალურობითაა გამორჩეული და არსად არ იმეორებს თავის თავს. მთელი ლექსი ჰარმონიულ შეგრძნებას ქმნის.

გენო კალანდიას, როგორც შემოქმედის გზა სულიერი პილიგრიმობის გზაა თავისი მრავალფეროვნებითა და ადამიანური წინააღმდეგობებით. იქნებ ამითაა გამოწვეული

მისი ფიქრის, განცდებისა და სათქმელის რაღაც ერთგვარ მარყუჟში მოქცევა, რაც სალექსო ფორმების მაძიებელი პოეტისათვის ახალი საფეხურია პოეტურ ხელოვნებაში... მისი უჩვეულო ტრიოლეტები სიმბოლიზმის მიღწევების შემოქმედებითი ათვისების დადასტურებაა. ლექსებში გახმიანდა მისი ტკივილით და დრამატიზმით აღბეჭდილი მსოფლმხედველობრივი ასპექტები, ეროვნულ ტრადიციათა განცდა. უმთავრესი მაინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვით გამოწვეული ტრაგიზმის მხატვრული ასახვაა.

მართებულად ბრძანებს სოსო სიგუა: „გენო კალანდიას ფაქიზ ლექსებში ცოცხლობს პარნასული და სიმბოლისტური ტრადიციები. იგი ცხოვრების მღვრიე ნაკადში ეძებს ლამაზსა და მშვენიერს, არტისტულსა და ამაღლებულს. ამიტომ მოუხმობს ესოდენ ხშირად მითოლოგიურ და ისტორიულ ლანდებს. ისინი დავიწყების ღამეს მოარღვევენ შორეული ზეციდან, რათა კიდევ ერთხელ გაცოცხლდნენ ლირიკულ წარმოსახვებში.

მაგრამ გენო კალანდიას პოეტური საყრდენი არის კოლხეთი, მშობლიური ადგილები, რომელთაც ზმანების ნისლეული მოსავთ – ოდიშის ჭალა და ჭალადიდის ლერწამი, ფაზისის ვარდი და ტეხურის ზვირთი, ლებარდე და შამგონა...

იმ დროს, როცა ირღვეოდა ლექსის სტრუქტურა, გენო კალანდიამ სონეტსა და ტრიოლეტს მიმართა; მაშინ, როცა რომანტიკას ებრძოდნენ – პოეზიაში მწვანე წვიმები, ფორთოხლისფერი საღამოები და მწუხრის არაბესკები შემოიტანა; ახლა როცა ვულგარობა კარგ ტონად ითვლება – შემოდგომის მოტივებს უსმენს, იების ცრემლს ხედავს და გულს უკლავს განშორების სევდა; როცა სამშობლოსა და მშობლიურის გრძნობა ლამის ზედმეტი გახდეს – ნაცრისფერი სამეგრე-

ლოსა და დაკარგული აფხაზეთის ტრაგედია არ ასვენებს.

გენო კალანდია პოეტი – მოღვაწეა, რომლის ლირიკაში გაერთიანდა ჩვენი დღეების კოშმარი, აღმაფრენა.“ [1]

გენო კალანდიას ნათელ, „გულგაშლილ და ხელგაშლილ პოეზიაში“ (ჯარჯი ფხოველი) აშკარად იკვეთება მტანჯველი ფიქრები დაკარგულსა და აუხდენელ ოცნებაზე. ცხოვრება ხომ ურთულესი, წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია და ეს მაშინ, როცა ადამიანი კარგავს თავის სამშობლოს, როცა ცხადად ხედავ; „სამშობლოდან სამშობლო მიდის უსამშობლო საფლავის ჯვრებით“ ...

დიახ, „პოეტს ბედმა მძიმე ჯვარი არგუნა – ვარამით და მონატრებით, ნოსტალგიითა და ტკივილებით გაჯერებული დღეების გაცოცხლება, მეტაფორად ქცევა, რომ მომავალმა თაობებმა კარგად იცოდნენ, – რას ნიშნავს საკუთარ სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენა“. [2]

გენო კალანდიას ტრიოლეტები მელანქოლიური განცდებითაა შეფერილი, პოეტური ასოციაციები, როგორც არაერთხელ მივანიშნეთ მხოლოდ პოეტური სინტაქსის მეოხებით აღწევენ გამართლებას. აკი გოეთე ცალკეული მოტივებისა და პოეტური პოეზიის საიდუმლოებას პოეზიის საკუთრებად მიიჩნევდა და ადამიანის ასეთ სახეობას ადამიანური ინტელექტის სრულიად განსაკუთრებულ გამოვლინებად თვლიდა. მის პოეტურ სიტყვას მოაქვს სიხარული და აღმაფრენა, უწვეულო არტისტიზმი და განცვიფრება-იდუმალების შეგრძნებით აღმოცენებული – აკი „განცვიფრება სულის თავისუფლებაა“ (რევაზ თვარაძე“).

---

1 სოსო სიგუა, პოეტი მოღვაწე, გენო კალანდიას წიგნში „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი, 2005. გვ. 15

2 მარინა ტურავა, „ტრიოლეტებით შევრჩი სანუთროს“, „ჩვენი მწერლობა“, 25 მარტი, 2012, გვ. 54

როგორც ლიტერატურის თეორიიდან ვიცით, ტრიოლეტი რვატაეპიანი კანონიკური და შეზღუდული ფორმის ლექსია. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ფრანგულ პოეზიაში. ქართულ სინამდვილეში კი XX-ს. 10-20-იან წლებში დაამკვდრეს ვალერიან გაფრინდაშვილმა, პაოლო იაშვილმა, იოსებ გრიშაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა.

გენო კალანდიას ტრიოლეტებში ზუსტი შტრიხებით, კოლორიტული დეტალებით, მისეული, პოეტური სტილითაა გახსნილი ლირიკული პერსონაჟის ხასიათი და შინაგანი ბუნება.

გურამ ასათიანი პაოლო იაშვილზე წერდა: „ჭეშმარიტი პოეტი თვითონ ქმნის თავის ბიოგრაფიას, შთამომავალთა მეხსიერებაში ის რჩება თავისი ლექსებით, მის მიერვე შექმნილი სახეებით გარშემორტყმული. დროს მიაქვს ცხოვრების წვრილმანები და ტოვებს მთავარს. იმას, რაც პოეტმა ქაღალდზე დაღვარა და სამუდამო სიცოცხლისათვის ჩაბერა სული. მაგრამ პოეტის პირადი ბედ-იღბალი მაინც განსაკუთრებულ ელფერს სძენს მის შემოქმედებით პიროვნებას“.[1]

გენო კალანდიას ტრიოლეტებში ნაზად, ჩურჩულითაა გამოხატული სათქმელი. მისთვის პოეზია სიცოცხლის ჭეშმარიტი დღესასწაულია, სიკეთის ქმნის დიადი გაკვეთილი, რამეთუ „ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი, გულითა, რამეთუ ისინი ნუგეშისცემულ იქმნენ“.

მძიმეა პოეტის ჯვარი. მისი ცრემლშეუმშრალი ტკივილია ენგურსგაღმა დარჩენილი საქართველო. ჩვენი თაობა ვერასოდეს ამოწურავს აფხაზეთის უგვანო ომის თემატიკის ზუსტად ასახვას დრო, გადასახედი, დაღვინება სჭირდება... პოეტი სევდანარევი ტკივილით გასცქერის ენგურს იქითა ქართველობას. გუმანით გრძნობს „ცუდმედინი დროს“

1 გურამ ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., „მერანი“, 1988, გვ. 358

დადგომას, მაგრამ სჯერა უფლის, ეიმედება საქართველოს ერთიანობა და მთელი არსებით ელოდება იმ მზეს, რომელიც ჩვენი სამშობლოს მთებიდან ამოდის და ერის ერთად გადაწნული გულებიდან რომ იბადება მხოლოდ.

პოეტი თავისი ეპოქის დროის სათქმელს ამბობს განსხვავებული სტილით და ინტონაციით და მუდმივ ძიებებში არასოდეს არ კარგავს თავის სულისკვეთებას, ფრაზის სისადავეს. ტრიოლეტებმა და მაქსიმებმა რაღაც თავისებური სილამაზით გააბრწყინეს მისი პოეზია. „გაშოლტილი ვარ გაზაფხულის მწვანე წვიმებით, თითქო ყრმა ვიყო პირტიტველი, მშობლის აჯამი". – აქაა სულის უჩვეულო ერთობა, დღესასწაულებრივი ჰარმონია, რომელიც შობს სიყვარულს ადამიანსა და რეალობას შორის. პოეტის სწრაფვას მშვენიერისა და ამაღლებულისაკენ ბოლო არ უჩანს. ცხოვრების ტალღების ერთიანი განუწყვეტელი ხმაური ჩენამდე აღწევს, რომელსაც მკითხველი ხარბად შეისრუტავს და ათრთოლებული, რაღაც უჩვეულოსა და საწაულებრივის შესაგრძნობად განეწყობა.

გენო კალანდიას პიროვნებაში, მის დაუდგრომელ და ბობოქარ ბუნებაში მთელი სილაღით გაბრწყინდა მიწიერი სასწაულმოქმედების ძალა, როგორც პოეტი და მოქალაქე, იგი ყოველ ცხოვრებისეულ ფაქტსა თუ მოვლენას დიდი სიმძაფრით განიცდის და ის დრამატიზმი, რომელიც მისი სულის უინტიმეს მისწრაფებათა გამომხატველია, ერთ-ერთი ძირითადი ნიშნულია თავისებური სიმბოლისტური ტენდენციებისა, სულ უფრო რომ იხვეწება და ზენიტს აღწევს მის ტრიოლეტებში.

სულ სხვა ხიბლი აქვს პოეტის თვალით დანახულ ზაფხულის ცას, და დაქრის პოეტის ფიქრები მაღლა, ვერცხლისფერი ღრუბლების ზემოთ და ბედნიერია, რადგან მის-

ებურად, ალბათ, არავის ძალუძს დაინახოს იოდისფერი საღამო, დაისით ყვითლად გადაღებილი ფორთოხლის ხეები, ზღვისპირით მომავალი „ვაჟი ვინმე, ვით ადონისი. შეხვეული აქვს ცისარტყელას ფოჩით კისერი, ვით ძლევამოსილს, გვერდით მოსდევს მთვრალი დაისი“ („ოდეს საღამო ჩამოდგება იოდისფერი“), – აქ ჯადოსნური რითმებითა და ხატსახეებით შექმნილი ფერწერული ჰარმონიაა. უძლიერესი დინამიკით დომინირებს ფერისა და ფორმის ერთიანობა. პოეტი მძაფრად განიცდის ადგილის დედასთან, მშობლიური ფესვებთან განშორებას: „როგორ მიყვარდა შემოდგომის ფერისცვალება, ელვით ჩამქრალი შენი უბე და ხეივანი“ ... და თუ ეს ყველაფერი ნარსულია, ანუ პოეტის თქმით ხსოვნაშია, იქნებ ღია ჭრილობებს დათაფლული ხავერდოვანი ქართულის მალამოში ამოვლებული არტაშანით უწამლოს... მისი პოეტურ ხატებსა და მეტაფორებს საფუძვლად უდევს ჩვენი თვალწარმტაცი ბუნება, მართლაცდა რა საოცარია, როცა „ადამიანს აქვს უნარი განიცადოს სულიერი ნათელი, ბრმა ჰომეროსი შინაგან ნათელს განიცდიდა. მას ხედავდა გონების თვალით. ეს ნათელი სულით საცნაურია, პლატონი ხილულ ნათელზედაც მსგავს რაიმეს ამბობდა. თვალს იმიტომ ძალუძს ნათელი, რომ თვალი თვითონა ჰგავს მზეს, თვალს თვითონა აქვს ნათელი, ეს მისი შინაგანი უნარია, თუ თვალში არ არის ნათელი, ის ვერა გრძნობს გარეგან სინათლეს, ასევე თუ სულში არაა ნათელი, ის ვერ გრძნობს სულიერ სინათლეს, სულიერი ნათელი ახლავს ხილულ ნათელსაც. მას მხოლოდ ზედამხედველობით შეიგრძნობს“.[1]

მოციქულმა ბრძანა: „მოუკლებლად ილოცვიდეთ“, რაც გულით ლოცვას გულისხმობს. პოეტი ტრიოლეტებში მთელი

1 რ. სირაძე, „ნაკადული“, 1998, გვ. 34-35

არსებით, უფლისკენაა მზერამიქცეული და განუწყვეტლივ სულით, გულით ლოცულობს: „მადლი მოისხი, ნეტარო ჩემთვის, შემაძლებინე ტაძრამდე მისვლა“ ... („მადლი მოისხი ნეტარო ჩემთვის“), „ჰყვაოდეს ცისფრად ცა იდუმალი, ხარობდეს მრეველი შენი მლოცველი“. („ვედრება წყალთ უფლისადმი“).

ამბობენ ლოცვა მით უფრო გულმხურვალეა, რაც უფრო ჩუმად, ღმერთის გასაგონად ითქმისო, და ეს ლექსიც ისეთი ლოცვაა, რომელსაც პოეტი თავისი ღმერთის წინაშე ამბობს და მთელი არსებით ეძლევა აღსარებას...

პოეტს ცხოვრების გზაზე სერაფიმები მიუძღვის, „ვაზივით გვირგვინდაწნული დაა“ მისი სტუმარი, პოეტიც მოკრძალებით დგას წმინდა საკურთხეველთან და უგულწრფელეს ლოცვას აღავლენს: „ჩვენი ნამდვილი სტოა, კლდეკარი, – არის ღვთის სიტყვა – დიდი ბოძალი, უფლის დღე არი, წმინდა დღე არი, – განათებული კვირის ლოცვანით“ ...

პოეტი გაჰყურებს წარსულს, საიდანაც მოჩანს ჩვენი ტრაგიკული და უტყვი ისტორიის მოწმეები – სტოა და კლდეკარი, რუისი და ურბნისი, გელათი და ბოლნისი, ბეთანია და მცხეთა... თეთრ თოვლთან, სიწმინდესთან და სისპეტაკესთან ასოცირდება დიდებულ ტაძართა ფერები, ფეხაკრეფით უახლოვდება წარსულის დიდებულ საგანძურს, სადაც „გული სხვა შვებით, სხვა კდემით ფეთქავს, – გელათს თუ ბოლნისს, ბეთანს თუ მცხეთას“ ... მისი თითოეული სტრიქონი ხმამაღალი ფიქრია და სიხარულისა ტკივილის აღსასრულამდე მისული გლწრფელობის გამჟღავნება. არის რაღაც საოცარი იდუმალება, მაგრამ სულის უეცარი აფეთქებები, როგორც ვარდის კვირტებმა იციან ხოლმე ადრიან გაზაფხულზე. ხან კი ისეა აბორგებული, როგორც სოხუმიდან წამოღებულ ცისფერ ნიჟარაში ჩარჩენილი ზღვის ტალღების ხმაური... მისი პოეზიის

იდუმალებასა და სილამაზეს ჯადოსნური მეტაფორებითა და ხატ-სახეებით შევიგრძნობთ და ჩვენს წარმოსახვაში ცოცხლდება არა მარტო ჩვენი უკიდეგანო სამყარო, დროისა და სივრცის ნიშნებით დასერილი აბსტრაქცია, არამედ რეალობა ხელშესახები ფიქრებით, მისი სულით მოტანილი ჩვენამდე.

მისი ტრიოლეტებიდან თითქოს ნამდვილი ეპოსი იმზირება, რამეთუ ჩვენს დღევანდელ წარმოსახვაში გენო კალანდია ერთი მთლიანი რენესანსული პიროვნება და შემოქმედია უჩვეულო ფერწერულობითა და კოსმიური მისტიკით.

რუხის ციხესთან ცას ჩამოკიდებული ღრუბელი, „გაზაფხულის ჭრელი ჯოგი" რაღაც იდუმალი შუქით შემოდის ჩვენს არსებაში, ხოლო როდესაც პოეტი წერს: „გზისპირ ირმის რძეს და სულუგუნს ყიდის ჯოკია" ეს არის არა მხოლოდ საგანთა თუ მოვლენათა უბრალო მსგავსებაზე, გარკვეულ თვისებათა სიახლოვეზე აგებული ჩვეულებრივი პოეტური შედარება, არა უბრალო ტროპი, არამედ პოეტისეული განწყობილებისა და მისი მსოფლმხედველობრივი ნიშნების შემცველი სიმბოლოც.

პოეტი მუდმივად მშობლიურ კუთხეს დასტრიალებს და მოგონებებში ცოცხლდება „ძველი ჩონგური, – ცრემლივით სუფთა და მშვენიერი, ვნებადამცხრალი ვით შინაბერი" ... ეზმანება წინაპართა ძვირფასი აჩრდილები, მუდამ ახსოვს ზღვა, მწვანე ბოთლი თევზით, ხამანწკით, ღრუბლის წვეთებით. პოეტის ხილვები მისტიკურ ბურუსშია გახვეული: „ღვინო, დიაცი, ვარდი, თრიაქი ზღვის ლივლივივით გახდა ერთფერი, ეს მწვანე ბოთლი ბიჭებს მიართვი თევზით, ხამანწკით, ღრუბლის წვეთებით".

უჩვეულო ლირიზმით გალიცლიცებული გრძნობები, რომლებიც გამოხატულია ლექსში „ოფელია" სიცოცხლისა და სიყარულის მარადიული ტრფობის ჟინით ანთებს ჩვენს გულებს:

„ერთი ტბა ვიცი მალაქიტის, ერთი თქმულება, ქალის და ვაჟის უცნაური ტრფობის ამბავი“ ... ისევე როგორც ვალერიან გაფრინდაშვილის სიმბოლისტურ ლექსებში ხშირად გაიელვებს ოფელიას სახელი, გენო კალანდიასათვის ოფელია სიყვარულის ლაბირინთიდან გამოსული ძვირფასი სახეა... პოეტს, როგორც შემოქმედს მთელი არსებით უყვარს და აღმაფრენას ჰგვრის ადამიანი – ბუნების ეს უმშვენიერესი ქმნილება. წუხს და გული ეწურება, სული ეწეწება, რომ ადამიანთა ყოფა ტრაგიკულია, ადამიანი მიუსაფარი და მარტოსული... სული ეხუთება, როცა ხედავს გათითოკაცებულ საქართველოს და თითქოს „საუკუნეთა ცოდვების“ განწმენდისათვის (კ.გამსახურდია) ირჯება: „არ დაძაბუნდე, საქართველოვ, არ გატყდე სულით, გეყო ცრემლი და სინანული, გეყო: – ვაიმე“ – და ფეხაკრეფით მიემართება თეთრი ტაძრისკენ, იქ, სადაც „სჯულის კანონს, კარაბადინს ქმნიდნენ მოგვები, მკათათვის მწიფე თავთავივით მძიმე თავებით“ ... „იქ, სადაც მწუხრის ლოცვებს გვიგალობდნენ წმინდა მამები“ ...

გენო კალანდიას რწმენით, სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი. ამიტომ ირჩევს პოეტი უფლის გზას, უფლის სავანეს – „თეთრ სახლს“ და მუდმივად ესმის მარადიული ძახილი ციდან... „აქ მწუხრის ლოცვანს გვიგალობდნენ წმინდა მამები“ – პოეტის ფიქრების ველს კრავს, ამთლიანებს, ნუგეშით, რწმენით გვავსებს და სიცოცხლის რწმენას გვინერგავს.

„პოეტი უპირველეს მოვალეა იმ ხალხისა, ვისი ენითაც მეტყველებს“ (გიიომ აპოლინერი). გენო კალანდიას რაღაც განსაკუთრებულად უყვარს თავისი ქვეყანა და ხალხი. პოეტს უაღრესად უყვარს სიტყვა, იცის ჭეშმარიტი, ალალი და მართალი სიტყვის ფასი, ის მკითხველს შემოქმედებითი მარტვილობისათვის წვრთნის, მისდაუნებურად ქაღალდზე გაქ-

ცეული სიტყვით: „გლეხს რომ ბალახი გაექცევა სავსე ყანაში, ისე გამექცა ამ სისხამზე სიტყვა ქაღალდზე“ – წერს პოეტი და ჩვენს წინაშე წარმოჩინდება ჭეშმარიტი რაინდი და მოქალაქე, „მოისარი და ქართული მიწის ქადაგი“, რომელიც თავისი შემოქმედებითა და პიროვნული ცოცხალი იერითაც ბუნებრივად განასახიერებს ქართული სულის სიმხნევესა და სიმრთელეს.

პოეტი მარადიული სულიერი ფასეულობების ერთგულია. „გელათს თუ ბოლნისს, ბეთანს თუ მცხეთას“, საყდართან მდგარი მოხუცის აჩრდილი არ ასვენებს, მარადიულად რომ ახსოვს „ძისა და მამის წითელი წიგნი“ ... პოეტს ღრმად სწამს და სჯერა „შენი თვალები იხილავენ მეფეს თავის მშვენიერებაში და დაინახავენ თავის ქვეყანას“ (ესაია წინასწარმეტყველი 33,17).

უაღრესად ფართოვდება გენო კალანდიას პოეზიაში ხატოვანი მეტყველების ჩარჩოები. ვფიქრობ, მთავარი და არსებითი მაინც ისაა, რომ მისთვის ობიექტური რეალობა და „სიზმარცხადი“ ერთნაირად მნიშვნელოვანია... მისი, როგორც ხელოვანისა და პოეტის სულის ბედისწერა ღვთის მიერ გაცხადებული საიდუმლოს ჩაღრმავებისაკენ სწრაფვაა... მისი ტრიოლეტებიდან ვგრძნობთ ნაირფერად მოკაშკაშე ყვავილების სურნელს, „გაზაფხულის მწვანე წვიმებით გაშოლტილი პოეტი ოქროს ზონარით მოინიშნავს მარჯნით შეფაკლულ ცას, ცაცხვის ფოთლებით სავსე ეზოსა და ხეივანს: „ძოწით, იასპით იწვის მკათათვე ვით იისფერი სოფლის ტაძარი“. საოცარი ხილვაა: „... დილიდან ბაღში დაფრინავს შაშვი, მგალობლის ხემით და ვერცხლის კვესით, ფორთოხალს კრეფს და იცინის ბავშვი, – ოქროსთმიანი პატარა ზევსი“.

ზღვისპირად მდგარ მეთევზის ქოხს დღემდე ვერ ივი-

წყებს პოეტი და ყვედრებით იტყვის: „ორმოცს გადავცდი, გადამექცა სიზმრად ყოველი, აწ გარდაცვლილი სიჭაბუკე და აღმაფრენა“, – რამდენი რამ არის ჩაწნული ამ სტრიქონებში, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს პოეტის ყრმობისა და სიჭაბუკის სურნელი იფრქვევა და ამ თავაწყვეტილ სტრიქონებში ჭაბუკური წლების აღმაფრენა, სიყვარული იკითხება, მაგრამ აქვეა ზმანებები, აურაცხელი წადილი და ნოსტალგიაც. ამაღელვებელი განცდებითა და ფიქრებით პოეტი სიჭაბუკის წლებში გვაბრუნებს და სიცოცხლითა და ხალისით გვავსებს, ოდიშისა და ჭალადიდის აქოჩრილი ტყეებიდან მობერილი ნიავივით რომ გველამუნება.

კოლხეთის ულამაზესი ცის სიღრმე და იქაური ლანდშაფტების დიდებულებაა დახატული შემდეგ ტრიოლეტში: „უეცრად ფიქრი გაგექცევა ზაფხულის ცისკენ, იქროლებ მაღლა, ვერცხლისფერი ღრუბლების ზემოთ, თვალს გადაავლებ ცისარტყელას ჭორფლიან კისერს, ვით მზის თითებში აღტყინებით მოქცეულ ველობს“. ჩვენი შემეცნების კედელზე სამუდამოდ რჩება „ცისარტყელას ჭორფლიანი კისერი, ვით მზის თითებში აღტყინებით მოქცეული ველობი“ ... ვფიქრობ, ეს თამამი და გაბედული ხატ-სახეებია, რომლებიც აშკარა პარალელებს პოულობენ ევროპული რომანტიზმის ზვიად ვირტუოზებთან...

გენო კალანდიას მისტიკურ-ემოციური საზრისი პირადად ჩემთვის სილამაზისა და მშვენიერების ჭეშმარიტი საგაბელობელია, რამეთუ გაუსაძლისი ტკივილები და განცდები, ჯოჯოხეთური ძრწოლები და ზეციური სიხარული იდუმალ, მანათობელ სიტყვებით აღიბეჭდა ჩვენს შემეცნებაში. განა ამგვარ ეგზისტენციალურ, ტკბილ-მწარე სულის ლაღობა არ იკითხება ბოდლერის სტრიქონებში: ... „პოეტი მოჰგავს იმ

უფლისწულს, ღრუბელთა მხარის ის ძმობს ქარიშხალს, ტყვია – ისრის არადჩამგდები. და როცა ტყვეა მიწისა და გნიას-ხარხარის, მას სიარულში ხელს უშლიან ვეება ფრთები“ („ალბატროსი“).

გენო კალანდიას პოეზიაში ჩაბუდებული სული ქართულია. ეს ის სულია, მთელ სამყაროში რომ „დახეტიალობს“ და სივრცე ვერ უპოვია... პოეტმა კარგად იცის, რომ ცხოვრება უმშვენიერესი ნოველაა და მუდამ საკუთარ სტრატეგიას გვთავაზობს და ყოველდღიურობის ფოკუსში გვითრევს, რათა ძლიერმა სულიერმა ტკივილებმა არ დაგვრთგუნოს, არ დაგვაბეჩავოს, ტრადიციული ორიენტირები, რამაც დღემდე მოგვიყვანა, არ დაგვაკარგვინოს. ამ თვალსაზრისით, პოეტის ჩურჩულით ამოთქმულ სტრიქონებში საგულისხმო აქცენტებია და ის სასიცოცხლო ველიცაა მონიშნული, კაცს ამ წუთისოფელში რომ აძლებინებს.

გენო კალანდია ჩვენს ეპოქას სჭირდება. გვჭირდება ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილ ქართველობას, ჩვენი დაწყვეტილი ნერვებისა და დაშლილი სულის გასამთელებლად. გვჭირდება სიტყვის ჭეშმარიტი დიდოსტატი, როგორც რაინდი და მოქალაქე. გენო კალანდიამ უკვე დაიმკვიდრა განუმეორებელი ადგილი ქართულ პოეზიაში, მან მოიტანა ახალი სამყარო, ახლებური ინტონაციები, ქართული ლექსის ახალი სახეობები, სიტყვის ახალი საშუალებები და ყოველივე მისეული სულის ნათლით გაასხივოსნა.

ტრიოლეტებში რაღაც ახალი ძალით გაბრწყინდა მისი სულის უიდუმალესი ხვეულები. მის მხატვრულ სამყაროში ბევრი საგანი, ბევრი მოვლენა გვხიბლავს ორიგინალობითა და ცხოვრებისეული მრავალფეროვნების გამოხატვით. აი, როგორ გადმოგვცემს პოეტი ზამთრის სურათს: „თეთრი ცხ-

ენივით ბალახობდა მთებზე ზამთარი. მთელი დღეები იდგა თოვლის მელანქოლია“ ... აი, როგორაა დანახული წარსულის სურათები: „თოვს... საფეთქლებთან შრიალებენ თოვლის თითები წარსულის მკვდარი სურათების ჟამის სახელით“. და კიდევ: უჩვეულო განცდებს აღძრავს მისი თვალით დანახული ქალი: ... „მეფეს, შემოქმედს, მონას, გამგებელს საჩინოს უჩენს ფიქრს და განზრახულს, ყაყაჩოს ალი დაჰკრავს ბაგეებს, – ღიმილის ნელი ზვირთით დანაღმულს“. განსაკუთრებული და ორიგინალურია რუის-ურბნისის ტაძრის მოძღვრისადმი მიძღვნილი ხოტბა: „შენ გაგიმარჯოს ჩემო მოძღვარო, რუის-ურბნისის მწყემსო კეთილო, სულებს რომ კურნავ უფლის ნათელით, შენ გაგიმარჯოს ჩემო მოძღვარო!“ კითხულობ გენო კალანდიას ტრიოლეტებს და არ შეიძლება არ გაგაოცოს მისმა პოეტური წარმოსახვის მასშტაბებმა. პოეტი ჩურჩულითაც კი არღვევს იისფერ მდუმარებას, თითქოს მთელი ქვეყანა ოქროს კოშკია, სადაც მუდმივად მორთულ-მოკაზმული ნატვრის ხე ხარობს, სადაც ყოველი ნატვრა-ოცნება სინამდვილედ იქცევა და თხემით-ტერფამდე გრძნობ, თუ როგორ მღერის ფეხქვეშ დედამიწა. ჰოი, „რა ვარდებია, რა დარებია, რა სამოთხეა, აქეთ გაშლილი, – ხუნწით, აბაშით, ხონით, მარტვილით“. პოეტი ადგილის დედას, მშობლიურ სანახებს ვარდებთან და მზიან დარებთან აიგივებს. გაბედული და შთამბეჭდავი ხატებია, მაგრამ ლექსის ფინალში რეალიზებული სიმბოლო უფრო ეფექტურია ... „რა სახლებია მუხის კარებით, რა ჭა და გვიმრა – ვერცხლის ზარნიშით, რა ვარდებია, რა დარებია, რა სამოთხეა აქეთ გაშლილი“ ... არსად არ შემხვედრია მშობლიური ადგილებისადმი უნაპირო სიყვარულისა და აღტაცების ამგვარი პოეტური ფორმა. შეუძლებელია ალბათ სამეგრელოს სოფლის კოლორიტის ისეთი შეგრძნება, როგორსაც

ამას ჩვენს მიერ ზემოთმოტანილ სტრიქონებში ვხვდებით. მთელი ბუნება ლაპიდარულადაა ჩაქსოვილი ლექსში და პოეტი გაფაქიზებული სულით, გაფაციცებული მზერით ელოლიავება საქართველოს ყოველ კუთხეს. ლექსში დახატული სურათი მისი პოეტური განწყობილების უშუალო ლირიკული ხატია, სიუჟეტით დაკონკრეტებული და ღრმა ემოციით დამუხტული.

პოეტი ლაღად და თავისუფლად გამოხატავს ლირიკული პერსონაჟის განცდებს და ამაშია მისი, როგორც სიტყვის ვირტუოზის საიდუმლო. „მოდი, ზღვისპირას დავდგათ კარავი, ზაფხულის უცხო დღეთა სადაგი ქვიშის ხასხასა ნოხით, ფარდაგით, მოდი ზღვისპირას დავდგათ კარავი“ ... აქაა მზიანი სევდა, წარსულის ლამაზი ნაკვალევი... და მაინც, ნოსტალგიის, სიხარულის, მშვენიერების ასახვა იშვიათი პოეტური ფერებითაა მიღწეული. თითოეულ სიტყვას თავად მივყავართ პოეტის შინაგანი სულიერი სამყაროსაკენ. პოეტი სილამაზეს, მშვენიერებას, ხასიათის კეთილშობილებას და მაღალ კულტურას დაეძებს. აკი „ადამიანის უკვდავი და მოაზროვნე სული ანგელოზურ ცხოვრებას ვერ შეძლებს, თუ ღვთაებრივი ძალის შეწევნით არ განიწმინდება საბოლოოდ“.[1]

„ლოცვა ტაძარში“ მისტიკური ხილვებითაა განათებული, რომელშიც ზღვრამდე მისული ოსტატობითა და ძალმოსილებითაა ხორცშესხმული ქრისტიანული სულისკვეთება. დედის – მოხუცი ქვრივის ლოცვა მაცხოვრის მისტერიასთან რომაა დაკავშირებული. იმდენად საინტერესო და შთამბეჭდავია მთელი ლექსი, გიძნელდება ცალკეული სტრიქონების გამოყოფა... აქ პოეტის წარმოსახვა უთვალავი ფერებით ბრ-

1 წმინდა ნიკიტა სატიფატე, წმ. სვიმონ ღვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის ჰიმნებისათვის, 4.413

წყინდება, მეტაფორები თუ პოეტური ხატები მოულოდნელად ჩნდება ლექსის მთელ ქსოვილში: „მაცხოვრის სარკმელს ანათებს ელი, ვით მწუხრის მზე და ყვითელი მძივი, წმინდა ტაძარში ლოცულობს მრევლი, ლოცულობს დედა მოხუცი ქვრივი...“ პოეტი ოცნების ერთგულებით, რწმენითა და სიყვარულით გადმოგვცემს ჭეშმარიტ აზრსა და კეთილშობილებას, რომ დაგარწმუნოს – „უფლის დღე არის წმინდა დღე არი, – განათებული კვირის ლოცვანით“ ... კვირის ლოცვანით განათებული წმინდა დღე რაღაც უჩვეულო სიმსუბუქით შემოდის ჩვენს არსებაში, თან მოაქვს აბიბინებულ და აყვავებულ ველ-მინდორთა სიხასხასე და სურნელება, მისი ათასფეროვნება... პოეტი სულიერი გზნებით ქმნის წუთისოფლის სურათებს, სადაც ყველაფერი თვალით დასანახია, რომლებშიც გხიბლავს გულით მზირალი და სამყაროს მჭვრეტელი მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი ხელოვანი... პოეტს მთავარი ყურადღება ოქრონაქსოვი საბურველის მიღმა მყოფ სულიერ რეალობაზე გადააქვს და იბადება ადამიანური თანაგრძნობის, მიმდობელობის, მიმტევებლობისა და თანალმობის უიშვიათესი განცდები.

ტრიოლეტები „ვაჟა“, „ლოცვა ტაძარში“, „იქმენ ნათელი“, „შაშვები“, „პატარა ზევსი“, „მონაზონი“, „წითელი წიგნი“ და სხვ. მიგვანიშნებს გენო კალანდიას პოეზიის ფერადოვნებაზე, მისი ნიჭის მასშტაბურობაზე, ნიჭისა, რომლის „გაქანება ჰორიზონტს როდი საჭიროებს, ვერტიკალურად იძვრის მისი სტრიქონი რიყიდან – ლურჯ კლდემდე“.[1]

ვაჟა-ფშაველაზე ვინ იცის, რამდენი დაწერილა და კვლავაც დაიწერება, მაგრამ სულ სხვაა გენო კალანდიას თვალით დანახული „მთის არწივის“ შინაგანი სამყარო, მისი ბუმბერ-

1 თ.ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ., 1999, გვ. 43

აზი შემოქმედების იდუმალება, ქართული ფერებით დახატული მსოფლიო ყოფა, უნივერსალური მსოფლმხედველობა და ქართული მსოფლშეგრძნება... უნებლიეთ მახსენდება გრიგოლ რობაქიძე: „თანამედროვე ქართველ პოეტებს შორის ვაჟა-ფშაველა მოვლენაა ყველაზე მეტად იდუმალი და თვითმყოფადი. ნებისმიერი ლიტერატურული სკოლისა თუ მიმართულების მიღმა დგას იგი. მიუსადაგია მისთვის მსოფლხედვა „თანამედროვისა“, ძნელად სარწმუნოა, რომ ჩვენი თანამედროვეა ეს მკვდრეთით აღმდგარი ძე მითოლოგური წარსულისა. უბრალო, თითქმის გაუნათლებელი თანამედროვე კულტურის მიღმა მდგარი. ის ახდენს შთაბეჭდილებას რაღაც ველურის, ტყიურის, მითიურის... ცხოვრობს იგი თავისი საყვარელი ფშავის მთებში. იზიდავს მას უპირველეს ყოვლისა, ბუნება და მისი ცხოვრების წესიც მწყემსური ყოფისაგან დიდად შორს არ წასულა, მაგრამ მისთვის განმჭვრეტი მწყემსისთვის, ჩუმ და იდუმალ ღამეში გადახსნილია ვარსკვლავთა ზეცა და იგიც, სამყაროს საერთო მდუმარების ჟამს გარდასახავს ცის ამ საიდუმლოს თავისი ლერწმის სალამურის მომხიბლავ ხმებად“.[1] გენო კალანდიას რწმენით, ვაჟა-ფშაველა იმდენად თავისებურია და ინდივიდუალური, რომ მთელ კაცობრიობას ჰყოფნის სულის სალბუნად. აშკარად ვგრძნობთ ვაჟას ბობოქარ სამყაროს, ძალზე ეფექტურია პოეტის ჩანაფიქრი, რომ გადმოშალოს ვაჟას სული, საკუთარი შთაბეჭდილებებით განცდილი და გააზრებული: „ვაჟა-ფშაველა ბრუნდებოდა სოფელში ღამით, აბგაში ედო ნაძვის კვარი და იის კონა, გულს უხარებდა მშობლიური მდინარის სრბოლა, ვაჟა ფშაველა ბრუნდებოდა სოფელში ღამით“ ... პოეტმა შთამბეჭდავად წარმოაჩინა ვაჟა-ფშაველას შთამა-

1 გრ. რობაქიძე, ვაჟას ენგადი, „მნათობი“, 1987, №10,. გვ. 77

გონებელი სახე. კითხულობ და მეხსიერების ფსკერზე სამუდამოდ აღიბეჭდება ბუმბერაზი ვაჟას პიროვნული ხასიათი: „ცრემლი ჟონავდა დავსებული თვალიდან თაფლად, იდგა, უსმენდა ღამეული არაგვის ქორალს“ ...

ეს ტრიოლეტი მარინა ტურავას ბესიკ ხარანაულის ცნობილ ლექსს „ვაჟა ფშაველა ცხენით მიდის ჩარგლიდან თბილისში და გზად თავის ცოლს ებაასება“ აგონებს და წერს: „ – ჩარგლის გზაზე მიმავალი, ცხენზე ამხედრებული, ხურჯინგადაკიდებული დიდი წინაპარი კვლავაც არაერთ პოეტს აუმღვრევს შთაგონებას“ [1]...

გენო კალანდიასათვის ვაჟა ფშაველა დედამიწაზე ჩამობრძანებული განსხეულებული სასწაულია და პოეტმა ჭეშმარიტი ერისკაცის გულისტკივილით შეგვძრა, ჩაგვახედა ვაჟა ფშაველას პოეტურ სამყაროში და კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ: „ვაჟა ფშაველა საქართველოს რჩეული მეფეებივით სიცოცხლეშეწირული, ზნეობრივად გულადი ჯარისკაცი და მამულისთვის თავდადებულია. დაუღალავი მონა მსახურია. ფეხშიშველად მოარული ქურუმია ერთგული პატრონის მომლოდინე ქვეყნისა... ვაჟა-ფშაველა ნიკო ფიროსმანაშვილივით პლანეტის ხელთუხლებელი მზისფერი სიბრძნის ბიბლიური წყაროა, რომელიც ღრმა ინდივიდუალურ შემოქმედად მოგვევლინა და პლანეტის ნებისმიერი ფილოსოფიური მიმდევრობის და, მითიურ გარდასულ დროთა ფასდაუდებელი საგანძურის ოქროს გასაღებს პოულობს“ [2]... (რეზო ადამია).

ჩემი აზრით, ძალზე ორიგინალური და გულშიჩამწვდომი, მაღალი სულის გამონაშუქია: „ვაჟა-ფშაველა ბრუნდებოდა სოფელში ღამით, აბგაში ეგდო ნაძვის კვარი და იის კონა“ ...

1 მარინა ტურავა, „ტრიოლეტებით შევრჩი სანუთროს“, „ჩვენი მწერლობა“, 29 მარტი, 2012. გვ. 54

2 რეზო ადამია, ვაჟა ფშაველა და დრო, „ჩვენი მწერლობა“, 2012.

გენო კალანდია ცდილობს იმ მისტიკური კავშირის შეცნობას, რაც არსებობს ადამიანსა და გარემომცველ სამყაროს შორის. დიდ ვაჟასავით მზის, ცის, მიწის, ღვთის მოტრფიალესა და მოთაყვანეს სრულიად თავისუფლად შეუძლია თავშეწირვით სხვათათვის სიცოცხლის მოტანა.

„ჩემი სიკვდილი სიცოცხლე გადიქცეოდა“ (ვაჟა) სიკვდილის დამარცხება კი მაცხოვრის გზის გამეორებაა და აქვე გახსენდება გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი პერსონაჟი, ზურგზე ამოსულ ნაძვს რომ ეწირება...

გენო კალანდია მთელი არსებით ცდილობს ვაჟა ფშაველასებური წმინდა სულის სრულიად საქართველოში დამკვიდრებას. ვფიქრობ, მან ეს შეძლო; რამეთუ გარდასულ დროზე დაფიქრება დამახასიათებელი შტრიხია მისი მრავალფეროვანი პოეტური შემოქმედებისათვის და ამიტომაც მეჩვენება, რომ ღვთისადმი ერთგულებისა და რწმენის დასტურია მზის ფერებით დახატული ვაჟას სულიერი სამყარო... ურღვევი მაღალმხატვრული ჰარმონია რომ ერწყმის ბუმბერაზი ვაჟას მარადიულ სიცოცხლეს.

„დაგიხატია ლხინის სუფრა, ღვინის სარდაფი, აბანოს ტურფა, ვერცხლისტერფა ხარიპარია.. გაგნათებია თვალთა ჭრილი ჭვირი სადაფით, თითქოს თასიდან აგიფრინდა ჭია მარია,“ – რაღაც სასწაულებრივი სილამაზე და სულისმიერი სიფაქიზე მოდის ამ სტრიქონებიდან. პოეტმა შთამბეჭდავად გააცოცხლა ფიროსმანის სულიერი სამყარო. რომლის ცხოვრება მისთვის მოგონებების, სიზმრების ნაერთია, და ცოცხლობს იმედი, რწმენა და სიყვარული, შთაგონებული იმდროინდელი ყოფის ცოცხალი კონტრასტებით. აკი „ფიროსმანის პალიტრა ქართველი კაცის გულისფიცარი იყო. იგი თავის ჯადოსნურ ფუნჯს გულსა და ფილტვში აწებებდა და გულისფიცარივით

პატარა, მაგრამ მაგარ ტილოზე ხატავდა მთელ სამყაროს, მასში სუნთქავდა ქართული სული". [1]

პოეტმა მხატვრული სიტყვის ძალმოსილებით გააცოცხლა და მიგვაახლოვა ჭეშმარიტი მხატვრის სახეს. მისეული ოსტატობით და გზნებით გვაგრძნობინა ფიროსმანის შემოქმედების ძლევამოსილება, თვით მისი კოლორიტული ფიგურაც, რომელიც მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ...

გენო კალანდიას აქვს წარმოსახვის არა ჭრელი კალეიდოსკოპი, არამედ მიკროსკოპი, რომელიც მას უხილავთან აახლოებს. ყველა ეპოქა საკუთარი საზომით აფასებს წარსულს. პოეტის მიერ წარმოდგენილი სულიერი მიმართება წარსულთან არის რაღაც ინდივიდუალური და განუმეორებელი. ეროვნული სულის, ეროვნული ფესვების ძიებას, საუკუნეთა დიდებული კავშირის ძიებას მშობლიური ბუნებისა და ზნემაღალი ოჯახის წიაღში მიჰყავს პოეტი. კალმის მოსმით შობილი ტილო ლირიკული ფერმწერისა ოდესღაც განცდილის, ფანტაზიაში შემონახულის რეალობად იქცევა ჩვენს თვალწინ: „ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის კვირას, ღვთის მსახურივით თეთრი ვარდი ეფინა გულზე, მზე ჩადიოდა ქარიატას, ერგეტას, ყულევს, ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის პირას" – მრავლისმეტყველად და შთამბეჭდავადაა დახატული მომაკვდავი დედის ხატება. უფრო მძაფრად, ვფიქრობ, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია სიკვდილ-სიცოცხლის მღელვარე წუთები. მშობელი დედის სიკვდილით გამოწვეული ტრაგიკული წუთების განცდასთან ერთად აქ ქრისტიანული მორჩილებაცაა და სიკვდილით გამოწვეული ლამაზი სევდაც.

პოეტურ ფერთა მაგიური ძალის ამაღლებული გამოვლინება და სულიერი ძლიერების ზეიმია, როცა ფანტაზიის

1 ც.მესხია, გზა ჭეშმარიტი შემოქმედისა, „მოლოდინი", თბ., 2004. გვ. 125

მეშვეობით გვაგრძნობინებს ამ უჩვეულო მეტაფორის „თეთრი ვარდის“ სასნაულს. „... დედას უყვარდა წმინდა ბარბარე, ხშირად მინახავს ეკლესიაში, როგორც ცის ნამი მარტის იაში, დედას უყვარდა წმინდა ბარბარე, ყველა ჩუქურთმა, ყველა კამარა თრთოდა, ბზინავდა მზე და ნიავში, დედას უყვარდა წმინდა ბარბარე ხშირად მინახავს ეკლესიაში“.. – პოეტი მეხსიერების ბილიკებს თვალმიდევნული, გონების მზერით ამოზიდავს დედის ხატს, მის უსათნოეს ბუნებასა და ღვთისადმი ერთგულებას. წმინდა ბარბარეს უმანკოება და სიწმინდე მზიური ნათელით ბრწყინდება წარმოსახვაში და ამიტომაც ჩნდება ასეთი შთამბეჭდავი სახეები: „ყველა ჩუქურთმა, ყველა კამარა თრთოდა, ბზინავდა მზე და ნიავში“ ...

ამ ტრიოლეტის კითხვისას გვახსენდება იოანე ოქროპირი: „ნუ დაუბრუნდებით ამქვეყნიურ ამაო გარჯას, გეშინოდეთ ღვთისა და იცოდეთ, რომ სიმდიდრე წარმავალია, დიდება – ფუჭი, სილამაზე – ცვლებადი, მშვენიერება – განქარვებადი, ყოველივე ამა სოფლის დიდება ამაო, რომელიც სიზმარივით დავიწყებას მიეცემა, კვამლის მსგავსად გაიფანტება და აჩრდილივით გაქრება. ამისთვის თქვა სოლომონ ბრძენმა: „ამაოება ამაოებისაი და ყოველივე ამაო არს“ (ეკლ.1.2.).

პოეტი ღვთაებრივ სულს ხედავს ცის ნამში, მზეში, მარტის იაში. ყვავილი ხომ უფლის სიმბოლოა. გავიხსენოთ იოანე საბანის ძე: „ყუავილ ეწოდა, რამეთუ ძირისგან იესჱსისა ყუავილად აღმოსცენდა ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან ჴორციელად, ხოლო სულნელებითა მათ ღმერთეებისაითა სული იგი მადლისაჲ მოჰფინა ჩუენ ზედა“. და კიდევ: სულნელებელსა ნელსაცხებელთ შენთასა ვრბოდით“ (სოლომონი, 1,4).

„უფლის მსგავსება და ხატია ადამიანიც – ისიც ყვავილია,

„ყვავილი ველთაი“, „შროშანი ველისაი“ – განმარტავს ნანა კუცია.[1]

პოეტი სენაკივით მოიცავს საკუთარ თავში მთელი ერის ცოდვა-მადლს სულიერების მოსაფრთხილებლად და გადასარჩენად... შინაგანი თავისუფლების სურვილს პოეტი უფალთან მიჰყავს, რათა მისგან გადმოსული მადლითა და სულის სიმტკიცით აღიჭურვოს და გონებისა და ბუნების ჰარმონიის მისტერიას ჩაწვდეს, ამოიცნოს კითხვის ნიშნებით დასერილი მიღმური სამყაროს საიდუმლოება. თავისუფლებისაკენ დიადი სწრაფვითა და სიცოცხლის მარადისობის რწმენით მიეახლება ის წმინდა ტაძარს, რათა კიდევ ერთხელ შეიგრძნოს ღვთისგან ბოძებული უფლება; კდიევ ერთხელ მოთმინებით შეუდგეს თვითჩხრეკვას, გაანალიზოს ის, რაც მის გარშემო ტრიალებს და ბრუნავს, მიაყურადოს სულის ხვეულებს, არ გამოეპაროს მისი „ქვეყნის ყალბი კაშკაში“, გადაარჩინოს ადამიანი, მსახვრალი ხელისაგან იხსნას ყველა, ვინც ამის ღირსია, ვისაც გულით სწადია ერის სამსახური...

მხატვრულ ძიებათა ცენტრში ღვთაებრივი სიყვარულით აღსავსე ადამიანი დგას, რომელიც ბურუსით მოცულ ყოფიერებაში ლოცვით გაძლიერებას ლამობს: „წმინდა ტაძარში ლოცულობს მრევლი, ლოცულობს დედა მოხუცი ქვრივი, – ჩემთვის სამოთხის ხილული სხივი, წმინდა ტაძარში ლოცულობს მრევლი, მაცხოვრის სარკმელს ანათებს ელი, ვით მწუხრის მზე და ყვითელი მძივი, წმინდა ტაძარში ლოცულობს მრევლი, ლოცულობს დედა – მოხუცი ქვრივი“. („ლოცვა ტაძარში“) – ამ სტრიქონების კითხვისას გახსენდება ფოიერბახი, რომელიც ღმერთს ჭვრეტდა ყველგან და ყველაფერში

1 ნანა კუცია, მუქი ვარდის სუნი – მედიტაცია, წიგნში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 188.

მათ შორის ჩვენში, ადამიანებშიც ცდილობდა.

ნათლით გაჯერებული მადლითაა გაცისკროვნებული პოეტის სული. გალაკტონმა თავად იგრძნო „გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების". ან კიდევ: „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები?" („დრო").

გენო კალანდიას შემოქმედების სტიმული და მისი მაცოცხლებელი წყარო უფალია, ნათლის სვეტი... „გამოავლინე ნათელი შენი და ჭეშმარიტება შენი, ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა" (დავითი, 184,3).

გენო კალანდიასთან მუდმივად ჩნდება ბიბლიური ვარიაციები. სიმბოლური ნათლისა და სხივის სახეები. აი, თუნდაც: „ო, შენ, ბეთლემო, იუდას მიწავ, კვლავ გაბრწყინდები ქრისტეს სახელით, – მისი ციური კვარით, სანთელით, ო, შენ ბეთლემო იუდას მიწავ" ... „შუადღე, ღამე და განთიადი". ... „მე – ჩრდილის ჩრდილი. ფერფლი. არარა. ღრუბელი. თოვლი. ქარი. ხარება. ფრთები. შორეთი. შუქი. კამარა. ბაღი. გრანიტი და უკვდავება".

პოეტს ეიმედება და სჯერა ნათელი მომავლის, თავისი სამშობლო კვლავაც გაბრწყინდება „ქრისტეს სახელით". მამულის ისტორიასა და თანამედროვეობას იგი აღიქვამს ადამიანისადმი რწმენაში, სიძლიერესა და ძალაში. უნებურად ნოდარ დუმბაძე გამახსენდა: „იქნებ ვაზია სამშობლო? – კითხულობს მწერალი. აბა, დააკვირდით, თუ დაბლნარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლნარია ცაში ხელაპყრობილმა, ორივე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი ისე არაფერს არ უხდება, როგორც სამშობლოს. სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული. და კიდევ:

სამშობლო ისაა თავის ყველიან-ქერქიან, ნახშირიან, მტვრიანად რომ შეჭამ და მოინელებ".

გენო კალანდიას ტრიოლეტები სიახლეა, მაგრამ არ არის მოულოდნელობა. მათი მშვენიერება არა მარტო ფორმის სილამაზეშია, არამედ ეთიკურ-ესთეტიკური მრწამსის გამოხატულებაშიც, პოეტს მუდმივად ახსოვს „ძისა და მამის წითელი წიგნი", რომელიც წინაპრების ფიცით და ფიქრითაა ოქროსფრად დაფერილი და ზუსტად და ნათლად წარმოაჩენს თავის მრწამსს: „ხელი არ ახლო, გევედრები, ხელი არ ახლო – კვერთხსა და გვირგვინს, – წმინდანების კვერთხსა და გვირგვინს, ოქროსფრად ფერილს წინაპრების ფიცით და ფიქრით, ხელი არ ახლო, გევედრები ხელი არ ახლო".

ლექსი „კურატი ილორის წმინდა გიორგი ეკლესიაში" პოეტი ხატავს წარსულს და წინასწარმეტყველებს მომავალს. აქ თითქოს მძაფრი დაპირისპირებაა წარმავლისა და წარუვალისა, კონტრასტულადაა წარმოჩენილი პოეტის განწყობილებაც და დაუვიწყარი სურათია: „მთვარის ნაჭდევი აჩნია მკერდზე, თვალებიც მთვარის ნაკვერჩხალს უგავს წმინდა გიორგის სახელის კურატს, მთვარის ნაჭდევი აჩნია ქუდზე. მომლოცველები აქებენ მნათეს, მამაოს, – ყველა წმინდანის სუფრაჯს, მთვარის ნაჭდევი აჩნია ქედზე, თვალებიც მთვარის ნაკვერჩხალს უგავს" ...

ტრიოლეტები პოეტური სიტყვის თითქმის ყველა სტიქიას იმარხავს, და მეჩვენება სახეთა კეთილშობილი სისადავე და მომხიბვლელობა, ფორმის უჩვეულობა და მხატვრული სიუხვე, შინაარსის უსასრულობა და მასშტაბურობა, ფრაზის მუსიკალობა მისი პოეზიის უკვდავების საწინდარია.

აქაა სილამაზე, მშვენიერება, პოეტური ყოვლისშემძლეობის ზეიმი, დიდი წინაპრების სისხლით და ცრემლით ნასაზ-

რდოები უფაქიზესი განცდები და ფიქრები. წარსული, აწმყო და მომავალი განცალკევებული არაა მისთვის. იგი ზუსტად ჭვრეტს რა უნდა იყოს. რეალობიდან აღებულ შთაბეჭდილებებს უფლის ნათელით გალიცლიცებულ განცდებში აქსოვს და ქმნის თავისი ოცნების ქვეყანას, სადაც ხშირად იცრემლებიან იები, იასამანი სისხლიანია, მზეც „თვითმკვლელობით იდგა ლოდებთან“ და მაინც, მუდმივად „ძოწით, იასპით იწვის მკათათვე, ვით იისფერი სოფლის ტაძარი“ და იბადება ლამაზი კოლხის ხატი უფრო რეალობა და ხელშესახები, და ვგრძნობთ ადამიანის სიდიადეს და დგას პოეტი ჩვენს წინაშე ნეტარი გრძნობით, სილამაზესა და უკვდავებას რომ აფრქვევს ყველგან: „ერთი ლამაზი კონცხია აქეთ, ზეთისხილების პატარა ბაღით, იქ ცხოვრობს უფლის ერთგული ხალხი, ერთი ლამაზი კონცხია აქეთ. იქ გალობს ერთი ჭაბუკი მნათე, – საყდრის ჩიტივით სუფთა და ლაღი, ერთი ლამაზი კონცხია აქეთ, – ზეთისხილების პატარა ბაღით“.

გენო კალანდიას პოეზიაში მთელი ბუნებაა ამღერებული, ყოველი სურათი, ბუნების პეიზაჟების ჰეროიკული საზეიმო გამოხატულება, ჰიმნია სიყვარულისა და მშვენიერებისა; „მოჟონავს ხსენი თეთრი სახიდან, – ვაშლის ბაღიდან, – ფცასთან, ატოცთან, ალიბუხარი – ბეგოს ვაჟია, შროშანი – მისი ტურფა საცოლე“ ...

გენო კალანდიას მსოფლშეგრძნებისათვის ორგანულია მარადისობაზე ფიქრის აღმძვრელი საღამო, მშობლიური ფესვების პეიზაჟი და აუცილებელი მედიტაციური წიაღსვლები, რომლებითაც იგი თავის ფიქრებს, განცდებს გვაზიარებს...

პოეტს ხიბლავს მშობლიური პეიზაჟი, მაგრამ ეს ხიბლი მარადიულ ფასეულობათა სამყაროში ინაცვლებს, პოეტის თვალი ხშირად ჩერდება უსასრულობის, მარადისობისა და

დროის დინების პრობლემებზე და რა მშვენიერი სტრიქონებია: „ტრიოლეტებით შევრჩი საწუთროს, ვით პურის ყანებს ბაბუაწვერა, ვით სახლის კედელს წვიმის წარწერა, ტრიოლეტებით შევრჩი საწუთროს." და ვგრძნობთ, როგორაა დაჭერილი ცხოვრების ერთი წამი კოსმიური სამყაროს უსასრულობაში... და მაინც, „იგი მთლიანად წამშია გახსნილი და წამი მასში მარადისობის მდუმარე შთაბეჭდილებაა"[1] (გრ. რობაქიძე).

გენო კალანდიას ტრიოლეტებში მარადიულობის გამომხატველი ზეციური ჰანგები გვესმის. პოეტი დიდი ესთეტია. სულისა და გონების, ფრთაასხმული ფანტაზიის „სრული სახოვანებაა" ჩატეული მის ტრიოლეტებში. უფლის ხელი იგრძნობა მის ლექსებში, რადგან მხოლოდ „სულისა წმიდისა მიერ" შეიძლება დაიწეროს ასეთი ამაღელვებელი სტრიქონები: „პოეტი მოკვდა... შეაცივდა ბაგეზე სიტყვა, ვით წუნდის ირემს შემოდგომის ელვა და ცრემლი, ვით ჩამქრალ ვულკანს, ცეცხლის დაისს კვამლი და ფერფლი, პოეტი მოკვდა, შეაცივდა ბაგეზე სიტყვა. სამურაივით ზეზეულად შეაკვდა იღბალს და სიტყვა დარჩა მჭვირი, როგორც ქარვა და სთველი" ...

„მთვარის, მასქურის მზის შვილობილი", პოეტი უპირველესად სიტყვის მსახურია. ის უკვდავია დროსა და სივრცეში. მის თვალებში კოლხური ხვითოა ჩაბუდებული. „ქართული სიტყვის „ყაისნაღითაა" მოქსოვილი მისი „ფესვები", მთელი მისი პოეზია, რომელიც მარადიულად იბრწყინებს როგორც „ქარვა და სთველი".

---

1 გრ.რობაქიძე, დემონი და მითოსი, თარგმანი გერმანულიდან მანანა კვატაიასი, „არტანუჯი", თბ., 2012, გვ. 17

თვალებით მოტანილი მარგალიტები (მაქსიმები)

გენო კალანდიას მაქსიმებში პოეტური ხილვები, ზმანებები, ასოციაციები ერთ დიდ მიზანს ემსახურება. ესაა ადამიანად ყოფნის დანიშნულება, ზრუნვა მშვენიერებისა და სილამაზის გადასარჩენად, ზრუნვა მომავალზე, ხვალინდელ დღეზე... პოეტს კარგად ესმის, რომ დრო თავის განუმეორებელ მიმზიდველობას სძენს წარსულს.

გენო კალანდიას პატრიოტული პათოსი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თანამემამულეთა შეგნებასა და ქმედებას, მათ არჩევანსა და როლს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი „წმინდა" სევდა, ზოგადკაცობრიული და საოცრად რომანტიკული, მას, როგორც შემოქმედსა და გამორჩეული, თვითმყოფადი პოეტური სიტყვის მეუფეს, ფრანგ სიმბოლისტთა გვერდით აყენებს.

„... რა არის პოეზია? რომელი დიდი მეცნიერი იტყვის, რა არის სული? შეიძლება ადამიანის სიცოცხლის ყველა ნიშნის დადგენა, მათი გაანალიზება და აღწერა... ლექსის ანალიზი, კომპოზიცია, ლექსიკა, რიტმი, რითმა, ჰარმონია. პოეზიაში ყველაფერი ის, რომ გული, რომელიც სცემს – არის სულისათვის. პოეზიის განსაზღვრების მოძებნას მე შევეცდებოდი იმ შთაბეჭდილებებში, როცა ლექსი აღძრავს მკითხველში გარკვეულ გაოგნებას, გამოჰყავს თავისთავიდან და ზმანებაში გადააგდებს ან პირიქით, აიძულებს ჩაუღრმავდეს საკუთარ სულს იმდენად, რომ თვალებში ჩახედოს ყოფნასა და ბედისწერას". (ჟორჟ პომპიდუ).

პოეტის წარმოსახვებში წარსული მხატვრულად წარმოჩინდება იმ რაკურსით, რომელიც ესთეტიკურად უახლოვდება

ისტორიის მეცნიერული შესწავლის მეთოდს.

მასთან ისტორიული პიროვნება მუდმივად თავის დროით, ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური ფონითაა განსჯილი.. ტრადიციული თემები, მოტივები, ჟანრები ცოცხლდებიან, იმოსებიან თანამედროვე ცხოვრებისეული დეტალებით. „პიროვნებას მარტოოდენ მყოფადის წინათგრძნობა კი არ ძალუძს, არამედ მსოფლიო ჩარხის ტრიალის შეცვლაც“.[1]

და მართლაც, იდუმალი და ამავე დროს უსაზღვროა პოეტის ამბიცია, შერჩევა უსასრულო კოსმიურ სივრცეში იმ ყველაფრისა, რაც მას აღელვებს, რაც ათრთოლებს, რათა მკითხველში გამოიწვიოს სილამაზით გაოგნება და „ტკბობაც“ ერთდროულად...

გენო კალანდიამ მაქსიმებით თავისებური ელფერი შესძინა ჩვენს გრძნობებს, განცდებს, შთაბეჭდილებებს. მისი სულის ძახილით შევიცანით ჩვენ კლავდიუსის პიროვნება, – რომის სახელით განგმირული მთავარსარდალი. დაუვიწყარი დეტალია: „მან გააუქმა რომის კანონი, ის აფთარივით არის თამამი და შუაღამით შედის ტაძარში“ ... წერს პოეტი და შთამბეჭდავად აცოცხლებს გლადიატორს, რომლის „ცისფერი ტოგა კვესტორის ჭაბუკის სისხლით არის მორწყული“. როცა ისტორიულ პიროვნებაზე წერ და თანაც ისეთზე, როგორიც კლავდიუსი იყო: „მისი ფიქრების ზვირთი დიადი ქარიშხალივით ანგრევს ნაპირებს, ზღვის ბურუსიდან ცის წყვდიადამდე.“ იძულებული ხარ ეძიო ის რიტმი, რომელიც შენში არ არსებობს, უნდა გამოსახო ისინიც, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ მაღალადამიანურ მისწრაფებებს...

ვფიქრობ, ეს სახე განსაკუთრებულად მწვავე და მნიშ-

---

1 ლ.ბოჩკოვა, ლიტერატურული წერილები, „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1963. გვ. 63

ვნელოვანი აზრის დამტევია. პოეტმა სავსებით მკვეთრად გვიჩვენა ისტორიუილი პირის ხასიათის გამოკვლევის ფილოსოფიური ცდა. ის მუდამ ადამიანის სულიერი სამყაროს გახსნის გარშემო ტრიალებს. ტკივილის, მარტოობის, მიუსაფრობის, შიშის, სიხარულის, სიძულვილისა თუ სიყვარულის, ბოროტებისა თუ სიკეთის, სიმახინჯისა თუ მშვენიერების და სხვა იშვიათი პოეტური შთაბეჭდილებითაა გამორჩეული. „ვინ იყო იგი, ვინ დაგვწყევლა ყველანი ერთად, ვინ დაგვისველა ერთადერთი პერანგი ცრემლით? ვინ იყო იგი, ვინ ჩამოკრა პირველად ზარი? ვინ? ვინ ახადა ჩვენს ოდა-სახლს დარბაზის ჭერი? ვინ აგვივსო თასი ლაჟვარდით?“ („აქტეონი“) – ომგამოვლილი, ბუდემოშლილი და მშობლიურ სანახებს დანატრებული კაცის დაწერილია ეს სტრიქონები. მოსვენებას არ აძლევს სანუკვარი აფხაზეთის ზმანება. მაგიურ სამყაროში დახეტიალობს და გრძნობს, როგორი გრძელი და დაუსრულებელია დევნილთა უღელტეხილი... მიდიხარ, ვარდები და არ ჩანს დასასრული... და ნუგეშს უფლისგან ელოდება: „საით წავიდეთ, საით გავყვეთ ამ ქუჩაბანდებს, მამაო, ძე, მაცხოვარო, უფალო სიბრძნის?! საით, ო, საით?.. პოეტს რწმენით სიყვარული დააბრუნებს ტანჯულ კაცობრიობას უფალთან და მოუტანს უსაზღვრო ბედნიერებას“. ესმა ონიანის თქმით: „აქაა მძაფრი შეგრძნება ფესვებისა, „მზის შვილობილი“ პოეტის ხილვების უნიკალურობა და მართლაც: „ჭეშმარიტი აღმქმელის ხსოვნა ინახავს ნაწილებს და დროის სივრცეში კრავს მთელად“.[1]

ღვთიური მადლით სხივმოსილი სული ბრწყინდება თავისი განუმეორებლობით, რომელშიც ჰარმონიულად შეზავებულია მშვენირება, გრაცია და ნიჭი. აქაა თვით ცხოვრება,

1 ესმა ონიანი, მუსიკა, პოეზია, ფერნერა. თბ., 2003. გვ. 11-25

ჩვენი სინამდვილე, ფიქრი და დიადი ენერგია, რასაც პოეტმა ხორცი შეასხა. პოეტს სინამდვილის, სიმართლის, რეალობისა და ჭეშმარიტების ძიება მიაჩნია უმთავრეს დანიშნულებად და გაზაფხულის ჩოხაში მორთულ-მოკაზმული, ბროწეულის ღილ-კილოებით დამშვენებული სალამურივით გრძნობს თითოეულ ბგერას, მოტივს... და სასწაულებრივი განცდაა: „ჩქერიდან ჩქერში კალმახივით გადამაქვს ტანი, წვიმაში, ღვარში ვარსკვლავებს ვითვლი. გულამომჯდარი და ვაკაკუნებ მოყვასის კარზე“ ... „ღმერთო ლაპარაკობენ შენს საოცრებებს“ (ფსალმ. 75,2). (25.601).

„დიდი და სასწაულმოქმედი ხარ, შენა ხარ ღმერთი ერთადერთი“ (ფს. 86,10) 25, 615).

პოეტი მადლობას სწირავს უფალს იმისთვის, რომ მისცა ძალა და ენერგია გაუძლოს ყოველგვარ განსაცდელს, შეამჩნიოს, დაინახოს ის, რასაც სხვა ვერ ამჩნევს, სხვისი გონება ვერ სწვდება. ბედნიერია, რადგან: „თვალებით მომაქვს მარგალიტი – მდინარის – ზვირთი“ ...

გავიხსენოთ გალაკტიონი: „ნაზი წარმტაცი და მიმზიდველი ახალი მხარე, ახალი ბინა, ჯადოთა მხარე შიშველ-ტიტველი მე მარტოობამ შემამჩნევინა („ბინდის სტუმარი“) (11, 30).

გენო კალანდია ერთგვარი მედიუმია ხილულსა და უხილავ სამყაროს შორის, ზეცასა და მიწას შორის, რომელიც უფლის ტაძარს „ალმოდებული გაზაფხულის ჩოხა – ახალუხითა“ და „ბროწეულის ღილკილოებით“, რომ მოიხილავს და ღვთისმშობელს სრულად საქართველოს გადარჩენას შეევედრება. „წუხელის სამჯერ მოვიხილე ტაძარი შენი, ღვთისმშობელს ვთხოვე შენდობა ჩვენი!“ – ეს სტრიქონი გენო კალანდიას პიროვნული და ეროვნული მრწამსის ჭეშმარიტი დასტურია,

პასუხისმგებლობა ერისა და მშობელი ქვეყნის წინაშე. უფლის საკრალური ხატი ადამიანთა ბედნიერებაზე დააფიქრებს და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს უფლისადმი რწმენას და სამშობლოსადმი უნაპირო სიყვარულს...

როცა გენო კალანდიას მაქსიმებს კითხულობ, წუთითაც არ გტოვებს უნივერსუმის რუსთაველისეული აღქმა – „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ ... ეს უთვალავი ფერით ბოძებული სამყარო მის პოეზიაში ხედვის არაორდინალური რაკურსითა და შთამბეჭდავი სახეობრიობითაა გამორჩეული. მაქსიმები რაღაც უჩვეულოს, უცნაურის შესაგრძნობად განაწყობს მკითხველს, მისთვის პოეზია მარადისობიდანაა განჭვრეტილი, როგორც ყოფიერებიდან თავდახსნის ერთერთი საუკეთესო გზა.

უფლისმიერი სიყვარული და ერთგულება, უშურველი ფერადოვნება სიტყვისა, რითაც აღბეჭდავს თავისი არსებობის გამართლებას და მაინც, ტრიოლეტები და მაქსიმები იკმარებდა, რომ იხილოთ მისი პოეზიის ფერებიდან დაძრული მშვენიერება. ადამიანი და ბუნება, ბუნების წიაღში უხილავი კოცონით განათებული ლირიკული პერსონაჟი პოეტის შთაგონება და აღმაფრენაა.

კაცობრიობის მარად ძველი და მარად ახალი თემის – სიკვდილ-სიცოცხლის, წუთისოფლის წარმავლობისა და მარადიულობის შესახებ გენო კალანდიას თავისებური, ინდივიდუალური და ორიგინალური მიმართება აქვს. აკი „კაცობრიობის საუკეთესო შვილებს მითაჟამიდან აფიქრებდათ ყოფნა-არყოფნის საიდუმლოებით მოცული გამოცანა. კაცთა გაჩენის დღიდან რამდენი ზეპირი პაექრობა გამართულა ამის თაობაზე და გამქრალა უკვალოდ, ანდა რამდენი სიბრძნე შემოუნახავს ისტორიას, ჩვენამდე მოღწეულ ფოლიანტებსა და

პერგამენტებს, მაგრამ წუთისოფლის ეს დიდი სატკივარი ბოლომდე არავის არ ამოუწურავს“.[1]

დიახ, ცნობილი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ მსოფლიოს ყოველ დიდ შემოქმედს უცდია მიღმური სამყაროს ფარდის გადაწევა და ლანდების იდუმალების შეცნობა. ამ ძიების მიზანია შემეცნების გაფართოება, რადგან ჩვენ უცნობისა და დაფარულის ძიებისას, უფრო უკეთესნი, უფრო მხნენი და ქმედითნი ვხდებით. პოეტისათვის მთავარია ადამიანური სამყაროს ღირსეულობის შეგრძნება, რითაც ფასდება სამშობლოცა და მისი თვალწარმტაცი ბუნებაც.

გენო კალანდიას მთელი პოეზია კოსმიური პესიმიზმითაა გაჟღენთილი.

შთამბეჭდავად წარმოჩინდა სიკვდილის ფენომენისადმი დამოკიდებულება. პოეტის წარმოსახვებში ყოფნა და არყოფნა, მყოფობა და არმყოფობა ერთმანეთს ვერასოდეს ასცდებიან და ისინი ფენომენებად აღიქმებიან.

როცა „ორითია“ წავიკითხე, რაღაც საოცარი განცდა დამეუფლა, რაღაც უჩვეულო ხიბლი აღმოვაჩინე თვით პოეტის არსებაში. რა საოცარია პოეტის განცდა, იგი თითქოს სიკვდილზე ჯვარდაწერილი პოეტია: „რა ლამაზია სიკვდილზე ფიქრი“, ან „თითქოს თვალებში მაჭედებს ლურსმანს მზეებრ ჯეელი ჯავაირჩი და მეომარი“, ან კიდევ: „მომხიბლავია ბროწეული ახალ-ახალი ჭრილობებით, მთების ყვითელი პეიზაჟი – ეგ ირმის რქა და ნეკერჩხალი“. სიკვდილის ულმობელ ხელს პოეტი სრულად აცნობიერებს. აბსურდული ყოფა და გაუფასურებული ღირებულებები ადამიანური ტრაგიზმის წყაროა და მაინც, პოეტი ლექსით, პოეზიით („თითქო თვალებში მაჭედებს ლურსმანს მზეებრ ჯეელი ჯავაირჩი და მეო-

1 ც. მესხია, გზა ჭეშმარიტი შემოქმედისა, თბ., 2004, გვ. 137

მარი“) ადამიანის სულიერი სამყაროს ხვეულების მოხილვის გზაზეა შემდგარი. ტკივილი, მარტოობა, მიუსაფრობა, შიში, სიხარული, სილამაზე და მშვენიერება უჩვეულო პოეტური ხატებითაა წარმოსახული.

შავი თოვლით გაფოთლილი ხე სიკვდილის სიმბოლოა. პოეტი მაინც სავსეა რწმენით, ცისა და მიწის მადლით და ამიტომაც სევდანარევი იტყვის: „აივნიდან გავყურებ საყდარს, – უფლის სახელით, შარავანდით გაფურჩქნილ გუმბათს.“ და „გაიფოთლება ხე შავი თოვლით, ნაბდის ქუდებით ამოგვიტანს წაბლს და ვარსკვლავებს სოფლის ფერმერი და მენეჯერი. რა ლამაზია სიკვდილზე ფიქრი!“ პოეტი ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი სიტუაციით სიკვდილის სილამაზეზე მიგვანიშნებს. გაგვაცნობიერებინებს ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის (სიცოცხლის) სხვა განზომილებაში გადასვლას და რამდენიმე შტრიხითა და შუქ-ჩრდილის გამკვეთრებით აღწევს ყოფნა-არყოფნის ტრაგიზმის სიდიადის წარმოჩენას.

„მე პოეზიამ დავიწყების ცელს ამარიდა“ (გალაკტიონი).

„რა ლამაზი ხარ სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“.

გენო კალანდიას პოეზიაში სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაც ვფიქრობ, ცალკე კვლევის საგანია, ამიტომ ამ თემაზე აქ შევჩერდებით...

საკვირველი ფერადოვნებითაა დახატული ზღაპრული პეიზაჟები, მომხიბლავი მითოლოგიური პასაჟები: ფანტაზიით ფრთაშესხმული პოეტი იჭრება მითების სამყაროში და შთაბეჭდილებებს სიყვარულის განცდებში აქსოვს და ქმნის ყოველდღიურობის, ყოფიერების ქსელს, ოქროს ძაფებით მოსირმულს. ეს „მის პოეზიაშია დუმილი და იდუმალება, სამ-

ყაროსადმი დამოკიდებულება, თვით ჩვენი საინამდვილე შინაგანად დამუხტული უზენაესის ხილვის მოლოდინით, მითით შენილბული დიალოგის ფორმად არის განცდილი, მას გაცნობიერებული აქვს სამყაროს საიდუმლოებაში წვდომისა და თვითჩაღრმავებისაკენ სწრაფვის მისნური ინსტიქტი".[1]

ამოუხსნელია და გამაოგნებელი პოეტის სულიერი აღმაფრენა, ხასიათის მგზნებარება, რკინისებური გამძლეობა და გამბედაობა, მითებითა და თქმულებებით დახუნძლული სიდიადით დამთრგუნველი მისტიკა. აქვეა წარმოსახვის შესაშური ძალა, რაღაც მათრობელა და უმაღლესი შთაგონებით აელვარებული სიტყვების მაგიური მუსიკა, მთელ კოსმიურ სივრცეში ვერცხლისებური წკრიალით განფენილი: „ფუტკრის სკასავით ციმციმებს დილა, გუგუნებს ზარი დღეობის მაცნე. მზე იფურცლება მშვენიერ წამთა, მზე – რომაელთა წითელი თაფთა"...

მართლაც, როგორი ძნელია ირწმუნო, როგორ შეძლო პოეტმა ასეთი ულამაზესი სურათის დახატვა რომში ჩაუსვლელად? თაუნდაც წარმოსახვა რომის დიდებული აკროპოლიდან გამომავალი ეტლისა და ბონა-დეას „ზეობის ჟამისა!"... პოეტი გვაბრუებს რომაული სამყაროს ტკბილხმოვანი ჰანგებით. ამ ლექსს საგულდაგულო „განჩხრეკა" და ანალიზი სჭირდება. აქ მთლიანადაა გადაშლილი პოეტის ურთულესი და ულამაზესი სულიერი სამყარო. მთელი ლექსის მანძილზე იგრძნობა პოეტის წერის უჩვეულო, განუმეორებელ მანერა, ყველასგან გამორჩეული და ორიგინალური. პოეტი მთლიანად საკუთარ სტიქიაშია, იქითკენ ისწრაფვის, სადაც „გზად ზეთისხილის იმცვრევა ბაღი – ღრუბლისფერი ნაყოფით სავსე.

---

1 ც.მესხია, მითი და რეალობა, გენო კალანდიას პოეზია. „ლიტერატურული საქართველო", თბ. 2013, 11 ოქტომბერი, №65 (3675) გვ. 13

ზღვის შროშანივით ფრთონავს ჰაერი გაჯერებული ფიჭვების თაფლით.“...

ეს ერთერთი გამორჩეული ლექსია, რომელშიც პოეტი მთელი არსებით ეძლევა აღმაფრენას. შესაშური ექსპრესიულობით გამოხატავს აღტაცებას ბონა-დეას ზეობის ჟამით, როცა მისი „ღვთაებრივი ღიმილის ქარგა ცის ბადესავით იზიდავს ყველას“ და პოეტის მიერ ხილულ ტაძარში მოხვედრილ თითოეულ მოკვდავს ცხელი ნაყოფით ევსება უბე“. და მართლაც რომ სასწაულებრივია ღვთის საუფლოს მოხილვით განცდილი სიხარული, ზეცის თავანამდე ამაღლებული პოეტი იტყვის: „ტაძარი შენი სინათლე ცათა, სინათლე ცათა – ტაძარი ჩვენი“.

ეს ცათა სინათლე ჩვენი ტაძარია, – გვეუბნება პოეტი და გვარწმუნებს როგორ სწყურია მის სულს „რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა“ (გალაკტიონი). და კიდევ: „აჰა, ტაძარი ცათუმაღლესი სულთა თანხმობის და გრძნეულებათ... აჰა, ვიხილე ხატი უბიწო, უსხეულოთი განსხეულება... აჰა, ტაძარი ცათუმაღლესი“.. (ანა კალადაძე – „აჰა, ტაძარი ცათუმაღლესი“).

გენო კალანდიას მიერ ხილული ბონა-დეას ტაძარი მაღალი სულიერების მქონე პირთა სამკვიდროა. „ცათა სინათლეში“ მუდმივად შრიალებს მარადმწვანე ფოთლები და რაღაც საოცარი სიმსუბუქით, აღვიქვამთ პოეტის უნაზეს მოლოდინს – „ქალწულების ნაზი ფოთლებით გაიფოთლება დიადი სტოა“...

ეს ის საოცარი, გამაბრუებელი ხილვებია, რომლებსაც ჩვენამდე მოაქვს ანტიკური სამყაროს სურნელი, სინაზით, სინათლით სავსე სამყაროს ტკბობით მოგვრილი სულიერი სიმშვიდე და პასტორალური განწყობა. დიახ, „მხოლოდ მხურვალე გრძნობას ძალუძს შვას რაღაც განსხვავებული, სხვათა

თვალთათვის უხილავი რამ, გამაოგნებელი და მოულოდნელი (როგორც მეტალურგიულ ქარხანაში უზარმაზარ ქვაბში ჩაყრილი ჯართი დნება და გავარვარებული მასისაგან სულ სხვადასხვა ყალიბში ჩამოსხმული საგანი იბადება) იდუმალებით აღსავსე და გულმისაწვდომი, სხვათათვის მახლობელი და გადამდები ჟრუანტელით დამუხტული. აი, ასეთი ალქიმიაა პოეზია, აღსარების სიწრფელით და სინანულით, სევდითა და ყელში გაჩხრილი: უხილავი ცრემლით სავსე მარტოობის დღესასწაული, ტანჯვის, განცდილისა და ნაგრძნობის გამოძახილია და გენიალური აზრიც კი, თუ მან გულის მთავარი ძარღვი ვერ შეარხია, პოეზიად ვერ გადაიქცევა!"[1]

გენო კალანდიას მაქსიმები იდუმალებითაა აღსავსე და რაღაც სასწაულებრივ განცდებშია გამოხვეული. პოეტი არაამქვეყნიური დარდითა და მელანქოლიით იჭრება მითების სამყაროში. „მის მიერ გამოხმობილ მითებში მთელი ისტორია და წარსული მთიდან მოვარდნილი ნიაღვარივით მოედინება და მაინც არა მარტო პოეტური სტრიქონი, არამედ თვით პოეტის მთელი სულიერი სამყარო, მის მიერ ჩამოძერწილი სურათი გაჯერებულია მითიური ხატოვანებით"...[2]

გენო კალანდიამ შეძლო ევრიპიდეს მითებში გაცოცხლებული ტროელი ქალის იფიგენიას სულიერი განცდების გადმოცემა. მისი სულიერი სამყაროსა და სიძლიერეში წვდომა. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური სიღრმე ევრიპიდეს გმირთა განცდებისა. აკი „ევრიპიდე ყველაზე უფრო ტრაგიკულ პოეტად გვევლინებაო (პოეტიკა, თ. XIII). გმირის ტრაგიზმი ამავე დროს მაყურებლის ტრაგიზმიც

---

1 იზა ორჯონიკიძე, რა არის პოეზია?.. დღიურის ფურცლებიდან, „ჩვენი მწერლობა", 2010, №6

2 ც. მესხია, მითი და რეალობა, გენო კალანდიას პოეზია, „ლიტერატურული საქართველო", 2013, №65, გვ. 13

იყო. გმირთან ერთად მაყურებელიც დაძაბულ მდგომარეობაში იყო, მასთან ერთად განიცდიდა სიყვარულსა და თანაგრძნობას, შიშსა და შეცოდებას, მაგრამ ეს ტრაგიზმი იყო საშუალება ტანჯვათაგან განწმენდისა".[1]

გენო კალანდიამ „იფიგენიაში" დახატა შემზარავი სურათი: როცა „მსხვერპლად შეწირვის დგას რიტუალი, დედოფლის ეტლით მოჰყავთ ქალწული" ... ამ სტრიქონებით აშკარად იკვეთება პოეტის სულისკვეთება, ემოცია, განწყობილება, აზრი, მთელი ლექსი გაჯერებულია ენით გამოუთქმელი მითიური ხატოვანებით. მითის შემოჭრა დღევანდელობაში, თქმულების, ისტორიისა და რეალობის შერწყმა, ჩემი აზრით, ძალუმად იგრძნობა გენო კალანდიას ამ ციკლის ლექსებში.

პოეტის ცნობიერებაში აწმყოსა და წარსულის, მითისა და რეალური სინამდვილისა და წრმოსახვის ხილვები ერთმანეთს ერწყმის და ენივთება და უნებლიედ ჩნდება საოცარი განცდა: „ოქროს ბარძიმით მოდის ეროსი, სასახლის ლოთი, მეტრფე ჰანგების, აყვავდებიან ხვალე მდელონი სისხლის წითელი ფარშევანგებით" ... ვფიქრობ, ეს სტრიქონები სრული შესაბამისობას გვიჩვენებს პოეტის განწყობილების და გამოხატვის საშუალებებს შორის: შემოქმედმა აიტაცა მითიური სახე, აიტაცა რაღაც უჩვეულო პოტური ძლევამოსილებით, აიტაცა ცის თავანამდე და ანტიკური ეპოქისათვის დამახასიათებელი რეალური ადამიანის საბურველში გამოხვია. ამ ლექსში შთამბეჭდავადაა გაცოცხლებული ტროას ციკლის მითთა ეპიზოდი. მისნის თქმით, ღმერთების შესაწყალებლად მთავარსარდალმა აგამემნონმა მსხვერპლად უნდა შესწიროს უფროსი ქალიშვილი იფიგენია. აგამემნონი მოტყუებით მოაყვანინებს

1 ს.ყაუხჩიშვილი, ევრიპიდე, წიგნში „ბერძნული ლიტერატურის ისტორია", თბ., 1950, გვ. 338-339.

არგოსიდან ქალიშვილს. დგება მსხვერპლად შეწირვის რიტუალიც, მაგრამ არტემიდე შეიცოდებს უმანკო იფიგენიას. „სამსხვერპლოზე იფიგენიას შესცვლის ირმით. იფიგენიას კი ღრუბლებში გახვეულს შორეულ ტავრიდში გადაიყვანს“.[1]

„იფიგენიაში“ პოეტმა შეძლო სახიფათო საბრჯენზე ფეხის დადგმა, მსხვერპლის გაღება, იდუმალი სამყაროსაკენ დაუოკებელი ჟინი, ალღო და სულის თავისუფლება აძლევს მას ძალას და ენერგიას გაარღვიოს ხელოვნების საზღვარი და შექმნას ახალი შემოქმედებითი ყოფიერება. აქაა მითისა და დღევანელობის საოცარი წნული და აწმყოზე მიპყრობილი მზერა შორეული, მაგრამ მხატვრულად ტრანსფორმირებული და ახალი სიმაღლეებიდან განცდილი...

გენო კალანდია ტროას ციკლის მითების აღორძინებით მარადისობას გვაზიარებს, პოეტს სწამს მარადისობა და გულის ძაფებითაა დაკავშირებული ევრიპიდესთან და სოფოკლესთან. ანტიკურ სამყაროში, ძველ საბერძნეთსა და რომში, იბერიასა და კოლხეთში გვამოგზაურებს და დაგვანახებს, მოგვახილვინებს თითოეულის „სულსა და შემოქმედებით პრინციპს ყველა ეპოქისას“.

დაუვიწყარი დეტალია: „თმაგაწეწილი დგას კიბეებზე – იფიგენია კრავი მიკენის. ორესტე – თვალები“.

მართლაცდა რა საოცარი სითამამეა ამ სტრიქონებში. ესაა პოეტური ხელოვნების უზადო ნიმუში. შემოქმედებითი ტემპერამენტი და შინაგანი იმპულსი ანათებს მთელ ლექსს. ბუნებრიობითა და მაღალი ზნეობრიობით ვიხიბლებით და არსად არ იგრძნობა ხელოვნური ძალდატანება და ყალბი პათოსი. იშვიათი ჰარმონიულობითა და მხატვრული სახეების

---

1 ს.ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1953, გვ. 352

აღმაფრენით მიღწეულია მთავარი – ლექსთა სიმშვენიერე... იფიგენია და აგამემნონიც ბიბლიური პერსონაჟებია, რომელნიც ევრიპიდეს ისტორიულ პერსონაჟებად ტრანსფორმირებულნი ცოცხლდებიან და ახალი სიცოცხლით სუნთქავენ.

გენო კალანდაიმ შთამბეჭდავად გვაჩვენა ევრიპიდეს ფილოსოფიური კონცეფცია, რომ „ტრაგიკოსი უპირველესად შებორკილი იყო მითებში მოცემული მასალით. რეალური ადამიანის ასასახავად კი ევრიპიდეს, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა მითებში მოთხრობილი თავგადასავალი გმირებისა და მას უხდებოდა მითების არა თუ დეტალების, არამედ ზოგჯერ კონცეფციის იმგვარად შეცვლა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მითიური გმირისაგან რეალური ადამიანი მიეღო“.[1]

მან აღადგინა ეპოქის სულისკვეთება და ამ ფონზე წარმოაჩინა ევრიპიდესეული პერსონაჟები ბერძნული სინამდვილიდან. ერთია წაიკითხო ტროას ციკლის მითები და მაინც სულ სხვაა ხილვა იმ სამყაროსი, როგორ ხდებოდა ამ მითიური პერსონაჟების რეალობად გარდაქმნა. როცა გენო კალანდიას მაქსიმებს კითხულობ, თითქოს ცოცხლდებიან აგამემნონი, იფიგენია და ორესტე, ელექტრა და კლიტემნესტრა და საერთოდ ტროადელი ქალები.

პოეტი ცდილობს დრამატული მოქმედების მიღმაც მშვენიერება და სილამაზე წარმოაჩინოს და თითოეული სიტყვა, თითოეული სტრიქონი მიიღწევა „ოქროს შუალედისათვის“. მის ხელში სიტყვა მაგიურ ძალას იძენს და პოეტური ზემოქმედების უმთავრეს იარაღად გადაიქცევა. და მაინც, ჩემი ღრმა რწმენით, გენო კალანდიას პოეზიას აქვს ორიგინალური

1 ს.ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1953, გვ. 338

ხასიათი, რაც მკვეთრად გამოარჩევს თანამოკალმეთაგან. მან შეძლო ბერძნულ-რომაული სამყაროს მითებისა და ლეგენდების ლექსად „გადათარგმნა“ და შთამბეჭდავად წარმოაჩინა თვით მისი „ბედისწერაც“. ყველაფერი იღონა თვალებით მოტანილი მარგალიტების მარადიული ბრწყინვალებისათვის...

ბერძნულ-რომაული სამყარო პოეტის მხატვრულმა წარმოსახვამ და ძლევამოსილმა ფანტაზიამ ჩვენი თანამედროვე მკითხველის ინტერესის საგნად აქცია... „სილამაზისთვის გვმართებს ზეობა, სიყვარულისთვის თნევა, ტკივილი, მზით განბანილი ჩვენი სხეული ღმერთებს შევწიროთ მსხვერპლად სწორებო“ ... „შემოვიხიოთ ტანზე სიმღერით ზურმუხტისფერი მოსასხამები, ავიღოთ ქნარი შვიდსიმიანი, ვთქვათ, ადონაი, სამგლოვიარო“. („ადონისის დატირება“).

ეს ლექსი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ჭეშმარიტებას, რომ წარსულის დავიწყება ისტორიის დავიწყების ტოლფასია. პოეტი ადამიანის ამქვეყნიურ ღირსეულ სიცოცხლესა და სამშობლოს, მამულის წინაშე ჩვენს მოვალეობაზე მიგვანიშნებს. აქ აფხაზეთის დაკარგვით გულშეძრული ქართველი დედების ქვითინიც მოგვესმის, ჩვენი შორეული წინაპრების შინაგანი, ფეთქებადი რეაქციებითა და საბეების ფართო სპექტრით აღბეჭდილი...

აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს: „ეპოქას მოაქვს თავისი რიტმი, თავისი ინერცია, მწერალმა უნდა ირძნოს ეპოქის პულსაცია, მწერალი არ არსებობს ინდივიდუალური მწერლური თვისებების გარეშე, მაგრამ თუ ეს თვისებები ეპოქის რიტმსა და ინერციაში არ ზის, ყოველთვის იქმნება ანაქრონიზმი დროსა და სივრცეს შორის“.[1]

ადონისის დატირებას წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი

1 გურამ ფანჯიკიძე, რჩეული, ტ.11, თბ. 1986

„კითერია რაღა ვქნათ ახლა? (საფო)“, რომელიც ასოცირდება საფოს ჰიმნებთან. ერთ-ერთ ჰიმნში აფროდიტეს გარდა სხვა ღმერთებსა და მუზებსაც მიმართავდა თავისი ჰიმნებით საფო, საკმარისია გავიხსენოთ ჰიმნი ჰერასადმი, მიმართვა ქარიტებისა და მუზებისადმი და ადონისის ჰიმნის ნაწყვეტი: (გრფ. 107). გარდაიცვალა კითერეა, ნაზი ადონისი როგორ მოვიქცეთ? ირტყით გულმკერდში გოგოებო, შემოიხიეთ ქიტონები“.[1]

ან კიდევ: „ერთად შემოვდგეთ ლევკადიაზე, მეწამულ ზღვაში თავი დავიხრჩოთ, ოქროს თევზებად ვიქცეთ უმალ, რომ ადონაის ბადეს ამოვყვეთ,“ – რაოდენ პოეტურია, ამაღლებული და მშვენიერი ეს სტრიქონები. ოსტატურად გამოხატულია პოეტის მთავარი სათქმელიც და იგრძნობა საფოს პოეზიის გამოძახილიც.

გენო კალანდიას მთელი შემოქმედება შეუცნობელისა და იდუმალის არსში ჩაწვდომის დაუცხრომელი ჟინია. საკუთარ თავში მისტიკური ჩაღრმავება, საკუთარი არსიდან გამოსვლა, საზღვრების გარღვევაცაა. იდუმალება ადამიანის საიდუმლო, მისი უსაშველო სიღრმე, ადამიანურზე მეტია და სწორედ აქაა ფარული კავშირი ადამიანისა სამყაროსა და ზებუნებრივთან...

მართებულად ბრძანებს თემურ შავლაძე: „გენო კალანდია, ჩვეულებრივ, ძალზედ მიწიერ საფარველში ხვევს და ამავე დროს მართლაც ძალზედ ჩვეულებრივი და ადამიანური განწყობილებით გვაზიარებს მშვენიერისა და ამაღლებულის სახე-ხატთან, სადაც თვითონ ტრფობის ობიექტი წარმოჩინდება მიწიერ სიწმინდეთა სიმბოლოდ, ნამდვილი ადამიანური

1 ს.ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1953, გვ. 189

სიყვარულის სამშვენისად, ნიმუშად, გნებავთ, არსად თუ შინა-არსად".[1]

გენო კალანდიას მხატვრულ სამყაროში მოულოდნელად იბადება ემოცია, სადაც რეფლექსია, სული მოკრძალებით უთმობს ადგილს ინსტიქტსა და ნებას, ეგზალტაციას, თითქოს პოეტსა და სამყაროს შორის გაჩნდა საოცარი ჰარმონია, თავის მხრივ რომ შობა სიყვარული ადამიანსა და რეალობას შორის. მის უჩვეულო პოეტურ ხატ-სახეებს და აღმაფრენას ბოლო არ უჩანს.

აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს გალაკტიონის „ანგელოზს ეჭირა ჭრელი პერგამენტი", სადაც პოეტების მეფე მწარე სინამდვილის ოცნებით გალამაზებაზე მიგვანიშნებს. გენო კალანდია მთელი თავისი პოეზიით ცდილობს უკვდავყოს ჩვენი ულმობელი დრო თავისი შუქ-ჩრდილებით და როგორც ყოველი დიდოსტატი ხელოვნებისა პირველქმნილი სიძლიერით გვიჩვენებს თვით უდიდესი ტრაგედიის ჟამსაც მშვენირებასა და სილამაზეს. მისმა პოეტურმა ნიჭმა შური და ბოროტება, სიმდიდრე და სისპეტაკე, ცოდნა და უმეცრება, სიკვდილი და სიცოცხლე, სიყვარული და სიძულვილი, როგორც მარადიული დილემები, თვით ცხოვრების ატრიბუტები და თანამგზავრი ჭეშმარიტი მოაზროვნის ნათელი გონებით შეიცნო და შუქ-ჩრდილებად ჩაღვარა თავის პოეზიაში. მისი, როგორც ჭეშმარიტი პოეტის სრულყოფილი პოეტური ქმნილებები, თავისთავადაა პოეტური ხერხებით გამოსახვის უმშვენიერესი მაგალითი. ის მთელი არსებითაა ჩართული კოსმიურ ორომტრიალში და მისი პოეზიაც, რაღაც ახალი, ინდივიდუალური ხერხებითაა შექმნილი.

---

1 თემურ შავლაძე, აღსარების საგალობელი, „ლიტერატურული საქართველო", 14 თებერვალი, 2014, გვ.8

გენო კალანდიას პოეტურ სახეებში აღბეჭდილი ჩვენი სინამდვილე ბოლომდე ინარჩუნებს რეალობის განცდას, იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის გადმოცემისას ალეგორიულ ფორმებს მიმართავს და მისი პოეტური ხილვები მზისფერი ფერებითაა აციალებული, საოცარი და უჩვეულოა მის მიერ დახატული ირეალური სამყარო, აი, თუნდაც: „მომხიბვლელია ბროწეული ახალ-ახალი ჭრილობებით, მთების ყვითელი პეიზაჟი – ეგ ირმის რქა და ნეკერჩხალი. აივნიდან გავყურებ საყდარს, – უფლის სახელით, შარავანდით გაფურჩქნილ გუმბათს.".. და ჟამის ნანგრევს ფესვებით შემორჩენილი ლირიკული პერსონაჟის განცდა ასე გაჟღერდება; „ო, ნეტა, ვიყო მგალობელი, მოწესე თემის, წავიკითხავდი შაბათის ლოცვებს!.. რა ლამაზია სიკვდილზე ფიქრი" („ორითია").

პოეტმა კარგად იცის, რომ ადამიანის ცხოვრების გზა რთულია და წინააღმდეგობებითა და დაბრკოლებებით სავსე. გზად შიშველი ეკალი ჰყრია მისი სულის დასაკაწრავად... მაგრამ ისიც იცის, რომ ადამიანი მთლიანად, თავისი ბედით, ამქვეყნიურ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. ვკითხულობთ მის მაქსიმებს და აშკარად იკვეთება ბედისწერის მიერ შემოსაზღვრული საზღვრების გარღვევის ლტოლვა. და თითქოს გვამზადებს კიდეც უჩვეულო ხატ-სახეებთან შესახვედრად. „ადონისის დატირებაში" პოეტის ფანტაზიით გაცოცხლებული ანტიკური ხანის ისტორიასთან კავშირში წარმოჩინდება ჩვენი მწარე რეალობა. მთრთოლვარე, ამაღელვებელი სტრიქონებით, გონების თვალით იხედება პოეტი შორეული ისტორიის უღრმეს ფენებში და საუკუნეების მდუმარებაში პოულობს იმ სულის ჰიპოსტასებს, რომ შეგვახსენოს, პოეზია საიდუმლო „ღვთიური ძალაა", „ცისა და ქვეყნის შუამავალი,

ციური მალამო“, (აკაკი „უცნაური ჰანგი“).

გენო კალანდიას რწმენით, ღმერთი თვითონ სიტყვაა, პოეტი კი ღვთის სიტყვის ქადაგი, ხალხში პოტური სურნელების მომფენი – „სილამაზისთვის გვმართებს ზეობა, სიყვარულისთვის თნევა, ტკივილი, მზით განბანილი ჩვენი სხეული ღმერთებს შევწიროთ მსხვერპლად, სწორებო.“ ... ის პოეტური სახეების თავისებური, ორიგინალური გამომსახველობითი ძალით, ფერთა სიდიადითა და გაბედული ფერწერული კომპოზიციებით ისწრაფვის მონუმენტურობისაკენ და რა „ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა“ (იგავნი სოლომონისა, თ. 2,6).

„სიბრძნის სიტყვა სულის მადლია“ („პავლე მოციქული, კორინთელთა თ.2,6).

გენო კალანდიას ლირიკული პერსონაჟი ზეცას ევედრება „ჭაბუკი იგი თვალსახიერის“ მოვლინებას, რამეთუ „ნეტარ ხართ თქუენ, რომელნი სტირით, რამეთუ იცინოდეთ“ (ლუკა 6,25). პოეტი მუდმივად სილამაზის, მშვენიერების ძიებაშია და ფარდის მიღმა განჭვრეტს ჭეშმარიტების იმ რწმენით: „რომ მე ვარ გზა ჭეშმარიტი და სიცოცხლე“ (იოანე 14,6).

გენო კალანდიასთან რეალობა მუდმივად არსებობს ქართული მითოლოგიური არქეტიპებისა და სამყაროს ილუზიორულობის განცდების საზღვარზე. მის პოეზიაში უმწვავესად შევიგრძნობთ რეალობის ტრაგიკულ განცდებს, ზნეობრივი ღირებულებებისა და საყრდენების ძიების გარდაუვალ აუცილებლობას. პოეტის უკიდეგანო სურვილია უფლის სახელით გუმბათის ქვეშ შეძლოს შაბათის ლოცვების წაკითხვა. ამიტომაც ივედრება: „თავს გაუფრთხილდი ორითია, მზე მორჩილივით შეგიშრობს ცრემლებს, უდაბნო არის დედამიწა შენს იქით ჩემთვის, ნიჟარასავით შემინახე სათუთად იგი,

იჯარას მხოლოდ ნატურით ვიხდი.“

მართებულად წერდა ბროდსკი: „ბახს საოცრად გაუმართლა, ღმერთთა შესაქებად ქორალებს ან კანტანტას წერდა, უშუალოდ უზენაესს მიმართავდა. დღეს, როცა პოეტი იმავეს მოინდომებს, იძულებულია ირიბ მეტყველებას მიმართოს.: „არ გაბედო სიკვდილი ადრე. გააღეთ კარი და სარკმელი, მზე შემოუშვით სულ ერთი ციდა. აივანზე ქალები სხედან, მგალობლები გალობენ გარეთ,“ – წერს გენო კალანდია და შთამბეჭდავი მეტაფორებით მიგვანიშნებს, ბედისწერის ულმობლობაზე, მაგრამ ნუგეშს უფლისადმი რწმენასა და ერთგულებაში ხედავს – მუდმივად ფსალმუნს კითხულობს და „წმინდანების თორმეტი დასი ფეხშიშველი გადადის წყალზე“.

„წმინდანების თორმეტი დასის“ ფეხშიშველი სიარული რაღაც საოცარი სიწმინდით გვმსჭავლავს და გვინერგავს რწმენას, გვაგრძნობინებს უფლის ძალას მის სტრიქონებში, რამეთუ მხოლოდ უფლის რჩეულს ხელეწიფება მიაყურადოს მკითხველი იდუმალი ხმებით მოცული სამყაროს ჰარმონიას, დააანახოს „როგორ ამოდის ვეშაპივით შავი ზღვიდან შემოდგომის ღრუბელი ქარში, როგორ გაკრთება ელვა ოქროს ქოშით და მამლის დეზით“ ... ამ სტრიქონებით პოეტმა ხატოვნად წარმოაჩინა თავისი უფაქიზესი განცდა, ოცნებებისა და უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვის ყოვლისშემძლეობაც... და რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, პოეტის ყოველი სიტყვა ქრისტიანული მრწამსით იმუხტება და შემოქმედს ხილვის ლოგიკა, ანალიზის სიზუსტე, პოეტური სინტაქსის ვირტუოზული ფლობის უნარი განსაკუთრებული სიცხადით გამოკვეთს აზრის სიღმისეულ ბუნებას: და მაინც: „ღმერთი განაგებს სოფელს და ცარგვალს და მისით ხელობს ბრძენი და ხელი, ისე ვარ, თითქო სანთლების ნაცვლად, საფლავის ქვები მი-

ჭირავს ხელით.“ („ლედი მაკბეტი“), – აქ გვიხატავს რა ლირიკული პერსონაჟის ტრაგიკულ ყოფას, მიგვანიშნებს სიკვდილის გარდუვალობაზეც. სიცოცხლის წარმავლობის სევდიან თემებზე. ასევე უნდა ითქვას, რომ პოეტი მაქსიმებში შთამბეჭდავად გამოხატავს დროის მაჯისცემას, კატაკლიზმებს, რამაც ადამიანები სულიერად შეარყია. „აქ ყოველივე ერთი მტვერია, რომელიც თვალებს მივსებს და ღვთიურ სინათლეს სულ უფრო და უფრო განვეშორები, კედელ-კედელ, ხან აქ, ხან იქ, ხელისცეცებით დავხეტიალობ დიდი ცხოვრების მიღმა, გავკადნიერდები ერთ მართლაც სიტყვაზე ღვთის თამაშია ადამიანი, წერს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი („გარეგანი ადამიანის ნაკლებფასეულობასა და არსებული სინამდვილის ამაოებაზე“), ამ სიტყვების გამოძახილია გენო კალანდიას პოეტური ხილვები.

„მაქსიმები“ – გენო კალანდიას ამაყი და ძლიერი სულის გამონაშუქია. სასწაულებრივია მშვენიერების წმინდა ტაძარში დამკვიდრებული პოეტის ლოცვა-ვედრება, უზენაესის საყდარი, სულის სავანე ისევ პოეტის გულია.. უფლის ხმებით აღფრთოვანებული პოეტი ფეხისწვერებზე შემდგარი თაობებს გადასძახებს: „თვალებით მომაქვს მარგალიტი – მდინარის ზვირთი“..

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენო კალანდიამ ჩვენამდე მოიტანა უჩვეულო მარგალიტები, აზვირთებული მდინარე – დიდი პოეზია, რომელიც თაობების სულიერი წვრთნისა და განათლების მთელი სკოლაა. და „მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზედ მარტოდ დიდ ხასიათის კაცნი არიან, ქვეყნის ღერძს მარტო ისინი ატრიალებენ, ვისაც მოჰმადლებია გულთა სრულობა და დიდხასიათობა, იმისდა მიუხედავად, ტრიალი ემარჯვათ თუ ემარცხათ“ (ილია).

შუმერული ფირფიტებიდან ამოკითხული პიქტოგრამები

შუმერული ფირფიტებიდან ამოკითხული პიქტოგრამები გენო კალანდიას ახალი პოეტიკაა. მართლაც, „არის გენო კალანდიას პოეზიაში ის, რასაც ფორმისა და შინაარსის ჰარმონიას უწოდებენ. ეს სტილია, ხედვაა, ესთეტიკური პოზიციაა, რომელსაც ვერაფერი შეცვლის, რადგან ჰარმონიის ფენომენი, ყელაფერთან ერთად, ენაც არის, პოეტის კულტურული თვითიგივეობის საფუძველია. ამ ენაზე ლაპარაკობს აკადემიური კანონის ენით".[1]

პოეტი ჯიუტად, მაგრამ გაბედულად მიიწევს ახალ-ახალი პოეტური ფორმების საძიებლად და ნოვაციის გზით შესაშური პოეტური არტისტიზმით გვხიბლავს. ცოცხალი, ფეთქებადი პოეტური ხატებითა და მეტაფორებით გვაგრძნობინა წარსულის სურნელი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „პიქტოგრამები" ისეთი დონის პოეზიაა, რომ ამას შეგრძნება, გაგება უნდა. ესაა ძიება რაღაც უხილავისა და მიუწვდომელის. შორეული წარსულის გაცოცხლება, წარსული კი ხშირად დრამატულია და შინაგან დრამატიზმთანაა დაკავშირებული. ეს ძიება კი ორიგინალურია და მრავალფეროვანი.

მთელ ლექსს რაღაც ბედისწერული ულმობლობით გამოწვეული დარდი ასხივოსნებს, მაგრამ შიგნით, სულის სიღრმეში, რაღაც უჩვეულო ნათელი ბრწყინავს, ვინ იცის, ეგებ ესაა სწორედ მარადისობასთან წილნაყარობა, როცა შენს წინ საოცარი სურათი იშლება და პოეტი გულწრფელად გარწმუნებს: „ბალახზე ქალის და მზის სხივია, ბალახზე ვნება და თაფლუჭია, კედარის ტყეში მიდის ენქიდუ" ... აქ წარმოსახ-

1 გენო კალანდია, შუმერული ფირფიტები, „ჩვენი მწერლობა", თბ., 2013.

ვა პიკს აღწევს. იძენს უამრავ ფერს, მეტაფორები და სიმბოლოები მოულოდნელად გაციალდებიან პოეტურ პანოზე.

გენო კალანდიამ პრელიტერატურული ტექსტებიდან წამოღებული ფორმებით ახალი პოეტური სამყარო გადაგვიშალა, ახალი შინაარსი გახსნა და თითქოს აგერ, ჩვენს თვალწინ ლეგენდებიდან და თქმულეებიდან გადმოდიან ენქიდუ და დუმუზი, ურუქის დედოფალი, ინანა და დავიწყებიდან ამოზიდული წინაპართა სახეები გვაოცებენ სულის სიმაღლითა და მშვნიერებით. რა სასწაულებრივი განცდაა, როცა: „ტაძარი სამლოცველო, იმედი ნაღვლიანთა, მეურვე მეპატრონე, ცოდვილთა განკიცხულთა“ და სწორედ აქაა თქმისა და ქმნადობის სიმკვეთრე. რისკიც და გაბედულება, სიტყვასთან ჭიდილით გამოწვეული ნეტარი განცდა და უფალთან მიახლოების ზეაღმატებული სიხარული. და მაინც, აშკარად იკვეთება უმთავრესი – ეთიკური მრწამსი, რომელიც ავტორს მსოფლმხედველობის რანგში ჰყავს აყვანილი.

პოეტი – ფერმწერის მიერ დახატული სურათი ფერადოვანია და ნათელი, მთელი არსებით გრძნობ პოეტისეულ ჩანაფიქრს, მის უძირო, მზერაჩაუწვდენელ ამაღლებულ ფიქრებს და უმძაფრესი ექსპრესიით აღბეჭდილი სტრიქონებით თავის აფორიაქებულ სულში გვახედებს: „მოველ ნაკვერჩხლებით შენი ცა გავანათო... მწყემსი ვარ ჭეშმარიტი ურუქის დედოფალო“ ... რამდენი პოეზიაა ამ სტრიქონებში, რაოდენ დიდი სილამაზე და უჩვეულო სულიერი სიმაღლე...

აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს „ხელოვნება თავისუფალია, ვით ნიავი ჩემს სამშობლოში, – ნუ მიანდობთ მას ქვეყნის სამსახურს... ხელოვნება ის ულამაზესი ქალწულია, რომელსაც ვერ წაბაძავს ვერც ერთი ბანოვანი, ამაოდ ბაძავს ბუნება მას და ამაოდ იძახით თქვენ, ხელოვნება სარკეა

ცხოვრებისაო, ცხოვრება არ ქმნის ხელოვნებას, ხელოვნებაა შემოქმედის ცხოვრება (ოსკარ უაილდი)...

გენო კალანდია საკუთარი პოეტური ვნებით გადმოსცემს შორეულ წარსულს, კერძოდ მითოსის მხატვრულ სამყაროს, როცა შუმერულ პიქტოგრამებს კითხულობ, აშკარად გრძნობ, ზღვარი წაშლილია რეალობასა და მითოსს შორის. და რწმუნდები, რომ ადამიანი სამყაროს ნაწილია, რომელიც მარადისობაში სანთელივით იკიანთებს, რომლის გამონაშუქსაც ჩვენამდე მოაქვს უწყვეტი იდუმალება... („დაფა"). ლექსიდან წამოსული იმპულსები დროზეც გამაღლებს და საკუთარ თავთზეც: „და მამრის ყველა მაგარ კოცნაზე და მამრის ყველა ახალ ალყაზე ქალი შრიალებს უსურვაზივით, ქალი ღრმად სუნთქავს უსურვაზივით". ვფიქრობ, მსგავსი სტრიქონებით პოეტი ჯიუტად ცდილობს თვითდამკვიდრებას, რასაც აღწევს კიდეც საკუთარ თავზე ამაღლების დაუოკებელი ჟინით. და მაინც, თუ ურუქის დედოფალი „მეურვე, მეპატრონეა, ცოდვილთა განკიცხულთა" ვარსკვლავი – ვარდყვავილთა ეტლიდან გადმოსული", თავად პოეტი „მწყემსია ჭეშმარიტი" და აქ ამ სტრიქონებით წარსული და მომავალი ერთად თანაარსებობენ, ერთმანეთს ერწყმის ცეცხლი და წყალი, რაც მიღწეულია უჩვეულო პოეტური ოსტატობითა და შინაგანი გულწრფელობით. ცახცახებს ლამაზი სევდა დიდი წარსულის ნანგრევებთან და ახლა, აგერ („IV დაფა, „ინანა") „მიდიან... მიაქვთ, ჯორით, აქლემით ძვირფასი ძონი და სამკაული, მიდიან... მიაქვთ შარვლის ტოტებით – ზურმუხტის თვლები და საფეთქლები, – ვით ხოხბისა და ტრედის კვერცხები", – ძალზე მიმზიდველია ეს პასაჟი, თითქოს გაბუნდოვანებული ასოციაციები გაკრთებიან, მაგრამ პოეტი აშკარად გვიკვალავს გზას ხილულ განზომილებაში; „მიდიან... მიჰყავთ წყვ-

დიადი სახლში, უდაბნოს გზებით და საძოვრებით, ურის, ურუქის ცის დედოფალი“ ...

პოეტმა თითქოს წინაპართა ვნებები გააცოცხლა. იმდენად ძლიერია ლექსის ემოციური მუხტი, რომ თვალწინ მიდგას დაძიძგნილი, გათითოკაცებული საქართველო, დაკარგული სამოთხე – აფხაზეთი. ფერისა და სიტყვის ოქსიმორონი უმშვენიერეს მხატვრულ სახედ ტრანსფორმირდება და ტკივილით აღმოხდება პოეტს: „უცებ დაეშვა სიკვდილის ფარდა და უცებ შეწყდა სიცოცხლე მისი“ ... და ძალუმად ვგრძნობთ წარსულის სუნთქვას, დამახასიათებელი პოეტისათვის ინტონაციური თავისებურებითა და გამჭვირვალე ქვეტექსტებით, როცა სიკვდილან ერთად რაღაც დაფარული, უჩვეულო, რაინდული სული ილანდება...

და მაინც, შუმერული ფირფიტებიდან ამოკითხული პიქტოგრამები დავიწყებულის გახსენებაა, შუმერთა ვნებების გაცოცხლება და ქართულ სიტყვაში გადმონერგვაა. პიქტოგრამების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა ნოსტალგია სიჭაბუკეზე, პიროვნული შებრძოლებების, გზების, აღმართების მისტიკური განცდით შეფერადებული ხილვები. პოეტის მიერ ჩვენამდე მოტანილი ამბავი, მოქმედება წარმოსახვის ლოგიკის მშვენიერ საბურველშია გახვეული. შუმერთა ვნებები, სატრფიალო თუ საბრძოლო თავგადასავლები, წუთისოფლის ტრაგიზმით გათვალსაჩინოებული უჩვეულო ზმანებები ინტუიციურად დამაჯერებელია, რამეთუ აქ აშკარად იკვეთება უშუალობა, თვითმყოფადობა, დეტალისა და მთელის მშვენიერი ჰარმონია, აზრისა და იდეის ესთეტიზირებული სიღრმე და სიდიადე. უმთავრესი კი ადამიანური ფსიქოლოგიის ფართო სპექტრი, სევდიანი წარსული და ცხოვრების უსასრულობაში წვდომის წყურვილია...

პოეტმა ნათელი მოჰფინა თიხის დაფებზე არსებული უძველესი წარწერების შინაარსს, წყაროებს, ახალ სამეცნიერო ტრაქტატებს, კოსმოლოგიურ და ღვთისმეტყველების ტექსტებს, ღმერთებისადმი მიძღვნილ ფსალმუნებს. ასევე, შუმერების ყოფასა და სამყაროს შეგრძნების მათეულ გაგებას. მის მიერ ამოკითხული პიქტოგრამები ცხადყოფს შუმერთა უძველესი სიწმინდეების არსებობას. შუმერულ პანთეონში ღმერთი კაცი და ღმერთი ქალი თანაბარუფლებიანები იყვნენ და ერთად განიკითხავდნენ ჲყველა საკითხს „ციურ საბჭოში“. და მაინც, უმთავრესი, ისინი განუყოფლად აკავშირებდნენ თავიანთ ცხოვრებას ღმერთებთან და მათ მსახურებთან, რაც აშკარად გვარწმუნებს რელიგიის განვითარების მაღალ დონეზე... (III დაფა) – „დუმუზის შეხვედრა ინანასთან“ – „ინანა, ყანაა მკერდი შენი, დუმუზი“, – პოეტი გვამცნობს დუმუზის კაშირს ქალღმერთ ინანასთან. დუმუზი, რომელიც ბედნიერად ცხოვრობდა და განაგებდა სახელწიფოს, ქალის სიყვარულისათვის ყველაფერს მიატოვებს და ქალაქ ურუქში გააგრძელებს ცხოვრებას, სადაც ამ ქალღმერთის მსხვერპლი ხდება... დუმუზი ჭეშმარიტი ღვთაება მწყემსია, რომელიც პოეტის რწმენით, სალამურით, ნეკერჩხლებით ანათებს „დედოფლის ცას“.

„ცილინდრულ“ თიხის დაფებზე არსებული წარწერებით პოეტი გვარწმუნებს მაღალგანვითარებადი კულტურის არსებობაზე. ჲყველა ატრიბუტით, სხვადასხვა ხელობით, ნარმოებით, სოფლის მეურნეობით, არქიტექტურით, ოქრომჭედლობით, გამოგონებებით, განძეულით, რწმენით, რაც ქმნიდა ყველა მიწიერ ფუნდამენტს და აყალიბებდა შუმერთა ცივილიოზაციის მაღალ კულტურას.

საგალობლები უფლისთვის

2013 წლის 23 ნოემბერს „ჩვენი მწერლობის“ 24-ე ნომერში დაიბეჭდა გენო კალანდიას ლექსების ციკლი „საგალობლები უფლისთვის“. წინათქმაში ვკითხულობთ: „ყველა პოეტი, როგორც ქმნადობის სუბიექტი, სადღაც გულისგულში, თავს ღმერთის დუბლიორად მიიჩნევს, მაგრამ ერთხელაც დგება მომენტი, როდესაც უნდა აღიაროს ჭეშმარიტება, რადგან თავის თავში გამოკეტვა არანაირად არ იძლევა ხსნის გარანტიას... პოეტმა იგრძნო პირველსაწყისი და იცნო თავისი პოეტური სუვერენიტეტი. კაცმა რომ თქვას, მთლიანობაც ეს არის, პიროვნული შემოქმედებითი მთლიანობა“.

გენო კალანდიას „საგალობლები უფლისთვის“ მასშტაბური აზროვნების ჭეშმარიტი ნიმუშია. როცა მათ კითხულობ აშკარად იკვეთება უმთავრესი, რომ ღმერთი შენშია, შენ კიდევ მასში. ღამე, სიცოცხლე, მთელი სამყარო მშვიდი და უმანკოა, ძელგ ღვინოსავით დამათრობელი. ყველაფერს, ყველა საგანსა და მოვლენას, რომელიც გვაღელვებს თავისი საიდუმლო და გრძნეულება აქვს. ვფიქრობ, თვით უფლისადმი რწმენამ და ერთგულებამ, სამშობლოსადმი უნაპირო სიყვარულმა უკარნახა პოეტს საგალობლების შინაგანი სტრუქტურა და აზრი, ვინაიდან სამყარო, სიცოცხლე საერთოდ, უფრო საინტერესო და ყოვლისმომცველია, უფრო მდიდარი და ვრცელი, ვიდრე წარმოსახვის ძალა და მაინც, ყველა აღმაფრენის, ყველა ბედისწერის წარმმართველი უფალია. პოეტი გვარწმუნებს, რომ მისი განსაკუთრებულობისა და გამორჩეულობის ინტერესია „ფრთები. შორეთი. შუქი. კამარა. ბაღი. გრანიტი და უკვდავება“ („ბაღი, გრანიტი და უკვდავება“).

უფლისადმი მიძღვნილმა საგალობლებმა თავისებურად

გაანატიფა, ახალი ინტონაციებით გაამდიდრა და ამაღლებული ესთეტიკით გამოაჩინა მისი სევდანარევი პოეტური სამყარო...

პოეტი მონუსხული და მოჯადოებულია კოსმიური სამყაროს უსასრულობით. ჩვეულებრივი, მოკვდავისათვის ხელით მოუხელთებელ სამყაროს გამაოგნებელი ხილვებით მიგვაახლოებს, მთელი არსებით სწყურია, შორეთი, შუქი, ახალი ნაპირი, „ახალი ქვეყანა“. მიელტვის იმ საიდუმლოს ამოხსნას, რაც ხილული სამყაროს მიღმაა. მუდმივად მისი გულისთქმა „ცის იქით ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება“ (ნ. ბარათაშვილი).

საგალობლების თავისებურებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პოეტური ხატები, რომლებიც ორიგინალურად წარმოგვიდგინა...

გენო კალანდიას საგალობლებს მივყავართ ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან, მეფეებთან, დიდებულებთან. გავიხსენოთ დავით აღმაშენებლმა „გალობანი სინანულისანით“ რომ გამოიგლოვა კაცობრიობის ცოდვები. დავით გურამიშვილი, მუდმივად ამქვეყნიური ჯურღმულიდან რომ ივედრებოდა გადარჩენას...

გენო კალანდიასათვის უძვირფასესი განძია რწმენა, ქრისტიანული ფასეულობები, სამშობლო... და მაინც „პოეზიაში მთავარია არა ის, რაც ახალია, არამედ ის, რაც ამავე დროს მარადიულია, ანუ სამუდამოდ რჩება“.

„საგალობლები უფლისთვის“ პოეზიაცაა და ფილოსოფიაც. უფრო მეტიც, ესაა უფალთან მიახლოების ჭეშმარიტი განცდა, ემოციის საბურველში გახვეული სათქმელი რაღაც უჩვეულო ჩანახატებით და სახეებითაა გადმოცემული. და ყველაფერი, პოეტის ფიქრი, ოცნება, მიწიერი მოვლენა,

ფაქტი თუ ღირებულებები კრისტალურ განზოგადებამდე მაღლდება. უსასრულო მრავალფეროვნებით, აღმაფერნითა და აღტკინებით კოსმიურ სივრცეში იღვრება სიტყვები. აქ ირეკლება პოეტის მთელი ცხოვრება. მისი ლირიკული გმირი მიწიერი ქაოსის ბინადარია. რომელსაც აწვალებს ფიქრი, რომელია უკეთესი – აქაურობა, ყოფიერება თუ ის, სადღაც არსებული, ჯერ კიდევ ამოუხსნელი, მარადიული საუფლო სულისა და დაეძებს პოეტი უფალს. „უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს, – თურმე შიგ გულში გქონია ბინა", – ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ჩვენს წარმოდგენაში იკვეთება პორტრეტი კაცისა, რომლისთვისაც რწმენა, როგორც ეთიკური კატეგორია, რელიგიურ ცნებადაა ქცეული.

პოეტის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა გვარწმუნებს, რომ ადამიანსა და სამყაროს შემოქმედს შორის ჩნდება რაღაც უჩვეულო ერთობა, რაღაც ჰარმონია და ყველგან უფლის მაღალი ნებით გვაზიარებს ბუნების ყოვლისშემძლეობას, რათა მივიღოთ ის თავისი დასაწყისით და დასასრულით... საგალობლების ძირითადი არსი სიყვარულია. ღრმა და ღვთიური, ზნეფაქიზი სიყვარული და ეს სიყვარული მშობლიური ფესვებიდან იწყება და როგორც საყვარელ ადამიანს ის აძლევს მიწასა და ენერგიას, ზრუნვას, გულის სითბოს და მისგანაც იგივეს ღებულობს ახალი ძალების, სიყვარულის, შთაგონების სახით: „მე თქვენ რაღაცას მოგიყვებით. ეს არასოდეს მომიყოლია, იმიტომ, რომ ჩემთან მხოლოდ ჩემი, რომ არასოდეს დავფიქრებულვარ რას ნიშნავს ეს... ბავშვობაში ჩემს თავს ბუნებასთან გაერთიანებულს ვგრძნობდი, ვფიქრობდი, რომ გარემოში ყველა საგანი, სულიერია, ველაპარაკებოდი და მიყვარდა ისინი... ქარით ათრთოლებული ფოთლების შრიალი მუსიკად მეჩვენებოდა.

მე მიყვარს მიწა. ყველა ჩემი გრძნობის ფესვი მიწაშია. ჩემი ბავშვობის ყველაზე ადრეულ მოგონებებს მიწის გემო აქვთ. მიწა, მინდორი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. მიწის ბინადართ, მცენარეებს, ცხოველებს, გლეხებს მე უფრო მძაფრად ვგრძნობდი, ვიდრე ბევრი სხვა ვინმე. ჩემში დღესაც ცოცხლობს ის ბავშვური, მიწისადმი ამ სიყვარულმა გააღვიძა ჩემში ხელოვანი... ამ სიყვარულის გარეშე ვერ დავწერდი სისხლიან ქორწილს, ვერასოდეს შევქმნიდი ჩემს უკანასკნელ ტრაგედიას“ ... (გარსია ლორკა).

შემოქმედის სულში ფორმათა, ფერთა, გრძნობათა მთელი სამყარო ბობოქრობს. ცხოვრების ტალღებს ერთიანი, განუწყვეტელი ხმაური ჩვენამდე აღწევს, ჩვენც ვიწოვთ ხარბად ყველაფერს, რასაც აღვიქვამთ: „გარეთ ვარდივით შრიალებს დაფნა, თითქო მაცხოვრის ღუღუნებს მტრედი, ავდგები, გავშლი ოდიშის ოთხთავს და აღსარებას თავიდან ვიტყვი“ ...

მაცხოვრის მტრედით, ვარდივით მოშრიალე დაფნითა და ოდიშის ოთხთავით მიგვანიშნებს პოეტი ჩვენს ეროვნულ-სარწმუნოებრივ მისიაზე... უფალი პოეტისათვის ცაცაა და მიწაც „ქველის, მონარქის, წმინდანის მადლით“, ამიტომაც, ადამიანს მისებრ სრულქმნილს და რჩეულს „სახე დადაფნულს ციური ალით“ ისე შეჰყურებს, როგორც სულიერ მამას და „მწუხრის სანთელს, – ვით ლერწმის კალამს ცრემლში ვაწებებ მაისის ღამით“. ჰოდა, რა არის ის, რაც ღვთაებრივს მიელტვის დამიწებულ ადამიანში, გამუდმებით რომ შეაგნებინებს, სადღაც სხვაგან რომაა კაცის მარადი სამშობლო?! – ასეთივე მაღალი ტკივილითა და ფიქრებითაა გაჟღენთილი გენო კალანდიას საგალობლები.

რწმენით, მართალი გულით, სუფთა სინდისით მოაბიჯებს პოეტი წუთისოფლის მზიან-ჩრდილიან გზაზე... და

მაინც, „ორი ნიაღვარი, სიკვდილი და სიცოცხლე, სხვადასხვა მხრიდან აწყდება სამყაროს. სიცოცხლეს მოაქვს უმაღლესი კეთილდღეობა, ყველა სიკეთეთა ერთობლიობა, უწმინდესი არსი ადამიანისა, სიკვდილი გვართმევს უძვირფასეს საგანს – სიცოცხლეს“ (ფოირბახი). „იფხიზლეთ და ყური უგდეთ... მომავლით იძვრიან ქარნი ფრთების იდუმალი შრიალით და მახვილ ყურთ აღწევს კეთილი უწყება“.[1]

„გემოი რაი ნათლისაი იხილონ და უმეტესად სუროდინ“.

„რამდენი ხმებია, რამდენი მუსიკა, რა უცნაური, გავჩუმდეთ, გავჩუმდეთ და ფეხქვეშ შეწყდება ფოთლების ხმაური და ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის, ქვეყანას რომ თავზე ევლება“ (ანა კალანდაძე, „ზედაზნის ტყეებზე“).

„სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს მოგონებებში ვიჭერ თანაბრად“ (გალაკტიონი, „ვერხვები“).

„იწყება სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც, ხედავთ, სალამურობს მოჭრილი ლერწამი“ (შოთა ნიშნიანიძე).

გენო კალანდიას ჩვენამდე მოაქვს ცის და მიწის მუსიკა, მთელი არსებით უფლისკენ მზერამიპყრობილი პოეტი, რაღაც განუმეორებელი პოეტური ხატებით ძერწავს მისტერიებს: „უფალო, ძველი იგავის დარად დავკარგე ძველი ხიბლი და ხვითო... და მაინც გულში ვიხუტებ ფრთხილად ყველა წმინდანის ჯვარსა და ქიტონს“ ... პოეტის ფიქრებში უკვდავებაზე შეთავსებულია სევდისა და სიხარულის, ღელვისა და სიმშვიდის წინააღმდეგობანი, მას როგორც პოეტს არ შეუძლია სევდის გარეშე გაიფიქროს, თუ როგორ მოუხდა მას განშორება „ბზიფის მარჯვენა ტოტთან“, რომელიც პოეტის ხსოვნაში დღეს მარგალიტივით ბრწყინდება. „ზღვა იყო, როგორც დე-

1 ნიცშე, ასე იტყობა ზარატუსტრა, ფილოსოფიური ბიბლიოთეკა, თბ. 1993, გვ. 63.

დოფლის ძონი, აბრეშუმი და წითელი ფარჩა". პოეტისათვის სიცოცხლე უძვირფასესი განძია. სიცოცხლე მზეა, რამეთუ ღმერთს მის გულში აქვს ბინა, და უფლის წყალობით „იების ბლონდით და მზის ბლონდებით იღვიძებს დიდი შაბათის დილა, ირგვლივ ბაღია თეთრი შროშნების და მონასტერში მეუფე წირავს".

მზე, იები, ბაღი, შროშანი, ზეთისხილისა და ალუბლის ტოტი, ბროლი, წყარო, მრევლი, ობოლი კრავი, წმინდა ქალწული, მამლის ფრთხიალი, შავი შაშვები, ოდიშის ოთხთავი, – ასეთი ბიბლიური პარადიგმებით იქსოვება გენო კალანდიას პოეტური გობელენი – გოიას, გოგენისა და რუბენსის ტილოებივით ოქროსფრად დაფერილი და პოეტიც ლამაზი სევდით გვიყვება სიცოცხლის დასასრულზე და აქვე გაკრთება სიკვდილის გარდუვალობაც. რწმენა იმისა, რომ „ნათესავი წარვალს და ნათესავი მომავალს და ქუეყანაი ჰგიეს უკუნისამდე, აღმოხდების მზე და დახდების მზე და ადგილისადვე თვისდა მოზიდავს" (ეკლესიასტე), მაგრამ ბობოქრობს, ბორგავს, მორაკრაკებს სიკეთის, თანაგრძნობის, სიყვარულის მარადიული ნაკადი. წმინდა და ნაკურთხი მიედინება უსასრულობისაკენ დიადი ერის სიცოცხლე, შემაერთებელი ძალა და ენერგია, დიადი საიდუმლო – შენი სიცოცხლე და სწორედ ამ საიდუმლოში ქრება და უჩინარდება პიროვნების ეგოისტური ლტოლვა ბედნიერებისაკენ. მამულის, ადგილის დედის სიყვარულით ფრთაშესხმული, უფლისგან ნაკარნახევი „ცხოვრების დიადი წიგნით" ცდილობს „ოქროს ქნარის სიმების ჟღერას მიაკვლიოს".

„მე ოქროს ქნარის სიმების ჟღერა ჰაერში მესმის გაურკვეველი, მაგრამ ვერ მივწვდი, ვერა და ვერა, ვერ გავხდი მისი მომაკვლეველი. (გიორგი ლეონიძე).

ზეციურ სიბრძნესთან წილნაყარი პოეტის სულში გამუდმებით თოვს: „ათოვს სიყვარულს და თოვლის კარავს, ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს, თითქო დილიდან ვარდებში წვანან დანიის პრინცი და ოფელია“ ... და თოვს პოეტის სულში. თოვლიანი მშობლიური გზებით, თოვლიანი სიყვარულით გვაგრძნობინებს თავის ტკივილებს.

დრო-ჟამის საბედისწერო გზაჯვარედინი აფიქრებს. რომ დღეს გასხვისებულ საქართველოში ცხოვრობს და ადგილის დედის, მშობლიური აფხაზეთის გარეშე „სიკვდილმისჯილი კაცია“, ოლონდ იღბლიანი, ამიტომაც ალავლენს ვედრებას უფლის წინაშე: „უფალო, ვფიქრობ სიკვდილის დღეზე, ექიმი ხშირად მისინჯავს მაჯას... ვიგონებ ბზიფის ფიჭვისფერ კედელს და კარაბადინს, ვით მამის ბარჟას, ცხოვრებამ უკვე დაკარგა აზრი, განელდა გულის სითბო და ცეცხლი... საღამო, როგორც შტრაუსის ვალსი, მემშვიდობება მეუღლის ცრემლით“.

მამულის სიყვარულით გათანგული პოეტი წარსულიდან გამოიხმობს დიდ მწერალს ლევან გოთუას – „მრავალტანჯულ დიდ ბავშვს“ (გ.კალანდია). „იგი თავის ძალასა და ღონეს, შემართებასა და მხატვრულ ნიჭს ქვეყნის სამსახურს ახმარდა და „დაუხარჯავი ძალების ცეცხლით მშობელი ხალხის სამსახურში იწვოდა“[1] – „უფალო, ვზივარ არმაზის კართან უხმლო, უხამლო, სახეწაშლილი... ვეფხვივით ბრტყელი ბეჭები ჰქონდა, მკერდი უგავდა პიტალო კედელს, ისიც ჩემსავით იტანჯებოდა, როცა ფიქრობდა სამშობლოს ბედზე“.

პოეტი ქვეყნის სწორუპოვარი ქომაგი და მოსარჩლეა, მთელი საგალობლები (უფლისადმი) ზვარაკად მიტანილი

---

1 გურამ ასათიანი, სრბოლა ცხოვრებისა, წიგნში „საკურთხეველთან“, თბ., 1980. გვ. 669

და სასოებით შეწირული, მისი საკუთარი სხეულის ნაწილია, მოკრძალებით დადებული მამულის, სამშობლოს საკურთხეველზე.

გენო კალანდიასათვის უმაღლესი განძია უფლისადმი რწმენა და კიდევაც მუდმივად განადიდებს თავისი პოეტური ხმით: „უფალო, ჩემი ეკვდერის სარკმელს ერთი ლამაზი ფრინველი ეტრფის, ფეტვივით კენკავს ალუბლის კანკელს ჰიმნის, გალობის პირველი მეტრი. პორტალზე დგება, ვით ესმერალდა, ვით ბალერინა გედების ტბაში, ის არის ჩემი სენაკის სევდა და ჩემი ბოლო კამარა ცაში.“

პოეტი მთელი ძალებით შეისუნთქავს და განიცდის სამყაროს და გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქმნელია ავისა, ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა... მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“ (ვაჟა ფშაველა) და მიგვანიშნებს სისხლხორცეულ კავშირს მშობლიურ წიაღთან, საიდანაც როგორც შემოქმედი ისრუტავს მაცოცხლებელ წყალს და მადლს სწირავს უფალს უნაპირო სიკეთისათვის. როცა მზე – „უფლის ფარი“ ამოდის დილით, მაშინ პოეტის ეზოში „ფარვანასავით მიფრინავს ჩრდილი მაყვლის ბუჩქიდან ალუბლის შტოზე, ხასხასებს, ბზინავს ფორთოხლის ბაღი, ვით ირმის წყარო და ოქროს ქვიშა, თითქო ჩიტები მართავენ აღლუმს, სალოსად ჩემი შედგომის ნიშნად“.

გენო კალანდიას საგალობლებში „ვარდის ბაღი ჰგავს ქალწულის სიზმარს, ძიძის კეთილი ხელით მოქსოვილს. ხე და ჩიტები გალობენ ერთად და აღვიძებენ მძინარე სოფელს, აქ რომ ბელურა დაფრინავს მინდვრად ჰგავს შავი ფრაკით

ფრედერიკ შოპენს“ ...

უფლის წყალობით ოქროსფერ მარცვლიდან რძე და მირონი მოჟონავს, „ჭალას – ოქსინოს მთრთოლვარე კამის მზე და გიშერი ანათებს ერთად“. გენო კალანდიას სული ეწეწება, როცა ხედავს როგორ ეხვევა მუმლი მუხას, მაცხოვრის სურათიდან წყალმა დაიწყო დენა, და სურს გაექცეს მომაბეზრებელ ყოფას, ამიტომაც ესწრაფვის უფალთან განმარტოებას. ეს მისტერია კი მარადიულია და არის ამ საგალობლებში მხოლოდ მისეული, მისი გულიდან ამოღებული და მისი რაინდული კაცობის ბეჭდით დადასტურებული. უმთავრესი მაინც სიყვარულია, რომლითაც ყველაზე ძლიერია პოეტი. ვფიქრობ, უფლისადმი რწმენამ და სიყვარულის დიადმა ძალამ შექმნა გენო კალანდიას აბრისი. რომელსაც სამარადისოდ დაამშვენებს ეს დიდებული სტრიქონები! ... „ხელმოცარული კაცივით ვდგავარ მეტეხის კართან თუ ალაყაფთან.. და მისთვის ვაგროვებ ქარვას, ფუტკრის გოლეულს და პურის თავთავს“, – ამ სიტყვებს თქმა ძალუძს მხოლოდ ისეთ პიროვნებას, რომელიც ღვთიური სულისაა და ცდილობს გაიაროს ბეწვის ხიდზე, რათა იყოს შუამავალი ადამიანსა და უფალს შორის. „შუა კაცი ვარ უბრალო, არც მიწისა ვარ, არც ცისა“ (აკაკი). „ფიქრის ჯვარზე გაკრული პოეტი“ (პოლ ვალერი) ცდილობს გაექცეს დარდს, ტკივილს და ყოველი დილა მისთვის ლოცვით, „საკურთხეველთან გაშლილი წიგნით“ იწყება. უფალზე, მამულზე და ადამიანის სიყვარულით, სისხლიანი ცრემლებითაა ნასაზრდოები, ზღვიდან ამოსული „სისხლიანი ყვავილის“ სურნელით გამორჩეული მისი ლექსები გვარწმუნებს ახალი ნაპირის არსებობაში. პოეტი მდიდარია ძოწითა და ვარდით, ვერცხლით, მარჯნითა და ბროლით – ეს ძვირფასი ქვები ბიბლიიდან გადმოსული პარადიგმებია.

განძს, ძვირფას თვლებს სიტყვას უკავშირებს ვაჟა ფშაველა: „სიტყვამ – წვერს მარგალიტი მოისხა, ტანი ზურმუხტით იფარა“ („სიტყვა ეული“ (4.288).

გალაკტიონისთვის „ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ჰფარავს შეუცვლელი, რას იშვიათად თუ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი“ (გალაკტიონი).

„ბაჯაღლოსავით გაიწკრიალებს გული, სული აიკრეფს თვალ-მარგალიტებს მძივებს, თუ გაიხსნება ცა-სასწაულით სავსე, აალევარებს მისთვის დანთებულ იმედს! (ანა კალანდაძე, „ბაჯაღლოსავით გაიწკრიალებს“).

უხილავის, უზენაესის მადლნაწყალობევი პოეტი, ღვთის მარადიული ბრწყინვალებითაა მონუსხული და საოცარი ფერწერული სურათის მოწმეს გვხდის: „უფალო წვიმას აპირებს ისევ, თებრონეს წყალზე გაუტყდა კოკა, გავარდა მეხი... განათდა მყისვე და ელვამ ღრუბელს დაუწყო კოცნა. ლალით, ალმასით გაივსო ტბორი, ღელე, მდინარე და სოფლის ერდო, ამდენი ვერცხლი, მარჯანი, ბროლი, მე არ მინახავს აღარსად ღმერთო!!!“ ... ამ ძვირფასი ქვებითაა მოფენილი მთელი სამყარო, მთავარია შეგეძლოს შემჩნევა, მთავარია ყური მიუგდო ზეციდან მზის ჩქერალივით ჩამოღვრილ მუსიკას, ეს ის ხმაა, რომელიც სულ სხვა თვალით დაგანახებს ყველაფერს, დაინახავ, თუ როგორ მოადგა გემი – „ზღვების მუზა“ ნაპირს, „მეზღვაურები ფორთოხლებს ჰგვანან გავარვარებულ ზაფხულიხ ბინდში“.

პოეტს ურყევად სწამს და სჯერა სიცოცხლის მარადისობის, სჯერა უფლის და ამიტომაც, მთელი არსებით მზადაა თავი გაწიროს ადამიანთა ბედნიერებისათვის. „ჩვენს თვალებში მზის ნათელი თუ არ ღვივის, რანაირად შეიძლებდნენ შუქის ხილვას? თუ არ არის ჩვენში ძალა ღვთაებრივის, ყვე-

ლაფერი ღვთაებრივი რატომ გვხიბლავს:"[1]

გენო კალანდიას მზერა მუდმივად ზეცისკენაა მიპყრობილი და მუდმივად ახსოვს „დედაოს ცრემლი", გაჩენის დღიდან ქართული ზეცის ვარსკვლავთმრიცხველად გაზარდა მშობელმა მამამ, რომლის მხრებზე თავს მოლალურად გრძნობდა. „... მას შემდეგ ვფიქრობ ქართველთა ბედზე, შეძრწუნებული სამშობლოს ბედით".

საგალობლებში თითქოს რაღაც ახალი კი არ ცხადდება, დავიწყებული ჩნდება ხსოვნაში. „მშვენიერი ლექსის კითხვისას ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს თვითონაც შეგვეძლო ამის დაწერა, რომ ეს ლექსი ჩვენში ადრეც არსებობდა, ეს მეხსიერებიდან ამოატივტივებს პოეზიას პლატონისეულ განსაზღვრებას: მსუბუქი, ფრთიანი, წმინდა.[2]

„ყური მომიხვილე, ყველა სულიერია? მაშ მიწა რათ სტირის? არ გინახია მიწის ტირილი დილაადრიან? ბალახი რომ წამს გაუშვებს ის მიწის ტირილია, რა ატირებს – ჩვენი ცოდვა? თუ მზის ამოსვლა უხარია? შენ იცი, რომ ხემ და ქვამაც იცის დარდი? სიცილიც იცის დედამიწამ, – თეთრად რომ იცინის ყვავილი გაზაფხულზე. ყვავილით იცინის დედამიწა, ცა ვარსკვლავებით იცინის" (გ.ლეონიძე „ნატვრის ხე").

გენო კალანდიას ამ ლექსებს ცის და მიწის ამგვარი განცდა და სურნელი მოაქვს ჩვენამდე. ისინიც მონატრებაა და მოფერება ყველაფრისა, იმ სილამაზისა და ბედნიერებისა, რაც ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ხსოვნას შემორჩა... „უფალო, ზღვიდან ბრუნდება მამა, ქარივით უკან მოჰყვება ზვირთი, გახედავს ცარგვალს – კარსმომდგარ ზამთარს და გვთხოვს წყალობას ოჯახზე ფიქრით. ვარსკვლავებივით ამოყრის

1 გოეთე, რჩეული ლირიკა, თარგმანი ა.გელოვანისა, თბ., 1972, გვ. 292

2 ხორხე ლუის ბორხესი, მეშვიდე საღამო პოეზია, „ჩვენი მწერლობა", 1 ოქტომბერი, 2010

თევზებს ზღვის ღრუბელივით სავსე ბადედან, დგას დედაჩემი – პირბადრი მთვარე და გაფურჩქნილი განთიადივით". – აქ და ყველგან, ყოველ სტრიქონში მზიური სულის გამონაშუქია, ოჯახზე მოფიქრალი მამა, მის მიერ ზღვის ღრუბელივით სავსე ბადიდან ვარსკვლავებივით ამოყრილი თევზები, რაღაც უკეთილშობილესი სინაზის გამოხატულებაა. სათუთი მგრძნობიარობით და სულის სიფაქიზითაა დახატული დედის ხატი – „დგას დედაჩემი – პირბადრი მთვარე და გაფურჩქნილი განთიადივით" ...

პოეტი ფიქრით, ლამაზი ოცნებით მიემართება უფლის ბაღისკენ, ქრისტეს ტაძარს მოინატრებს, ნუგეშად „ძე ღვთისას" იგულვებს: ... ხასხასებს, როგორც წვიმაში ვარდი, მალე ძე ღვთისა, – ლაღი და მშვიდი, – მიეახლება წიგნით და სანთლით და განათდება ცა ოთხი კიდით".

თითოეულ საგალობელში მოთქმა-გოდებაა დაკარგული მშობლიური სანახებისა; რეალურისა თუ ზეციურისაც, ზეციური წარმომავლობის სახეები მისი შთაგონების წყაროა, რაც მშობლიურის სადიდებლად აღაფრთოვანებს. მხოლოდ გენო კალანდიას, პოეტის კვართით დაბადებულს ძალუძს პასუხისმგებლობით ამოთქვას: „უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს, თურმე შიგ გულში გქონია ბინა, მე გზას ვეძებდი და თავს გიხრიდი ვით პაპისპაპა დიდი ხნის წინათ" ... აქ ადამიანისა და ღმერთის უჩვეულო კავშირია, რომ უფალი მუდამ შენშია, შენთანაა...

გენო კალანდიას ლექსები ციკლი („საგალობლები უფლისთვის") ლამაზად მიემართება მკითხველის გულისაკენ. პოეტური სული ბეწვის ხიდზე გადის და ეძებს კოსმიურ ერთობას. მან ეს შთამბეჭდავად მოახერხა, მოახერხა სიყვარულით. იგი მთელ კოსმიურ სამყაროს თავისი გულით

დაატარებს და შეძლო რეალურის მიღმა არსებული უნივერსალურის გამომზეურება. მისი სული მუდმივად უფალს უხმობს, უფალს ევედრება გახლეჩილი მამულის გამრთელებას, დაკარგული რიწის, ყულანურხვას თუ გაგრის დაბრუნებას. აშკარად იკვეთება ჩვენი შეგრძნების იქით, პოეტური სულის მიერ ნაგრძნობი სამყაროს უმშვენიერესი სურათები, სადაც სიცოცხლე მუდმივად ფეთქავს, სუნთქავს და ტკივილისაგან გულიც ეწურება და ისიც უფალს, ფანტაზიას მინდობილი, ქმნის ახალ სამყაროს, ახალ სიცოცხლეს და თითქოს იქმნება მეწამული ნათებით მოსილი, ბოდლერისეული სამყარო...

ამ ლექსებში რელიგიური სახე-სიმბოლოები ორმაგადაა კოდირებული და მაშინ, როცა პოეტის სულს სასწაულად მოენატრება აფხაზეთი, მოენატრება კოლხეთი, ბავშვობის ზღაპრული სამყაროდან გამოწვეული პერსონაჟები მის ხელში სიმბოლოდ გარდაიქმნებიან და ხალხური ტრადიციული სახეები უნატიფესი ორიგინალობით ექსოვება... ეროვნულ ყოფასა და ხასიათს, სიყმაწვილის გაჩეხილი ჭალა, „ზღვა – ცოცხალი საგა“, „მზე – ბეკეტის გოდო“ და სხვა „ტკბილი ზმანებანი, ახლა „გამხმარ ნაფოტებად“ გაჩრილა პოეტის სულში და ცრემლებად ჩაიღვრება სტრიქონებში: „უფალო, ვაშლის, ალუბლის ფერით იღვიძებს ძველი მარტვილის დილა, კისკისებს... მღერის ტეხური ჩქერი, ვით მზეჩაწნული მეგრელი ცირა. ტობავარჩხილიც აქ არის, აქვე, არყის ჯაჭვივით ცოცხალი ჭავლით, ცა არის როგორც სამოთხის ქარვა ოქრომრავალი არესის ჭალით.“ ან კიდევ: „უფალო, გახსოვს ის ძველი ცაცხვი, – წმინდა ქალწულთა სავანე დიდი, ცა – შეფეთქილი იით და ცარცით, მზე – გაწონილი სასირყვას მშვილდით.“...

გენო კალანდიას ლირიკულ გმირს სწყურია ახალი სიც-

ოცხლე, ახალი სამყარო, არ ასვენებს ფიქრი, წუხს და განიცდის იმას, რაც საბედისწერო დრო-ჟამმა აღგავა პირისაგან მიწისა. არადა რა ბედნიერი იყო პოეტი, იყო რომანტიკა, ბუნებრიობა, გულწრფელობა, სისადავე, იყო სიხარული, მაგრამ იყო ტკივილიც. იყო სიძულვილი, მაგრამ იყო სიყვარული, ტკივილიანი სიყვარული და იქმნება საგალობლები, იქმნება შთამბეჭდავი პოეტური სახეები, რომლებიც მუდამ გაგვაოცებენ...

მართებულად წერს ჟ.პომპიდუ: „არის პოეზია მზისა თუ ნისლის, პოეზია აღმოჩენისა და პოეზია ჩვეულებრივი იმედებისა თუ სინანულის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ბედნიერებისა და უბედურებისა, ნაკლები მნიშვნელობა აქვს სად გამოიხატება ლექსში თუ პროზაში, ქვაში თუ ნახატში... კოლიზეუმი პოეტურია, რადგანაც სანახევროდ დანგრეულია და საბერძნეთისა თუ სიცილიის ცის ქვეშ ეულად დარჩენილი კოლონის ტანი მიტოვებულობის პოეზიით მეტ სილამაზეს იძენს, ვიდრე სასწაულებრივად გადარჩენილი და შემონახული „კვადრატული სახლი“.[1]

გენო კალანდიას პოეტური სული ზეცაში, „წმინდა ნათელს“ მიაკვლევს, უფლის გაკვალული გზა ეიმედება, რადგან მხოლოდ ამ გზაზეა შესაძლებელი ბედნიერების მოპოვება და როცა გულში ასეთი დიდი სიყვარულია და თანაც პოეტური „წმინდა სულია“ მაშინ ო, მაშინ, ყველაფერი სხვაგვარად ბრწყინდება. ღამით მოსული თოვლიც ათასი კვარივით ციმციმებს: „უფალო, თოვლი მოსულა ღამით, რა სიმშვიდეა, რა სილამაზე! თითქო ათასი ციმციმებს კვარი, – შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე. ისეთი მზე და გარემო სუფევს, ისე-

1 ჟორჟ პომპიდუ ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობა, „ჩვენი მწერლობა“, 19 მარტი, 2010, გვ. 2

თი მნათი ანათებს საყდარს, თითქო იები მოგართვეს წუხელ წმინდა მამებმა სიონის კართან."

მის ლექსებში ხშირია სრულიად ახალი ფორმები, მღერადი მეტაფორები, უჩვეულო ფერთა გამა, თითქოს „ცისა დასთა დასის" შარავანდედი ადგას ყოველივეს. პოეტი მაღალი სიბრძნის, საღვთო წმინდა სიბრძნის ერთგულია. მისთვის ბიბლია მარადიული და უწმინდესი წიგნია. საგალობლები მისი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ერთგულების ჭეშმარიტი დადასტურებაა. მარადიული გადასახედიდანაა განჭვრეტელი ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანის ცოდვა-მადლი, ფილოსოფიური თუ პატრიოტული იდეები გააზრებულია საღვთო ჭრილში, რაც მის მხატვრულ სამყაროს საოცარი ნათლით მოსავს.

„ქვეყნიერების გვირგვინი და მისი მშვენება ადამიანია, ღმერთმა რომ თავისი შემოქმედება ადამიანის შექმნით დაამთავრა, ამაშიც დიდი აზრია. ღმერთმა შემოქმედება შეწყვიტა, როცა შექმნა შემოქმედი. ამიერიდან შემოქმედება ადამიანმა უნდა განაგრძოს, ამით კი ადამიანის ყველაზე მაღალ მოწოდებად შემოქმედება ცხადდება. ასე უახლოვდება ბიბლიური მითოსი ესთეტიკას".[1]

პოეტისათვის ქაოსით მოცულ ყოფაში ერთადერთი ნუგეში უფალია, ის ანიჭებს სასიცოცხლო ძალებს რომ მწარე სინამდვილეს გაუმკლავდეს. ლექსების მთელი ციკლი კრავს პოეტის მთავარ სათქმელს, ისინი ირეკლავენ არა მარტო თვით შემოქმედის ცხოვრებას, არამედ მთელი კოსმიური სამყაროს ორომტრიალს და მაინც „საოცრების უბეა" მისი თვალით დანახული ჩვენი სინამდვილე, სადაც „ცაა შეფეთქილი იით

1 ციალა მესხია, ფერთამეტყველების ესთეტიკა, თბ., „გლობალ-პრინტი", 2012, გვ. 26

და ცარცით“, მზე – გაწონილი სასირყვას მშვილდით“, სადაც „იმ ძველი ცაცხვის ხეს „დღეს ურცხვად ეხვევა მუმლი, ზვავით ავად გუგუნებს მიწა, ხოლო თავად პოეტი ყოველდღე დარდით, ნაღველით ზმანებებში იძირება, ხსოვნაში კი მარგალიტებივით ბრწყინდება „ერკემლები და კაჭიჭის ჩხები“ ... აფხაზეთის ომის კოშმარული სურათები პოეტის სულში ირეკლება. მუდმივად ახსოვს ბზიფი და რიწა და „ღამღამობით, ბალღივით ტირის“ ...

შთამბეჭდავად ახერხებს შეგვაგრძნობინოს რომ ნაცრადქცეული ფესვები ერის მღელვარე სულია, გონების თვალით რომ მიჰყვება ლურჯი იაიებისა და მწველი მზის ქვეშ, ერცახუს მთების კალთებზე ტალღების ხმაურში, სოხუმის, გაგრის, ბზიფის, რიწის, ილორის, წაჩხურის, ბაგრატის ტაძრების ჩამოშლილ კედლებში, კოლხეთის აბიბინებულ ზვრებსა და ყანებში, ენგურჰესის მოკაშკაშე ნათურებში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მამულიშვილთა საფლავების სიმყუდროვესა და დუმილში პოულობს სიტყვის ოსტატი იმ სასიცოცხლო ძალებს, რათა შეგვახსენოს, რომ ამაოდ არ იღვრება დედამიწაზე დიადი მზის სხივებით განბანილი ციდან სიხარული და სითბო, სინათლე და სიცოცხლე და ამიტომაც მისთვის, როგორც უმაღლეს ღირებულებების ერთგული მსახურისათვის ყოველი დღე ლოცვით იწყება: „უფალო, დილა იწყება ლოცვით, საკურთხეველთან გაშლილი წიგნით, მკერდზე ამბიონით და ხელზე კოცნით, შენზე, მამულზე, ძეკაცზე ფიქრით“ ...

პოეტის მაღალი სული, ამაღელვებელი მედიტაციური წიაღსვლებით, შინაგანად განათებული მშვენიერების ჭეშმარიტი სიყვარულით გამაოგნებელ სილამაზეს იწვევს თითოეულ ჩვენგანში. არჩევს უსასრულო სფეროში, იმ ყველაფერს, რაც

მასში იწვევს ლამაზ განცდებს, ზოგჯერ კიდევაც „ღალატობს თავისთავს“ (უ.პომპიდუს ტერმინი), რადგან აშკარად გვაზიარებს იმ საიდუმლოს გამოსახვას. „რას ბჭობენ უენო არსნი“ (ბოდლერი).

თუკი გენო კალანდიას ლექსების ქრონოლოგიას მივედევნებით, შევამჩნეთ, რომ მის პოეზიაში სხვა ფაქტორებთან ერთად განსაკუთრებული როლი უკავია ლექსების ციკლს „საგალობლები უფლისთვის“, რომელიც იქცა ტრამპლინად მისი შემოქმედების ახალ ეტაპზე გასასვლელად. მართებულად ბრძანებს თემურ შავლაძე: საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ორსტროფიანი ან ათმარცვლიანი (ამგვარი) ლექსემური ფორმით გამოხატა სათქმელი ავტორმა. იქნებ, სწორედ ამგვარი ლექსემურ-ვერსიფიკაციული და ფერწერულ-მუსიკალური გამა-ტონალობა შეესაბამება საგალობელთა შინაარსს, განწყობილებას, სივრცობრიობას, რომ აქ მართლაც ოქროს შუალედია... ამ საგალობელთა ციკლით იგი წარმოჩინდა (მართლაც!) მაღალი ნიშნულის პოეტად, თუმცა ეს არც ადრე აკლდა, მაგრამ მაინც სულ სხვაა სიმაღლით ახალი სიმაღლის წარმოჩენა“.

თითოეული ლექსი გალობაა მზიური შუქით გალიცლიცებული. პოეტი, რომელსაც ღვთის ტაძარში ოდიშის ოთხთავი გადაუშლია, აღსარებას თავიდან ამბობს. ზეცად უხმობენ ქერუბიმები ფრთების შრიალით, ცას, ღვთის საუფლოს მიეახლება „წიგნით და სანთლით“ და ეიმედება „განათდება ცა ოთხი კიდით“.

პოეტის გამჭოლი მზერა ნაღდი „ქართულია, სივრცის დაუნჯებით“, ქართული ფერების სამოსელში გამოხვეული ჯავარიანი სიტყვებით იქსოვება მისი უკეთილშობილესი სულის ტილო და გვაოცებს: თრიმელის ფერი, შავი ვარდისფერი

პერანგი, ფირუზისფერი სევდა. „პურის ოქროსფერი მარცვალი“. მინანქარივით მოციმციმე ბაღი... „და ჩანჩქერივით იფრქვევა ცისქვეშ თეთრი, ქაფქაფა და ფიფქისდარი“, – ამბობს პოეტი და ნათლად ხედავს, თუ როგორ ციმციმებს ათასი კვარი თოვლზე, როგორ იფრქვევა მზე და სითბო, ხედავ იმასაც, თუ როგორ ცვივა ხეს ფოთლები და „კვლავ ჟრუნისფრად თენდება დილა“, მაგრამ გულს ენუგეშება, სულს ესალბუნება „იების თოვლითა და მზის ბლონდებით“ გაღვიძებული დილა, „ირგვლივ ბაღია თეთრი შროშნების და მონასტერში მეუფე წირავს“ ...

გენო კალანდია ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ჯავაირჩია, წილნაყარი ძველი ქართული კულტურის კერებთან. ქართული და ევროპული კულტურის ძეგლების ცოდნამ კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა მისი პოეტური სამყარო.

პოეტი აფიქსირებს, რომ მისი სულიერი საზრდოა ბიბლია და მამათა თეოლოგიური ტრაქტატები, ჩვენი მდიდარი ქართული სასულიერო პოეზია და ფილოსოფოსთა ნააზრევი.

გენო კალანდიას საგალობლები სრულიად თავისებური, უნიკალური მოვლენაა ჩვენი სინამდვილისა, ესაა ერთი ულამაზესი თაიგული, რუდუნებით შერჩეული გამოცდილებათა საგანძური, მისი ღვთიური ნიჭისა და სიბრძნის ნაყოფი – უჩვეულოდ ვრცელია ამ წიგნის ლირიკული გმირის ჰორიზონტი, რადგან იგი მოიცავს როგორც სადა, უბრალო, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ყოფაცხოვრებით სურათებს, ასევე დიად მასშტაბურ ისტორიულ ძვრებსა და კატაკლიზმებს, როგორც ზოგადსაკაცობრიო მარადიულ პრობლემებს, ასევე ეროვნულ-პატრიოტულ პრობლემატიკას, მისწრაფებებს მაღალი იდეალებისაკენ.

გენო კალანდიას ესმის დიდი წინაპრების ხმა. არაერთხელ აედევნება დიდი ვაჟას აჩრდილი, ვინ იცის, მერამდენედ კითხულობს „ვაჟას უკვდავ წიგნს“, მუდმივად ჩაესმის ხმლების წკრიალი და: „ომს და მოსისხლეს ებრძოდა თემი, სიტყვას ამბობდა ცეცხლივით ცინცხალს, გათეთრებოდა ხევისბერს თმები და საფიხვნოზე მთელი დღე ცრიდა“ ...

ფშავის ვარსკვლავიანი ცის მომნუსხველი სილამაზე და იქაური პეიზაჟების დიდებულება რაღაც უჩვეულოდ განმაცდევინა ამ სტრიქონებმა. რა ექსპრესიულადაა შემოწერილი ხევისბერის ხატი.

საოცრად ლამაზი და ამავე დროს გამაოგნებელია ერთერთ ლექსში გადახსნილი სივრცეების უსაზღვროება: „უფალო, – ცათა და ხმელთა ღმერთო, აქ განისვენებს მოხუცი დედა, მოვედი შენთან, რომ შეგავედრო, უფალო, ცათა, – დიდება შენდა!“ – მისტიკური ხილვებითა განათებული განცდები მზის სხივებივით გვეფინება. გარეგნული ეფექტების გარეშეა გამოთქმული დედისადმი უნაპირო სიყვარულის განცდათა დიდი სევდა, რომელსაც დედის გარდაცვალება იწვევს. კითხულობ ამ სტრიქონებს და არ შეიძლება არ გაგახსენდეს: ... „მამაკაცის წარმოდგენა ქალზე დედის საშუალებით ყალიბდება. დედა იდეალური ქალია – ალერსიანი, უანგარო, თავგამეტებული, სითბოთი და ზრუნვით სავსე. უშიშარი სანთლად რომ შემოევლება თავს, ყველაფერს გაიღებს და არაფერს მოგთხოვს. მერე ცხოვრება ამ იდეალს თანდათან ანგრევს, დედის მიერ შექმნილი იდეალი აღარსად გვხვდება. სული კი დაეძებს მას და ამაო ძებნაში იხარჯება ცხოვრება“.[1]

უსაზღვრო სევდა და სილამაზე ირეკლება ციკლის ერთერთ უმშვენიერეს ლექსში: „უფალო, ბერი მოადგა სენაკს,

1 აკაკი ბაქრაძე. დედა, „კვირის პალიტრა“, 2006, თბ., 29 მარტი.

შვიდი წმინდანის ხსენების კვირას, გაშალა წიგნი და, როგორც ძეწნას, ჩამოეშალა თმები და წირვას შეუდგა მათი სახელის ნიშნად, მათი უკვდავი ცხოვრების გამო, საკურთხეველთან ვიდექი მშვიდად და ვლოცულობდი მეც მთელი ღამე.“ – აქაა შემოქმედის ყოვლისშემძლე მარჯვენით შექმნილი, ზეციურ წმინდანებთან მიახლოების ნეტარი განცდა და რწმენაც თვალისმომჭრელად დაფერილი სამზეოს მარადისობისა... მრავალი ლექსის მონიშვნა შეიძლება, რომლებიც მძაფრი პოეტური განცდებითა და მედიტაციური წიაღსვლებით გვაოცებენ...

გენო კალანდია მეტაფორული აზროვნების დიდოსტატია. მეტაფორებით იქსოვება უჩვეულო პოეტური გობელენები. მეტაფორების ოქროსფერი შუქითაა დაფერილი შემდეგი ლექსიც: „უფალო, მზეში, ნათელში მნახე შენი ძის დიდი დღეობა იყო... სამოთხის უცხო ყვავილებს ჰგავდნენ ანგელოზები და შაშვის რიყე. ასი ათასი წმინდანის სახელს თეთრი ვარდივით ფურცლავდა ბაგით... და მწუხრის ზარი – მკვეთრი და მჭახე მტკვარს ჩამოჰქონდა მეტეხის ბაღით“ ...

პოეტის ფიქრი ფიქრს ერთვის, აზრი სიბრძნის მარცვლებად, მეტაფორებით იკინძება. ღვთიურ სინათლისკენ მიმსწრაფი პოეტი მიწაზე ტერენტი გრანელივით „ზეცის ხატებას“ მოინატრებს...

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ სამრეკლოს ჩრდილში მოღუღუნე მტრედს დალანდავს. მტრედი ანგელოზის უმანკო სულია და პოეტის წარმოსახვა გასაოცარ ხატ-სახეებით მიგვანიშნებს: „ტაძრიდან ნელა გამოდის მრევლი კაბების ალით და შარიშურით“ ... აქვე მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გენო კალანდიას მეტაფორულ აზროვნებასთან ერთად შესაშური უნარი აქვს მიგვიპატიჟოს მხატვრული შედარების, გაპიროვნებისა და ეპითეტების უჩვეულო ფეირვერკზე. რაც

ვფიქრობ, ერთ-ერთი ურთულესი საკითხია და ცალკე კვლევის საგანია.

გენო კალანდიას ვაჟა-ფშაველასავით ყველა კუთხიდან მტრიანი საქართველო უდგას თვალწინ. დროთა კავშირის რღვევა აშფოთებს, ვერ აუტანია გახლეჩილი, დაძიძგნილი და გათითოკაცებული საქართველო და მაინც დღენიადაგ „ტანჯული გულის ნაცრემლი“ სიტყვები ვარსკვლავებივით ენთებიან და სულიერების მაღალი ტვიფარით აღბეჭდავენ სილამაზეს, მშვენიერებას, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიას. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველა. „ათასჯერა წვიმს, სეტყვაა, მთებზე ნისლები ჰკიდია, ბევრი რამ ხდება ქვეყნადა, შიგ ცოდომადლი კიდია, ბუნება წარბსაც არ იხრის მაინც მშვიდია, მშვიდია“ ...

გენო კალანდია ფსალმუნების ტოლფარდი ინტონაციებითა და გულმხურვალე ლოცვებით მიგვანიშნებს ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირზე. მისი მრავალფეროვანი პალიტრა მდიდარი ლექსიკური მარაგით, მეტყველი კაშკაშა მეტაფორებითა და ფერებითაა გაჯერებული. სწორედ აქაა „ძალდაუტანებელი ოსტატობა“ (გ. ქიქოძე) პროფესიონალი პოეტის მიერ გააზრებული და საკუთარი თავიდან გასვლის გზის კონტურებიც.

პოეტი გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ „ბუნება, გარემო გვიცავს და შემოგვხვევია და ჩვენ არ შეგვწევს ძალა, გამოვეყოთ მას, არ შეგვწევს უნარი უფრო ღრმად შევაღწიოთ მასში, ჩვენ ჩავურთიეართ მას თავის უსასრულო ცეკვის წრებრუნვაში და ჩვენნაირად ტრიალებს, ვიდრე ძალა არ გამოგველევა და მკლავებიდან არ ჩამოუცურდებით...

როცა ადამიანი მასშია და ის ყველაში, ის არარად ამოაფრქვევს თავის ქმნილებას და არ ეუბნება, საიდან მოდის და

საით მიდის. მას მხოლოდ სირბილი მართებს, ამძიმებს და მუდამ აჯანჯღარებს, რომ გამოაფხიზლოს. მას არა აქვს არც ენა, არც მეტყველება, მაგრამ იგი ქმნის ენას და გულებს, რომელთა წყალობითაც გრძნობს და მეტყველებს. მის ყველა ქმნილებას საკუთარი არსი აქვს და მაინც, ყველაფერი ერთიანობას ქმნის, მისი გვირგვინი სიყვარულია, მას მხოლოდ სიყვარულით თუ მიუახლოვდებიან".[1]

თუკი გენო კალანდიას ლექსებს გარკვეული პერსპექტივიდან შევხედავთ, მაშინ მთელი საგალობლები ერთ მხატვრულ ტილოდ წარმოგვიდგება. ტილოს მთელი სინათლე მის შუაგულში აღმართულ ტაძარს შარავანდედად ადგას. ტაძარს მკვეთრად წარმოაჩენს და მეწამული შუქითაც ანათებს „იეგბის თოვლი", „მზის ბლონდები", „თეთრი შროშნების ბაღი", და „ცა ზაფხულის საგას წააგავს", მაგრამ რატომღაც „ვარდი მოუსხამს ჭინჭარს, დილიდან ურცხვად უცვლია ფერი, როგორც ნიშანზე გაწოლილ ისარს, ღრუბელზე უდევს კიპარისს წვერი" ... აქაა დეტალების, ფრაგმენტების ერთობლიობის არტისტიზმი, ტაძრისკენ მიმავალ გზას მიანიშნებს მათ, ვისაც დაუვიწყნია სამშობლო, მამული, ხალხი...

პოეტი სიკეთის ჭეშმარიტი მსახურია, რამეთუ უმაღლესი სულიერი ღირებულებები და ფასეულობები მხოლოდ სიყვარულითა და ერთგულებით, მისდამი უანგარო მსახურებითა და პასუხისმგებლობით თუ მკვიდრდება. ამიტომაც მის სულში მზესავით ანათებს მამულისადმი უანგარო სიყვარული: „ბაღში კალია გადადის ყირას, ცრემლში იხრჩობა მაისის ია, სოფელში მამლის ფრთხიალს და ყივილს, ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია". – ერთი შეხედვით, თითქოს უჩვეულო არაფერია ამ

---

1 გოეთე, საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანისა, „აჭარა", 1998.

სტრიქონებში, მაგრამ აქაა ფეთქვა სიცოცხლის, რიტმი სამშობლოსადმი უნაპირო სიყვარულისა და ჭეშმარიტად ჰარმონიული ღრმა და ვრცელი სამყარო...

გენო კალანდია გვახსენებს, რომ სიცოცხლე ყველაზე მოსაფრთხილებელია და შესანარჩუნებელი, ამიტომაც ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაწიერიდან იტყვის: „უფალო, ორი ხუცესის საფლავს, დილიდან სტუმრობს ძვირფასი მრევლი, ალალი იყოს იმათი სევდა, ალალი იყოს იმათი ცრემლი! შვენოდათ ოქროს ჯვარი და ფრთები,ისედაც მდიდართ სულით და ხორცით... ჩამოდიოდნენ მიწაზე ფეხით და ადიოდნენ ზეცაში ლოცვით“.

გულს უნათებს უფალი „ნათლისმფრქვეველი დიადი წიგნით“ ტაძრიდან გამოსული მრევლის კაბების ალი და შარიშური, სამრეკლოს ჩრდილში მოღუღუნე მტრედი, შაშვის გალობა, „ლოყაწითელი მაისის ვაშლი“, „გუგულის – გუ-გუ“, ქვაშიხორს მოჭახჭახე შაშვი, მზით განათებული წმინდანის ქიტონი...

პოეტი ღვთის რწმენის, წმინდა წერილის მადლით მონიჭებულ სიხარულზე იტყვის: „უფალო, წმინდა წერილის მადლით, – ძისა და კაცის ნათელში ვსახლობ, ვლოცულობ დღისით, ვლოცულობ ღამით შაშვების ტყეში, – შუამთის ახლოს.“ გამუდმებით ესმის ზეციდან ჩამოღვრილი გრძნეული ხმა, სასოებით მლოცველი და ზეცისკენ მზერა მიპყრობილი „შაშვების ტყეში, – შუამთას ახლოს“ წმინდა საბას დალანდავს და კოცნის ქართულ სიტყვას და ანბანს, – „ქართული მიწის ღვთაებრივ ვენახს“.

„ცათა მაღალთა მადლი შუქმონკრიალე სიმით გარდამოხდება მიწად, გარდამოაფენს იმედს, ითანათებს იგი შურთა ფარულთა მიღმა, რომ ზეცისა და მიწის კვლავ სიყ-

ვარული იხმოს“. (ანა კალანდაძე).

გენო კალანდიას საგალობლებში ვარსკვლავები მუდმივად ანათებენ. პოეტი გრძნობს ღვთის ნათებას, მაცხოვრის მადლს, ერთგულებისა და წყალობის ნიშნად პოეტის მიზანია ზეციურ საუფლოში დამკვიდრება, ბრძოლა მაღალი სულიერების დასამკვიდრებლად. სულიწმინდის მადლით განათებულია მისი სიტყვა. იგი მდიდარია ძოწით და ვარდით, მის პოეტურ ბაღში მუდმივად შრიალებს დილის ფსალმუნი, მზითაა განათებული წმინდანის ქიტონი, მეფის სკარცხული და მწყემსის კარავი...

პოეტისათვის უმთავრესია რწმენა, ამიტომაც დაიდო მის გულში უფალმა ბინა: „უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს, თურმე შიგ გულში გქონია ბინა“.

პოეტი დავით წინასწარმეტყველივით ევედრება უფალს საქართველოს ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის: „უფალო, თეთრი გიორგის სამწყსოს, მიეცი შენი ღვთიური ძალა, უკვდავყავ მისი ბროლი და წყარო, მისი ტან-ნელი და ღრუბლის ფარა. მხოლოდ შენ ძალგიძს აღანთო იგი მარადიული ცხოვრების ჟინით, შენი ბანიდან დახედე კარგად, მიეცი რწმენა და თვალისჩინი.“ ... მას ძალას მატებს, სიხარულით ავსებს და აცისკროვნებს უფლის სახლში დამკვიდრება და ღრმად სწამს, რომ ყოველგვარ უზნეობასა და ბოროტებას მისი დიდებით დაამარცხებს.

„საგალობლები უფლისთვის“ უფლის მუდმივი ხსოვნის მიმანიშნებელია და სულს მუდმივად ახსოვს სამშობლო – ადგილის დედა სამოთხე, რომელსაც „გრიგალდაკრული ბებერი გული ანდამატივით უბეში უდევს... რაც უნდა ტანჯონ, რაც უნდა გვემონ, სულ ქართულია იმისი ფუძე“. „უფლის საგალობლები“ ფართო ერუდიციის, აზროვნების მასშტაბუ-

რობისა და პრობლემათა სირთულის გამოვლენით ქართული სინამდვილის ესთეტიკური აზრის წარმოჩენაა. ჩურჩულით, მაგრამ ლაღი ფერებით, ღრმა განცდებისათვის დამახასიათებელი სიმძაფრითა და შარავანდედმოსილი სიდიადით რომ ბრწყინდება კოსმიური სევდა...

„პოეტი – მწირი ქადაგი, ბარდი“ ნუგეშად მზის, სინათლის მისტერიას იგულებს; უკვდავს დროის გარეშე, სივრცეში სახეებად, ხატებად ქცეულს, ბროლის მარადისობა უხმობს. ცის სიმაღლიდან, მზის სხივებით აელვარებული გადმოხედავს ქვეყანას: მზე იწვის, „ცა ზაფხულის საგაა“, ირგვლივ ვარდი და შროშანი ანთია და სულ ახლოსაა ახალი საქართველოც: „ჩვენი ძისა და წინაპრის დარად ვოცნებობ ახალ საქართველოზე“ ...

Summary

Researching of issues of reflection of epoch in literature is very important nowadays as well as actual.

Studying, analyzing the area of works of Geno Kalandia – one of the most important representatives of modern Georgian lyric poetry attracted the attention of researchers demonstrating author's aesthetic positions.

Metaphors and poetic images of Geno Kalandia reflect national traditions and heritage. We are presented unique recurrence of poetic assimilations and spiritual transformation.

Establishing the source of inspiration of the poetry of Geno Kalandia we found that the theme of tragedy of Abkhazia is one of the most important impressions of the poet.

„Requiem", „Autographs on the stone", „requiem again" are important – collections by the author dedicated to the theme of the war in Abkhazia – wastes part of Georgia.

The poetry of Geno Kalandia is very productive from the point of using artistic modes of visions of war. Writer often use metaphors, reminiscences for demonstrating his poetical and aesthetic position.

We considered poems of the poet (verse-collections) or main source for studying the main trends of the issue.

For demonstrating the private pains and the inner world of Geno Kalandia we relied on the abstracts from his poetry as well as the Bible, the passages of old and new testaments-the eternal parables of life and literature.

In separate passages we referred to the elements of critics of mythology and historic-comparison method.

Geno Kalandia verses have to be analyzed in relation to the historic processes in Georgia during the last twenty years as well as world historical processes. This issue is very important as the poetry of Geno Kalandia is not only

supported by national heritage and national tragedy. The authors know well world situation, inner life of Georgian people as well as mound in common.

War as a reflection of epoch of postmodernism godless time is a main issue and paradigm of the poet's verse-collections.

On the basis of analysis of the text the reflection of real (political) and areal (inner) artistic world of Geno Kalandia is learnt poetic and image conceptions of the author.

Geno Kalandia has created the whole epoch in the culture history of Georgian poetry in 1990s-2010s. He appeared to be an innovator as well as traditionalist. He enriched poetry with new images and forms. The author is never life outside the time, epoch and space – outside tragic processes of XX century Georgia.

Melodic and emotional verses of Geno Kalandia never reject traditions but never walk through a trampled route.

When the smell of gunpowder was felt in the air the poet was unable to breath and he began to write anti-war verses – emotional.

The poet (as wall as inhabitants of Abkhazia) war enable to escape the undesirable reality. It's impossible to place the poetry of Geno Kalandia within one literary tendency. We consider his poetry as a united artistic process.

The author expresses his opinions with natural simplicity and as a tireless experimenter in the sphere of metric he passes through the route of symbolism and realism mix.

The poetic credo of Geno Kalandia has direct contracts with images and concepts of Antique world, epoch of Medieval centuries and renaissance as well as symbolism. Coming closer to the works of the poet assures readers and scholars that the loveliness and loneliness of feeling is eternal.

The lyric of Geno Kalandia is very rich material for literary researchers. The literary – aesthetic views scattered in the poems are the key to his literary world.

Tsiala Meskhia

ლიტერატურა

1. **ახალი აღთქმა და ფსალმუნები,** თბ., 1998.
2. **ახალი აღთქმა და ფსალმუნები,** სტოკჰოლმი, 1992.
3. **ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ძეგლების** მეტაფორა-სიმბოლიკის საკითხები, თბ. 1987.
4. **იოანე ოქროპირი,** ღვთივშუენიერი სწავლანი, თბ., 1995.
5. **იოანე პეტრიწი,** სათნოებათა კიბე, „საბჭოთა საქართველო", თბ., 1968.
6. **იოანე ოქროპირი,** თარგმანებაი მათეს სახარებისა, წ. I. თბ., 1990.
7. **წმინდანთა ცხოვრება,** თბ., 1991.
8. **მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები,** ვაჟა გვახარიას გამოცემა. თბ., 1978.
9. **წმინდა ბასილი დიდი,** ფსალმუნთა განმარტებანი ჰომილიები, თარგმანი და წინასიტყვაობა ვ. კოპალაძის, თბ., 2009.
10. **წმინდა იოანე დამასკელი,** მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა, თბ., 2000.
11. **წმინდა ნიკიტა სტიფატე,** წმ. სვიმონ ღვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის ჰიმნებისათვის, 4. 413.
12. **ნეტარი ავგუსტინე,** აღსარებანი, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი, თბ., 1995.
13. **ნიცშე,** ასე იტყოდა ზარატუსტრა, ფილოსოფიური ბიბლიოთეკა, თბ., 1993.
14. **პლატონი,** ნადიმი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964.
15. **არისტოტელე,** პოეტიკა (თარგმანი და კომენტარები ს. დანელიასი). თბ., 1979.

16. **ავრელიუსი მ.**, ფიქრები, თბ., 1987.
17. **ანტიკური რიტორიკები**, მოსკოვი., 1978.
18. **აღმოსავლური პოეზია**, თამაზ ჩხენკელის თარგმანი, თბ., 1981.
19. **კალანდია გ.**, რექვიემი, „ეროვნული მწერლობა", თბ., 2008.
20. **კალანდია გ.**, საგალობლები უფლისთვის, „ინტელექტი", თბ., 2014.
21. **კალანდია გ.**, შუმერული ფირფიტები, „ჩვენი მწერლობა", თბ., 2013.
22. **კალანდია გ.**, ფესვები, პოეზია, 2011.
23. **წერეთელი ა.**, თხზულებათა სრული კრებული, ტ.V, XIV. თბ., 1994.
24. **ადამია რ.**, ვაჟა-ფშაველა და დრო, „ჩვენი მწერლობა", 5 ოქტომბერი 2012.
25. **ადეიშვილი ა.**, უსასრულო პოეტური პარამეტრები, „დილის გაზეთი" 29 აპრილი, 2000 წელი.
26. **ვართაგავა ა.**, როგორ ცხოვრობდნენ ფრესკები, თბ., 1991
27. **ალეინიკოვი ვ.**, ხმა და სინათლე. მოსკოვი, 2004.
28. **ასათიანი გ.**, უკეთეს დროთათვის, ლიტერატურული სტატიების კრებული, თბ., 1985.
29. **ასათიანი გ.**, საუკუნის პოეტები, თბ., „მერანი", 1988.
30. **ასათიანი გ.**, სრბოლა ცხოვრებისა, წიგნში „საკურთხეველთან", თბ., 1980.
31. **ბარბაქაძე დ.**, ფრიდრიხ ჰოლდერლინი, გაზ. „ჩვენი მწერლობა" №17 (95) 26 აპრილი-3 მაისი, 2002.
32. **ბარბაქაძე თ.**, 10 წერილი ქართულ ლექსზე, თბ., 1998.
33. **ბარბაქაძე თ.**, სონეტი ფიქრით, გულით და გრძნობით, „ცისკარი", №4, 1997.
34. **ბარბაქაძე თ.**, ტიციან ტაბიძე, წიგნში „ლექსი, მხოლოდ

ერთი ლექსი", თბ., 1995.
35. **ბარბაქაძე თ.**, სონეტი საქართველოში, თბ., 2008.
36. **ბაქრაძე ა.**, რწმენა, თბ., 1969.
37. **ბაქრაძე ა.**, განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახვილი, „მნათობი", 1981, №1.
38. **ბაქრაძე ა.**, დედა, „კვირის პალიტრა", თბ., 2006, 29 მარტი.
39. **ბაქრაძე ა.**, მითოლოგიური ენგადი, თბ., 1977.
40. **ბახტაძე ვ.**, მათ სამთა გმირთა მნათობთა, „ჩვენი მწერლობა", 21 სექტემბერი, 2012.
41. **ბენაშვილი გ.**, ესსე, „კალმასობა", №395, 2006.
42. **ბენაშვილი გ.**, არტისტული ყვავილების პარადიგმა, „ლიტერატურული საქართველო", 2000.
43. **ბოდლერი შ.**, ბოროტების ყვავილები, დათო აკრიანის თარგმანი, თბ., 2008.
44. **ბორხესი ხ. ლ.**, მეშვიდე საღამო პოეზია, „ჩვენი მწერლობა", 1 ოქტომბერი, თბ., 2010.
45. **ბორხესი ხ. ლ.**, ენიგმათა სარკე, თამაზ ჩხენკელის თარგმანი, თბ., 1996.
46. **ბრეგაძე ლ.**, პოსტსაბჭოთა ლიტერატურული სივრცე და ლიტერატურული პროცესი, „სჯანი", №2, 2014.
47. **ბუნდოვანი გ.**, ცისფერი ყანწების ორდენის ღერბი. http: //burusi.Woroldpcsss.com
48. **ბურჭულაძე თ.**, დავით აღმაშენებელი და გრაალის რაინდები, „რიწა", სოხუმი, 1982.
49. **გაზეთი „ახალი კვალი"**, 1916, №31
50. **გალაკტიონი**, რჩეული, თბ., 1977.
51. **გამსახურდია ზ.**, „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება, თბ., 1991.
52. **გამსახურდია ზ.**, მთვარის ნიშნობა, თბ., 1989.

53. **გამსახურდია ზ.,** საქართველოს სულიერი მისია, წერილები, ესსეები, თბ., 1991.
54. **გამსახურდია კ.,** თხზ. ათტომეული, ტ. III. თბ., 1985.
55. **გამსახურდია კ.,** თხზულებათა ათტომეული, ტ. VIII. თბ., 1985.
56. **გასეტი ხ.,** მასების ამბოხი. თბ., 1994.
57. **გაფრინდაშვილი ნ. მირესაშვილი მ.,** ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008.
58. **გაჩეჩილაძე გ.,** სულიერი გამოცდილების ისტორია, თბ., 1986.
59. **გელაშვილი ნ.,** ტრაგიკული გრადაცია, თბ., 1991.
60. **გელოვანი ა.,** მარად ცოცხალი ხელოვნება, თბ., 1980.
61. **გელოვანი ა.,** მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
62. **გენონი რ.,** მთა და გამოქვაბული, „ლიტერატურული საქართველო", 27 დეკემბერი, 1987.
63. **გოგიბერიძე მ.,** რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები. თბ., 1961.
64. **გოგოლაძე თ.,** ოდიშის ტყეში ზაფხულის ფუნჯით, გენო კალანდიას ახალი ლექსები, „ლიტერატურული საქართველო", 12 ივნისი, თბ., 2012.
65. **გოეთე,** საუბრები ეკერმანთან, კომენტარი დაურთო აკაკი გელოვანმა, ბათუმი 1988.
66. **გოეთე,** უწყინარი ქსენიები, რჩეული ლირიკა, თბ., 1972.
67. **გოეთე,** შუაღამისას, რჩეული ლირიკა, თარგმანი ა. გელოვანისა, თბ., 1972.
68. **გოტიე თ.,** შაშვი, წიგნში ფრანგული პოეზია, გივი გეგეჭკორის თარგმანი, თბ., 1990.
69. **გრაფი თარხანი,** გრაალის თასის მცველები, „გზა", 2007.
70. **გულუა დ.,** მე მაინც მიყვარს ის სასწაული, თბ., 2009.

71. **დანტე,** ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 1941.

72. **ვალერი პ.,** პოეზია და აბსტრაქტული აზრი. რჩეული პროზა, თბ., 1988.

73. **ვაჟა-ფშაველა,** თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად. ტ. I. თბ., 2006.

74. **ზონტაგი ს.,** კამიუს უბის წიგნაკები, „ჩვენი მწერლობა" №21, 2013.

75. **თვარაძე რ.,** თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985.

76. **იოგის ჩირაღდნების მოზაიკა,** შედგენილი ალლა ტერ აკოპიანის მიერ ორ წიგნად, წიგნი I, თბ.,1990.

77. **იუნგი კ.,** ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ., 1995.

78. **კაკაკბაძე ზ.,** ეგზისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, თბ., 1985.

79. **კალანდაძე ა.,** დასასრულამდე ჟამთა, რჩეული, თბ., 1987.

80. **კალანდია რ.,** კომპოზიციები – ეპისტოლენი დროსა და სივრცეში. თბ., 2001.

81. **კალანდია რ.,** წინასიტყვაობა, ესმა ონიანის 100 ლექსი, თბ., 2011.

82. **კვესელავა მ.,** პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977.

83. **კოსტავა მ.,** ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991 (209)

84. **კუცია ნ.,** ვარიაციები სექტემბრის დამლევისათვის, წიგნში „წერილები უახლეს ქართულ ლიტერატურაზე", თბ., 2012.

85. **კუცია ნ.,** ლიტერატურული წერილები, თბ., 2005.

86. **ბოჩკოვა ლ.,** ლიტერატურული წერილები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963
87. **ლადარია ნ.,** ხმისა და ბგერის სიმბოლიკისთვის დანტე ალეგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“.
88. **ლაფორგი ჟ.,** სამგლოვიარო მარში დედამიწის გარდაცვალებაზე, თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილის. ვ. გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები, მწერლის არქივებიდან, თბ., 1990.
89. **ლეონიძე გ.,** ნატვრის ხე, თბ., 1993.
90. **ლონგინე ფ.,** ამაღლებულისათვის, თბ., 1975.
91. **მაჭავარიანი მ.,** „და ძველისძველი პატარა კიბე“ , გენო კალანდიას წიგნში „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი 2005
92. **მაჭავარიანი მ.,** პოეტიც, კაციც, გენო კალანდიას წიგნში „ფესვები“, თბ., 2011.
93. **მესხია ც.,** იგი ძალიან ჰგავდა საქართველოს, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №3, თბ., 2008.
94. **მესხია ც.,** მესამე თვალის სხივნათელი, წიგნში „მწერალი და სინამდვილე“, თბ., 1998.
95. **მესხია ც.,** სონეტი – სიყვარულის ანტიკური ბეჭედი, სამეც. შრომათა კრებული IV, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2013.
96. **მესხია ც.,** მითი და რეალობა, გენო კალანდიას პოეზია, წიგნში „განათლების თანამედროვე გამოწვევები“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო კონფერენცია, 15-16 ნოემბერი, 2013, შპს „ირიდა“, რუსთავი 2014, გვ. 433-437.
97. **მესხია ც.,** ფერთამეტყველების ესთეტიკა, თბ., 2012.
98. **მესხია ც.,** გენო კალანდია და აფხაზეთის ტრაგედია, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №17, თბ., 2012.

99. **მესხია ც.,** გენო კალანდიას ლირიკა. თსუ სოხუმის უნივერსიტეტის შრომები კრებული (მოამბე) №2, 2004.
100. **მესხია ც.,** მზეჭაბუკი პოეტი (დათა გულუას ესთეტიკური სამყარო) თბ., 2011.
101. **მესხია ც.,** მითი და რეალობა (გენო კალანდიას პოეზია), „ლიტერატურული საქართველო", 2013, N 65.
102. **მესხია ც.,** მწერალი და სინამდვილე, თბ., 1998.
103. **მესხია ც.,** სასწაული და ფანტაზია, თბ., 2009.
104. **მორუა ა.,** ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1988.
105. **მოსია ტ.,** ელვა და ცისარტყელა, პოეტური წარმოსახვის ფურორი თბ., 2010.
106. **მოსია ტ.,** საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
107. **ნიკოლეიშვილი ა.,** ქართული საბჭოთა კრიტიკა, თბ., 1950.
108. **ნოზაძე ვ.,** ვეფხისტყაოსნი ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1953.
109. **ნუცუბიძე თ.,** ბახტინის კარნავალიზებული ლიტერატურა, თბ., 2002.
110. **ონიანი ე.,** ლექსები, ესეები, წერილები, 2000.
111. **ონიანი ე.,** ფერწერა, გრაფიკა, პოეზია, ინტელექტი, თბ., 2003.
112. **ორჯონიკიძე ი.,** რა არის პოეზია? „ჩვენი მწერლობა", №6. 2010.
113. **პოლ-ვალერი,** რჩეული პროზა, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, „ნაკადული", თბ., 1983.
114. **პომპიდუ ჟ.,** ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობა, „ჩვენი მწერლობა", 19 მარტი, 2010.
115. **ჟორდანია ს.,** კრიტიკის ფილოსოფია, თბ., 1998.
116. **რატიანი ი.,** მიმდინარე ლიტერატურული პროცესი, თბ., 2012.

117. **რობაქიძე გრ.**, დემონი და მითოსი, თარგმანი გერმანულიდან მანანა კვატაიასი, „არტანუჯი“, თბ., 2012.
118. **რობაქიძე გრ.**, ვაჟას ენგადი, „მნათობი“. №10. 1987.
119. **სიგუა ს.**, ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1994.
120. **სიგუა ს.**, პოეტი-მოღვაწე, წიგნში გენო კალანდია, „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი, 2005.
121. **სირაძე რ.**, სახისმეტყველება, „ნაკადული“, თბ., 1982.
122. **სირაძე რ.**, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა. თბ., 1992.
123. **ფარულავა გ.**, ჰაგიოგრაფიული ხელოვნება ხელოვნების შესახებ. „ჩვენი მწერლობა“, 19-25 დეკემბერი, 2003.
124. **სორდია ლ.**, გრაალი-კაცობრიობის იდეალი, წიგნში „წერილები“, თბ., 2009.
125. **სორდია ლ.**, ანა კალანდაძის ესთეტიკა, თბ., 2009.
126. **სტურუა ლ.**, მათ ჯადოსნური ქუდი ახურავთ, „ჩვენი მწერლობა“, 20 აპრილი, 2012.
127. **სულაბერიძე მ.**, და დაფარფატებს ადამიანი – პეპელა აუთვლელ დროში, „ჩვენი მწერლობა“ 1 ივნისი, 2012
128. **სუმბაძე დ.**, გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ. თბ., 2012.
129. **ტაბიძე გ.**, მშვიდობის წიგნი, თხზულებანი 12 ტომად, ტ.11, თბ., 1973.
130. **ტურავა მ.**, „ტრიოლეტებით შევრჩი საწუთროს“, „ჩვენი მწერლობა“, 29 მარტი, 2012.
131. **ფანჯიკიძე გ.**, რჩეული, ტ. 11, თბ., 1986.
132. **ფოიერბახი ლ.**, ქრისტიანობის არსება, თბ., 1956.
133. **ფოლკნერი უ.**, ლიტერატურული პალიტრა, №5, 2007.
134. **ფხოველი ჯ.**, გენო კალანდიას პოეზია, გენო კალანდიას წიგნში „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი, 2009.

135. **ქიქოძე გ.,** ესეები, ნარკვევები, თბ., 1985.
136. **ყარალიშვილი რ.,** ზამბახის გულის საიდუმლოება. „ლიტ. პალიტრა“, N8 (35), 2007.
137. **ყაუხჩიშვილი ს.,** ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბ.,1990.
138. **ყულიჯანაშვილი ა.,** ესთეტიკა, თბ., 2006.
139. **შავლაძე თ.,** აღსარების საგალობელი, „ლიტერატურული საქართველო“, 14 თებერვალი, თბ., 2014.
140. **შათირიშვილი ზ.,** გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა, თბ., „ლოგოს-პრესი“, 2004.
141. **შტაინერი რ.,** როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება, თბ., 1993.
142. **შტოკმანი ი.,** აბსოლუტის წყურვილი, „ცისკარი“, №10, 1984.
143. **ჩოხელი გ.,** ღმერთის შვილები, თბ., 2000.
144. **ჩხეიძე რ.,** ერი და ბედისწერა, თბ., 2010.
145. **ჩხენკელი თ.,** მშვენიერი მძლევარი, თბ., 1999.
146. **ცვაიგი შ.,** დოსტოევსკის ფანტასტიკური ღამე, თბ., 1966.
147. **ცქიტიშვილი გ.,** ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ., 1990.
148. **ცხადაძე ე.,** გზაზე ერთი კაცი მიდიოდა – მითით შენილებული სინამდვილე, „ლიტერატურული პალიტრა“, აგვისტო, 2007.
149. **ჭავჭავაძე ი.,** პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ, „ივერია“, 1986. №139.
150. **ჭავჭავაძე ი.,** რჩეული ნაწარმოებები, ტომი V. 1996.
151. **ჭავჭავაძე ი.,** წერილები ქართულ ლიტერატურაზე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1986.
152. **ჭეიშვილი რ.,** ჩემი ახალი მისამართი, წიგნში გენო კალანდია, „ავტოგრაფები ქვაზე“, ქუთაისი, 2005.

153. **ჭელიძე ო.**, ნინ მარადისობაა, თბ., 2009.
154. **ჭილაძე თ.**, ჟურნალი „მნათობი", №1, 2001.
155. **ხინთიბიძე ა.**, არტისტული ყვავილები, „ლიტერატურული საქართველო", №20-27, 1998.
156. **ჯავახაძე ვ.**, უცნობი, თბ., 1992.
157. **ჯავახიშვილი მ.**, მწერლის პირადი საქაღალდე, №19, საქმე 312.
158. **ჯალიაშვილი მ.**, ქართული პოეზიის დენდები – ცისფერყანწელები, წერილები, თბ., 2010.
159. **ჯალიაშვილი მ.**, იქნებ სამყარო მხოლოდ ჩვენი სიზმარია, „ჩვენი მწერლობა", 4 მარტი, 2011.
160. **ჯალიაშვილი მ.**, შეხვედრა წიგნში. თბ., 2009.
161. **ჯოხაძე მ.**, ო, ეს ბებერი კათარზისი, გენო კალანდიას წიგნში „რექვიემი", ქართული მწერლობა, თბ., 2008.

სარჩევი

სიმაღლის ნიშნული 5

ქართული სიტყვის ჯავაირჩი..... 10

საქართველოს ბინდისფერ გზებზე 78

მითი და რეალობა .....,.....170

რექვიემი.....201

სონეტი და სინამდვილე.....236

სონეტი – სიყვარულის ანტიკური ბეჭედი.....261

ჯვარი და გვირგვინი 285

გრაალი და კარიატიდები.....299

მზე ნეკერჩხლებში 328

„მე მოისარი და ქართული მიწის ქადაგი“ (ტრიოლეტები).....380

თვალებით მოტანილი მარგალიტები (მაქსიმები).....406

შუმერული ფირფიტებიდან ამოკითხული პიქტოგრამები 426

საგალობლები უფლისთვის 431

World of Paradigms of Geno Kalandia (Summary) 456

ლიტერატურა 458